

ვლადიმერ სერბია

**ქართული ენის
ტექსტის ლინგვისტიკა**

თბილისი
1997

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია მეტატექსტისა და ტექსტის ზოგადი პრობლემები, დადგენილია მათი პარამეტრები, კომპონენტები, კოპეზიის საშუალებანი, კატეგორიები, ტიპები. თეორიული დებულებები კმყარება ქართული სალიტერატურო ენის მონაცემებს. წიგნი განკუთვნილია ენათმეცნიერების, ასპირანტების, მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის.

რეცენზენტები:

ფილოლოგი ს. მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ლ. კვაჭაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი კ. დანელია

რედაქტორი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ა. ფოცხიშვილი

წინასიტყვა

ტექსტის ლინგვისტიკამ — ენათმეცნიერების ამ ყველაზე ახალ-გაზრდა დარგმა, რომელიც თავისი არსებობის ოთხიოდე ათეულ წელს ითვლის, უკვე მიაღწია კვლევისა და განვითარების ისეთ დონეს, რომ არსებობს მისი სამი დამოუკიდებელი დარგი: ტექსტის ზოგადი თეორია, კონკრეტული ენის ტექსტის ლინგვისტიკა (რომელიც სხვადასხვა ენაში ან ტექსტის გრამატიკის, ან ტექსტის სინტაქსის სახელწოდებითაც აღინიშნება) და ტექსტის სტილისტიკა. სამივე დარგში დიდი წარმატებებია მიღწეული, როგორც საბჭოურ, ისე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში.

ჩვენ ნაშრომი ეძღვნება ქართული ენის ტექსტის ლინგვისტიკას. არც თუ მცირეა ქართველი სპეციალისტების წვლილი ტექსტის ლინგვისტიკის ყველა სფეროში ინდოევროპული ენების მონაცემებზე დაყრდნობით ქართული სალიტერატურო ენის მონაცემები კი ამ თვალსაზრისით ჭერჭეროვით შესწავლის საგანი არ ყოფილა. ჩვენს წაშრომს „ქართული ენის ტექსტის ლინგვისტიკა“ ადავარქვით. არჩევანი განაპირობა ტექსტის — ენის უმაღლესი დონის ერთეულის — პარამეტრებმა და კატეგორიებმა, რომლებიც უცნობი იყო მორფოლოგიისა და სინტაქსისათვის, თანაც ამ უკანასკნელისათვის ძირითადი და არსებითია ფორმისა და სტრუქტურის ანალიზი, ხოლო ტექსტი და მისი პარამეტრ-კატეგორიები, აგრეთვე კონსტიტუენტები, სემანტიკურ-საკომუნიკაციო ნიშან-თვისებებით ხასიათდება.

ტექსტის ლინგვისტიკა აღმოცენდა ტრადიციული მორფოლოგიისა და სინტაქსის საფუძველზე, მაგრამ ამ ძველი საენათმეცნიერო დარგებიდან მას თითქმის არაფერი აუღია, ხოლო, თუ მემკვიდრეობით რაიმე აითვისა (დრო, კილო, ასპექტი...), ყოველივე ეს მის ხელში ლებულობს სრულიად ახალ ინტერპრეტაციას და ახალი შინაარსით ივსება. ზოგი კატეგორია კა, რომელიც მანამდე სიტყვის ან წინადადების კატეგორიად იყო მიჩნეული, ტექსტის კატეგორია აღმოჩნდება. ასე იქცა წინადადების აქტუალური დანაწევრების თეორია ტექსტობრივ კატეგორიად, ხოლო კომუნიკაცია თემარემის მოდელს დაეყრდნო. ახალი შინაარსით აივსო გრამატიკული დროის, ადგილისა და დროის გარემოებათა კატეგორიები, რომლებიც სუბიექტთან მიმართებაში (ურთიერთობაში) ქმნიან მხატვრულ ქრონოტოპს.

ჩვენი ნაშრომი წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტიკის სისტემა-
ტური ვადმოცემის პირველ ცდას ქართულ სამწერლო ენის მონაცემე-
ბზე დაყრდნობით. ამან განაპირობა ის, რომ ნაშრომში საკმაოდ შე-
მოგვეტანა ტექსტის ზოგადი თეორიის ს.კითხებიც, სახელდობრ:
„ტექსტის“ ცნება, ამ ცნების ევოლუცია, ტექსტის საზღვრების, კონ-
სტიტუენტების, კოჰეზიის, აზრობრივი, საკომუნიკაციო და სტრუ-
ქტურული მთლიანობის, სემანტიკის და სხვა საკითხები. ქართული
სამწერლო ენის მონაცემები გახდა ის საიმედო და ჩინებული ბაზა, რო-
მელმაც შეგვაძლებინა დაგვედგინა ტექსტის ისეთი სემანტიკური კატე-
გორიები, როგორიცაა გაბმულობა, თანმიმდევრულობა, მოდალობა.

ტექსტის ლინგვისტიკა ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ შემოდის
უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებაში დამოუკიდებელი სპეცკურ-
სების, ზოგადი ენათმეცნიერების კურსის თუ გრამატიკისა და სტილ-
ისტიკის ცალკე დარგის ანდა ნაწილის სახით. ექვს არ იწვევს, რომ
ახლო მომავალში ტექსტი. ლინგვისტიკა დამოუკიდებელ ენათმეც-
ნიერულ სასწავლო დისციპლინად იქცევა.

შესავალი

ქართული ენის სინტაქსი ჯერჯერობით წინადადების ფარგლებს არ გასცილება. დრემდე წინადადება განიხილება, როგორც ძირითადი და ამავე დროს უმაღლესი სინტაქსური ერთეული. ეს მაშინ, როდესაც წინადადებაზე დიდი ერთეულების (მეტატექსტის თუ ტექსტის) კვლევამ მსოფლიო მასშტაბით დიდ წარმატებებს მიაღწია. ამ მიღწევებმა განაპირობეს მეცნიერების ახალი დარგის – ტექსტის ლინგვისტიკის-ჩამოყალიბება. ტექსტის კვლევამ საერთაშორისო მასშტაბით ერთგვარი ბუმი გამოიწვია. ქართველ ენათმეცნიერთა ახალმა თაობამ მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა მეტატექსტისა და ტექსტის პრობლემებს. ეს ნაშრომები ძირითადად ინგლისურ, გერმანულსა და ფრანგულ ენობრივ მონაცემებს ემყარება. ჩვენი მონოგრაფიის ძირითად და წამყვან პრობლემას წარმოადგენს მეტატექსტისა და ტექსტის კვლევა ქართული მხატვრული ენის მასალაზე დაყრდნობით. ამდენად ქართული ენათმეცნიერებისათვის პრობლემა აქტუალურია და მნიშვნელოვანი.

ტექსტის ლინგვისტიკაში ტერმინი „ტექსტი“ სხვადასხვანაირადაა გაგებული. ტექსტის ლინგვისტიკის საგანი არ არის საკმაოდ დიფერენცირებული. ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, ტექსტის ლინგვისტიკის საგნის გარშემო არსებულ შეხედულებათა სხვადასხვაობაში სიციხადისა და გარკვეულობის შეტანა, ტექსტის რაობის გარკვევა-დადგენა. ნაშრომის მიზანია აგრეთვე მეტატექსტისა და ტექსტის, როგორც ენობრივ-სამეტყველო ერთეულების, სტატუსის გარკვევა, პარამეტრებისა და საზღვრების დადგენა, ტექსტის აზრობრივი და სტრუქტურული მთლიანობის სპეციფიკის ჩვენება, ტექსტის ლინგვისტიკური კატეგორიების გამოყოფა მეტატექსტისა და ტექსტის კონსტიტუენტა ინტეგრაციის საშუალებათა წარმოჩენა.

ჩვენი ნაშრომი წარმოადგენს ქართული ენის მონაცემებზე დამყარებულ მეტატექსტისა და ტექსტის პირველ გამოკვლევას. კვლევის შედეგად მიღებული თეორიული დებულებები, უფიქრობთ, ზოგადი ღირებულებისაა. ამ დებულებათა არსი შემდეგში მდგომარეობს:

1. მეტატექსტი და ტექსტი ენობრივ-სამეტყველო ერთეულებია.
2. წინადადებაზე უფრო მეტი, დიდი სამეტყველო ერთეული არის მეტატექსტი, რომელიც მიიღება დამოუკიდებელ წინადადებათა

თანწყობით. მეტატექსტის არსებით პარამეტრს წარმოადგენს მასში მიკროთემის არსებობა და აზრობრივი დამთავრებულობა. მეტატექსტის კონსტიტუენტია დამოუკიდებელი წინადადება. მეტატექსტის ქვედა საზღვრად მიგვაჩნია ორი დამოუკიდებელი წინადადება, ზედა საზღვრად კი მიკროთემის აზრობრივი დამთავრებულობა.

3. ტექსტი არის უმაღლესი (მეტატექსტის ზემდგომი) დონის ენობრიბ-სამეტყველო ერთეული, რომელსაც გააჩნია თავისი თემა, სტრუქტურული მთლიანობა, სემანტიკური ერთიანობა, საკომუნიკაციო დანიშნულება. ტექსტის ქვედა ზღვარია სულ ცოტა ორი მეტატექსტი, ზედა ზღვარი კი იქ არის სადაც მთავრდება თემის შინაარსი.

4. ტექსტის კომპონენტია მეტატექსტი.

5. ტესტის კატეგორიებია გაბმულობა, თანმიმდევრობა, მოდულობა.

6. მეტატექსტი და ტექსტი არ წარმოადგენს სინტაქსურ ერთეულებს. ისინი მხოლოდ ლინგვისტიკურ-საკომუნიკაციო ერთეულებია, რომელთათვის არსებითი და გადამწყვეტია ინფორმაციის თემისა და რემის ცვლილება.

ქართული მხატვრული ლიტერატურის მონაცემებზე დაყრდნობით ნაშრომში ნაჩვენებია მეტატექსტისა და ტექსტის სტატუსი, ფუნქციები, პარამეტრები, კატეგორიები, საზღვრები, სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი, საკომუნიკაციო დანიშნულება. ამდენად, ჩვენი ნაშრომი ავსებს (ჩა თქმა უნდა, ნაწილობრივ) იმ ხარვეზებს, რომელთაც ჭერ კიდევ აქვს ადგილი ტექსტის ლინგვისტიკაში. სააკვლევ მასალად ავიღეთ მონოლოგური ტექსტები ქართულ მხატვრული ლიტერატურიდან, რადგან, ჩვენი აზრით, ეს ფენომენი ადეკვატურად ასახავს ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ სიმდიდრეს, სტილისტიკურ-რექსპრესიულ მრავალფეროვნებას, სემანტიკური დატვირთვისა და სიღრმის თუ ზემოქმედების ძალასა და დიაპაზონს.

ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება მეცნიერებისა და ტექნიკის არნახული განვითარება. საფუძველი ეყრება და დროის მცირე მონაკვეთში ზღაპრულ სიმაღლეებს იპყრობს ახალ-ახალი საბუნებისმეტყველო თუ პუმანიტარული მეცნიერებები.

ამ ახალ მეცნიერებათა შორის ერთ-ერთ საინტერესოსა და პერსპექტიულს წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტიკა, რომლის ჩასახვის ხანად მიიჩნევენ 1948 წელს, როცა გამოქვეყნდა ნ. ს. პოსპელოვის

შრომები რთული სინტაქსური მთლიანობის შესახებ.¹ ნ. ს. პოსპელოვის დებულებათა გაზიარება-განვითარებას წარმოადგენს იმავე წელს გამოქვეყნებული გამოკვლევები ი. ა. ფიგუროვსკისა და გ. ო. ვინოკურისა. მაგრამ ამ ეტაპზე ტექსტს კი არა, არსებითად ნეტატაქსტს იკვლევდნენ და, ამგვარად, წინადადებაზე დიდი ერთეულის (მეტატექსტის) კვლევას ტექსტის შესწავლის საწყის ეტაპად მიიჩნევდნენ. შემდგომში აღმოჩნდა, რომ წინადადებაზე დიდი ერთეულის არსებობას სინამდვილეში ყურადღება უფრო ადრეც ჰქონდა მიქცეული მ. ვ. ლომონოსოვის, ა. ხ. ვოსტოკოვის, ფ. ი. ბუსლაევის, ა. ა. პოტებნიას, ა. მ. პეშკოვსკის, ვ. ვ. ვინოგრადოვის, ლ. ა. ბულახოვსკის და სხვების მიერ, მაგრამ მათ ეს ახალი ოდენობა სისტემებში არ უკვლევიათ. უფრო მეტიც: გამოირკვა ისიც, რომ ამ სიდიდეს არისტოტელეც კი იცნობდა და მას „პერიოდულ სიტყვას“ უწოდებდა.

მეტატექსტი და ტექსტი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ჩვენი საუკუნის 80-იან წლებამდე სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. მართალია, ანტონ I-მა იცის წინადადებაზე დიდი ერთეულის არსებობა და მას პერიოდს უწოდებს, ასახელებს კიდევ მის რამდენიმე პარამეტრს (ანაფორულ ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს, ზმნა-შემასმენლის დრო-კილოს ფორმათა თანაფარდობას), მაგრამ ღრმად და გაშლილად არ იკვლევს და არც ადგილს უთმობს მას თავის გრამატიკაში, რადგან რიტორიკის საგნად მიიჩნია იგი. ასევე ამ ოდენობის არსებობას აღიარებდნენ მომდევნო პერიოდის ისეთი ქართული გრამატიკოსებიც, როგორც იყვნენ: ტ. ეორდანია, ი. სიხარულიძე, პ. კვიციანიძე, მ. ჭანაშვილი, მაგრამ არც ისინი გააყოლიან მის კვლევას.

ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის საგანს წარმოადგენს ტექსტი, რომელიც მიჩნეულია ენისა და მეტყველების უმაღლეს საკომუნიკაციო ერთეულად.² მაგრამ ტექსტის ასეთ გაგებამდე მეცნიერები ერთბაშად და ერთდროულად როდი მისულან. მანამდე წინადადებაზე დიდ ერთეულად მიიჩნევდნენ ოდენობას, რომელიც სხვადასხვა სპეციალისტის მიერ ისეთი განსხვავებული ტერმინით იყო აღნიშნული, როგორცაა:

¹ ამ დებულების წინააღმდეგ გამოდის ა. ტ. კრივონოსოვი, რომელიც არ ცნობს საბჭოთა პერიოდის ტექსტის ლინგვისტიკის პრიორიტეტს /169, 31/.

² ა. ტ. კრივონოსოვი „ტექსტს“ არ მიიჩნევს ერთეულად, რადგან ვერ პოულობს მასში ერთეულისათვის დამახასიათებელ პარამეტრებს /169, 24/.

„ართული სინტაქსური (ზეფრაზული) მთლიანობა“, „პერიოდი“, „კამონათქვაში“, „კომპონენტი“, „პროზაული სტროფი“, „აბზაცი“, „პოდიკატულარელატიური კომპლექსი“, „სუბტექსტი“ და სხვ. ამ ტერმინთა ნაცვლად. წინადადებაზე დიდი ერთეულის აღსანიშნავად ჩვენ ვიყენებთ ტერმინ „მეტატექსტს“.

მეტატექსტით აღვნიშნავთ ოდენობას, რომელიც წინადადებაზე დიდია, მაგრამ ტექსტზე ნაკლები. წინადადებაზე დიდი ერთეულის (მეტატექსტის) აღმოჩენისა და კვლევის დასაწყის პერიოდში ძირითადი და მთავარი ყურადღება გამახვილებული იყო დამოუკიდებელ წინადადებათა დაკავშირების ისეთ საშუალებებზე, რომელთაც ჩვეულებრივ სინტაქსში განიხილავდნენ. დამოუკიდებელ წინადადებათა ურთიერთდაკავშირების საშუალებებად მიჩნეულ იქნა ის ცნობილი კავშირები და საკავშირებელი სიტყვები, რომლებიც ჩვეულებრივ იხმარება რთულ წინადადებებში, მაგრამ დაკავშირების ამ ცნობილ საშუალებებს მეტატექსტის დონეზე ახალი ფუნქცია ეკისრება. კავშირებისათვის ამ ახალ ფუნქციას წარმოადგენს მიერთება; ხოლო ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედებისათვის — ანაფორა და კატაფორა. აღმოჩენილ იქნა დაკავშირების ახალი საშუალებებიც: სიტყვის განმეორება, სემანტიკური განმეორება; თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი წინადადებები, ჩართული სიტყვები.

კვლევის ამ ეტაპზე დამოუკიდებელ წინადადებათა აღსანიშნავად ხშირად იყენებენ ტერმინ „ფრაზას“.¹

მეტატექსტის კვლევის პირველ ეტაპზე, როცა ძირითადად სინტაქსიდან ამოდიოდნენ, მეტატექსტს რთული წინადადების საზომით უყურებდნენ და ყურადღებას ამახვილებდნენ მთავარსა და დამოკიდებელ წინადადებებზე, მაგრამ ისე, რომ ძველი ტერმინების ნაცვლად ახალი შემოიღეს, სახელდობრ: „ავტოსემანტიკური“ — „მთავრის“ ნაცვ-

¹ ფრაზის“ გაგებაში აზრთა სხვადასხვაობაა. ლ. ვ. შერბე ფრაზად მიიჩნევს ისეთ დამთავრებულ მთლიანობას, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე სინტაგმისაგან. სხვა შემთხვევაში იგი ერთმანეთისაგან გაარჩევს ერთწევრა და ორწევრა ფრაზებს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ფრაზა უდრის წინადადებას. მ. პეშკოვისათვის ფრაზა ან წინადადებაა, ან წინადადებაზე დიდი ოდენობა. ასევე ტექსტის ლინგვისტიკაში ფრაზა ზოგი ავტორის მიერ გაგებულთა ან როგორც წინადადება (ლ. მ. ლოსევა, ნ. დ. ზარუბინა, ტ. მ. ნიკოლაევა, ნ. ი. სერკოვა და სხვ.) ანდა როგორც წინადადებაზე დიდი ოდენობა (ი. ვ. ვანიკოვი) ფრაზის შესახებ იხ. 103, 83-86.

ლად, და „სინსემატური“ – დამოკიდებულის ნაცვლად: ამასთან, ანალოზებდნენ პირველი (დამწყობი) წინადადების სტრუქტურას, ანდა იმას, თუ რა წევრის ფუნქციას ასრულებდა ავტოსემანტური წინადადების ქვემდებარე და დამატება სინსემანტურ წინადადებაში. ერთი სიტყვით, ახალ ერთეულზე – მეტატექსტზე-მსჯელობდნენ ძველი, ცნობილი პარამეტრების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ მეტატექსტს (სხვადასხვა ტერმინოლოგიით) ყველა მკვლევარი სინტაქსურ ერთეულად მიიჩნევდა.

ჩვენი დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ მეტატექსტი ვერ დახასიათდება რთული წინადადების საზომებით. მეტატექსტს არ სჭირდება, არ უდგება სინტაქსური კატეგორიები. მას თავისი, მანამდე უცნობი, ახალი, სპეციფიკური პარამეტრები და კატეგორიები მოეპოვება. მეტატექსტი წინადადებაზე მალალი იარუსის ენობრივ-სამეტყველო ერთეულია, რომელიც შედგება ორი ან მეტი დამოუკიდებელ წინადადებისაგან.¹

როგორც ვიცით, სიტყვები წინადადებათა საშენი მასალაა. მაგრამ მეტატექსტისათვის ასეთ საშენ მასალას წარმოადგენს უკვე არა სიტყვები, არამედ წინადადებები. სხვანაირად რომ ვთქვათ, წინადადებები მეტატექსტის კონსტიტუენტებია. ნებისმიერ მეტატექსტს აქვს თავისი მიკროთემა, რომელიც როგორც წესი, დასახელებულია პირველ წინადადებაში (ან პირველსა და მეორე წინადადებაში). მომდევნო წინადადებები კი წარმოადგენენ ამ მიკროთემის გაშლას, გავრცობას ახალ-ახალი ინფორმაციით.

¹ წინადადებად მივიჩნევთ ისეთ სამეტყველო სიდიდეს, რომელიც წერის შემთხვევაში თავსდება წერტილსა და წერტილს შორის. ზოგ შემთხვევაში წერტილს ეუთანანბრებთ წერტილ-შემიშვასაც. კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები კი მხოლოდ მაშინ შემოდის ჩვენი კვლევის სფეროში, როცა ისინი მონოლოგური ტექსტის ერთეულები არიან. მაგრამ, თუ ისინი დიალოგს განეუთვნებიან, ამ შემთხვევაში ჩვენ მათ არ განვიხილავთ.

გრამატიკიდან ვიცით, რომ სასკენი ნიშანი შემოფარგლავს სიტყვებს და შესიტყვებებს, მაგრამ მათ აქვთ მეორე ფუნქცია-შათი გაერთიანება.

წერტილი ერთდროულად შემოფარგლავს წინადადებებს და თან აერთიანებს მათ უფრო დიდ ერთეულად.

წერტილ-შემიშვის ფუნქცია მდგომარეობს წინადადებათი გაერთიანებაში / 135, 16, 19/.

ჩვენი აზრით, მეტატექსტის ძირითადი და მთავარი პარამეტრია აზრობრივი დამთავრებულობა და საკომუნიკაციო მთლიანობა.

მეტატექსტი და ტექსტი განსხვავებული დონის ენობრივი (სამეტყველო) ერთეულებია. მეტატექსტი სხვაა, ტექსტი-სხვა. მათი ერთმანეთში არევა არ შეიძლება. მათ ძირითადად ერთმანეთისაგან განასხვავებს ინფორმაციის მოცულობა და სემანტიკურ-სტრუქტურული მთლიანობა. სახელდობრ, მეტატექსტისათვის დამახასიათებელია შემადგენელ დამოუკიდებელ წინადადებათა სემანტიკურ-სტრუქტურული მთლიანობა, ტექსტისათვის კი- მეტატექსტთა სემანტიკურ-სტრუქტურული მთლიანობა.

ტექსტი არის უმაღლესი დონის, უმაღლესი იარუსის ენობრივ-სამეტყველო ერთეული, რომელსაც აქვს საკუთარი თემა, შემადგენელ მეტატექსტთა სემანტიკური ერთიანობა, სტრუქტურული მთლიანობა, საკომუნიკაციო დანიშნულება და გრაფიკული სახე. ტექსტს თავისი თემა აქვს, ტექსტის კონსტიტუენტებია მეტატექსტები (ტექსტი რამდენიმე მეტატექსტისაგან შედგება). ტექსტის ძირითადი კატეგორიებია გაბმულობა, თანმიმდევრობა, მოდალობა. ტექსტი სემანტიკურად ერთიანია და აზრობრივად დასრულებული. ტექსტის კონსტიტუენტების ინტეგრაციას ქმნის: გრამატიკული საშუალებები (მიერთებითი კავშირები, ანაფორა და კატაფორა), ლექსიკური საშუალებები (ყველა სახის განმეორება), სინტაქსური საშუალებები (ჩართული სიტყვები და გამოთქმები, წინადადებები).

წინამდებარე ნაშრომში გარკვეული გვაქვს ტექსტის საზღვრები და კატეგორიები, გამოყოფილი გვაქვს ტექსტის ძირითადი ფუნქციონალური ტიპები (აღწერითი, თხრობითი, მსჯელობითი, კონტამინირებული).

ტექსტის ლინგვისტიკამ მრავალი ცნება-ტერმინი შემოიტანა. მათი ნაწილი ჩვენს ნაშრომშიც აისახა. ტექსტის ლინგვისტიკასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია მცირე ლექსიკონის სახით თან ერთვის გამოკვლევას.

ტექსტის პრობლემატიკას რუსულ ენაზე მრავალი ნაშრომი მიეძღვნა.¹ ამ ნაშრომების უმრავლესობა არკვევს დამოუკიდებელ

¹ მხედველობაში გვაქვს საკვალიფიკაციო ნაშრომები, რომელთა მეტწილი საკანდიდატო დისერტაციებს წარმოადგენს, დანარჩენი კი - სადო-

წინადადებათა ურთიერთდაკავშირების საშუალებებს. მეტატექსტის კვლევის დასაწყის ეტაპზე ყველა სპეციალისტი ერთხმად იზიარებს ნ. ს. პოსპელოვის დებულებებს დამოუკიდებელ წინადადებათა ურთიერთდაკავშირების საშუალებებად მიერთებითი კავშირების, აგრეთვე ანაფორულად გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების მიჩნევის შესახებ. ამათ გარდა, ამ ეტაპზე ასეთ საშუალებებად ზოგი ავტორის მიერ დასახელებული იყო აგრეთვე: არსებითი და ზედსართავი სახელები, მიმღობები /209, 322/; ზმნა-შემასმენელთა დროისა და ასპექტის ფორმათა თანაფარდობა /151; 200; 237; 322/ და სიტყვათა და წინადადებათა რიგი /151; 200; 237; 296/, ხოლო კვლევის შემდგომ ეტაპზე ჩამოთვლილ საშუალებებს დაემატა: ჩართული სიტყვები და გამოთქმები /210; 322/, აგრეთვე თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები /168; 177; 200; 237/. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დამოუკიდებელ წინადადებათა ურთიერთდაკავშირების ახალი საშუალებების სიტყვის განმეორების აღმოჩენა, რომელიც გ. ოვინოკურის სახელს უკავშირდება /72/, შემდეგში კი ეს იდეა სხვებმაც აიტაცეს და განავითარეს. როცა განმეორებაზეა ლაპარაკი, ერთმანეთისაგან არჩევენ წმინდა ლექსიკურ განმეორებას, სინონიმურ, ანტონიმურ და ნაცვალსახელურ ჩანაცვლებას /37; 131; 200; 237/ და სემანტიკურ განმეორებას /100; 291/. აქვე მიუთითებენ სინტაქსურ პარალელიზმზე /237; 322/, რიტმზე, მელოდიკაზე /131; 276/, ინტონაციაზე, პაუზაზე /322/ და ა. შ.

ტექსტის ლინგვისტიკამ თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში მრავალი საკვანძო საკითხის დამუშავება მოასწრო. ტექსტის კერძო და ზოგად პრობლემებს მრავალი ნაშრომი მიემძღვნა რუსულ ენაზე /17; 93; 142; 191; 193; 194; 212; 230; 232; 263; 265; 267; 280; 310/. სპეციალური გამოკვლევა დაიწერა იმის შესახებ, თუ როგორ დგას ტექსტის პრობლემა ლინგვისტიკაში, ფილოლოგიასა და სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. /25/. აღმოჩნდა, რომ დიდია ტექსტის როლი ჩვეულებრივი თუ მანქანური თარგმნის პროცესშიც /22; 226; 316; 341; 349/. არსებობს გამოკვლევა ტექსტის როლის შესახებ უცხო ენის შესწავლაში /71/.

ქტორთა. მათი ჩვენული შეფასება და ინტერპრეტაცია გაფანტულია ამ ნაშრომის სხვადასხვა თავში შესაბამის პრობლემასთან დაკავშირებით.

ტექსტის ლინგვისტიკა ჯერჯერობით საქართველოს საშუალო სკოლებში არ ისწავლება (ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ იგი საზღვარგარეთ ისწავლება როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სკოლებში /230/. მაგრამ გვაქვს რამდენიმე სტატია, რომელიც ასაბუთებს ამ მეცნიერების სკოლაში სწავლების აუცილებლობას /62; 109; 120; 217/.

მკვლევართათვის კვლევა-ძიების ობიექტი უკვე იყო ტექსტის, ანდა მისი კომპონენტების სემანტიკა /105; 225; 188/, გამონათქვამისა და აბზაცის სხვადასხვა საკითხი /244; 282; 329/, ტექსტის კატეგორიები /46; 117/, ტექსტის ტიპოლოგიის /116, 102/, ტექსტის სტილისტიკის /239/ საკითხები.

გვაქვს ორიოდ ნაშრომი, სადაც გაშუქებულია, თუ როგორ ესმით ტექსტის ლინგვისტიკაში ტექსტის ცნება /112; 179/.

რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა ტექსტის პრაგმატიკის პრობლემას /95; 106; 127; 165/.

გამოიკვია, რომ ტექსტის თეორია გარკვეულ როლს ასრულებს სიტყვარმოების სინტაქსურ მექანიზმში /345/.

უნდა აღინიშნოს გ. ი. სოლგანის წიგნი /300/, სადაც ავტორი წინადადებაზე დიდ ერთეულს „პროზაულ სტროფს“ უწოდებს. „პროზაული სტროფის“ ძირითადი ნიშნები გ. ი. სოლგანისაა ჯერ კიდევ 1969 წელს ჩამოაყალიბა ერთ-ერთ სტატიაში /301/. თავის წიგნში გ. ი. სოლგანი, ეყრდნობა რა გ. ფ. ასმუსის¹, ა. ს. ახმანოვისა² და პ. ს. პოპოვის³ ლოგიკურ კონცეფციებს, გამოყოფს ე. წ. „ლოგიკურ მთლიანობებს“, როგორც აზროვნების სტრუქტურულ ერთეულს. უფრო დიდს, ვიდრე მსჯელობაა. ავტორი აქ გამოყოფს ლოგიკურ მთლიანობათა სამ სახეს: ესენია: 1. ლოგიკური მთლიანობები ჯაჭვური ლოგიკური კავშირით; 2. ლოგიკური მთლიანობები პარალელური ლოგიკური კავშირით; 3. ლოგიკური მთლიანობები შერეული (ჯაჭვურ-პარალელური) კავშირით /300, 47/.

გ. ი. სოლგანი წერით ტექსტში ლოგიკური მთლიანობის ძიებისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი ანალოგი არის პროზაული სტროფი, სოლგანის გაგებით, „პროზაული სტროფი-ეს არის აზრო-

¹ Асмус В.Ф., Логика. М., 1947;

² Ахманов А.С., Логические формы и их выражение в языке. - В кн.: Мышление и язык. М., 1957.

³ Попов П.С., Суждение. М., 1957.

ბრივად და სინტაქსურად მკიდროდ ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა ჯგუფი, რომელიც ცალკე წინადადებასთან შედარებით უფრო სრულად გამოხატავს აზრის განვითარებას" /30Q 35/.

გ. ი. სოლგანიკი არ ცნობს ცალკე წინადადების დამოუკიდებელ არსებობას. მისი აზრით, ტექსტი იყოფა პროზაულ სტროფებად, პროზაულ სტროფებს კი იგი აჯგუფებს თხრობით, აღწერით და ანაფორულ სტროფებად /30Q 132-170/.

გ. ი. სოლგანიკს მიაჩნია, რომ წინადადებებს შორის სინტაქსური კავშირის ერთ-ერთ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს ჯაქვეური კავშირი, და ერთმანეთისაგან განსხვავებს მის ისეთ სამ სახეს, როგორცაა: 1. ჯაქვეური კავშირი ლექსიკური განმეორებით, 2. ჯაქვეურ-სინონიმური და 3. ჯაქვეური ნაცვალსახელური კავშირები /30Q 49-94/.

გ. ი. სოლგანიკი გამოყოფს პროზაულ სტროფებს, დამყარებულს წინადადებათა შორის ჯაქვეურ კავშირზე, და პარალელურ პროზაულ სტროფებს, ჯაქვეური სტროფები, ავტორის აზრით, წარმოიქმნება აზრთა უწყვეტი დინების დროს, მათი გადაბმის შედეგად. პარალელური სტროფები კი მაშინ კაპტს, როცა ერთი და იგივე სუბიექტი სხვადასხვა პრედიკატიო ხასიათდება.

გ. ი. სოლგანიკის მიხედვით, ჯაქვეურ სტროფებში მთავარსა და გამამწყვეტ ნიშანს წარმოადგენს დამწყვეტი წინადადების ტიპი. იგი გამოყოფს სტროფებს იმის მიხედვით, თუ რა წევრით იწყება დამწყვეტი წინადადება: ქვემდებარით, დამატებით, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილით, თუ რაიმე სახის გარემოებით /30Q 109-131/.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, დამწყვეტი წინადადების ასეთი დახასიათება დავალებულია სინტაქსისაგან. სინამდვილეში ე. წ. ჯაქვეური სტროფები ერთმანეთისაგან განსხვავდება არა იმით, თუ წინადადების რომელი წევრით იწყება დამწყვეტი წინადადება, არამედ იმით, თუ რა მიკრო თემა დამახასიათებელი პირველი წინადადებისათვის და შემდეგ როგორ იშლება, როგორი ინფორმაციით ხასიათდება და ამოიწურება იგი.

ავტორის აზრით, პარალელური კავშირის სინტაქსური არსი მდგომარეობს წინადადებათა სტრუქტურულ თანფარობაში. პარალელური კავშირები მონაწილეობენ სხვადასხვა სახეობის პარალელური პროზაული სტროფის წარმოქმნაში. ასეთი შეიძლება იყოს:

1/ „სუფთა სახის“ პარალელური სტროფები;

2/ თხრობითი სტროფები, რომლებიც ხასიათდება ინვერსიულ წინადადებათა სტრუქტურის პარალელიზმით და შემასმენლის გამოსატვის ფორმათა ერთიანობით;

3/ აღწერითი სტროფები, რომელთათვის წინადადებათა სინტაქსური პარალელიზმის გარდა დამახასიათებელია აგრეთვე შემასმენელთა დროისა და ასპექტის ფორმათა ერთიანობა, წინადადებათა ერთიანი მოდალურობა. აღწერითი სტროფების შიგნით სტრუქტურული ნიშნის მხედვით ავტორის მიერ გამოიყოფა: სტროფები ახლანდელი დროის ერთიანი პლანით, წარსული დროის ერთიანი პლანით და აგრეთვე ნომინატიური სტროფები;

4/ ანაფორული სტროფის ქვეჯგუფში გამოიყოფა: სტროფები ანაფორული ქვემდებარით, შემასმენლით, მეორეხარისხოვანი წევრებით, ჩართული სიტყვებით; სტროფები განმაზოგადოებელი დასაწყისი წინადადებებითა და პარალელური ანაფორული წინადადების სერიით; სტროფები ანაფორული „ეს“ ნაცვალსახელით, აგრეთვე კითხვითი ანაფორული და არაანაფორული სტროფები /300, 132-172/.

ამასთან ერთად, სოლგანიცი გამოყოფს პროზაული სტროფის ისეთ ტიპებსაც. როგორცაა მაგალითად, „სტროფები ერთიანი სუბიექტით“, „სტროფები, აგებული დასაწყისი წინადადების მოდელით“ და აგრეთვე „წრიული სტროფები“ /300, 173-186/.

გ. ი. სოლგანიციის წიგნი საკმაოდ გახმაურდა. მისი ჩაქვური და პარალელური კავშირები ერთგვარ მოდად იქცა. დაკავშირების ეს სახეები შევიდა უმაღლესი სკოლების შემდეგდროინდელ სახელმძღვანელოებში, ტექსტისადმი მიძღვნილ ყველა გამოკვლევაში. ამ წიგნის ერთ-ერთ მინუსად შეიძლება მივიჩნოთ პროზაული სტროფის სტრუქტურისა და ტიპის განსაზღვრისას წინადადების წევრების როლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება, რაც არ შეესაბამება ობიექტურ სინამდვილეს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი. რ. გალპერინის წიგნი /85/, რომელიც მიეძღვნა ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემებს.¹

ამ ნაშრომში, კერძოდ, განხილულია ტექსტის თეორიის ძირითადი საკვანძო საკითხები: გაანალიზებულია ტექსტი, როგორც ერთი-

¹ ი. რ. გალპერინის წიგნის შესახებ იხ. ი. ბ. სიროტინის რეცენზია ჟურნალში: ВЯ 2 1983, გვ. 152-154.

ანი ოდენობა და მისი დამოკიდებულება ენისა და მეტყველებისადმი: გამოყოფილია ტექსტის პარამეტრები და კატეგორიები.

ი. რ. გალპერინი ტექსტს განიხილავს, როგორც „კომუნიკაციის მოწესრიგებულ“; სპონტანურობას, მოკლებულ ფორმას“ /85, 11/. ავტორის აზრით, ტექსტი არსებობს მხოლოდ ლიტერატურული ენის წერილობით ვარიანტში /85, 15/.

ი. რ. გალპერინი გამოყოფს ტექსტის ისეთ კატეგორიებს, როგორცაა, დამთავრებულობა (სათაურის განსაკუთრებული დანიშნულებით), დანაწევრება, კოპეზია, ინტეგრაცია, ავტოსემანტია, პროსპექცია, რეტროსპექცია, ინფორმაციულობა. ყველა ამ კატეგორიის მიღება, გაზიარება არ შეგვიძლია. მიგვაჩნია, რომ ავტოსემანტია, პროსპექცია და რეტროსპექცია კოპეზიის კერძო შემთხვევების გამოვლინებაა და არა ცალკე კატეგორიები. არც კოპეზია და ინტეგრაციაა სხვადასხვა კატეგორია და არც დანაწევრება მიგვაჩნია ტექსტის კატეგორიად, რადგან, ჯერ ერთი, დაუნაწევრებადი ტექსტი არ არსებობს, და მეორეც, დანაწევრება ტექსტის ცალკე ერთეულად გამოყოფის საფუძველია.

ტექსტობრივ კატეგორიებს გალპერინი გრამატიკულს უწოდებს, რაშიაც ჩვენ აგრეთვე ვერ დავეთანხმებით. ის კატეგორიები, რომლებიც მან ტექსტის კატეგორიებად შემოგვთავაზა, გრამატიკისათვის უცნობია. ეს კატეგორიები, ჯერ ერთი, გრამატიკული კატეგორიების საზომით ვერ გაანალიზებდა და მეორეც, ისინი შინაარსობრივი კატეგორიებია და, ცხადია, შინაარსობრივ კატეგორიებს გრამატიკულად ვერ მივიჩნევთ.

ი. რ. გალპერინი ტექსტს აკუთვნებს არა ენის, არამედ მეტყველების სისტემას. მისი გაგებით, ტექსტი მოკლებულია კლავწარმოების შესაძლებლობას¹ და ყოველთვის „წარმოადგენს შეგნებულად ორგანიზებული სამეტყველო პროცესის შედეგს“ /85, 3/. ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გალპერინი არ უარყოფს ენის გავლენას ტექსტზე და არც წამოყენებულ ტექსტობრივ კატეგორიებს მიიჩნევს იგი ერთადერთ შესაძლო კატეგორიებად.

¹ შტრ. ვ. გ. აღმონის დებულებას, რომ ტექსტის ძირითადი პრინციპი-მისი, როგორც კონკრეტული მთლიანობის, კლავწარმოება-ჩიება ტექსტის არსებობის საფუძველად /4, 67/.

ი. რ. გალპერინის თეორიული დებულებები ილუსტრირებულია რუსულსა და ინგლისურ ენებზე შექმნილი დიდძალი მხატვრული-ლიტერატურული, საქმის ქაღალდებისა და საგაზეთო მასალით.

ი. რ. გალპერინის წიგნში საკმაოდ ვხვდებით მიუღებელ დებულებებს, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდია ამ მონოგრაფიის მნიშვნელობა, ვინაიდან სწორედ ამ წიგნით ახალი, ღრმა და გაშლილი ფრონტით იწყება ტექსტის მეცნიერული შესწავლა მისი კვლევის ისტორიაში. ამიტომ გაუგებარია და ერთგვარ წყრომას იწყვეს ა. ტ. კრივონოსოვის ირონიული რეპლიკები /169/ ამ წიგნის მისამართით.

ი. პ. სეებოს მონოგრაფია /281/ ეძღვნება აბზაცის შიგნით წინადადებათა შორის გარეგანი კავშირის კვლევას. წიგნში დაყენებულია ორი ძირითადი ამოცანა: ა/ ფორმალური აპარატის დამუშავება ტექსტის ფრაზების გამარტივებულ სახემდე დასაყვანად და ბ / მათი ურთიერთგადაბმის კანონზომიერებათა დადგენა; ამასთან ერთად, დასახულია პერსპექტიული გზები რეფერირების ავტომატიზაციის სფეროში.

ი. პ. სეებოს თქმით, „აზრის გადმოცემის ყველაზე აშკარა, ნათელი საშუალება- ეს არის გაბმულ ტექსტში ერთნაირი ან სემანტიკურად ახლო მდგომი ცნებების განმეორება //ИЛИИЛИИИЛИИИЛИИИ/. რაც ტექსტის განსაზღვრულ სტრუქტურას წარმოქმნის“ /281, 6/.

სეებოს მიხედვით, ტექსტის კვლევის ძირითადი ერთეული შეიძლება იყოს წინადადებათა ისეთი ჯგუფებისაგან შედგენილი აბზაცი, რომლებიც გადმოსცემენ აზრის საკმაოდ დამოუკიდებელ მონაკვეთს და გარაკვეული სტრუქტურული კანონზომიერებით ხასიათდებიან /281, 9/.

სეებო თვლის, რომ აბზაცის შემადგენელ ნაწილთა შორის დამოკიდებულება გადმოიცემა როგორც გრამატიკული, ისე ლერქიკური საშუალებებით. ერთი და იმავე ცნების გამოხატვის ლექსიკურ საშუალებებს სეებო მიაკუთვნებს: 1. სინონიმის და მონაცვლე სიტყვათა¹ ანუ სუბსტიტუტთა სხვადასხვა სახეებს. სუბსტიტუტებში თავის

¹ „მონაცვლე“ ავტორი მიიჩნევს ისეთ სიტყვებს, რომლებიც უშუალოდ არ ასახელებენ მოქმედებას, საგანს, ნიშან-თვისებას და ა. შ., მაგრამ მიემართებიან და გვაგულისხმებინებენ აღრქაბას, საგნებს, ნიშან-თვისებებს და ა. შ. /281, 25/. „მონაცვლე სიტყვის“ მაგივრად ავტორის

მხრივ გამოიყოფა შემდეგი კლასები: ა/ მე-3 პირის ნაცვალსახელები, ჩვენებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები; ბ/ საკავშირებელი სიტყვები (კავშირები და წევრ-კავშირები) და გ/ნულოვანი სუბსტიტუტები-სიტყვათა გამოტოვების სხვადასხვა სახეები /281, 37-38/.

ი. პ. სეგოს ნაშრომის შეფასებისას ს. ი. გინდინი წერს: „მნიშვნელოვანი ნაბიჯი განმეორების მექანიზმის სატექსტო როლის გათვითცნობიერებაში გადაიდგა ი. პ. სეგოს „გაბმული ტექსტის სტრუქტურაში“, სადაც ტექსტი მარტოდენ „მეტყველების ობიექტთა ერთიანობად“ როდი წარმოჩნდა“ /101, 350/.

გვერდს ვერ ავუვლით ო. ი. მოსკალსკაიას წიგნს /222/, რომელიც წარმოადგენს პირველ დამხმარე სახელმძღვანელოს გერმანული ენის ტექსტის გრამატიკაში („ტექსტის გრამატიკა“ მოსკალსკაიას ტერმინია-გ ს.), სადაც ძირითადი ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ ახსნილია ტექსტის გრამატიკის საგნისა და ამოცანების არსი, განსაზღვრულია ტექსტის ლინგვისტიკის ძირითადი ცნებები: ტექსტი, ზეფრაზული მთლიანობა, აბზაცი; აღწერილია ტექსტის სტრუქტურული; სემანტიკური და კომუნიკაციური ერთიანობის ნიშნები. წიგნის ცალკეული თავები მიეძღვნა გამონათქვამის სემანტიკის, ტექსტის კომპოზიციისა და აქტუალიზაციის საკითხებს, აგრეთვე წინადადებათა ადგილს ტექსტში; გაანალიზებულია ისეთი კატეგორიების ტექსტწარმოქმნელი ფუნქცია, როგორცაა განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის, დროის, მოდალობის, კოლოსა და სხვა კატეგორიები. ყოველი თეორიული დებულების საილუსტრაციოდ ავტორს მოხმობილი აქვს დიდძალი მასალა გერმანული მხატვრული ლიტერატურიდან.

ჩვენ ო. ი. მოსკალსკაიას ყველა დებულებას როდი ვიზიარებთ, ზოგი საკამათოცაა. ყოველივე ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, მაგრამ აქ კი უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ა. ტ. კრივონოსოვს ო. ი. მოსკალსკაიას წიგნის შეფასებაში, ა' მოგვწონს ის განმაქიქებელი ტონი, რაც ნიშანდობლივია კრივონოსოვის მსჯელობისათვის ამ წიგნზე საუბრის დროს /169, 25-26-29-31-32/.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ე. ა. რეფეროვსკაიას წიგნზე /271/, რომელშიც გაანალიზებულია ტექსტის ერთეულის-ზეფრაზული

მიერ შემოთავაზებულია აგრეთვე საერთო ტერმინი „სუბსტიტუტი“ /281, 26/.

მთლიანობის სტრუქტურული მექანიზმი; ახსნილია გაბმულ ტექსტში ზეფრაზულ მთლიანობათა ენობრივი გაფორმება-გაერთიანების საშუალებანი: განხილულია ზმნის დროისა და ასპექტის ფორმათა, აგრეთვე მოდალობის თუ სიტყვათა განლაგების შესარღებლობათა გამოყენება ზეფრაზული მთლიანობის შემადგენლობაში მყოფ წინადადებაში, რასაც განსაზღვრავს გაბმული ტექსტის აგებისა და საკომუნიკაციო დანაწევრების მოთხოვნები. საილუსტრაციო მასალა ავტორს მოხმობილი აქვს თანამედროვე ფრანგული მხატვრული ლიტერატურიდან.

ტექსტის პრობლემატიკისადმი მიძღვნილ ნაშრომთა შორის დავასახელებთ აგრეთვე: კ.ადოლინის /112/, ვ.აკუხარენკოს /179/, ლ.მ.ლოსევას /203/, ვ.პ.ლუნიოვას /207/, ა.ი.ნოვიკოვის /235/, ნ.ი. ჟინკინის /121/ ნაშრომებს, რომლებიც ძირითადად 80-იან წლებში გამოიცა. ამავე პერიოდში გამოვიდა არაერთი კრებული, რომლებშიც გაშუქებულია ტექსტთან დაკავშირებული საკითხები /137; 238; 289; 305; 309; 311-317 და სხვ./; ტექსტის ლინგვისტიკა უკვე არსებობის სამოთხ ათეულამდე წელს ითვლის. იგი საბჭოთა ენათმეცნიერების პირამოა, მაგრამ დღეისათვის მისი გავრცელების არეალს მთელი მსოფლიო წარმოადგენს. წინადადებაზე დიდი ოდენობის შესახებ პირველი ინფორმაცია საზღვარგარეთ 1949 წელს გამოჩნდა კ. ბოსტის ნაშრომში /391/. ამ ოდენობას კ. ბოსტი „წინადადებათა წრეს“ უწოდებდა. მან მიუთითა წინადადებათა დაკავშირების მთავარ საშუალებებზე. ასეთებად კი მიიჩნია: ლექსიკური გამეორებანი, არტიკლისა და ნაცვალსახრელის გამოყენება, ზმნა-შემასმენელთა ურთიერთშეთანხმება დრო-კილოთა მიხედვით, წყვილი კავშირები, ჩამოთვლა, კითხვითი სიტყვები.

პირველი საზღვარგარეთული გამოკვლევა, მიძღვნილი ტექსტის პრობლემეტიკისადმი, გამოქვეყნდა 1952 წელს.¹ იქიდან მოყოლებული დღემდე ტექსტის ლინგვისტიკამ საზღვარგარეთ დიდ წარმატებებს მიღწია. უკვე გამოდის პერიოდული გამოცემები და კრებულები. ოცი

¹ მხედველობაში გვაქვს პარისის ნაშრომი Langue, v.28, №1, 1952, სადაც ტექსტის სინონიმად გვხვდება დისკურსი, რომელიც გაგებულია, როგორც მთლიანი გამონათქვამი. წინადადება გაგებულია, როგორც კომპონენტი მთლიანი ტექსტ-დისკურსისა; ძირითადი ყურადღება პარისში დაუთმო დისკურსის სეგმენტაციის, კლასიფიკაციისა და ტრანსფორმაციის საკითხებს-დოგენეარტიული სტრუქტურული გრამატიკის თვალსაზრისით.

წელიწადია, გამოდის ცალკეული მონოგრაფიებიც. დასავლეთ გერმანიაში კი რამდენჯერმე გამოიცა სახელმძღვანელო ტექსტის ლინგვისტიკაში უმაღლესი და საშუალო სკოლებისათვის /230, 5-6/.

ტექსტის კვლევის პირველ ეტაპზე საზღვარგარეთელი ლინგვისტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ წინადადებათა დაკავშირების საშუალებათა დადგენას. ამ საშუალებათაგან ყველაზე მეტად იკვლევდნენ გამეორებას, სახელდობრ, სახელთა გამეორებას. კვლევის სფეროში თანდათან შემოდის წინადადებათა ანაფორული ურთიერთობის დადგენაც. იკვლევენ პირველი ანუ დამწყობი წინადადების სტრუქტურას და მასში გამოყენებულ სახელთა ფუნქციას.

სპეციალისტთა ნაწილი აყენებს ტექსტის ზოგადი მოდელის შექმნის იდეას, რომელიც, მათი აზრით, დაეხმარება ლინგვისტებს ტექსტის სიღრმისეული ანალიზებისა და ტექსტის ორგანიზაციის ლინგვისტიკური კანონების დადგენაში. სხვების აზრით კი, მთავარია ცალკეული დამოუკიდებელი ტექსტების ანალიზი.

60-იან წლებში საზღვარგარეთ, ისევე როგორც ჩვენში, ტექსტი გაგებელი იყო როგორც რთული სინტაქსური (ზეფრაზული) მთლიანობა, რომელიც ორი-სამი წინადადების ნაერთს წარმოადგენს. 70-იან წლებიდან მოყოლებული კი ტექსტი მიჩნეული აქვთ, როგორც ტექსტი-გამონათქვამი, ტექსტი-კომუნიკატი, ტექსტი-მთლიანი სამეტყველო ნაწარმოები (ქმნილება). ამგვარად, 70-იანი წლებიდან ტექსტის ლინგვისტიკის შესასწავლ ობიექტად წარმოდგა: 1. რთული სინტაქსური (ზეფრაზული) მთლიანობა ანუ მიკროტექსტი და 2. მთლიანი სამეტყველო ნაწარმოები ანუ მაკროტექსტი /223, 159/. ამან კი განაპირობა ტექსტისადმი ორგვარი მიდგომა: 1. პროპოზიციონალური და 2. დინამიკური. პირველი გაგებით ტექსტი არის სტატისტიკური, დროში დაუნაწილებელი ერთეული, რომლის შეფასება შეიძლება წინადადების საზომით; დინამიკური გაგებით კი, ტექსტი უპირველეს ყოვლისა, საკომუნიკაციო ერთეულია, რომელიც განიხილება, როგორც დროში დანაწევრებული მეტყველების ერთეული /223, 160/.

საზღვარგარეთის ლინგვისტთა თვალსაზრისი ფართოდ გამოჩნდება ჩვენი ნაშრომის თითქმის ყველა ნაწილში. აქ კი აღვნიშნავთ, რომ, გარდა ტექსტის ლინგვისტიკის სტატუსისა და მისი ობიექტის შესახებ მსჯელობისა, უცხოელ ლინგვისტთა კვლევის სფერო მოიცავს ისეთ საკითხებსაც, როგორცაა: წინადადების ფუნქციონალური პერსპე-

ქტივის ადგილი ლინგვისტიკური აღწერის სისტემაში /336/. კროს-რეფერენცია¹ /245/, ანაფორასა და კატაფორაში მონაწილე საშუალებები /267/, განმეორების ფუნქცია /27/, არტიკლის სატექსტო ფუნქცია /58/, პრესუპოზიცია /150/, პრაგმატიკის საკითხები /404/, „ტექსტი“ და „ისტორია“, როგორც ფილოსოფიურ-ენობრივი ბაზისური კატეგორიები /351/ და სხვ. ტექსტის ლინგვისტიკის მიღწევები საზღვარგარეთ საყოველთაოდ ცნობილია. ცხადია, ეს მიღწევები ტექსტის პრობლემატიკის ღრმა და მასშტაბური კვლევისა და ანალიზის შედეგია. მაგრამ ამ ფონზე გაოცებას იწვევს ერთი გარემოება, სახელდობრ, ის, რომ ისინი თითქოს ტექსტს იკვლევენ, მაგრამ სინამდვილეში საანალიზო მასალად ხშირად ნამდვილი ტექსტის გვერდით წინადადებასაც იღებენ, ისეთ წინადადებებს, როგორიცაა:

-ჭონი ავადაა. დღეს საღამოს ის ვერ მოვა;

-კეპლერი სილარიბეში მოკვდა (ღეიკი);

-საფრანგეთის ხელმწიფე მელოტია (კიფერი);

დე გოლო ხშირად ახსენებს საფრანგეთის წარსულ დიდებას (კობი);

-მე მუყავს ძალი, მას რეჟისი ჰქვია (დრესლერი);

-ნათურა არ ანთია. დამკველი გადაიწვა (იზენბერგი).

ამთ გვერდით კი მათ, როგორც ითქვა, ისეთი მაგალითებიც მოაქვთ, რომლებიც მართლაც ტექსტებს წარმოადგენენ.

საზღვარგარეთულ ტექსტის ლინგვისტიკაში არსებული მდგომარეობა 80-იანი წლების დასაწყისისათვის გაშუქებულია ტ. მ. ნიკოლაევას /230/, ვ. დრესლერის /115/, აგრეთვე ვ. დრესლერისა და ს. შმიდტის ერთობლივ გამოკვლევებში /396/.

გვაქვს სხვა მიმოხილვებიც: დ. ფივეგერი, ტექსტის ლინგვისტიკა გდრ-ის მეცნიერთა გამოკვლევებში /289, 314-324/; ე. იანუსი, პოლონურ ნაწარმოთა მიმოხილვა ტექსტის სტრუქტურის შესახებ /289, 325-340/; ი. გ. გორშკოვა, ტექსტის ორგანიზაციის სადისკუსიო ნაშრომები ჩეხოსლოვაკურ ლინგვისტიკაში /289, 341-358/.

ქართულმა ენათმეცნიერებმა ტექსტის კვლევა დაიწყეს 80-იანი წლების დასაწყისიდან. მათი კვლევის საგან ა: ტექსტთა კლასიფიკაციის და სტრუქტურირების პრაგმატიკული ასპექტები /95/, ფრაზული ტექსტის ტიპოლოგიური ინტერპრეტაცია /102/, ტექსტის ლინგვისტიკის

¹ კროს-რეფერენცია ცნობილია ანაფორის სახელითაც.

საგნისა და ამოცანების გარკვევა /384/, ნარატიულ სტრუქტურათა სემანტიკური ანალიზი /105/, აბზაცის სტრუქტურა /216/, მხატვრული ქრონოტოპი, როგორც ტექსტის კატეგორია /117/, სემანტიკური ველი /119/, ტექსტის სტილისტიკის საკითხები /148/, და სხვ.

რას გვიჩვენებს ტექსტის ლინგვისტიკის თანამედროვე მდგომარეობა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ?

აზრთა სხვადასხვაობა კი არა, ქაოსია ტექსტის ცნებისა და ტექსტის ლინგვისტიკის გაგებაში. ყოველივე ამან ათქმევინა ა.ტ. კრივონოსოვს, რომ ტექსტის ლინგვისტიკა, როგორც მეცნიერება ვერ ჩამოყალიბდა და მას თავისი კვლევის ობიექტი არ გააჩნიაო /169, 22-31/. არანაკლები აოვე-დარევაა ტექსტის საზღვრების, პარამეტრების, სტრუქტურის, კატეგორიების გაგებაშიც.

ჩვენ არ შევუშინებიათ შექმნილ რთულ სიტუაციას და ვცდილობთ, ნაშრომში ვუჩვენოთ მეტატექსტის სტატუსი, ფუნქციები, პარამეტრები, საზღვრები, კონსტიტუენტები, ინტერგრაციის საშუალებანი; ვამტკიცებთ, რომ ტექსტი არის უმაღლესი იარუსის ენობრივ-სამეტყველო ერთეული: ვადგენთ ტექსტის ცნებას (დიფერენცირებულად); ვარკვევთ ტექსტის საზღვრებს, პარამეტრებს; კატეგორიებს. საანალიზო მასალად აღებული გვაქვს ქართული მხატვრული ლიტერატურა. კერძოდ, მონოლოგიური მეტყველების ნიმუშები, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ მონოლოგი გარკვევით, ნათლად და ადეკვატურად გვიჩვენებს ნებისმიერი და მათ შორის, ქართული ენის როგორც სპეციფიკას, ისე შესაძლებლობებს. გარდა ამისა, სპეციალისტების მიერ მონოლოგი გაგებულია ტექსტის ერთ-ერთ სახედ /172/. მონოლოგიური ტექსტი – ეს არის ერთი პირის (ავტორის, პერსონაჟის) გაბმული მეტყველება, რომელიც გამიზნულია მეორე პირისათვის. ეს უკანასკნელი არ ჩანს, ის წარმოადგენს მეტყველების ადრესატს, რეციპიენტს. მონოლოგში ადგილი აქვს ინფორმაციის გადაცემას და მიღებას.

დაკვირვებამ და შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქართული მხატვრული ლიტერატურის მონოლოგიური მეტყველება მეტატექსტისა და ტექსტის საუკეთესო ნიმუშებს გვაძლევს. ეს ნიმუშები კი აღებული გვაქვს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, ვასილ ბარნოვის, მიხეილ ჭავჭავაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიქელიძის, გიორგი ლეონიძისა და სხვათა ნაწარმოებებიდან. ძირითად წყაროს, საიდანაც არც თუ დიდი ხნის წინათ

ლინგვისტიკა აგროვებდა მასალას თავისი თეორიული დებულებებისათვის, ჩვენთვისაც წარმოადგენს ლოგიკურად და გრამატიკულად დახვეწილ-მოწესრიგებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს. ეს იმიტომ, რომ, ჩვენი აზრით, წერიითი მეთველება - ეს არის ენობრივი სისტემის რეალიზაციის ყველაზე უფრო ადეკვატური ფორმა. ჩვენი დასკვნები ემყარება ქართული მხატვრული ლიტერატურის მონაცემთა ანალიზს, მაგრამ ვბედავთ - ეს დებულებები ვარგისად გამოვაცხადოთ ყველა სახის ტექსტის მიმართ. მიუხედავად მათი სოციალური თუ სემანტიკური დატვირთვისა და დანიშნულებისა, რადგან ენა ერთიანია (მთლიანია) მისი პრაქტისაზიან გამოვლინებაში.

თავი პირველი

ტექსტის ლინგვისტიკის ზოგადი საკითხები

1.1. ტექსტის ლინგვისტიკა - როგორც მეცნიერება

ქართულ ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ ის აზრია გაბატონებული, რომ გრამატიკამ თავისი დაკვირვებები, ახალიზი უნდა დაამთავროს იქ, სადაც მთავრდება წინადადება. წინადადების ფარგლებს ქართული ლინგვისტიკა არ გასცილებია. ეს მაშინ, როცა რუსულ და საზღვარგარეთულ ლინგვისტიკაში ამ ოთხი ათეული წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი მეცნიერების ახალ, შეიძლება ითქვას, საინტერესო და პერსპექტიულ დარგს-ტექსტის ლინგვისტიკას, თუმცა მისი დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ გახანგრძლივდა.

როგორც „ტექსტის ლინგვისტიკის“ თვითონ სახელწოდება ვკვირვებ, მისი შესწავლის ობიექტი ძირითადად ტექსტია მაგრამ იგი სწავლობს აგრეთვე მეტატექსტსაც. აზრთა სხვადასხვაობაა როგორც მეტატექსტის, ისე ტექსტის გაგებაში. მაგრამ აზრთა უფრო მეტი სხვადასხვაობა ტექსტის ინტერპრეტაციაში იჩენს თავს. ჯერ კიდევ არაა დადგენილი, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ტექსტად, რა არის მისი არსებითი მახასიათებლები და პარამეტრები, ერთი სიტყვით ჯერ კიდევ არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება ტექსტის ცნებისა გრძელდება კამათი მისი პარამეტრების, საზღვრებისა და კონტიტუენტების შესახებ. მომიჯნავე მეცნიერებებთან ტექსტის ლინგვისტიკის ურთიერთობის შესახებ. მიუხედავად ამისა: 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ტექსტის პრობლემეტიკისადმი მიძღვნილი გამოკვლევების რიცხვის სულ უფრო და უფრო იზრდება.¹

ტექსტის ლინგვისტიკას ახლო ურთიერთობა აქვს ისეთ მომიჯნავე დისციპლინებთან, როგორცაა რიტორიკა, პოეტიკა, სტილისტიკა, ტექსტოლოგია, რომლებიც თავიანთ პოზიციებიდან სწავლობენ ტექსტს. მაგრამ „ტექსტი“ ლინგვისტიკური ცნება გახდა მას შემდეგ,

¹ 1975 წლისათვის ტექსტის ლინგვისტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი და უკვე გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა ყოფილ საბჭოთა კავშირში (და, საერთოდ, რუსულ ენაზე) 700-ს უდრია / 101, 348/.

როცა იგი, როგორც ენისა და მეტყველების ერთეული, ენათმეცნიერების კვლევის საგნად იქცა და დაიწყო ამ ერთეულის ფუნქციისა და სტრუქტურის შესწავლა-აანალიზი.

ტერმინი „ტექსტი“ 70-იანი წლების მონაპოვარია. მანამდე ტექსტის მნიშვნელობით სხვა ტერმინები იხმარებოდა, სახელდობრ, „ართული სინტაქსური მთლიანობა“, „ზეფრაზული მთლიანობა“, „კომპონენტი“, „სუბტექსტი“¹ და სხვა.

ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც ენათმეცნიერების ახალი დარგის, შექმნა თეორიულად მოამზადა და პრაქტიკულად განაპირობა ენისა და მეტყველების პრინციპული დაპირისპირების იდეამ. ეს იდეა ენათმეცნიერებაში ცნობილია ჯერ კიდევ ვ. ჰუმბოლდტის დროიდან. იგი ასახა აგრეთვე ბოდუენ დე კურტენეს, გაბელენცისა და შტაინთალის შრომებშიც, მაგრამ ენისა და მეტყველების დაპირისპირება ძირითადად უკავშირდება ფ. დე სოსიურის სახელს.²

ჩვენ აქ არ შევუდგებით ენისა და მეტყველების რაობის გამოწვლილვით განხილვას, რადგანაც იგი ჩვენი კვლევის სფეროში არ შემოდის. ვიტყვით მხოლოდ, რომ ენათმეცნიერთა დღევანდელი თაობა ამ საკითხში ორ ჩგუფად იყოფა, ერთნი მიიჩნევენ, რომ ენა და მეტყველება ორი სხვადასხვა ფენომენია³, მეორენი ამტკიცებენ, რომ ენა და მეტყველება ერთიანია.⁴

¹ დასახელებული ტერმინები ძირითადად მეტატექსტ ალნი ჯავენ, მაგრამ ზოგჯერ ტექსტის მნიშვნელობითაც იხმარებიან. მაგ., ნ. ი. სერკოვა „ზეფრაზულ მთლიანობას“ ტექსტის გაგებით იყენებს /284/.

² ენისა და მეტყველების დაპირისპირება სოსიურის შემდგენლობით ლინგვისტიკაშიც გაგრძელდა და ამ შეხედულებას იზიარებდნენ ე. გარდინერი, ა. სეგე, ნ. ტრუბეცკოი, ლ. იელმსლვეი, ლ. ჯერბა, ე. კოსერიუ, ე. სპირნიცი, ე. შარტნე, ე. ბენვენისტი, ნ. ზომსკი და სხვები. ენისა და მეტყველების დაპირისპირება უტყულებელავეს გ. შუხარდტმა, ე. მეიემ, ე. ვანდრიენსმა, ე. შარუზომ, ე. ბერტონმა, ლ. ბლუმფილდმა და სხვებმა.

³ ამ თვალსაზრისის შესახებ იხ.: Ф. де Соссюр. Курс общей лингвистики. М., 1933; П. С. Кузнецов. О языке и речи. «Вестник МГУ», №4, 1961 и др.

⁴ ასეთი შეხედულება იხ.: არნ. ჩიკობავა. ზოგილი ენათმეცნიერება. ძირითადი პრობლემები. თბილისი, 1983; თინ. შარაქენიძე, ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა, თბილისი, 1974; Г. В. Колшанский. О правомерности различения языка и речи. - В сб.: Иностранные языки в высшей школе, вып. 3. М., 1964, с. 4.

ჩვენ ვიზიარებთ შეხედულებას, რომლის მიხედვით ენა და მეტყველება ერთი მთლიანია. ჩვენ ენა გვესმის არა მარტო როგორც ნიშანთა სისტემა, არამედ აგრეთვე როგორც კომუნიკაციისა და აზროვნების საშუალება. კონუნიკაცია ხომ ხორციელდება მეტყველებაში, სადაც ენა ინფორმაციის აგების საშუალებაა. მეტყველება ენის არსებობის, ენის სიცოცხლის ფორმაა. ენა, რომელიც არ ელერს, მეტყველებაში არ გამოვლინდება, მკვდარია, მეტყველება არ არსებობს ენის გარეშე.

მაგრამ ენისა და მეტყველების განმასხვავებელ პარამეტრებად ენათმეცნიერთა მიერ მიჩნეულია შემდეგი: 1. ენისაგან განსხვავებით მეტყველება მიზანდასახულია და სიტუაციურად განპირობებული. 2. მეტყველებას ახასიათებს შემოქმედებითი ასპექტი, რაც გამოიხატება იმაში, რომ მას შეუძლია შეცვალოს ენობრივი ნიშნები, შექმნას ახალი ნიშნები და უკეთ გამოიყენოს ისინი საკომუნიკაციო მიზნებისათვის; 3. ენასა და მეტყველებას ახასიათებს სხვადასხვა ნორმატიულობა, რომელიც მეტყველებაში ფიქსირებული წესებისა და შეზღუდვების საბითკი არ არსებობს, არამედ მას იმპლიციტური ტენდენციის სახე გააჩნია; 4. მეტყველება ინფორმაციულია, ენა კი — არა; 5. ენაში აღნიშვნა ხორციელდება სემიოტიკური პრინციპის მიხედვით, მეტყველებაში კი — სემანტიკურის მიხედვით /235, 20/.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ენა და მეტყველება სხვადასხვა მოვლენებია, ისინი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული არიან. ამიტომ უნდა განვიხილოთ მთლიანობაში, ერთიანობაში.

როგორც ითქვა, ენისა და მეტყველების დაპირისპირებამ შეუწყო ხელი ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბებას. მაგრამ ენისა და მეტყველების ჩვენეული გაგება: მათი დაუპირისპირებლობა, მათი ერთიანობა არ უარყოფს ან ხელს არ უშლის ტექსტის ლინგვისტიკას. პირიქით, ენისა და მეტყველების ერთიანობის აღიარება ტექსტის ლინგვისტიკას უფრო მწყობრ, სისტემურ, პარამონიულ ხასიათს ანიჭებს.

ენისა და მეტყველების ასეთი გაგება უფლებას ვვაძლევს ვთქვათ, რომ ტექსტი ჩვენთვის ერთდროულად არის როგორც ენის, ისე მეტყველების ერთეული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტექსტი ენა-მეტყველების ერთეულია.

გარდა ენისა და მეტყველების დაპირისპირების იდეისა, სხვა ფაქტორებმა, დებულებებმაც შეუწვეს ხელი ტექსტის ლინგვისტიკის ცალკე დარგად ჩამოყალიბებას.

ძირითადი დებულებები, რომლებიც ენათმეცნიერებმა წამოაყენეს და რომლებმაც ხელი შეუწვეს და განამტკიცეს ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც დამოუკიდებელი ენათმეცნიერულ დისციპლინის, ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, შემდეგია:

1. მეტყველების ძირითად ერთეულს, - რომელიც გამოხატავს დამთავრებულ გამონათქვამს, წარმოადგენს არა წინადადება, არამედ ტექსტი. წინადადება-გამონათქვამი კი არის მხოლოდ ტექსტის კერძო შემთხვევა, ტექსტი უმაღლესი დონის სინტაქსური ერთეულია. 2. კონკრეტულ სამეტყველო ტექსტებს საფუძვლად უდევთ ტექსტის აგების ზოგადი პრინციპები, რომლებიც განეკუთვნებიან არა მეტყველების სფეროს, არამედ ენის სისტემას ანდა ენობრივ კომპეტენციას. მაშასადამე, ტექსტი ენა გავიგოთ არა მარტო როგორც მეტყველების ერთეული, არამედ როგორც ენის ერთეულიც. 3. ენის სხვა ერთეულთა მსგავსად, ტექსტი არის ენის ნიშანთა სისტემის ნაწილი. 4. ტექსტის, როგორც განსაკუთრებული დონის ენობრივი და სამეტყველო ერთეულის, ყოველნაირი შესწავლა მოითხოვს განსაკუთრებული ენათმეცნიერული დისციპლინის, სხელდობრ, ტექსტის ლინგვისტიკის-შექმნას /222, 9/

ეს დებულებები ერთადერთი არ იყო ლინგვისტიკაში. ტექსტის ლინგვისტიკის შექმნის იდეას მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. ენათმეცნიერთა ნაწილი ამტკიცებდა, რომ: 1/ არაა აუცილებელი შეიქმნას ტექსტის თეორია, ვინაიდან ტექსტის ყველა პარამეტრის აღწერა შეუძლია გრამატიკას; 2/ ტექსტი არაა დამოუკიდებელი ერთეული, მას არ გააჩნია სპეციფიკური სტრუქტურა, რომ იგი წინადადებათა ჯთვისებების ჯამია" /45, 224/

კამათი იყო იმის შესახებაც, შეიძლება თუ არა მივაკუთვნოთ ტექსტი ენის სისტემას და აქვს თუ არა მას ნიშნის ბუნება. ამ პერიოდში ტექსტს იმავე საზომებით იხილავენ, რომლებსაც წინადადების მიმართ იყენებენ. წინადადების მიმართ დადგენილ იქნა, რომ მას ნომინატიური ფუნქციაც გააჩნია, ე.ი. რომ ის არის ნიშანი, ხოლო, როგორც ნიშანი, შედის ენის სისტემაში, რადგან მეტყველების ძირითად ერთეულს წარმოადგენს არა წინადადება, არამედ ტექსტი, ხოლო წინადადება-გამონათქვამი არის მხოლოდ ტექსტის კერძო შემთხვევა, ბუნებრივია, მთელი ნაწილის ნიშანთვისებასაც შეიცავს, ე.ი. ტექსტსაც გააჩნია ნომინატიური ფუნქცია. აღიარებული იქნა ტექსტის ნომინატიური ფუნქცია, ე. ი. მისი ნიშნობრივი ბუნება. ასე აღმოჩნდა ტექსტი ენის

სისტემაში, როგორც მისი ერთეული, ხოლო, როგორც მეტყველების ერთეული, ტექსტი კამათს არასოდეს იწვევდა.

ასეთი სურათი გვქონდა 60-იანი წლების ბოლოსათვის, როცა ტექსტის ლინგვისტიკა, როგორც მეცნიერება, საჭიროებდა დასაბუთებლას, მხარდაჭერას.

ტექსტის შემსწავლელი მეცნიერების შესახებ ენათმეცნიერებაში თავიდანვე აზრობა სხვადასხვაობა იყო.

როცა გრამატიკის-სტრუქტურული შემადგენლობის საკითხს ეხებოდა, ვ. ვ. ვინოგრადოვი 40-იანი წლების ბოლოსათვის წერდა: „გრამატიკის (თუ მასში ფონეტიკას არ ჩავრთავთ) ყველაზე რაციონალური დაყოფა იქნებოდა: 1/გრამატიკული მოძღვრება სიტყვის შესახებ, 2/მოძღვრება შესიტყვების შესახებ, 3/მოძღვრება წინადადების შესახებ, 4/მოძღვრება რთული სინტაქსური მთლიანობისა და სინტაგმის, როგორც მისი შემადგენელი ნაწილის შესახებ“ /68, 13/.

ამას წერდა ვ. ვ. ვინოგრადოვი იმ დროს, როცა საფუძველი ეყრებოდა რთული სინტაქსური მთლიანობის შესწავლას. მოძღვრება რთული სინტაქსური მთლიანობის შესახებ ვ. ვ. ვინოგრადოვმა გრამატიკის ყველაზე მაღალ, დამამთავრებელ სფეროს მიაყუთვნა.

ვ. ვ. ვინოგრადოვი საექვოდ მიიჩნევდა მოსაზრებას, თითქოს რთული სინტაქსური მთლიანობა სინტაქსის შესწავლის საგანი უნდა ყოფილიყო. იგი წერდა: „სინტაქსისათვის მიეუთვნება პრობლემათა გრძელი ჯაჭვისა, რომლებიც დაკავშირებულია ე. წ. „რთულ სინტაქსურ მთლიანობასთან“, „ზეფრაზობრივ მთლიანობასთან“, „რიტმულ პერიოდების“, აბზაცებისა და სხვათა აგებულების შესწავლასთან, საკამაჯოსა და საექვოს წარმოადგენს“ /70, 10/.

მოგვიანებით ვ. ვ. ვინოგრადოვმა რთული სინტაქსური მთლიანობის შესწავლისათვის ახალი მეცნიერება გამოყო, რომელსაც სტილისტიკური სინტაქსი უწოდა. 50-იანი წლებისათვის იგი წერდა: „გრამატიკის ყველა ამ წრეებზე დასფეროებზე¹ აღიპართება სრულიად შეუსწავლელი სფერო სტილისტიკური სინტაქსისა, რომლის ცენტრში დევს რთული სინტაქსური მთლიანობის პრობლემა... სტილისტიკური სინტაქსის სისტემაში ორგანულად ერთიანდებიან სინტაგმის თეორია და მოძღვრება რთული სინტაქსური მთლიანობის სტრუქტურის

¹ ავტორს მხედველობაში აქვს გრამატიკის დაყოფის ოთხ ნაწილად.

შესახებ რუსული ლიტერატურული ენის სხვადასხვა სტილში“ /68 764/.

ენათმეცნიერთა გარკვეული ჯგუფის გაგებით, ზოგადი გრამატიკის სხვა ნაწილების მსგავსად, უნდა გამოვიყოთ კიდევ ერთი ახალი ასპექტი-ტექსტის გრამატიკა: სახელდობრ, ტექსტის შემსწავლელ მეცნიერებას ტექსტის გრამატიკად მიიჩნევენ: ტ. მ. ნიკოლაევა /229/, ო. ი. მოსკალსკაია /222, 14/, ლ. გ. ფრიდმანი /329, 14/, ნ. ენკისტი /355/, ი. რ. გალპერინი /85, 10-12/, ვ. ი. კარაბანი /146, 214/ და სხვა.

ენათმეცნიერთა სხვა ჯგუფს შიაჩნია, რომ, საერთოდ, შეუძლებელია საუბარი ტექსტის გრამატიკის შესახებ, ვინაიდან ტექსტის გრამატიკულ მარკიორთა განსაზღვრა წარმოადგენს ილუზიურ ამოცანას და ეს იმიტომ, რომ გრამატიკა წინადადებას არ სცილდება. ამ თვალსაზრისის იცავენ: გ. ვ. კოლშანსკი /163, 140/, გ. გ. პოჩეპკოვი /257, 14/, რ. იაკობსონი /356, 13/ და სხვები.

გ. ვ. კოლშანსკი იქვე შენიშნავს, რომ ტექსტი უნდა შეისწავლოს სტილისტიკამ /163, 142/. ამავე აზრს გამოთქვამენ ვ. ვ. ოდინცოვი /239/, კ. გაუზენბლასი /94, 76/, ვ. კოხი /404/ და სხვანი. ასეთ სტილისტიკას გ. ი. სოლვანიკი სინტაქსურ სტილისტიკას უწოდებს /300, 7-12/.

პირველი, ვინც ტექსტი სინტაქსის სფეროს მიაკუთვნა ა. ი. ბელინსკი /26/.

ა. ვ. დონიაშისათვის „გაბმული მეტყველების შესწავლა წარმოადგენს „უმაღლესი სინტაქსის“ ამოცანას“ /110, 72/. მსგავს აზრს გამოთქვამს ი. პ. სეებოც¹ /281, 9/.

ს. დ. კაცნელსონი წერს: „ექვს არ იწვევს, რომ „მცირე სინტაქსის“ გარდა, რომელიც განსაზღვრავს წინადადებაში სიტყვებს შორის კავშირის ფორმებს, არსებობს აგრეთვე „დიდი სინტაქსი“, რომელიც ასახავს კავშირებს წინადადებებსა და ზეფრაზული სიდიდის სამეტყველო ერთეულებს შორის“ /147, 119/.

ტექსტის შემსწავლელ მეცნიერებას ვ. პალევი პიპერ-სინტაქს არქმევს /245, 244/. პ. სგალის მიხედვით კი, ასეთ მეცნიერებას უნდა ეწოდოს „ზეფრაზული სინტაქსი“ /280, 79/. სგალის აზრს იზიარებს გ. ი. ბლოხი /32, 56/.

¹ უმაღლესი სინტაქსის არსებობას აღიარებდა ვ. გ. ბელინსკიც. იხ. : Белинский В. Г. Полное собрание сочинений, т. 8, М., 1955, с. 510

ბ. ვაინრიხისა და ვ. დრესლერის გაგებით, ტექსტს შეისწავლის „ტექსტის სინტაქსი“ /58, 371; 115, 112/.

ტექსტის შემსწავლელ მეცნიერებას სხვა ავტორები სხვა სახელებსაც არქმევენ. სახელდობრ: ლ. მ. ლოსევა - „ტექსტიკას“ /201, 177/; ვ. ა. ზოლოტოვა - „ტექსტლინგვისტიკას“ /133, 113/; ვ. გადმონი - „ტექსტოვდენიეს“ /4, 68/; ი. ა. გოლოვენკო - „ტექსტომეტრიას“ /102, 205/; რ. პარკუგი - „ტექსტოლოგიას“ /401, 123/; ტ. დეიკი - „პრაგმატიკას“ /106, 279-280/.

ტექსტის შემსწავლელი მეცნიერების აღსანიშნავად ამერიკელი და ინგლისელი ენათმეცნიერები გვთავაზობენ „აქიპერსინტაქსს“ ანდა „სუპერსინტაქსს“, გერმანელი ლინგვისტები - „ტექსტობრივ გრამატიკას“, საბჭოთა პერიოდის მეცნიერთა ნაშრომებში გვხვდება ტერმინებიც „მთლიანი ტექსტის სინტაქსი“ ან „გაბმული ტექსტის სინტაქსი“.¹

ტექსტის შემსწავლელ მეცნიერებას რუსმა მკვლევარმა მ. მ. ბახტინმა „მეტალინგვისტიკა“ უწოდა, ფრანგმა სემიოლოგმა პ. რ. მარტმა - „ტრანსლინგვისტიკა“, ამერიკელმა ლინგვისტმა ზ. პარისმა - „მეტყველების ანალიზი“, ავსტრიელმა ვ. დრესლერმა და დასავლეთ-გერმანელმა ვ. შტემპელმა - „ტექსტის ლინგვისტიკა“, რამაც დღეისათვის ყველაზე მეტი გავრცელებულობა პოვა და თითქმის ყველგანაა მიღებული.

ახლა საკითხავია: საიდან ამოდინდნენ ენათმეცნიერები, როდესაც ტექსტის შემსწავლელ მეცნიერებად შიიჩნევდნენ გრამატიკას, სინტაქსს, სტილისტიკას...?

ტექსტის გრამატიკა მიაჩნდათ გრამატიკის ისეთ განყოფილებად, რომელიც ტექსტს ტრადიციული გრამატიკის თვალსაზრისით გააანალიზებდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტექსტის გრამატიკული შესწავლა ვულისხმობდა გრამატიკული მეთოდების გამოყენებას ტექსტის შესწავლის დროს-მასში გრამატიკული ერთეულებისა და კატეგორიების გამოსაყოფად.

¹ 1977 წლისათვის ტ. მ. ნიკოლაევა გვიჩვენებდა გრამატიკის ჩარჩოს გაფართოებას, სახელდობრ, იმას, რომ გრამატიკაში შეგვეტანა ახალი განყოფილება - „გაბმული ტექსტის სინტაქსი“ /232, 9/. ცოტა მოგვიანებით კი მანვე შემოგვთავაზა - „საკომუნიკაციო ლინგვისტიკა“ /233, 39/. ამ ტერმინს ხმარობდა აგრეთვე ვ. ვ. კოლშენსკი /160/.

უნდა ეთქვას, რომ „ტექსტის გრამატიკა“ არავითარ გრამატიკულს (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) არ აღნიშნავს. ტექსტს ვერ ჩაერთავთ გრამატიკის სფეროში. ვინაიდან ის, რაც გრამატიკის საგნად არის მიჩნეული ორი ათასი წლის მანძილზე (სიტყვა, მეტყველების ნაწილები, ბრუნება, უღლება: რიცხვი, პირი...) ტექსტისათვის ძირითადსა და აუცილებელს არ წარმოადგენს. და, ამდენად, მათი მეოხებით ტექსტს ვერ დაეხასიათებთ. ისიც უნდა ითქვას, რომ მათთვის, ვინც ტექსტს გრამატიკის საგნად მიიჩნევს, გრამატიკას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ასევე ყველა ვინც ტექსტს სინტაქსის საგნად მიიჩნევდა თვლიდა, რომ, რადგანაც სინტაქსი სწავლობს წინადადებას, რომელიც კომუნიკაციის ერთეულია, ამიტომ იგივე სინტაქსი უნდა იყოს მოძღვრება მეტყველების აგების შესახებ, სინტაქსში უნდა მოთავსდეს ტექსტის, როგორც მეტყველების უმაღლესი ერთეულის, საკომუნიკაციო ფუნქციის შესწავლა. გარდა ამისა, მათი მტყიცებით, ტექსტის კომპონენტებს შორის არსებობს ისეთივე სინტაქსური კავშირები, როგორიც არსებობს რთული წინადადების ნაწილებს შორის. ამ დებულებებზე დაყრდნობით იყო, რომ მათ ტექსტი მიიჩნიეს უმაღლეს სინტაქსურ ერთეულად და სინტაქსის შესწავლის საგნად.

ჩვენი აზრით, ვერც ტრადიციულ სინტაქსს დაეკისრება ტექსტის ლინგვისტიკური შესწავლა. ის, რაც, საყოველთაოდ მიღებული შეხედულებით, სინტაქსის კვლევის საგანს წარმოადგენს (სიტყვათა ურთიერთკავშირების წესები, წინადადება და მისი სახეები...) ტექსტის შესწავლის საჭიროების გარეშე. რჩება ტექსტი თავისი საკუთარი ისეთი პარამეტრებით ხასიათდება, რომლებიც სინტაქსის სფეროს სცილდება.

ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ტექსტის სინტაქსისა და წინადადების სინტაქსის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საწინააღმდეგო აზრები გამოითქმის. ერთნი თვლიან, რომ სინტაქსური ურთიერთობანი ტექსტში თვისებრივად განსხვავდებიან წინადადებაში არსებული სინტაქსური ურთიერთობისაგან. მეორენი უქმეაფერლონი არიან იმით, რომ ტექსტის აღწერას არა აქვს პირდაპირი კავშირი წინადადების ტიპოლოგიასთან. შექმნილ სიტუაციას ბ. შ. გასპაროვი ახასიათებს შემდეგი სიტყვებით: „ტექსტის თეორია იმ სახით, რა სახითაც ის გვეძლევა დღეს, არაფერს არ იძლევა წინადადების ტიპოლოგიისათვის... თავის მხრივ იგი არ იყენებს წინადადების იმ კლასიფიკაციებს, რომლებიც უკვე გვაქვს ტექსტის აღწერისაგან დამოკიდებლად“ /93, 46/.

მართალია, ტექსტის სტილისტიკაც სწავლობს ტექსტს, მაგრამ ის არ არკვევს ტექსტის არსს, ფუნქციას, სტრუქტურას, პარამეტრებს, საზღვრებს... იგულისხმება, რომ ეს სხვა მეცნიერებამ გააცთა, ხოლო ამის შემდეგ იწყებს ფუნქციონირებას ტექსტის სტილისტიკა, როგორც ცალკეული, დამოუკიდებელი დისციპლინა, რომელიც არკვევს, თუ სად და როგორ ფუნქციონირებენ ტექსტის კატეგორიები და პარამეტრები, როგორ შეასრულა ტექსტმა თავისი ფუნქცია სხვადასხვა ფანრსა და სტილში.

ზემოაღნიშნულის გამო მიგვაჩნია, რომ ტექსტი, როგორც ენობრივი და სამეცნიერო ერთეული, მისი კონსტიტუენტები და მათი გამაერთიანებელი საშუალებები, ტექსტის პარამეტრები და საზღვრები, აგრეთვე მეტატექსტი და მისი თავისებურებანი უნდა შეისწავლოს არა ტექსტის გრამატიკამ, ტექსტის სინტაქსმა ანდა ტექსტის სტილისტიკამ, არამედ ენათმეცნიერების ცალკე დარგმა-ტექსტის ლინგვისტიკამ.

ამგვარად, „ტექსტის ლინგვისტიკა“ ეს არის მეტატექსტისა და ტექსტის ლინგვისტიკურად შემსწავლელი მეცნიერება, რომელსაც საქმე აქვს კვლევის ახალ ობიექტებთან. იგი მიზნად ისახავს, მეტატექსტისა და ტექსტის კვლევისა და ანალიზის ჩატარებას არა გრამატიკული, არა სინტაქსური, არა ლექსიკური თუ სხვა უკვე ცნობილი დარგების, თვალსაწიერადან, არამედ ახალი, მანამდე უცნობი პარამეტრების, კატეგორიებისა და კონსტიტუენტების მიხედვით.

ტექსტის ლინგვისტიკას სხვადასხვა ამოცანას უსახავენ. ლ. ს. ბარხუდაროვის აზრით, ტექსტის ლინგვისტიკის მიზანია დადგინოს ტექსტის წარმოქმნის ზოგადი კანონები /23, 40/. ასეთივე აზრს გამოთქვამენ მ. ა. მასლოვიც /212/, რ. პარჯევიც /401/.

კ. ვანრიხის აზრით, ტექსტის ლინგვისტიკა ისეთი მეცნიერებაა, „რომლის მიზანია აღწეროს ადამიანთა კომუნიკაციის არსი და წინაპირობებისა და ვითარების ორგანიზაცია“ /408, 25/. ამავე შეხედულებას იზიარებს რ. ბარტიც /21, 448/.

კ. იზენბერგს მიაჩნია, რომ ეს თეორია მიზნად ისახავს ტექსტის სწორი გაფორმებისა და სწორი ავების გარკვევას /138, 51/.

ამგვარად, სხვადასხვა მკვლევარი თოთქოსდა სხვადასხვა ამოცანას უსახავს ტექსტის ლინგვისტიკას, მაგრამ ანალიზი გვიჩვენებს, რომ როცა თვითონ ტექსტი ესმით, როგორც კომუნიკაცია, მაშინ მისი შემსწავლელი მეცნიერების ძირითად და მთავარ საკითხად რჩება კომუნიკაციის პრობლემა. არსებითი აღმოჩნდა, თუ ენის რა საშუალებებით

ხორციელდება იმ ინფორმაციის რეალიზაცია, რომელსაც ტექსტი შეიცავს. იღებს რა ორიენტაციას კომუნიკაციაზე, ტექსტის ლინგვისტიკა უახლოვდება ისეთ დისციპლინებს, როგორცაა: მოქმედებისა და ოეფერენციის თეორიები, ფსიქოლინგვისტიკა, სოციალური ინფორმაცია, პრაგმალინგვისტიკა, ფუნქციონალური სტილისტიკა, სოციოლინგვისტიკა, სოციალური ფსიქოლოგია, მანქანური თარგმანი, კიბერნეტიკა და სხვ.

თუ ორიოდ ათეული წლის წინათ გაბმული ტექსტის შესწავლას „ღრუბლებსიქითა ენობრივ სფეროს მიაკუთვნებდნენ“ /129, 201/, თუ „სუპერსინტაქსისადმი ინტერესი უმეტესად განისაზღვრებოდა სხვადასხვა სახის დეკლარაციებითა და გაურკვეველი მითითებებით“ /115, 112/, დღეისათვის ტექსტის ლინგვისტიკა ჩამოყალიბებული და აღიარებული ენათმეცნიერული დისციპლინაა, რომლის ამოცანადაც სახავენ „გამონათქვამთა შორის ურთიერთობის კვლევას“ /230, 13/, ტექსტის ორგანიზაციის ზოგადი კანონზომიერების ძიებას /129, 203/.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ჭერჭერობით არ დასმულა საკითხი ტექსტის შემსწავლელი მეცნიერების შესახებ. თუმცა იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ჭერ კიდევ ანტონ I-ის გრამატიკაში იყო რაღაც მინიშნება ტექსტის თაობაზე. მხედველობაში გვაქვს ანტონის შემდეგი სიტყვები: „თანხმობით ნაწილნი თვისნი სიტყუასა შინა და სიტყუანი თათა შინა და თაფნი წიგნთა შინა ჰყოფენ წესიერ სინტაქსა“ /360, §308/, რაც ასე უნდა გავიგოთ: „ურთიერთ შეთანხმებული ნაწილები წინადადებაში, წინადადებები თავებში და თავები წიგნებში ქმნიან წესიერ სინტაქსს“. თუ ამას გავიგებთ, როგორც მინიშნებას მოძღვრებაზე მეტატექსტის თუ ტექსტის შესახებ, მაშინ აღმოჩნდება, რომ ანტონი ასეთ დარგად მიიჩნევდა „წესიერ სინტაქსს“.

ე. კოსეროუ განასხვავებს ტექსტის ლინგვისტიკის სამ სახეს და აყალიბებს თითოეულის კვლევის ობიექტს. მისი აზრით, „პირველ ადგილზე შეიძლება დავაყენოთ ტექსტის ზოგადი ლინგვისტიკა, რომელმაც ტექსტი უნდა შეისწავლოს ზოგადი ენათმეცნიერების პლანში, შეისწავლოს ტექსტის კონსტიტუირების წესები, ტექსტის განსხვავება წინადადებისაგან და ა. შ. ამ სახეობასთან კავშირშია ცალკეულ ენათა ისტორიული და დესკრიპციული ტექსტის ლინგვისტიკა. ისევე, როგორც ჩვენ აღვწერთ ცალკეული ენის გრამატიკას, ლექსიკას და სხვა უცილებელია აგრეთვე ყველა სახის ტექსტის აღწერა თითოეულ

ენაში. ბოლოს, შეიძლება გამოიყოს ტექსტთა ტიპების ლინგვისტიკა-ტიპოლოგიის სახით (ენათა ტიპოლოგიის მსგავსად)“/166, 514/.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, ჩვენი ნაშრომი განეკუთვნება ი. კოსერიუს ტექსტის ლინგვისტიკის მეორე სახეს-ცალკეული (ამ შემთხვევაში ქართული) ენის ტექსტის ლინგვისტიკას.

ინტერესი ტექსტის ლინგვისტიკისადმი ყოველდღიურად იზრდება, რომელიც განპირობებულია, ჯერ ერთი, იმით, რომ ენათმეცნიერებაში უზრადლება გამაზვილდა ენის აზრობრივ, სემანტიკურ მხარეზე, რაც საკომუნიკაციო ამოცანებისა და მიზნების მოთხოვნილებამ გამოიწვია, მეორე მხრივ, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის დონის მოთხოვნილებამ, კერძოდ, ისეთი დარგებისა, როგორიცაა კიბერნეტიკა, ავტომატური რეფერირება, მანქანური თარგმანი, ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა და სხვ.

ამგვარად, გვაქვს ენათმეცნიერების ახალი დარგი-ტექსტის ლინგვისტიკა, რომლის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს ტექსტი.

1.2. ტექსტის ლინგვისტიკის საბანი

„ტექსტი – ეს, უკველად, ისეთი მთლიანობაა, რომელშიც ყველაფერი ურთიერთკავშირშია“.

პ. ვანრიხი

სიტყვა „ტექსტი“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს შენებას, შეერთებას, დაწვანას, ქართულ სამწერლო ენაში „ტექსტი“, როგორც ტერმინი, პირველად 1904 წელს იქნა ფიქსირებული /367/ და დღემდე იგი იხმარება, როგორც წერილობითი ძეგლი ან მისი ნაწილი; თხზულების ძირითადი ნაწილი შენიშვნების, კომენტარების, ილუსტრაციების გარეშე /380, 1282/ ტერმინ „ტექსტის“ ლინგვისტიკური მნიშვნელობა ქართულში პირველად რეგისტრირებულ იქნა 1985 წელს /382/, რომლის მიხედვით ტექსტი არის „წინადადების, სიტყვების თანამიმდევრობა, რომელიც აგებულია მოცემული ენის წესების მიხედვით და გვაწვდის რაიმე ცნობას“/382, 707/. ამ განმარტების მთლიანად გაზიარება არ შეიძლება, რადგან ტექსტი არ არის სიტყვათა თანამიმდევრობა. ტექსტის ამ განმარტებაში ერგვარად შეინიშნება რუსული ნააზრევის გავლენა /35/. იქ კვითხულობთ: „ტექსტი-უს არის რამდენიმე (ან მრავალი) წინადადების თანამიმდევრობა, რომელიც აგებულია ენის წესების მიხედვით“/35, 364/.

ტექსტის ლინგვისტიკურ პრობლემასთან დაკავშირებით დღის წესრიგში დადგა საკითხი: არის თუ არა ტექსტი ენობრივი ერთეული? არსებობს თუ არა ენაში ტექსტობრივი დონე, სადაც ფუნქციონირებენ ეს ერთეულები? არსებობს თუ არა განსაკუთრებული კავშირი (კავშირის საშუალებანი), რომელთა მეშვეობითაც დამოუკიდებელი წინადადებები კავთიანდებიან უფრო დიდ ერთეულებში, ხოლო ეს უკანასკნელი — ტექსტში, და როგორია ამ კავშირთა თავისებურებანი?

დამულ კითხვებზე მეცნიერთა თვალსაზრისი განსხვავებულია. მკვლევართა ერთი ჯგუფისათვის ტექსტი ენობრივი ოდენობაა, ენაში არსებობს ტექსტობრივი დონე.¹ მეორე ჯგუფისათვის კი ტექსტი მეტყველების ერთეულია. გადამწყვეტი და არსებითი აღმოჩნდა არა ის, თუ რას მიეკუთვნება ტექსტი — ენას თუ მეტყველებას, არამედ ის, რომ ტექსტი აღიარებულ იქნა მეცნიერული კვლევის ობიექტად და ამგვარად, მიჩნეულ იქნა ლინგვისტიკურ ოდენობად, სიდიდედ, რადგანაც, როგორც ვ.გადმონი ამბობს, „არ არსებობს არცერთი გრამატიკული კატეგორია, არცერთი გრამატიკული მოვლენა, რომელიც, იყოს მხოლოდ ენის ასა და მხოლოდ მეტყველების კუთვნილება“ /5. 73/.

მართალია, ტექსტი არ არის გრამატიკული კატეგორია თუ მოვლენა, მაგრამ ჩვენთვის მთავარი იყო აღმონის მოსაზრების არსი, რომ ტექსტი შეიძლება იყოს როგორც ენის, ისე მეტყველების ერთეული. და მართლაც დაიწყო ტექსტის შესწავლა ორივე ასპექტში.

თავდაპირველად ტერმინი „ტექსტი“ გამოიყენებოდა, როგორც ენის ელემენტების გარკვეული წესით შემოფარგლული სისტემა, რომელიც წარმოადგენს სტრუქტურულ-სინტაქსურ და ლოგიკურ სემანტიკურ მთლიანობას. ეს მთლიანობა შედგება გამონათქვამთა თანამიმდევრობისაგან და ამ მნიშვნელობით „ტექსტს“ ხშირად წინ უძღვის ზედსართავი სახელი „მთლიანი“. „მთლიანი (ერთიანი) ტექსტის“ ცნება ენათმეცნიერებაში პირველად ი. ა. ფიგუროვსკიმ გამოიყენა /327/. და შემდეგშიც იგი ამ ტერმინს ჩვეულებრივ იყენებს თავის

¹ ენათმეცნიერებაში ცნობილია საწინააღმდეგო აზრები, რომელიც პ. სგალს ეკუთვნის. კითხვაზე: არსებობს თუ არა ენის სისტემის ისეთი ერთეული, რომელიც სცილდება წინადადების ფარგლებს, სგალმა უპასუხა: — არა, არ არსებობს და ტექსტის ლინგვისტიკასაც კვლევის საგანი არა აქვს /280, 84/. ეს აზრი 1986 წელს გაიმეორა აგრეთვე ი. ტ. კრივონოსოვმა /169, 5/.

ნაშრომებში /325; 326; 328/. "შოლიანი (ერთიანი) ტექსტი" აქტიურად იხმარებოდა. 10-15 წლის განმავლობაში, ვიდრე 70-იანი წლების ბოლოს მას არ შეენაცვლა ტერმინი „გაბმული ტექსტი“. „გაბმული ტექსტის“ ცნება „რსებობდა მაშინაც, როცა „ტექსტი“ ესმოდათ, როგორც „მეტყველება“. ე.ი. ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა ჯაჭვი. ამ გაგებით „გაბმული ტექსტი“ პირველად იხმარა ა. ა. ლონტიევა /186, 96-114/. ეს ტერმინი გამოიყენა აგრეთვე ს. ი. გინდინმაც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ დაუმატა მას „ყველგან გაბმულის, ყველგან მოტივირებულის“ გაგებაც /99, 44/.

70-იან წლებში ტერმინი „ტექსტი“ პოპულარული გახდა სხვადასხვა სამეცნიერო წრეში. ტექსტის პრობლემებით დაინტერესდნენ არა მარტო ენათმეცნიერები, არამედ ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ეთნოგრაფები, ხელოვნებადმცოდნეები, ინჟინრები. ამ დროისათვის ადგილი ჰქონდა სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა გაერთიანების ცდებსაც ტექსტის შესასწავლად. ამ გაერთიანებისა და სინთეზის ორგანიზაციულ გამოხატულებას წარმოადგენს სპეციალური კონფერენციები, რომელთა შედეგები აისახა შემდეგ მასალებში:

Тезисы 7-ой Межвузовской научной конференции по романско-германскому языкознанию, Секция "Предложения и единицы более высокого уровня". Пятигорск, 1970.

Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ им. Мориса Тореза М., 1974.

Материалы 5-го Всесоюзного симпозиума по психолингвистике и теории коммуникации, ч.1-2. М., 1975;

Конференция в Университете дружбы народов им. П.Лумумбы. М., 1977.

Симпозиум по структуре текста. М., 1976.

Симпозиум по структуре текста. М., 1979.

Структура текста - 81. Тезисы симпозиума. М., 1981.

Категория притяжательности в славянских и балканских языках. Тезисы совещания. М., 1983.

ტექსტს ყველაზე მეტად იყვლევენ ენათმეცნიერები. მაგრამ მათი ერთი ჩვეუმი ეჭვის თვალთ უყურებს ტექსტით გატაცებას და არ მიიზნებს აუცილებელ საჭიროებად ტექსტთან დაკავშირებული საკითხების ყვლეფას. მეორე ჩვეუფს კი მიიანია. რომ ტექსტის პრობლემტიკამ ერთ-

ერთ პირველ ადგილზე წამოიწია მსოფლიო ლინგვისტიკაში. ტექსტი აღიარებულ იქნა ლინგვისტიკური მეთოდის აღფად და ომეგად /59, 371/.

გ.ვ. კოლშანსკის თქმით, თანამედროვე ენათმეცნიერების ინტერესი ტექსტის შესწავლისადმი განპირობებულია „სურვილით – აიხსნას ენა, როგორც გლობალური მოვლენა, როგორც კომუნიკაციის საშუალება“ /163, 48/.

დღეისათვის ტექსტის გაგებაში სხვადასხვა შეხედულება არსებობს და მათი რიცხვი საკმაოდ დიდია. თუ მათ დავაჯგუფებთ, გამოვა რომ:

ა/ ტექსტი გაგებულია როგორც „ენის არსებობის უპირველესი ფორმა“ /351, 105/. ამ დებულების კრიტიკა რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ, იხილეთ ნაშრომში /169, 23-24/.

ბ/ ტექსტი მიჩნეულია ნიშანთა ენობრივი სისტემის ერთეულად ანდა ენის ერთეულად /159, 106; 222, 3; 306, 210; 217, 11-12; 22; 55; 199; 234; 307/. ტექსტის ასეთ გაგებას მიეძღვნა გამოკვლევათა კრებული /311/.

გ/ ტექსტი მიჩნეულია საკომუნიკაციო ერთეულად. ტექსტის თანამედროვე ინტერპრეტაცია პირველ პლანზე აყენებს სწორედ კომუნიკაციის საკითხებს. გ. ვ. კოლშანსკიმ, მაგალითად, თვითონ კომუნიკაცია განსაზღვრა როგორც ტექსტი /160, 52/.

დ. პელიდუი ტექსტის ლინგვისტიკის საგნად მიიჩნევს „ენას მოქმედებაში“ /336, 142/, რომელიც უნდა გავიგოთ, როგორც კომუნიკაცია.

ე. კოვენ-აიკოვა ტექსტს მიიჩნევს „ერთიან, დახურულ, უმაღლეს საკომუნიკაციო ერთეულად“ /156, 66/. მსგავს აზრს გამოთქვამენ: ვ. გ. აღმონი /4, 68/, ა. იზენბერგი /138/, ე. აგრიკოლა /390/ და სხვანი.

ვ. პარტმანი გარკვევით და კატეგორიულად ამბობს, რომ „თუ ჩვენ ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ მხოლოდ ტექსტებით“: „მხოლოდ ტექსტის ფორმით და ტექსტის ფუნქციით ენა წარმოადგენს ადამიანთა შორის ურთიერთობის საშუალებას“ /398, 17/. ჰ. პარტმანის ამ შეხედულებას იზიარებენ ჰ. ვაინროხი /407, ზ. ი. შმიდტი /351/ და სხვანი.

დ/ ტექსტი გაგებულია როგორც „ფუნქციონალურად დასრულებული სამეტყველო მთლიანობა, მეტყველების აქტი“ /185, 28/. ტერმინი „მეტყველების აქტი“ ა. მ. სმირნიცის შემოღებულია /294/.

8/ და მას იზიარებენ აგრეთვე ბ. ა. აბრამოვი /1, 3/, ი. მ. სკრებნევი /293, 6/, ე. კოსერიუ /166, 515/ და სხვები.

ი. რ. გალპერინისათვის ტექსტი არის მიზანდასახული სამეცნიერო კვლევა: /82, 71-72/. ასეთად მიიჩნევენ ტექსტს აგოეთვე ვ. ა. ბუხბინდერი, ე. ჯ. როზანოვი /48, 76/ და სხვანი.

9/ ტექსტა გაგებულია როგორც „სამეცნიერო წარმონაქმნი“ კ. გაუზენბლასის მიერ /94/ და ამ შეხედულებას იზიარებენ: რ. ბარტი, /21, 443-444/, პ. სგალი /280, 87/, მ. პალევი /245, 255/, ნ. შენგელაია /384, 390/ და სხვანი.

„სამეცნიერო წარმონაქმნი“ კ. გაუზენბლასის ესმის, როგორც „მოწესრიგებული კომპლექტი ენობრივი საშუალებებისა, რომლებიც გამოიყენება კომუნიკაციის ერთეულ აქტში და რომელსაც ადგილი აქვს მონაწილეთა შორის მოცემულ პირობებში“ /94, 62/.

კ. გაუზენბლასის აზრით, სამეცნიერო წარმონაქმნი წარმოადგენს მეტყველების ყველაზე მაღალ ერთეულს, ე. ი. ენის გამოყენების ერთეულს ურთიერთობის პროცესში და იგი შედგება ერთი ან რამდენიმე წარმოთქმისაგან, თუ წარმოთქმაში ვიგულისხმებთ რაღაც სამეცნიერო მთლიანობას, რომელიც უწყვეტად წარმოიქმნება კომუნიკაციის აქტის ერთი მონაწილის მიერ /94, 62/. ავტორის თქმით, „წარმოთქმის ელემენტარულ ერთეულს წარმოადგენს გამონათქვამი, ხოლო გამონათქვამი-ეს არის წარმოთქმის რომელიღაც სემანტიკა, რომელიც შეზღუდულია საბოლოო (ზოგჯერ დასაწყისი) სიგნალით“ /94, 62-63/.

კ. გაუზენბლასი იძლევა სამეცნიერო წარმონაქმნთა შემდეგ კლასიფიკაციას. 1/ სამეცნიერო წარმონაქმნები ტექსტის მარტივი ან რთული სტრუქტურით: 1/ როცა სამეცნიერო წარმონაქმნი შეიცავს ერთი აზრის შემკველ ერთ ტექსტს; 2/ როცა სამეცნიერო წარმონაქმნი შეიცავს ერთ ისეთ ტექსტს, რომელსაც მოეპოვება ორმაგი (არაერთმნიშვნელოვანი) აზრი; 3/ როცა სამეცნიერო წარმონაქმნი შედგება ერთი ისეთი ტექსტისაგან, რომელშიც ჩამატებულია ნაწყვეტი სხვა სამეცნიერო წარმონაქმნიდან; 4/ თბრობითი ტექსტი (განსაკუთრებით კი მხატვრული პროზისა)-პირდაპირი მეტყველებით; 5/ მეტყველების დიალოგიური წარმონაქმნი აგრეთვე ერთ ტექსტად ითვლება; 6/ სამეცნიერო წარმონაქმნი რთული სატექსტო სტრუქტურით (სავაჭეთო სტატია, აფიშა); 7/ სამეცნიერო წარმონაქმნები, რომლებიც შეიცავენ ორ ან მეტ ტექსტს შემდეგი თანაფარდობით:

„ძირითადი ტექსტი-დამხმარე ტექსტი“; ანდა „ცხადი ტექსტი-
დაფარული ტექსტი“ და ა. შ.:8) სამეტყველო წარმონაქმნები, რომ-
ლებშიც ორი (ან მეტი) ტექსტია გადახლართული ერთმანეთთან /94,
66-69/.11. თავისთავადი და დამოკიდებული სამეტყველო წარმონაქ-
მნები: 1/ თავისთ. ვადი ან შედარებით თავისთავადი „თვისთავადის“ სა-
მეტყველო წარმონაქმნები; 2/ თავისთავადი ან შედარებით თავის-
თავადი, სიტუაციისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ისეთი სამეტყველო
წარმონაქმნები, რომლებიც, კომუნიკაციის ლინგვისტიკურ საშუალე-
ბათა გარდა, არა-ლინგვისტიკურ საშუალებებსაც შეიცავენ; 3/ სამეტ-
ყველო წარმონაქმნები, რომლებიც მკიდროდ არიან დაკავშირებული
სიტუაციასთან.111. უწყვეტი და წყვეტილი სამეტყველო წარმონაქმ-
ნები: 1/ ცალკეული ზეპირი მანიფესტაციები, რომლებიც წარ-
მოქმნილი არიან არასრულად შეყრული (გაბმული) ელემენტებისაგან,
ამას აღვილი მ. შინ აქვს, როცა აღრესატს ძლიერი ლელვის გამო არ
შეუძლია სიტუაციურ ცვლილებათა ფიქსირება; 2/ წყვეტილი წერი-
ლობითი მანიფესტაციის სახით შეიძლება გამოიყოს შენიშვნები ან
მონახაზები, რომლებიც განკუთვნილია თვითონ ავტორისათვის;

3/ წყვეტილი სამეტყველო წარმონაქმნები ფუნქციონირებენ არა
მარტო განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა სამეტყველო წარ-
მონაქმნის გულდასმით გაფორმება შეზღუდულია, არამედ მაშინაც,
როცა დისკურსიული და დენომინაციური ფუნქციების დაპირის-
პირება მკვეთრად არ მელავნდება. ასეთია ნებისმიერი სახის სიები, ლე-
ქსიკონები; 4/ დამოუკიდებელი ტიპი, რომელიც ძალზე გავრცელდა
ჩვენს დროში, ეს არის სამეტყველო წარმონაქმნები, რომლებიც მი-
იღება ანეკდოტისა და ბლანკების შევსების შედეგად; 5/ წყვეტილობა
შეიძლება წარმოიშვას ისეთ სამეტყველო ნაწარმოებში, რომელსაც
უწყვეტლობის თვისება გააჩნია, წყვეტილობის მიზეზი შეიძლება იყოს
გარეგანი ან შემთხვევითი ფაქტორები /94, 64-76/.

3/ ტექსტი გაგებულია, როგორც გამონათქვამი. ვ. გ. აღმონისათ-
ვის „ტექსტი არის გამონათქვამის ისეთი სახე“, „რომელიც კვლავწარ-
მოიქმნება ხმაშალა თუ უსიტყვოდ“ /4, 68/.

ტ. მ. ბატლოვას ტექსტად მიიჩნია აზრობრივად დასრულებული
გამონათქვამი /24, 1/. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამენ : მ. ბელ-
ერტი /27, 172/ და ც. ტოდოროვი /31 & 459/.

ო. ი. მოსკალსკაია ტექსტს განმარტავს, როგორც „ნებისმიერ გა-
მონათქვამს, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე წინადადებისაგან

და დამთავრებულ აზრს შეიცავს" /222, 12/ზ/ ტექსტად გაგებულია ერთი წინადადება გ. ვ. აღმონის /4, 64/, გ. ვ. ეიგერისა და ვ. ა. იუბტის /116/, ლ. გ. ფრიდმანის /329, 32-33/, დ. გოციროძის /362, 372/, ნ. შენგელაიას /384, 392/ მიერ.

თ/ ტექსტად მიჩნეულია წინადადებათა ჯგუფის ს. ი. გინდინის /98, 102/, ა. ა. ლეონტიევის /183, 169/, ლ. პ. დობლაევის /111, 102/ მიერ. გინდინი და დობლაევი ასეთ ჯგუფებში „თავის ტექსტობრივი სუბიექტისა და ტექსტობრივი ობიექტის“ არსებობასაც ხედავენ.

ი/ ტექსტად გაგებულია წინადადებათა თანმიმდევრობა ი. ვ. არნოლდის /10, 25/, ტ. დეივის /106, 259/, ვ. კობის /238, 162/ მიერ.

კ/ ტექსტად გაგებულია როგორც მისი ნაწილების, კომპონენტების იერარქია ი. ლეშკას /189/, ლ. გ. ფრიდმანისა და ვ. გ. ბუტკოს /330/, მ. ა. გვენცაძის /95/, გ. ი. სოლგანიყის /300/ მიერ. მ. გვენცაძე იერარქიის ასეთ სქემას გვთავაზობს: ტექსტების სუპერკლასი ტექსტების. ფუნქციონალურ-კომუნიკაციური კლასი ტექსტების სუბკლასი სამეტიყველო ფანრი /95, 46/.

გ. ი. სოლგანიყის სქემას უფრო მიწიერი სახე აქვს: წინადადება პროზაული ტროფი → ფრაგმენტი¹ → თავი → ნაწილი → დამთავრებული ნაწარმოები /300, 187-188/.

როგორც უკვე ვნახეთ, ტექსტის ცნება სულ სხვადასხვანაირად არის გაგებული ლინგვისტთა მიერ. თუ მიმოხილულ მასალას თავს მოვუყრით და შევჯამებთ აღმოჩნდება, რომ ტექსტი ესმით, როგორც: 1. ენის არსებობის უპირველესი ფორმა; 2. ნიშანთა ენობრივი სისტემის ერთეული; 3. საკომუნიკაციო ერთეული; 4. მეტყველების აქტი; 5. სამეტიყველო წარმონაქმნი; 6. გამონათქვამი; 7. ერთი წინადადება; 8. წინადადებათა ჯგუფი; 9. წინადადებათა თანმიმდევრობა; 10. კომპონენტების იერარქია.

ახლა ვნახოთ, თუ რას გულისხმობენ პრაქტიკულად ამ თეორიული დებულებების მიღმა. ი. ი. მოსკალსკაიას მიხედვით, ტექსტი წარმოადგენს... ისეთ სიტყვიერ ქმნილებას, როგორიცაა მოთხრობა, რომანი, საგაზეთო თუ საეჟრანლო სტატია, მეცნიერული მონოგრაფია,

¹ ავტორის გაგებით, ფრაგმენტი-ეს არის გაშლილი პროზაული სტროფი ან რამდენიმე სტროფი, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთი თემის განვითარებით და ერთმანეთთან დაკავშირებული არიან სინტაქსური და ლექსიკური საშუალებებით /300, 187/.

სხვადასხვა სახის, დოკუმენტი და ა. შ. /222, 12/. ანალოგურ აზრს გამოთქვამენ ლ. ჯ. ფრიდმანი და ვ. გ. ბუტკო, რომელთაც ნამდვილ ტექსტად მიაჩნიათ რომანი, მოთხრობა, სტატია. /330, 2/. ნ. ლეონტიევას სრულ ტექსტად მიაჩნია: წიგნი, სტატია, მოთხრობა, ლექსი /188, 3/. გ. ი. ვონიკური სინტაქსური მთლიანობის (= ტექსტ- ვ. ს.) არსებობის ფორმად მიიჩნევს აბზაცს, თავს, ნაწარმოებს /72, 253/. ი. მ. ნოვიცკაიას მიერ ტექსტის ფორმად მიჩნეულია პარაგრაფები, განყოფილებები, თავები /237, 14/. უ. ვაინრიხს ტექსტად მიაჩნია ორი მორფემა ან მორფემათა მოწესრიგებული თანმიმდევრობა /58, 373/.

3. ბრინკმანის აზრით, ტექსტია ყველაფერი-ერთი მონემიდან მრავალსაათიან საუბრამდე და მრავალტომიან თხზულებათა კრებულამდე /393, 9/. პიუტცე ტექსტის ტიპებად მიიჩნევს სხვადასხვა ფუნქციონალურ სტილს და მხატვრული ლიტერატურის ფარგებს (დრამას ეპოსს, რომანს, სონეტს)-405, 10/.

ვ. დრესლერის მიერ ტექსტად არის გაგებული: ლექსი, მოთხრობა ანკდოტი, დრამა, რომანი, თავი, აბზაცი, პარაგრაფი, განყოფილება /394, 14/.

ნ. შენგელაია ტექსტად მიიჩნევს ერთ სიტყვას, არასრულ წინადადებას, ფრაზას, წინადადებას, მთელ წიგნს /384, 392/.

დ. გოციურიძეს ტექსტად მიაჩნია: ანდაზა, გამოცანა, სათაური, ლოზუნგი /102, 18/.

ი. რ. გაღუბერინი გამოყოფს მინიმალურ და მაქსიმალურ ტექსტებს. მინიმალურ ტექსტებად იგი მიიჩნევს: ცნობას, დეპეშას, ჩანაწერს, წერილს და ა. შ. მაქსიმალურ ტექსტებად კი-რომანს, შედგენილს რამდენიმე ტომისაგან (წიგნისაგან), რომელსაც აბლავს აგრეთვე პროლოგიცა და ეპილოგიც. ყველაზე დიდ ერთეულად რომანში გაღუბერინი გამოყოფს ტომს ან წიგნს, ამის შემდეგ კი-ჩაწილს, თავს, ქვეთავს, აბზაცს, ზეფრაზულ მთლიანობას /85, 51-52/.

ლ. მ. შჩეტინინას მიხედვით, უნდა გამოიყოს ტექსტის შემდეგი სახეები: 1. მარტივი ტექსტი, რომელიც უდრის დიდ აბზაცს; 2. რთული ტექსტი, რომელიც მიიღება რამდენიმე მარტივისაგან. რთულ ტექსტად ის თვლის მოთხრობას, სტატიას, თავს, ლექსს; 3. შედგენილი ტექსტი, რომელიც წარმოადგენს რთული ტექსტების ნაერთს. ასეთ ტექსტად მას მიაჩნია რომანი, მონოგრაფია; 4. მაქსიმალური ანუ ზეტექსტი, ასეთად გაგებული: ტრილოგია, ტეტრალოგია, ეპოპეა /354, 193-194/.

ი. გ. ოლ'ჰანსკის მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ერთმანეთისაგან განვასხვაოთ სამეტყველო ნაწარმოებთა ორი ტიპი: ა) მთლიანი ტექსტი (იმის მიუხედავად, იქნება ის წინადადება თუ მრავალტომიანი რომანი) და ბ) ერთობლიობა ტექსტებისა, რომლებიც გაერთიანებული იქნებიან საერთო ავტორით (ერთი მწერლის, მეცნიერის თხზულებათა კრებული) ან პრაგმატიკული მოსახრებით (ენციკლოპედია, ანთოლოგია, სტატიათა კრებული, გაზეთი და ა. შ.)-/241, 219/.

შ. ა. გვენცაძე ტექსტად თვლის მილოცვას, დაპირებას, განცხადებას, შენიშვნას, ამინდის პროგნოზს, ანგარიშს... /95, 15, 38-43/.

ამგვარად, ლინგვისტების მიერ ტექსტად გაგებულია:

1. მონემა
2. ორი მორფემა
3. ერთი სიტყვა
4. ფრაზა
5. არ. ' რელი წინადადება
6. ერთი წინადადება
7. ორი წინადადება
8. წინადადებათა თანმიმდევრობა
9. წინადადებათა ჯგუფი
10. ჩანაწერი
11. შენიშვნა
12. ანექდოტი
13. აფიშა
14. ბიოგრაფია
15. წერილი
16. დეპეშა
17. ცნობა
18. ლექსი
19. მოთხრობა
20. რომანი
21. დრამა
22. ეპოსი
23. სონეტი
24. სტატია (ნებისმიერი)
25. მონოგრაფია
26. ინფორმაცია

27. ტომი
28. წიგნი
29. პროლოგი
30. ეპილოგი
31. ნაწილი
32. თავი
33. ქვეთაჲი
34. აბზაღი
35. ფრაგმენტი
36. პარაგრაფი
37. განყოფილება
38. დამთავრებული ნაწარმოები
39. თხზულებათა კრებული
40. ენციკლოპედია
41. ანთოლოგია
42. სტატიათა კრებული
43. მრავალსაათიანი საუბარი
44. სია
45. სხვადასხვა სახის დოკუმენტი
46. ბლანკი
47. ანკეტა
48. ლექსიკონი
49. ზეფრაზული მთლიანობა
50. სატექსტო მონაკვეთი
51. ანდაზა
52. გამოცანა
53. სათაური
54. ლოზუნგი
55. მილოცვა
56. დაპირება
57. ამინდის პროგნოზი
58. განცხადება
59. აღწერა
60. შეფასება
61. არგუმენტაცია
62. ანგარიში

63. გაზეთი

ჩამოთვლას აქ ვწვევთ. თქმა არ უნდა, რომ კიდევ იქნება სხვა მოსაზრებაც. ნაგრამ, რაც აღვნიშნეთ, ისიც გაკვირვება-გაოცებას იწვევს. თუ იმასაც დავასახელებთ, რომ, ნ. შენგელაიას აზრით, ტექსტის ლინგვისტიკა შეიძლება განიხილავდეს აგრეთვე ისეთ პროსოდულ ნიშნებს, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ სამეტყველო კომუნიკაციის დროს (ინტონაციას, მახვილს) და აგრეთვე ისეთ პარალინგვისტიკურ ფაქტორებსაც, როგორცაა სახის მიმიკა და ვესტები /384, 397/.

რას ვერჩათ ა. ტ. კრივონოსოვს, რომელიც ყოველივე ამას რომ გაეცნო, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ტექსტის ლინგვისტიკა, როგორც მეცნიერება, არ ჩამოყალიბებულა, რადგანაც მას ვერ უპოვია თავისი საკვლევო ობიექტი /169, 31-35/. ცოდვა გამხელილი სჭობს: ტექსტის ლინგვისტიკის ობიექტი ჯერ კიდევ დიფერენცირებული და განსაზღვრული არ არის. სანუგეშო ის შეიძლება გვქონდეს, რომ წინადადებას კვლევის ათასობით წლის ისტორია აქვს, მაგრამ აქაც გასარკვევი და დასადგენი ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია. ეს, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ იმის საფუძველს არ გვაძლევს, რომ ლინგვისტიკის ამ ახალ დარგშიც უკომპასოდ დიდხანს ვიაროთ. ყველაფერი, რაც ენათმეცნიერებმა ტექსტად ჩათვალეს, შეიძლებოდა ტექსტად მიგვეჩინოთ რადიკალური, ლიტერატურული გაგებით. მაგრამ ჩვენ ამით ვერ დავკმაყოფილდებით. როცა ვლაპარაკობთ ტექსტის ლინგვისტიკაზე, როგორც ენათმეცნიერების ახალ დარგზე, საჭიროა გვქონდეს ტექსტის ლინგვისტიკური განსაზღვრებაც.

გვინდა სხეციალურად გამოვყოთ ტექსტის რამდენიმე განმარტება. ერთ-ერთი გაგება ი. უ. ლოტმანის ეკუთვნის. მისი აზრით, ტექსტი არის „სტრუქტურულ ურთიერთობათა ლინგვისტიკურად გამოხატული ჯამი“ /205, 33/. ი. უ. ლოტმანის ეს განმარტება ზოგადია და შეიძლება მიესადაგოს წინადადებასაც და მეტატექსტსაც. ლოტმანი არ ითვალისწინებს ტექსტის არსებით პარამეტრს-სემანტიკურს.

საბჭოთა ტექსტის ლინგვისტიკაში ტიპურია ტექსტის გალპერინისეული განმარტება: „ტექსტი – ეს არის სამეტყველო პროცესის ნაწარმოები, რომელიც დამთავრებულია ობიექტივირებული წერილობითი დოკუმენტის სახით, ლიტერატურულად დამუშავებული ამ დოკუმენტის ტიპის შესაბამისად, ნაწარმოები, რომელიც შედგება სახ-

ელწოდების (სათაურის) და სხვა განსაკუთრებული ურთიერთდა-
კავშირებული ერთეულებისაგან (ზეფრაზული მთლიანობებისაგან)
ლექსიკური, გრამატიკული, ლოგიკური, თუ სტილისტიკური და-
კავშირების სხვადასხვა ტიპით, რომელთაც გააჩიათ განსაზღვრული მი-
ზანდასახელობა და პრაგმატიკული განწყობა” /85, 18/.

ტექსტის ამ განმარტებას ყველგვარი შენიშვნის გარეშე იმეო-
რებს ყველა. უნდა აღვნიშნოთ, რომ გალპერინის ეს განმარტება, ჭერ
ერთი, ვრცელია და, მეორეც, ყველა ტექსტს როდი აქვს სახელწოდება
ანუ სათაური. ამას თვითონ გალპერინიც აღნიშნავს. სათაურის
ქონება არ არის. არსებითი ნიშან-თვისება ტექსტისა. ტექსტთა უდიდეს
უმრავლესობას (ვგულისხმობთ მხატვრული ლიტერატურის ნაწარ-
მოებებს) სათაური არ გააჩნია, მაგრამ იგი მას შეიძლება მიეცეს, გაუ-
კეთდეს. ამის საშუალებას იძლევა იმ თემის დამთავრებულობა, რომ-
ლის შესახებაც საუბარია მოცემულ ტექსტში. მაგრამ ის, რაც ტიპური
და არსებითი არ არის ტექსტისათვის, რა თქმა უნდა, მის პარამეტრად
არც უნდა მივიჩნიოთ და არც მის განსაზღვრებაში უნდა ვაფიგურირ-
ოთ. ასევე, ვფიქრობთ, რომ ტექსტის განსაზღვრაში არ უნდა იყოს
ისეთი სიტყვები როგორცაა გრამატიკული, ლექსიკური, ლოგიკური,
სტილისტიკური. ამ მიზეზების გამო ტექსტის გალპერინისეულ გან-
მარტებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ.

საზღვარგარეთულ ტექსტის ლინგვისტიკაში გავრცელებულია
ტექსტის ის განმარტება, რომელიც მ. პიუტცეს ეკუთვნის. იგი წერს: „მე
ტექსტი მესმის, როგორც მიზნისა და აზრის მიხედვით განსაზღვრუ-
ლად ორგანიზებული ერთობლიობა ისეთი ფრაზებისა ან ისეთი ფრა-
ზობრივი ელემენტებისა, რომელთა შორისაც არსებობს ნიშნადი და-
მოკიდებულება და ფუნქციები, ე. ი. სტრუქტურისებური ერთიანობა,
რომელიც ცნობიერებაში ლინგვისტიკური ერთეულის სახით წარ-
მოადგენს სინამდვილის რომელიღაც კომპლექსურ მოვლენას მის შე-
დარებით დამთავრებულ აზრობრივ მთლიანობაში.” /405, 3/.

როგორც ჩანს, პიუტცეს ამ განსაზღვრებაში ტექსტი სტრუ-
ქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისითაა დახასიათებული. ამ გან-
საზღვრებასაც რამდენიმე ნაკლი აქვს, რომელთაგან მთავარია ის, რომ
იგი ვრცელია. მეორეც, ფრაზათა და მით უმეტეს ფრაზების ელემენ-
ტთა ერთობლიობა არ ქმნის ტექსტს, ისინი მეტატექსტის მდგენელებია.

რუსული ტექსტის ლინგვისტიკაში არსებობს ტექსტის ისეთი
განმარტება, რომელიც არა თუ საკამათოა, არამედ მიუღებელიც.

მხედველობაში კვაქს ს. ი. გინდინის განსაზღვრება, რომელშიც გაცხადებულია, რომ „ტექსტი არის ის, რასაც მოუბარი („ტექსტის ავტორი“) აცხადებს ტექსტად, ან აღნიშნავს სპეციალური სასაზღვრო ნიშნებით, და ანითომ ცალკეული ერთიანი ტექსტის ცნება დამოკიდებულია კომუნიკატორის განზრახვაზე, აგრეთვე რეციპიენტის ჩვევებზე და მეტყველების თითოეულ მოცემულ სფეროში არსებული ტექსტის გაერთიანებისა და დაყოფის ჩვევებისა და წესების განსაზღვრულ ერთიანობაზე“ /100, 8/.

ს. ი. გინდინის ამ განმარტებას მრავალი ნაკლი აქვს:

1. უპირველეს ყოვლისა, ის ძალზე გაკვიანურებულია.

2. ტექსტი არ შეიძლება იყოს „ის, რასაც მოუბარი („ტექსტის ავტორი“) აცხადებს ტექსტად ან აღნიშნავს სპეციალური სასაზღვრო ნიშნებით“. ჯერ ერთი, ტექსტი იმბიექტური ენობრივი ოდენობა და საკომუნიკაციო ერთეულია, რომელსაც თავისი დონის შესაბამისი სპეციფიკური პარამეტრები და კატეგორიები აქვს. ეს პარამეტრები და კატეგორიები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ ტექსტობრივი დონე ენაში ფაქტია, ზოგი აღმოჩენილია, ზოგიც, ალბათ, მომავალში აღმოჩნდება. თუ ეს პარამეტრები და კატეგორიები არ გვაძლევს საშუალებას, შესაძლებლობას, უფლებას, რომ სიდიდეს, ერთეულს ოდენობას დავარქვათ ტექსტი, მოუბრის სურვილი, განაცხადი მას ტექსტად ვერ აქცევს. მეორეც, ტექსტს თავისი, სპეციფიკური სასაზღვრო ნიშნები არ გააჩნია. ის სარგებლობს იმ ნიშნებით, რომლებიც ცნობილია წინადადებიდან გრაფიკული სასაზღვრო ნიშანი ტექსტს არა აქვს. ტექსტს რომ მისთვის დამახასიათებელი სასაზღვრო ნიშანი ქეონდეს, მაშინ არ იქნება-რდა კამათი მისი ქვედა და ზედა ზღვარის შესახებ. ეს პრობლემა კი დღევანდელ ტექსტის ლინგვისტიკაში ერთ-ერთი გადამწყვეტთაგანია.

3. „ცალკეული ერთიანი ტექსტის ცნება „არ არის“ დამოკიდებული კომუნიკატორის განზრახვაზე, აგრეთვე რეციპიენტის ჩვევებზე“. თუ ტექსტის ცნება დამოკიდებული იქნება კომუნიკატორის განზრახვაზე და ჩვევებზე, მაშინ ტექსტი სუბიექტურ კატეგორიად იქცევა ტექსტის ინფორმაციას, რა თქმა უნდა, განაპირობებს ადგილი, პირობები, სიტუაცია, სურვილი, მაგრამ ყოველივე ეს ძალაში შედის ობიექტური, სპეციფიკური პარამეტრებისა და კატეგორიების შემდეგ.

4. დიდია ჩვევების მნიშვნელობა აზროვნების ყველა სფეროში. ასეა წინადადების, მეტატექსტის თუ ტექსტის შემთხვევაშიც, მათი

ანალიზის დროს მთავარი და არსებითია ტექტის ფუნქციის, პარამეტრის, სტრუქტურის ცოდნა და მხოლოდ ამის შემდეგ დაგვიზამალება ჩვევა და გაწაფულობა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ტექტის ცნების აღსანიშნავად დღესაც იხმარება ტერმინი „მთლიანი ტექსტი“, რომელსაც იყენებს ლ. გ. ფრიდმანი. ფრიდმანის მიხედვით, „ტექსტი“ აღნიშნავს ზეფრაზულ მთლიანობას, ხოლო „მთლიანი ტექსტი“ უს არის კომპლექსური წარმონაქმნი, რომელიც შედგება ერთიერთდაკავშირებული ფაქტორებისა და ელემენტებისაგან /300, 12-13/. ამ ფაქტორებსა და ელემენტებში ავტორი გულისხმობს წინადადებათა ხაზობრივ თანმიმდევრობას და იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ წინადადებათა კოქერენტული თანმიმდევრობა გაგებულ იქნეს, როგორც ტექსტი.

რა შეიძლება დაეასკვნათ? დღემდე არა გვაქვს „ტექსტის“- როგორც ტექტის ლინგვისტიკის საკვლევი ობიექტის, რაობის ერთიანი გაგება. ტექსტად მიჩნეულია სრულიად სხვადასხვა და ზოგჯერ ერთიერთსაწინააღმდეგო პარამეტრების მქონე ობიექტები, გაოცებას იწვევს ისიც, რომ ტექტის ანალიზის დროს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ საანალიზო მასალის დონეს, რომელიც არაა ტექსტი) უკვე ნაცნობის ფარგლებს არ სცილდებიან. ეს ნაცნობი კი წინადადების სინტაქსიდან მიოდის და მისი ანალოგიითაც ტექტის ანალიზის დროსაც საუბრობენ ავტოსემანტურ და სინსემანტურ წინადადებათა შესახებ. ან კიდევ წინადადების წევრთა ფუნქციების შესახებ დამწყობ თუ მიმდებარე წინადადებებში და ა. შ.

ტექსტად უნდა გავიგოთ ენობრივი ერთეული (იგივე სამეტყველო ერთეული), რომელიც მეტია დიდი მეტატექსტზე. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგნებულად არ ვთქვით წინადადებაზეო. იგულისხმება, რომ მეტატექსტი უფრო დიდი, მეტია ვიდრე წინადადება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტექსტად უნდა მივიჩნიოთ ენობრივი ოდენობა, რომელიც წინადადების შემდეგი, მიმდებარე იარუსი კი არ არის (რადგან ასეთი დონე, ასეთი იარუსი მეტატექსტია), არამედ შემდგომი, რიგით მეორე და უმაღლესი იარუსია. სტრუქტურად ეს ასე წარმოგვიდგება: I წინადადება, II მეტატექსტი, III ტექსტი, ე. ი.

III იარუსი-ტექსტი

↓
II იარუსი-მეტატექსტი

↓

1 იარუსი-წინადადება

რა განასხვავებს წინადადებას, მეტატექსტსა და ტექსტს ერთმანეთისაგან? მათ განასხვავებს ინფორმაციის მოცულობა. საქმე გვაქვს სამ განსხვავებულ ინფორმაციასთან. ყოველი მომდევნო იარუსის ინფორმაციის მოცულობა მეტია წინა იარუსის ინფორმაციაზე. თუ წინადადების დონეზე მხოლოდ დამთავრებული აზრი გვაქვს, მეტატექსტის დონეზე უკვე საუბარია მიკროთემის შინაარსზე და მის დასრულებულობაზე, ტექსტის დონეზე კი- თემის შინაარსი გვაქვს და მისი აზრობრივი დამთავრებულობა.

თუ ეს მსჯელობა სწორია და ადეკვატურად გამოხატავს სათქმელს, მაშინ, ცხადია, ტექსტად ვერ ჩავთვლით:

1. მორფემას,
2. მონემას,
3. ერთ სიტყვას,
4. ერთ წინადადებას,
5. წინადადებათა თანამიმდევრობას,
6. წინადადებათა ჯგუფს,
7. ჩანაწერს,
8. შენიშვნას,
9. ანეკდოტს,
10. ზეფრაზულ მთლიანობას,
11. სატექსტო მონაცვეთს,
12. ანდაზას,
13. გამოცანას,
14. სათაურს,
15. ლოზუნგს,
16. დაპირებას,
17. ამინდის პროგნოზს,
18. შეფასებას.

ასევე ტექსტად ვერ ჩავთვლით:

1. მოთხრობას,
2. რომანს,
3. ტომს,
4. წიგნს,
5. თხზულებათა კრებულს,

6. ენციკლოპედია.
7. ანთოლოგია.
8. ლექსიკონს.
9. დამთავრებულ ნაწარმოებს.
10. მრავალსაათიან საუბარს.
11. მეცნიერულ მონოგრაფიას.
12. სტატიათა კრებულს.
13. დრამას.
14. ეპოსს და მით უმეტეს.
15. გაზეთს.

რადგან, ვერ ერთი აქ არეულია სხვადასხვა დანიშნულებისა და მოცულობის, სხვადასხვა ჟანრისა და სახის ფენომენები. მეორეც, საქმე გვაქვს არა ტექსტთან (იმ გაგებით რომ ერთი მოთხრობა-ერთი ტექსტია, ერთი ტომიც ერთი ტექსტია და ა. შ.) არამედ ტექსტთა ერთობლიობასთან, ორიდან N ტექსტამდე, არ არსებობს მოთხრობა, რომანი, ტომი, წიგნი... სადაც საუბარი იქნება მხოლოდ ერთი თემის გარშემო. ერთი თემა შეიძლება იყოს თხრობის ძირითადი ხაზი, რომელსაც სისხლხორცეულებად, ორგანულად ერწყმის სხვა თემები თხრობის შინაარსის გასაშლელად, გასაფართოებლად, რათა წარმოჩნდეს დრო, ეპოქა, საზოგადოება, ფაქტები, მოვლენები, ადამიანები.

მაგალითად, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი და მთავარი თემა სიყვარულია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მეგობრობის, პატრიოტიზმის, მამაკაცისა და დედაკაცის თანასწორობის საკითხები. ამ დიდ და ამაღლებულ თემებს თან ერთვის მრავალი თემა ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების მრავალი კუთხიდან. საბოლოოდ ვიღებთ არა მარტო სიყვარულის ქრონიკას, არამედ XII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური და ა. შ. ცხოვრების მაკულამბატურულსა და იმავდროულად სწორსა და უტყუარ სურათს. ამდენად, „ვეფხისტყაოსანი“ ერთი ტექსტი კი არ არის, არამედ ასეულობით (თუ მეტი არა) ტექსტის (ლინგვისტური გაგებით) მთლიანობაა.

ანდა ავიღოთ ილიას „ოთარაანთ ქვრივი“. იგი ერთი ნაწარმოებია და არა ერთი ლინგვისტური ტექსტი. აქ გვაქვს ასეულობით ტექსტი თავისი თემითა და შინაარსით, თავისი სემანტიკური და ტვირთვით.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი 15 სახე თითო ტექსტი კი არ არის, არამედ ტექსტების (ორიდან 16 ტექსტამდე) ერთიანობა, თითოეული მათგანი შეიცავს ეუმრავ ტექსტს. ხშირ შემთხვევაში ტექსტს შეიძლება წარმოადგენდეს:

1. ბიოგრაფია,
2. წერილი,
3. ლექსი,
4. სტატია.

შეიძლება წარმოადგენდეს ან არ წარმოადგენდეს ტექსტს:

1. პროლოგი,
2. ეპილოგი,
3. ნაწილი,
4. თავი,
5. ქვეთავი,
6. აბზაცი,
7. განყოფილება,
8. პარაგრაფი,
9. აღწერა,
10. არგუმენტაცია,
11. მილოცვა.

მაგრამ ესენი ტექსტის არსებობის ფორმები კი არ არის (ასე რომ იყოს, საკვლევი და საკამათო არაფერი გვექნებოდა), არამედ მხატვრული ნაწარმოების ნაწილებია სტრუქტურის, არქიტექტონიკის მიხედვით. ტექსტი, ამ ფორმით არსებობა შესაძლებელია და დასაშვები, მაგრამ არა აუცილებელი და ერთადერთი. მაგალითად, „ფეხისტყალსის“ პროლოგი ერთი ტექსტი კი არ არის, არამედ რამდენიმე ტექსტი, ერთიანობაა. რაც შეეხება ეპილ რეს, იგი ერთი ტექსტია. ილიას თხზულებებში გვაქვს თავები, აბზაცები, რომლებიც ემთხვევა ტექსტს, ანტონის გრამატიკაში კი ბევრი პარაგრაფი ცალკეულ ტექსტებს წარმოადგენს.

ისმის კითხვა: რას მოვკუთვნოთ დეკემბ, ცნობა, სხვადასხვა სახის დოკუმენტი? ამათი საზომი იქნება წინადადება ან მეტატექსტი, თუ რომელიმე მათგანი გასცდა მეტატექსტის საზღვრებს, ეს იქნება გამონაკლისი და არა ნორმა. ტექსტად შეიძლება ჩავთვალოთ ოქმი.

რას მივაყუთვართ : სია, ბლანკი, ანკეტა? იმ ინფორმაციის მიხედვით, რომელსაც ესენი შეიცავენ, სია შეიძლება მეტატექსტად ჩავთვალოთ, ხოლო ბლანკი და ანკეტა ტექსტს მივაყუთვართ.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ ესმით სპეცისლისტებს ტექსტის პარამეტრები, საზღვრები, ის, თუ რასახე აქვს ტექსტს. ამ საკითხებშიც აზრთა სხვადასხვაობაა.

კითხვაზე რა სახე აქვს ტექსტს – წერიითი თუ ზეპირი – ენათმეცნიერები სამ განსხვავებულ პასუხს იძლევიან. ლინგვისტთა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ ტექსტს აქვს ზეპირი სახე / & 36; 25 & 16; 332, 126/. სპეციალისტთა მეორე ჯგუფის აზრით კი ტექსტს გრაფიკული სახე აქვს ყოველთვის / 82, 73; 203, 4; 230, 6/.

მეცნიერთა მესამე ჯგუფი მიიჩნევს, რომ ტექსტს ორივე სახე აქვს / 21, 443; 94, 63-64; 115, 114; 267, 21 & 329, 1 & 392, 724/.

ჩვენი გაგებით, ტექსტს გრაფიკული სახე აქვს ყოველთვის.

ენათმეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ტექსტის საზღვრების გარკვევაშიც. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ ტექსტი შეიძლება იყოს ერთი მონემა ან ერთი სიტყვა. ერთ მონემას ტექსტად თვლის J. ბრინკმანი / 393/, ხოლო ერთ სიტყვას – შენგელაია / 384, 392/ და ვ. ვ. ივანოვი / 136, 6/

ლ. გ. ფრიდმანის აზრით, ტექსტის ქვედა ზღვარს, მინიმალურ ტექსტს, წარმოადგენს ერთი წინადადება / 329, 32/. ასეთივე აზრს გამოთქვამენ დ. გოცირიძე / 362, 372/; ი. ს. რაბბანკულოვა / 270, 5/; პ. სგალი / 280/; ვ. დრესლერი / 115/; პ. იზენბერგი / 138/ და სხვანი.

ვ. ვაინრახს ორი მორფემა მიაჩნია მინიმალურ ტექსტად / 5 & 373/. ა. ა. ლეონტიევი კი ტექსტის ქვედა ზღვრად მიიჩნევს ორ წინადადებას / 183, 169/.

ზოგი ავტორის აზრი ბუნდოვანია, რადგან მასში საზღვრის ცნება არ არის დიფერენცირებული. მაგალითად, მ. გვენცაძე წერს, რომ ტექსტის ქვედა ზღვარი... ისახება /*наименьшая*/ ტიპიზირებული საკომუნიკაციო აქტით, რომლის ჩარჩოებში ფუნქციონირებს სამეტყველო ფორმა / 95, 24/.

მკვლევართა უმრავლესობა საერთოდ უარყოფს ტექსტის საზღვრების დადგენის შესაძლებლობას და ამას იმით ხსნის, რომ არ არსებობს ერთიანი ტექსტის მოცულობის განმარტება, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა მისი ქვედა და განსაკუთრებით ზედა საზღვრის დადგენა.

3. ვაინრიხის გაგებით, ტექსტის მაქსიმალური შემადგენლობა შეუზღუდავია /52, 373/. ეს აზრი გაიზიარა ლ. გ. ფრიდმანმაც. რომლის თქმითაც, ტექსტის ზედა ზღვარი არ შეიძლება იყოს ერთნიშნად მარკირებული /329, 33/. არსებითად ამავე აზრისაა ი. რ. ვალპერინიც /82, 74/.

ო. ი. მოკალსკაიას „თემის ცვლა“ მიაჩნია ტექსტის საზღვრის გადამწყვეტ სიგნალად /222, 166/.

ი. ს. რახმანკოლოვასათვის ტექსტის ზედა ზღვარს ქმნის მონოთემატური აბზაცი /270, 5/.

გ. ვ. ვიგორი და ვ. ა. იუხტი მიიჩნევენ, რომ „ტექსტის ზედა ზღვარი ავტორის მიერ დაისახება“

ენათმეცნიერთა ერთი ჯგუფის მოსაზრებით, ტექსტის ზედა საზღვრის მაჩვენებელია მისი აზრობრივი დამთავრებულმა. ამ აზრს ნათლად გამოჰქვამს მ. ს. კანდინსკი, რომელიც წერს: რაც შეეხება მთლიანი ტექსტის დამთავრებულობის საკითხს... ძნელია ისაუბრო ამ დამთავრებულობის ასე თუ ისე განსაზღვრის შესაძლებლობაზე; რადგან მთლიანი ტექსტი კარგავს თვალმისაწვდომობას. წიმადადების დამთავრებულობა როგორც უპირისპირდება ენობრივ მოვლენებს, მაშინ როცა მთლიანი ტექსტის დამთავრებულობის მინიშნება იქმნება სიტუაციური საშუალებებით. გაფორმება ტექსტისა, როგორც მთლიანისა, არ შეეფარდება სინტაქსურ დამთავრებულობას /145, 118/.

მ. ს. კანდინსკის ამ დებულებას იზიარებენ ლ. გ. ფრიდმანი /329/, მ. პიუტცე /405/ და სხვანი.

მ. გვენცაძე ტექსტის ზედა ზღვრის შესახებ წერს, რომ იგი ისახება (направлен) ენობრივი ურთიერთობის სფეროთი, რომელიც თვითონ შეიცავს ამ აქტს /95, 24/. ამგვარად, აქაც ზედა ზღვარიც არ არის გადიფერენცირებული.

როგორც ვხედავთ, აზრთა სხვადასხვაობა ტექსტის საზღვრებსაც მოიცავს. ტექსტის ჩვენეული გაგება უფლებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ ერთი მონემა, ერთი თუ ორი სიტყვა, ერთი არასრული თუ სრული წინადადება, არც ორი წინადადება არ შეიძლება იყოს ტექსტის ქვედა ზღვარი. ტექსტის ქვედა ზღვარი ორი მეტატექსტია. რთულია ზედა ზღვრის საკითხი. აქ გადაჭრით ერთნიშნადი პასუხის გაცემა ჭირს, რადგან შეიძლება არსებობდეს ტექსტი, რომელიც შედგება ორი მეტატექსტისაგან. მაგრამ ბევრია-სამი, ოთხი თუ მეტი რაოდენობის

მეტატექსტისაგან შედგენილი ტექსტიც. გადაჭრით თქმა, რომ ტექსტის ზედა ზღვარი, ვთქვათ, ხუთი ან ექვსი მეტატექსტია, არ შეიძლება. მეტატექსტა ჩაოდნობას ტექსტში განსაზღვრავს ტექსტის ტიპი, მწერლის განათლების დონე, წერის მანერა და სხვა, რაიმე გრაფიკული ან არითმეტიკული ნიშანი აქ ვერ გვიშეულის. ვფიქრობთ, გასაზიარებელი ჩანს, ს. კანდინსკის დებულება, რომლის მიხედვითაც ტექსტის აზრობრივი დამთავრებულობა უნდა მივიჩნიოთ მის ზედა ზღვრად.

ენათმეცნიერთა შორის ერთსულოვნება არც ტექსტის პარამეტრების განსაზღვრაშია. ერთადერთი პარამეტრი, რომლის შესახებ არაფერს დაობს-ესაა ტექსტის გაბმულობა. ყველა თვლის, რომ გაბმულობა-ტექსტის უპირველესი და ძირითადი ნიშანია. ამას იქით კი თითოეული სპეციალისტი სუბიექტური მიდგომით მიიჩნევს ამა თუ იმ პარამეტრს ტექსტისათვის სპეციფიკურად.

ი. რ. ვალპერის ტექსტის არსებით პარამეტრად მიაჩნია რელატიურობა, პრედიკატულობა და მოდალობა /82, 75-76/. მისი აზრით, რელატიურობა უზრუნველყოფს ტექსტის ქარბი ინფორმაციის აუცილებელ წილს; პრედიკატულობა გულისხმობს უდიდეს ინფორმაციულობას, ხოლო მოდალობა ვლინდება რელატიურ და პრედიკატულ ზეფარასულ მთლიანობათა რთულ ურთიერთდამოკიდებულებაში.

ვალპერისი ტექსტის არსებით ნიშნად ასახელებს აგრეთვე აზრობრივ დამთავრებულობას /85, 5/.

კ. ა. ბუხბინდერისა და ე. დ. როზანოვისათვის ტექსტის პარამეტრებია: 1. არაყნობრივი სიმანდვილისადმი მიმართება, 2. აზრობრივი დამთავრებულობა, 3. აზრობრივი მრავალმხრივობა, 4. საკომუნიკაციო მიზანდასახულობა, 5. ენობრივი სტრუქტურული და კომპოზიციური გაფორმება, 6. გარკვეული უანრობრიობა /48, 46/. ამათგან ჩვენ პირველსა და მეექვსე ნიშნებს, აგრეთვე კომპოზიციურ გაფორმებას ტექსტის არსებით პარამეტრებად ვერ მივიჩნევთ.

ლ. გ. ფრიდმანი და ვ. გ. ბუტკო ტექსტის არსებით ნიშნად მხოლოდ აზრობრივ დამთავრებულობას მიიჩნევენ /330, 4/. მათი აზრით, მთლიან ტექსტს არავითარი ფორმალური დელიმიტაციური მაჩვენებელი არ გააჩნია. მართლაც, არ არსებობს რაიმე გრაფიკული ფორმალური ნიშანი, რომელიც ტექსტის დამთავრების მაჩვენებელი იქნება, მაგრამ გვაქვს ექსპლიციტური ნიშნები, რომელთა არსებობა როგორც მეტატექსტების კონექტორებისა, ტექსტის დონის მაჩვენე-

ბელია. მხედველობაში გვაქვს მიერთებითი კავშირები, ანაფორა, სიტყვის განმეორების სხვადასხვა სახე. ექსპლიციტურ საშუალებათა რეკურენტულობა იმის მაჩვენებელია, რომ საქმე გვაქვს კორეფერენციასთან. სხვა სატყვებით რომ ვთქვათ, ტექსტთან გვაქვს საქმე, რადგან ის, რაზედაც საუბარია ტექსტში, ეხება ერთსა და იმავე მოქმედ პირს ერთსა და იმავე თუ სხვადასხვა სიტუაციაში (ამაზე დაწერილებით ქვემოთ).

ს. ი. გინდინი ლიტერატურული ტექსტის ძირითად პარამეტრად მასში წინადადებათა ჩგუფის არსებობას მიიჩნევს /101, 351/, მაგრამ, ჩუენი აზრით, ეს ვერ ჩაითვლება არსებით პარამეტრად, რადგან უმეტეს შემთხვევაში წინადადებათა ჩგუფი მეტატექსტს გვაძლევს და არა ტექსტს.

გ. ვ. კოლშანსკისათვის ტექსტის არსებითი ნიშანია არა მარტო მისი მოცულობისა და აზრის ერთიანობა, არამედ გამონათქვამთა თანამიმდევრული გადაბმულობა, როცა გამონათქვამებს აერთიანებს საერთო თემა, იდეა და მსჯელობის საგანი /162, 62/.

კ. გაუზენბლასი გვთავაზობს სამეტყველო წარმონაქმნის (ტექსტის-უ. ს.) ისეთ ნიშნებს, როგორიცაა: 1. აზრის განსაზღვრულობა, 2. დაკავშირების საშუალებათა გამოყენების თანამიმდევრულობა, 3. ენობრივ საშუალებათა განსაზღვრული სელექციურობა და ორანჟირება /94, 62/.

არსებითია არა აზრის განსაზღვრულობა, არამედ დამთავრებულობა. მესამე ნიშანი კი უფრო საშუალებაა, ხერხია ვიდრე არსებითი პარამეტრი.

ლ. იზენბერგი ყოველგვარი ტექსტის საერთო ნიშნებად ასახვლებს: წინადადებათა ხაზოვან თანამიმდევრობას, მარცხენა და მარჯვენა მხარის ს.ზღვრებს, შედარებით დამთავრებულობას და გაბმულობას /138, 48/.

უნდა აღინიშნოს, რომ წინადადებათა ხაზოვანი თანამიმდევრობა გვაძლევს მეტატექსტს და არა ტექსტს. ამდენად, ეს პარამეტრი ტექსტის არსებით ნიშნად ვერ გამოდგება.

ნ. ს. ენკისტი ტექსტის ლინგვისტიკურ პარამეტრებს ხედავს ისეთ სამ ძირითად მონაცემში, როგორიცაა topic (თემა), focus (ფოკუსი) და linkage (კავშირი). ავტორის გაგებით, topic-ეს არის ტექსტის მთავარი თემა, მისი ძირითადი შინაარსი. focus-ი იხმარება ტექსტის მარკირებულ ელემენტების გამოსახატავად (სიტყვები, შესიტყ-

ვებები, ფრაზები, წინადადებები), და ბოლოს linkage წარმოადგენს გამოწვევის სხვადასხვა მონაკვეთის გაერთიანების საშუალებას.¹

ტექსტის ძირითად პარამეტრებს შორის ლ. დოლევალი ასახელებს motifs-ს (მოტივს)-შთავარ შინაარსს, რომელიც მთელ ტექსტში სხვადასხვა ფორმის სახით ვლინდება.

ამგვარად, ენათმეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას ტექსტის პარამეტრების განსაზღვრაშიაც აქვს ადგილი. სპეციალისტთა მიერ ხშირად აჩივს დასახელებული ისეთი ნიშნები, როგორცაა აზრის დამთავრებულობა, თემა და კავშირი, იგულისხმება, რომ გაბმულობა, როგორც ტექსტის პარამეტრი, ყველას მიერ აღიარებული და გაზიარებულია. ეს პარამეტრები მართლაც რომ არსებობს და მთავარი. ზოგი პარამეტრი თითქოსდა თავისთავად იგულისხმება. საკომუნიკაციო მიზანდასახულობა, მარცხენა და მარჯვენა მხარის საზღვრები, ენობრივი, სტრუქტურული გაფორმება თითქოსდა ბუნებრივი ნიშნებია. ამასთანავე, ზოგი ისეთი პარამეტრიცაა დასახელებული, რომელიც ან ტექსტის დონეზე არ მოქმედებს, ანდა მოქმედებს, მაგრამ უმნიშვნელოა თავისი არსით. ასეთ პარამეტრთა შორის შეიძლება დავასახელოთ: წინადადებათა გუფის არსებობა დაკავშირების საშუალებათა გამოყენების თანმიმდევრულობა, ენობრივ საშუალებათა განსაზღვრული სელექციურობა და ორანჟირება, ფოკუსი და სხვა.

ენათმეცნიერთა შორის აზრის სხვადასხვაობაა ტექსტის კატეგორიების შესახებ, მაგრამ ამაზე საუბარი ქვემოთ გვექნება.

ტერმინი „ტექსტი“ ერთადერთი არ არის ტექსტის ლინგვისტიკაში. მის სინონიმად იყენებენ ტერმინ „მეტყველებასაც“ (ი. პ. სეველი, 281; რ. ბარტი, 21; პ. ბრინკმანი, 393).

ევროპელ და ამერიკელ ენათმეცნიერთა შრომებში ტექსტის სინონიმად გვხვდება „დისკურსი“.

ტექსტის სინონიმად გვხვდება აგრეთვე ტერმინი „რეგისტრი“, რომელიც ედინბურგის სკოლამ შემოიღო.

როგორც ვხედავთ, ტექსტის შესახებ ენათმეცნიერები სხვადასხვა აზრისანი არიან, მაგრამ აზრთა ამ სხვადასხვაობას აერთიანებს ტექსტის არსისა და ფუნქციის ლინგვისტიკური გაგება, რომლის მიხედვითაც ტექსტი ენობრივ-სამეტყველო ერთეულია.

¹ აღნიშნული დებულებები მოხმობილი გვაქვს ი. რ. გილპერინის ნაშრომიდან /82, 74/.

ის, რაც აქამდე ითქვა ტექსტის შესახებ-ეს ტექსტისადმი ლინგვისტიკური მიდგომის სხვადასხვა ასპექტია. მაგრამ გვაქვს ტექსტისადმი სემიოტიკური მიდგომაც. სემიოტიკები ტექსტს განიხილავენ, როგორც ნიშანთა ამა თუ იმ ჯგუფის მნიშვნელობის ერთიანობას, რაც ენობრივი სტრუქტურის საზღვრებს სცილდება. ტექსტის სემიოტიკური გაგება პრინციპულად განსხვავდება მისი ლინგვისტიკური გაგებისაგან. ტექსტის სემიოტიკური გაგება ახალი დარგია და მან უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ფართოდ დაიკავა ადგილი სემიოტიკურ ლიტერატურაში, სადაც მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ზოგადი სემიოტიკური გაგებით, ნიშანთა ან მათ მნიშვნელობათა ნებისმიერი ერთობლიობა წარმოადგენს ტექსტს. ვიწრო გაგებით, ტექსტი-ეს არის ნიშანთა ნებისმიერი სემანტიკურად ორგანიზებული თანმიმდევრობა: /355, 7/.

სემიოტიკური გაგებით, ტექსტად ითვლება სიმფონია, ორატორია, ოპერა, ბალეტი, არქიტექტურული ძეგლი, შენობა, ქალაქი, თეატრი, კინო და სხვ.

ტექსტად არის გაგებული აგრეთვე: ფონემა, სიტყვა წინადადება, რთული სიტყვა, ზღაპარი, გამოცანა, ანდაზა, წარწერა, წერილი. ეს ერთეულები გაკებულია როგორც ტექსტის სიტყვიერ-წერილობითი ტიპი. სხვა ტიპია ტექსტად გაგებულია: სახვითი ხელოვნებისა და მუსიკალური ნაწარმოებები, მითურ-რიტუალური მოქმედებანი და სხვა. /137/.

სემიოტიკურად ტექსტის ძირითად ნიშად მიჩნეულია ის, რომ ტექსტი არის ინფორმაციის წყარო. მაგრამ ხელოვნების ნაწარმოებები შეიცავენ არა მარტო ინფორმაციას სინამდვილის შესახებ, არამედ იპყრობენ მსმენელს, მკითხველს, მაყურებელს ემოციონალური ზემოქმედებითაც, აწაღლებულისა და მშვენიერების განცდითაც. მაგრამ სემიოტიკურად გაგებული ტექსტისათვის ესთეტიკური განცდის ადამიანური ფაქტორი ყურადღების გარეშე რჩება.

ტექსტის სემიოტიკური გაგების შესახებ მსჯელობას აქ ეწყვეტთ. რადგან ჩვენს თემასთან, ტექსტის ლინგვისტიკურ ინტერპრეტაციასთან, როცა ტექსტად გაგებულია ენობრივ-სამეტყველო ერთეული, როგორც კომუნიკაციის საშუალება, მას არავითარი კავშირი არა აქვს.

ჩვენი გაგებით, ტექსტის ლინგვისტიკის საგანი არის ტექსტი. ხოლო ტექსტი ჩვენ გვესმის, როგორც უმაღლესი დონის ენობრივ-

სამეტყველო ერთეული, რომელსაც აქვს საკუთარი თემა, გრაფიკული სახე¹. სტრუქტურული და სემანტიკური მთლიანობა, აზრობრივი დამოაზრებულობა და საკომუნიკაციო დანიშნულება. ტექსტის ქვედა ზღვრად მიგვაჩნია ორი მეტატექსტი, ზედა ზღვრის მაჩვენებელია აზრობრივი დამოაზრებულობა. ტექსტის კატეგორიებად მივიჩნით: გაბმულობა, თანმიმდევრობა და მოდალობა. ტექსტის კომპონენტებია მეტატექსტები. მეტატექსტოვ ტექსტის ლინგვისტიკის შესწავლის ობიექტია. მეტატექსტად სხვადასხვა დროს შეცნეირთა მიერ გაგებულ იყო განსხვავებული ოდენობები, რომელთა შესახებ ვრცლად არის საუბარი ქვემოთ (იხ. „ვამონათქვამი“, „აბზაცი“, „ართული სინტაქსური (ზეფრაზული) მთლიანობა“, „პერიოდი“), დასახელებული საკითხების გაცნობით მკითხველი გაიგებს, თუ როგორ ესმოდათ და როგორ არის გაგებული მეტატექსტის არსი, ფუნქცია, პარამეტრები, საზღვრები.

1.3. ტექსტის ლინგვისტიკის ჩასახვა საბჭოთა პერიოდის ენათმეცნიერებაში

ტექსტის შესახებ ყოფილი საბჭოური ენათმეცნიერების წინა ისტორია შეიძლება დათარიღდეს ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებით.²

¹ ჩვენთვის ტექსტს ყველთვის გრაფიკული სახე აქვს. ტექსტია ის, რაც დაწერილია. დაწერილი ტექსტის ლინგვისტიკური და ფსიქოლინგვისტიკური პარამეტრების შესახებ იხ. ი. ეახვი /57/ და ნ. დ. ზარუბინა /126/.

² ი. ა. ფიგუროვის ნაშრომში /328/ ტექსტის შესწავლის ისტორია მიმოხილულია 1974 წლამდე. ავტორის აზრით, ტექსტის კვლევა იწყება ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან. ამ პერიოდის მიმართულებას იგი გრამატიკულს უწოდებს, ხოლო მის მთავარ წარმომადგენლად თავის თავს თვლის. ნ. ს. პოსელოვის გამოკვლევებს ფიგუროვისი ტექსტის კვლევის მეორე ეტაპს მიაკუთვნებს და მას სტოლისტიკურ მიმართულებად მიიჩნევს. ივტორი გამოყოფს აგრეთვე სტრუქტურულ-სემანტიკურ, თარგმნის ივტორმატრიციის და სხვა მიმართულებებს. ფიგუროვის ეს შეხედულებანი სხვებზე გაიზიარეს /იხ. მაგ. 217/. ჩვენ სხვა აზრისა ვართ: 30-იანი წლები შეიძლება მივიჩნიოთ ტექსტის შესწავლის წინაპერიოდად, ტექსტის ლინგვისტიკისათვის ნიადაგის მომზადების პერიოდად. 30-იან წლებში არავის და მათ შორის არც ფიგუროვის არ უკვლევია წინადადებაზე მეტი სამეტყველო ერთეული. კვლევის ობიექტი იმ პერიოდში იყო წინადადება (მარტივი თუ რთული), რომლის მიღმა არაიენ გასულა, თვით ი. ა. ფიგუროვისი 30-იან წლებში რთულ წინადადებას იკვლევდა. რთული წინადადების კვლევა კი ტექსტის კვლევა როლია. ეს რომ ასეა, ეს მისივე დებულებაში ელინდება, რომლის

იმისათვის, რომ ტექსტი გაგებულყო. როგორც ენათმეცნიერული კვლევის ობიექტი, საჭირო იყო წინადადებიდან გასვლა; ს. ი. გინდინის სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭირო იყო ტრადიციულ ლინგვისტიკურ პრობლემათა შორის დასმულიყო ისეთი პრობლემაც, რომლის გადაწყვეტა წინადადების ფარგლებიდან გასვლას დაისაჭიროებდა /101, 348/. ასეთ პრობლემად კი წარმოჩნდა მთლიანი ტექსტის პუნქტუაცია /327, 143-147/ და ინტონაცია /11, 3-46/. შემდეგში მთლიანი ტექსტის სტრუქტურის აღიარებამდე მივიდნენ ფსიქოლოგებიც. /299, 99-146/

საბჭოთა პერიოდის ენათმეცნიერთაგან, ვინც გასცდა წინადადების ფარგლებს და აღმოაჩინა წინადადებაზე დიდი ერთეული- "რთული სინტაქსური მთლიანობა", ერთერთი პირველთაგანი ნ. ს. პოსპელოვი იყო, მის თეორიულ დებულებათა ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა მარქსისტული დიალექტიკის დებულება სინამდვილის მოვლენათა მჭიდრო კავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის შესახებ. როგორც „შეიძლება და კიდევ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც მითითება ენათმეცნიერთათვის, რომ გრამატიკული წინადადებაც აუცილებლად განხილულ იქნეს გაბმული მონოლოგური მეტყველების ზემდგენლობაში, მის გარემომცველ კონტექსტთან უწყვეტ კავშირში, ე. ი. განხილულ იქნეს იგი, როგორც რთული სინტაქსური მთლიანობის ელემენტი" /252, 31/. 1946 წელს, როცა ა. ს. პუშკინის „ბრისკოს მხედრის“ სინტაქსურ წყობას აანალიზებდა, ნ. ს. პოსპელოვი წერდა, რომ ჩვენს მეტყველებაში არსებობს განსაკუთრებული სინტაქსური ერთეული, რომელსაც „რთული სინტაქსური მთლიანობა“ უნდა ეწოდოს და რომელიც წინადადებათა ისეთ შეკავშირებას წარმოადგენს, „საიდანაც ჩანს მასში შემავალი ელემენტების მნიშვნელობა, და რომელსაც ამის გამო, წინადადებისაგან

მიხედვითაც, „ურთიერთობა რთული წინადადების ნაწილებსა და დამოუკიდებელ წინადადებათა შორის მსგავსია“ /328, 108/ თავისთავად ეს დებულებაც მკდარია, რის შესახებაც სხვაგან გვეჩვენა საუბარი. ტექსტის შესწავლის ისტორია 1977 წლამდე მიმოხილულია ს. ი. გინდინის ნაშრომში /101/, სადაც გადმოცემულია, თუ როგორ შესწავლებოდა ტექსტი პოეტოკაში, ლოგიკასა და ფსიქოლოგიაში 20-იანსა და 30-იან წლებში. საუბარია რთული სინტაქსური მთლიანობის აღმოჩენასა და მისი თავისებურების დადგენაზე; გარკვეულია ტექსტის სტრუქტურის საკითხები, ტექსტის მდგენელთა, თავისებურებათა და კატეგორიათა საკითხები.

განსხვავებით, მართლაც აქვს ჩაკეტილი სინტაქსური სტრუქტურა“ /255, 18/.

„ბრინჯაოს მხედრის“ სინტაქსური ანალიზის საფუძველზე ნ. ს. პოსპელოვი აყალიბებს პოეტურ მეტყველებაში რთული სინტაქსური მთლიანობას, რომელსაც „რთული სინტაქსური მთლიანობა“ უნდა ეწოდოს და რომელიც წინადადებათა ისეთ შეკავშირებას წარმოადგენს, „საიდანაც ჩანს მასში შემავალი ელემენტების მნიშვნელობა, და რომელსაც ამის გამო, წინადადებისაგან განსხვავებით, მართლაც აქვს ჩაკეტილი სინტაქსური სტრუქტურა“ /255, 18/.

„ბრინჯაოს მხედრის“ სინტაქსური ანალიზის საფუძველზე ნ. ს. პოსპელოვი აყალიბებს პოეტურ მეტყველებაში რთული სინტაქსური მთლიანობის აკვების ისეთ ძირითად კონსტრუქციულ ფაქტორებს, როგორცაა:

1. „ერთწევრა და ორწევრა წინადადებების გარკვეული შეხამება“; 2. „რთული მთლიანობის შიგნით შემასმენელთა დროულ და ასპექტობრივ მნიშვნელობათა ორგანიზებული მონაცვლეობა“; 3. „რთული მთლიანობის შიგნით სინტაქსური კავშირის საშუალებათა ესათუის კომბინაცია“ /255, 19/.

რთული სინტაქსური მთლიანობის საილუსტრაციოდ პოსპელოვს მოაქვს მაგალითი, სადაც ორ წინადადებას შორის კავშირი მყარდება მეერთებელი-იუ კავშირის საშუალებით და ამგვარად „აღმოჩნდება წყვეტილი, ნახტომისებური“:

“Ночная мгла
На город трепетный сошла
Нужно жители не спали
И меж собою толковали
‘О дне мнущем’”.

ნ. ს. პოსპელოვის მიხედვით, რთული სინტაქსური მთლიანობის წყვეტილობა ჩვეულებრივ გამოიხატება წინადადებათა სხვადასხვა სახის უკავშირო შეერთებაში. ამ დებულების საილუსტრაციოდ კი ავტორი იმოწმებს პუშკინის შემდეგ სტროფს:

“На берегу пустынных волн
Стоял он, дум великих полн
И в даль глядел. Пред ним широко
Река неслася: бедный чели,
По ней стремился одиноко.”

წინადადებებზე მეტი, დიდი ერთეულის შესახებ ნ. ს. პოსპელოვმა სრული და მწყობრი თეორია 1948 წელს წამოაყენა მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში /251; 252/.

ნ. ს. პოსპელოვის აზრით, რთული სინტაქსური მთლიანობა¹ ხასიათდება „ჩაკეტილი სინტაქსური სტრუქტურით... მასში შემავალი წინადადებების სინტაქსური კავშირების წყვეტილი ხასიათით“ /251, 53/. ავტორის აზრით, რთული სინტაქსური მთლიანობის აგებულების წყვეტილობა ეპოხიხატება კავშირიანი და უკავშირო რთული მთლიანის შიგნით სინტაქსური კავშირების მიერთებით ხასიათში“ /252, 41/. გარდა ამისა, სტრუქტურის წყვეტილობას „შესაძლებელია ხაზი გაესვას პრედიკატულობის გამოხატვის განსხვავებულობით“ /251, 55/.

რთული სინტაქსური მთლიანობის სტრუქტურულ ნიშნად პოსპელოვს მიჩნეული აქვს აგრეთვე „მისი შემადგენლობის სინტაქსური სხვადასხვაგვარობა“, რომელიც გამოიხატება მის მდგენელ წინადადებათა სხვადასხვაგვარ ტიპობრიობაში, შემასმენელთა სხვადასხვა დროული მნიშვნელობების მრავალფეროვან შეხამებაში და რთულ მთლიანობათა ურგანულ შემადგენლობაში სხვადასხვა სახის პრედიკატულ კონსტრუქციათა ჩართვაში“ /252, 41/.

ნ. ს. პოსპელოვი ადგენს დამოუკიდებელ წინადადებათა რთულ სინტაქსურ მთლიანობად გაერთიანების ისეთ საშუალებებს, როგორცაა მიერთებითი ფუნქციის მქონე თანწყობითი კავშირები, სხვადასხვა სახის უკავშირო მიერთება, ერთწევრა და ორწევრა წინადადებების ამა თუ იმ სახით შერწყმა, ანაფორულად გამოყენებული ჩვენებითი, პირის, კუთვნილებითი და სხვა სახის ნაცვალსახელები, ზმნიზელები, მოდალური სიტყვები, სიტყვათა განშეორება, პარალელიზმი /251, 54-55; 252, 41-42/.

ნ. ს. პოსპელოვის გაგებით, რთული სინტაქსური მთლიანობა წარმოადგენს წინადადებათა ჯგუფს. იგი არის სინტაქსური ერთეული და ხასიათდება აზრობრივი დამთავრებულობით.

¹ იმავედროულად ა. ა. სმირნოვმა ექსპერიმენტულად დაამტკიცა მსგავსი ერთეულის რელევანტურობა ტექსტის აღქმისა და დამახსოვრების პროცესისათვის /295/. მოგვიანებით ნ. ი. ჟინკინმა დაადგინა, რომ ტექსტში ზეფრაზული მთლიანობის არსებობა — ეს არის წერიითი ტექსტის აგებულების ერთერთი მთავარი მაჩვენებელი /120/.

შეიძლება: თამამად ითქვას, რომ ნ. ს. პოსპელოვის შრომებმა დასაბამი მისცეს ახალ მიმართულებას ენათმეცნიერებაში:¹

აღნიშნავენ რა ნ. ს. პოსპელოვის ღვაწლისა და დამსახურების დიდ მნიშვნელობას, ენათმეცნიერები მიუთითებენ მისი დებულებების ნაკლოვან მხარეებზეც. გ. ი. სოლგანიკს მიაჩნდა, რომ შემადგენლობის წყვეტილობა და სხვადასხვაგვარობა – ეს ზოგადი და სავალდებულო ნიშნები როდია ყველა რთული სინტაქსური მთლიანობისათვის. ეს ნიშნ-თვისებები დამახასიათებელია მხოლოდ ზოგიერთი სახის რთული სინტაქსური მთლიანობისათვის და ამიტომ არ გამოდგება რთული სინტაქსური მთლიანობის სინტაქსური ბუნების ასახსნელად.²

ლ. გ. ფრიდმანის აზრით კი, ნ. ს. პოსპელოვისეული ინტერპრეტაციის მიხედვით, რთული სინტაქსური მთლიანობა სემანტიკურსა და სტილისტიკურ მთლიანობას უფრო წარმოადგენს, ვიდრე სინტაქსურს.³

ჩვენი აზრით, გ. ი. სოლგანიკმა და ლ. გ. ფრიდმანმა დამსახურება ნაკლად ჩაუთვალეს ნ. ს. პოსპელოვს, რომლის რთული სინტაქსური მთლიანობა სემანტიკურ მთლიანობას წარმოადგენს და არა სინტაქსურს.

იმვე 1948 წელს გამოქვეყნდა ი. ა. ფიგუროვსკის სტატია /325/, რომელშიც ავტორი არკვევს დამოუკიდებელ წინადადებათა შორის აზრობრივ კავშირს და ამ კავშირის გამოხატვის ენობრივ საშუალებებს.

ი. ა. ფიგუროვსკი თვლის, რომ „დამოუკიდებელ წინადადებათა შორის შეიძლება ისეთივე ურთიერთობა არსებობდეს, როგორსაც ვხვდებით რთული თანწყობილი ანდა რთული ქვეწყობილი წინადადებების ნაწილებს შორის“ /325, 25/. ავტორი იქვე ადგენს აღნიშნულ წინადადებათა შორის 13 სახის ძირითად ურთიერთობას, რომლებიც

¹ ნ. ს. პოსპელოვმა საფუძველი ჩაუყარა მოძღვრებას რთული სინტაქსური მთლიანობის შესახებ. მართალია, მისი რთული სინტაქსური მთლიანობა ჯერ კიდევ არ არის ტექსტი, მაგრამ მისი სახით წინადადებად განსვლა, წინადადებაზე დიდი ერთეულის კვლევა ტექსტის კვლევის საწყის ეტაპად უნდა იქნეს მიჩნეული.

² Г. Я. Солганик. Синтаксическая стилистика. Докторская диссертация. М., 1971, с. 26.

³ Л. Г. Фридман. Грамматические проблемы лингвистики текста. Докторская диссертация. М., 1979, с. 44.

ბსნიან დამატების, განსაზღვრების, ქვემდებარის, შემასმენლის, მიზეზის, შედეგის, დროის, მიზნის, ადგილის, მოქმედების ვითარების, შედარების, საწინააღმდეგოს ანდა ურთიერთგამომრიცხავ ურთიერთობებს /325, 25-26/.

ავტორი პიიჩნევს, რომ დამოუკიდებელ წინადადებათა შორის აზრობრივი კავშირი შესაძლოა განხორციელდეს: 1. მეზობელ მარტივ წინადადებათა შორის; 2. მარტივ წინადადებასა და რთული წინადადების ნაწილთა შორის; 3. რთული წინადადების ნაწილებს შორის; 4. ერთ წინადადებასა და რამდენიმე წინამავალ ან მომდევნო წინადადებას შორის და 5. წინადადებათა ჯგუფებს შორის (იქვე).

დამოუკიდებელ წინადადებათა შორის აზრობრივი კავშირის გამოხატვის საშუალებად ი. ა. ფიგუროვსკი ჩამოთვლის: წინადადებათა რიგს, ინტონაციას, კავშირებსა და საკავშირებელ სიტყვებს, განკერძოებულ სიტყვებს, შეერთებელ სიტყვებს, სიტყვათა რიგს, პარალელურ აგებულებას /325, 26/.

ეს დებულებები სისტემურ სახეს იღებს ი. ა. ფიგუროვსკის წიგნში /326/. რომელიც 1961 წელს გამოქვეყნდა. ამ ნაშრომში ავტორი რთულ სინტაქსურ მთლიანობას კომპონენტს უწოდებს, ხოლო კომპონენტი წარმოადგენს „დამთავრებულ წინადადებათა შეერთებას“ /326, 33/. ი. ა. ფიგუროვსკი აყალიბებს კომპონენტის ისეთ პარამეტრებს, როგორცაა: 1. შინაარსის ერთიანობა; 2. მთელი შენაერთისათვის საერთო განყენებული ურთიერთობით გაერთიანება; 3. შინაარსობრივი ჩაკეტილობა; 4. დაკავშირების მრავალმხრივობა; 5. დაკავშირების გრამატიკულ და ლექსიკურ საშუალებათა შედარებით თავისუფალი გამოყენება; 6. წინადადების ჩვეულებრივი უსრულობა; 7. სავნის სახელწოდების, ნიშნისა და მოქმედების გარემოების ხშირი შეცვლა მითითებითი სიტყვებით-ნაცვალსახელებით /326 50/.

ი. ა. ფიგუროვსკიმ თავისი შეხედულება გამოთქვა კომპონენტის სტრუქტურის შესახებაც. მისი აზრით, კომპონენტი ხშირად ემთხვევა აბზაცს, მაგრამ არც თუ იშვიათად ერთ აბზაცში ორი ან რამდენიმე კომპონენტიც, ზოგჯერ კი ერთი კომპონენტი რამდენიმე აბზაცისაგან შედგება /326 79/.

ჩვენ ვიზიარებთ ს. ი. გინდინის აზრს ი. ა. ფიგუროვსკის შრომების მნიშვნელობის შესახებ ტექსტის შესწავლის საქმეში. ს. ი. გინდინი წერდა, რომ ი. ა. ფიგუროვსკის შრომებში „მთლიანი ტექსტის სინტაქსი“ ემყარებოდა ფრაზათა შორის არსებული ურთიერთობის იმ

ურთიერთობებთან მსგავსებას, რომლებიც შეიმჩნევა რთული წინადადების ნაწილებს შორის, კომპონენტის შესწავლის ასეთი მე-
თოდი გამართლებული იყო ტრადიციით, სადაც წინადადებათა
აკლვის ჩინებული ბაზა არსებობდა /101, 349/.

1948 წელს გამოქვეყნდა აგრეთვე გ. ო. ვინოკურის ნაშრომი /72/,
რომელშიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს რეპლიკათა დაკავშირების ის
საშუალებანი, რომლებიც მანამდე არ წარმოადგენდა სპეციალური
კლვის საგანს. გ. ო. ვინოკურის აზრით, სავსებით განსაკუთრებულ
ლინგვისტიკურ ინტერესს იწვევს ისეთი დაკავშირება, როცა მონაცვლე
რეპლიკების მომიჯნავე ნაწილებში აღმოჩნდება ენის ისეთი ფაქტები,
რომლებიც განკუთვნილია მონათესავე ანდა საერთოდ შეპირისპირებულ
ენობრივ კატეგორიებს" /72, 265/.

რეპლიკათა ასეთი დაკავშირების ძირითადი სახეები შემდეგია:

1. ერთი რეპლიკის დაბოლოება და მეორის დასაწყისი შეიძლება
შეიცავდეს ერთსა და იმავე სიტყვას, აქ განსაკუთრებით გამოიყოფა
შემთხვევები, როცა სიტყვის განმეორება ახალი რეპლიკის დასაწყისში
წარმოადგენს სუფთა სიტყვიერ მითითებას პარტნიორის მიერ ადრე
ნათქვამის შესახებ" /72, 265/. ამ დებულების საილუსტრაციოდ
ავტორის მიერ მოხმობილი მაგალითებიდან აქ ერთ-ერთს დავიმოწ-
მებთ:

"Давно пропью, не воротить. А помнитесь?" "Что
помнитесь?"

2. ახალ რეპლიკაში ნათქვამი სიტყვის განმეორება შესაძლებე-
ლია სიტყვის პარადიგმატული ფორმის, ე. ი. ბრუნვის, სქესის, ზმნის
დროისა და სხვათა სხვადასხვაგვარი ცვლილების გზითაც" /72, 266/. მა-
გალითად:

"Ах, барин!" "Барин да";

"Где же лучше?" "Где нас нет".

3. სიტყვის უბრალო განმეორებით რეპლიკათა შეერთებას ვი-
ნოკური უმარტივს შემთხვევებს უწოდებს. ასეთი დაკავშირების გარ-
თულებულ სახედ იგი მიიჩნევს რეპლიკების შეერთებას საერთო სიტყ-
ვაწარმოქმნელ ბუდეში შემავალი სხვადასხვა სიტყვის მეშვეობით.
ამასთანავე, ორივე სიტყვა, რომელთა მეოხებითაც ხორციელდება მე-
ზობელი რეპლიკების გაერთიანება, შეიძლება ეკუთვნოდეს ერთსა და
იმავე გრამატიკულ კლასს, იმავე კლასის სიტყვათა სხვადასხვა გვარს
ანდა წარმოადგენდნენ სხვადასხვა გრამატიკულ კლასში შემავალ სიტყ-

ვებს" 172; 267/. ავტორი იმოწმებს მაგალითებს, — როცა ორივე დამაკავშირებელი სიტყვა ან არსებითი სახელია, ან ზმნა, ანდა ზმნიზედა. მაგალითად:

"Ой, зелье, баловница. Вы баловник, к лицу ли вам эти лица!"

"Разбудите, боюсь. Чего будить. Сама часы заводилась."

4. რეპლიკათა დაკავშირების ბოლო ტრას ვინოკური სემანტიკურს უწოდებს და ისეთ შემთხვევას განიხილავს, რომელშიც დამაკავშირებელი სიტყვების როლს ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები ასრულებს 172, 268/. მეორე რეპლიკა შეიცავს ნაცვალსახელს, რომელიც ცვლას პირველი რეპლიკის ამა თუ იმ სიტყვას. მაგალითად, Как думаете вы об Чапком? Он не глуп.

როგორც გ. ო. ვინოკურის გამოკვლევის მიმოხილვა გვიჩვენებს, ავტორმა წამოაყენა დებულებები, რომლებიც შემდეგში სხვებმა აიტაცეს და განავითარეს. თუ არაფერს ვიტყვით ანაფორულ ნაცვალსახელებზე, სიტყვის განმეორებამ ხომ ერთგვარი ბუმი გამოიწვია და რა არ შეარქვეს მას. შეიძლება ითქვას, რომ გ. ო. ვინოკური ერთერთი პირველთაგანია, ვინც აღმოაჩინა რთული სინტაქსური მთლიანობის (და ამდენად ტექსტის) სტრუქტურის წარმომქმნელი სპეციალური, მანამდე უცნობი საშუალებანი (სიტყვის განმეორების სხვადასხვა სახე). ამავე ნაშრომში ვინოკური იხილავს მიერთებითი კავშირების ფუნქციებსაც.

ამგვარად, 1946 წელს ნ. ს. პოსპელოვმა აღმოაჩინა რთული სინტაქსური მთლიანობა, რომლის დამოუკიდებელი არსებობა მან თეორიულადაც დაამტკიცა 1948 წელს, როცა დაასაბუთა ამ ახალი ერთეულის არსი, ფუნქცია და პარამეტრები ნ. ს. პოსპელოვის დებულებების გაზიარება-გაღრმავებას წარმოადგენდნენ ი. ა. ფიგუროვსკისა და გ. ო. ვინოკურის ნაშრომები. ამდენად, 1948 წელი თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ტექსტის ლინგვისტიკის ჩასახვის წლად.¹ ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ პირველი საზღვარგარეთული გამოკვლევა, მიძღვნილი რთული სინტაქსური მთლიანობისადმი, 1952 წლისი თარიღდება.² ამიტომ შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ტე-

¹ ჩვენს შესიედლებას ყველა არ იზიარებს. მაგალითად ა. ტ. კრივონოსოვი /169, 23-37/.

² იხ. 101, 348.

ქტის ლინგვისტიკის სათავეებთან იდგა ნ. ს. პოსპელოვი, რომელსაც მხარს უჭერდნენ ი. ა. ფიგუროვსკი და გ. ო. ვინოკუროი. უნდა ითქვას, რომ 1949 წელს ვ. ვ. სურენსკი აქვეყნებს სტატიას /308/, რომელშიც გაანალიზებულია მომიჯნავე წინადადებათა შორის ლოგიკურ-სინტაქსური დამოკიდებულება და გამოყოფილია ასეთი ურთიერთობის 11 ტიპი: 1. ჩამოთვლა, 2. თანამიმდევრობა, 3. ახსნა-განმარტება, 4. დანაწევრება, 5. შედარება, 6. მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობა, 7. კითხვა-პასუხის დამოკიდებულება, 8. დასკვნა, 9. თემიდან გადახვევა, 10. დაპირისპირება 11. გაწყვეტა /308 13-14/.

ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ დასახელებულ ურთიერთობათა ენობრივი გამოხატვის საშუალებებზე ნაშრომში არაფერია თქმული.

1.4. ტექსტის გარემობისათვის რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში

წარსულის დიდ რუს გრამატიკოსთა ნაშრომებში ჩვენ ვხვდებით ზოგიერთ მითითებას, მსჯელობას ისეთ რთულ სამეტყველო ურთიერთობაზე, რომელიც მეტია წინადადებაზე.

ტექსტის ლინგვისტიკის თეორიის ელემენტები რუსულ გრამატიკულ აზროვნებაში უკავშირდება მ. ვ. ლომონოსოვის სახელს. პირველად ლომონოსოვი აყალიბებს მოძღვრებას „პერიოდის“ შესახებ, რომელიც მსგავსად ანტიკური ხანის მოაზროვნებისა, მასაც რიტორიკის საგნად მიაჩნია /195/.

¹ შტრ.: ი. ა. ფიგუროვსკიმ 13 ტიპი გამოყო /325, 25-26/.

„არისტოტელე (384-322) თავის „რიტორიკაში“ პერიოდს ასე განმარტავს: პერიოდულში მე ვეულისებობ სიტყვას, რომელსაც აქვს დასაწყისი და დასასრული და ადვილად შესაძინევი სიდიდე“ (არისტოტელე, რიტორიკა, მთარგმნელი თ. ეკვაი. თბილისი, 1981, გვ. 182). ჭარბულ თარგმანში „პერიოდი“ გაგებულია „სიტყვად“, რუსულში კი – ფრაზად (იხ. ЛИНГВИЧЕСКОЕ ТЕОРИИ ЯЗЫКА И СТИЛЯ. М.-Л., 1936, с. 183-184). მთარგმნელთან, ჭაღბატონ თამარ ეკვაესთან, პირად საუბარში გამოირკვა, რომ „სიტყვა“ შეიძლება გოვიგოთ როგორც ფრაზა, ფრაზა კი – როგორც წინადადებაზე მეტი ერთეული.

არისტოტელეს გაგებით, პერიოდი შეიძლება შეიცავდეს ნაწილებს, მაგრამ შეიძლება მარტივიც იყოს. პერიოდული სიტყვა არის ერთი მთელი და დასრულებული, შემდგომი ნაწილებისაგან“ (იქვე). პერიოდის ნაწილს არის-

მ. ვ. ლომონოსოვი თავის „რიტორიკაში“ პერიოდის შესახებ წერს: „მარტივი იდეების შეუღლებით შედგენილ წინადადებებს რიტორიკულად პერიოდი ეწოდება“ /195, §40/. „პერიოდი ზოგჯერ ძალიან დიდი შეძლება იყოს და ოთხზე მეტი წევრისაგან შედგებოდეს... ზოგჯერ კი... მეტყველება შედგება ძალზე მოკლე და უმეტეს შემთხვევაში ერთწევრა პერიოდებისაგან, რომლებსაც შეიძლება შეენაცვლოს უკავშირო გრძელი პერიოდი. ასეთი პერიოდები ნაწყვეტ პერიოდებად იწოდებიან“ /195, §44/. ასეთი პერიოდის საილუსტრაციოდ ლომონოსოვს მოაქვს მაგალითი, სადაც წინადადებები (ცხრა წინადადება) გაერთიანებულია უკავშირად:

«Уже врата отверзло лето;
 Натура ставит общий пир;
 Земля и сердце в нас нагрето;
 Колеблет ветви, тих зафир;
 Обьес...лит мягкий лут крылами;
 Крутится чистый ток полями;
 Брега питает тучный ил;
 Листы и цвет покрылись медом;
 Ведет своим довольство следом
 Поспешно красный вождь светил»

მ. ვ. ლომონოსოვი აყენებს დებულებას პერიოდთა შეერთების; უკავშირების შესახებ და წერს: Союзом периодов называем то, по чему слово, из многих периодов, в рассуждении материи иногда различных, состоящее, как единой целью, пристойно и согласно, предлагается /195, §315/.

ტატლე უწოდებს „კოლონს“. იგი ყურადღებას აქცევს პერიოდის ნაწილების განლაგებას და აღნიშნავს, რომ პერიოდის ნაწილები ან ერთმანეთს მოსდევს, ან ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან“ /გვ. 183/. ჩვენი იზრით, აქვთებდა ქართულ თარგმანში „ეწინააღმდეგებიან“ სიტყვის ნაცვლიდ ყოფილიყო „უპირისპირდებიან“. უნდა აღინიშნოს, რომ პერიოდი არის ტატლესათვის რიტორიკის სივანი იყო.

მ. ვ. ლომონოსოვი გამოყოფს ერთწევრა, ორწევრა, სამწევრა და ოთხწევრა პერიოდებს. ამ ოთხი სახის პერიოდს იგი მიიჩნევს „დამრგვალებულად“ და „ზომიერად“. ეტორის იზრით, პერიოდთა შემდეგი, უფრო რთული სახეა „მოკლე პერიოდები“ და პერიოდთა კავშირები“ (195, §43, §315).

მ. ვ. ლომონოსოვი „პერიოდთა“ კავშირის¹ ისეთ მაგალითსაც გვაწვდის, რომლებშიც შემადგენელთა უკავშირო შეერთება ერწყმის მიერთებითი ფუნქციით გამოყენებულ მაერთებელ კავშირიან შენაერთებს. ერთ-ერთი პროზაული მაგალითი ასეთია:

«Несчастливый старик видел опроверженное и разграбленное свое отечество, отнят был от жены, стоял на пепеле сожженного Олиипа. Уже тогда довольно был он прискорбен, чтобы, смотря на него, изобразить Прометея. Кто бы, желая представить живописью сокрушение корабля, нарочно для того потопил человека? Был, однако, мало показалося! Жег, и того недовольно! Терзал, но сие довольно, говорил он, гневному Филиппу, а не гневному Зевесу. Уже от Минервина храма бегают, как от полков македонских. Уже умучен, чего и Филипп не сделал! Умершвыи, но не Прометей от Зевеса! Кто уже ныне будет жиюваться на Филиппа? Да погубят тебя боги, беззаконник, ты и Филиппа мил стивым сделал!».

ლომონოსოვის მაგალითი ილუსტრაციაა იმისა, რომ „პერიოდებში“ ის წევრებს და მთლიან პერიოდებს, განსაკუთრებით მაღალსა და მძაფრ მატერიებში, დიდი ძალა და ცხოველყოფელობა აქვთ, როცა კავშირები, რომელთა გვერდის ავლა შეიძლება ამოღებულია“ /195, §324/.

საინტერესოა მ. ვ. ლომონოსოვის შენიშვნები კავშირთა როლის შესახებ. მისი აზრით, პერიოდთა აგების დროს, „კავშირი სხვა არაფერია, თუ არა ის საშუალება, რომლითაც იდეები ერთიანდებიან; ამიტომაც ისინი ჰგვანან იმ ლურსმნებს, ანდა წებოს, რომელთა მეშვეობითაც ასეთი ბუმბერაზის ნაწილები ერთმანეთს მიეკვდება ანდა შეეწყება.“ /195, 325/.

ამ დებულების საილუსტრაციოდ ლომონოსოვს მოაქვს შემდეგი პოეტური მაგალითი:

«Великой похвалы достоин,
Когда число своих побед
Сравнить сраженьям может воин,
И в поле весь свой век живет;
Но ратники ему подвластны,
Всегда хвалы его причастны».

ამგვარად, რუსულ ენათმეცნიერებაში მ. ვ. ლომონოსოვი პირველი აყენებს პრობლემას წინადადებათა შეკავშირების შესახებ. „პერიოდთა კავშირის“ შესახებ მ. ვ. ლომონოსოვის შემდეგ მოძღვრებას „პერიოდზე“ და „წვეტილ მეტყველებაზე“ /«отрывистый речень»/ ამუშავებს ა. ხ. ვოსტოკოვი, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს გამართულ მეტყველებას და ცალკეულ წინადადებებს. მისი აზრით, წინადადება ემსახურება ერთი აზრის გამოსახვას, მეტყველება კი „არის სიტყვათა შეერება, რომელიც გამოხატავს ერთიან აზრს“ /74, §108/.

მ. ვ. ლომონოსოვისაგან განსხვავებით, ა. ხ. ვოსტოკოვი პერიოდს უწოდებს არა ცალკეულ წინადადებებს, არამედ უფრო რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებს, „რომლებიც შეიცავენ სრულ აზრს“.¹ წინადადებისაგან, ე.ი. მეტყველებისაგან ან სიტყვათშესამებისაგან, რომლებიც შეიცავენ თითო აზრს; იქმნება პერიოდები, ე.ი. სიტყვათაშეთანხმებანი, რომლებიც შეიცავენ სრულ აზრს.

ა. ხ. ვოსტოკოვის მიხედვით, „პერიოდი შეიძლება შედგებოდეს ერთი მარტივი ან რთული წინადადებისაგან, ანდა კავშირით შეერთებული რამდენიმე ასეთი წინადადებისაგან“, ეს იმიტომ, რომ „მეტყველების მთლიანი აზრისათვის ზოგჯერ საკმარისია ერთი აზრი, ზოგჯერ კი საჭიროა დაპირისპირება ან თანამიმდევრულობა რამდენიმე აზრისა, რომლებიც ერთმანეთს ხსნიან“ /74, §141/. პერიოდის საილუსტრაციოდ ა. ხ. ვოსტოკოვს მოაქვს შემდეგი მაგალითი: «Неню покрывлюсь облаками, настала гроза, полился дождь; и мы должны были искать пристанище».

ა. ხ. ვოსტოკოვის აზრით, მეტყველება, როგორც ვისიმე გამონათქვამი, შეიძლება არ ეტეოდეს, არ თავსდებოდეს პერიოდში. ასეთი „წვეტილი მეტყველება“ შედგება „მოკლე წინადადებებისაგან, რომლებიც შინაარსობრივად ერთმანეთზე არიან დამოკიდებული, მაგრამ შეერთებული არ არიან კავშირებით“ /74, §144/. ამ დებულების საილუსტრაციოდ მოხმობილია შემდეგი მაგალითი:

•Время драгоценно; оно проходит скоро; возмутить или остановить течение его не в наших силах; не беречь оно худо; употреблять в зло, еще того хуже».

¹ თუ რას ნიშნავს მეტყველების სრული აზრი, ამის შესახებ ა. ხ. ვოსტოკოვი წერს: „მეტყველებას მიზან აქვს სრული აზრი, როცა მასში ნათქვამი ყველაფერი, რაც საჭირო იყო ამი თუ იმ დებულების დასამტკიცებლად, უარსაყოფად ან დასაბუთებლად“ /74, §140/.

ამ მაგალითის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აქ წინადადებები გაერთიანებულია არა მარტო ლოგიკურად, არამედ სინტაქსურადაც: ანაფორულად გამოყენებული ნაცვალსახელებითა და შემასმენელთა აწმყო დროის დორმათა ერთიანობით, და რაც მთავარია, გვაქვს წინადადებათა უკავშირო გადაბმა.

ნ. ს. პოსპელოვის მართებული შენიშვნით, ვოსტოკოვს წინადადებაზე ეფრო რთული სინტაქსური სტრუქტურის აღსანიშნავად გამოყენებული ქონდა ტერმინები — „პერიოდი“ და „წყვეტილი მეტყველება“, მაგრამ, მსგავსად ლომონოსოვისა, მას არ მოუცია რთული სინტაქსური მთლიანობის ცნების ახსნა და არ უჩვენებია, თუ რით განსხვავდება პერიოდი წინადადებისაგან, როგორც მარტივი სინტაქსური ერთეულისაგან /252, §33/.

იმავ ცნების გამოსახატავად, რისთვისაც მ. ვ. ლომონოსოვი და ა. ხ. ვოსტოკოვი ტერმინ „პერიოდს“ იყენებენ, ფ. ი. ბუსლაევს შემოაქვს ტერმინები „მეტყველება“ და „წინადადებათა შეერთება“. ფ. ი. ბუსლაევის შეხედულება „წინადადებათა შეერთებაზე“, როგორც მეტყველების უდიდეს ერთეულზე, გამომდინარეობს მისი ზოგადი კონცეფციიდან ენის, როგორც ერთიანი, მთლიანი „ორგანიზმის შესახებ“, რაც რთული სინტაქსური სტრუქტურის მოძღვრების ერთგვარ გაღრმავებას წარმოადგენს. ფ. ი. ბუსლაევი წერს: „ენის მთელი აგებულება (სტრუქტურა), ცალკეული ბგერებიდან წინადადებამდე და წინადადებათა შეკავშირებამდე, წარმოგვიდგენს ცოცხალ კავშირს ცალკეული წევრებისას, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და ქმნიან ისეთ ერთიან მთლიანს, რომელიც თავის მხრივ თითოეულ ამ წევრს ანიჭებს აზრსა და მნიშვნელობას“ /47, 21-22/, მეტყველებაში ნაწილებისა და მთელის ასეთ დამოკიდებულებას, ბუსლაევის მიხედვით, „ენის ორგანიზმი“ ეწოდება (იქვე). ფ. ი. ბუსლაევი გვიჩვენებს, თუ რა შეეფარდება აზროვნებაში წინადადებათა კავშირს. საინტერესოა, რომ ენის ეს ახალი ერთეული მას აზროვნებიდან გამოჰყავს: „ვინაიდან წინადადება წარმოიქმნა პირთა შორის საუბარში, ხოლო საუბარი შედგება საურთიერთო ცნობებისა და აზრების დაწვრილებითი გადმოცემისაგან, ამიტომ ენაში აზრთა შეკავშირება უნდა იამოისახოს წინადადებათა შეერთებით. შეერთებულ წინადადებათა წყობა მეტყველებად იწოდება“ /47, 21/.

ფ. ი. ბუსლავეის გაგებით, მეტყველება შეიძლება შედგებოდეს როგორც ცალკეული წინადადებისაგან, ისე ერთმანეთთან შეერთებული წინადადებებისაგან /47, 278/.

რთული სინტაქსური მთლიანობის გაგებამდე ახლოს მივიდა ა. ა. პოტებნიაც, რომელმაც ამ ერთეულს, მსგავსად ფ. ი. ბუსლავეისა, „მეტყველება“ უწოდა. ამ ტერმინს პოტებნია იყენებს ფართო გაგებითაც, როგორც ენის რეალურ სინამდვილეს, და ვიწრო გაგებითაც, როგორც წინადადებათა ცნობილ ერთობლიობას /256, 44/.

ა. ა. პოტებნიასათვის მთავარია არა იმდენად „მეტყველება“ (როგორც სინტაქსური ერთეული), არამედ სიტყვისა და მეტყველების მკიდრო ურთიერთმოქმედების პრობლემა, მეტყველებაში სიტყვის ფუნქციონირება. პოტებნია ამტკიცებდა რომ ყოველი სიტყვის ნამდვილი სიციცხლე „ხორციელდება მეტყველებაში. მეტყველებაში სიტყვა ყოველთვის შეესატყვისება (შეესაბამება) აზრის ერთ აქტს და არა მრავალს“ /256, 15/. სხვა ადგილას ა. ა. პოტებნია წერს: „ერთი იზოლირებული სიტყვა სინამდვილეში არ არსებობს. სინამდვილეში არის მხოლოდ მეტყველება. სიტყვის ესა თუ ის მნიშვნელობა შესაძლებელია მხოლოდ მეტყველებაში. წინადადებიდან ამოგლეჯილი სიტყვა მკვდარია არ ფუნქციონირებს“ /256, 41/.

ა. ა. პოტებნია შენიშნავს, რომ „მეტყველება სულაც არაა მარტივ თუ რთულ წინადადებათა იდენტური“, მეორე მხრივ, იგი უთუოდ როდი წარმოადგენს შეერთებულ წინადადებათა რიგს“, როგორც მას განმარტავდა ფ. ი. ბუსლავეი“, რადგანაც იგი შეიძლება იყოს ერთი წინადადებაც, ის არის სიტყვათა ისეთი შენაერთი, საიდანაც ჩანს (და ისიც... მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში) მასში შემავალ ელემენტთა მნიშვნელობა“ /256, 42/.

რთულ სინტაქსურ მთლიანობას, „მეტყველებას“ პოტებნია სპეციალურად კი არ განიხილავს, არამედ ამ საკითხს სხვა პრობლემების კვლევისას ეხება. როგორც ვ. ვ. ვინაგრადოვი აღნიშნავს, „მეტყველება პოტებნიას განსაზღვრით, სინონიმია ახლანდელი ისეთი ტერმინისა, როგორიცაა გამონათქვამი“ /66, §320/.

რთულ სინტაქსურ მთლიანობას, როგორც გამონათქვამს, იკვლევდა ა. მ. პეშკოვსკიც, რომელიც მიუთითებდა, რომ ენაში არსებობს წინადადებათა ისეთი ერთიანობაც, რომელიც „შედგება წინადადებათა ცალკეული ჯგუფებისაგან, რომელთა შინაგანი ერთიანობა უფრო მეტია, ვიდრე გარეგანი“ (იხ. მისი „სინტაქსის“ მეორე გამოცემა 1920

წ.: „სინტაქსის“ შემდგომ გამოცემებში პეშკოვსკიმ „რთული მთლიანობის“ ტერმინქვეშ გააერთიანა წინადადებათა კავშირიცა და ისიც, რასაც რთულ წინადადებას უწოდებენ. ამასთან ერთად, განსაზღვრა იგი, როგორც „წინადადებათა ნაერთი, რომელიც შეერთებულია კავშირებით, კავშირიანი სინტაქსური პაუზებით და არაა გათიშული მაკალექციური სინტაქსური პაუზებით“ /247, 410/.

ა. მ. პეშკოვსკის აზრით, „მეტყველება წარმოადგენს ცალკეულ წინადადებათა და რთულ მთლიანობათა სრულიად უწესრიგო მონაცვლეობას. მაგრამ მეტყველების ნამდვილი ერთეული არის არა წინადადება და არა რთული მთლიანობა, არამედ რაღაც სიდიდით, გრამატიკულად ხან რთული, ხან მარტივი; რომელსაც მოეპოვება სამიდან ერთ-ერთი ინტონაცია: დამამთავრებელ-თხრობითი, კითხვითი და ძახილის“ /247, 410-411/. მეტყველების ამ ძირითად ინტონაციურ ერთეულს კი პეშკოვსკი ფრაზად მიიჩნევს. როგორც ჩანს პეშკოვსკი „რთულ მთლიანობას“ ახასიათებს საერთო ინტონაციის მიხედვით.

ა. მ. პეშკოვსკიმ აღმოაჩინა არა მარტო „რთული მთლიანობა“ არამედ მან ისიც იცის, რომ „საკუთრივ ლიტერატურულ მეტყველებაში (და არა სასაუბროში) არსებობს რთულ მთლიანობაზე უფრო დიდი ერთეულიც. ესაა რთულ მთლიანობათა შეერთება ერთი წითელი სტრიქონიდან მეორემდე. სამწუხაროდ, ამ ერთეულისათვის სინტაქსური ტერმინი არ არსებობს, და ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ, მის აღსანიშნავად ვისარგებლოთ ისეთი ტოპოგრაფიული (აგრეთვე უცხოური) ტერმინით, როგორიცაა აბზაცი“ /247, 410/.

თუ დავაკვირდებით, პეშკოვსკის „აბზაცი“ იგივეა, რაც დღევანდელი რთული სინტაქსური მთლიანობა, მაგრამ იგი მხოლოდ პრობლემის წამოყენებით ემაყოფილდება. ამ ახალ სინტაქსურ ერთეულს კი გაშლილად არ განიხილავს მის მიერ „აბზაცი“ სტრუქტურაში შემავალ დამოკიდებულ წინადადებათა კავშირი ახსნილია ტრადიციული თანწყობისა და ქვეწყობის ფარგლებში.

ნიშნდობლივია, რომ „აბზაცსაც“ პეშკოვსკი ინტონაციის მიხედვით ახასიათებს: „აბზაცთა შორის საზღვარს, განსხვავებით რთულ

„რთულ მთლიანობას“ პეშკოვსკი უწოდებდა რთულ წინადადებას ტრადიციული გაგებითა და გამოყენებით. იგი წერდა: „ტერმინს „რთული წინადადება“ ჩვენ ვუარყოფთ, რადგანაც იგი რამდენიმე წინადადებას მიიჩნევს ერთ წინადადებად და ამით არეულობას ქნის“ /247, 410/.

მთლიანობათა შორის არსებული საზღვრებისა, წარმოადგენს მხოლოდ ზედმეტად გაგრძელებული პაუზები. ეს იმიტომ, რომ არ არსებობს განსაკუთრებული ინტონაციები, რომლებიც პრინციპულად განასხვავებდა ააზაცს რთული მთლიანობისაგან" /247, 410/. ავტორს ამ დებულების საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითი მოაქვს ი. ს. ტურგენევის თხზულებიდან: «Пот уже золотые полюсы прогнулись по щелку, в оврагах клунытся пары; жаворонки звонко поют, предзрачный ветер подул; — и тихо всплывает бирювые солнце».

ნ. ს. პოსპელოვის სამართლიანი შენიშვნით, ა. მ. პეშკოვსკის აღრეულ შრომებში რთულ მთლიანობათა შეერთება „იღებს ლოგიკურ მთლიანობათა მნიშვნელობას და ამიტომაც თავისი შემადგენლობის მიხედვით არ საკვიროებს განსაკუთრებულ სინტაქსურ დახასიათებას" /251, 50/.

წინადადებაზე მეტი ერთეულის არსებობას ყურადღება მიაქცია ა. ი. ბელიჩმა 1947 წელს და ამ ერთეულს მან „წინადადებათა მთლიანი ჯაჭვი" უწოდა. ა. ი. ბელიჩი წერდა: „უკვე გაისმის ხმები, რომ ენის ფაქტების გრამ.ტიკულ წარმოსახვაში ცალკე ადგილი უნდა დაეთმოს წინადადებათა მთლიან ჯაჭვებს, რომლებიც შეერთებული არიან მნიშვნელობათა ერთიანობითა და რომლებიც წარმოადგენენ ცნობილ სინტაქსურ-სემანტიკურ მთლიანობებს" /26, 22/.

ა. ი. ბელიჩმა ასეთ „პერიოდებში" შენიშნა ზოგიერთი ისეთი გრამატიკული ქოვლენა, რომელიც წინადადებაში არ გვხვდება. მისი აზრით, ასეთებია: მაგალითად, „განსაკუთრებული მიერთებითი კავშირები; კონტექსტით შეპირობებულ უსრულ წინადადებათა მთელი წყება და სასაუბრო მეტყველების რეპლიკები" /26, 36-46/.

ვ. ვ. ვინიგრადოვს სპეციალურად არ დაუშუშავებია ტექსტის ლინგვისტიკური ანალიზი, მაგრამ საკითხთა ის წრე, რომელსაც მეცნიერი იხილავდა პოეტიკის, მხატვრული სიტყვის სტილისტიკის, მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურის სფეროში, დღეისათვის ტექსტის სტრუქტურის პრობლემებს განეკუთვნება. ესენია: ტექსტის გაბმულობისა და ერთიანობის პრობლემა; ავტორის სახე, როგორც ტექსტის გლობალური მთლიანობის საფუძვლის სახე; კომპოზიციის როლი; ავტორის სახისა და ტექსტის ტიპოლოგიის საკითხი; მეტყველების ლინგვისტიკის ორი ტიპი; მხატვრული ტექსტის ანალიზის დროს გა-

მოყოფილი ერთეულის პრობლემა; კავშირთა სახეები მხატვრულ ტექსტში და ა. შ. /: 52, 4/.

კ. ვ. ვინოგრადოვის მიხედვით, ტექსტის შინაგან ერთიანობას ქმნის ავტორის სახის ერთიანობა, რომელიც ახლავს არა მარტო მხატვრულ, არამედ ფელასახის ტექსტს.

ავტორის სახის დახასიათებისას ვინოგრადოვი ხაზს უსვამს ტექსტში ავტორის სახის ცენტრალურ, გამაერთიანებელ, მასინთეზირებელ იდეას. მისი აზრით, „ავტორის სახე-ეს არაა მეტყველების უბრალო სუბიექტი, უმრავლეს შემთხვევაში იგი თითქმის დასახელებულიც არაა მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურაში. იგი კონცენტრირებული განსახიერებაა ნაწარმოების დედაარსისა... რომელიც მთელის იდეურ-სტილისტიკურ შუაგულს, ფოკუსს წარმოადგენს“ /67, 118/. ერთი ნაწარმოების ზიგნით ავტორის სახე განისაზღვრება, როგორც „ანტივიდუალური სიტყვიერ-სამეტყველო სტრუქტურა, რომელიც გასდევს მხატვრული ნაწარმოების აგებულებას და რომელიც განსაზღვრავს მისი ყველა ელემენტის ურთიერთკავშირსა და ურთიერთმოქმედებას“ /67, 151/

ავტორის სახეს კ. ვ. ვინოგრადოვი მიიჩნევს მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციის ორგანიზაციულ ცენტრად ან ქვაკუთხედად.

კ. ვ. ვინოგრადოვმა, დააყენა მხატვრულ ლიტერატურაში ავტორის სახის ტიპოლოგიის პრობლემა, გახსნა „ავტორის სახის“ სხვადასხვა ასპექტი¹ განასხვავა ისეთი ტიპები, როცა ავტორსა და მკითხველს შუა დგას მთხრობელი, რომლის სახეც-ეს არის ავტორის ლიტერატურული არტისტიზმის ფორმა“ ისეთი ტიპებისაგან, სადაც ავტორის სახე „დაფარულია კომპოზიციისა და სტილის სიღრმეებში“ /67, 118/.

როგორც ი. ვ. როჯდესტვენსკი წერს: „ავტორის სახის“, როგორც აზრობრივი წარმონაქმნის, არსი იმაში მდგომარეობს, რომ

¹ კ. ვ. ვინოგრადოვის „ავტორის სახის“ იდეა გავრცელებასა და განვითარებას პოეზიის სფეროში ხეხს დროში. იხ. 112, 181-220, აგრეთვე: Иванчикова Е.А. Категория «образа автора». в научном творчестве В.В. Виноградского. - Известия АН СССР. Серия литературы и языка, т.44, №2, 1985 г., с.123-134. Степанов Г.В., Целостность художественного образа и лингвистическое единство текста. - В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч. II, 1974, с.72-76.

მასში განხორციელებულია აზრობრივი ჩანაფიქრი და მეტყველების მანერა, ამასთან ერთად იგი გამაერთიანებელ საწყისს წარმოადგენს ნაწარმოების ყველა ნაწილისათვის“ /274, 14/.

გ. ვ. ვინოგრადოვს მიაჩნია, რომ „ავტორის სახის“ ცნება წარმოადგენს „ერთი ნაწარმოების, ნაწარმოებთა ციკლის ანდა მთლიანად მწერლის შემოქმედების კონსტრუქციულ ელემენტს“ /67, 155/.

გ. ვ. ვინოგრადოვის მიერ მხატვრული ნაწარმოები განიხილება, როგორც „განუმეორებელი ინდივიდუალური სიტყვიერი სტრუქტურა“, ან როგორც „დამთავრებული აზრის გამომხატველი ორგანიზმი“ /65, 92/. „ამიმომის ცენტრი სტრუქტურის ელემენტებიდან გადაიტანება გაერთიანების პრინციპებზე“. მხატვრული ნაწარმოები ჩვენს წინაშე წარმოდგება, „როგორც იდეურად შეკრული ფორმა, როგორც სიმბოლო, რომლის აზრობრივი გადაწყვეტილებანი ტრანსფინიტურია. მაგრამ ჩაკეტილია მკაცრად მოხაზულ სფეროში“ /65, 94/.

გ. ვ. ვინოგრადოვის მიხედვით, მხატვრულ ტექსტში გამოიყოფა სხვადასხვა მოცულობის, სხვადასხვა მასშტაბის, ფუნქციურად და სტრუქტურულად სხვადასხვა სახის ერთეულები, მათ შორის ისეთი ერთეულებიც, რომლებიც ენის სისტემის ერთეულებს ეფარდებიან, თუ მათ სტილისტური რელევანტობა ახასიათებს.

გ. ვ. ვინოგრადოვი თვლის, რომ მთლიანი სტრუქტურის დაყოფა „მიმდინარეობს მანამდე, ვიდრე სტრუქტურის ზღვრული ნაწილები არ დაიშლებიან სოციალურ-საერთო ენობრივ მონაკვეთებად, რომლებიც თავიანთ სემანტიკაში უკვე აღარ ამჟღავნებენ მთლიანის სტრუქტურულ თვისებებს“ /65, 94/.

გ. ვ. ვინოგრადოვის შრომებში შესწავლილია ყველა სახის კავშირი, დაწყებული ტექსტის სიღრმისეული ერთიანობით თუ საერთო კომპოზიციით და დამთავრებული ლოკალური კავშირის სხვადასხვა ფორმით.

საინტერესოა გ. ვ. ვინოგრადოვის აზრი მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურის უწყვეტელობის შესახებ, მდგენელთა არა მარტო დროსა და სივრცეში შეხების, არამედ აგრეთვე მათი სემანტიკური ურთიერთდაკვეთის შესახებ. მისი აზრით, „მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურა უწყვეტია. მაგრამ მისი წევრები განისაზღვრება არა მარტო გადამბეულობის დინამიკით სივრცისა და დროის ასპექტში, არა

მხოლოდ მომიჯნავეობით, არამედ სხვადასხვა სიბრტყეზე აზრობრივი გადაკვეთითაც" /65, 94/.

ვ. ვ. ვინოგრადოვმა აღმოაჩინა და გამოიკვლია მრავალი ფორმა სინტაქსური გამოხატვისა (გამოსახვისა) მხატვრულ ნაწარმოებში. მისი თქმით, „გამომსახველობითი ფუნქციის შესრულება შეუძლია რიტმს, ინტონაციებს, პაუზებს, წინადადებათა დაპირისპირებისა და განლაგების ხერხებს, წინადადებათა შეკავშირების, განცალკავებისა და თანამიმდევრულობის ხერხებს, სიტყვათა რიგს, კავშირებს, უკავშირო თანამიმდევრობას, მიერთებითს ანუ „ლია“ კონსტრუქციებს, გარკვეულ სინტაქსურ ფორმათა ურთიერთმონაცვლეობისა და განმეორების, აგრეთვე დროული თანაფარდობის ტიპებს და ა. შ.“ /152, 18/.

ლ. ა. ბულაბოვსკის სინტაქსური კონცეფციის შეფასებისას ვ. ვ. ვინოგრადოვმა განმარტა რთული სინტაქსური მთლიანობის ცნებაც. იგი წერს: „ზეფრაზული მთლიანობა-ეს არის რიტმულ-მელოდიურად და სემანტიკურად გაერთიანებული სიტყვათა ჯგუფის ისეთი შეერთება, რომელიც რთულ წინადადებათა საზღვრებს სცილდება და წარმოადგენს უმაღლესი რიგის სინტაქსურ მთლიანობას, ისეთს, რომელიც განპირობებულია გაბმული მეტყველების უფრო ფართო კონტექსტის საზღვრებით“ /66, 539/.

ლ. ა. ბულაბოვსკიმ აღმოაჩინა „არსებობა იმ უფრო დიდი (ვიდრე ფრაზებისა), მაგრამ სიტყვიერი გამოსხვის ჩვეულებრივზე მკაფიოდ დასაქვრი ერთეულებისა, რომლებშიც მოცემული იქნება სინტაქსური ხასიათის კონკრეტული ნიშნეულობანი – ე. წ. ზეფრაზული მთლიანობანი. პრაქტიკა უძველესი დროიდან ანგარიშს უწევს მათს არსებობას“ /44, 392/.

ლ. ა. ბულაბოვსკის აზრით, წერაში ზეფრაზული მთლიანობის გამოსახვას ემსახურება წითელი სტროქონი, რომელიც ერთ ასეთ მთლიანობას განაჯალკევებს მომდევნოსაგან. მაგრამ პრობლემის დაუმუშავებლობის გამო ბულაბოვსკი კმაყოფილდება მხოლოდ რამდენიმე შენიშვნით ფრაზათა შორის კავშირის გამოხატვის გარეგან საშუალებათა (ნაცვალსახელთა) შესახებ, აგრეთვე ზეფრაზული მთლიანობის ელემენტების რატმიკულ-მელოდიური დაჯგუფების შესახებ.

წინადადებათა შორის კავშირს მხოლოდ ლინგვისტები როდი აქცევდნენ ყურადღებას. გასული საუკუნის 40-იან წლებში ნ. კოშანსკი წერდა: „ყოველი აზრი, წარმოშობს სხვა აზრს, ყოველ წინადადებაში

დაფარულია მეორე, მეორეში-მესამე და ა. შ. საიდან მიიღებთან ეს აზრები? როგორ წესრიგდებთან ისინი? როგორ გამოიცემიან? /167, & 2/ და იქვე ჩამოთვლის ერთი წინადადების მეორისაგან გამოყენის 24 ხერხს.

როგორც ჩანს, ნ. ს. პოსპელოვს, ი. ა. ფიგუროვსკის, გ. ო. ვინოკურს გარკვეული მემკვიდრეობა დახვედრიათ. რუსული გრამატიკული აზრის ტიტანებს-მ. ჯ. ლომონოსოვს, ა. ხ. ვოსტოკოვს, ფ. ი. ბუსლაევს, ა. ა. პოტემნინას, ა. მ. პეშკოვსკის, ვ. ვ. ვინოგრადოვს მხედველობიდან არ გამოპარვიათ წინადადებაზე დიდი ერთეულის არსებობა, მიუთითებიათ ამ ოდენობის ზოგიერთ პარამეტრზეც. მაგრამ სისტემებარ უკვლევიათ იგი. ამ მეცნიერთა ნააზრევი უნდა მივიჩნიოთ იმ დიდძალ ფონად, რომლის ბაზაზეც შემდეგში აღმოცენდა ტექსტის ლინგვისტიკა.

1.5. წინადადებაიდან ტექსტამდე

ბოლო ორმოციოდე წლის წინათ წინადადების არსისა და ფუნქციის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა. თუ შეხედულებათა სიჭრელეს დავაჯგუფებთ, აღმოჩნდება, რომ მეცნიერთა ერთ ჯგუფს, როგორც ამას ი. მ. სკრებნევი აღნიშნავს, მიაჩნია, რომ წინადადება ლინგვისტიკური ცნებაა და არა კონკრეტული ენობრივი სინამდვილე /293, 238/. მეცნიერთა მეორე ჯგუფი უარყოფს წინადადების ლინგვისტიკურ სტატუსს და სინტაქსის მიღმა ტოვებს მას. ეს აზრი ე. ბერვენისტმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: წინადადება შედგება ნიშნებისაგან, მაგრამ თვითონ როდი წარმოადგენს ნიშანს, მას არ გააჩნია განმასხვავებელი ნიშან-თვისებები და მისი პრედიკატულობით აიხსნება, რომ იგი არ ექვემდებარება დისტრიბუციის კანონებს /30, 446/. ბენვენისტი იმ დასკვნამდეც მივიდა, რომ წინადადებათა ჯგუფი არ აწარმოებს უმაღლესი დონის სამეტყველო ერთეულს წინადადების დონესთან მიმართებაში /30, 447/.

ამ საკითხზე განსხვავებული აზრი გამოთქვა რ. იაკობსონმა, რომელიც წინადადებას ენის უმაღლეს ერთეულად მიიჩნევდა /356, 585/.

როგორც ცხადად ჩანს, ე. ბენვენისტისა და რ. იაკობსონის შეხედულებები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ეს განსხვავება უფრო ნათელი გახდება, თუ ბენვენისტს ერთხელ კიდევ მოვუსმენთ. ის წერს, რომ „წინადადება-ეს თვითონ ენის სიცოცხლეა მოქმედებაში. წინადადებით ჩვენ ვტოვებთ ენას, როგორც ნიშანთა სისტემას, და სხვა

სამყაროში შევდივართ. სამყაროში ენისა, როგორც ურთიერთობის საშუალებისა, რომლის გამოხატულებასაც წარმოადგენს მეტყველება” /30, 447/.

ამგვარად, ბენვენისტი წინადადებას თვლის მეტყველების ერთეულად, იაკობსონი კი მას ენას მიაკუთვნებს.

ენათმეცნიერებამ ვერ იქნა და ვერ გასცა ერთიანი და საყოველთაო პასუხი კიოხვას—რა არის წინადადება? დიდი ხნის განმავლობაში სინტაქსის მთავარ საკვლევ ობიექტად მიჩნეული იყო წინადადება, რომელიც განიხილებოდა, როგორც ძირითადი და უმალესი სინტაქსური ერთეული, მაგრამ გამოჩნდნენ მეცნიერები, რომელთა აზრითაც წინადადება თავისი ბუნების გამო არ შეიძლება იყოს უფრო მაღალი დონის ერთეულის ისტეგრანტი /56; 151; 257/. ამიტომაც ისინი მიიჩნევენ, რომ არსებობს წინადადებაზე უფრო დიდი ერთეული, რომელშიც წინადადება შედის როგორც კომპონენტი. მაგრამ მათთვის ნიშანდობლივია ისიც, რომ წინადადებაზე დიდ წარმონაქმნს ისინი ლინგვისტიკური ერთეულის სტატუსს არ ანიჭებენ. რ. ი. იაკობსონი წერს: „წინადადება—ეს ენის უმალესი ერთეულია, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს თავისუფალი, არაკოდური ერთეულების, სამეტყველო წარმონაქმნის კომპონენტს“ /356, 585/. ანალოგიურ აზრს გამოთქვამს ნ. ი. შულოვაკ /347, 232/.

ენათმეცნიერთა დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ წინადადება არ არის უმალესი სინტაქსური ერთეული და რომ ენაში არსებობს უფრო მაღალი დონის ერთეული. სწორედ ამის შედეგად 50-იანი წლებისათვის წინადადებაზე დიდი ერთეულის კვლევა—ანალიზი დროის მოთხოვნად იქცა დღის წესრიგში დადგა რთული სინტაქსური მთლიანობის (ზეფრაზული მოლიანობის) შესწავლა.

რამ განაპირობა ეს? მეცნიერთა მიერ წამოყენებული ძირითადი არგუმენტები, რომელთა მიხედვითაც დროის მოთხოვნად იქცა წინადადებაზე დიდი ერთეულის გამოყოფისა და შესწავლის საჭიროება. შემდეგში მდგომარეობს:

1. აზრთა ურთიერთგაცვლა ჩვეულებრივ ხორციელდება არა ცალკეული წინადადებების, არამედ უფრო დიდი წარმონაქმნის, უფრო დიდი ერთეულის მეოხებით, რომელშიც წინადადება მხოლოდ ცალკეული კომპონენტის როლს ასრულებს;

2. დიდი ერთეულების რიგი ისეთი ნიშან-თვისებებით ხასიათდება, რომლებიც განსაზღვრავენ მათ სტატუსს;

3. ამ დიდ ერთეულებში სრულად კლინდება წინადადებათა მნიშვნელობა:

4. წინადადება თავისთავად მინიმალური საკომუნიკაციო ერთეულია, წინადადებაზე დიდი ერთეულები კი უმაღლესი საკომუნიკაციო ერთეულებია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წინადადებიდან გასვლას ბიძგი მისცა ფართო მასშტაბის გამოკვლევებმა სინტაქსის სფეროში. სპეცილისტებმა ახალი კუთხით და ახალი საზომით შეხედეს კავშირების, ჩვენებითი და მიმართებითი ნაცვალსაბელების ბუნებასა და დანიშნულებას, სიტყვათა რიგის პრობლემას და ა. შ.

წინადადებაზე დიდი ერთეულის ძიებისა და შესწავლის პროცესში ერთ-ერთ პირველ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ ასეთი ერთეულის გამოყოფა „გამონათქვამის“ სახელწოდებით, რომლის გაგებაშიც ენაიმეცნიერთა შორის იმთავითვე იჩინა თავი აზრთა სხვადასხვაობამ.

1. 5. 1. გამონათქვამი

გამონათქვამს, როგორც რეალურ სამეტყველო მთლიანობას, ჭერ კიდევ 1929 წელს შეეხო ვ. ნ. კოლოშინოვი, რომელიც ამტკიცებდა, რომ „ენა-მეტყველების ნაკადის რეალურ ერთეულებს წარმოადგენს გამონათქვამები“ და რომ „გამონათქვამი, როგორც მთლიანი, ხორციელდება მხოლოდ სამეტყველო ურთიერთობის ნაკადში“ /73, 98-99/.

ვ. ნ. კოლოშინოვის აზრით, სინტაქსურ ფორმათა პროდუქტული შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ გამონათქვამის შესახებ დამუშავებული თეორიის საფუძველზე, ხოლო წინადადება განიხილება გამონათქვამის შიგნით, როგორც მისი ელემენტი, მაგრამ არა როგორც მთლიანი /73, 110/.

ამგვარად, გასაგები ხდება, რომ ვ. ნ. კოლოშინოვისათვის გამონათქვამი ენისა და მეტყველების ერთეულია.

ა. ვ. დობიაშისათვის „მეტყველება“ („გამონათქვამის“ გაგებით-უ. ს.) უპირველეს ყოვლისა არის „სრული და გაბმული აზრის გამოხატულება“ /110, 72/.

ასევე, ნ. ს. პოტენიას მიერ ხმარებული ტერმინი „მეტყველება“, „როგორც ენის გამოყენების ძირითადი ფორმა“, ვ. ვ. ვინოგრადოვს მიაჩნია „გამონათქვამის სინონიმად“ /66, 320/.

ამ საკითხს შეეხო ნ. ფ. იაკოვლევიც, რომლისთვისაც გამონათქვამი იგრძეა, რაც ცნობა /САХИЩЕНИЕ/ იგი წერს: „ცალკეულ ცნობას ან გამონათქვამს... შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მოცულობა და ფორმა. იგი შეიძლება თავისთავად წარმოდგენდეს მთლიან წიგნსაც, ცალკეულ სტატიასაც, ზეპირ მოხსენებასაც, ორატორის სიტყვასაც, ჩვეულებრივ საუბარსაც და ა. შ. ენობრივი საშუალებებით ადამიანური ურთიერთობის რეალიზაციის ამ ცალკეულ შემთხვევებს ნ. ფ. იაკოვლევი „ცალკეულ ცნობებს“ უწოდებს /357, 15/.

როგორც ვხედავთ, იაკოვლევის გაგებით, გამონათქვამს სხვადასხვა მოცულობა და ფორმა აქვს, არაა დიფერენცირებული და აკლია სინტაქსური განსაზღვრულობა.

30-იანი წლების დასასრულისათვის „გამონათქვამის“ შესახებ თავისი აზრი გამოთქვა ვ. ვ. ვინოგრადოვმა, რომლის გაგებითაც, „გამონათქვამი თავის თავში შეიცავს გრამატიკულად გაფორმებულ ინფორმაციას სინამდვილის შესახებ. ე. ი. იგი უშუალოდ უფარდებს თავის შინაარსს სინამდვილეს“ /69, 551/. ამ განმარტებით, ვ. ვ. ვინოგრადოვისათვის გამონათქვამი წინადადებაა.

ასე წარმოდგინათ გამონათქვამი მისი, როგორც წინადადებაზე დიდი ერთეულს, გაშლილი ფრონტით შესწავლის დაწყებამდე. ამის შემდეგ კი გამონათქვამის კვლევის ისტორიაში რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა და თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელია კვლევის თავისებური, სპეციფიკური მეთოდის გამოყენება. გამონათქვამის გაგებაში ა. ა. ლეონტიევი საბჭოთა მეცნიერების რამდენიმე ძირითად მიმართულებას გამოყოფს და თითოეული მათგანის სრულ დახასიათებას იძლევა /185/.

გამონათქვამის შესწავლის პირველ ეტაპზე განსაკუთრებული აღიარება პოვს ვ. მათეზიუსისა და პრალის საენათმეცნიერო სკოლის სხვა წარმომადგენელთა შეხედულებებმა. ამ პერიოდში ძირითადად უკვე დამუშავდა გამონათქვამის ფუნქციონალური პერსპექტივა, რომელსაც სხვანაირად წინადადების აქტუალური დანაწევრებას უწოდებენ. თვით ვ. მათეზიუსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „...აქტუალური დანაწევრება სწავის წინადადების ჩართვის ხერხს იმ საგნობრივ კონტექსტში, რომლის ბაზაზეც იგი წარმოიშობა“ /259, 239/.

ვ. მათეზიუსის დებულება იმას ნიშნავს, რომ წინადადების საერთო ფორმალურ-გრამატიკული და სტრუქტურული დანაწევრება უნდა განვასხვავოთ აქტუალური დანაწევრებისაგან, რომელიც მოცე-

მული წინადადების უშუალო, კონკრეტულ შინაარსს გამოხატავს შესაბამის კონტექსტში ან სიტუაციაში. თუ ფორმალური დაყოფის ძირითად ელემენტებს ქვემდებარე და შემასმენელი წარმოადგენს, აქტუალური დანაწევრების დროს უნდა გამოიყოს, ერთი მხრით, გამონათქვამის „გამოსავალი პუნქტი“, ანუ „ფუძე“ ე. ი. ის, რაც მოცემულ სიტუაციაში უკვე ცნობილია და რისგანაც მთქმელი გამოდის, ხოლო, მეორეს მხრით, გამონათქვამის „ბირთვი“, ე. ი. ის, რასაც მთქმელი გამოიქვამს „ფუძის“ მიმართ. მათეზიუსმა წამოაყენა დებულება წინადადების ფუძედ და ბირთვად დანაწევრების შესახებ, რომელსაც შემდეგ სხვადასხვა ტერმინით ვხვდებით საერთაშორისო ლინგვისტიკაში.¹

წინადადების დაყოფას ორ საკომუნიკაციო ერთეულად (თემად და რემად) აქტუალურ დანაწევრებას უწოდებენ: ეს იმიტომ, რომ ასეთი დანაწევრება აქტუალურია, არსებითია მოცემული კონტექსტისა და კონკრეტული სიტუაციისათვის.

გამონათქვამის ასეთმა გაგებამ თავისი გამოხატულება პოვა პ. ადამეცის /2/, ი. ი. კოეტუნოვას /154/, ე. გ. კრუშელნიცკაიას /170/, ი. პ. რასპოპოვის /258/, ა. დავითიანის /363/, ლ. ენუქიძის /366/ და სხვათა ნაშრომებში. პრაღის სკოლის გაგებით, წინადადება გამონათქვამად იწოდება საკომუნიკაციო თვალსაზრისით, აქტუალური დანაწევრება ასახავს წინადადების საკომუნიკაციო მიზანს. „გამონათქვამის თეორია“ ძირითადად სწავლობს გამონათქვამის ფორმირების სისტემურ საშუალებებს. იმიტომ ამ თვალსაზრისის მიხედვით, გამონათქვამი მეტყველებას კი არ განეკუთვნება, არამედ ენის სისტემას, აქტუალური დანაწევრების თვალსაზრისით, გამონათქვამი წარმოადგენს დამოუკიდებელი ენობრივი სისტემის დონის ერთეულს, ამ დონეს კი აქტუალური დანაწევრება წარმოადგენს. ვ. ზ. პანფილოვი ამ დონეს „ლოგიკურ-გრამატიკულს“ უწოდებს /246, 38-39/; პ. ადამეცი-ფართოდ გაგებელი სინტაქსის ერთ-ერთ მაღალ იარუსს /2, 16/; ი. ფ. ვარდული კი ერთმანეთისაგან განასხვავებს სინტაქსურსა და სუპრას-

¹ მათეზიუსის მიერ შემოღებულ ამ ტერმინთა გარდა, გვხვდება სხვა ტერმინებიც: მთავარი და ახალი (ა. ჩისტიაკოვა) მოცემული და ახალი (ე. კრუშელნიცკაია), თემა და რემა (ე. ბოოსტი), დიქტუმი და მოდუსი (შ. მაალი), „ფსიქოლოგიურა სუბიექტი“ და „ფსიქოლოგიური პრედიკატი“ (ვაბელენცი), I სეკენტი და II სეკენტი (ა. დავითიანი) და სხვ.

ინტაქსურ, ანუ აქტუალურ-სინტაქსურ იარუსებს, ხოლო გამონათქვამს ამ ბლო იარუსს მიაკუთვნებს /56, 247-246/.

ვ. გ. გაყის სახელთანაა დაკავშირებული წინადადების მნიშვნელობის დენოტატიური, ანუ რეფერენტული კონცეფცია, რომლის ძირითადი არსი იმ ურთიერთობის გარკვევაში მდგომარეობს, რომელიც არსებობს გამონათქვამსა და ექსტრალინგვისტიკურ სიტუაციას შორის. ვ. გ. გაყს მიაჩნია, რომ „გამონათქვამის რეფერენტია სიტუაცია, ანუ ელემენტთა ერთობლიობა, რომლებიც უბნობის მომენტში ობიექტურად მოლაპარაკის ცნობიერებაში იმყოფებიან და რომლებიც განსაზღვრული დოზით განაპირობებენ ენობრივი ელემენტების შერჩევას გამონათქვამის ფორმირების დროს“ /77, 358/. გაყის ამ შეხედულებას უახლოვდება ნ. დ. არუთინოვას თვალსაზრისიც /15, 27/.

საინტერესოა ვ. გ. გაყის აზრი იმის შესახებ, რომ ნომინაციის აქტში საგანი დაიფანება განსაზღვრულ ცნებამდე, რომელსაც უპირისპირდება, დასახელება. ამასთან ერთად, აუცილებელია აღსანიშნავი გამოიყოს ორი მხარე: ექსტრალინგვისტიკური საგანი (დენოტატი) და ენის ფორმებში ასახული აბსტრაქტული ცნება (სიგნიფიკატი) /80, 7/.

გაყს გამონათქვამი ესმის, როგორც სახელი ანუ, როგორც განსაკუთრებული ტიპის ლინგვისტიკური ნიშანი /80, 11/.

სინამდვილესთან, ობიექტებთან, მოვლენებთან, სიტუაციებთან, საგანთა მდგომარეობასთან გამონათქვამისა და მისი ნაწილების შეფარდების კვლევას ეძღვნება ე. ვ. პადუჩევას საგანგებო ნაშრომი /244/. ავტორის აზრით, რეფერენცია აბსიათებს გამონათქვამს, ანუ წინადადების კონკრეტულ გამოყენებას, რეფერენციის პროცესში ძირითად როლს ასრულებენ ნაცვალსახელური სიტყვები და შესაბამისი კატეგორიები სახელდებითი წინადადების შემადგენლობაში /244, 3/.

• ვ. ვ. პადუჩევას აზრით, სახელური ჭგუფი შედგება სრულმნიშვნელოვანი კომპონენტისა (ჩვეულებრივ ზოგადი სახელისა) და აქტუალიზატორისაგან. ზოგადი სახელის შეერთება აქტუალიზატორთან იძლევა აქტუალიზებულ სახელურ ჭგუფს, ე. ი. ისეთს, რომელსაც გააჩნია დენოტატიური სტატუსი და წინადადების შემადგენლობაში ჩართვისა და მეტყველებაში გამოყენებისას შედის რეფერენცი-

აში /244, 13/. ავტორის აზრით, ზოგადი სახელი არაფერს არ აღნიშნავს: მას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ არა აქვს რეფერენტი.

აქტუალიზატორებად პალუჩევა მიიჩნევს ისეთ ნაცვალსახელებს, რომლებიც შეუერთდებიან რა საზოგადო სახელებს, გადააქევენ მათ აქტუალიზებულ სახელურ ჭგუფებად. ასეთებია *УТОТ, ТОТ, ТАКОЙ, ВСЯКИЙ, КАЖДАЯ, ЛЮДИИ, ВСЕ, КРОМЕ ОДНОГО, ПЕКИИ* და სხვ. მაგ. *МОЛОДОИ ЧЕЛОВЕК* არაა თანაფარდობაში სინამდვილესთან, ხოლო *УТОТ МОЛОДОИ ЧЕЛОВЕК, ВСЕ МОЛОДАЕ ЛЮДИ* უკვე აქტუალიზებული სახელური ჭგუფებია.

პალუჩევა თავის ნაშრომში ჩამოთვლის შემდეგ ძირითად ნიშნებს, რომელთა მიხედვითაც წინადადება განსხვავდება გამონათქვამისაგან¹

1. წინადადებას გააჩნია ილოკუციური დანიშნულება,¹ რომელიც გამოხატულია კილოსა და მოდალური სიტყვების მეშვეობით. სამეტყველო აქტში მოუბარი წინადადებას იყენებს თავისი საკომუნიკაციო განზრახვის გამოსახატავად, ე. ი. გამონათქვამს აგებს ამა თუ იმ ილოკუციური ფუნქციით.

2. წინადადების მნიშვნელობას ჩვეულებრივ გადმოგვცემს პროპოზიციული ფორმა, რომელიც შეიცავს პრაგმატიკულ ცვლადებს. ეს პრაგმატიკული ცვლადები გამონათქვამის შემადგენლობაში ფიქსირდება, რის შედეგადაც პროპოზიციული ფორმა იქცევა ჩაყვითლ პროპოზიციად.

3. წინადადება ჩვეულებრივ შეიცავს კონკრეტულ-რეფერენტულ საგნობრივ ტერმებს, ე. ი. გამონათქვამებს ინდივიდუალიზებული ობიექტების აღსანიშნავად. გამონათქვამის შემადგენლობაში ეს ტერმები ნამდვილად შედიან რეალურ ობიექტებთან რეფერენციაში /244, 10/.

იმ პარამეტრთა რიცხვს, რომელთა მიხედვითაც გამონათქვამს განასხვავებენ წინადადებისაგან, პალუჩევა მიაკუთვნებს საკომუ-

¹ ილოკუციური დანიშნულება, პალუჩევას აზრით, — ეს არის მიგალითად, მტყიცების, დაპირების, თხოვნის, მოდალობის, ბრძანების გამოხატვა, საერთოდ, მთქმელის კომუნიკაციური განზრახვის რეალიზაცია /244, 6/. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ილოკუციური დანიშნულება-უს იგივეა, რაც საკომუნიკაციო დანიშნულება (ვ. ს.).

ნიკაიო სტრუქტურას (აქტუალურ დანაწევრებას), რომელიც გად-
მოიცემა სიტყვათა რიგითა და ინტონაციით.

ცნობილია რეფერენციის ორი სახე: კონკრეტული და ზოგადი
/181/. რომელთა შესაბამისად ლ. ბ. ლებედევა განასხვავებს გამონათქვა-
მის ორ ტიპს: კონკრეტულ-რეფერენტულს და ზოგად-
რეფერენტულს /181, 81/.

ლებედევას აზრით, კონკრეტული გამონათქვამის რეფერენტიუს
არის ცალკეული ინდივიდუალური ობიექტი ან ინდივიდუალური პირი,
ხოლო ზოგადრეფერენტული გამონათქვამის რეფერენტიუს არის
სიმრავლე ობიექტებისა, რომლებიც, სხვა დანარჩენი თვისებებისაგან
დამოიკიდებლად, განსაზღვრულ ზოგად ნიშნებსაც ამჟღავნებენ
(იქვე). ლებედევა განასხვავებს ზოგადრეფერენტული გამონათქვამების
ორ სახეს: ა/ გამონათქვამები, რომლებიც მხოლოდ გადმოგვცემენ,
გვაცნობენ რაიმეს, და ბ/ გამონათქვამები, რომლებიც ერთდროუ-
ლად კიდევ გვტყობინებენ და კიდევ გამოყოფენ რაიმეს. პირველი
სახის გამონათქვამის საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს ასეთი მა-
გალითი: Человек смертен, მეორე სახის ნიმუშად კი ასეთი: Мудрым
человек чужден.

გამონათქვამის შესახებ ახალი კონცეფცია წამოაყენა ს. დ. კაც-
ნელსონმა, რომელმაც „გამონათქვამის ელემენტთა ანალიზისადმი
საკუთრივ ლინგვისტიკურ მიდგომათა სისტემაში ფსიქოლოგიური
მიდგომაც ჩაირო“ /185, 25/. მხედველობაში გვაქვს გამონათქვამის
ფსიქოლინგვისტიკური გაგება, რომლის ძირითადი ზოგადი დებულე-
ბები პირველად სწორედ ს. დ. კაცნელსონის წიგნში წარმოჩნდა /147/.

ფსიქოლინგვისტიკა როგორც მეცნიერება სამეტყველო გა-
მონათქვამთა წარმოშობისა და აღქმის კანონზომიერებათა შესახებ,
ჩვენს ქვეყანაში 60-იან წლებში ჩამოყალიბდა. ფსიქოლინგვისტიკის
კვლევის ძირითადი საკითხებია: გამონათქვამის წარმოქმნის
გრამატიკული მოდელის შექმნა, მთლიანი და გაბმული ტექსტის აგ-
ბულების კანონზომიერებათა დადგენა და სხვ.

ფსიქოლინგვისტიკაზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად
მოვუსმინოთ ა. ა. ლეონტიევს, რომელიც მას ასე ახასიათებს:

1. „ფსიქოლინგვისტიკისათვის ანალიზის საგანს წარმოადგენს
არა იზოლირებული წინადადება, გამონათქვამი ან ტექსტი, როგორც
მეტყველების პროცესის პროდუქტები ანდა მასალა მეტყველება-აღქმის
პროცესისათვის, არამედ თვითონ ეს პროცესები. ფსიქოლინგვისტი ეწ-

ევა არა ანალიზს ელემენტების მიხედვით“, არამედ ანალიზს ერთეულების მიხედვით“; ამასთან, ერთეულში იგი გულისხმობს ოპერაციას; მოლიანი მიღება ცალკეული ელემენტების არა თანწყობითა და გაერთიანებით, არამედ ოპერაციის დინამიკური ორგანიზაციის უფრო და უფრო რთულ ფორმებში გადასვლით. მეტყველების მიმართ ეს იმას ნიშნავს, რომ მეტყველების ანალიზის კატეგორიებს, თუნდაც ნაწილობრივად, უნდა ჰქონდეთ სტატუსი სამეტყველო ოპერაციებისა და არა სამეტყველო პროდუქტებისა, ან კიდევ ამ პროდუქტებისაგან აბსტრაქციისა“ /185, 25/.

2. „ყოველგვარი მოქმედება მოტივირებული და მიზანდასახულია. ეს სამეტყველო მოქმედების მიმართ იმას ნიშნავს, რომ არსებობს რაღაც არასამეტყველო ამოცანა, რომლის შესასრულებლადაც ხორციელდება მეტყველება და რომელიც გადაწყდება ენობრივი საშუალებებით. გამონაკვეთი ან ტექსტი არის ასეთი ამოცანის გადაწყვეტის პროცესი, ხოლო ამის შემდეგ ასეთი გადაწყვეტილების პროდუქტი ან შედეგი. ენა როგორც სისტემა, არის სისტემა საშუალებებისა, რომლებიც ამ ამოცანის გადაწყვეტისას გამოიყენება“ /185, 25-26/.

3. „ენის რეალური სისტემატურობა – ესაა არა შინაგანი გეგმა იმ საწყობისა, სადაც ენის ერთეულები ინახება, არამედ ურთიერთკავშირი და ორგანიზაცია ამ ერთეულებისა იმ საქმიანობაში, რისთვისაც არსებობენ ისინი მხოლოდ“ /185, 110/.

ეს ვრცელი ციტირება ა. ა. ლეონტიევის ნაშრომიდან ცხადად გვიჩვენებს, რომ ფსიქოლინგვისტიკა ენას ანალიზებს მის დამოკიდებულებაში ამ ენის მატარებელთა სამეტყველო მოქმედებასთან, სწავლობს გამონაკვეთთა და ტექსტთა წარმოშობისა და გავების ფსიქოლოგიურ მექანიზმს.¹

¹ ფსიქოლინგვისტიკის ზოგადმეთოდოლოგიური საფუძველი და მიმართულებანი გაშუქებულია ა. ა. ლეონტიევის ნაშრომებში /184; 186/, ფრანგულ ენაში: Язык, речь, речевая деятельность. М., 1969. ფსიქოლინგვისტიკის პრობლემის მრავალი ნაშრომი შეიქმნა. დოკუმენტებით ზოგიერთს: Слобин Д., Грин Дж., Психоллингвистика. М., 1976; Уорф Ы. Л., Отношение норм поведения и мышления к языку. - В кн.: Поиск в лингвистике. М., 1960; Лурия А. Р. Язык и сознание. М., 1979; Психоллингвистика за рубежом. М., 1972; Психоллингвистическая и лингвистическая природа текста и особенности его восприятия. Киев, 1979; Психоллингвистические проблемы семантики. М., 1983.

ფსიქოლოგებისტიკის პოზიციებიდან გამომდინარე, გამონათქვამს ა. ა. ლეონტიევი განსაზღვრავს, როგორც „უმცირეს საკომუნიკაციო ერთეულს, რომელიც დამთავრებულია როგორც შინაარსობრივად, ისე ინტონაციურად და ხასიათდება გრამატიკული და აზრობრივი სტრუქტურით“ /185, 30/. ლეონტიევის აზრით, გამონათქვამისათვის დამახასიათებელია „აქტუალური პრედიკატულობა“, ხოლო პრედიკატულობის კატეგორია ავტორის ფსიქოლოგიურ კატეგორიად მიიჩნია (იქვე).

გამონათქვამის პრობლემებია განხილული ტ. მ. ნიკოლაევა ნაშრომში /233/,¹ რომლის მიხედვითაც ყველ გამონათქვამში უნდა განვასხვაოთ: რეფერენტული (რომელიც სინამდვილეს მიეკუთვნება, მოდალური (რომელიც გამონათქვამის ავტორის დამოკიდებულებას ვეჩივნებს) და საკუთრივ ტექსტობრივი, კომუნიკაციური მხარეები /233, 37/.

გამონათქვამის გაშლას მარცხნიდან მარჯვნივ, ანუ ტექსტის „პროროზონტალურ“ წარმოქმნას ტ. მ. ნიკოლაევა „ზაზოვან გრამატიკას“ უწოდებს, რომელიც მას საკომუნიკაციო ორიენტაციის გრამატიკად მიიჩნია, თანაც ისეთი ორიენტაციისა, სადაც რაღაც უკვე ცნობილია, მაგრამ კიდევ არის მოსალოდნელი ახალი ინფორმაციის მიწოდება /233, 37/.

გამონათქვამის გაშლა გულისხმობს იმას, რომ პრაქტიკულად გამონათქვამის თუ ტექსტის ორგანიზების საჭიროების მიხედვით ყველ შინაარსობრივ ერთეულს შეიძლება აქონდეს როგორც კატაფორული, ისე ანაფორული კავშირი სხვა ელემენტებთან. გამონათქვამის ელემენტები განლაგდებიან ზაზოვნად, ლოგიკური თანამიმდევრობით, სადაც შესაძლებელია, აქცენტუალურად გამოიყოს ან ცალკეული შინაარსობრივად მნიშვნელოვანი ერთეულები, ანდა მთლიანი აზრობრივი კომპლექსები.

¹ გამონათქვამს აქტუალური დანაწევრების თვალსაზრისით განხილავს ტ. მ. ნიკოლაევა ნაშრომში /229/. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს მისივე Контекстуальность-конситуативная обусловленность высказывания и его семантическая цельность. - В кн.: Русский язык. Текст как целое и компоненты текста. М., 1982, გვ. 46-62 ორივე ამ ნაშრომში გამონათქვამი მიჩნეულია წინადადებაზე უფრო დიდ ერთეულად, რომლის ძირითად ფუნქციასაც კომუნიკაცია წარმოადგენს.

ხაზოვანი გრამატიკის შინაარსობრივ კატეგორიებს ტ. მ. ნიკოლაევა ორ ჯგუფად ჰყოფს. ესენია: 1. აზრობრივი კომპონენტები, რომლებიც გამონათქვამის ერთ ელემენტს, სიტყვაშუბამებას ანდა კიდევ ერთ სიტყვას განეკუთვნებიან, და 2. აზრობრივი კომპონენტები, რომლებიც მთლიან გამონათქვამს განეკუთვნებიან /233, 42/.

ტ. მ. ნიკოლაევა გამოყოფს და აანალიზებს ხაზოვანი გრამატიკის ისეთ ფუნქციონალურ კატეგორიებს, როგორცაა: ელემენტის გამოყოფა წინასწარი გახსენება. მნიშვნელობის გრადაცია თემისა და რემის დამოკიდებულება გამონათქვამის გაბმულობა, იდენტიფიკაცია სპეციფიკური განუსაზღვრელობა /233, 46/ და იძლევა ამ ერთეულების მისეულ ინტერპრეტაციას. წარმოდგენა რომ ვიჭონოთ, თუ როგორ ესმის ავტორს პრაქტიკულად ამ ერთეულების ფუნქცია მოციხობით მის ჰიერ მოყვანილ მაგალითებს.

ტ. მ. ნიკოლაევა ჯერ იღებს სამ გამონათქვამს (სამ წინადადებას) ი. ს. ტურგენევიდან: Я теперь счастлив и буду наслаждаться спокойствием ... Настало трудное время для Паптелея Еремича. Именно спокойствием - то он наслаждался меньше всего. ამ მაგალითში ავტორის აზრობა, წარმოდგენილია ხაზოვანი გრამატიკის შემდეგი შინაარსობრივი ერთეულები:

ელემენტის გამოყოფა - Именно спокойствием-то;

წინასწარი გახსენება - он, спокойствием, наслаждался;

მნიშვნელობის გრადაცია - меньше всего;

თემისა და რემის დამოკიდებულება - Именно спокойствием-то/ он наслаждался меньше всего

სხვა შინაარსობრივი ერთეულების საილუსტრაციოდ ნიკოლაევას მოჰყავს ასეთი მაგალითი: И тут, вообразите, поймалась в эту паутину какая-то бойкая птица и заступила (М.Д. Булгаков) და მასში გამოყოფს შემდეგ ერთეულებს:

გაბმულობა გამონათქვამის დონეზე- И тут,

წინასწარი გახსენება- паутина;

იდენტიფიკაცია- эта паутина;

სპეციფიკური განუსაზღვრელობა- какая-то бойкая птица;

კონტაქტურობა- заступила;

პარკელაციის თვალსაზრისით გაგება გამონათქვამისა და კავშირებულისა ი. ვ. ვანიკოვის სახელთან /54/.

ი. ვ. ვანიკოვი ამოდის რა ენისა და მეტყველების დაპირისპირებულად, ენის ერთეულად მიიხსენეს წინადადებას, მეტყველების ერთეულად კი-ფრაზას. ავტორის აზრით წინადადებისა და ფრაზის საზღვრები შეიქლება ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. ის ფაქტი რომ მათი საზღვრები შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, ვანიკოვის აზრით იმაზე მიგვანიშნებს, რომ რეალური დამოუკიდებელი სამეტყველო ერთეული გადმოიცემა არა წინადადებით ანდა ფრაზით, არამედ გამონათქვამით-ენისა და მეტყველების კორელაციური ერთეულების (წინადადებისა და ფრაზის) ერთიანობით /54, 34/.

ი. ვ. ვანიკოვი გამოყოფს გამონათქვამის რამდენიმე ტიპს. მათგან მარტივ ტიპს ავტორი მიაკუთვნებს ისეთ გამონათქვამს, რომელშიც წინადადებისა და ფრაზის საზღვრები ერთმანეთს ემთხვევა. ამ დებულების საილუსტრაციოდ ვანიკოვს მოაქვს შემდეგი მაგალითი, რომელშიც ორ-ორი ვერტიკალური ხაზით გამოყოფილია გამონათქვამთა საზღვრები:

«Шел сильным или сильным день наступления// В четвертом часу утра начало светать, и Савельев проснулся//Спал он в эту ночь завлнувшись в плащ-палатку на дне отбитого на кануне поздно вечером немецкого окна//Моросил дождь, по стенке окна закрывали от ветра, и хотя было мокро, однако не так уж холодно».

შემდეგ უფრო რთულ ტიპს, ვ. ვანიკოვი მიაკუთვნებს ისეთ გამონათქვამს, რომლის საზღვარი ემთხვევა წინადადების საზღვარს, მაგრამ გამონათქვამში არის არა ერთი, არამედ რამდენიმე ფრაზა. ავტორს მოაქვს მაგალითი, სადაც ერთი ვერტიკალური ხაზით ფრაზათა საზღვარია აღნიშნული გამონათქვამში: Савельев знал, что, пока нашей артиллерии не удастся подавить эти минометы или заставить их переместить место, они не перестанут стрелять. /И, наконец, перенесут огонь и будут пристреливать прямо сюда, прямо по их роте».

ი. ვ. ვანიკოვს შემოაქვს „პარცელაციის“ ცნებაც, როგორც წინადადების მეტყველებითი პრეზენტაცია ერთი გამონათქვამის კომუნიკაციურად დამოუკიდებელი რამდენიმე სეგმენტის (ფრაზის) სახით. /54, 58/.

ამ დებულების საილუსტრაციოდ ავტორს მოაქვს ასეთი მარტივი მაგალითი: «Все были домыслны. И наукой, и докладом» - სადაც «и наукой, и докладом» არის პარცელაცია.

ი. ვ. ვანიკოვს შემოაქვს აგრეთვე „ინტეგრაციის“ ცნებაც, რომელიც, მისი გაგებით, წარმოადგენს „არამდენიმე ფორმალურად დამოუკიდებელი წინადადების სამეტყველო პრეზენტაციის-გამონათქვამის შემადგენლობაში კომუნიკაციურად დამოუკიდებელი ერთი ერთეულას (ფრაზის) სახით /54, 59/. ვანიკოვს მიაჩნია რომ ინტეგრაცია არი, გამონათქვამის შემადგენელ წინადადებათა აზრობრივი შინაარსის ერთ მთლიანობად გაერთიანების საშუალება ამ შინაარსის საერთო პლანით წარმოდგენის ბერძნული /54, 289/.

ინტეგრაციით მიღებული გამონათქვამის საილუსტრაციოდ ვანიკოვს მოაქვს შემდეგი მაგალითი: «Ильяков сидел на торце стула у раскрытой балконной двери, ветерок был теплый, приятно обдувал. Он сидел и неловко улыбался, никого не видел, почему не замечал. Только вдруг удивился: чья это девочка, такая сланная, сидит между Николаем и Се, ежей?»

ავტორის აზრით, პირველ გამონათქვამში გვაქვს სინტაქსურად ორი დამოუკიდებელი წინადადების ინტეგრაცია. მეორე გამონათქვამში კი პარცელაცია /Он сидел и неловко улыбался, никого не видел, почему не замечал. Только вдруг удивился.../, აგრეთვე ინტეგრაციაც /Только вдруг удивился: чья это девочка и т.д./

ი. ვ. ვანიკოვს მიაჩნია რომ პარცელაცია და ინტეგრაცია არის სამეტყველო უნივერსალია, რომელიც არა მარტო რუსული არამედ ყველა ენისათვის, არის დამახასიათებელი.

ი. ვ. ვანიკოვის აზრით, პარცელაციის შემცველი გამონათქვამის ანალიზი გვიჩვენებს, რომ რუსულ ენაში კომუნიკაციურად ავტონომიურ წარმოდგენას უფრო ხშირად იღებენ სტრუქტურის ექსტენსიონალური (დაბურული) ელემენტები: პარცელაციას უფრო მეტად ექვემდებარებიან ერთგვარი შემასმენლები. ამიტომ ერთგვარი შემასმენლების პარცელაციის შემცველი გამონათქვამი ყველაზე უფრო ინფორმაციულია /54, 289/.

წინადადების ინტენსიონალური (ლია) ელემენტების პარცელაცია, რომელიც ექსტენსიონალური ელემენტების პარცელაციისაგან გამოირჩევა უფრო მეტი სტრუქტურული და სემანტიკური

შეკავშირებულობით. ფუნქციონალურად არაა ნაირსახოვანი და იმ-
ვითაიარუსული მეტყველებისათვის (იქვე).

ი. ვ. ვანიკოვის აზრით, სხვადასხვა სახის პარცელაცია წარ-
მოადგენს სინტაქსური სტრუქტურის სამეტყველო პრეზენტაციისა და
გამონათქვამის აგების ხერხს, აგრეთვე მისი ნაწილების სამეტყველო
ექვალენზაციისა და სამეტყველო ექპრესიის საშუალებას.¹

პარცელაციის ვანიკოვისეული გაგება ჩვენ აქ თუმცა ვრცლად
წარმოვადგინეი, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკითხი ჯერ კიდევ საკმა-
თოა. ჩვენი აზრით, იგი ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ხომ
არ მივიჩნით პარცელაცია განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმე-
ბის რაღაცნაირ „ახალ“ გაგებად?!

გამონათქვამის კვლევის განსაკუთრებულ ეტაპად უნდა ჩავთ-
ვალოთ ის პერაოდი, როცა იკვლევენ გამონათქვამის სემანტიკას. აქ
პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ნ. ი. შვედოვას ნაშრომი /348/, სადაც
წინადადების (გამონათქვამის) სინტაქსის სფეროში სემანტიკური ძიე-
ბის ძირითად ამოცანად ავტორს მიაჩნია „ფორმალურ-სინტაქსური
მოდულების საკუთარი მნიშვნელობის განსაზღვრა“. ამ დებულების
მიხედვით „წინადადების გრამატიკული ორგანიზაცია... უკვე თავის-

¹ უფრო ზუსტი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ პარცელაციის არსზე,
მოვიყენებ ვანიკოვის რამდენიმე მაგალითს:

1. ამხსნელი წევრის პარცელაციის მაგალითი:

«С начала действие произошло в Испании. В стране где нико-
гда не был шёл»

2. განკერძოებული განსაზღვრების პარცელაციის მაგალითი:

«Он любит ее любовью пылкой, глубокой, могучей. Эффе-
ктой».

3. ერთგვარი ქველბარების პარცელაციის მაგალითი

«Потом внизу понеслись верхушки деревьев. Темная пистина ке-
драчей Голубиша ельника. Их саживый».

ამ შესაღებში ჩვენ მიერ საზგასმულო წინადადებები (სიტყვები) ვანიკ-
ოვის პარცელაციად მიიჩნია. პარცელაციისა და ინტეგრაციის პოზიციებიდან
აბოლოეს იგი გამონათქვამს სხვა ნაშრომებში, რომელთაგან დავესახელებთ:

• Выказывание. - БСЭ, т.5, с.537-538; Выказывание как лин-
гвистический объект и некоторые принципы типологии высказывания.

- В кн.: Международная конференция преподавателей русского языка и
литературы. Акт. вопр. преп.

1969 და სვ.

თავად წარმოადგენს ფაქტორს, რომლისთვისაც მნიშვნელობა აქვს ამ სტეპის მიხედვით აგებული წინადადების სემანტიკურ სტრუქტურას“ /34&461/, ხოლო გამონათქვამის „სემანტიკურ სტრუქტურაში“ შევლოვა გულისხმობს მის ინფორმაციულ შინაარსს.

ე. ვ. პაღუჩევა, რომელმაც შეისწავლა სინტაქსის სემანტიკის საკითხები /242/, ყურადღებას მიაპყრობს გამონათქვამთა შორის სინონიმური ურთიერთობის ანალიზს და იმ ფორმალურ გარდაქმნებს, რომლებიც ამ გამონათქვამებს აერთიანებს /13,15/.

სიტყვისა და გამონათქვამის სემანტიკის შედარება გაშუქებულია ტ. ნ. ნაუმოვას ნაშრომში /225/, ავტორი გამონათქვამს იხილავს არა როგორც მეტყველების გაქვავებულ პროდუქტს, არამედ იკვლევს მისი წარმოშობის ფაქტორებს.¹

ენათმეცნიერთა უმრავლესობისათვის დღესაც კვლევის ობიექტად რჩება გამონათქვამი (წინადადება, ფრაზა), როგორც მეტყველების ნაყადში ენის სისტემის ერთეულის რეალიზაცია. ეს დებულება მკაფიოდ გამოხატა ბენვენისტმა, რომელიც წერდა, რომ „გამონათქვამი არის ენის მოყვანა მოქმედებაში მისი გამოყენების ინდივიდუალური აქტის მეშვეობით“ /31,312/.

ძირითადად ამავე აზრს, მაგრამ სხვა სიტყვებით და უფრო მკვეთრადაც გამოთქვამს ე. ა. ბრიზგუნოვაც, როცა იგი წერს, რომ გამონათქვამი არის ელერადი წინადადება /42,78/.

ო. მ. სიროტინინასათვის გამონათქვამი - ეს არის წინადადება მისი საკომუნიკაციო სტრუქტურის ასპექტში /29&110/.

არსებობს ტენდენცია, რომ ფრაზას, წინადადებას, როგორც ფორმალურ ენობრივ ერთეულს, რომელსაც განსაზღვრული ადგილი უკავია ენის სისტემაში, დაუპირისპირონ გამონათქვამი, როგორც ფუნქციონალური რეალური მეტყველების აღმნიშვნელი ერთეული, რომელიც შეესაბამება სიტუაციასა და კონტექსტს. ეს აზრი ცხადად გამოთქვა ვ. გ. გაკმა, რომლის მიხედვითაც „გამონათქვამი აღნიშნავს სიტუაციის მონაკვეთს მთლიანად მისი ძირითადი ელემენტის - პროცესის ჩათვლით; გამონათქვამი უშუალოდ შეეფარდება კონკრეტულ

¹ გამონათქვამის ასეთი გაგება ფსიქოლინგვისტიკურია. გამონათქვამის სემანტიკის სხვადასხვა ასპექტზე საუბარია ვ. გ. გაკის /79/, ლ. პ. დობლაევის /111/, ო. ი. მოსკალსკაიას /219/ და სხვათა ნაშრომებში.

სიტუაციას, ხოლო ის, რასაც იგი აღნიშნავს, ობიექტურია ენის სისტემის მიმართ" /80, 11/. სხვაგან გაკვირვებით, რომ გამონათქვამი ისეთივე ნიშანი, როგორც სიტყვა /78, 56/. ასეთივე აზრს გამოთქვამს ზ. ი. ტურაევიც /321, 36/.

ზოგი ავტორი, მაგალითად ტ. მ. ბატალოვა, გამონათქვამს მიიჩნევს ენობრივი სისტემის უმაღლესი დონის ერთეულად /24, 1/. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთად მიიჩნევა გამონათქვამს ა. ი. სმირნიცკიც /294, 8/. სხვათა შორის, რუსულ ლინგვისტიკაში ა. ი. სმირნიცკი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც მკვეთრად გაარჩია და დაუპირისპირა ერთმანეთს წინადადება და „მისი შესატყვისი მეტყველების აქტი“- ე. ი. გამონათქვამი / 85, 22/

წინადადებისა და გამონათქვამის დაპირისპირებულობა იგრძნობა ლ. ი. ილიას ნაშრომშიც, რომლის მიხედვითაც ტერმინი „გამონათქვამი“ თავისუფალია იმ ლოგიკური და ფსიქოლოგიური დანალექებისაგან, რომელიც ტვირთად აწეა წინადადებას. თვით გამონათქვამი კი რაღაც მოცემულობაა, რომლის ოპერირება შეიძლება წინასწარი განსაზღვრის გარეშე /136, 5/.

ენათმეცნიერთა უმრავლესობისათვის გამონათქვამი წინადადებაზე უფრო დიდი ერთეულია, რომელშიც წინადადება შედის, როგორც კომპონენტი. ნ. ს. პოსპელოვისათვის გამონათქვამი იყო შემცირებული მოცულობის მქონე სინტაქსური მთლიანობა /251, 53/.

ო. ი. მოსკალსკაია გამონათქვამად თვლიდა წინადადებათა ჯაჭვს, რომელიც გვაძლევს ზეფრაზულ მთლიანობას /222, 17/.

გ. ვ. კოლმანსკისათვის გამონათქვამი არის „ურთიერთობის შემადგენელი ელემენტი“, „ინტეგრალური ფორმალური და აზრობრივი ერთიანობა“ /160, 52-53/.

ენათმეცნიერთა გარკვეული ნაწილისათვის ტერმინი „გამონათქვამი“ ხშირად „ტექსტის“ სინონიმდაც იხმარება /4, 68; 24, 1; 27, 172 და სხვ./.

ენათმეცნიერთა ერთი ჯგუფის თვალთახედვით, გამონათქვამი ისეთი საკომუნიკაციო ერთეულია, რომელსაც მხოლოდ ზეპირი სახე აქვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამონათქვამია ის, რაც უღერს /42, 78; 220, 132/.

ენათმეცნიერთა მეორე ჯგუფისათვის გამონათქვამი ერთნაირად წარმოადგენს როგორც ზეპირი, ისე წერილი მეტყველების საკომუნიკაციო ერთეულს /290, 110/.

გამონათქვამის შესახებ არსებული ლიტერატურა ჩვენ მიერ მიმოხილული მასალით არ აწიწურება,¹ მაგრამ ის, რაც აქ განვიხილეთ. ვფიქრობთ, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ თენოზმენის შესახებ.

ჩვენი შეხედულება გამონათქვამზე სრული ვერ იქნება, თუ ისიც არ აღვნიშნეთ, რომ ტექსტის შესწავლის დღევანდელ ეტაპზე იკვლევენ გამონათქვამის არა მარტო ექსპლიციტურ, არამედ იმპლიციტურ შინაარსსაც. გამონათქვამის იმპლიციტურ შინაარსად კი მიაჩნიათ ის შინაარსი, რომელიც პირდაპირ არ ჩანს გამონათქვამის ენობრივი მასალის ერთეულთა ლექსიკურსა და გრამატიკულ მნიშვნელობებში, მაგრამ რომლის მიღება შეიძლება გამონათქვამის აღქმისას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმპლიციტური შინაარსი (იმპლიკაცია) - ეს არის დამატებით ნაგულისხმევი აზრით.²

ქართველ გრამატიკოსებს გამონათქვამი სპეციალურად არ უყვლევიათ. გამონათქვამის შესახებ თავიანთი შეხედულება მათ გა-

¹ გამონათქვამს ელერადი წინადადების დონეზე განიხილავს ო. ა. ლაბტევა თავის მონოგრაფიაში: Русский разговорный синтаксис. М., 1976. სადაც ყურადღებას იპყრობს კონსტრუქციები სახელობით-ბრუნვიანი თვისით, რაც იმას ნიშნავს, რომ გამონათქვამის კომუნიკაციურად მნიშვნელოვანი ნაწილი გადმოიცემა სახელობით ბრუნვაში დაყენებულ სიტყვათა შენაერთით /გვ.137/; წინადადებას გამონათქვამად მიიჩნევენ თავიანთ ერთობლივ ნაშრომში: ე. ა. ზემსკაია, მ. ვ. კიტაიგოროდსკაია, ე. ნ. შირიაევი. Русская разговорная речь. М., 1981. სადაც ძირითადად გამოყოფილია გამონათქვამის ორი ტიპი (როგორც კონსტრუქციური, ისე პოლიპრედიკატული) და მოცემულია მათი ვრცელი დახასიათება /გვ. 191-273/;

გამონათქვამის პრობლემას ეხება ი. ბ. ტორსუევაც თავის სტატიაში: Детерминированность высказывания параметрами текста. - ВЯ, 1986 №1, გვ. 65-74 და სხვ.

² გამონათქვამის იმპლიციტურ შინაარსს ჩვენ ამჟერად არ შევხვებით. მივუთითებთ მხოლოდ მის შესახებ არსებულ ლიტერატურას: ნ. შენგელას /385/; И. В. Арнольд. Импликация как прием построения текста и предмет филологического изучения. - ВЯ, 1982, №4, с. 83-91; К. А. Долинин. Имплицитное содержание высказывания. - ВЯ, 1983, №6, с. 37-47; Т. И. Сильман. Подтекст как лингвистическое явление. - ФН, 1969, №1, с. 56-67 и др.

მოთქმული აქვთ სხვა პრობლემებთან დაკავშირებით. არნ. ჩიქობავასთვის გამონათქვამი არის შესიტყვება და წინადადება /386,214/, ხოლო ა. დავითიანისა /333/ და ა. კიზირიასთვის /371/ - წინადადება.

ამგვარად, გამონათქვამის გაგებაში აზრთა სხვადასხვაობაა. გამონათქვამი გაგებულია, როგორც: 1. ენა - მეტყველების ნაკადის ერთეული, 2. წინადადება (ენის ერთეული), 3. ცნობა (ინფორმაცია), 4. წინადადება (ჟურეადი), 5. მეტყველება, 6. ფსიქოლინგვისტიკური ერთეული, 7. უმცირესი საკომუნიკაციო ერთეული, 8. ენის სისტემის უმაღლესი დონის ერთეული, 9. წერიითი და ზეპირი მეტყველების საკომუნიკაციო ერთეული, 10. ტექსტი.

გარდა ამისა, გამონათქვამს იხილავენ აქტუალური დანაწევრების, რეფერენციის, პარცელაციისა და ინტეგრაციის თვალსაზრისით.

ჩამოთვლილი თვალსაზრისების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეცნიერთა ერთი ჯგუფისათვის გამონათქვამი ენობრივი ოდენობაა, მეორისათვის კი - ნეტყველების ერთეული. მაგრამ, მიუხედავად ამ სხვაობისა, მათ აერთიანებთ ის, რომ ყველასათვის გამონათქვამი საკომუნიკაციო საშუალებაა.

ჩვენთვის მისაღებია გამონათქვამის ისეთი განმარტება, რომელიც მოგვცა ო. ს. ახმანოვამ: მისი გაგებით, „გამონათქვამი არის აზრობრივი მთლიანობის მქონე ცნობის (содержание) ერთეული, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს მსმენელის მიერ ენობრივი ურთიერობის მოცემულ პარობებში“ /1894/.

1.5.2 აბზაცი

რთული სინტაქსური. (ხეფრაზული) მთლიანობა ზოგჯერ გაიგივებულია აბზაცთან. ჯერ კიდევ ა.მ. პეშკოვსკიმ აბზაცი განსაზღვრა, როგორც ერთი წითელი სტრიქონიდან მეორემდე „შეერთებული რთული მთლიანობა“, და მიუთითა შესაბამისი სინტაქსური ერთეულების აღსანიშნავი ტერმინების უქონლობაზე და „ტოპოგრაფიულ ტერმინ „აბზაცის“ გამოყენების აუცილებლობაზე“ /247,459/. ამავე დროს ა. მ. პეშკოვსკი ერთმანეთისაგან განასხვავებდა რთულ მთლიანობასა და აბზაცს. იგი წერდა, რომ აბზაცებს შორის პაუზა უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ზეფრაზული მთლიანობების გამყოფი პაუზა. ასეთ პაუზებს, პეშკოვსკი „უზომოდ გაგრძელებულს“ უწოდებდა (იქვე).

აბზაცის შესწავლის გაღრმავებასთან ერთად ყურადღება ექცეოდა არა მარტო აბზაცის კომპოზიციურ - გრაფიკულ მნიშვნელობას, არამედ ხაზს უსვამდნენ მის სინტაქსურ - სტილისტიკურ ფუნქციასაც.

ტ. ი. სიღმანი აბზაცის შესახებ წერს: „საქმე ისაა, რომ ამ ტერმინს აქვს არა ორი მნიშვნელობა, როგორც ეს გამოძინარეობს ა. მ. პეშკოვსკის განმარტიებიდან (ე.ი. „ტოპოგრაფიული“ და „სინტაქსური“), არამედ სამი: ზემოთ დასახელებული ორი მნიშვნელობის გარდა, არსებობს აგრეთვე შეფარდებით დამთავრებული ლიტერატურული ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთის მნიშვნელობაც, ე.ი. ლიტერატურულ - კომპოზიციური მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით მხატვრული ნაწარმოების აბზაცთა ცელა ასახავს აზრთა მსგეღელობას, სიხრობის მოძრაობის პრინციპს, იმას, რასაც ჰქვია ლიტერატურული კომპოზიცია, თუმცა, ამასთან ერთად, თითოეული აბზაცი არ კარგავს თავის სინტაქსურ მნიშვნელობასაც“ /287, 107/.

აბზაცის გაგებაში თანამედროვე ენათმეცნიერებაში არსებობს ორი ურთიერთსაპირისპირო შეხედულება. მეცნიერთა ერთი ჯგუფი ერთმანეთში აიგივებს რთულ სინტაქსურ (ზეფრაზულ) მთლიანობას და აბზაცს. ისინი აბზაცს მიიჩნევენ რთულ სინტაქსურ (ზეფრაზულ) მთლიანობად, ე.ი. უმაღლესი დონის სინტაქსურ ერთეულად.

ასეთ შეხედულებას აშკარად და ნათლად გამოთქვამს ლ. გ. ფრიდმანი თავის ნაშრომში /329/, სადაც გაანალიზებულია ტექსტის ლინგვისტიკის გრამატიკული პრობლემები, ხოლო აბზაცი მიჩნეულია ზეფრაზულ სინტაქსურ ერთეულად. ავტორის აზრით, რთულ სინტაქსურ მთლიანობას „არ გააჩნია რა არც ერთი რელევანტური მარკენებელი, რომელიც განსაზღვრავს სინტაქსური ერთეულის სტატუსს, რთული სინტაქსური მთლიანობა, ჩვენი შეხედულებით, სახელდობრ ამიტომ არ შეიძლება, განხილულ იქნეს, როგორც ასეთი... ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზეფრაზული სინტაქსური ერთეული, რომელსაც მოეპოვება რელევანტურ ნიშანთა ერთობლიობა, თვისებრივად განსხვავებული უფრო დაბალი დონის ერთეულებისაგან - წინადადებებისაგან შედგება და წარმოადგენს აბზაცს“ /329, 27/.

ნაშრომში გამოკვლეულია აბზაცის შიგნით ისეთი გრამატიკული კატეგორიების ფუნქციონირება, როგორცაა დროისა და განსაზღვრულობა - განუსაზღვრელობის კატეგორიები.

ობიექტური ნიშნები, რომელთა მიხედვითაც აბზაცები გამოიყ-
რფა ერთმანეთისაგან. ავტორის მიხედვით, შემდეგია: აბზაცის მთავარი
აზრობრივი ელემენტის მონაცვლეობა; აბზაცის შინაარსიდან გამომ-
დინარე შედეგი, ანდა დასკვნის ბოლო კომპონენტით გამოხატვა; მო-
ქმედების ადგილის ან დროის მონაცვლეობა, რომლის მარკირებაც
ხდება გარემოებითი სიტყვებით; მოქმედების დროული აღძვრა, რო-
მელიც მარკირდება ზმნის დროის ფორმათა ცვლილებით; თემის ან
მისი მონაცვლეთის მონაცვლეობა, რომელიც მარკირდება ერთი და იმავე
დროის ფორმათა ცვლილებით; ამ თუ იმ მონაცვლეთის დროული
თანამიმდევრობა /329,22/.

ფრიდმანს ხ მიერ ჩამოთვლილი ყველა ნიშნის გაზიარება ან
მიღება არ შეგიძლია, პირველი ნიშანი მუდმივმოქმედ, სპეციფიკურ
ნიშნად არ ჩაითვლება, რადგანაც ხომ არსებობს ისეთი აბზაცები,
სადაც ან ერთი სიტყვა გვაქვს, ან შესიტყვება, ან ერთი - ორი
წინადადება, ან რამდენიმე წინადადება და ა. შ. ამიტომ აბზაცის
მთავარი აზრობრივი ელემენტის მონაცვლეობაზე საუბარი ყოველთვის
არ შეიძლება. ვერც მეორე ნიშანს ჩავთვლით ძირითად და არსებით
ნიშნად, რადგან ყველა აბზაცის ყველა ბოლო კომპონენტი
(წინადადება) ყოველთვის როდი შეიცავს აბზაცში გადმოცემული
აზრის, შინაარსის დასკვნას, შედეგს.

ლ.გ. ფრიდმანის აზრით, აბზაცს შემდეგი შვიდი ნიშანი მოე-
პოვება:

1. საზღვრების, აგრეთვე ფორმალური (ბგერითი თუ გრაფიკული) მარკინების არსებობა, რომლებიც ყოველთვის ერთი მნიშვნელობით ამარკირებენ ამ საზღვრებს;
2. მთელი აბზაცისა და მისი ცალკეული კომპონენტების განსაკუთრებული ინტონაციური გაფორმება.
3. აბზაცის ყველა კომპონენტის გამჭრლი შეკავშირება;
4. აბზაცის მუდმივი ცვლადი ელემენტების (წინადადებების) სპეციფიკური ხასიათი;
5. აბზაცის კომპონენტების აქტუალური დანაწევრებისა და ამგვარად, რთული აბზაცის განპირობებულობა ამ კომპონენტების პოზიციითა და როლით;
6. რიგი გრამატიკული კატეგორიების სპეციფიკური ხასიათი;
7. მთელი აბზაცის აზრობრივი დამთავრებულობა და მისი ცალკეული კომპონენტების აზრობრივი სინსემანტია /329,30/.

ამ ნიშნებს ფრიდმანი ობიექტურ ნიშნებად მიიჩნევს. მათი ობიექტურობა კი ჩვენ საეკვოდ მიგვაჩნია. პირველი ნიშნის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ აბზაცის საზღვრების ბგერითი და გრაფიკული მათვენი-ბლები შეუძლებელია ყველთვის ერთი მნიშვნელობით ამარკირებდნენ ამ საზღვრებს. აბზაცის სახე და მისი საზღვრებიც განისაზღვრება მეტყველების (ტექსტის) ტიპით, სახელდობრ, იმით, თუ როგორ ტექსტთან გვაქვს საქმე: აღწერით, თხრობით, მსჯელობით თუ კონტამინირებულთან. თუ ერთ მნიშვნელობაში ავტორი აზრობრივ მთლიანობას და დამთავრებულობას გულისხმობს, ეს პარამეტრი ნიშანდობლივი არ არის, რადგან ყველა აბზაცი აზრობრივად არც მთლიანია და არც დამთავრებული, აბზაცის აზრობრივი დამთავრებულობა არ ნიშნავს მისი ცალკეული კომპონენტების სინსემანტურობას. ცალკეულ კომპონენტებს თავისი ინფორმაცია შეაქვს აბზაცის აზრობრივ მთლიანობასა და დამთავრებულობაში. ამდენად, ცალკეული კომპონენტი აზრობრივად სინსემანტური კი არ არის, არამედ საკირო და აუცილებელია შინაარსის ინფორმაციულობის მოცულობის, თვალსაზრისით, ამ უკანასკნელს კი მწერლის მიზანდასახულობა განაპირობებს.

ლ. გ. ფრიდმანის მიხედვით, აბზაცი შეიძლება იყოს:

1. კომპონენტთა ჩაოდენობის მიხედვით: ა/ ცალკომპონენტა და ბ/ მრავალკომპონენტა;

2. შინაარსის ხასიათის მიხედვით: ა/ ახალი თემის შემომყვანი: ბ/ აბზაცები, რომლებიც განაგრძობენ წინა აბზაცში შემოყვანილი თემის გადმოცემის გაგრძელებას და გ/ დაწყებული თემის გადმოცემის დამამთავრებელი;

3. სტრუქტურის მიხედვით: ა/ ერთხაზოვანი და ბ/ მრავალხაზოვანი /329, 32-34/.

ცალკომპონენტს ავტორი უწოდებს ერთი წინადადების შემცველ აბზაცს, ხოლო მრავალკომპონენტს ისეთს, რომელიც შედგება ორი ან მეტი წინადადებისაგან.

ჩვენ ვერ გავიზარებთ ავტორის აზრს - თითქმის ერთწინადადებიანი აბზაცი ზეფრაზული სინტაქსური ერთეული იყოს.

ერთხაზოვანი აბზაცები, ფრიდმანის აზრით, მხოლოდ თხრობის ერთ ხაზს გადმოგვცემენ, მრავალხაზოვანი კი - თხრობის ორ ან მეტ ხაზს.

ფრიდმანს მიხედვით, აბზაცში შემავალი წინადადებების (კომპონენტების) ურთიერთშეერთება დაკავშირების სხვადასხვა საშუალებებით ხორციელდება. აღსანიშნავია დაკავშირების: ლექსიკური საშუალებანი (ლექსიკური განმეორებანი, სიტყვა-სუბსტიტუტები და სხვ.), ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებანი (კავშირები და ზმნიზებები), გრამატიკული საშუალებანი (ზმნათა დროის ფორმები, არტიკლი, სიტყვათა რიგი) და ფონეტიკური საშუალებანი (პაუზა, ინტონაცია) /329,43/.

ლ. გ. ფრიდმანის გაგებით, აბზაცი არის ერთიანი აზრობრივი, სტრუქტურული და ინტონაციური მთლიანობა, ორი ან მეტი მონო-ან პოლიპრედიატიული კომპონენტისაგან შედგენილი და კომპლექსური, თემატურად გაერთიანებული გამონათქვამის გამომხატველი მეტყველების ზეფრაზული სინტაქსური ერთეული, რომელსაც ახასიათებს განსაკუთრებული სტრუქტურა, სპეციფიკური ინტონაციური რკალი და რეგულარულად მარკირებული საზღვრები /329,31-32/.

ლ. გ. ფრიდმანის მსგავსად, აბზაცს ზეფრაზულ სინტაქსურ ერთეულად მიიჩნევენ: ნ. ა. კოფენიკოვა /157,149/; ტ. ს. რიადნოვა /27&176/; ი. ვ. არხოლდი /&244/; ნ. ი. სერკოვა /284,3/; ნ. ა. ლეკოვსკაია /18276/; მ. ი. ბლოხი /32/; თ. მებუჯე /21&2/; ა. მ. ზემსკი, ს. ე. კრიუჩკოვი და მ. ვ. სვეტლაევი /130,196/; ო. ნ. ლიმარენკო /190/. ასეთნაირადვე არის გაგებული აბზაცი ო. ს. ახმანოვას მიერ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ, მისი აზრით, აბზაცი ფუნქციონირებს, როგორც ზეფრაზული მთლიანობა ან როგორც რთული სინტაქსური ერთიანობა /1& 27/. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზეფრაზული მთლიანობა და რთული სინტაქსური ერთიანობა გაგებულია სხვადასხვა განსხვავებულ ოდენობებად.

მეცნიერთა მეორე ჯგუფი ერთმანეთისაგან გამოიწნავს აბზაცსა და რთულ სინტაქსურ (ზეფრაზულ) მთლიანობას: აბზაცს მიაკუთვნებს წერიითი მეტყველების კომპოზიციურ სფეროს, რთულ სინტაქსურ (ზეფრაზულ) მთლიანობას კი - სინტაქს ანდა ტექსტის გრამატიკას.

აბზაცის სტრუქტურას, მის შინაარსსა და კომპოზიციურ - სტილისტიკურ როლს იკვლევს ტ. მ. ნიკოლაევა თავის ნაშრომში /22&/, სადაც იგი აბზაცს მიიჩნევს წერიითი მეტყველების ისეთ კომპოზიციურ - შინაარსობრივ ერთეულად, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს წინადადების, რთული სინტაქსური მთლიანობის, ანდა ამ სტრუქტურათა რთული გაერთიანების სახე /22&4/.

ტ. შ. ნიკოლაევა აბზაცს ჰყოფს ორ ძირითად ტიპად. სტატისტიკურად და დინამიკურად. ამასთან ერთად, ავტორი აღიარებს აბზაცის მესამე ტიპის - შერეული აბზაცის - არსებობასაც. მისი აზრით, აბზაცის ეს სახეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შინაარსით, ძირითადი სტრუქტურული თავისებურებებით და ამასთანავე, წარმოადგენენ სტრუქტურულ - სემანტიკურ ტიპებს, რომლებიც მთელი ნაწარმოების შემადგენლობაში ფუნქციონირებენ, როგორც თავისებური კომპოზიციური ერთეულები /22&5/.

ტ. შ. ნიკოლაევა გამოყოფს აგრეთვე აბზაცთა კომპოზიციურ ტიპებს მათში 'შემავალ წინადადებათა რაოდენობის მიხედვით: 1. აბზაცი - ერთი წინადადება; 2. აბზაცი - ორიდან ხუთამდე წინადადების ნაერთი; 3. აბზ.ცი - 6-9 წინადადების ნაერთი, და 4. აბზაცი - 10 და მეტი წინადადების ნაერთი.

ავტორის აზრით, უფრო ხშირადაა გამოყენებული პირველი და მეორე ტიპის აბზაცები; მწერლის ენაში აბზაცების რაოდენობრივ შედგენილობას განაპირობებს თემა, ჟანრი და მიზანი; ანგარიშგასაწევია აგრეთვე ინფორმაციის რაოდენობა აბზაცში /22&6/.

ნიკოლაევის თვალსაზრისით, აბზაცის ორგანიზაციაში დიდ როლს ასრულებს შემასმენელთა ფორმები. სტატისტიკურ აბზაცებში ძირითადად გამოყენებულია უსრული სახის შემასმენლები ('ზმნური და სახელური) „თვისებრივ - გამოსახვითი მნიშვნელობით“; ხოლო დინამიკურ აბზაცებში გამოყენებულია სრული სახის ზმნები, რომლებიც თანმიმდევრობას გამოხატავენ /22&7/.

ნიკოლაევის შეხედულებით, აბზაცთა შეერთებისას ძირითად როლს ასრულებს დასაწყისი და ბოლო წინადადებები. ამის მიხედვით ავტორი ცალკე გამოყოფს ექსპოზიციური მონაცემების შემცველი აბზაცების შემდეგ ტიპებს:

1. აბზაცი, რომელიც შეიცავს სტატისტიკური ხასიათის ერთ ცნობას (ერთთემიანი სტატისტიკური აბზაცი);

2. აბზაცი, რომელიც შეიცავს სტატისტიკური ხასიათის მრავალ ცნობას (მრავალთემიანი სტატისტიკური აბზაცი);

3. აბზაცი, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის სტატისტიკური და დინამიკური ცნობები (მრავალთემიანი შერეული აბზაცი) - /22&17/.

ნაშრომში გამოყოფილია აგრეთვე დინამიკურ აბზაცთა ოთხი შინაარსობრივი ტიპი:

1. აბზაცი, რომელიც წარმოადგენს დროის რაღაც მონაკვეთის შემდეგ მოქმედების ახალი ეტაპის აღწერას.

2. აბზაცი, რომელშიც ახალი მოქმედი პირების შემოყვანასთან, მოქმედების სუბიექტის შეცვლასთან, თვით მოქმედების ცვლასთან დაკავშირებით მოცემულია მოქმედების ახალი ეტაპის აღწერა.

3. აბზაცი, რომელიც შეიცავს ცნობას იმ მოქმედებათა შესახებ, რომლებიც ... თავისებური რეზარკების ფუნქციას ასრულებენ და დაკავშირებული არიან პირდაპირ ნათქვამთან, დიალოგთან.

4. აბზაცი, რომელიც შეიცავს ცნობას იმ მოქმედებათა შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ წინამავალ მოქმედებათა შედეგს ანდა რეპლიკაზე რეაქირებას /22& 17-1&/.

ავტორის გამოყოფილი აქვს დასაწყის აბზაცთა სამი ტიპი:

1. აბზაცი, რომელიც შეიცავს ცნობას მოქმედების შესახებ და ავტორისეული აღწერისა და დახასიათების სხვადასხვა სახეს.

2. აბზაცი, რომელიც შეიცავს ცნობას მოქმედების ადგილისა და დროის შესახებ, აგრეთვე ავტორისეულ დახასიათებას.

3. აბზაცი, რომელიც შეიცავს ცნობას ისეთ მოქმედებათა შესახებ, რომლებიც სიუჟეტის განვითარების გამოსავალ მომენტს წარმოადგენენ.

და ბოლოს, ნიკოლაევა გამოყოფს დამამთავრებელ აბზაცთა შემდეგ აზრობრივ ტიპებს:

1. აბზაცი, რომელიც გახაზავს თხრობის ძირითად აზრს.

2. აბზაცი, რომელიც წარმოადგენს წინამავალი რეპლიკის საპასუხო რეაქციას.

3. აბზაცი, რომელიც შეიცავს ცნობას გმირთა შემდგომი ბედის შესახებ.

4. აბზაცი, რომელიც გმირს გვიჩვენებს ჩაფიქრების თუ სულიერი „გაღვიძების“ მომენტში.

5. აბზაცი, რომელშიც მოცემულია ავტორისეული ემოციონალური შეფასება ყოველივე იმისა, რაც ხდება /22& 20/.

ჩვენ ასე ვრცლად იმიტომ წარმოვადგინეთ ტ. მ. ნიკოლაევის თვალსაზრისი აბზაცზე, რომ ის გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ ფენომენზე, როგორც წერილთა მეტყველების კომპოზიციურ - სტილისტიკურ ერთეულზე.

სხვადასხვა ფუნქციონალურ სტილში აბზაცის სტრუქტურის თავისებურ დიფერენციაციას გვთავაზობს ტ. ი. სილმანი /286/.

აბზაცსა და რთულ სინტაქსურ მთლიანობას ერთმანეთისაგან ასევე პრინციპულად განასხვავებს ლ. მ. ლოსევაც /197:200/. მისი აზრით:

1. აბზაცი არ შეიძლება მივაკუთვნოთ სინტაქსურ კატეგორიებს.

2. აბზაცისა და რთული სინტაქსური მთლიანობის საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა /200, 20-22/.

3. აბზაცში გამოიყოფა სამი ნაწილი: დასაწყისი, ძირითადი ფრაზა და მაკონენტრირებელი ნაწილი /197, 90/.

ლ.მ. ლოსევა აბზაცს კომპოზიციურ - სტილისტიკურ ერთეულად მიიჩნევს.

მსგავსად ტ. მ. ნიკოლაევასა და ლ. მ. ლოსევასი, აბზაცს კომპოზიციურ - სტილისტიკურ ერთეულად თვლიან : ნ. ს. პოსპელოვი /251, 67/, ო. ი. მოსკალსკაია /222, 14/, ნ. დ. ზარუბინა /124, 8/, ნ. ს. ვალგინა /51, 401/, დ. პ. ვალკოვა /249, 443/, ვ. პ. ლუნიოვა /207, 5/, ვ. ვ. ბაბაიციევა ო. ი. მაქსიმოვი /19, 258/, ნ. ი. სერდობინცევი /283, 68/, ნ. ა. ტურმაჩევა /323, 140/, ნ. ნ. ხოლოდოვი /298, 382/ და სხვ.

ზოგჯერ ერთი და იგივე ლინგვისტი აბზაცს ხან კომპოზიციურ - სტილისტიკურ, ხან კი სინტაქსურ ერთეულად ასახელებს. ჩვენ უკვე გავყვანით ტ. ი. სილმანის მოსაზრებას, რომ აბზაცი კომპოზიციურ - სტილისტიკური ერთეულია /287, 107/, მაგრამ სხვა ნაშრომში იგივე ავტორი აბზაცს განიხილავს, როგორც სინტაქსურ - ინტონაციურ მთლიანობას, რომელიც ერთი ან მრავალი წინადადებისაგან შედგება /288, 9/. ასეთსავე აღრევასთან გვაქვს საქმე ი. ვ. არნოლდის ნაშრომშიც /8, 244-247/. თ. მებუეც აბზაცს ჯერ მიიჩნევს სემანტიკურ - სინტაქსურ ერთეულად /216, 2/, ხოლო შემდეგ მას განიხილავს „არა მარტო როგორც ტექსტის ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურულ - მდგენელ ერთეულად, რომელიც განეკუთვნება კომპოზიციის, სინტაქსისა და არქიტექტონიკის დონეებს“ /216, 5/.

ფიქრობთ, ზედმეტია კომენტარი; აბზაცი აქ ყველაფერს განეკუთვნება: სემანტიკას, სინტაქსს, კომპოზიციას, ავტორისეულ დაყოფას, არქიტექტონიკას.

აბზაცის პრობლემისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან უნდა აღინიშნოს ვ. ნ. მაროვის გამოკვლევა /211/, რომელიც აბზაცის სტრუქტურულ - სტილისტიკური მოდელის საკითხებს ეხება; ნ. ს. ბუხტია-როვას ნაშრომი /49/, რომელიც არკვევს აბზაცის თავისებურებებს მეცნიერულ და მხატვრულ ტექსტებში; აბზაცის აგებულებასა და უნ-

ქუციას ეხება მ. ნ. ივანოვის სტატია /135/. მ. გ. სვოტინა არკვევს „აბზაცთა შორის დაკავშირებას ნ. ს. დობროლუბოვის პრაქტიკაში“ /279/; ო. ნ. ლიხარენკო ანალიზებს „აბზაცის შიგნით წინადადებათა დაკავშირების სინტაქსურ საშუალებებს დ. ი. პისარევთან“ /190/. აბზაცის შესახებ ორიგინალურ აზრს გამოთქვამს ვ. ნ. ვოლოშინოვი, რომლის მოხედვითაც „აბზაცი მონოლოგში შესული დიალოგია“ /73, 111/.

აბზაცის შესახებ არსებული ლიტერატურა ზემოთ მიმოხილული ნაშრომებით არ ამოიწურება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმისათვის, რათა დაინახოთ, თუ აზრთა როგორი სხვადასხვაობა არსებობს ენათმეცნიერთა შორის აბზაცის გავებაში.

ტერმინი „აბზაცი“ ქართულ ენაში პირველად ფიქსირებულ იქნა ი. იმედაშვილის ლექსიკონში /367/, სადაც იგი განმარტებულია როგორც „ხარვეზი სტრიქონის დასაწყისში; სტრიქონის შეწყვეა; ორ შეწყულ სტრიქონს შუა მოთავსებული ნაწყვეტი“ /367, 1/.

აბზაცის ასეთივე განმარტებებია მოცემული „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ /380/, „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ /381/ და რ. შამელაშვილის მიერ შედგენილ ლექსიკონში /383/.

უნდა ითქვას, რომ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში აბზაცი, როგორც ენობრივი ერთეული, ჯერჯერობით საგანგებო კვლევის საგანი არ გამხდარა.

ჩვენი გაგებით, აბზაცი სხვა ოდენობაა და მეტატექსტი - სხვა. მათ შორის არსებითი განსხვავებაა. მეტატექსტი ჩვენთვის ენობრივი ერთეულია და ტექსტის დონეს განეკუთვნება, აბზაცი კი - კომპოზიციური - სტილისტიკური საშუალების სფეროს ესადაგება. მეტატექსტისა და აბზაცის ურთიერთობის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ კი გვინდა მოვიხმოთ ლ. შ. ლოსევას მოსაზრება რუსული სინტაქსური მთლიანობისა (ჩვენი ტერმინოლოგიით - მეტატექსტის) და აბზაცის ურთიერთობის შესახებ. ლ. შ. ლოსევა წერს: „არ შეიძლება ერთმანეთს დავუპირისპიროთ აბზაცი და რთული სინტაქსური მთლიანობა, ესეინ არა დაპირისპირებითი, არამედ ურთიერთმომქმედი კატეგორიებია. მაგრამ უფრო საშიშია მათი გაურჩევლობა - რომ ერთი მიჩნეულ იქნეს მეორის გამოხატვის, აღქმის და ა. შ. ფორმად“ /197, 58/.

1.5.3 რთული სინტაქსური მთლიანობა

წინადადებაზე დიდი ერთეულის აღსანიშნავად ხშირად გამოიყენება ნ. ს. პოსპელოვის მიერ დამკვიდრებული ტერმინი „რთული სინტაქსური მთლიანობა“, რომლის პარალელურად იხმარება აგრეთვე „ზეფრაზული ერთიანობა“.

ვ ვ ვინოგრადოვის შრომებშიც გვხვდება ტერმინები „სინტაქსური მთლიანობა“ და „რთული სინტაქსური მთლიანობა“. მაგრამ მხოლოდ რთული თანწყობილი ანდა რთული ქვეწყობილი წინადადებების მნიშვნელობით. ვ ვ ვინოგრადოვმა იცის წინადადებაზე დიდი ერთეულის არსებობა, რომელსაც „თვისებრივად ახალი ტიპის რთულ სინტაქსურ მთლიანობას“ უწოდებს, მაგრამ ეს ოდენობა მას თავისი კვლევის საგნად არ გაუხდია.

ტერმინი - „რთული სინტაქსური მთლიანობა“ გამოიყენება გ. ა. ზოლოტოვას / 32/, ლ. მ. ლოსევას / 197; 199; 200 და სხვ. კ. ლუნოვას / 207/, გ. ს. კილიაძენკოს / 164/, ნ. ვ. კირპიჩნიკოვას / 149/ და სხვათა შრომებში, ხოლო „ზეფრაზული მთლიანობა“ - ნ. დ. ზარუბინას / 124/, ი. რ. ვალპერინისა / 85 და სხვ. / ნ. ი. სერკოვას / 284/, გ. ა. მასლოვის / 213/, ი. ი. მოსკალსკაიას / 222/, ნ. ვ. ჩერემისინას / 337/ და სხვათა შრომებში.

რთული აინტაქსური მთლიანობის არსისა და ფუნქციის გაგებაში აზრთა სხვადასხვაობაა. აქ შეიძლება გამოიყოს რამდენიმე შემთხვევა:

ა/ როცა რთული სინტაქსური მთლიანობა გაგებულია „არა როგორც წინადადებათა მექანიკური ჯამი, არამედ თვისებრივად ახალი სტრუქტურულ - აზრობრივი წარმონაქმნი“ / 85, 69/. ანდა „წინადადებათა სპეციალურად ორგანიზებული დახურული ჯაჭვი“ / 222, 17; 221, 56. 164, 87/;

ბ/ როცა რთული სინტაქსური მთლიანობა გაგებულია როგორც „დამოუკიდებლად გაფორმებულ წინადადებათა გაერთიანება“ / 200, 22; 324, 23/;

გ/ როცა რთული სინტაქსური მთლიანობა გათავსდება, როგორც „უმაღლესი დონის საკომუნიკაციო ერთეული“ / 207, 8/.

დ/ როცა რთულ სინტაქსურ მთლიანობად მიჩნეულია „უმაღლესი რანგის სამეტყველო ერთეული“ / 284, 3; 271, 8/.

ენათმეცნიერთა ნაწილი რთული სინტაქსური მთლიანობის სხვადასხვა სახეს გამოყოფს. ვ. პ. ლუნოვა განასხვავებს ავტოსემანტურ და სინსემანტურ რთულ სინტაქსურ მთლიანობებს / 207, 56-68/. ი. რ.

გალპერინის მიხედვით, არსებობს რელატიური და პრედისკატული ზეფრაზული მთლიანობანი. ამათგან ყველაზე მეტ ინფორმაციას შეიცავს პრედისკატული ზეფრაზული მთლიანობა, მაშინ როცა რელატიური ზეფრაზული მთლიანობა შეიცავს აუცილებლად საჭიროს, ზოგჯერ უმცირესს, ზოგჯერ კი თითქმის ნულოვან ინფორმაციას /82,75/.

ნ.ა. ტურმაიევა გამოყოფს ზეფრაზული მთლიანობის ოთხ სახეს:

1. დაუნაწევრებადს, 2. ნახევრადდანაწევრებადს, 3. დანაწევრებადს და 4. შერეულს. ამათგან დაუნაწევრებადი ზეფრაზული მთლიანობისათვის დამახასიათებელია კომპონენტთა ჭაჭვეური და პარალელური კავშირი /იხ.300,49-170/, აგრეთვე კომპონენტთა თანმიმდევრობის მკაცრი რიგი /323,12/. ნახევრადდანაწევრებადი ერთიანობისათვის დამახასიათებელია კომპონენტების უფრო თავისუფალი შეკავშირება, ვიდრე ამას აღიილი აქვს დაუნაწევრებად ერთიანობებში. ნახევრადდანაწევრებად მთლიანობებში გამოიყენება კავშირი, რომელსაც ავტორი სხივურს უწოდებს /323,14/. დანაწევრებადი ზეფრაზული მთლიანობა ხასიათდება ნაწილობრივი პარალელური, მიერთებითი და სიტუაციური შეკავშირებით /323,17/; ბოლოს შერეული ზეფრაზული მთლიანობა ხასიათდება ყველა სახის შეკავშირებით (ჭაჭვეურით, პარალელურით, სხივურით, მიერთებით, სიტუაციურით) /323,19/. როგორც ვხედავთ, ნ.ა. ტურმაიევა ძირითად ყურადღებას ამახვილებს ზეფრაზული მთლიანობის კომპონენტებს შორის სინტაქსური კავშირის არსებობასა და თავისებურებაზე.

გ.ა. ვიხმანი გამოყოფს მონოლოგურ და დიალოგურ ერთიანობებს /63, 98-105/.

ი.ლ. ჩერნუხინას შემოაქვს ტერმინი „სინტაქსური ერთიანობა“, რომელსაც რთული სინტაქსური მთლიანობის ერთ-ერთ სახედ მიიჩნევს¹ /340,3/. ავტორის აზრით, სინტაქსური ერთიანობა შედგება ორი

¹ ი.ლ. ჩერნუხინა სინტაქსური ერთიანობის დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს „სტრუქტურის შეღწევალობას“, რომელიც, მისი აზრით, იმაში მდებარეობს, რომ სინტაქსური ერთიანობის კომპონენტებს შორის შეიძლება ჩაერთოს უცხო კონსტრუქციები /340,12/. ამ დებულებას ჩვენ არ ვიზიარებთ. კომპონენტებს შორის „უცხო კონსტრუქციების“ ჩართვა არ შეიძლება, რადგან ჩართვა დაარღვევდა ინფორმაციის შინაარსობრივ თანამიმდევრობას, სტრუქტურის მთლიანობას და აზრობრივ ერთიანობას.

არატოლი, დაპირისპირებული ნაწილისაგან, რომელთაც მან პირობითად „საყრდენი“ და მიზიდული წინადადებები უწოდა /340, 4/.

ნ.ვ. კირპიჩნიკოვა ერთმანეთისაგან განასხვავებს: 1. უკუთქმითი მნიშვნელობის, 2. განზოგადება - კვალიფიკაციის მნიშვნელობისა და 3. წართქმითი და შედარებითი მნიშვნელობის რთულ სინტაქსურ მთლიანობებს /149, 36/.

როგორც ჩანს, რთული სინტაქსური მთლიანობა სხვადასხვა ასპექტით განისაზღვრება, მაგრამ იგი ყველასათვის არის მეტყველების ერთეული და კომუნიკაციის საშუალება. ენათმეცნიერთა უმრავლესობისათვის ასეთი რთული მთლიანობა სინტაქსური ერთეულია. ამ აზრს აშკარად და დაბეჭითებით გამოთქვამენ გ.ო. ვინოკური /72/, ნ.ს. პოსპელოვი /251; 252/, ი. ა. ფიგუროვსკი /325; 326/, ლ.მ. ლოსევა /200 და სხვ./, ნ.დ. ზარუბინა /24 და სხვ./, ო.ი. მოსკალსკაია /222/, ი.რ. გალპერიანი /82 და სხვ./, ნ.ი. სერკოვა /284/, ე.ა. რეფეროვსკაია /271/ და სხვანი. როცა აქვს ამტკიცებენ, ისინი ამოდიან რთული სინტაქსური მთლიანობის კომპონენტებს შორის სინტაქსური კავშირის არსებობიდან. მაგრამ ლინგვისტთა სხვა ჯგუფი რთულ სინტაქსურ მთლიანობას განიხილავს, როგორც აზრობრივ ერთიანობას, რომელშიც საერთოდ არ მოინახება არავითარი სინტაქსური ნიშნები. ასეთ შეხედულებას გამოთქვამენ: ლ.გ. ფრიდმანი /329, 19/, ა.ვ. მუხინი /224, 206/, რ.პ. რაგოვნიკოვა /273, 54/ და სხვები.

ენათმეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა რთული სინტაქსური მთლიანობის პარამეტრების გაგებაშიც. სახელდობრ, რთული სინტაქსური მთლიანობის პარამეტრებად დასახელებულია:

1. მონომიკროთემურობა /200, 22; 222, 17-18/;

2. აზრობრივი დამთავრებულობა /207, 9; 200, 22; 275, 11; 284, 3; 217, 8/ და

3. სტრუქტურული ერთიანობა /207, 9; 85, 69; 271, 8/.

ენათმეცნიერთა ნაწილი რთული სინტაქსური მთლიანობის პარამეტრთა შორის ასახელებს მასში ავტოსემანტური და სინსემანტური წინადადებების არსებობას¹ /24; 118; 124; 207/.

სხვა პარამეტრებს შორის დასახელებულია ინტონაციური მთლიანობა /145, 9; 329, 17-18; 301, 92/, წინადადებათა რიგის თანა-

¹ რთული სინტაქსური მთლიანობის პარამეტრების ჩვენეული ინტერპრეტაცია იხილეთ ნაშრომის თავში „მეტატექსტი“ (ვ.ს.).

ფარდობა /207 9/, სპეციფიკური სინტაქსური კავშირები /301,92/, მოდალური პლანის ერთიანობა /301, 92/, აზრობრივი და ფორმალური გაბმულობა, აგრეთვე თემატური სიტყვების გარკვეული ჭგუფი /216, 6/.

ენათმეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა რთული სინტაქსური მთლიანობის მოცულობის განსაზღვრაშიც. ავტორთა ნაწილი გამოდის იქიდან, რომ რთული სინტაქსური მთლიანობა არის წინადადებაზე (იხილეთ ერთეული, რომელიც შედგება ორი ან რამდენიმე წინადადებისაგან. ამ აზრს გამოთქვამენ ნ. ს. ვალგინა /51,372/, ნ.ა. ტურმაჩევა /322,129/ და სხვანი. მათი აზრით, რთული სინტაქსური მთლიანობის ქვედა ზღვარი ორი წინადადებაა.

სხვა ავტორებს მიაჩნიათ, რომ რთული სინტაქსური მთლიანობა შეიძლება შედგებოდეს არა მარტო რამდენიმე წინადადებისაგან, არამედ ემთხვეოდეს ერთ რთულ წინადადებას, ზოგჯერ კი მოთავსდეს ერთ მარტივ წინადადებაშიც. ამ აზრისანი არიან ბ.ა. მასლოვი /213,4/ და მ.პ.ბრანდესი /228/.

ენათმეცნიერთა ჭგუფი არკვევს რთული სინტაქსური მთლიანობის არა მარტო ქვედა ზღვარს, არამედ სვამს აგრეთვე კითხვას მისი მქსიმალური მოცულობის შესახებ. მისი ზედა ზღვარის შესახებ, ზოგიერთი ავტორი ცდილობს, ზუსტად განსაზღვროს ეს ზღვარი. მაგალითად, ნ.დ. ჯარუბინა მიიჩნევს, რომ ზეფრაზულ მთლიანობაში შემავალ კომპონენტთა რაოდენობა, როგორც წესი, 5-7 წინადადებით განისაზღვრება /124,14/.

სპეციალისტთა გარკვეული ნაწილი რთული სინტაქსური მთლიანობის მოცულობის კრიტერიუმად მიიჩნევს აბზაცს, მაგრამ რთული სინტაქსური მთლიანობის მოცულობის შეპირისპირება აბზაცთან სხვადასხვა ავტორთა მიერ განსხვავებულად ხდება. ი.ვ. არნოლდი /8244/, ლ.გ. ვლენინა /6071/, ნ.ს. პოსპელოვი /251, 66/ თვლიან, რომ რთული სინტაქსური მთლიანობა ყოველთვის ნაკლებია აბზაცზე, ხოლო რამდენიმე რთული სინტაქსური მთლიანობა გვაძლევს აბზაცს.

ლ.მ. ლოსიევას /197,93/, ვ. ნ. მაროვის /211,48/ აზრით რთული სინტაქსური მთლიანობა შეიძლება წარმოადგენდეს აბზაცის ნაწილს, მთელ აბზაცს, ან რამდენიმე აბზაცს.

ნ.ი. სერკოვას ზეფრაზული მთლიანობა ემთხვევა აბზაცს. მისი აზრით, აბზაცი წერაში აფიქსირებს ზეფრაზულ მთლიანობას, რო-

გორც განსაკუთრებული სახის ფუნქციონალურ - სამეტყველო ერთიანობას /284,3/. ამ შეხედულებას იზიარებს გ.ი. ბლოხიც /32,216/. სერკოვას მიხედვით, ზეფრაზული მთლიანობანი ერთმანეთისაგან უნდა განცალკევდეს დიერემით, რომლის სიგრძეც ორ მორზე მეტი იქნება¹ /284,3/.

ლ.მ. ლოსევას თვალსაზრისით, ძირითადი ნიშანი, რომლის მიხედვითაც მეტყველების ნაკადში რთული სინტაქსური მთლიანობა შემოისაზღვრება, გამოვლინდება მთლიანობათა საზღვრებზე ფრაზათა შორის კავშირითა შესუსტებით /199,65; 203,64/.

ენათმეცნიერთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ რთული სინტაქსური მთლიანობის ზედა ზღვარის განსაზღვრა და სასაზღვრო ნიშნების ჩამოკალიბება, უბრალოდ, შეუძლებელია. ასეთ აზრს გამოთქვამენ: ლ.მ. ლოსევა /199,68/, ე.ა. ჩეფეროვსკაია /271,8/, მ.პ.ბრანდესი /42,9/, ი. ა. ბოვეცი და ე.დ. ვინტმანი /34,86/ და სხვანი.

რთული სინტაქსური მთლიანობის ზედა ზღვრის შესახებ თავის დროზე აზრი გამოთქვა: ნ.ს. პოსპელოვმა, რომელმაც მის არსებით ნიშნად მიიჩნია: 1. რთული სინტაქსური მთლიანობის აზრობრივი დამოუკიდებლობა, დამთავრებულობა და 2. სინტაქსურ მთლიანობაში შემავალ წინადადებათა შორის კავშირის განსაკუთრებული მიერთებითი ხასიათი /251,68/.

ნ.ს. პოსპელოვის ამ მოსაზრებას ს.ი. გინდინმა უნდობლობა გამოუცხადა და ეს ნიშნები არასაიმედოდ და არასაკმარისად ჩათვალა /101,352/.

თ. მებუჯეს ზეფრაზული მთლიანობის საზღვრის მაჩვენებლად მიაჩნია: კონტაქტური ლექსიკურ - სემანტიკური კავშირის გაწყვეტა, ზმნის ასპექტისა და დროის ფორმათა შეცვლა, ახალი თემატური ცენტრის გამოჩენა /216,6/.

როგორც ვხედავთ, ენათმეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა რთული სინტაქსური (ზეფრაზული) მთლიანობის არსის, მისი პარამეტრებისა და მოცულობის განსაზღვრის საქმეში. მაგრამ ლინგვისტები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ რთული სინტაქსური (ზეფრაზული) მთლიანობა წინადადებაზე დიდი სამეტყველო

¹ დიერემა პაუზას ნიშნავს, ხოლო ერთი მორი ერთი მოკლე ბგერის საშუალო რხევის სიხშირის ტოლია (ვ.ს.)

ერთეულია და მისი ძირითადი დანიშნულება საკომუნიკაციო ურთიერთობაა.

წინადადებაზე დიდი ერთეულის აღსანიშნავად, გარდა რთული სინტაქსური (ზეფრაზული) მთლიანობისა, ტექსტის ლინგვისტიკაში გვხვდება სხვა ტერმინებიც. ამ ოდენობის აღსანიშნავად გ.ა. სოლგანიკი იყენებს „პროზ. ულ სტროფს“ /300,94/, გ.ს. კანდინსკი - „ფონეტიკურ აბზაცს“ /145,9/, ლ.ი. აბატოვა - „აზრობრივ მონაკვეთს“ /7,22/, შ.ი. ბლოხი - „კუმულიატივს“ /32,209/, ს.ი. გინდინი - „სუბტექსტს“ /100,9-10/, ც. ტოდოროვი - „ეპიზოდს“ /31& 459-460/.

რთული სინტაქსური მთლიანობა შეტანილ იქნა უმაღლესი სკოლების რუსული ენის სახელმძღვანელოებში 70-იან წლებში. პირველი ასეთი სახელმძღვანელო იყო დ.ე. როზენტალის რედაქციით გამოცემული წიგნი /297/. წიგნში რთული სინტაქსური მთლიანობის საკითხს ეძღვნება გ.ი. სოლგანიკის გამოკვლევა, რომელიც წარმოადგენს ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებული მონოგრაფიის /300/ ძირითადი დებულებების განმეორებას. გ.ი. სოლგანიკის მითითებული წიგნის ჩვენული ინტერპრეტაცია ნაშრომში ცალკეა მოცემული /იხ. გვ. 11-13/ და ამიტომ აქ მას ხელმეორედ არ განვიხილავთ.

ნ.ს. ვალგინა თავის სახელმძღვანელოში /51/ რთულ სინტაქსურ მთლიანობას განსაზღვრავს, როგორც „სტრუქტურულ - აზრობრივ მთლიანობას“, რომელიც შედგება რამდენიმე წინადადებისაგან და ხასიათდება „თქმის (მიყროთემის) შედარებითი დამთავრებულობით, კომპონენტების „აზრობრივი და სინტაქსური შემკიდროვებით“ /51,391/.

ნ.ს. ვალგინა, მსგავსად სოლგანიკისა, გამოყოფს პარალელურ და ჩაქვეურ კავშირებს და იძლევა მათს დახასიათებას სათანადო მავალითების შოხობით, ავტორი ახასიათებს ავტოსემანტურ და სინსემანტურ წინადადებებს პარალელური კავშირის დროს. იგი გახაზავს პირველი წინადადების როლს რთული სინტაქსური მთლიანობის შექმნაში.

რთული სინტაქსური მთლიანობა, როგორც წინადადებაზე დიდი ერთეული, შეტანილია რუსული ენის სახელმძღვანელოებშიც /130; 249; 298 და სხვ./ და მათში ძირითადად იგივე დებულებები მეორდება, რომელთაც ჩვენ უკვე გავეცანით გ.ი. სოლგანიკისა და ნ.ს. ვალგინას ნაშრომების განხილვისას.

წინადადებაზე დიდი ერთეულის (რთული სინტაქსური მთლიანობის, ზეფრაზული მთლიანობის თუ მეტატექსტის) შესახებ

ქართული ენის სახელმძღვანელოებში, როგორც საშუალო ისე უმაღლესი სკოლებისათვის, ჭერჭერობით რაფერი არ არის შეტანილი. უნდა აღინიშნოს, რომ ლ. კვაკაძის წიგნში /374/ გვხვდება ტერმინი „რთული სინტაქსური კონსტრუქციები“. რომლითაც იგი აღნიშნავს რთული ქვეწყობილი ან ზერთული წინადადებების სახეებს. ამ სახეების საილუსტრაციო მასალა უმეტეს შემთხვევაში უფრო დიდია და მეტი, ვიდრე ხშირად მეტატექსტისა თუ ტექსტის საილუსტრაციო მაგალითები ქართულ, რუსულ თუ საზღვარგარეთულ ტექსტის ლინგვისტიკაში. მაგრამ, როგორც ჩანს, წიგნზე მუშაობისას ლ. კვაკაძეს მიზნად არ დაუსახავს მეტატექსტისა და ტექსტის კვლევა და არც არაფერს ამბობს მათზე. თუმცა მკვლევრის ალღომ და გამოცდილებამ მას ტექსტის რამდენიმე პარამეტრი აღმოაჩინა.

1. 5. 4. პერიოდი

ტერმინი „პერიოდი“ ისევ გამოჩნდა რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში. სახელდობრ, მას გარკვეული ადგილი უკავია უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი რუსული ენის სახელმძღვანელოებში, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმძღვანელოებში პერიოდი სხვაა, ხოლო რთული სინტაქსური მთლიანობა - სხვა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ზოგიერთ სახელმძღვანელოში ორივეა წარმოდგენილი, როგორც სხვადასხვა დონისა და ოდენობის ერთეულები. ამ ავე დროს უნდა ითქვას, რომ პერიოდის გაგებაშიც არის აზრთა სხვადასხვაობა.

დ. ე. როზენტალის რედაქციით გამოსულ თანამედროვე რუსული ენის სახელმძღვანელოში /297/ პერიოდი განხილულია მრავალწევრა რთულ წინადადებებში. პერიოდს ეძღვნება ნ.ი. ფორმანოვსკაიას გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც, „პერიოდი“ - ეს არის რთული ან მარტივი კონსტრუქციებით გართულებული, აზრობრივად შედარებით დასრულებული გაშლილი წინადადება“, რომელიც ორ ურთიერთდაპირისპირებულ ნაწილად იყოფა: პირველი ნაწილი შედგება რამდენიმე ერთგვარი ერთეულისაგან და ტონის ამალღებით წარმოითქმის, მეორე ნაწილი აზრობრივად, გრამატიკულად და ინტონაციურად პირველის დასკვნას წარმოადგენს და წარმოითქმის ტონის დადაბლებით /297, 192/.

ნ.ი. ფორმანოვსკაიას აზრით, როცა პერიოდი ისეა აგებული, როგორც რთული ქვეწყობილი წინადადება, მაშინ თავში ჩვეულებრივ დამოკიდებულ წინადადებები ექცევა (დროის, პირობისა თუ სხვა სახისა). პერიოდი მიჩნეულია წიგნის ენის, ემოციურ - ექსპრესიული, ანდა ამღლებული მქტველების კეთნილებად.

ამავე გამოკვლევის მიხედვით, პერიოდი შეიძლება გავიგოთ, როგორც რთული (ანდა ზერთული) წინადადების სახეობა.

ნ. ა. ვალგინას მიერ შედგენილ სახელმძღვანელოში პერიოდი გაგებულია, როგორც „განსაკუთრებულად ორგანიზებული მრავალწევრა რთული წინადადება“... /51,384/. ავტორს მიაჩნია, რომ პერიოდის სახით აგებული წინადადებები შეადგენს პერიოდულ მეტყველებას, რომელიც ხასიათდება „სიმწყობრით, მუსიკალურობით, რიტმული დალაგებულობით“ (იქვე). შინაარსის მხრივ პერიოდს ახასიათებს აზრის სისრულე და დამთავრებულობა, პერიოდის ნაწილები აგებულია პარალელიზმის პრინციპით: „მათში მეორდება კავშირები, საკავშირებელი სიტყვები, სიტყვათა ერთნაირი წყობა და ზმნა - შემასმენელთა ერთნაირი ფორმები /51,385/. ავტორის აზრით, პერიოდის სახე შეიძლება ჰქონდეს მრავალწევრა რთულ ქვეწყობილ წინადადებას, რთულ თანწყობილ წინადადებას, რთულ სინტაქსურ კონსტრუქციას და რთულ სინტაქსურ მთლიანობასაც /51,385-388/.

ასეთი მსჯელობის მიხედვით, ყოველად შეუძლებელია გავიგოთ, თუ რა არის პერიოდი. მაგრამ ჩვენს ყურადღებას ამ შემთხვევაში იყრობს ავტორის აზრი, რომ პერიოდის სახე შეიძლება ჰქონდეს რთულ სინტაქსურ მთლიანობას. ეს დებულება მცდარია. თუნდაც იმიტომ, რომ პერიოდი და რთული სინტაქსური მთლიანობა სხვადასხვა ოდენობის, სხვადასხვა ფუნქციისა და სტრუქტურის ერთეულებია. ჩვენ აქ მოვიხმობთ ნ.ა. ვალგინას ერთ მაგალითს, რომელიც მას მოჰყავს ისეთი პერიოდის საილუსტრაციოდ, რომელიც ამავე დროს რთულ სინტაქსურ მთლიანობასაც წარმოადგენს. ეს მაგალითია: („Бог ты мой, как он обрадовался, когда без спроса и стука распахнулась настеж тяжелая дверь кабинета! Когда куриные кеды прыгнули с парга на ковер. Когда через ковер перескочили ноги в синих штанах с металлическими заклепками на карманах и с круглой красной строчкой по швам. Когда, наконец, невяряя на присутствие в кабинете нескольких подчиненных, две сильные и ценкие руки обхватили его за шею!“).

ეს მაგალითი ვალგინას დებულებას ვერ განამტკიცებს, რადგან იგი სულაც არ არის რთული სინტაქსური მთლიანობა. საქმე გვაქვს რთულ ქვეწყობილ წინადადებასთან, სადაც არის ერთი მთავარი და რამდენიმე (ოთხი) ერთგვარი (დროის გარემოებითი) დამოკიდებული წინადადება.

პერიოდის ვალგინასეულ გაგებაში არეც - დარეცა შეაქვს ავტორის მსჯელობას იმის შესახებ, რომ პერიოდი არის არა იმდენად სტრუქტურულ - სინტაქსური, რამდენადაც კომპოზიციურ - სტილისტიკური მოვლენა, ე.ი. გამოდის, რომ პერიოდი ნაწილობრივ სინტაქსურ - სტრუქტურული, მაგრამ უფრო მეტად კომპოზიციურ - სტილისტიკური მოვლენაა. ავტორს მიაჩნია, რომ იგი გამოირჩევა ემოციონალური დატვირთულობით, ლირიკული ანდა პუბლიცისტური დაძაბულობით, ქარმონიულობით და მუსიკალურობით" /51, 389/. ამ სიტყვების შემდეგ კიდევ უფრო ძნელდება მისი გაგება. იბადება კითხვა, რომ არ ესმის ავტორს პერიოდი, როგორც რიტორიკის საგანი ან რიტორიკული ოდენობა. თუ ასეა, რატომ იხილავს მას გრამატიკაში ან რატომ უწოდებს პერიოდს სტრუქტურულ - სინტაქსურ (ნაკლებად) და კომპოზიციურ-სტილისტიკურ (უფრო მეტად) მოვლენას?

რუსული ენის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში პერიოდი განიხილება იმ თავში, სადაც საუბარია რთული სინტაქსური მთლიანობის შესახებ და სტილისტიკური ანალიზის დროს მიჩნეულია ტექსტის შემადგენელ ნაწილად, სინტაქსური თვალსაზრისით, პერიოდი გაგებულა, როგორც „ძალზე გავრცელებული რთული წინადადება" /130, 195/.

თანამედროვე რუსული ენის სხვა სახელმძღვანელოში პერიოდი გაგებულა, როგორც „რთული და ზოგჯერ ძალზე გავრცობილი მარტივი წინადადების განსაკუთრებული ფორმა" /19, 260/. ავტორთა აზრით, პერიოდი მეტყველების რიტორიკული (ან პოეტური) ფიგურაა, რომელიც გამოაატავს საზეიმო, ემოციურ განწყობილებას.

პერიოდი შეტანილია სხვა სახელმძღვანელოებშიც, მაგრამ მათ აქ აღარ განვიხილავთ, რადგან მათში ძირითადად იმავე დებულებებს ვხვდებით, რომლებიც მოცემული იყო ჩვენ მიერ უკვე მიმოხილულ მონოგრაფიებში. ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ არის ზოგი ისეთი სახელმძღვანელოც, რომელშიც პერიოდის შესახებ სულაც არაფერია ნათქვამი /249/.

როგორც ვნახეთ, პერიოდის შესახებაც აზრთა სხვადასხვაობაა რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში. ამ აზრთა სხვადასხვაობის წყაროდ, სათავედ ჩვენ მიგვაჩნია ო.ს. ახმანოვის ლექსიკონი, სადაც ავტორს პერიოდი განმარტებული აქვს, როგორც: 1/ რთული სინტაქსური წარმონაქმნი, რომელიც აერთიანებს რიგ კომპლექსურ მდგენელებს დამთავრებული და გაწონასწორებული მთლიანის სახით; 2/ მეტყველების, დამთავრებული მონაკვეთი, ნებისმიერი დამთავრებული წინადადება /183,21/. ვფიქრობთ, აზრთა სხვადასხვაობა ამ ორი დებულებიდან წომიანარობს. რაც შეეხება ახმანოვს მესამე დებულება, რომ პერიოდი არის რთული სინტაქსური წარმონაქმნი, რომლის რიტმული ხასიათი უზრუნველყოფს ხმის კანონზომიერ ამალღებას და დადბლებას (იქვე); ამას ყველა იმეორებს, თუმცა ახმანოვს მიერ გარკვევით გამოთქმული აზრი, რომ პერიოდი სინტაქსური ერთეულია, როგორც ჩანს, ყველას არ გაუზიარებია.

თუ როგორ და რა ესმოდათ ტერმინ „პერიოდში“ ქართველ გრამატიკოსებს, ამას ჩვენ გავუცნობით /იხ. გვ. 130-147/. პერიოდის ლინგვისტიკური გაგება ქართულ სინამდვილეში პირველად ფიქსირებულ იქნა ი. იმედაშვილის ლექსიკონში, რომლის მიხედვით პერიოდი „რამდენისაზე წინადადებისაგან შედგენილი რთული წინადადებაა“ /367,583/.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი პერიოდს სტილისტიკის სფეროს აკუთვნებს, თუმცა მას მიიჩნევს ისეთ სინტაქსურ ერთეულად, რომელიც ვრცლად გადმოსცემს აზრს და ხასიათდება რიტმულად და რულებული ინტონაციით /380, 170/.

„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მიხედვით, პერიოდი წარმოადგენს რიტორიკის საგანს და არის „დამთავრებული აზრის გამოხატველი დიდი რთული ქვეწყობილი წინადადება, რომელიც პაუზით ორ ნაწილად არის გამოყოფილი და ეს ნაწილები სხვადასხვა ინტონაციით წარმოითქმის /381,26/. რ. შამელაშვილის მიერ შედგენილ ლექსიკონში პერიოდი მიჩნეულია ძველ ტერმინად. ავტორი მას გარკვეულ სინტაქსურ ერთეულად - რთული წინადადების სახეცვლილებად წარმოგიდგენს /383,130/.

თანამედროვე ქართულ ენათმეცნიერულ ნაშრომებში „პერიოდის“ შესახებ ლაპარაკი თითქმის არ გვხვდება.¹

1.6. ტექსტის საკითხი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში

წინადადებაზე მეტი ერთეულის შესახებ ცნობა გვხვდება პირველსავე ქართულ გრამატიკაში. ამ ერთეულს ანტონ ბაგრატიონი პერიოდს უწოდებს. თავისი გრამატიკის /360/ 418 - ე პარაგრაფში ანტონს მოჰყავს შემდეგი ციტატი ბიბლიიდან: „წილ იორდანესა, ჴევსა მას მახლობელად სახლისა მის ჭოგორისსა, ქუეყანასა მას სეონ მეფისა მის ამორეველიასა, რომელი იგი დამკედრებულ იყო ესებონს, რომელიცა იგი მოსრეს მოსე და ძეთა მათ ისრაილისათა, რაჲმს გამოვიდეს ივინი ქუეყანით ეგვიპტით“ /2 სჯ. 4,48/. და აცეთებს ასეთ კომენტარს: „ამს პერიოდსა შინა არცა სახელი უფალი ზმნისა და არცა ზმნაჲ - იპოებეს, არამედ საძიებონი და განმათქებულნი და სხუანი ნაწილნი სიტყვისანი, ხოლო თუ სადამე განვკმარტეთმცა სიტყვაჲ ესე ღრამატიკოსებისამებრ კელოვნებისა, ვპოვებთ წინასა შინა პერიოდსა უფალსა და ზმნასა და შესრულებასა ამის ქაზრისასა, ესრეთ“.

ეს კომენტარი დღევანდელი ქართულით ასე ჟღერს: ამ პერიოდში არც ზმნის „უფალი სახელი“ (ქვემდებარე) მოიპოვება და არცა ზმნა: მოიპოვებ: მხოლოდ „საძიებონი“ (დამატება - გარემოებანი), „განმათქებელი“ (ქართული განსაზღვრებანი) და წინადადების სხვა წევრები („სხუანი ნაწილნი სიტყვისანი“). მაგრამ თუ ამ წინადადებას გრამატიკული სელოვნების მიხედვით შევაჯსებთ (გავშლით), მაშინ მის წინა პერიოდში, ვიპოვით ამ პერიოდის ქვემდებარესაც, ზმნასაც და ავრეთვე „შესრულებასა ამის ქაზრისასა“.

ამის შემდეგ ავტორი ხელახლა იძლევა გასარჩევ ტექსტს, ბიბლიის წინამავალი მუხლით შევსებულს:

„ესე მცნებანი, წამებანი და სამართალნი არიან, რომელთა მოსე ეტყოდა ძეთა მათ ისრაილისათა უდაბნოსა დროსა შინა გამოსლქსა მათისასა ქუეყანით ეგვიპტით... წილ იორდანესა, კვსა მას შინა - მახ-

¹ „პერიოდი“, როგორც წინადადებაზე დიდი ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი, გამოყენებული აქვს კ. დანელიას თავის ერთ-ერთ გამოკვლევაში /364/.

ლობელსა სახლისა მის ჭოგორისსა (ქვეყანასა მას სეონ მეფისა მის ამორეველთასა). რომელი იგი დამკვიდრებულ იყო ესებონს, რომელნი იგი მოჰსრნეს მონე და ძეთა მათ ისრაელისთა დროსა შინა გამოოსლესა მათისასა ქუეყანით ეგვიპტით”.

ამის შემდეგ ანტონი ამ პერიოდში ახასიათებს თითოეული სიტყვის სინტაქსურ ფუნქციას, ხოლო შემდეგ 419-ე პარაგრაფში აკეთებს რამდენიმე მნიშვნელოვან დასკვნას, რომელთაგანაც ჩვენთვის ამ შემთხვევაში სასურაძლებოა შემდეგი:

ა/ „საღმთოთა წერილთა შინა და სხუათა შესაძლებელ არს ამის პერეოდისა სახელი ზმნისა და ზმნა მას პერეოდსა შინა ყოფად, ეგ სახელ - ამის პერეოდისა საძიებონი - ამის პერეოდსა შინა ყოფად“, ანუ მარტივად რომ ვთქვათ: საღმთო წერილისა და სხუათა ენაში შესაძლოა ერთი პერიოდის ზმნ. და მისი ქვემდებარე მეორე პერიოდში იყოს მოცემული, ასევე შესაძლოა, ერთი პერიოდის დამატება - გარემოებანი მეორე პერიოდში იყოს მოცემული.

ბ/ „შესაძლებელ არს, ერთი და იგივე იდეა სიტყვას მრავალთარე პერეოდთა შინა განფენად“, ეს ნიშნავს, რომ შესაძლოა, ერთი და იგივე აზრი („ოდება“) წინადადებისა მრავალ პერიოდში იყოს გაშლილი.

ამგვარად, ანტონის მიერ პერიოდის ამ რამდენიმე სპეციფიკური ნიშნის ჩამოთვლით ნათქვამია ის, რასაც ტექსტის დღევანდელი თეორიული გამოკვლევები და ამ საკითხისადმი მიძღვნილი საკვალიფიკაციო ნაშრომები ეძღვნება.

460-ე პარაგრაფში კი ანტონს ნათქვამი აქვს, რომ: ვინც პერეოდი დააწესა, როგორც მრავალგვარად ცვლადი, მანვე თქვა, რომ იგი სხვა მხრივაც იქნება პრავალნაირი „სქესის“ (ე.ი. კილოს) მიხედვით, თუ მასში შევცვლით წინ.დადების წევრებს („სიტყვის ნაწილებს“), ზმნის გვარს („ნათესავს“), სახელთა ბრუნვებს ანდა ზმნათა დროებს, მაგრამ არა განსწავლულ მჭირდველთა არამედ მშვენიერ რიტორთა მსგავსად.

თუმცა ანტონი არ იძლევა პერიოდის განსაზღვრას, მაგრამ პერიოდის თავისებურებათა ანტონისეული გაგება აღტაცებას იწვევს და მიგვანიშნებს დიდი გრამატიკოსის ფართო ინტუიციასზე.

ის, რასაც დღევანდელ ენათმეცნიერებაში ანათორულ ნაცვალ-სახელებს (სიტყვებს) უწოდებენ, ანტონისათვის კულამოლებითია. ანტონის აზრით, კულამოლებითი ნაცვალსახელი წინადადებაში მეტად საჭიროა: იგი წინ ნათქვამ რომელიმე სახელს ენაცვლება, მას გვაგულისხმებინებს და ზმნის ქვემდებარედ („სახელად“) ანდა დამატე-

ბად („საძიებოდ“) წარმოგიდგენს (იმის მიხედვით, თუ რას საჭიროებს წინადადება); კულამოლებითი ნაცვალსახელი რიცხვში ყოველთვის ეთანხმება მისამართ სახელს, ბრუნვაში კი - არა /§330/; იგი, რაჟი მისამართი („წინა-მსრბოლი“) სახელის ნაცვლად იხმარება, წინადადებას ყოველთვის მოკლედ და შეწყობილი სახით გამართავს /360, §332/.

ანტონის აზრით, კულამოლებითად გამოიყენება აგრეთვე ჩვენებითი ნაცვალსახელები - ეს, ეგ, ის, რომლებიც აგრეთვე წინა-მსრბოლ სახელს ენაცვლებიან. ეგვე ითქმის ადგილის ზმნიზელებზე (სადა, მუნ), რომლებიც „კულამოილებენ ადგილსა“, ე. ი. ადგილის გარემოების აღმნიშვნელ სიტყვებს ენაცვლებიან /360, §333/.

ანტონის მიხედვით, კულამოლებითი ნაცვალსახელი და ზოგიერთი ზმნიზედა წინადადებაში „სახელთა გრდასულთა წარმოაყენებს“, ე. ი. ადრე ნახმარ სახელს გვაგულისხმებინებს.

ანტონს მიაჩნია, რომ პერიოდს შესწავლის არა გრამატიკა, არამედ „სამკერაფე ქო ხელოვნება“, ამიტომ პერიოდზე საუბარს ანტონი აქ წყეტს. რადგან, მისი თქმით, პერიოდის შესწავლა მკერამეტყულების საქმეა და „რად დავშურეთ აქა მრავლითა არ სათანადო მთა შრომითა“.

თავის გრამატიკაში გაიოზ რექტორი, იძლევა რა პერიოდის განმარტებას, წერს: „პერიოდი (მუხლი) არს აღნაქუსი მარტივთა იდეათა ანუ ლექსთა, ცხადყოფისათჳს იდეისა, რომელსაცა უწოდთ ჩუნ სრულს სიტყუად“ /361, §254/, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტორი სრულ წინადადებად მიიჩნევს მარტივ იდეათა ანუ სიტყვათა ნაერთს და უწოდებს მას პერიოდს.

გაიოზი ძველის, რომ რთული წინადადების შემოხებით იწარმოება სხვადასხვა სახის პერიოდი (მუხლი): ერთწევროვანი, ორწევროვანი, სამწევროვანი და უმეტესი /361, §253/.

გაიოზის მიხედვით, პერიოდი (მუხლი) თუ ერთ აზრს გადმოსცემს ერთი ზმნით, იგი ერთწევროვანია, ხოლო, როცა კავშირით ანდა „რომელიც“ სხვა მეტყუელების ნაწილით („კულამოლებითი ნაცვალსახელით ანდა მიმლეობით“) ერთმანეთზე გააბმულ ორ ანდბ მეტ აზრს გადმოსცემს, იწოდება ორწევროვნად, სამწევროვნად და უმეტესად.

გაიოზს მონზობილი აქვს შემდეგი მაგალითები საილუსტრაციოდ ერთწევროვანი პერიოდისა: სიყუარული მოყუასისა შესძინებს კეთილსა; ორწევროვანი პერიოდისა: მოკიცხარი გლახაკისა განარისხებს შემოქმედსა მისსა, ხოლო მონზარული წარწყმედილისათჳს

არა უბრალო იყოს; სამწევროვანი პერიოდისა: ნუ ჰყოფ უსამართლოს მსჯავრსა შინა და ნუ თუალ - ახუამ პირსა გლახაყისასა, ნუცა განჰკრთები პირისაგან ძლიერისა...

როგორც ალ. ფოცხიშვილი წერს, გაიოზის მიერ მოხმობილი მაგალითების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ერთწევროვანი პერიოდის მაგალითი მარტივი წინადადებაა, ხოლო ორ და სამწევროვანისა - ორი და სამი მარტივი წინადადებისაგან შედგენილი რთული წინადადება, რაც თითქოს იძლევა იმის საბაბს, რომ გაიოზთან ამ წინადადებათა დიფერენციულ განხილვასთან გვერდეს საქმე. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. გაიოზისათვის... ყველა ჩამოთვლილი პერიოდი, მარტივი წინადადების შემცველიცა და რთულისაც, განიხილება ერთიმეორის გვერდით, ერთ სიბრტყეზე, მათ შორის არავითარი თვისებრივი სხვაობა არ არის. რაც მთავარია, ერთწევროვანი პერიოდი (თუმცა იგი ემსხვევა მარტივ წინადადებას) არ იწოდება მარტივად და ორწევროვანი - რთულად" /378, 187/.

თუ ვავიოვალისწინებთ, რომ გაიოზ რექტორის აზრით, პერიოდები ერთმანეთისაგან განცალკევდება წერტილით /361, §255/, გამოდის, რომ პერიოდი უდრის წინადადებას.

ი. ქართველიშვილის მიხედვით, წინადადებათა შეერთებით მიიღება პერიოდი და „წარმოდგების მათგან მთლიანი განსჯა“ /379, 135/. ავტორის აზრით, პერიოდი შეიძლება იყოს ერთწევრიანი, ორწევრიანი, სამწევრიანი და ა. შ. ი. ქართველიშვილმა ამასთან ერთად ყურადღება გაამახვილა პერიოდის შემადგენელ ნაწილთა სინტაქსური ფუნქციების შესახებ. იგი წერს, რომ, როცა პერიოდი რამდენიმე წინადადებისაგან შედგება, მაშინ ერთი მათგანი „იქმნების მარადის უმთავრესი, რომელიც იპყრობს თვისში ცნობილსა საგანსა, რომლისადმიცა მისდრკების სიტყვა ჩვენი, ხოლო სხვანი ყოველნივე, მოკიდებულნი მისდამი, იწოდებიან დამკრებულად, ესე იგი იქმნებიან ესევეითარნი, რომელნიცა ქმსახურებენ დამკრებულად ანუ განცხადებულ უმთავრესისა წინადადებისა“ /379, 134/.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ი. ქართველიშვილი „პერიოდის“ ცნებაში ყოველგვარ რთულ წინადადებას აქ არა, არამედ მხოლოდ რთულ ქვეწყობილ წინადადებას გულისხმობდა. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ი. ქართველიშვილის მიერ პერიოდის ნიმუშად მოყვანილ მაგალითს: „მცონარესა არ ძალუძს მიღებად საწადელი

დასასრული მოქმედებათა თვისთა, ვინაითგან ყოველი ჩვენ მიერ დაწყებული საქმე მორთხოვს შრომასა და ხელოვნებასა¹.

ეს წინადადება რთული ქვეწყობილია. შედგება მთავარი და დაბოკიდებული (მაზეზის გარემოებითი) წინადადებებისაგან.

პერიოდნი ი. ქართველიშვილი ცალკე გამოყოფს აგრეთვე ე.წ. „შემოსმულ წინადადებასაც, რომელიც დღევანდელი ჩართული წინადადების ფარდი ჩანს“ /37 & 308/.

ს. დოდაშვილი თავისი გრამატიკის /365/ მეორე ნაწილში პერიოდთა შესახებაც ლაპარაკობს. 149-ე პარაგრაფში ავტორი ამბობს: „ოდესცა განვრცელდების წინადადება გარემოებათა მიერ, ანუ შესაბამთა ლექსთა (ე.ი. სიტყვათა - ვ.ს.) მიერ, მაშინ წინადადება იგი იწოდების პერიოდად“. წინადადების გავრცელება ხორციელდება: 1. ქვემდებარისა და შემამენლისათვის თანამსგავსი სიტყვების მიმატებით; 2. არსებითი სახელისათვის ზედშესრულის მიმატებით; 3. ზმნისათვის ზმნიზედის მიმატებით და აგრეთვე 4. „წინააღმდგომთა თქმობათა“ მიმატებით. მაგალითად, წინადადება - „სწავლანი განანათლებენ გულისხმისყოფასა“ - გავრცელდება ასე: აღმკობილნი სწავლანი და მათ მიერ მოპოებულნი ცნობანი არა დააბნელებენ გულისხმისყოფასა, არამედ უგრძობლად განანათლებენ მას“ /365, 156-157/.

მეორე მხრით, ავტორს 150-ე პარაგრაფში მოცემული აქვს პერიოდის სხვაგვარი განსაზღვრაც: „პერიოდი არს უმთავრესი წინადადება, გავრცელებული მომატებულთა წინადადებათა მიერ, ანუ შეერთება რაოდენთამე წინადადებათა“. აქედან კი ის დასკვნა კეთდება, რომ პერიოდი აგრეთვე ყოველი რთული წინადადება.

პერიოდის ამ ორგვარი განსაზღვრიდან ის აზრი გამომდინარეობს, რომ პერიოდი შეიძლება იყოს ორგვარი - მარტივი და რთული. დოდაშვილის აზრით, „პერიოდი, რომელიც იპყრობს თვის შორის ერთსა უმთავრესსა წინადადებასა, იწოდების მარტივად, ხოლო მდგომარე ორთა ანუ უმეტესთა უმთავრესთა წინადადებათაგან, იწოდების რთულად“ /365, 157/. რთული პერიოდი მასში შემავალ წინადადებათა რიცხვის მიხედვით შეიძლება იყოს ორწევროვანი, ოთხწევროვანი და ა.შ.

¹ საილუსტრაციო მაგალითი დამოწმებულია ალ. ფოცხიშვილის წიგნიდან /37 & 307-308/.

პერიოდების შესწავლის საქმეში ახალი, რაზედაც მანამდე არცერთ ქართველ გრამატიკოსს არ ჰქონია ყურადღება მიქცეული და რაც განხილვის საგნად პირველმა სწორედ ს. დოდაშვილმა აქცია, ესაა პერიოდის სახეების გამოყოფა ზედდართული. (დამოკრძებული - ვს.) წინადადების მიხედვით. ამ საკითხს ეძღვნება ს. დოდაშვილის გრამატიკის ვრცელი - 151 - ე პარაგრაფი. ავტორის აზრით, რთული პერიოდის წევრები ერთმანეთს შეუერთდებიან შესათხზველ კავშირთა საშუალებით და მათი მნიშვნელობის მიხედვით პერიოდი იქნება: მიზეზობითი, შეთანასწორებითი, წინააღმდეგობითი, ნებართვითი, პირობითი, აღყვანებითი, შეერთებითი, განმარტებითი, განყოფიითი, შედგომობითი და ხარისხობითი /365, 157-158-159/.

რთული პერიოდის ეს სახეები ს. დოდაშვილს გამოყოფილი აქვს იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის დამოკიდებული წინადადებები გამოიყოფა პერიოდში. ამის მიხედვით, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ პერიოდს ს. დოდაშვილისათვის ყოველგვარი რთული წინადადება კი არ წარმოადგენს, არამედ ისეთები, რომელთაც ჩვენ დღეს რთულ ქვეწყობილს ვუწოდებთ. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა. ს. დოდაშვილმა პერიოდთა სახეებში გაანაწილა არა მარტო ქვეწყობილი, არამედ თანწყობილი წინადადებებიც და ერთ შემთხვევაში შერწყმული წინადადებაც. რთული თანწყობილი წინადადებიდან იგი ასახელებს:

1. შაპირისპირებულკავშირიან თანწყობილ წინადადებას (იხ. მისი „წინააღმდეგობითი პერიოდი“ და „შეერთებითი პერიოდი“).

2. მაკალკეველკავშირიან თანწყობილ წინადადებას („განყოფიითი პერიოდი“).

რთული ქვეწყობილი წინადადებებიდან დასახელებული აქვს:

1. მიზეზობითი ქვეწყობილი წინადადება („მიზეზობითი პერიოდი“).

ს. დოდაშვილის რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებების კვალიფიკაციის ანალიზი მოცემულია დოც. ი. ვეშაძის ნაშრომში: „სინტაქსის საკითხები XVIII-XIX სს. ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში“, რომელიც წლიური სამეცნიერო კვლევითი მუშაობის გეგმით შესრულდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე 1981 წელს. ავტორს დიდ მადლობას მოვასხენებთ დასახელებული ხელნაწერი ნაშრომის გაცნობისათვის.

2. ვითარების გარემოებითი ქვეწობილი წინადადება („შეთანასწორებითი პერიოდი“ და „განმარტებითი პერიოდი“).

3. დათმობითი ქვეწობილი წინადადება („ნებართვითი პერიოდი“).

4. პირობითი ქვეწობილი წინადადება („პირობითი პერიოდი“).

5. დროის გარემოებითი ქვეწობილი წინადადება („შედგომითი პერიოდი“) და კალევ

6. ე.წ. „აღფანებითი პერიოდი“, რომლის ცალკე გამოყოფის კრიტერიუმი (და ამდენად რაობაც) ავტორს მთლად ნათლად არა აქვს მოცემული.

ამთ გარდა, როგორც ითქვა, რთული პერიოდის ცალკე სახეობად არის გამოყოფილი დოდაშვილის მიერ ერთგვარ შემასმენლებიანი ისეთი შერწყმული წინადადება (მაპირისპირებელი კავშირითს რომელშიც მოვლენათა თუ მოქმედებათა თანამდევრობაა გადმოცემული და რომელსაც „ხარისხობითი პერიოდი“ ეწოდება.

ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ პერიოდის ს. დოდაშვილისეულ გაგებაზე. მოვიხმობთ ორიოდ მაგალითს, რომლებიც ავტორის მიერაა დამოწმებული.

მაგალითისათვის ავიღოთ შეთანასწორებითი პერიოდი რომელშიაც ზედდართვითი წინადადება „მიიღებს შემსგავსებას ანუ შეთანასწორებას“ უმთავრეს წინადადებასთან და შეუერთდება მას კავშირებით: ვითარებრეთ, რაოდენ-ესოდენ: „ვითარცა მზე გაზაფხულს ვანაცხოვრებს ქვეყანასა, ეგრეთვე ბრძენი მოძღვარი განანათლებს გონებასა და განავითარებს გულსა თვისთა აღსაზრდელთასა“.

როგორც ვხედავთ, ს. დოდაშვილი აქ ვითარების გარემოებითი დამოკიდებულ წინადადების შემცველ პერიოდს გულისხმობს.

ს. დოდაშვილის მიხედვით განმარტებითა პერიოდი, რომელშიაც მომარტებული (ე. ი. ზედდართვითი) წინადადება შეიცავს უმთავრესი წინადადების განმარტებას და შეუერთდება მას კავშირებით: ესრეთ-რომელ, ესოდენ, ავტორის მაგალითია: „მოცონარება და უქმობა ესრეთ მოაუძღურებენ სულიერთა და სნეულევანთა ძალთა კაცისათა, რომელი-ოგი იქმნების არა შემსლებელ წარმოებად თვით მცირეთა საქმეთაცა“.

ჩანს, დოდაშვილი აქაც ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწობილ წინადადებას გულისხმობს.

ზოგი პერიოდის ახსნა-განმარტება და საილუსტრაციო მაგალითი ზოგჯერ ისე ბუნდოვანია, რომ ვერ ვიგებთ, რისი თქმა სურს ავტორს. მხედველობაში გვაქვს თუნდაც ალფანებითი პერიოდი, რომელშიაც: მისი თქმით, უმთავრესი და ზედდართვითი წინადადებანი „ამყოფებიან ურთიერთა შორის რაისა მიმართობასა შინა... ესრეთ რომელ ერთსა თვინიერ მეორისა არა ძალუქს წარმოდგენა სრულისა ქაზრისა“ და დამოწმებულია ასეთი მაგალითი: „ვინცა დაიკვამს კრძალულებასა. იგი საშუალობითა მისითა დაიფარავს თვისსა სი-მართლესა“.

ამ განსაზღვრებისა და საილუსტრაციო მაგალითის მიხედვით მთლად ნათელი არაა, თუ რას გულისხმობს დოდაშვილი ალფანებითი პერიოდში.

ს. დოდაშვილს მიაჩნია, რომ პერიოდის შედგენა გრამატიკის საქმეა/365, 155/.

მ. კელენჯერიძე პერიოდის შესახებაც მსჯელობს თავის ნაშრომში და წერს, რომ „პერიოდი ეწოდება ისეთს გამოთქმას, როდესაც ერთს, ანუ რამდენიმე უმთავრესს წინადადებასთან არიან დაკავშირებულინი დამოკიდებული წინადადებანი: განმარტებითნი, დამატებითნი და გარემოებითნი სიტყვანი“/368, 88/.

ავტორის აზრით, თუ პერიოდის ნაწილები კარგადაა შეწყობილი ერთმანეთთან და „მათ შორის სუფევს მკვიდრი კავშირი“, პერიოდში აზრი მიმდინარეობს მდორედ, აუჩქარებელ მდინარესავით და გასაგონადაც მეტად სასიამოვნოა“ (იქვე).

მ. კელენჯერიძე გარჩევს პერიოდის შემდეგ უმთავრეს ნაწილებს: ტემპს ანუ საკითხს, ღედააზრს, მეორეხარისხოვან აზრს, ამაღლებას და დადაბლებას.

კელენჯერიძის მიხედვით, პერიოდი ორი სახისაა: მარტივი და რთული, მარტავი მაშინაა პერიოდი, როდესაც „იმში შექსოვილია ერთიმეორესთან ერთი დამოუკიდებელი და რამდენიმე დამოკიდებული წინადადებები“. რთულია პერიოდი, როდესაც „იმშია რამდენიმე დამოუკიდებელი წინადადება. ამ დამოუკიდებელ წინადადებებს ავტორი პერიოდის წევრებს უწოდებს და იმის მიხედვით, თუ რამდენი ამისთანა (დამოუკიდებელი ვს:) წინადადება არის პერიოდში, იმდენ წევრიანი იქნება ეს უკანასკნელი“/368, 89/.

ამასთან ერთად, მ. კელენჯერიძეც გამოყოფს ერთწევრიან, ორწევრიან, სამწევრიან და მრავალწევრიან პერიოდებს. ავტორი აქვე

გამოყოფს პერიოდის 13 სახეს: მისი ტერმინოლოგიით ესენია: მარტივი, რთული, გარემოებითი, ადგილისა, დროისა, მიზნის, მიზეზისა, თანდათანობითი, შედარებითი, დაპირისპირებითი, ანუ წინააღმდეგობითი, განმარტებითი, ანუ ჩვენებითი, პირობითი, დათმობითი, განყოფილებითი და არეული, „სადაც, რამოდენიმე ცალკე პერიოდი დაკავშირებული“ (იქვე).

მ. კელენჯერიძის პერიოდთა სახეების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს სახეები რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი და შერწყმული წინადადებების ეკვივალენტურია.

მ. კელენჯერიძის მიერ პერიოდთა საილუსტრაციო მაგალითების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მას მარტივ პერიოდებად რთული ქვეწყობილი წინადადებები მიაჩნია, ხოლო რთულ და არეულ პერიოდებად - შერეული სახის. ანუ ზერთული წინადადებები.

თ. ჟორდანიას გრამატიკის /376/ მიხედვითაც პერიოდი იგივეა, რაც რთული ქვეწყობილი წინადადება.

მართალია, თ. ჟორდანია მეტატექსტს, როგორც სინტაქსის ეკლუვის საგანს, ცალკე არ გამოყოფს და არც ტერმინი აქვს მას გამოყენებული თანამედროვე ენათმეცნიერული ვაგებით. მაგრამ ამ მხრივ მანც იპყრობს ყურადღებას ერთი ადგილი მისი გრამატიკიდან, სახელდობრ, როცა იგი „მცირედ დამოკიდებულ სიტყვათა და წინადადებათა შესახებ მსჯელობს, წერს: „რადენიმე წინადადება, რომლითაც ჩვენ გამოვხატავთ სრულს პაზრს რომელსავე საგანზე, შეადგენს საუბარს ანუ სიტყვას (ხაზი ჩვენია - ვს.). საუბარში არა ყოველ წინადადებას აქვს გრამატიკული კავშირი ერთმანეთთან, გარნა მათ აქვთ ლოლკური კავშირი, რადგან გამოხატავენ ერთს რომელსავე ვრცელს პაზრს ანუ წარმოდგენასა. მაგალითად, ავიღოთ ზღაპარი: „დიდებული მეფე ვინმე იყო, ოცდაათი ვაჟიშვილი ქვანდა. სიკვდილის დრო რომ მოუახლოვდა, მოუწოდა თავის შვილებსა, მოატანინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრად, მოიზიდა, რომ გასტეხოს და ვერ გასტეხა. მერმე აიღო თითო-თითო და დაამტკრია. უთახრა შვილთა: თუ რომ ერთადა ხართ და ერთს პირზედ სდგებართ, მტერი ვერ გასტეხთო, როგორც მე შეკრული ისარი ვერ გავსტეხეო, და თუ ერთმანეთის ურჩი იქნებითო, წაუხდენელი ვერ მოუჩხებითო“ /375, §23/.

უნდა აღინიშნოს, რომ ციტატას მოსდევს თ. ჟორდანიას შემდეგი დასკვნა: „აქ საგანი მსჯელობისა ერთია. ძალა ერთობისა“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტორი ასახელებს მოხმობილი მეტატექსტის

(თ. ჟორდანიას იქმით „საუბრის“, „სიტყვის“) თემას. „აუბრის“ თემაზე ყურადღების გამახვილებით თ. ჟორდანიამ აღმოაჩინა ის, რის შესახებაც დღევანდელი ტექსტის ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ყოველ მეტატექსტს აქვს თავისი მიკროთემა.

თ. ჟორდანიას მსჯელობა რამდენიმე წინადადებით სრული აზრის გამოხატვის შესახებ მართებულია და სწორი. არაა არსებითი, თუ რას უწოდებს ამ ერთეულს ავტორი - საუბარს, თუ სიტყვას, გადამწყვეტია ამ თეორიული დებულების საილუსტრაციო მაგალითი, რომელიც თავის ოდენობით, სტრუქტურით, სემანტიკით, დღევანდელი მეტატექსტის ეკვივალენტურია. ანტონ I-ის შემდეგ თ. ჟორდანიას პირველია, ვინც მეტატექსტის შესახებ მკირეოდენ ინფორმაციას გვაწვდის.

ორწერტილის ხმარებასთან დაკავშირებით ილია სიხარულიძე წერს: „არის სათქმელები, რომელთაც ერთმანეთთან ლოლიკური კავშირები აქვს, რაიმე საერთო აზრის ირგვლივ არიან დაჯგუფებული, მაგრამ თვითთელი მათგანი ცალკე, დამოუკიდებლადაც შეიძლება ვიხმაროთ. ამგვარი სათქმელების ინფორმაცია წერტილისას უახლოვდება მაგრამ მას სრული წერტილის კილო არ ახასიათებს, თვითთელის წარმოთქმისას (უქანასკნელს გარდა) სათქმელის ბოლოსაკენ კილო რამდენიმედ ზევით იწევს; წერაში ამგვარი სათქმელები ერთმანეთისაგან წერტილ-მძიმით ცალკედება“ /377,350/.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ ავტორს რამდენიმე ნიმუში აქვს დამოწმებული. აი, ერთი მათგანი, რომელშიც საჭირო სასკენი ნიშნების დასმას ავტორი მკითხველებს ავალებს: „ჭურბა უჩემოდ ვლარ ძლებდა: დღე არ გავიდოდა, რომ ორი გროშის ხილი ან ტუბილეული არ მოეტანა; სანამ გაკვეთილს შევამზადებდი, კუთხეში თავის გაკვეთილს ამზადებდა: სტუმრად რომ წავიდოდი, უქველად მიმაცილებდა; თუ ამხანაგს გაკვეთბოდი, ჭურბაც ლანდივით ამჯებოდა; სადაც უნდა ვყოფილიყავი, ძმადნაფიციც შორიხლო მეგულებოდა“.

თეორიული მსჯელობისა და საილუსტრაციო ნიმუშის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ი. სიხარულიძეს მხედველობაში აქვს წინადადებაზე დიდი ერთეული, რომლის ნაწილებიც ლოგიკურ კავშირში იმყოფებიან, ერთი აზრის იგრვლივ არიან დაჯგუფებული, მაგრამ გრამატიკულად ცალკე დასრულებულ წინადადებებს წარმოადგენდნენ. ი. სიხარულიძის „სათქმელი“, ჩვენი აზრით, მეტატექსტს წარმოადგენს.

პერიოდის შესახებ ვრცლად საუბრობს მ. ჯანაშვილი თავის გრამატიკაში /389/, სადაც ავტორი სიტყვა „პერიოდის“ ეტიმოლოგიას შემდეგნაირად ხსნის: „პერიოდი ბერძნული სიტყვაა (პერი - გარემო, გარემო გარს, ოდოს - გზა) და ნიშნავს წრეს, გარემოვლას, გარემოსვლას, შემოფარგვლას“ /389, 154/.

პერიოდის ეტიმოლოგიის ასეთი ახსნა სხვაგან არავისთან არ გვხვდება არც რუსულ და არც ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში.

მ. ჯანაშვილის მიხედვით, პერიოდად იწოდება აზრის შემოფარგვლა, აზრის გამოთქმა „აღზევებით, ენა-შეობით და მორკმულად“, და იქვე გამოთქვანს საინტერესო მოსაზრებას, რომ „პერიოდი იგივე ნაკვთია უბნობისა, ნაწერისა, სიტყვისა“ /389, 154/.

მ. ჯანაშვილი პერიოდში გამოყოფს ორ ნაწილს: პირველს, რომელიც „შეიცავს დასამტკიცებელ, ანუ ასახსნელ (განსამარტებელ) აზრებს“ და რომელსაც აღზევებას, ამაღლებას, აწევას უწოდებს, და მეორეს, რომელიც „შეიცავს დამამტკიცებელს და ამხსნელებს (განამარტებლებს)“, რომელსაც შესაბამისად დადაბლებას, დაწევას არქმევს. ეს აწევდაწვევა, ჯანაშვილის აზრით, „შეიქმს იმ აზრთა და სიტყვათა წრეს, რომელსაც პერიოდი (ნაკვთი) ეწოდება“ /389, 157/.

მ. ჯანაშვილი არჩევს მარტივსა და რთულ პერიოდებს. იგი განასხვავებს რთული პერიოდის ორწევროვან, სამწევროვან და მრავალწევროვან სახეებს. ავტორის მიხედვით, მარტივი პერიოდი იყოფა ორ ნაწილად, რომელთაგან ერთი შეადგენს ლოგიკურ ქვემდებარეს და მეორე - ლოგიკურ შემასმენელს. ასევე ნათელია, თუ რას გულისხმობს ავტორი რთული პერიოდის ქვეშ, „რთული პერიოდი არის განმარტება თემისა ორის ან მეტის. ურთიერთზე დამოკიდებული აზრის შემწეობით“ /389, 156/.

მ. ჯანაშვილის მიხედვით, პერიოდის „შემადგენელ კერძო აზრებს უნდა ჰქონდეთ შინაგანი კავშირი უმთავრეს აზრთან, მასთან ერთად შეადგენდნენ ერთს მთლიანობას“. მისი აზრით, „პერიოდის ნაწილები უნდა დალაგდეს ისე, რომ უმთავრესმა აზრებმა დაიკვირონ უფრო თვალსაჩინო ადგილი და ექ თმანეთს მიჰყვნენ თვისის მეტნაკლებ მნიშვნელობისდაგვიარად“ /389, 158/.

მ. ჯანაშვილის აზრით, რამდენნაირიც არის რთული წინადადება, იმდენნაირივე არის პერიოდიც. შემდეგ დასახელებულია პერიოდის 11 სახე, რომელთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ავტორი აქ გულისხმობს რთული ქვეწყობილი წინადადებების სახეებს.

პერიოდის შესახებ მსჯელობს ს. ხუნდაძეც თავის გრამატიკაში /388/. მისთვის პერიოდი ჰქვია რთულ წინადადებას, რომელიც შედგება მთავარი და დამოკიდებული წინადადებებისაგან /388, 145/.

ს. ხუნდაძე პერიოდში ორ ნაწილს გამოყოფს: „პირველ ნაწილში ყოველთვის დამოკიდებული წინადადებაა მოთავსებული, რომელიც ხმის ამაღლებით იკითხვის“ და მას მაღალს უწოდებს. მეორე ნაწილი კი შედგება მთავარი წინადადებებისაგან, რომელიც „ხმის დადაბლებით იკითხვის“ და მას დაბალს არქმევს /388, 146/.

ს. ხუნდაძის მიხედვით, დამოკიდებული წინადადების ტიპი განსაზღვრავს პერიოდის სახეს, ხოლო ასეთად იგი შვიდს ასახელებს. ქვე უნდა ითქვას, რომ ს. ხუნდაძის მიერ გამოყოფილი პერიოდის სახეები დამოკიდებულ წინადადებათა ტიპებს ემთხვევა.

საინტერესოა ამ საკითხზე პ. კვიციანიძის მსჯელობა: „ერთი წინადადებით გამოთქმის მხოლოდ ერთი აზრი და თუ რამდენიმე წინადადებას ერთმანეთზე გადავაბამთ, ისე რომა მათში ერთი ზოგადი აზრია გატარებული და მრავალი დაწვრილებითი აზრები მის დამტკიცებას, განმარტებას ემსახურ ებაიან, მაშინ გამოვა საუბარი, ამბავი, მოთხრობა, თბზულება, ერთი სიტყვით, წყობილ-სიტყვაობა.

წინააღქმევ წყობილ-სიტყვაობისა, დაუკავშირებლად წარმოთქმულ წინადადებათა ჰქვიათ ფრაზები, რომელთაც შეჰხვედებით საანბანოს და უეხო ენათა სახელმძღვანელოებში“ /370, §35/.

საინტერესოა შესაზრებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, თავისი დიბულების საილუსტრაციო მაგალითი ავტორს დამოწმებული არა აქვს.

ქართული გრამატიკული ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტერმინი „პერიოდი“ და მისი შინაარსი ყველა ქართველ გრამატიკოსს, ვინც კი ამ საკითხს შეჰხებია, ერთნაირად არ ესმოდა. ანტონის „პერიოდი“ მართლაც წინადადებაზე მეტი ერთეულია, იგი მეტატექსტის ეკვივალენტურია, ანტონის კულამოლებითი სიტყვები იგივე ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედებია, რომლებიც მეტატექსტის ერთეულებს აკავშირებენ ერთ მთლიან ერთეულად. სხვა ქართველ გრამატიკოსთათვის კი „პერიოდი“ წინადადების (მარტივი გავრცობილის, რთული თანწყობილის, რთული ქვეწყობილის) აღმნიშვნელია.

ტერმინი „პერიოდი“ წინადადებაზე მეტ ერთეულს აღნიშნავს ანტონ I-ის გაგებით, სხვა გრამატიკოსების მიხედვით კი იგი წინადადების ფარგლებს არ სცილდება. მაშ რატომ მივაქციეთ მას (პერიოდს)

ამდენი ყურადღება? - იმიტომ, რომ პერიოდი სხვაა და წინადადება - სხვა, ისინი სხვადასხვა ოდენობებიან.

ჯერ-ერთი, ანტონ I-ის „პერიოდი“ იგივე ტექსტია.

მეორეც, თუ ერთხელ კიდევ მივუხსმენთ ქართველ გრამატიკოსებს, ისინი აღნიშნავენ, რომ:

- „პერიოდი (მუხლ...) არს აღნაქუსი მარტივთა იდეათა ანუ ლექსთა“ /361, §254/.

- „პერიოდი არს ... შეერთება რაოდენთამე წინადადებათა“ /365, §157/.

- „რთულია პერიოდი, როდესაც იმაშია რამდენიმე დამოუკიდებელი წინადადება“ /368, 89/.

- „პერიოდი იგივე ნაკვთია უბნობისა, ნაწერისა, სიტყვისა“ /389, 154/ და სხვ.

თუნდაც აქ მოხმობილი პერიოდის თეორიულ განმარტებათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ პერიოდი გაგებულია, ერი მხრივ, როგორც ენის ერთეული. ხოლო, მეორე მხრივ, ენა - მეტყველების ერთეული. გარდა ამისა, ჩანს, რომ საუბარია ოდენობაზე, რომელიც არაა წინადადება, რომელიც მიიღება, იწარმოება წინადადებათა შეერთებით და ამდენად მეტია წინადადებაზე. მ. ჯანაშვილისეული განმარტება „პერიოდისა“ ხშირ შემთხვევაში ემთხვევა ტექსტის განსაზღვრას თანამედროვე გაგებით. „პერიოდის“ განმარტება ქართველ გრამატიკოსებთან თითქოს წინადადებაზე მეტ ოდენობას გულისხმობს. მართლაც, საქმე გვაქვს არა ცალკე აღებულ მარტივ წინადადებასთან, არამედ, უფრო დიდ ერთეულთან, რომელსაც პერიოდს უწოდებენ. მაგრამ რომელიც არ სცილდება რთული წინადადების ფარგლებს.

არც ერთი ქართველი გრამატიკოსი არ უთითებს, თუ საიდან ან ვისგან აიღო მის მიერ გაზიარებული დებულება პერიოდის შესახებ. წყარო კი შეიძლება ყოფილიყო როგორც ბერძნულ - ლაფინური, ისე რუსული ლოგიკურ - გრამატიკული ტრადიციები, თუმცა გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. ერთი რამ ფაქტია: პერიოდის შესახებ თეორია უკვე ჩამოყალიბებული პქონდა მ. ვ. ლომონოსოვს. ქართველი გრამატიკოსები იქნებ იცნობდნენ მ. ვ. ლომონოსოვის ამ ნაშრომს /195, რიტორიკა/.

წინადადებაზე დიდი ერთეულის შესახებ მსჯელობას არ ვხვდებით დავით და იოანე ბატონიშვილების, ვარლამ ერისთავის, დავით

ჩუბინაშვილის, პლატონ იოსელიანის, არისტო ქუთათელაძის, ი. ნიკოლაიშვილის, ი. ფერაძის და სხვათა გრამატიკებში.

ჩვენი დროის ქართულ ენათმეცნიერებს ა. შანიძეს, არნ. ჩიქო-ბავას, ვ. თოფურიას, შ. ძიძიგურს, ლ. კვაკაძეს, ალ. ღლონტს, ა. დავითიანს... არ უკვლევიათ მეტატექსტთან დაკავშირებული საკითხები.

ქართულ ენათმეცნიერთა ახალმა თაობამ უკვე შეიტანა გარკვეული წვლილი ტექსტის ლინგვისტიკაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მათ რამდენიმე ნაშრომი უძღვნეს ტექსტის პრობლემას. უნდა აღვნიშნოს აგრეთვე გ. კვარაცხელიას,¹ ბ. ჯორბენაძის² ნაშრომები.

დასკვნები

ამ ოთხი ათეული წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი ენათმეცნიერების ახალ დარგს - ტექსტის ლინგვისტიკას. ტექსტის ლინგვისტიკის შექმნა - თეორიულად შეამზადა და პრაქტიკულად განაპირობა ენისა და მეტყველების პრინციპული დაპირისპირების იდეამ. მაგრამ ენისა და მეტყველების ერთიანობის აღიარება ტექსტის ლინგვისტიკას უფრო მწყობრ, სისტემურ, პარმონიულ ხასიათს ანიჭებს. ტექსტის ლინგვისტიკის საგანს წარმოადგენს ტექსტი, რომელიც გაგებულია, როგორც ენა-მეტყველების ერთეული. ტექსტის შემსწავლელი მეცნიერების შესახებ ენათმეცნიერებაში თავიდანვე აზრთა სხვადასხვაობამ

¹ იხ. გ. კვარაცხელია, ტექსტის გაბმის ენობრივი საშუალებანი სამეცნიერო ლიტერატურაში. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ა. შანიძის დაბადების 100 წლისთავისადმი. პროგრამა და მოხსენებათა თეზისები. თბილისი, 1987. გვ. 20-22. ნაშრომში გაანალიზებულია ტექსტის გაბმის ენობრივი საშუალებანი. გამოკვლევა ეყრდნობა ქართული ენის მონაცემებს.

² იხ. ბ. ჯორბენაძის „მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის ზოგიერთი საკითხისათვის: - ქართული სიტყვი კულტურის საკითხები, წიგნი მეხუთე. თბილისი, 1983, გვ. 23-24. ნაშრომი ტოვებს პროგრამა-პროექტის შთაბეჭდილებას. ჩამოთვლილია „ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც მხატვრული ტექსტის ენათმეცნიერულ ანალიზს უკავშირდება“. დასახელებულ ნაშრომში „ტექსტი“ არ არის დიფერენცირებული, არ არის საუბარი ტექსტის არსის, პარამეტრების თუ კატეგორიების შესახებ. მაგრამ ის მაინც ახალი სიტყვაა, ახალი თვალთახედვაა მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის სფერო, ში.

იჩინა თავი. ტექსტს მიიჩნევდნენ: გრამატიკის, ტექსტის გრამატიკის, სინტაქსის, დიდი სინტაქსის, ზეფრაზული სინტაქსის, პიპერსინტაქსის, უმაღლესი სინტაქსის, ტექსტის სინტაქსის, სინტაქსური სტილისტიკის, სტილისტიკის, ტექსტიკის, ტექსტსტილისტიკის, პრაგმატიკის, მეტყველების ანალიზის, ტექსტის ლინგვისტიკის და ა.შ. შესწავლის ობიექტად.

დღეისათვის ტექსტის გაგებაში სხვადასხვა შეხედულება არსებობს, სხვადასხვა ავტორთა მიერ ტექსტი გაგებულია როგორც:

ა/ ენის არსებობის უპირველესი ფორმა;

ბ/ ენის ერთეული;

გ/ საკომუნიკაციო ერთეული;

დ/ მეტყველების აქტი;

ე/ სამეტყველო წარმონაქმნი;

ვ/ გამონათქვამი;

ზ/ წინადადება; წინადადებათა თანმიმდევრობა; წინადადებათა

ჯგუფი;

თ/ კომპონენტების იერარქია და ა. შ.

ამ თეორიული ლეზულებების მიღმა პრაქტიკულად გამოყოფილია ტექსტის 60-ზე მეტი სახეობა („ფორმა“).

ენათმეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ტექსტის პარამეტრების, საზღვრების, კატეგორიების, კომპონენტების შესახებ.

ტექსტის ენათმეცნიერული გაგების გარდა, არსებობს მისი სემიოტიკური გაგებაც

გარდა ტექსტისა, ტექსტის ლინგვისტიკა სწავლობს მეტატექსტსაც (რთულ სინტაქსურ მთლიანობას), როგორც წინადადებაზე დიდ ერთეულს, რომელსაც აქვს თავისი ფუნქცია; პარამეტრები საზღვრები და დანიშნულება.

1948 წელს ნ. ს. კოსპელოვმა საფუძველი ჩაუყარა მოძღვრებას რთული სინტაქსური მთლიანობის შესახებ. მართალია, მისი რთული სინტაქსური მთლიანობა ჯერ კიდევ არ არის ტექსტი, მაგრამ მისი საბით წინადადებიდან გასვლა, წინადადებაზე დიდი ერთეულის კვლევა ტექსტის კვლევის საწყის ეტაპად იქნა მიჩნეული.

ნ. ს. კოსპელოვის გამოკვლევების თავისებურ მხარდაჭერას და გაცხადებას წარმოადგენდა რ. ა. ფიგუროვისისა და გ. ო. ვინოკურის შრომები, რომლებიც იმავე 1948 წელს გამოქვეყნდა. ამ სამი მეცნიერის შრომებში დასაბუთებულია წინადადებაზე დიდი ერთეულის - რთული

• სინტაქსური (ზეფრაზული) მთლიანობის არსებობა, მისი ფუნქციები, პარამეტრები, მდგენელები, დადგენილია დაკავშირების ახალი სახეები და სხვ.

აღმოჩნდა რომ წინადადებაზე დიდ ერთეულს არისტოტელეც იცნობდა და მას „პერიოდულ სიტყვას“ უწოდებდა. ამ ერთეულს მ. ვ. ლომონოსოვი „პერიოდთა კავშირს“ არქმევს. წინადადებაზე დიდ ერთეულს ა.ზ. ვოსტოკოვი - „პერიოდს“ ან „წყვეტილ მეტყველებას“, ფ. ი. ბუსლაევი - „მეტყველებას“ ან „წინადადებათა შეერთებას“, ა. მ. პეშკოვსკი - „ერთულ მთლიანობას“ და „აბზაცს“, ა. ი. ბელიჩი - „წინადადებათა მთლიან ჯაჭვს“ და „პერიოდს“, ლ. ა. ბულახოვსკი კი „ზეფრაზულ მთლიანობას“ უწოდებს.

წინადადებაზე დიდი ერთეულის ძიებისა და შესწავლის პროცესში ასეთი ერთეულის აღსანიშნავად გამოყენებული იყო ტერმინები - „გამონათქვამი“, „ერთული სინტაქსური (ზეფრაზული) მთლიანობა“, „აბზაცი“, „პერიოდი“ და სხვ.

წინადადებაზე დიდი ერთეულის შესახებ ცნობა გვხვდება ანტონ ბაგრატიონის პირველსავე ქართულ გრამატიკაში, სადაც ავტორი მას პერიოდს უწოდებს. ანტონმა აღმოაჩინა პერიოდის რამდენიმე ნიშანი, მაგრამ სპეციალურად და ღრმად არ უკვლევია იგი; რადგან მას პერიოდი არ მიაჩნდა გრამატიკის შესწავლის ობიექტად.

ტერმინი „პერიოდი“ გვხვდება აგრეთვე გაიოზ რექტორის, ი. ქართველიშვილის, ს. დოდაშვილის, მ. კელენჯერიძის, ს. ხუნდაძის, მ. ჭანაშვილის გრამატიკებშიც; მაგრამ მათი გაგებით პერიოდი არ აღემატება ერთული წინადადების ამა თუ იმ სახეს.

წინადადებაზე დიდი სამეტყველო ერთეულის არსებობა შემჩნეული ჰქონდა თ. ჟორდანიას (რომელიც მას „საუბარს“ ანუ „სიტყვას“ უწოდებდა), ი. სიხარულიძეს (რომელიც მას „სათქმელის“ სახელწოდებით აღნიშნავდა) და პ. კვიციანიძეს (რომელიც მას წყობილ-სიტყვაობად მიიჩნევდა).

ჩვენი დროის ქართველ ენათმეცნიერებს — ა. შანიძეს, არნ. ჩიქობავას, გ. ახვლედიანს, ვ. თოფურჩიას, შ. ძიძიგურს, ლ. კვაჭაძეს, ალ. ლლონტს, ფ. ერთელიშვილს, ა. დავითიანს... არ უკვლევიათ მეტატექსტთან თუ ტექსტთან დაკავშირებული საკითხები.

ქართველ ენათმეცნიერთა ახალი თაობა (მ. გვერცაძე, დ. გოცირიძე, ლ. დალაქიშვილი, თ. მებუჟე, ნ. შენგელაია, გ. კვარაცხელია, ბ. ჯორბენაძე და სხვები) ტექსტის შესწავლას იწყებს ჩვენი საუკუნის 80-

იან წლებში. ამ თაობამ უკვე შეიტანა გარკვეული წვლილი ტექსტის
ლინგვისტიკაში.

თავი მეორე

მეტატექსტი

2.1 მეტატექსტის ცნება

საუყუნეთა განმავლობაში წინადადება ითვლებოდა ენისა და მეტყველების უმაღლესი დონის სინტაქსურ ერთეულად. წინადადების ასეთი გაგება დღესაც ტრივიალურია ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში. მაგრამ ენათმეცნიერების ახალი დარგის - ტექსტის ლინგვისტიკის - წარმოშობამ უარყო ეს ტრადიციული გაგება. აღმოჩნდა, რომ წინადადება არ არის ენა - მეტყველების უმაღლესი დონის ერთეული. წინადადების შესახებ აღნიშნავდნენ, რომ ის არის საკომუნიკაციო ერთეული. მაგრამ, როცა დაიწვა საკითხი - არსებობს თუ არა წინადადებაზე დიდი საკომუნიკაციო სიდიდე, აღმოჩნდა, რომ ასეთი ოდენობა, ასეთი ენობრივი თუ სამეტყველო ერთეული მართლაც არსებობს, რომელსაც მკვლევრები სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ, ხოლო ჩვენ მეტატექსტს ვუწოდებთ.

ჩვენი გაგებით, მეტატექსტი არის წინადადებაზე მაღალი დონის ენობრივი (სამეტყველო) ოდენობა, რომელსაც აქვს საკუთარი მიკროთემა, ლინგვისტიკური გაფორმება, აზრობრივი დამთავრებულობა და საკომუნიკაციო ფუნქცია.

თუ წინადადებისათვის საშენ მასალას ცალკეული სიტყვები წარმოადგენს, მეტატექსტისათვის ასეთ ფუნქციას წინადადებები ასრულებს. თავის მხრივ უფრო დიდ, უმაღლესი დონის ენობრივ-საკომუნიკაციო ერთეულს წარმოადგენს ტექსტი, რომლის კონსტიტუენტებად უკვე მეტატექსტები გამოდის.

აღამიანთა ენობრივი ურთიერთობა ხორციელდება არა ცალკეული წინადადებების მეოხებით, არამედ მეტატექსტებისა და ტექსტების მეშვეობით - ასეთია ტექსტის ლინგვისტიკის ერთ-ერთი ძირითადი დებულება.

2.2 მეტატექსტის აზრობრივი და საკომუნიკაციო მთლიანობა, მიკროთემა

მეტატექსტი არის წინადადებაზე მაღალი იარუსის-ენობრივი სა-
მეტყველო ოდენობა, რომელსაც ახასიათებს აზრობრივი მთლიანობა.
ეს უკანასკნელი კი იქმნება დამოუკიდებელ წინადადებათა გან-
საკუთრებული ორგანიზებულობით, სპეციფიკური გაბმულობით.

ტექსტის ლინგვისტიკის ჩასახვის გარიჟრაჟზე, როცა რთული
სინტაქსური მთლიანობის პარამეტრებზე საუბრობდა, ნ. ს. პოსპე-
ლოვა ასეთ პარამეტრებად მიიჩნია: 1. აზრობრივი დამოუკიდებლობა
და დამთავრებულობა, რომელსაც რთული სინტაქსური მთლიანობა
ინარჩუნებს კონტექსტიდან ამოღების დროს, და 2. რთულ სინტაქსურ
მთლიანობაში შემავალ წინადადებათა შორის დაკავშირების გან-
საკუთრებული მიერთებითი ხასიათი /251, 68/.

მეტატექსტის კვლევის პირველ ეტაპზე სპეციალისტები
ცდილობდნენ ნ. ს. პოსპელოვის ამ ორი პარამეტრის დაზუსტებას და
განვითარებას. პირველი ნიშნის დაზუსტების მიზნით ისინი
ცდილობდნენ, ერთმანეთისაგან გაემიჯნათ დამოუკიდებელი
(ავტოსემანტური) და დამოკიდებული (სინსემანტური) წინადადებები.
მიიჩნევდნენ, რომ რთული სინტაქსური მთლიანობა უნდა შეიცავდეს
როგორც ავტოსემანტურ წინადადებას (იწყობოდეს კიდევ მისით), ისე
მასზე დამოკიდებულ სინსემანტურ წინადადებას /24, 118; 206/.¹

მიჩნეულია, რომ გადამწყვეტი როლი აკისრია დამწყები
წინადადების წყევებს. კერძოდ, ამ წინადადების (რომელიც, რა თქმა
უნდა, ავტოსემანტურია). ქვემდებარე მომდევნო (სინსემანტურ)
წინადადებაში უთუოდ უნდა იყოს ან დამატება ანდა ისევ ქვემდებარე.
გარდა ამისა, თუ პირველი წინადადება იწყება არსებითი სახელით,
რომლითაც გადმოიცემა ქვემდებარე, დამატება ან გარემოება, ასეთ

¹ ავტოსემანტურისა და სინსემანტურის სინონიმად ნახმარია აგრეთვე
ტერმინები: „კომუნიკაციურად ძლიერი“ და „კომუნიკაციურად
სუსტი“ /46, 13-14/. ამ თვალსაზრისს უახლოვდება გ. ი. სოლგანიკის
დებულება პროზაული სტროფის დამწყები, პირველი წინადადების
როლის შესახებ /300, 109-131/; „საყრდენი“ და „მიზიდული“ /340, 4/.

დასაწყისს „მაგარი“ დასაწყისი ეწოდება. ამ შემთხვევაში მომდევნო (სინსემანტური) წინადადება უთუოდ უნდა იწყებოდეს კავშირით, ნაცვალსახელით ან ზმნით და ასეთ დასაწყისს „რბილი“ დასაწყისი ეწოდება.¹

წინადადებათა ურთიერთობის ასეთ ხასიათზე ათეული წლების განმავლობაში მსჯელობდნენ და ამჟამადაც მსჯელობენ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

ჩვენი დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებელ წინადადებათა ურთიერთობის ასეთი ახსნა არ გამოხატავს რეალურ სურათს და ამდენად მცდარია. პოგვაჩნიკი, რომ მეტატექსტის დონეზე დამოუკიდებელ წინადადებათა ურთიერთობაში არა გვაქვს ავტოსემანტიურობა და სინსემანტიურობა. მნიშვნელობა არა აქვს ქვემდებარე-დაატებისა და, საერთოდ, წინადადების წევრთა საკითხს. ასევე აზრი არა აქვს იმის მტკიცებას, თუ რით (არსებითი სახელით, ნაცვალსახელით, ზმნით თუ კავშირით) იწყება წინადადება. თუ ყოველივე ეს მცდარია, რამ გამოიწვია და სად უნდა ვეძიოთ შეცდომის სათავე? შეცდომის წყაროა ის, რომ მეტატექსტს - წინადადებებზე განსრულიად გასხვავებულ, მრავალფეროვნად წინადადებაზე დიდ, სემანტიკურად, სტრუქტურულად და ფუნქციურად სრულიად ახალ ენობრივ ერთეულს - სინტაქსის პარამეტრებით ახასიათებდნენ და სწავლობდნენ. ამოდიოდნენ იქიდან, რაც იცოდნენ (სინტაქსიდან), და ვერ გასცდნენ მას (სინტაქსს). სინამვილეში კი მეტატექსტს არ სჭირდება, არ აინტერესებს წინადადების წევრი, მისი ფუნქცია თუ ადგილი წინადადებაში. კერძონით - „წინადადების წევრი“ - ვერ აღინიშნება მეტატექსტის კომპონენტები. მეტატექსტის კომპონენტია წინადადება და არა წინადადების წევრი. მეტატექსტს აინტერესებს არა მთავარი და დამოკიდებული წინადადებაები (ეს სინტაქსის საკითხია), არამედ დამოუკიდებელ წინადადებათა თანმიმდევრობა, კერძოდ, ამ თანმიმდევრობის არსი, სპეციფიკა და მექანიზმი. მეტატექსტში პირველი

¹ „მაგარი დასაწყისი“, „რბილი დასაწყისი“ ი. მისტრიკის ტერმინებია. იხილეთ მისი: Математико-статистические методы в стилистике. - ВЯ, 1967, №3, с. 47.

წინადადების (ზოგჯერ მეორისაც) მიზანი და ძირითადი დანიშნულება მიკროთემის ნომინაციაა. მომდევნო წინადადებები კი ემსახურება დასასვლელად მიკროთემის გაშლას. ისინი ახალ-ახალ ინფორმაციას, დახასიათებას იძლევიან მის შესახებ. მეტატექსტის დონეზე მთავარი და დამოკიდებული წინადადებების კავშირი კი არ განიხილება, არამედ დამოუკიდებელ, თავისთავად წინადადებათა თავისებური, ახალი, სპეციფიკური ურთიერთდამოკიდებულება, რომელსაც ჩვენ თანწყობას ვარქმევთ. ეს ის თანწყობაა, რომელსაც რთული წინადადების სინტაქსიდან ვიცნობთ, მაგრამ მეტატექსტის დონეზე იგი სისხლსავსეა ფრთაგაშლილი და ახალი, გლობალური სიცოცხლით სუნთქავს. ყოველი მომდევნო დამოუკიდებელი წინადადება სხვა წინადადების (წინამავალის თუ მომდევნოს) ინფორმაციისაგან განსხვავებულ, ახალ ინფორმაციას შეიცავს. ეს თანწყობა დამოუკიდებელი, თავისთავადი წინადადების თანწყობაა, როცა ყოველი დამოუკიდებელი წინადადება ერთიმეორის მიმართ თანასწორუფლებიანი და ტოლფასოვანია მიკროთემის საჭირო თუ აუცილებელი ინფორმაციით. შევსების თვალსაზრისით და ამდენად ურთიერთსაჭირო და გადაჯაჭვული.

მეტატექსტის პირველი წინადადება, რომელმაც ამდენი დისონანსი შეიტანა კვლევაში, ჩვენი გაგებით, ხასიათდება მრავალი პარამეტრით. იგი აგებულია მიხედვით შეიძლება იყოს მარტივი, შერწყმული, რთული, ხოლო აზრობრივად ის არ წარმოადგენს წინა მეტატექსტის ბოლო წინადადების გაგრძელებას, ახსნას, დაზუსტებას. მათ შორის სემანტიკური კავშირი, შეიძლება ითქვას, ნულოვანია.

მეტატექსტის პირველი წინადადება ახალი მეტატექსტის დაწყების მაჩვენებელია, რადგან აქ დასახელებულია ახალი მიკროთემა. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მეტატექსტის პირველი წინადადებისათვის ნიშანდობლივია რამდენიმე თავისებურება:

1. პირველი წინადადება მიგვანიშნებს ახალი მეტატექსტის დაწყებას, თუ პირველი წინადადების თავში დგას სიტყვა ან სიტყვები, რომლებიც დროის გარემოებებს აღნიშნავენ, ასეთ წინადადებაში საუბარია დროში, დროის გარკვეულ მონაკვეთში მიმდინარე მოქმედების შესახებ, ხოლო ზოგჯერ შეიძლება მთელი ეს წინადადება დროის მნიშვნელობით სუნთქავდეს.

2. პირველი წინადადება აღნიშნავს მოქმედების ადგილს, რაც გვიჩვენებს იმ ფონს, სადაც იშლება მოქმედება.

3. პირველ წინადადებას შემოჰყავს ახალი პერსონაჟი.

4. პირველი წინადადება ხშირად მიუთითებს მსჯელობას ახალ საგანზე.

ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ პირველი წინადადების სპეციფიკა მართოდენ ჩამოთვლილი თავისებურებებით როდი ამოიწურება, სხვა მრავალი ნიუანსიც არსებობს, რომელთაც განაპირობებს თხრობის სიტუაცია.

ზოგჯერ მეტატექსტში შევხვდებით ისეთ თავისთავად წინადადებას; რომელიც არ წარმოადგენს მეტატექსტის კონსტიტუენტს და არ შეიცავს რაიმე ახალ ინფორმაციას. ასეთ წინადადებაში გადმოცემულია ავტორისეული შეფასება, დამოკიდებულება, დასკვნა მეტატექსტში გამოთქმული ინფორმაციისადმი და ამიტომ ჩვენ ამას მოდალურ წინადადებად მივიჩნევთ. შეიძლება ისიც, რომ ასეთი წინადადებისათვის, რომელიც შესაძლოა იწყებდეს მეტატექსტს, ამთავრებდეს მას ანდა მის შიგნით იყოს მოქცეული, ჩართულიც გვეწოდებინა.

მოვიყვანოთ ასეთი მოდალური წინადადების ერთი მაგალითი:

„რიტორიკაში სწერია: ყველაფერი შესავალ ით უნდა დაიწყოს კაცმაო. ჩვენც ასე დავიწყით“

ვინც ლუარსაბის სახეში თავის-თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზეუ დაწერილს თავის-თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწყებს და „გოჟიას“ დაუძახებს ამ მოთხრობის უბირო დამწერსა - ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადოებრივად ვწერთ.

სხვამ რაც უნდა სთქვას...“ /421, 357/.

ამ მაგალითის პირველი აბზაცი ორი წინადადებისაგან შედგება, რომლებიც მოდალურია მეტატექსტის მიმართ.

დამოუკიდებელ წინადადებათა ერთიანობა გვაძლევს ინფორმაციის სისრულეს, მთლიანობას, ხოლო ეს უკანასკნელი - მიკროთემის აზრობრივ დამთავრებულობას.

მეტატექსტის მიკროთემა ტექსტის თემის მაწილია. თავის მხრივ მიკროთემა არ იყოფა, არ ნაწილდება უფრო წერილ მიკროთემებად.

რადგან, ცხადია, წინადადებებს, ცალკე აღებულთ, მიკროთემები არ გააჩნიათ.¹ მეტატექსტს ერთი მოკროთემა აქვს. მეტატექსტის მდგენელი დამოუკიდებელი წინადადებები ამ ერთი მიკროთემის გარშემო ერთიანდებიან. ეს ერთიანობა კი მეტატექსტის აზრობრივ მთლიანობასა და დამთავრებულობას ქმნის. ერთი მიკროთემიდან მეორეზე გადასვლა წარმოადგენს ერთი მეტატექსტის დამთავრებისა და მეორის დაწყების სასაზღვრო ნიშანს.

მეტატექსტის მონომიკროთემურობა ხშირად ვლინდება ძირითადი სიტყვების რეგულარულ განმეორებაში ანუ რეკულენტულობაში, რაჟ რას ნიშნავს, რომ ყოველთვის, როცა ერთი მეტატექსტისა და ერთი მიკროთემის ფარგლებში გამოიყენება ერთი და იგივე საკუთარი თუ საზოგადო სახელი, ან მათი სინონიმური თუ ნაცვალსაბეღური ჩანაცვლება. მხედველობაში გვაქვს ერთი და იგივე საგანი ან პირი /222, 19-20/.

მეტატექსტს თითქმის ყველა მკვლევარი სინტაქსურ ერთეულად მიიჩნევდა და მიიჩნევს. ამიტომ იყო, რომ მეტატექსტს სინტაქსის პარამეტრებით ხსნიდნენ.

მეტატექსტი ჩვენ არ მიგვაჩნია ტრადიციულად გაგებულ სინტაქსურ ერთეულად, რადგან იგი ტრადიციული სინტაქსის არც ერთი პარამეტრით არ იზომება. მეტატექსტის დონეზე (მით უმეტეს ტექსტის დონეზე!) ჩვენ არ გვკვირდება არც სინტაქსური დამოკიდებულების სახეები ('შეთან' ვება, მართვა, მირთვა, კოორდინაცია), არც წინადადების მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრების გარკვევა და გრამატიკული დახასიათება და არც წინადადების ტიპების გარჩევა მოდლობის თუ აგებულების მიხედვით.

მეტატექსტი ჩვენთვის ის ენობრივი ერთეულია, რომლის ძირითადსა და მთავარ ფუნქციას კომუნიკაცია წარმოადგენს. მეტატექსტის კონსტიტუენტია ურთიერთობას განსაზღვრავს არა ტრადიციული სინტაქსის პარამეტრები, არამედ აქტუალური დანაწევრების თეორია

¹ ვ. დრესლერი თვლის, რომ ცალკეულ წინადადებასაც აქვს თემა. მისი აზრით, მთლიანი ტექსტის თემიდან თავების, პარაგრაფების,

წინადადებათა რგუფის თემის გავლით შედარებით ადვილად შეიძლება წინადადების თემაზე დასვლა" /394, 19/.

(სხვა სიტყვებით, ფუნქციონალური პერსპექტივის თეორია), რომლის მიხედვით არსებითი და გადამწყვეტია სიტყვის, წინადადების, (წინადადებების) არა გრამატიკული (ფორმალური) ასპექტი, არამედ იმ ინფორმაციის, იმ შინაარსის სემანტიკური მხარე, რომელსაც მეტატექსტი შეიცავს. მეტატექსტის შინაარსის გარკვევაში გრამატიკული (სინტაქსური) ერთიერთობა კი არ გვხვმარება, არამედ მეტატექსტის კომპონენტთა ერთიერთობად მოკიდებულება თემა-რემის მოდელის მიხედვით.

კითხვაზე - დაკავშირებულია თუ არა წინადადების სინტაქსური შედგენილობა ამ წინადადების გარემოცვასთან მეტატექსტში, სპეციალისტთა აზრი ორად გაიყო. გ.ა ზოლოტოვა ამ კითხვას დადებითად უპასუხებს, რასაც ასაბუთებს ზმნის კონტრასტულობის¹ უნარით - გამოყოფს კომპონენტი კონტრაპოზიციის² პირობებში, აგრეთვე ზმნის უნარით - იყოს წინადადების რემა /133, 114-115/.

დასმულ კითხვაზე თავის მხრივ ბ.გ. გასპაროვი უარყოფით პასუხს იძლევა. მისი აზრით, წინადადების სტრუქტურა არ წარმოადგენს ფრაზათა შორის კავშირის კონსტიტუციურ ნიშანს /93, 48/, რასაც ჩვენი მხრივ იმას დაუშვებობთ, რომ ზმნას შეუძლია იყოს (გადმოსცეს) წინადადების რემა, მაგრამ რემისათვის ძირითადს და მთავარს ზმნა კი არ წარმოადგენს, არამედ ის ინფორმაცია, რომელიც მარტო ზმნით არ ან ვერ გადმოიცემა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აქტუალური დანაწევრების კატეგორიები - თემა და რემა წარმოადგენენ მეტატექსტის კონსტიტუენტების ერთ-ერთ ძირითად შემაკავშირებლებს, წინადადებიდან წინადადებად აზრის განმავითარებლებს. წინადადებების თანმიმდევრობა თემისა და რემის თანმიმდევრობის პირდაპირპროპორციულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ე. წ. „თემატური პროგრესიის“ იდეით თემა ამაგრებს, ამტკიცებს მეტატექსტს, ხოლო რემა გადმოსცემს ახალ ინფორმაციას.

¹ ზმნის კონტრასტულობის უნარის შესახებ იხილეთ ტ.მ. ნიკოლაევა /232, 310/.

² კონტრაპოზიციის შესახებ იხილეთ: Золотова Г. А. Очерк функционального синтаксиса русского языка. М., 1973, с.335.

2.3. მეტატექსტის აქტუალური დანაწევრება

მეტატექსტის წარმოქმნა თემა-რემის მოდელის მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტით.

1. მეტატექსტის თემა-რემის ჯაჭვის წარმოქმნის ყელაზე გავცელებულ მოდელს წარმოადგენს ე.წ. „მარტივი ხაზოვანი თემა-ტური პროგრესია“, რომელიც გამოიხატება წინამთავალი წინადადების რემის ჯაჭვურ თემატიზაციაში შემდეგი სტემის მიხედვით:¹

თემა₁ → რემა₁

თემა₂ (=რემა₁) → რემა₂

თემა₃ (=რემა₂) → რემა₃

თემა₄ (=რემა₃) → რემა₄

ამ სტემის საილუსტრაციოდ მოგვთავაზებთ ერთი მეტატექსტი. ყოველი წინადადება დავნომრეთ, რომ მკითხველს გაუადვილდეს თემა-რემის დაპირისპირება.

„(1) დარიალის ვიწროებში, სადაც ეხლა მშვენიერი გზატკეცილი მიდის და შავ კლდეებს შუა გველსავით იკლავება, უწინ მხოლოდ ბილიყება იყო, რომელზედაც ცხენების ჯარაზები ძლივს დადიოდა (2) ეს გზა მიდიოდა, ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ჯერ ლარსის ვიწრო ხეობაზედ, მაგრამ რაკი დარიალის უზარმაზარ მთებს მოადგებოდა, იქ კლდე იყო გახვეტილი და გზა ქანქანით გაყვანილი, რომლის სათაურშიაც მოხვევთა ყარაულები იდგნენ და საქართველოს დაუპატიყებელ სტუმრებისაგან იცავდნენ.

(3) ერთს ცივ ღამეს, როდესაც ნისლს მოებურა და უფრო მომეტებულად დაებნელებინა იქაურობა, ამ ქანქანის ნაპირას ვაეჩაღებინათ ცეცხლი რამდენიმე ყარაულს და გარს შემოსხდომოდნენ. (4) იქვე დაერთოთ ნადირის (ჯიხვის) მწვადები და ვახშმის მომზადებას ელოდნენ.

¹ ტერმინი და სტემა ეკუთვნის: ფ. დანეშ, ჩვენ ვი მოგვთავაზებთ ო.ი. მოსკალ-სკაიას წიგნიდან /222, 22/.

(5) ამ დროს მოისმა ცხენის ფეხის ხმა (6) ყარაულებმა დაავლეს თოცებს ხელი და ერთ წუთში ჩაესაფრნენ გზის აქეთ-იქით მდებარე ქვების უკან. (7) ეს ისე სწრაფად და ჩუმად მოხდა, რომ კაცი ვერ შეამჩნევდა მათ მოძრაობას, და გულდანდობილი მგზავრი ადვილად ჩაუვარდებოდა ხელში.

(8) გაიარა რამდენიმე წუთმა ამ მდგომარეობაში, როდესაც ერთი ცხენოსანი გამოჩნდა და გულად შემოვიდა ჩასაფრებულთა შუაში. (9) აქამდისინ გაჩუმებული ყარაულები, რომელთაც თოფები გადმოეშვირათ ქვებზედ და თითონაც გაქვავებულს სურათებს დამზგავსებოდნენ, ერთბაშად ჩამოცვივდნენ და ხცენოსანს გარს შემოერტყნენ" /4: 27-28/.

ამ მეტატექსტში პირველი წინადადება უდრის თემა₁ - ს, ხოლო მეორე წინადადება ერთდროულად არის რემა₁ და თემა₂. მესამე წინადადება არის რემა₂ და თემა₃ და ა. შ. მეექვსე წინადადება კი თემაა მე-8 წინადადების მიმართ, რომელიც თავის მხრივ რემაა მეექვსის მიმართ. ბოლო, ნეცხრე, წინადადება რემაა მე-8 წინადადების მიმართ. რაც შეეხება მე-7 წინადადებას, იგი არაინფორმაციული - მოდალური წინადადებაა და თემა-რემობრივად არ უკავშირდება არც მე-6 და არც მე-8 წინადადებას.

ამგვარად, მოხმობილი მეტატექსტი შედგება ცხრა წინადადებისაგან, რომელთაგანაც ერთი (სახელდობრ, მე-7) ნეიტრალურია. დანარჩენ რვა წინადადებას კი ერთმანეთთან, გარდა ექსპლიციტური საშუალებებისა, აერთიანებს თემა-რემის ურთიერთკავშირი. და, ამგვარად, თემა-რემა გამოდის მეტატექსტის სტრუქტურულული ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად.

2. თემა-რემის მოდელი საერთო თემით,¹ როცა მეტატექსტის ყველა წინადადებისათვის თემა ერთი და იგივეა, ხოლო რემა - სხვადასხვა:

თემა₁ → რემა₁

↓
თემა₁ → რემა₂

↓
თემა₁ → რემა₃

↓
თემა₁ → რემა₄ და ა.შ.


მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი:

„(1) 1864 წელს დაჰკრა 'აქვეყნოდ სასიამოვნო საათმა და გამოცხადდა გლეხკაცების განთავისუფთლება - ბატონ-ჟობის გადავარდნა! (2) ხალხის ერთი მხარე - გლეხკაცობა და იმათი თანამგრძობელნი გატაცებულნი იყვნენ სიამოვნებით და შეტისმეტად გადაპარბებულს სარგებლობას და სიკეთეს მოელოდნენ ახალის წესებისაგან (3) მეორე მხარე - მებატონეები კი გულის კანკალით უყურებდნენ იმ დამოკიდებულების მოსპობას, რომელიც საუკუნეობით არსებობდა ბატონსა და ყმას შუა.

(4) განთავისუფლებულს გლეხებს ეგონათ, რომ ამ დღიდგან იმათი კეთილდღეობა, გამდიდრება და მოსვენება შეიქმნა უეჭველ მოვლენებად. (5) მებატონეები კი ჰფიქრობდნენ, რომ დღეიდგან ლუკმა გაუწყდათ და გუშინდელი იმათი მებრეები დღეს მბრძანებლებად გაუხდებოდნენ“ /#185/.

ეს მეტატექსტი ხუთი წინადადებისაგან შედგება. პირველი წინადადება ყოველთვის თემა₁ - ია, მეორე წინადადება - რემა₁, მესამე წინადადება - რემა₂, მეოთხე წინადადება რემა₃, მეხუთე წინადადება - რემა₄. ერთი თემა - ერთი წინადადება ხასიათდება სხვადასხვა რემით, სხვადასხვა წინადადებით. თემა-რემის ასეთი მოდელიც გამოდის მეტატექსტის წარმოქმნის ერთ-ერთ საშუალებად.

ტექსტის ლინგვისტიკაში გამოყოფენ აგრეთვე თემა-რემის ჯაჭვური ურთიერთობის ისეთ სახეს, რომელაც ეყრდნობა მიკრო-თემათა გაერთიანებას ერთ თემად, მეტატექსტთა შეერთიანებას ტექსტად. ამ მოდელს ასეთი სტემით გამოხატავენ:



ჩვენ ვთვლით, რომ ეს მოდელი ვერ მოქმედებს მეტატექსტის დონეზე, რადგან მეტატექსტში ერთი მიკროთემა გვაქვს. სქემა მიესადაგება ტექსტის კომპონენტების თემა-რემურ-ურთიერთობას და ამიტომ მას ტექსტის დონეზე გამოვიყენებთ.

როგორც ცნობილია, რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში წინადადების დონეზე გამოყოფენ გამონათქვამებს „ნულოვანი“ თემით - ე.წ. „დაუნაწევრებელ“ გამონათქვამებს /154, 47-48; 170, 34; 268, 176 და სხვ./ ასეთ გამონათქვამებში თემა-რემის ურთიერთობა კი არა გვაქვს, არამედ ნხოლოდ რემა ქმნის წინადადებას. ასეთი წინადადებები შეიცავენ ახალ-ახალ ცნობებს, ინფორმაციებს სინამდვილის ფაქტებისა და მოვლენების შესახებ. ამას მაშინ აქვს ადგილი, როცა აოწერენ საღამოს, ღამის, დღის, ღლის სურათს, მდგომარეობას... მაგრამ გარკვევით უნდა ითქვას, რომ ქართულ ენაში (და რა მართო ქართულში!) არ არსებობს მეტატექსტი „ნულოვანი“ თემით (მიკროთემით). „დაუნაწევრებელი“ მეტატექსტები და, მით უმეტეს, ტექსტები ენაში არა გვაქვს.

2.4. მეტატექსტი და აბზაცი

2.4.1. მეტატექსტი და მისი სტრუქტურა.

ამ საკითხის გარშემო ტექსტის ლინგვისტიკაში არსებულ ვითარებას უკვე ვაუჯანით ადგილი აქვს აზრთა დიდ სხვადასხვაობას.

მიგვაჩნია, რომ მეტატექსტის, როგორც ენობრივად მთლიანი ერთეულის, კომპონენტია აზრობრივად მონათესავე, შინაარსობრივად ახლო მდგომი დამოუკიდებელი წინადადებები, რომლებიც ინფორმაციას, გვაცვდიან ერთი საგნის, ერთი მოვლენის, ერთი მიკროთემის შესახებ. ამ დამოუკიდებელ წინადადებათა სემანტიკური ურთიერთდამოკიდებულება ისეთია,¹ რომ: 1. თემა-რემის ჩაკეური ურთიერთობის

¹ დამოუკიდებელ წინადადებათა სემანტიკური ურთიერთობა კარგადაა შესწავლილი ტექსტის ლინგვისტიკაში. იხ.: ე.ა. ბრიზგუნოვა /42/; ლ.პ. დობლაევი /111/; ნ.ი. ვინკინი /120/; ა.მ. მუხიხი /224/; ვ.გ. დოროფევი, ი.ს. მარტემიანოვი /114/; ლ.გ. ვედენინა /60/ და სხვ.

შემთხვევაში ყოველი მომდევნო წინადადება შეიცავს წინამავალის მიმართ დასმულ რაიმე კითხვის პასუხს, მაგრამ, თუ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ მომდევნო წინადადება ვეღარ პასუხობს წინამავალიდან დასმულ რაიმე კითხვას, მაშინ იგი დამწყობია ახალი მეტატექსტისა. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი მეტატექსტი უკვე დამთავრდა. 2. საერთო თემის მქონე მეტატექსტებში კი, სადაც ეს საერთო თემა აუცილებლად პირველ წინადადებაშია მოცემული, ამ წინადადებიდან გამომდინარე კითხვებზე პასუხს იძლევა ყველა მომდევნო წინადადება. დამოუკიდებელ წინადადებათა აზრობრივ კავშირს გამოხატავს როგორც ექსპლიციტური, ისე იმპლიციტური საშუალებანი. მეტატექსტი, ჩვეულებრივ, იწყება ახალი მიკროთემით. ახალი მიკროთემა თხრობაში შემოდის ახალ პერსონაჟის, ახალი საგნის, მოვლენის, ადგილის თუ დროის სახით. მომდევნო წინადადებებში კი ეს გმირი, საგანი თუ მოვლენა გამოჩნდება ანაფორულად ანდა სუბსტიტუტის სახით. ამიტომ მიკროთემის ანაფორული ელემენტების მოქმედების არეალი მეტატექსტია.

მეტატექსტის მინიმალური ზღვარი ორი წინადადებაა. მაქსიმალური ზღვარის დადგენა რაიმე ფორმალური ნიშნით შეუძლებელია. მისი ზღვარების სირთულეს განაპირობებს მოკროთემის აქტუალობა და ხარისხი, მწერლის ერუდიცია და წერის სტილი, ექსტრალინგვისტური სიტუაცია და სხვ. მეტატექსტის ზედა ზღვარის დადგენაში გვებმარება მიკროთემის აზრობითი დამთავრებულობა.

2.4.2. აბზაცი.

ჩვენთვის აბზაცი კომპოზიციურ-სტილისტიკური საშუალებაა. აბზაცს ყოველივეს აქვს თავისი გამოხატული ფორმა, მეტატექსტის საზღვარი კი უმეტესად არ ემთხვევა აბზაცს. მეტატექსტს თავისი მიკროთემა აქვს, აბზაცს არა აქვს იგი. როცა მეტატექსტის მიკროთემა ემთხვევა აბზაცს, გარეგნულად იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ისინი ურთიერთადეკვატური არიან, რაც, რა თქმა უნდა, არ შეეფერება სინამდვილეს. მართალია, ზოგჯერ მეტატექსტი ემთხვევა აბზაცს, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორმა სწორად დაყო ტექსტი მეტატექსტებად, მაგრამ მეტწილად გვაქვს საპირისპირო შემთხვევები: პირველი, როცა მეტატექსტი ორი ან მეტი აბზაცისაგან შედგება და მეორე, როცა

ერთსა და იმავე მეტატექსტში რამდენიმე აბზაცია გამოყოფილი. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ საქმე გვაქვს სხვადასხვა სიდიდის მქონე მეტატექსტი არის ისეთი ენობრივი ერთეული, საკომუნიკაციო საშუალება, რომელსაც აქვს თავისი მიკროთემა. მიკროთემის სისრულე - დამთავრებულობა მეტატექსტის ობიექტური პარამეტრია. რაც შეეხება მეტატექსტის განფენას ერთ, ორ, სამ... აბზაცში, - ეს უკვე დამოკიდებულია ავტორის წერის-სტილზე, სინამდვილის აღქმის თვალსაზრისზე, მის ლიტერატურულ გამოცნებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აბზაცებად დაყოფაში თავს იჩენს სუბიექტური ფაქტორი.

როგორც ცნობილია, ენაში კანონმდებლობის ფაქტორი არ მოქმედებს. აბზაცი რომ მეტატექსტის არსებობის ფორმა იყოს ან მისი დაკანონება შეეცდეს, ალბათ, ენა დაკარგავდა თავის ექსპრესიულობასა და ესთეტიკურობას. აბზაცის გამოყოფის სირთულეს ისიც ვაბზავს, თუ როგორ დავაყენოთ ერთიმეორის გვერდით სიტყვა-აბზაცი, წინადადება-აბზაცი, მეტატექსტი-აბზაცი, ტექსტი-აბზაცი და რა ფენომენით ავხსნათ დაპირისპირებათა ეს რივი.

აბზაცი წერიითი მეტყველების თავისებურებაა, მეტატექსტების გამოყოფა კი, რომელთაგანაც თვითეული შედგება რამდენიმე წინადადების: ვან, თანაბრად არის შესაძლებელი როგორც წერიტის, ისე ზეპირ მეტყველებაში.

ორიგინალური და საინტერესოა ლ.ვ. შჩერბას აზრი აბზაცის სასვენ ნიშნად გავების შესახებ. იგი წერს: „აბზაცი ანუ წითელი სტრიქონი, რომელიც აგრეთვე უნდა ჩაითვალოს თავისებურ სასვენ ნიშნად, აღრმავებს წინამავალ წერტილს და იწყებს აზრთა სრულიად სხვაგვარ სვლას“ /353,244/.

მეტატექსტისა და აბზაცის თანაფარდობაში, როგორც უკვე ვთქვით, გასარჩევია რამდენიმე ტიპური შემთხვევა. მოვიყვანოთ მაგალითები:

1. როცა მეტატექსტი ემთხვევა აბზაცს:

„ამოღამდა. თერგისა და მყნვარის ყურებაში და ზოგიერთ ფიქრების გართვაში დრო ისე გამეპარა, რომ თითქმის ვერ შევიტყე - მზე როგორ გამოესალმა მისგან გამთბარ ქვეყნიერებასა და როგორ მიეფარა მთებსა. დაღამდა, თვალ-წინ აღარა სჩანს-რა, მისწყდა ხმაურობა ქვეყნისა, ქვეყანა დაღუმდა“ /422,266/.

2. როცა მეტატექსტი შედგება ორი ან რამდენიმე აბზაცისაგან:

„ველას ეძინა, ველას... ერთის მეტს.

იყო სახლი, საცა იმ ერთს არ ეძინა. ამ სახლში კბნელოდა, სანთელი არ ენთო. და მარტო კერაში თავბეს სისქე კუნძს ცალ გვერდზედ ცეცხლი ეკიდა და უგემურად კბოლავდა. როცა ნალვერდალ-მოსხმული გამოშწვარი გვერდი ხისა დროგაპოშეებით პატარა ენასავით აღს წამოაგებდა, ერთი მხარე სახლისა პატარა მანძილზედ ცოტა-ზნე ბით მოკშუქდებოდა:

კერასთან ცეცხლის შორი-ახლო ძალი იწვა. რგვლად გადმოეკექნა თბილი ნაკარი, თითონაც გორგალსავით დახვეულ-ჩახვეულიყო, უკანა ფეხები წინ წამოეყარა, წინანი - უკან, თავზედ ბანჯგელიანი კუდი გადმოეფარა, ცხვირი კუდის ბოლოში წაეყო და ეძინა. ძაღლის გვერდით, ცოტა მოშორებით, ვიდაც მოხუცებული დედაკაცი კერასთან ცეცხლა-პირსავე იწვა დედამიწაზედ გაშლილ ქვეშაგებში და გულიანად ეძინა. დედაბერს ქვეშ საგების გვერდით ტახტი ედგა და ზედ იწვა სნეული, ქვეშაგებად ჩაყარდნილი, დამდნარი, მიღეული და თითქმის სასიკვდილოდ მიხრწნილი.

ეს იყო ის, რომელსაც მთელს სოფელში არ ეძინა /422, 532-533/.

როგორც ჩანს, ერთი მეტატექსტი ოთხი აბზაცისაგან შედგება. რამდენიმე აბზაცისაგან შედგენილი მეტატექსტების ტიპები მრავალგვარია. ისინი მიიღებიან სხვადასხვა სახის ექსპლიციტური თუ იმპლიციტური საშუალებებით.

3. როცა ერთი აბზაცი შეიცავს რამდენიმე მეტატექსტს: „(1) ერთ დღეს, დიდიდან საღამომდე. შუამთის უდაბურ ტყეში დადიოდა აბდუშაპილი, რომ ეგებ ბაში-აჩუეს, ან მის ამხანაგთაგანს და ან მათ ბუდეს სადმე წავაწუდო. მაგრამ მოუცდა განზრახვა. დაბრუნებულს წინ ერთი შველი შეეფეთა. შეჩერდა შორიახლოს და ისე დაუწყო ყურება, თითქოს შინაურიაო. აბდუშაპილმა მშვილდ-ისარი მოიმარჯვა, სტყორცნა და გააგორა მიწაზე! რომ მივიდა ასაღებად, ნადირი უცბად წამოვარდა ზეზე და ბარბაცით გაუდგა გზას! მონადირე მიჰყვა კვადაკვალ. შუაგულ ტყეში თურმე ერთი დიდი მინდორი იყო და იმას მიაშურა; მონადირეც რომ მიადგა ტყის პირს და მინდორს თვალი გადაავლო, შენიშნა, რომ მეორე მხრით ტყიდან გამოვიდა ერთი ახალგაზრდა ქალი, რომლის მსგავსი ჯერ მას არ ენახარა. შეჩერდა და ამოე-

ფარა ხეს. (2) დაკოდილმა შველმა პირდაპირ ქალისაკენ მიმართა, შესწივლა ორჯერ-სამჯერ, მიუახლოვდა და მიაღწა კალთაზე თავი. ქალი შეერთა, მიიხეღ-მოიხედა და, რომ ვერავინ დაინახა, თემოში გარკობილი ისარი ამოუღო, გადააგდო, მოჰკიდა შველს ნაყარ რქებში ხელი და იქვე, ახლოს, წყაროსთან მიიყვანა, სისხლი გაბანა და წყლული ამოუწმინდა. შველი ისე ემორჩილებოდა, როგორც გრძნობიერი რამ: დაუწვა ფეხითი ცალ გვერდზე და მიანდო თავი; ქალმა მანდილს ყური მოჰხია და დაუცვა ქრილობა. (3) ამას ყოველივეს გაოცებით უყურებდა მონადირე და გუნებაში ამბობდა: „ნადირთა ღმერთს რომ იტყვიან, სწორედ ის უნდა იყოსო!“ აღარ მოუთმინა გულმა, მიეპარა ფეხაკრეფით და წაადგა თავზე: შველმა იგრძნო, დაფრთხა, წამოვარდა ზეზე, ორჯერ-სამჯერ გადაბტა განზე, მაგრამ უცბად შეჩერდა და მოიხედა უკანვე. ეტყობოდა, რომ მონადირეს ერიდებოდა და იმავ დროს ქალის მოშორებაც არ უნდოდა. (4) ქალი წამოდგა ზეზე, მოიხედა უკან და, თათარი რომ დაინახა, ერთი საოცრად დაიკვილა, ჩაიკეცა და შემოეყარა გულს. აბღუშაპილი მივიდა, მოჰკიდა ხელი, ბევრი აბრუნა აქეთ-იქით, ცხერი მოუსრისა, ყურები აუწია, მაგრამ ვერ გამოაბრუნა. მივიდა მერე წყაროზე, პეშვი აივსო წყლით, გამობრუნდა, ასხურა გულწასულს. ქალმა თვალეები გამოახილა“ /421,683-684/.

როგორც ვხედავთ, მოცემულ აბზაცში ოთხი მეტატექსტი გამოიყო.

ჩვენი მსჯელობა მეტატექსტისა და აბზაცის ურთიერთობის შესახებ ეხება ჯართული მხატვრული ლიტერატურის მონოლოგურ მეტაფილემას. აბზაცს თავისი სპეციფიკა აქვს პოეტურ თუ სამეცნიერო, პუბლიცისტურ თუ ოფიციალური დოკუმენტების ენაში. ამ სპეციფიკის შესწავლა დროის მოთხოვნაც არის და აუცილებელიც.

2.5. მეტატექსტის კონსტიტუენტთა ურთიერთდაკავშირების საშუალებანი

მეტატექსტის კომპონენტთა ურთიერთდაკავშირების საშუალებებს ორ ჯგუფად ყოფენ: 1. დაკავშირების საშუალებანი, რომლებიც საერთოა როგორც რთული წინადადების ნაწილების, ისე დამოუკიდებელ წინადადებათა დასაკავშირებლად და 2. დაკავშირების საშუალებანი

ბანი, რომლებიც გამოიყენება დამოუკიდებელ წინადადებათა დასაკავშირებლად.

დაკავშირების პირველ ჯგუფს მიკუთვნებენ კავშირებს, ზმნა-შემასმენელთა დრო-კილოს ფორმებს, ჩართულ სიტყვებს და გამოთქმებს, მეორე ჯგუფს კი - ანაფორულ ნაცვალსახელებს და ზმნიზედებს, სიტყვის ლექსიკურ და სემანტიკურ განმეორებებს, სინონიმურ და ანტონიმურ ჩანაცვლებებს, წინადადებებს.

დაკავშირების პირველი ჯგუფის არსებობამ ათქმევინა ი.ა. ფიგუროვსკის, რომ „დამოუკიდებელ წინადადებათა შორის შეიძლება იყოს ისეთი დამოკიდებულება, ისეთი ურთიერთობა, როგორიც გვხვდება რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებების ნაწილებს შორის“ /325, 23-24/.

ი.ა. ფიგუროვსკის ამ შეხედულების მეორე ნაწილს ვერ გავიზიარებთ, რადგან რთული ქვეწყობილი წინადადებების ნაწილებს შორის ჩვენ ვეძებთ მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს, მიზეზ-შედეგობრივ, დათმობით, პირობით თუ სხვა სახის დამოკიდებულებებს, ხოლო დამოუკიდებელ წინადადებათა შორის ურთიერთობაში დამოკიდებულებით ეს სახეები არ გვკირდება. დამოუკიდებელ წინადადებათა შორის აზრობრივ-შინაარსობრივი კავშირი მოგვაგონებს რთული თანწყობილი წინადადებების ნაწილებს შორის არსებულ ურთიერთობას იმ განსხვავებით, რომ დამოუკიდებელ წინადადებათა შორის კავშირს უყვარო მრავალმხრივი და მდიდარია. დამოუკიდებელ წინადადებათა შორის ურთიერთობას ჩვენ თანწყობითი ურთიერთობა შევარქვით და მის შესახებ ადრე ვისაუბრეთ. დამატებით იმისი თქმა შეიძლება, რომ დაკავშირების პირველი ჯგუფის არსებობა იმისი მაჩვენებელია, თუ როგორ იცვლება დაკავშირების საშუალებათა ფუნქცია, როგორ იზრდება მისი სემანტიკური დატვირთვა, ენობრივი ერთეულების სხვადასხვა დონეზე, თუ როგორ იყენებს ენა კავშირის ერთსა და იმავე საშუალებებს მეტყველების სხვადასხვა სფეროში, როგორ ჩნდება ენაში ენობრივ ერთეულთა დაკავშირების ახალი საშუალებები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელ წინადადებათა დაკავშირების საშუალებანი მარტო გარეგანი, ფორმალური სამაგრი როლია, მათი ფუნქცია დამოუკიდებელ წინადადებათა შორის ლოგიკური კავშირისა და ურთიერთობის გაზუსტვასაც გულისხმობს.

ტექსტის ლინგვისტიკაში მეტატექსტის კომპონენტთა (დამოუკიდებელ წინადადებათა) დაკავშირების საშუალებებად მიჩნეულია:

1. ანაფორულად გამოყენებული პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები, აგრეთვე ნაცვალსახელური ზმნიზედები (ნ.ა. კობრინა, 151,4; ლ.მ. ლოსევა, 200,7; მ.მ. მაქაროვა, 209,7; ვ.პ. ნიკოლაევა, 228,8; ი.ს. რაზმანკულოვა, 270,6;¹ ნ.ა. ტურმაჩევა, 322,8 და სხვ.);

2. მიერთებითი კავშირები (მ.მ. მაქაროვა, 209,10; ვ.პ. ნიკოლაევა, 228,8; ა.მ. როჩნიაკი, 276,8; ნ.ა. ტურმაჩევა, 322,9 და სხვ.);

3. ზმნა-კემსმენელთა დრო-კილოს ფორმები (ნ.ა. კობრინა, 151,4; ლ.მ. ლოაევა, 200,14; ნ.ა. ტურმაჩევა, 322,8-9; ლ.გ. ფრიდმანი, 329,36 და სხვ.);

4. სიტყვათა და შესიტყვებათა განმეორება (ნ. ა. ზმივესკაია, 131,32; ტ. მ. ბატალოვა, 24,14; ლ.მ. ლოსევა, 200,15; ვ.პ.ნიკოლაევა, 228,8; ნ.ა. ტურმაჩევა, 322,8; ლ.გ. ფრიდმანი, 329,36 და სხვ.);

5. ჩართული სიტყვები და გამოთქმები (ვ.ვ. მალოვი, 210,1-16; ნ.ა. ტურმაჩევა, 322,8 და სხვ.);

6. სუბსტრატუტები (ა.მ. როჩნიაკი, 276,7); ლ.გ. ფრიდმანი, 329,36 და სხვ.);

7. წინადადება (გ.ა. კულაკოვა, 177,5; ლ.მ. ლოსევა, 200,17; მ.მ. მაქაროვა, 209,10; ი.მ. ნოვიკაია, 237,6; ნ.ა. ტურმაჩევა, 322,8-9 და სხვ.);

8. სიტყვათა რიგი (ნ.ა. კობრინა, 151,4; ლ.მ. ლოსევა, 200,15; ტ.ა. სნეგირევა, 296,3; ნ.ა. ტურმაჩევა, 322,8; ლ.გ. ფრიდმანი, 329,36 და სხვ.);

9 არტიკლი (ნ.ა. ტურმაჩევა, 322,9; ლ.გ. ფრიდმანი, 329,36 და სხვ.);

10. ტოპონიმები, ჰიდრონიმები (ლ.მ. ლოსევა, 200,14);

11. სინონიმები, ანტონიმები, ელიპსისი (ვ.პ. ლუნოოვა, 207,43-44; ნ.ა. ტურმაჩევა, 322,9 და სხვ.);

12. სინტაქსური პარალელისმი (ნ.ა. ტურმაჩევა, 322,9);

¹ ი.ს. რაზმანკულოვა ტერმინ ანაფორის ნაცვალად იყენებს „პროფორმას“-ვს.

13. ინტონაცია (ა.მ. როჩნიაკი, 276, 10; ნ.ა. ტურმაჩევა, 322, 9, ტ.მ. ნიკოლაევა, 233. 45-46; ლ.გ. ფრიდმანი, 329, 36 და სხვ.);

14. პაუზა (ა.მ. როჩნიაკი, 276, 10; ნ.ა. ტურმაჩევა, 322, 9 და სხვ.).

დამოუკიდებელ წინადადებათა დაკავშირების ზამოთხილი საშუალებანი აღმოჩენილი და დადგენილია რუსული (24; 72; 131; 166; 174; 200; 207; 210; 228; 251; 252; 322; 325; 326; 338), ინგლისური (32; 63; 151; 296), გერმანული (116; 209; 245; 320), ფრანგული (27; 34; 56; 276), იაპონური (9) ენების მონაცემთა მიხედვით.

ქართული მხატვრული ენის მონაცემებიც გვიჩვენებენ, რომ მეტატექსტის კონსტიტუენტების ურთიერთდამაკავშირებლად დასახელებული საშუალებები ფუნქციონირებენ. მაგრამ, ვიდრე ქართული ენის მონაცემებს გავეცნობოდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელ წინადადებათა ურთიერთდაკავშირების ზემოჩამოთვლილ საშუალებებს სხვადასხვა სპეციალისტი სხვადასხვა კრიტერიუმით აერთიანებს ჯგუფებში.

ლ.მ. ლოსევა გამოყოფს დაკავშირების ძლიერსა და სუსტ საშუალებებს. ამათგან მის მიერ ძლიერ საშუალებებად მიჩნეულია პირის საკუთარი არსებითი სახელები, ჩვენებითი ნაცვალსახელები, აბსტრაქტული მნიშვნელობის არსებითი სახელები, ტომონიმები, პიდრონიმები და სხვ. ხოლო სუსტ საშუალებებად - მიერთებითი დაკავშირება, სიტყვათა განრმეორება და სიტყვათა რიგი /200, 14-16/.

ლ.მ. ლოსევამ დაკავშირების ძლიერი და სუსტი საშუალებანი გაანაწილა აგრეთვე ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებად. სახელდობრ, დაკავშირების ლექსიკურ საშუალებებად მან მიიჩნია საგრობრივი მნიშვნელობის სიტყვები (ჟ), პროცესის აღმნიშვნელი სიტყვები (ც), სიტყვები დროის მნიშვნელობით (ბ), სიტყვები ადგილის მნიშვნელობით (მ) და მათი ფუნქციონალურ-სინტაქსური სინონიმები /200, 13-15/.. ფრაზათა შორის კავშირის გრამატიკულ საშუალებებს კი ლოსევა მიაკუთვნებს: 1. მიერთებას, 2. სიტყვათა განმეორებას, 3. ზმნაშემასმენელთა დრო-კილოს ფორმების ერთიანობას, 4. კითხვისა და ძახილის წინადადებას, 5. ეროშემადგენლიან წინადადებას (იქვე).

გ. კოფენიკოვა გამოყოფს დაკავშირების ოთხ სახეს: ა/ ექსპლიციტურ, ბ/ იმპლიციტურ, გ/ უწყვეტ მწყობრ, და დ/ წყვეტილ სახეებს /156, 60-63/. ავტორის აზრით, ექსპლიციტური დაკავშირება

გადმოიცემა ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური საშუალებებით; იმპლიციტური დაკავშირება არ არის გამოხატული ცალკეული ენობრივი საშუალებით; მწყობრ, უწყვეტ დაკავშირებას ადგილი აქვს აზრის ერთი მიმართულებით გაშლის დროს, ხოლო წყვეტას მაშინ ვიღებთ, როცა სწორად იცვლება თემა, საკომინიკაციო საშუალებანი ან აზრის მიმართულება (იქვე).

ი.მ. ნოვიკვიამ დაკავშირების საშუალებანი წამყვან, ძირითად და დამხმარე, მეორეხარისხოვან ტიპებად დაყო. აქედან წამყვან, ძირითად საშუალებათა ტიპს მან მიაკუთვნა: 1. განმეორება, 2. თანაფარდობა, 3. განმეორება თანაფარდობის თანხლებით და 4. ლოგიკური დაკავშირება, ხოლო მეორეხარისხოვან, დამხმარე საშუალებებად მიიჩნია შემასმენლის დრო-კილოთა ფორმები, სინტაქსური პარალელიზმი და სიტყვათა რიგი /237, 4/.

დაკავშირების საშუალებებს ნ.ა. ტურმაჩევა სიგნალებს ან „დაკავშირების საშუალებებს“ უწოდებს და მათ სამ ჯგუფად ყოფს:

1. „დაკავშირების სეგმენტური მაჩვენებლები“;

2. „დაკავშირების სუბრასეგმენტური ან პარალინგვისტური მაჩვენებლები“;

3. „დაკავშირების ექსტრალინგვისტური მაჩვენებლები“ /322, 7/.

დაკავშირების სეგმენტურ მაჩვენებლებს ნ.ა. ტურმაჩევა მიაკუთვნებს: განმეორებას, სინონიმიას, ანტონიმიას, ერთფუძიანი სიტყვების გამოყენებას, ერთი თვმატური რიგის სიტყვების ხმარებას, კავშირებს, ჩვენებით ნაცვალსახელებს, სუბსტიტუტებს, კორელატებს, დრო-კილოთა ფორმების შეთანხმებასა და ერთიანობას, ჩართულ სიტყვებსა და წ ნადადებებს, ხიტყვათა რიგს, სინტაქსურ პარალელიზმს, ელემენტის და კითხვით წინადადებებს თხრობით ტექსტში /322, 8-9/.

დაკავშირების სუბრასეგმენტურ მაჩვენებლებად ტურმაჩევა მიიჩნევს ინტონაციასა და პაუზას, ხოლო ექსტრალინგვისტური დაკავშირების მაჩვენებლად დასახელებულია „დროული და სივრცობრივი ერთგვარობა“ (იქვე).

დაკავშირების ყველა ენობრივ საშუალებას ა.ი. როჩნიაკი ორ ძირითად ტიპად ყოფს - ექსპლიციტურ და იმპლიციტურ ტიპებად. ექსპლიციტურ ტიპს ავტორი მიაკუთვნებს იმ საშუალებებს (მისი ტერმი-

ნოლოგიით სიგნალიზატორებს - გ.ს.) რომელთაც ტექსტში მოეპოვე-
ბათ სეგმენტურ-ლექსიკური გამოხატულება: კავშირები, სუბსტი-
ტუტები, კორელატები /276,7/. ექსპლიციტურ საშუალებათა შორის
განსაკუთრებული ადგილი უკავია კორელაციას ანუ გამონათქვამის
ელემენტების ლექსიკურ-გრამატიკულ თანაფარდობას /276, 13-14/.

იმპლიციტური დაკავშირების სახეებად როჩნიაკს, შიანია სიტყ-
ვათა და წინადადებათა რიგი, რიტმი, მელოდია /276, 16/.

დამოუკიდებელ წინადადებათა ურთიერთდაკავშირების საშუ-
ალებებს მ.მ. მაკაროვა ორ დიდ ჯგუფად ყოფს: 1. დაკავშირების ანაფო-
რულ საშუალებებად და 2. დაკავშირების ისეთ საშუალებებად, რომ-
ლებიც გამოხატავენ ლოგიკურ ურთიერთობებს /209,7/.

დაკავშირების ანაფორულ საშუალებებს მაკაროვა აკუთვნებს:

1. ნაცვალსახელებს და ნაცვალსახელურ ზმნიზედებს, 2. მიმლო-
ბას, 3. ზედსართავ სახელს, 4. სუბსტანტივაციას, 5. დამოკიდებულ
წინადადებებს, ხოლო დაკავშირების მეორე ტიპს ავტორი
შიაკუთვნებს: 1. კავშირებს, 2. არსებით სახელებს, 3. მთავარ წინადადე-
ბას, 4. დამოუკიდებელ წინადადებას, 5. მაპირისპირებელ კავშირებს,
6. ზმნიზედებს, 7. შესიტყვებებს /209, 11-19/.

ზემოთ ჩამოთვლილ ავტორთა შეხედულებების გაცნობა
გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებელ წინადადებათა დაკავშირების საშუ-
ალებების შესახებ აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. როგორც ვნახეთ,
ერთნი ამ საშუალებებს სინტაქსს აკუთვნებენ, მეორენი - სტილისტი-
კას, მესამენი - გრამატიკას და ა.შ.

ი.მ ნოვიკვაია მეტატექსტის კომპონენტთა შორის არსებულ
კავშირს ჯაქვეურსა და ფარგლისებურს უწოდებს /237, 17/.

ნ.ა. ტურმაჩევა განარჩევს მეტატექსტის მდგენელების და-
კავშირების ხუთ ძირითად ტიპს: 1. ჯაქვეურს, 2. პარალელურს, 3. სხი-
ვურს, 4. მიერთების და 5. სიტუაციურს /322, 13-14/.

ამჟირად გვინდა ვაჩვენოთ, თუ როგორ ესმის ნ.ა. ტურმაჩევას
სხივურ დაკავშირება, რომლითაც იგი აღნიშნავს კომპონენტთა ისეთ
შეწყობას, „როცა ერთიანობის პირველი კომპონენტი არის მისი
ბირთვი, ხოლო მისგან რადიალურად ვრცელდება შეკავშირება ზე-
ფრაზული მთლიანობის ყველა მომდევნო კომპონენტში“ /322, 14/.

ვიდრე ი.მ. ნოვიცკაიასა და ნ.ა. ტურმაჩევას მიერ გამოყოფილ დაკავშირების სხვა ტიპებს დავახასიათებდეთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექსტის ლინგვისტიკაში ფართო გავრცელება პოვა გ.ი. სოლგანიკის მიერ წამოყენებულმა მეტატექსტის კომპონენტთა დაკავშირების ე.წ. ჩაკვეურმა და პარალელურმა ტიპებმა /300, 49-172/.

გ.ი. სოლგანიკის მიხედვით, ჩაკვეური დაკავშირება გულისხმობს დამოუკიდებელ წინადადებათა ისეთ უწყვეტ, გადაჩაკვეულ ურთიერთობას, როცა ყოველი მომდევნო წინადადება ამლიდრებს, რაღაც ახალი ინფორმაციით ავსებს წინამავალს. ეს აზრი პრივი ურთიერთობა ხორციელდება ლექსიკური განმეორების, სინონიმური ჩანაცვლების, ანაფორულად გამოყენებული ჩვენებითი და პირის ნაცვალსაძელების, ჩართულ რიტყვებისა და გამოთქმების საშუალებებით /300, 49-108/.

პარალელური დაკავშირების დროს კი დამოუკიდებელი წინადადებები ერთმანეთს უპირისპირდებიან: წინადადებებში აღწერილია ერთმანეთის მონაცვლე პროცესები, რომლებიც თითქოსდა ერთიმეორის პარალელურად არიან განლაგებული სივრცესა და დროში (300, 141).

გ.ი. სოლგანიკის აზრით, პარალელური დაკავშირება ხორციელდება პარალელური ანაფორული კავშირით, სინტაქსური პარალელიზმით, ზმნა-შემასპენლების დრო-კილოთა ფორმების ერთიანობით /300, 43/.

ჩვენ ვიზიარებთ გ.ი.სოლგანიკის შეხედულებას და გამოვყოფთ დამოუკიდებელ წინადადებათა დაკავშირების ჩაკვეურსა და პარალელურ ტიპებს. სხვა რომ არა იყოს, ნ.ა. ტურმაჩევას ჩაკვეური, პარალელური და ი.მ.ნოვიცკაიას ჩაკვეური და ფარგლისებური ტიპები იმეორებენ სოლგანიკის მიერ გამოყოფილ ტიპებს. შთავარი და გადამწყვეტი ჩვენთვის ის არის, რომ ჩაკვეური და პარალელური დაკავშირება ადეკვატურად ესადაგება თემა-რემის ურთიერთობას მეტატექსტში (ასევე ტექსტში!), მაგრამ უნდა ითქვას, რომ გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით ჩაკვეური ტიპი ქარბობს პარალელურს.

ვნახოთ მაგალითი, სადაც დამოუკიდებელი წინადადებები ერთმანეთს ჩაკვეური დაკავშირებით უერთდებიან (ანაღ. ხი რომ ვაგვიადვილდეს, დამოუკიდებელ წინადადებებს დავნოჩ'ავთ) .(1) იანვრის თოთხმეტს ნინოს დღეობა იყო. (2) გრიბოედოვის ქვრივს სულაც აღარ

ქსურდა თავისი თავი გაეხსენებინა ამ სოფლისათვის, შავრამ მამამ მისი დღეობა გაახსენა და განდევნილ შვილს დიდი ნაღობი გაუმართა. (3) შავი ხავერდის კაბით გამოწყობილი ქვრივი აპრილებულ ბუხართან იჭდა და მორცხვად აძღვედა სალამს ყველა ახალმოსულს, რომელნიც მას დღეობას ულოკავდნენ და ათასნაირ სიყეთეს სთავაზობდნენ. (4) შემდეგ შორდებოდნენ და ქალ-ვაჟთა უფრო დიდ ჯგუფს უერთდებოდნენ” /124,555/.

მომხობილ მაგალითში პირველ წინადადებაში დასახელებულია საკუთარი არსებითი სახელი - ნინო. მომდევნო სამი წინადადება ცალ-ცალკე უეიცავს ახალ-ახალ ინფორმაციას ნინოს შესახებ: პირველი წინადადების „ნინო“ მეორე წინადადებაში „გრიბოედოვის ქვრივია“ (სინონიმური ჩანაცვლება); ამავე, მეორე წინადადებაში ნინოს ახსენებენ „მის დღეობას“ (ანათორულად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალ-სახელი); აქვე ნინო „განდევნილი შვილია“ (ისევ სინონიმური ჩანაცვლება); მესამე წინადადებაში ნინო იკვივ „ქვრივი“ (ისევ სინონიმური ჩანაცვლება); ამ ავე წინადადებაში ნინო იგულისხმება „მას“ ნაცვალსახელით; მეოთხე წინადადებაშიც ნახმარია ანათორულად გამოყენებული პირის ნაცვალსახელი „მას“; რომელსაც ზმნის პირიანი ფორმა გვაგულისხმებინებს.

ჩვენ მიერ მოხმობილი მაგალითი ასე გრძელდება „(1) ამ ჯგუფში მედიდურად ბრწყინავდა ნინოს მომდევნო და ეკატერინე, რომელიც ამ დღისთვის და თავის სამთავროს საქმეების გამო ჩამოსულიყო ქალაქში. (2) მას ისეთივე კაბა-სამკაული აესხა სრულ ტანზე და იგივე მოურიდებელი სილამაზე გამოეფინა, რომელთაც ყოვლის მნახველი პეტერბურ-ვიც კი მოჰხიბლეს.

(3) მას, სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის შეუღლეს, დიდი საქმეები ქონდა ვარანკოვთან და ესლაც მას ელოდებოდა. (4) მან იცოდა, რომ ვახშამზე მის გვერდით უნდა მჯდარიყო“. (იქვე).

ამ მაგალითის პირველი წინადადება წინა მაგალითის ბოლო წინადადებას უერთდება ლექსიკური განმეორების მეშვეობით, . პირველი მაგალითის ბოლო წინადადებაში გვაქვს სიტყვა ჯგუფი, რომელიც მეორე, მომდევნო (აბზაცის დამწყებ წინადადებაში) წარმოდგებილია ასე: - „ამ ჯგუფში“, ე.ი. იმ ჯგუფში, რომელიც ახსენეს წინა წინადადებაში.

ჩვენს მერსე მაგალითის პირველ წინადადებაში შემოდის ახალი პერსონაჟი ვეატიჩინე. მაგრამ ის უცხო პიროვნება კი არ არის (ასე რომ ყოფილიყო, თხრობაში ვერ შემოვიდოდა), არამედ ნინოს „მომღევნო და არის“, მომღევნო წინადადებებში ნინოს ცვლის ანათორულად გამოყენებული პირის ნაცვალსახელები - „მას“, „მან“.

ახლა ვნახოთ მეტატექსტი, სადაც დამოუკიდებელი წინადადებები ერთმანეთს პარალელური დაკავშირებით უერთდებიან.

„ოვრის თვალსამოთხე ნაპირები - ალაგ ქვიშრობში გამონაჟური ფშებით, სველი ზვიკრობებით, ხასხასა მდელითი, იყო ჩემი ყრმობის ემბაზი, ჩემი პირველი პოეტური ასპარეზი.“

იქ ივრის წნორებს ვუკითხავდი ჩემს პირველ ლექსებს.

იქ რიყანი და ხმიანი იორი მასწავლიდა ქართული ლექსის მუსიკას.

დღესაც იქით არის ჩემი მუდმივი მისახედაგი, იქიდან ველოდები ჩემი სიმღერის ხმებს.

ისევ იქაღვას ჩემი მშობელი დედა ვაზებით გარმოდგმული, ქართულკაბიანი, იქიდან მელიმილება“ /414, 6/.

ამ მაგალითში დამოუკიდებელ წინადადებებში (უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი დამოუკიდებელი წინადადება ცალ-ცალკე აბზაცი-თაა წარმოდგენილი) აღწერილია ერთმანეთის მონაცვლე პროცესები, რომლებიც თითქოსდა ერთმეორის პარალელურად არიან განლაგებული სივრცესა და დროში.

დამოუკიდებელ წინადადებათა ურთიერთდაკავშირების საშუალებებად ჩვენ მიგვაჩნია: კავშირები, ანათორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები, ლექსიკური განმეორება (სინონიმური ჩანაცვლება, სემანტიკური განმეორება), ზმნა-შემასმენელთა ურთიერთმიმართება დროის, კილოსა და ასპექტის მიხედვით, ჩართული სიტყვა-გამოთქმები და აგრეთვე სიტყვებისა და წინადადებების რიგი. რაც შეეხება დაკავშირების ისეთ საშუალებებს, როგორიცაა პაუზა და ინტონაცია, ჩვენ მათ ამჭერად არ განვიხილავთ.

2.5.1 კავშირები

როგორც ცნობილია, ტრადიციულად ნებისმიერ ენაში და კერძოდ, ქართულშიც კავშირთა ორი ჯგუფი გამოიყოფა - მაერთებელი

(თანწყობითი) და მაქვემდებარებელი (ქვეწყობითი) ამით უარდა რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში უკვე ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული ცალკე გამოყოფენ ე.წ. მიერთებით კავშირებსაც, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, დაპარაკიბენ ზემოაღნიშნულ ორ ჯგუფში შემავალი ცალკეულ კავშირთა მიერთებითი ფუნქციის შესახებაც.

ჩირ კიდეც ა.მ. პეშკოვსკიმ უწრადლება შიაკცია „თანწყობასა და ქვეწყობას მაცალკეებელი პაუზის შემდგ“, სადაც მან არსებითად კავშირთა მიერთებით ფუნქციაზე ვაამახვილა უწრადლება (თუმცა საამისოდ არც ეს და არც რაიმე სხვა ტერმინი არ უხმარია), ხოლო ასეთი ფუნქციის მქონე კავშირებად მიიჩნია: и, а, или, при том же, вследствие того /247, 424, 247, 443/.

ტერმინი „მიერთებითი კავშირები“ პირველად ლ.ვ. შერბამ შემოიტანა ლინგვისტიკაში /353, 95-97/ და ამ მხრივ მან ვრცლად დაახასიათა კავშირის ფუნქციები.

მიერთებითი დაკავშირების თეორიამ შემდგომი განვითარება პოვა ვ.ვ. ვინოგრადოვის ნაშრომებში /64:68/, სადაც გაანალიზებული და დაახასიათებულა а, и, иа, или, ио კავშირების ფუნქციები.

მიერთებითი კავშირების მქონე სინტაქსურ კონსტრუქციებს ვ.ვ. ვინოგრადოვი ახასიათებს, როგორც „ესეთ კონსტრუქციებს, სადაც ნაწილები ერთბაშად ერთ სიბრტყეზე ვერ თავსდებაინ“, ასე რომ, „აზრობრივი კავშირი აქ დაფუძნებულია შესიტყვებისა და წინადადების არა პირდაპირ ლოგიკურ ურთიერთობაზე, არამედ საძიებელ, ნაგულისხმევ რეოლებზე“ /64, 286/.

მიერთებით კავშირებზე, როგორც დამოუკიდებელ წინადადებათა დაკავშირების ერთ-ერთ სპეციფიკურ საშუალებაზე, დაპარაკია ვ.ო. ვინოკურისა /71/ და ნ.ს. პოსპელოვის /251; 252/ ნაშრომებში.

როგორც ნ.ს. პოსპელოვი წერს, „მიერთებელი კავშირები რთული სინტაქსური მთლიანობის შემადგენლობაში ხშირად იღებენ მიერთებით მნიშვნელობას“ /251, 53/. ნ.ს. პოსპელოვი კავშირს უწოდებს მიერთებითს, თუ ის ვამოიყენება მისაერთებლად წინადადებების ან ცალკეული წევრებისა, რომლებიც ავრცობენ, ავითარებენ გამოთქმულ აზრს“ /251, 54/.

ვერ დავეთანხმებით პოსპელოვს, თითქოს წინადადების ცალკეული წევრების ერთმანეთთან მიერთებით ვიღებდეთ მეტატექსტს.

მიერთებით კავშირებს თანამედროვე რუსულ ენაში სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ს.ე. კრუიჩკოვმა /174/. რომლის აზრითაც მიერთების დროს მეორე (მისაერთებელი - ვ.ს.) ელემენტი ცნობიერებაში წარმოიქმნება თითქოსდა გამონათქვამის (დამატებით; ამასთანავე, ხშირად გამოიყოფება ზოგიერთი შუალედური რგოლიც; მიერთებას თან ახლავს ესა თუ ის ექსპრესია; მიერთებითი კავშირის ფუნქცია ვასაგები ხდება ფართო კონტექსტში, სიდაც მისი მეოხებით მიერთებულ ელემენტი წარმოადგენს თითქოსდა დამატებით მსჯელობას წინა ნაწილში აღნიშნულის მიმართ /174, 400/. მიერთებითი კავშირის შემსველი მეტყველება, ავტორის აზრით, წყვეტილობის, ხასიათდება.

მიერთებით კავშირებს ს.ე. კრუიჩკოვი ორ ჯგუფად ყოფს: ერთ ჯგუფს ქმნის ის კავშირები, რომლებიც ჩვეულებრივ მაერთებელ კავშირებად განიხილება, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში მიერთებითი ფუნქციითაც გამოიყენება. ასეთებია რუსულ ენაში *а, на, и, но, или, и вот, и при этом*, და სხვ. მეორე ჯგუფს კი შეადგენს ისეთი სპეციალური მიერთებითი რთული კავშირები, როგორცაა: *на, и, а то, не то*. ავტორი, აზრით, პირველი ჯგუფი დაკავშირებულია თანწყობასთან, მეორე - კი ქვეწყობასთან /174, 404-212/.

იმის საჩვენებლად, თუ როგორ გამოიყენებამიერთებითი დანიშნულებით მაერთებელი კავშირი, ავტორს მოყვანილი აქვს ასეთი მაგალითი: *Лизанета Ивановна была домашней мученицей. Она разводила чай, и получала выговоры за лишний расход сахара; она читала всяких романы, и виновата была во всех опшибках автора; она сопровождала графиню в ее прогулках, и отвечала и за погоду и за мостовую (Пушкин).*

ავტორი შენიშნავს, რომ ამ მაგალითში ის ი კავშირი, რომლის წინაც დასმულია მძიმე, მიერთებს შემასმენელს, რომელიც აღნიშნავს რაღაც სრულიად მოულოდნელს, რაც არასგზით არ გამომდინარეობს ადრე ნათქვამისაგან.

ავტორი ასევე იმოწმებს მიერთების ისეთ ნიმუშებსაც, რომლებშიც სპეციალური მიერთებითი კავშირია გამოყენებული. აი, ერთი მაგალითიც: Ухо Рулина не оскорблялось странной пестротой речи в устах Дарьи Михайловны, да и вряд ли он имел на это ухо. (Тургенев).

ს.ე. კრიუჩკოვი შენიშნავს, რომ ამ მაგალითში სპეციალურ მიერთებითი «და ნ» კავშირი წინა ნათქვამთან მიერთებს მოდალური ხასიათის ავტორისეულ შენიშვნას.

მიერთებით დაკავშირებაზე საუბარია აგრეთვე ი. ვ. ვანიკოვის ნაშრომში /54/. ავტორი არ იზიარებს მიერთებითი კავშირების კრიუჩკოვისეულ განმარტებას და უფრო მეტიც, მას მიაჩნია, რომ 70-იანი წლების დასასრულისათვის მიერთებითი კავშირების სემანტიკური კვალიფიკაცია (და კლასიფიკაცია არადამაქმაყოფილებელი იყო /54, 71-75/. მისი აზრით, მიერთებითი კავშირები არ არსებობს და ამიტომაც ტერმინი „მიერთებითი დაკავშირება“ უნდა ამოვიღოთ სინტაქსიდან (იქვე). ამის შემდეგ ვანიკოვი აყალიბებს თავის დებულებებს მიერთებითი კავშირების სემანტიკური დახასიათებისათვის და იძლევა მათი გამოყენების ოთხ დონეს /54, 87-92/. თავისი დებულებებიდან გამომდინარე, ვანიკოვი თვლის, რომ წინადადებათა მიერთება მიერთებითი კავშირების საშუალებით - ეს არის გამონათქვამის აგების საშუალება (იქვე), მაგრამ მკითხველისათვის მწელი შესამჩნევი როდია, რომ ი. ვ. ვანიკოვი წინააღმდეგობაში ვარდება (მართლაც: თუ კი არ არსებობს მიერთებითი კავშირები, როგორღ შეიძლება მათი გამოყენების ოთხ სხვადასხვა დონეზე ლაპარაკი?)

რუსულ ენაში მიერთებით კავშირების შესახებ თავისი მოსაზრებები გამოთქმული აქვს აგრეთვე ლ. გ. ხატიაშვილსაც, რომლის აზრითაც წერითი და ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელია განსხვავებული მიერთებითი კავშირები /333/. ამასთან დაკავშირებით უნდა შენიშნოთ, რომ ავტორი ვერ იცავს სიზუსტეს: საუბარი უნდა იყოს არა განხვავებულ მიერთებით კავშირებზე წერითსა და ზეპირ მეტყველებაში, არამედ მათი გამოყენების სიზიარის სხვაობაზე.

მიერთებით კავშირებზე საუბარია ნ. ა. კობრინას /151/, ლ. მ. ლოსევას /200/, მ. მ. მაკაროვას /209/, ვ. ვ. შალოვის /210/, ი. მ. ნოვიცკაიას /237/, ა. ი. როჩნაიკის /276/, ნ. ა. ტურმაჩევას /322/ გა-

მოკვლევებში. ამას გარდა, მიერთების თეორია აისახა უმაღლესი სასწავლებლებისათვის შედგენილ თანამედროვე რუსული ენის შემდეგ სახელმძღვანელოებში: А. М. Земский, С. Е. Крючков, М. В. Сяетлев. Грамматика русского языка, ч. II, М., 1948; Современный русский язык. Синтаксис. М., 1957; Галкина-Федорук Е. М., Горшкова К. В., Шапский Н. М. Современный русский язык. Синтаксис. М., 1958; Гвоздев А. Н., Современный русский литературный язык. ч. II. Синтаксис. М., 1958; Валгина Н. С. и др. Современный русский язык. М., 1962; Душинков А. В. и др. Русский язык. М., 1975.

მიერთების თეორია აისახა აგრეთვე რუსული ენის აკადემიური გრამატიკის 1954 წლისა და 1960 წლის გამოცემაში.

მიერთებით კავშირებზე საუბარია აგრეთვე სხვა ისეთ ნაშრომებშიც, როგორცაა: Блох М. Я., Проблема синтаксической связи самостоятельных предложений. - В кн.: Проблемы синтаксиса, лексикологии и методики преподавания иностранных языков. Ростов-на-Дону, 1966; Кулагин А. Ф. К вопросу о присоединительных конструкциях. - В кн.: Очерки по русскому языку и стилистике. Саратов, 1967 и др.

ს. ვ. კრიუჩკოვის დებულების თანახმად, მიერთების დროს მეორე ელემენტი ცნობიერებაში წარმოიქმნება დამატებით და იგი გულისხმობს პირველი ელემენტის არსებობას. პირველი ელემენტი კი ისაა, რომელთანაც მიერთებითი კავშირი აერთებს მეორე ელემენტს.

მიერთებითი კავშირების პირველი ჯგუფი - ეს იგივე მავრთებელი და მაქვემდებარებელი კავშირებია, რომლებიც ენაში დიდი ხანია არსებობენ, მაგრამ მათი მიერთებითი ფუნქცია დიდხანს შეუმჩნეველი რჩებოდა. მიერთებითი ფუნქცია არსებითად განსხვავდება მაქვემდებარებელი, მაპირისპირებელი, მაცალკევებელი და მაქვემდებარებელი ფუნქციებისაგან. ამ უკანასკნელთა შესაბამისი კავშირები თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ წინადადების შიგნით, წერტილამდე. მიერთებითი კავშირები კი ფუნქციონირებას იწყებენ დასრულებული დამოუკიდებელი წინადადებების თუ მეტატექსტების გასაყარზე. რათა მიუერთონ ისინი წინამთავარ ასეთივე სამეტყველო ერთეულებს და ამით შექმნან ლოგიკურ ურთიერთკავშირში მყოფ ამ წინადადებათა თუ მეტატექსტთა სპეციფიკური თანამიმდევრობა - ტექსტი.

მიერთებითი კავშირები და ამ ფუნქციის მჭიდრო სიტყვები ენაში ფუნქციონირებენ მეტატექსტისა და ტექსტის დონეზე.

მიერთებითი დაკავშირების შესახებ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ჩერჩერობით არაფერი თქმულა. ამ ფონზე საინტერესო და მნიშვნელოვანია კ. დანელიას გამოკვლევა /364/, რომელიც, მართალია, უშუალოდ არ ეხება მიერთებით კავშირებს, მაგრამ მიერთების თეორია აქ უკვე მიგნებულ და მომზადებულია. მხედველობაში გვაქვს „და“ კავშირის ხმარების სიქარბე - სიხშირე სხვადასხვა პოზიცი-აში, კერძოდ, „და“ კავშირის ხმარების სამი შემთხვევიდან, რომელთაც ერთმანეთისაგან განასხვავებს ავტორი, ჩვენ გვინტერესებს მეორე და მესამე შემთხვევები, როცა „და“ კავშირი ნახმარია სრულიად და-მოუკიდებელი წინადადების საზღვარზე; ანდა როცა „და“ კავშირი გა-მოყენებულია თხრობის დიდი პერიოდის შემადგენელ ნაწილთა დასაკავშირებლად, რთული წინადადებების შემცველ ცალკეულ კომ-პონენტთა ერთ დიდ მონაკვეთად შეერთებისათვის /364,90/. შემდეგ ავტორი განაგრძობს: „და“ კავშირი იხმარება სრულიად დამოუკიდებელი წინადადებების საზღვარზე. ბუნებრივი ქართული სინტაქსი კი ამას არ ითხოვს. მაგრამ ბიბლიურ წიგნთა ძველ ქართულ რედაქციებში „და“-ს ხმარება ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ჩვეულებრივია“ /364,91/. ნათქვამის საილუსტრაციოდ კ. დანელიას მოაქვს შემდეგი ციტატი „დაბადებიდან“: „შეკრიბნა ლაბან ყოველნი კაცნი მის ადგილისანი და ყო ქორწილი. და იყო მწუხრი. და მოიყვანა ლაბან ლია, ასული თჳსი, და შეიყვანა იაკობისა, და შევიდა იაკობ. და მისცა ლიას, ასულსა თჳსსა, ზელფა... და იყო განთიადი. და აჰა ესერა იყო იგი ლია“.

მნელი არ არის, რომ მოხმობილ ციტატში მკითხველმა ადვილად დაინახოს „და“-ს ჰარბი ხმარება. ავტორს მიაჩნია, რომ „და“-ს ჰარბ ხმარებას აქ უცხო წყარო განსაზღვრავს და არა ბუნებრივი ქართულის სინტაქსიო“. ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარი და საინტერესოა ავტორი. მიერ იმისი დადგენა, რომ დამოუკიდებელ წინადადებათა საზღვარზე მყოფი „და“ კავშირი ერთმანეთთან აერთებს ამ და-მოუკიდებელ წინადადებებს. ათანადო საილუსტრაციო მაგალითები კ. დანელიას საკმაოდ ბევრი მოაქვს და, საერთოდ, ასეთი შემთხვევები ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში სანთლით საძებარი როდია.

„სრულიად დამოუკიდებელ წინადადებათა საზღვარზე“ „და“ კავშირის გამოყენების ეს განსხვავებული შემთხვევა, რომელზედაც პირველად სწორედ კ. დანელიამ მიუთითა, სხვა არაფერია, თუ არა და დასახელებული კავშირის გამოყენება მიერთებითი ფუნქციით.

შეიძლება დავასკვნათ, რომ „და“ კავშირის მიერთებით ფუნქციას აშკარად გვიდასტურებს ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლები.

„და“ კავშირის გამოყენების შესამე შემთხვევის გამო კ. დანელია წერს: „და“ კავშირი იხმარება თხრობის დიდი პერიოდის შემადგენელ კომპონენტთა დასაკავშირებლად. ასეთი პერიოდები შეიძლება მოიცავდეს 8-10 და მეტ მუხლს (ახალი დაყოფით). თითოეული პერიოდის ცალკეული ნაწილები, მონაკვეთები განსხვავებული ურთიერთმიმართების რამდენიმე წინადადებას შეიცავს. მთავარი წინადადების შინაარსობრივ დამაზუსტებლად შეიძლება მოგვევლინოს ნაირგვარი შინაარსის დამოკიდებული წინადადება (განსაზღვრებითი, გარემოებითი, შედეგობითი); მაგრამ თავის მხრივ ასეთი რთული წინადადებები ერთმანეთთან „და“ კავშირით შეიძლება გაერთიანდეს და, ამდენად, მიღებულ იქნეს თხრობის ერთი გარკვეული, უწყვეტად გადამზღული მონაკვეთი, ე. დი პერიოდი“ /364, 92-93/.

ნათქვამის საილუსტრაციოდ ავტორს მოაქვს მაგალითი ლევიტელთა წიგნის მე-4 თავიდან, სადაც პერიოდად წოდებულ მონაკვეთში „და“ კავშირი 23-ჯერ არის ნახვარი. მოხმობილი ციტატა ჩვენთვის საინტერესოა რამდენიმე თვალსაზრისით:

1. კ. დანელიას „თხრობის დიდი პერიოდი“ იგივეა, რასაც ტექსტს ვუწოდებთ.

2. სწორია კ. დანელია, როცა მიიჩნევს, რომ „და“ კავშირი იხმარება თხრობის დიდი პერიოდების შემადგენელ კომპონენტთა დასაკავშირებლად“. მართალია, ავტორი არსად არ წერს „და“ კავშირის მიერთებით ფუნქციაზე, მაგრამ აქ სწორადაა არის ახსნილი „და“ კავშირის პარამეტრი ტექსტის დონეზე.

3. ტრადიციული სინტაქსიდან გამომდინარე, კ. დანელია წერს: „თითოეული პერიოდის... მთავარი წინადადების დამაზუსტებლად შეიძლება მოგვევლინოს ნაირგვარი შინაარსის დამოკიდებული წინადადება (განსაზღვრებითი, გარემოებითი, შედეგობითი)“. სი-

ნამდვილეში კი დიდ პერიოდებში და მათ შემადგენელ კომპონენტებში ჩვენ არა გვაქვს მთავარი და დამოკიდებული წინადადებები.

4. კ. დანელია მართალია, როცა წერს, რომ „რთული წინადადებები ერთმანეთი თან „და“ კავშირით შეიძლება გაერთიანდეს და ამდენად, მიღებულ იქნეს თხრობის ერთი გარკვეული, უწყვეტად გადაბმული მონაკვეთი, დიდი პერიოდი“. აქ გამოთქმული აზრი გარკვევით და აშკარად მიგვანიშნებს „და“ კავშირის მიერთებით ფუნქციასზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ როული წინადადებების გაერთიანებით მეტატექსტს ვიღებთ და არა ტექსტს. კ. დანელია ახლოს მივიღო „და“ კავშირის მიერთებით ფუნქციასთან, მაგრამ ეექვედა მისი ასეთი პარამეტრი. „და“ კავშირის მიერთებით ფუნქციას ავტორი მის „უჩვეულო ხმარებას“ არქმევს. და გამოყოფს კიდევ მისი გამოყენების ორ შემთხვევას:

ა/ „და“ ხმარება ქვეწყობილ წინადადებაში მაქვემდებარებელი „რომ“ კავშირის მნიშვნელობით: რამ გნებავს ჩემგან, და გიყო შენ. სადა გნებავს, და გზა-ვიყოთ შენ ჭამად ვნება... „და“-ს ხმარებას აქ უცხო წყარო არ განსაზღვრავს. იგი წმინდა ქართული მოკლენაა. მაგრამ უცნაური ფაქტია: მაერთებელი „და“ კავშირი როგორღა გამოიყენება მაქვემდებარებელ კავშირად (თუ „რომ“ მაერთებელ და მაქვემდებარებელ კავშირად გვევლინება; ეს „და“-ს ვითარებას ვერ გარკვევს). თითქოს მართლაც იგუებს კონტექსტი „და“ კავშირის „რომ“-ის მნიშვნელობით გაგებას: სამი დღე არს, და მელიან მე. ეს წინადადება იგივეა, რაც: სამი დღეა, რომ მელიან. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ასეთ შემთხვევაში ქვეწყობა არც გვექონდეს და „და“ ჩვეულებრივი მაერთებელი კავშირი იყოს: სამი დღე არის (გასული) და მელიან მე; რა გნებავს ჩემგან და გაგიკეთებ: სად გნებავს და გაგიზადებ შენ ვნების საკმელს“ /364, 94/.

მთელი ეს მსჯელობა ნათლად გვიჩვენებს, რომ ავტორი გრძნობს „და“ კავშირის მანამდე უცნობ რაღაც ახალ ფუნქციას. სახელდობრ, მას შესაძლოდ წიაჩნია, რომ აქ „და“ ჩვეულებრივ მაერთებელი კავშირი იყოს. დიახ, ამ შემთხვევაში ქვეწყობა მართლაც არა გვაქვს. „და“ კავშირი მაერთებელია და გამოყენებულია მიერთებითი ფუნქციით, ხოლო ამ ფუნქციას იგი ქაშინ ამქლავნებს, როცა დამოუკიდებელ წინადადებებს ანდა მეტატექსტებს აერთიანებს.

ბ/ ართულ ქვეწიზილ წინადადებაში მომდევნო პოზიციის მთავარი წინადადების წინ ნახმარია „და“, რაც უცნაური მოვლენაა“ (იქვე). ავტორს მხედველობაში აქვს შემდეგი მაგალითი: „რაჟამს დიბანაჟეს წმილათა მათ ადგილსა მას შემოქენებულსა, და ქმნეს (ტალავარი)“. ჯ. დანელიას აზრით, აქ „და“-ს შეიძლება „ც“ ნაწილაკის ფუნქცია ჰქონდეს. ჩვენი აზრით კი, „და“-ს აქაც მიერთების ფუნქცია აქვს და ამასთან ერთად დროულ თანამიმდევრობასაც აღნიშნავს.

ამგვარად, ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მონაცემების მიხედვით ჯ. დანელიამ გაარკვია, დაადგინა „და“ კავშირის გამოყენების სამი შემთხვევა, რომელთაგან მეორე და მესამე შემთხვევები, აგრეთვე „და“ კავშირის უჩვეულო ხმარების ორი შემთხვევაც მის მიერთებით ფუნქციაზე მიუთითებს. „და“ კავშირის მიერთებით ფუნქციას გახაზავს ჯ. დანელიას დასკვნა, რომ „და“-ს მთავარი ფუნქცია ის არის, რომ... „ნებისმიერი წინადადებები გადააბას ერთმანეთს დიდ პერიოდებად“ /364,94/.

კ. დანელიამ ისიც გაარკვია, რომ „და“ კავშირის „უჩვეულო ხმარება“ შეინიჭება არა მარტო ბიბლიურ წიგნთა ძველ ქართულ რედაქციებში, არამედ იგი „ორიგინალურ პაგიოგრაფიულ თუ საისტორიო ხასიათის თხზულებებშიც არის დამკვიდრებული. ეს განსაკუთრებით ცნაურდება თხრობის დიდი პერიოდების, აბზაცების დასაწყისში „და“-ს ხმარებისას /364,96/.

ჯ. დანელიას დებულებები „და“ კავშირის გამოყენების შესახებ შემდგომ წლებში გაიმეორეს გ. ნარსიძემ /373/ და რ. პატარიძემ /375/. გ. ნარსიძის აზრით, „და“ კავშირი ერთმანეთთან აერთებს „ქებაი“-ს 11 დამოუკიდებელ წინადადებას /373,152/.

რ. პატარიძე ფიქრობს, რომ „რამდენი წინადადებაცაა „ქებაი“-ში, „წიზილი სიტყვის“ იმდენივე სტროფია თხზულებაში. ყოველი ცალკეული წინადადება - მოკლე თუ გრძელი, ცალკეული სტროფია თხზულებისა“ /375,148/.

„და“ კავშირის მიერთებით ფუნქციას აშეკარად და გარკვევით გვიჩვენებს უძველესი ქართული ძეგლი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ენისაჲ“. ჩვენ ვიზიარებთ პ. ინგოროვასა და რ. პატარიძის აზრს იმის შესახებ, რომ „ქებაჲ“ პოეტური ქმნილებაა და დაწერილია „წიზილი სიტყვით“ და რამ „თხზულება იყოფა ექვს დიდ სტროფულ ერთეულად

და თერთმეტ მცირე მონაკვეთად, ყოველი დიდი სტროფი ორი მცირე მონაკვეთისაგან შედგება. ბოლო მე-6 სტროფი მხოლოდ ერთი მონაკვეთია“ /373, 154/.

ამ დებულებიდან გამომდინარე, რ. პატარიძე „ქებათ“-ს ასეთ წაკითხვას გვთავაზობს:

დამარხულ არს ენაჲ ქართული,
ლღემღე მეორედ მოსვლისა, მესიისა
საწამებლად,

რადთა ყოველსა ენასა
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაჲ
მძინარე არს დღესამომღე.

XXX

და საბარებასა შინა ამას ენასა
ლაზარე აქვიან.

და ახალმან ნინო მოაქცია

და პელენე დედუფალმან,

ესე არიან ორნი დანი,

ვითარცა მარიამ და მართაჲ.

XXX

და მეგობრობაჲ

ამისთვის თქუა (მაბარებელმან),

ვითარმედ: ყოველი საიდუმლოჲ

ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკუდარი

ამისთვის თქუა დავით

წინა მსწარმეტყველმან,

რამეთუ „წელი ათასი

ვითარცა ერთი დღეჲ“

XXX

და საბარებასა შინა ქართულსა, თავსა

ბოლო მათე მსსა
წვრილი ზის, რომელ ასოა არს,
და იტყვის ყოველად
ოთხ ათასა მარაგსა.
და ესე არს ოთხი დღეა
და ოთხისა მკუდარი,
ამისთვის მისთანავე დაფლული
სიკუდილითა ნათლისღებისა მისისათა.

XXX

და ესე ენაა (ქართული)
შემკული და კურთხეული სახელითა
უფლისათა,
მდაბალი და დაწუნებული
მოელის ღღესა მას შეორედ მოსვლასა
უფლისაა.
და სასწაულად ესე აქუს:
ოთხმეოც-დაათოთხმეტი წელი,
უმეტემს სხუათა ენათა,
ქრისტეა, მოსვლითაგან ვიდრე
ღღესამოქდე.

XXX

და ესე ყოველი,
რომელი წერილ არს,
მოწამედ წარმოგიტხრას
ესე წილი ანბანისაა.

ექვსი დიდი სტროფი ჩვენი ტერმინოლოგიით ექვსი მეტატექსტია: თერთმეტი მცირე მინაკვეთი - თერთმეტი დამოუკიდებელი წინადადება. ყოველი დიდი სტროფი (მეტატექსტი) ორი მცირე მონაკვეთისაგან (დამოუკიდებელი წინადადებისაგან) შედგება. ბოლო მე-6 სტროფი მხოლოდ ერთი მონაკვეთია (ერთი დამოუკიდებელი წინადადება).

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ „ქებაჲ“-ში მართლაც ვექვსი სტროფია, რომელთაგან ხუთი დიდია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გვაქვს ხუთი მეტატექსტი და ერთი დამოუკიდებელი წინადადება.¹ ხუთ მეტატექსტს ერთმენეთთან აერთებს მიერთებითი „და“ კავშირი, ბოლო დამოუკიდებელ წინადადებას კი მეხუთე მეტატექსტთან ისევ „და“ კავშირი. გარდა ამისა, „და“ კავშირი მიერთებითი ფუნქციით ნახპარა აგრეთვე ხუთივე მეტატექსტის შიგნით.

ამგვარად, „ქებაჲ“-ში „და“ კავშირი მიერთებითი ფუნქციით გამოყენებულია 10-ჯერ, აქედან ის 5-ჯერ აერთებს მეტატექსტს, ხოლო 5-ჯერ დამოუკიდებელ წინადადებას. ხუთი მეტატექსტი და ერთი დამოუკიდებელი წინადადება გვაძლევს ერთ მთლიან ტექსტს, რომელსაც ჰქვია „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. „ქებაჲ“ ისეთი ტექსტია (ლინგვისტიკური ერთეული), სადაც არ შეიძლება არც „და“ კავშირისა და არც მეტატექსტების (ასევე ბოლო დამოუკიდებელი წინადადების) ადგილის შეცვლა. „ქებაჲ“ ისეთი ტექსტია, რომელიც სემანტიკურად მთლიანია, აზრობრივად დამთავრებული და მიღებულია ხუთი მეტატექსტისა და ერთი დამოუკიდებელი წინადადების თანმიმდევრული გაერთიანებით.

კ. დანელია „და“-ს ხშირ ხმაურებას პერიოდების, აბზაცების დასაწყისში ებრაული ვავ-ის გავლენით ხსნის, ამ დებულებითვე ხსნის ავტორი „შუშანიკის წამების“ დაწყებას „და“ კავშირით. ჩვენ კი მიგვაჩინია, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს „და“ კავშირის მიერთებით ფუნქციასთან. აქ „და“ კავშირი იწყებს აბზაცს, ხოლო აბზაცის დასაწყისი ემთხვევა მეტატექსტის დასაწყისს. „და“ კავშირი ახალ მეტატექსტს (ტექსტს) აერთებს წინა მეტატექსტთან (ტექსტთან), რომელიც „შუშანიკის წამებას“ აკლია. ეს „და“ კავშირი, რომლითაც იწყება თხზულება, იმაზე მიგვანიშნებს, რომ „და“-ს წინ უსწრებდა მეტატექსტთა (ტექსტთა) № რაოდენობა, სადაც საუბარია იყო იმაზე, რომ „შუშანიკი ღვთის მოშიში იყო, ვითარცა იგი ვთქუთ, სიყრმითგან თვისით“, ე.ი. აღრე („შუშანიკის წამების“ იმ მონაკვეთში, რომელმაც ჩვენამდე ჩერჩერობით ვერ მოაღწია), საუბარი ყოფილა შუშანიკის ყრმობაზე.

¹ ეს დამოუკიდებელი წინადადება მოდალურია მთელი „ქებაჲ“ მიმართ.

და ამ საუბარში ერთხელ უკვე უთქვამს ავტორს შუშანიკის ღვთის მო-
შიშობა. ჩვენ მოსაზრებაზე ასხამს წყალს თვით თხზულების დასაწყისი:
„და აწ დამტყაცებულად გითხრია თქვენ აღსასრული წმიდისა და
სანატრელისა შუშანიკისი“ /422;7/, რომელიც დღევანდელი ქართუ-
ლით ასე ელერს: აწ კი, ამის შემდეგ, დამტყიცებულად (დანამღვილებით,
სარწმუნოდ) გაცხვით თქვენ წმიდა და სანატრელი შუშანიკის გარ-
დაცვალების ამბავსო.

ისმის კითხვა: რის შემდეგ გვირდება ავტორი შუშანიკის გარ-
დაცვალების ამბის თხრობას? რა თქმა უნდა, შუშანიკის ყრმობის
აღწერის შემდეგ. ე.ი. „შუშანიკის წამების“ დასაწყისის „და“ კავშირი
გამოყენებულა მიერთებითი ფუნქციით. უნდა აღინიშნოს, რომ
„შუშანიკის წამებაში“ „და“ კავშირი მიერთებითი ფუნქციით ნახმარია
69-ჯერ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ „და“ კავშირი 69-ჯერ იწყებს
აბზაცს და ამდენჯერვე, აერთებს რა დამოუკიდებელ წინადადებებს,
აქცევს მათ მეტატექსტებად (ან ტექსტებად). მიერთებითი ფუნქციით
„შუშანიკის წამებაში“ გამოყენებულია აგრეთვე „ხოლო“ და „რამეთუ“
კავშირები: პირველი - 39-ჯერ, მეორე კი - 2-ჯერ.

სხვა პაგიოგრაფიული ძეგლებიდანაც შეიძლებაოდა მიერთებითი
კავშირების გამოყენების სიხშირის ჩვენება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც
საკმარისია. შეინიშნება კი ერთი კანონზომიერება: პაგიოგრაფიული-
დან საყრო ხასიათის ძეგლებისაკენ მიერთებითი ფუნქციით კავშირების
(კერძოდ, „და“ კავშირის) ხმარების სიხშირე კლებულობს.¹

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ „და“ კავშირი მიერთებითი ფუნ-
ქციით ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. პოემაში არც თუ იშ-
ვიათია სტროფები, სადც მესამე სტრიქონი აზრობრივად უკვე კრავს,
ამთავრებს პირველსა და მეორეს, ხოლო ამ მესამე სტრიქონის ბოლოს
დასმულია წერტილი. სტროფის მეოთხე სტრიქონი არ წარმოადგენს

¹ ასევე „აბოს წამებაში“ მიერთებითი ფუნქციით „და“ კავშირი ნახ-
მარია 77-ჯერ, „ხოლო“ კავშირი - 19-ჯერ, „რამეთუ“ კავშირი კი - 11-
ჯერ.

¹ „და“ კავშირის ხმარების სიხშირეს ქართული სალიტერატურო ენის
ეკოლუციის პროცესში სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ი. ნაღარე-
იშვილმა /372/.

პირველი საბიუსტრიქონის ბუნებრივ აზრობრივ გაგრძელებას. მეოთხე სტრიქონი, რომელიც მესამეს მიერთებითი „და“ კავშირით უერთდება, წარმოადგენს პირველი-სამი სტრიქონის განზოგადებას, დასკვნას. მთლიანად აღებული ასეთი სტროფი მეტატექსტია.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორ სტროფს:

39. თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათენვეთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვიტყვამს კვლა ღია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
და ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ზვადია

/416, 15/.

791. ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო ვერცა კლდოვანი;
მისგან ღოველი გასწორდის, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
და სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.

/416, 156/.

„და“ კავშირი მიერთებითი ფუნქციით გამოყენებულია სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა თუ აღორძინების ხანის მწერალთა, აგრეთვე რომანტიკოსთა ენაში.

ახალი ქართული სამწერლო ენის მონაცემები გვიჩვენებს, რომ დღესაც ფუნქციონირებენ სწორედ მიერთებითი ფუნქციით შემდეგი მართებელი და მაქვემდებარებელი კავშირები: და, მაგრამ, კი, რომ. აგრეთვე ისეთი სიტყვები, როგორცაა: ბოლოს, ამის შემდეგ, მაშინ და სხვა, რომლებსაც მიერთებითი კავშირები შეიძლება ეწოდოს.

მიერთებითი ფუნქციით გამოყენებული აქ ჩამოთვლილი კავშირების მართებელი და მაქვემდებარებელი ფუნქციები კარგადაა ცნობილი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შ. ძიძიგურის მონოგრაფია /387/, სადაც ვრცლადაა დახასიათებული ამ კავშირთა ფუნქციები ძველ, საშუალო და ახალ ქართულში.

განაც ჩვენი კვლევის მიზანი ამ ეტაპზე მეტატექსტია (ტექსტზე ქვემოთ გვექნება საუბარი), ხოლო მიერთებითი კავშირები გვანტიერებს მხოლოდ როგორც მეტატექსტის კომპონენტთა და-კავშირების ერთ-ერთი სპეციალური საშუალება შემოვიფარგლებით

მიერთებითი კავშირების ფუნქციების ნიუანსების ჩამოთვლასთან ერ. -
თად სათანადო მეტატექსტების ჩვენებით.

ახალ ქართულ სამწერლო ენაში „და“ კავშირის სხვადასხვა ნიუანსის მიერთებითი ფუნქციით ფართო გამოყენება აქვს და გასარჩევია რამდენიმე შემთხვევა:

1. „და“ კავშირი ერთმანეთთან მიაერთებს ურთიერთმომდევნო ფაქტების, მოვლენების გადმოცემ წინადადებებს. მაგალითად: „დათუნა დონდლოდ რეკავდა და ჩუმი ღიმილით ილიმებოდა, არსენა კი დონიჭ შემოყრილი იდგა და მარაბდელების მოსვლას მკრელი თვალებით ელოდებოდა.“

და სოფელიც ჯერ გაუბედავად წამოვიდა, შემდეგ კი ნიაღვარივით უვარდა“./424, 116/.

სხვა მაგალითი:

ერთი ჭკუიანი თბა რომ ჰყავს, ის, აბა, რას აუფა ამდენ პირს! და აი, ნამდვილი უსამართლობა სწორედ ეს არის! იმას ჰყავს, ვისაც არა სჭირია, და იმას კი არა ჰყავს, ვისაც სჭირია...

და გერას თუ ნამდვილი სოციალისტობა უნდა, ეს კამეჩი გოჩას უნდა წართვას და გვადის მისცეს, - აბა!“/420, 68-69/.

2. „და“ კავშირი წინა მონათხრობთან (წინადადებასთან) მიაერთებს მოდალური ხასიათის წინადადებას. მაგალითად:

... ეახლენ მეფეს, მიულოცეს გამარჯვება, მიართვეს ზღვენი.

და ზეიმობდა გიორგი მეფე გამარჯვებული, გეგმებს აწყობდა თავის დიდებულ სტუმრებთან ერთად საქართველოს აღყავებაზედ. ნადიმობდა რაინდთა და კეკელუცთა შუა გალაღებული, იშვებდნენ და იხარებდნენ ბედნიერები“/411, 175/.

სხვა მაგალითი:

არა, ასეთ აუგს ვერც ზაალის ყმები მოითმენენ. ეყოთ ამდენი სირცხვილი, ეყოთ სამი თავმომწონე ვაჟაკის გალახვა!

და ნარგიზების დიდი ჟორი ტყესავით აღმატებული კომბლებით გაიქვედა, ხოლო მარტის თბილი ჰაერი მარაბდელთა რისხვამ შეაზანზარა“/424.7-8/.

მოვიხმოთ ერთი ნიმუში ი. ნონეშვილის პოეზიიდან:

...ამ წიგნში შეკინძა,

ამ წიგნში შეკონა,

ამ წიგნში აახსა
ლექების ჯაგნებად...
და, სულზე უტებესო,
ქვეყანაე მშობელო,
ქართულო ქალაქო,
ქართულო სოფელო,
მთა ბარო

ეს გული, ეს წიგნი
ეს ლექსთა ჯაგანი,
მიიღე“

/415, 81-82/

მსგავსად „და“ კავშირისა, ზმნიზედები „ბოლოს“, „მერმე“ მიერ-
თებითი კავშირის ფუნქციით აღნიშნავენ მოქმედების თანმიმდევრო-
ბას. მაგალითი:

„გათენდ: დილა და მზის სხივებმა ოქროს გვირგვინი დაადგეს ყნ-
ვარწვერს.

გაიღვიძა დაძინებულმა სოფელმა, ხალხმა დაიწყო მოძრაობა.
სოფელთან ერთად ვაგის სახლშიაც ადგნენ. დედაკაცებმა გაიგეს ჩერ-
ქეზის ქალის ზვედ მოყვანა და ერთი ჩურჩული გამართეს ამ
შემთხვევის შესახებ. ყელას უნდოდა ჩქარა ენახა ტყვე, ჩქარა შეეტყუოთ
იმისი ვინაობა, თავგადასავალი. ბოლოს შემოვიდა ერთი ბიჭი, მოიტანა
გასაღები და ვადასცა დედაკაცებს“ /419, 13/.

მოხმობილ მაგალითში სიტყვა - „ბოლოს“ მიუთითებს თანმიმ-
დევრულ მოქმედებათა დამთავრებულობაზე.

უნახოთ ერთი მაგალითიც:

„თუ ჩვენს კუთხეში შემთხვევით ინჟინერი ან ტექნიკოსი მოხვდე-
ბოდა ან სტუდენტი შემოვიღიდა, ხელს ჩააუღებდა, წაიფანდა,
დაატარებდა, საწყლო ადგილებს აჩვენებდა, თავის აზრს გაუზიარებდა.
რჩევას კითხავდა და კიდევ ვერცხელ ალიგზნებოდა, იჭაურობას დააკო-
რიანტელებდა!

მაგრამ მხარს არავენ აბამდა! მარტო იყო ფორე თავისს საქმიანო-
ბაში!

ბოლოს გადაწყვეტა თავდაპირველად ხარჯი თითონ გაეღო. დაი-
ნახავენ. მომიდგებიანო!..." /414,226/.

მოხმობილ მაგალითში მიერთებითი კავშირის როლს ასრულებს
ზმნიზება „ბოლოს“.

აი, კიდევ ასეთი მაგალითიც:

„გუდანის ხატში ქადაგი დასვეს ხევისურებმა. სამეკობროდ მოუ-
წოდა გუდანის ჭვარმა. მეკობრეთა ბელადად ხოგაი აირჩიეს, მრავალ-
ნაყადი მეომარი იგავშიუწვდენელი მსროლელი და მოკეპნავე.“

მერმე ის იყო ქისტებს აულები გადაუბუგეს არხოტიონებმა,
ხოგაის ვაჟებმა უთურგვამ და ბერდიამ თან გამოიტაცეს თავიანთი
უმრწემესი ძმა მინდია, რომელიც შვიდ წელს ტყვედ ჰყავდათ ქის-
ტებს"... /412,176/.

ამ მაგალითში „მერმე“ სიტყვაც მიერთებითი კავშირის ფუნ-
ქციას ასრულებს.

სხვადასხვა ნიუანსით გვხვდება მიერთებითი ფუნქციით გამოყ-
ენებული მაპირისპირებელი „მაგრამ“ კავშირიც, რომელიც წინამაველ
ელემენტთან შეერთებს ისეთ მეორე ელემენტს, რომელიც გად-
მოგვცემს მოულოდნელად გაჩენილ აზრს. ამ შემთხვევაში გვაქვს
მკვეთრი აზრობრივი დაპირისპირება. მაგალითად:

„იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო
ნიადაგზე გადაარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემო-
მაქციოს, იქნებ, მიმითვისოს კიდევცა, რადგანაც ჩემში მაინც-და-მაინც
ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა
ქვეყანამ მამიყოღოს და მიაბოს თავის გულისტკივილი, თავისი გლოვის
დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გად-
აჩვეულმა... ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა?“ /422,11/.

სხვა მაგალითი:

„ყახელ როსტიას, მილიციელს, არსენას დოსტის უმცროს ძმას,
ბავშვობიდანვე სჯერა კუდიანი, ქაჯი, სირინოზი, ეშმაკიც და ყოველ-
გვარი მავნე სულიც. მან ისიც კი იცის, რომ ალი ნამდვილი მწეთუნაბ-
ავია, რომ ოქროს თმა მუხლამდე სწვდება და ვაჟყაცს ადვილად ახი-
ბლავს და იტყუებს.“

მაგრამ მას ჯერ არც ალი უნახავს, არც ქაჯი და არც სირინოზი.
ეხლა კი მთვარის შუქზე ცხადლივ დაინახა: ოქროსთმიანმა ალმა სულ

ახლოს გაუარა, გაუღიმა და საჭინბოს კუთხეს მიეფარა" /424, 158-159/.

მოვიხმოდი ერთი ნიმუშიც პოეზიიდან:
„მე შეიდასი წლით დამაგვიანდა,
იმ წამების დროს ვერ მოგისწართ.
მაგრამ არ არი დრო გამთიშველი
მათთვის, ვინც იყო ქვეყნის ერთგული.“

მე თქვენს ლანდებთან მოვალ შიშველი,
არყოფნის, ვამსაც თქვენთან შეთქმული“

/409, 42/.

როგორც ჩანს, ამ მაგალითში მეორე ელემენტია: „მაგრამ არ არის დრო გამოიშველი მათთვის, ვინც იყო ქვეყნის ერთგული“; რომელიც პირველ ელემენტშია მოქცეული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ დარღვეულია ელემენტთა თანამიმდევრობა, რაც გამოწვეულია პოეტური მეტაფორების თავისებურებით, აგრეთვე წყვეტილობის სპეციფიკითაც. მეორე ელემენტის წყვეტილი ხასიათი ხშირად ვლინდება სიტყვათა და წინადადებათა რიგის შეცვლაში.

მეტაფორების წყვეტილ ხასიათს, როცა მეორე ელემენტი პირველის ბუნებრივ გაგრძელებას არ წარმოადგენს და დაპირისპირების ელფერის მქონეა გარდა „მაგრამ“ კავშირისა, გადმოგვეყვამს აგრეთვე „თორემ“ კავშირი. მაგალითი:

მე მსურდა წმინდა ყოფილიყო
ჩემი ნაცნობი,
როგორც ეს მიწა
ის ნიაფი, პური და ყანა,
თორემ ვეჯაყურ სიმტიცეში,
კაცურ გოძნობაში
განა ვერ ვარჩევ
ორგულობას, მხლლობას, ფლილობას“

/410, 422/.

უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელ წინადადებათა და მეტატექსტთა დამაკავშირებელი ფუნქცია აკისრია ნაწილაკებსაც. ამას უურადლება ჰქონდეს კიდევ ვ. ვინოგრადოვმა მიაქცია: იგი წერდა, რომ

„ოუსულ ენაში შეინიშნება მკიდრო კავშირი და ურთიერთმოქმედება კავშირებსა, მოდალურ სიტყვებსა და ნაწილაკებს შორის“ /66, 84/.

მიერთებითი დაკავშირების ფუნქციას ასრულებენ ისეთი ნაწილაკები, როგორცაა: აი (ეს), დიახ, ხომ.

ვნახოთ მაგალითი:

... სიონის კლდის თავზედ გადაშლილიყო პატარა მინდორი და ზედ გაეშენებინათ ქაქით და ბასრი ქვით აგებული სახლები, რომელნიც ბუნებისგანვე გამაგრებულს ადგილს უფრო მეტად ამაგრებდნენ.

აი ეს ადგილი გახლდათ, სადაც ხევი იკრიბებოდა, რომ წარსულის დროს მტარვალის წადილს წინ გადასდგომოდა და მისი მოსისხლე სურვილი შეემუქრა“ /419, 533/.

ამ მაგალითში მიერთებითი კავშირის ფუნქციას ასრულებს ნაწილაკი „აი“ ანაფორულ „ეს“ ნაცვალსახელთან ერთად.

მოვიხმოცა სხვა მაგალითი:

„ელგუჯა თავის თავისათვის არა სწუხდა, იმან იცოდა, რომ ღირსეულად დაუხვდებოდა ძალის მომტანს, მაგრამ აქ იმას გარედ ის იყო, ვისიც ერთი ამოსუნთქვა ერჩივნა მთელს თავის სიცოცხლეს, აი ესა სტანჯავდა და გულს უთუთქავდა, ამისთვის ფიქრობდა ისე გამწარებული და ქირის ოფლი გადასდიოდა; დიახ, მოხევე მართო რომ ყოფილიყო, ბევრს ფიქრს არ გამოუდგებოდა და აქამდინაც გააცნობდა თავის თოფის სიმარჯვეს შარიანს მგზავრებს, რომელთაც თავი დაენებებინათ თავიანთი გზისთვის და გამოჰკიდებოდნენ ვილაც კაცების ცხენების კვალს“ /419, 23/.

მოხმოცილ მაგალითში დამოუკიდებელ წინადადებათა ურთიერთდაკავშირების ფუნქციას ასრულებს ნაწილაკები „აი (ესა)“ და „დიახ“.

2.5.2. ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზებლები

ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზებლები, როგორც დამოუკიდებელ წინადადებათა მეტატექსტად გაერთიანების საშუალებები, აღმოჩენილ იქნა ნ.ს. პოსპელოვის მიერ 1948 წელს /251; 252/. უმაღლეს ნ.ს. პოსპელოვის დებულებას მხარი დაუჭირეს ი.ა. ფიგუროვსკიმ /325/ და გ.ო. ვინოკურმა /72/. იქიდან მოყოლებული

თითქმის ყველა საცვალფიკაციო ნაშრომში თუ მონოგრაფიაში საუბარია ანაფორულად გამოყენებულ სიტყვებზე. ექებდნენ წინადადებაზე მეტ, დიდ ერთეულს, მაგრამ გადამწვეტად მიაჩნდათ არა წინადადებისა და მეტატექსტის, როგორც განსხვავებული ერთეულების გამოიჭნა, არამედ ანაფორულ ურთიერთობათა დადგენა. ანაფორულ ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებზე საუბარია: ნ.ა. კობრინას /151/. მ.მ. მაკაროვას /209/, ნ.ა. ტურმაჩევას /322/, ლ.მ. ლოსევას /200/, ლ.გ. ფრიდმანის /327/ და სხვათა დისერტაციებში, აგრეთვე ლ/მ/ ლოსევას /197,203/, ვ.ლუნოვას /207/, ე.ა რეფეროვსკაიას /271/, გ.ი.სოლგანიკის /300/, ნ.ვ.კირპიჩნიკოვას /149/, მ.ი. ჩერემისინას /338/ და სხვათა მონოგრაფიებსა თუ სტატიებში.

ანაფორა აღნიშნავს ნაცვალსახელით ან ზმნიზედით მითითებას იმ საგანზე, რაზედაც წინა წინადადებაში იყო საუბარი. დაკავშირება ანაფორულია, თუ მეტატექსტის რომელიმე ელემენტი შეცვლილია სხვა, თითქმის და თავისი „მოადგილით“ (სუბსტიტუტით). მკვლევართა უმრავლესობა ანაფორულ ნაცვალსახელებად და ზმნიზედებად მიიჩნევს: შესამე პირის ნაცვალსახელებს (ის, იგი), ჩვენებით ნაცვალსახელებს (ეს, ეგ, ის, იგი), კუთვნილებით ნაცვალსახელებს (ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი, მისი, მათი, თავისი და სხვ.), განსაზღვრებით ნაცვალსახელებს (თვით, თავად, თვითთელი, ყველი, ყველა, ყველაფერი, სხვა), გასუბსტანტივირებულ ზედსართავ სახელებს და რიცხვით სახელებს (უკანასკნელი, წოცემული, ორივე, პირველი, მეორე და სხვ.), ჩვენებით ზმნიზედებს (აქ, იქ, აქეთვე, იქითვე, მაშინ, ასე, ისე, აგრე, ამნაირად, იმნაირად, ამდენად, იმდენად, მაგდენად და სხვ.), რომელთაგანაც ყველაზე გავრცელებული და ტიპურია პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების, აგრეთვე ჩვენებითი ზმნიზედების გამოყენება. ისინი გამოიყენებიან, როგორც სპეციალური, დამოუკიდებელ წინადადებათა მიერთების საშუალებები. ამ ფუნქციით ისინი დგანან წინადადების დასაწყისში და მიუთითებენ ან რომელიმე წევრზე წინამავალ წინადადებაში, ან მთლიანად მის შინაარსზე და მოცემულ წინადადებას აერთებენ წინამავალთან და აზუსტებენ მათ შორის აზრობრივ ურთიერთობას.

ანაფორულ სიტყვებს არ გააჩნიათ საკუთარი ლექსიკური მნიშვნელობა, შინაარსი, ამ შინაარსს ისინი იძენენ წინამავალი წინადადებისაგან.¹

გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით შემდგომი პოზიცია უკავია ანაფორულ განსაზღვრებით ნაცვალსახელებს, დანარჩენ ნაცვალსახელთა თუ ზმნიზელთა გამოყენების სიხშირე კი შეზღუდულია.

ანაფორულად გამოყენებული ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების შესახებ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ჭეჩქარობით სპეციალური გამოკვლევა არა გვაქვს. ლ. კვაჭაძეს ეკუთვნის მითითება „ის“ ნაცვალსახელის ანაფორულად გამოყენების შესახებ. იგი წერს: „ერთ წინადადებაში ხშირად მოიპოვება ნაცვალსახელი ან ზმნიზედა, რომელიც მხოლოდ ზოგად დასახელებას წარმოადგენს, მის კონკრეტულ მნიშვნელობას კი ხსნის და განმარტავს მეორე წინადადება... ასეთ ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს, რომლებიც ნახშიარი არიან რთული წინადადების ერთ ნაწილში და აუცილებლად ვარაუდობენ მათ ამხსნელ წინადადებას, მისათითებელი ანუ საკორელაციო სიტყვები ქვია. ისინი წარმოადგენენ რთული წინადადების ნაწილების შეერთების ერთ-ერთ საშუალებას. ასეთი მისათითებელი სიტყვებია: ის, ისეთი, იქ, ისე და მისთ. მაგრამ ასეთი სიტყვები ყოველთვის როდია მისათითებელი. ხშირად ისინი უკვე ცნობილისა და კონკრეტულის აღსანიშნავად იხმარება. მაგ.: „ბუნება ნამქერს პირში აყრიდა მგზავრს, სუნთქვას უძნელებდა, სულს უხუთავდა, მაგრამ ის მაინც წინ მიიწევდა“. „ის“ აქ მგზავრის ნაცვალია და საკორელაციო სიტყვას არ წარმოადგენს /363, 318/.

აქ სწორად არის შენიშნული, რომ „ის“ ნაცვალსახელი ადრე (პირველ წინადადებაში) ნახშიარი სრულმნიშვნელოვანი სიტყვის, საზოგადო არსებითი სახელის - „მგზავრის“ ნაცვალია, მაგრამ ის, რომ ანაფორულად გამოყენებული სიტყვის (ნაცვალსახელის, ზმნიზელის) ძირითადი და მთავარი დანიშნულება მეტატექსტის (ტექსტის) დონეზე დამოუკიდებელი წინადადებების ან მეტატექსტების კავშირის

¹ შტრა.: ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში. თბილისი, 1963, გვ. 205-214; ლ. კვაჭაძე /369, 318, 334/.

დამყარებაში მღვდომარეობს, ამისი კვლევა ლ. კვაჭაძის ამოცანას არ წარმოადგენს, რადგან იგი წინადადებას იკვლევდა. რთული თანწყობილი წინადადების დონეზე კი ანაფორული ნაცვალსახელის არსებობაზე ლ. კვაჭაძე სხვაგანაც მიუთითებს /369, 334/.

წინადადების დონეზე ანაფორული ნაცვალსახელის ფუნქციას უყურადღებოდ არც ა. კიზირია ტოვებს /371, 22/. იგი აღნიშნავს, რომ „რთულ თანწყობილ წინადადებაში ქვემდებარის განმეორების შემთხვევაში მეორე წინადადების ქვემდებარე ნაცვალსახელით არის გამოხატული, რითაც გახაზულია პირველ წინადადებასთან მჭიდრო ურთიერთობა“ /371, 20/. ამის გარდა, ა. კიზირია ანაფორული ნაცვალსახელების გამოყენების ისეთ შემთხვევებზეც ლაპარაკობს, როცა: 1/ პირველი წინადადების დამატება ქვემდებარედაა განმეორებული მეორეში; 2/ როცა პირველი წინადადების ქვემდებარე დამატებადაა გამოყენებული მეორეში და 3/ როცა პირველი წინადადების პირდაპირი დამატება ირიბ დამატებად გვხვდება მეორეში /371, 20-21/.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, /იხ. გვ. 106-108/, ანაფორული ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების შესახებ თავის გრამატიკაში საკმაოდ ჰქონდა ყურადღება გამახვილებული ანტონ ბაგრატიონსაც.

ესლა მოკვყანოთ მაგალითი, სადაც ანაფორული ნაცვალსახელი დამოუკიდებელ წინადადებათა შეერთების საშუალებაა.

„იორზე, ვენახში, დიდი ქერამი იდგა, შებუთქვილი, დახუნძლული.“

თუ თავდაპირველად იგი ჩემი საჯარელი ხე იყო, მერე იგი მხოლოდ სევდას იწვევდა ჩემში, თან რაღაც ზიზღსაც კი... /414, 13/.

პირველ წინადადებაში დასახელებულია საზოგადო.სახელი ქერამი, რომლის შემცვლელად, ნაცვალად მომდევნო წინადადებაში გამოყენებულია ანაფორული ნაცვალსახელი „იგი.“ მოხმობილი მაგალითი იმ დებულებასაც ადასტურებს, რომ ანაფორულობა ითხოვს პირველადობას სახელისათვის, ხოლო მეორადობას ანაფორული სიტყვისათვის.

ვენახოთ სხვა მაგალითი.

„ოთარაანთ ქვრივს სოფლის ნაპირას ერთი კაი მოზრდილი ფიცრული ედგა. წისი ეზო, საკმაოდ ფართო გლეხკაცისათვის, გარს შემორტყმულია ტყრუშულის ღობითა...“

ამ სახლს ქარჭენივ წალმით დახურული მარანი ედგა, ოთხკუთხივ ღია და ფარღალაღა, სახლის უკან კალოსაბძელია და საბძელ-ქვეშ გომური/. სახლის მარცხნივ პატარა ადგილია შემოღობილი და შიგ ბოსტანია.

აქ მოჰყავს ხოლმე ოთარაანთ ქვრივს ყოველივე ბოსტნეულობა, რაც კი დასჭირდება საზაფხულოდ, თუ საზამთროდ..."/422,473/.

მოხმობილ მაგალითში პირველ წინადადებაში დასახელებულია საკუთარი სახელი ოთარაანთ ქვრივი, რომლის ანაფორად ნაბმარია კუთვნილებითი ნაცვალსახელი „მისი“. ასევე აქვე სახლის ნაცვლად გამოყენებულია ჩვენებითი ნაცვალსახელი „ამ“, ხოლო ბოსტნის ნაცვლად - ჩვენებითი ზმნიზედა „აქ“.

ვნახოთ იაეთი პატატექსტი, რომლის კომპონენტებს ერთმანეთთან აკავშირებს ჩვენებითი ზმნიზედები. „ძველი მესხეთი და მისი შუაგული სამცხე ოდესღაც გურჯების ბუდედ ითვლებოდა. აქ გამოიგონეს მოსოხებმა და თუბალებმა რკინა და ბრინჯაო. აქედან წამოვიდა საქართველოც და ეანათლების პირველი უმძლავრესი ნაკადიც. აქაურმა მიწა-წყალმა გამოჰყვება დიდი ხუროები და მხედრები, წმინდანები და პოეტები, უკვდავი შოთა და მერჩულე, ხანძთელი და გოდერძი, ჩორჩანელები და ზარზმელები, თორნიკე ერისთავი და სარგის თმოგველი ჭაყლები და თორელები. აქვე იდო ქართლის ყლზე მობჭენილი ბიზანტიის დროშა, მახვილი, სახარება და მძიმე ხელი მსახურელი“/424, 420/.

ამ მეტატექსტის პირველ წინადადებაში დასახელებულია „ძველი მესხეთი და მისი შუაგული სამცხე“, რომელთა ნაცვლად მომდევნო წინადადებებში გამოყენებულია ანაფორული ჩვენებითი ზმნიზედები - „აქ“, „აქედან“, „აქაურმა“, „აქვე“. თითოეული მათგანი ყველ მომდევნო დამოუკიდებელ წინადადებას აზრობრივად აკავშირებს წინამაჟალ წინადადებასთან. აქ გამოყენებული ანაფორული ზმნიზედები გახაზავენ მათ დიდ როლს მეტატექსტის კომპონენტების სტრუქტურულ-სემანტიკურ ორგანიზაციაში.

2.5.3 ლექსიკური განმეორება

დამოუკიდებელ წინადადებათა ურთიერთდაკავშირების ერთ-ერთ გავრცელებულ და ტიპურ საშუალებას წარმოადგენს ლექსიკური

განმეორება. ჩვენ უკვე დავასახელეთ ის ავტორები, რომლებიც თავიანთ ნაშრომებში შექნენ ლექსიკურ განმეორებას, როგორც მეტატექსტის კონსტიტუენტების დაკავშირების საშუალებას. მათ გარდა უნდა დავასახელოთ აგრეთვე გ.ვ. ბონდარენკო /40,7-8/, ნ.ნ. ლონტიევა /188,3/, ვ.პ. ლუნოვა /207,39-44/, ე.ა. ჩეფეროვსკაია /271,51-60/, ი.პ. სეებო /281,6/, ე.ფ. სკოროხოლოცო /291,111-114/, გ.ი. სოლგანიცი /300,59-69/ და სხვები.¹

ყველა სპეციალისტი, ვინც კი შეხებია ლექსიკურ განმეორებას, როგორც მეტატექსტის (ტექსტის) კომპონენტთა ურთიერთდაკავშირების საშუალებას, ერთხმად აღიარებს მის დიდ ძალას და შესაძლებლობას. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ბ.მ. გასპაროვის ნაშრომი /92/, რომელშიც ავტორი ცდილობს, ტექსტი განიხილოს, როგორც „წინადადებათა შეერთების შედეგი, და ფრაზათა შორის ურთიერთობა აღწეროს მარტივი წინადადების შიგნით არსებული ურთიერთობის ანალოგიით. მან წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ტექსტში წინადადებათა დაკავშირება იმაში მდგომარეობს, რომ წინადადების ზოგიერთი ისეთი კატეგორია, რომელიც თავისუფალს წარმოადგენს წინადადების იზოლირებულად გამოყენების დროს, ტექსტში გადაიქცევა პოზიციურად განპირობებულ კატეგორიად ერთ წინადადებაში. მაგრამ ლექსიკური განმეორების განდევნა ფრაზათა შორის კავშირის გრამატიკიდან გასპაროვმა მაინც ვერ შეძლო“ /101,350/.

აღნიშნავენ, რომ ტექსტის ყოველი ელემენტის აზრი გამოისახება ტექსტის რომელიმე სხვა ელემენტის მთლიანი ან ნაწილობრივი განმეორებით. ნ.ნ. ლონტიევას მიაჩნია, რომ აზრობრივი განმეორება შეიძლება იყოს აშკარა ან ფარული, აშკარა მდგომარეობს ერთი და იმავე სიტყვებისა და გამოთქმების, ხოლო ფარული - სინონიმების

¹ აქვე შეიძლება დავასახელოთ: Брик О. М., Звуковые повторы. - В кн.: Поэтика. Прага, 1919; Кухаренко. В. А. Виды повторов и их использование в произведениях Ч. Дикенса. М., 1954; Астафьева И. М. Виды синтаксических повторов и их стилистическое использование. АКД. М., 1963.

ხმარებაში, სემანტიკურად ნაწილობრივ გადამკვეთ სიტყვათა გამოყენებაში /18&3/

გამოყოფენ კონტაქტურ და დისტანციურ განმეორებებს /136, 5-6; 203, 43-44/. კონტაქტურად მიიჩნევენ განმეორებას, როცა ლექსიკური ერთეული მეორდება მეზობელ წინადადებაში, ხოლო, როცა სიტყვა მეორდება ერთი ან რამდენიმე წინადადების შემდეგ, მას დისტანციურ განმეორებას უწოდებენ.

ენახოთ ისეთი მეტატექსტი, სადაც ყოველი წინამავალი წინადადებიდან მომდევნოში მიზანდასახულად მეორდება ლექსიკური ერთეული.

„როდესაც რომელიმე კრებას თუ საქმიან თათბირს ვსწრები ხოლმე და ფიცხა ორატორების გამოსვლას ყურს ვუგდებ, მაშინვე ჩვენი ფორე მომაგონდება!

ფორე! გუგულიანი საათი რომ გამოიწერა ვარშავიდან! ნათლად მახსოვს ის დღე, როცა მან ჩემი დასწრებით ამანათი გახსნა და ყუთიდან ამოღებულმა საათმა ფორეს ხელშივე „გუგუ“ დაიძაბა!

ფორე! რომელმაც 1910 წელს, ლევ ტოლსტოის სიკვდილზე სტეჟა რუსეთის მზე მოკვდა, მე რომ ფული მქონდეს, მთელ რუსეთს შავებს ჩავაცმევდიო!

ფორემ, პირველმა სოფელში, სამკალი მანქანა შემოიტანა, მთელი სოფელი ზედ დაეცა გააკვირვებულნი. აღბათ ისე აღტაცებული იყო ადამიანი, როდესაც პირველად წყლის წისქვილი გამოიგონეს და მძიმე ხელსაფქვავების ბრუნვისაგან გაანთავისუფლა მონაქალები.

ეს ის ფორეა - ქრისტეფორე თამარიძე, რომლის ოთახის კედლებზე ეყიდა რუსთაველის, შექსპირის, სპენსერის, ოუენის სურათები. გორის საოსტატო სემინარია ქონდა გათავებული, მაშ, რა გეგონათ!

სწორედ ის ფორეა, რომელმაც მღვდელს შენიშვნაზე „რათა სკამ მარხვას, სულს გაუფრთხილდიო, უპასუხა. მეც იმიტომ ვკამ, ცოცხალი ფეხზე დავრჩე, სული არ დაემშესო!“ /414, 220-221/.

„ამ მეტატექსტის დამოუკიდებელ წინადადებებს ერმანეთთან აზრობრივად აკავშირებს ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულის, საკუთარი არსებითი სახელის - „ფორეს“ განმეორება.

ასევე ხშირად გამოიყენება სიტყვათშეხამების განმეორება, როგორც მეტატექსტის კომპონენტთა დამაკავშირებელი საშუალება:

„ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!... იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია, მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა ბეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყელასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჰქუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი ადგმევიწინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც კაბუჯის ტვინსა და გულში გამოქცევანძვას ბოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალაუფრებნაყა. ო. ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხილი ფეხთაქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა“ /422, 256/.

ამ მეტატექსტში მეორდება სიტყვათშეხამება „ოთხი წელიწადი“, რომელიც ერთმანეთთან სემანტიკურად აკავშირებს დამოუკიდებელ წინადადებებს.

2.5.4. სინონიმური ჩანაცვლება

ზოგჯერ ლექსიკური განმეორების ნაცვლად მეტატექსტის კონსტიტუენტების დასაკავშირებლად გამოიყენება სინონიმური ჩანაცვლება, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ სინონიმები ან სინონიმური ვარიანტები გამოყენებულ იქნეს იქ, სადაც საჭიროა ლექსიკური განმეორება.

ჩვენ ვიზარებთ გ.ი. სოლგანიკის აზრს იმის შესახებ, რომ „სინონიმური ლექსიკის გამოყენებას აქვს არა მხოლოდ უშუალო სინტაქსური მნიშვნელობა, ე.ი. გამოიყენება იგი არა მარტო წინადადებათა სტრუქტურული დაკავშირების გარეგან მახვენებლად, არამედ გვებმარება აგრეთვე იმაშიც, რომ გამოვხატოთ სხვადასხვაგვარი აზრობრივი ურთიერთობა წინადადებებს შორის, მათი ექსპრესიული მოდალური ელფერი... გარდა ამისა, ჭაჭვეური სინონიმური დაკავშირება მეტყველებას ხდის უფრო მოქნილს, სხვადასხვაგვარს, თავიდან გვაცილებს ერთი და იმავე სიტყვის, განმეორებას“ /300, 65-66/.

მოვიყვანოთ ერთი მეტატექსტი:

„ქნებოდა ლამის ცხრა საათი, როდესაც სოფელს ყანობს რამდენიმე შეიარაღებული ცხენოსანი და ორიოდ მარხილი მიუახლოვდა.

მხედრები სულ ყმაწვილები, ნარჩევი და ერთი-ერთმანეთზედ ლაზათიანები იყვნენ...“ /419, 491/.

პირველ წინადადებაში დასახელებულია - „რამდენიმე შეიარაღებული ცხენოსანი“ და მის მაგივრად მეორე წინადადებაში ნახმარია სინონიმური ჩანაცვლება - „მხედრები“, რომელიც ამასთან ერთად გამოდის აგრეთვე როგორც ორი წინადადების აზრობრივი დაკავშირების საშუალება.

სინონიმურ ჩანაცვლებას უახლოვდება ე.წ. სემანტიკური განმეორება: „რომელიც შემოიტანა ე.ფ. სკოროხოლდკომ /228/. მისი აზრით, სემანტიკური განმეორება - ეს არის ზოგიერთი არაგრამატიკული წინშველობისა თუ სემანტიკური ნიშნის მთლიანობის განმეორება /228, 114/.

სემანტიკური განმეორება, როგორც მეტატექსტის კომპონენტების დაკავშირების საშუალება, განიხილა აგრეთვე ს.ი. გინდინმა /100/. განმეორების ეს სახე, გინდინის აზრით, საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ ფუნქციონალური ერთობა ლექსიკური, სინონიმური და ძირეული განმეორებისა, რომლებიც ამჯერად მიიღება როგორც სემანტიკური განმეორების კერძო შემთხვევები /100, 13-14/.

როგორც ჩანს, სემანტიკური განმეორება ახლოს დგას სინონიმურ ჩანაცვლებასთან, მათ შორის არსებითი და პრინციპული განსხვავება არ შეინიშნება. სემანტიკური განმეორება გულისხმობს, რომ მეორდება აზრობრივად ურთიერთდაკავშირებული, სემანტიკურად ერთი ჯელის სიტყვები.

ვნახოთ მ.გალითი:

„როცა მარტოობა გულზე შემოეგზნებოდა, გადმოიღებდა ტილოსა და წამლებს არსაკიძე, ხატავდა თავისთვის...“

ერთ დღეა, ნასადილეც, ტახტზე წამოწოლილიყო ავადმყოფი.

სამი ბერი ამოვიდა ხურსისეული სასახლის კიბეზე, ხუროთმოძღვარი მეფისა იკითხეს.

შემოფათურდა ნონაო: ვიღაც ბერები გკითხულობენო, ბატონო. მობრძანდნენო, უთხრა არსაკიძემ /412, 653/.

ამ მეტატექსტის პირველსა და უკანასკნელ წინადადებებში დასახელებულია საკუთარი სახელი - არსაკიძე, რომელსაც მომდევნო წინადადებებში ცვლის აზრობრივად მასთან დაკავშირებული „არსაკიძის“ ველის სიტყვები: „ავადმყოფი“, „ხუროთმოძღვარი მეფისა“, „შენ“. ეს სემანტიკური განმეორება მოცემულ დამოუკიდებელ წინადადებათა ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირების საშუალებაა.

2.5.5. ზმნა-შემასმენელთა ურთიერთმიმართება დროის, კილოთა და ასპექტის მიხედვით

მეტატექსტის კომპონენტთა კოპეზიის ერთ-ერთ მოქნილ საშუალებას წარმოადგენს ზმნა-შემასმენელთა ურთიერთმიმართება დროის, კილოთა და ასპექტის მიხედვით. ეს საკითხი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ჯერჯერობით სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა.¹

¹ მწკრივთა შეფარდებებისა და დროთა თანმიმდევრობის საკითხს წინადადების დონეზე ჯერ კიდევ 1927 წელს შეეხო ს. ხუნდაძე. იხილეთ მისი „ქართული მართლწერისა და სწორების ძირითადი საფუძვლები“. ქუთაისი, 1927, გვ.60-61. ძირითადი დასკვნა ხუნდაძის შემდეგია: უნდა დაეიცვათ მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას შორის დროთა ერთგვარობა, ზმნის დრო-კილოთა ფორმების გამოყენებას მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებში შეეხო აგრეთვე ლ. კვაჭაძე 1966 წელს /369, 319, 380, 400-401, 405-409/.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შ. ძიძიგურის ნაშრომი /387/, სადაც დადგენილია ზმნის დრო-კილოთა ფორმების გამოყენების კანონზომიერებანი მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებში /387, 366-382/.

უნდა აღინიშნოს ლ. გეგუჩაძის ნაშრომები, მიძღვნილი მწკრივთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანმიმდევრობის საკითხებისადმი, რომელთაგან აქ უნდა დავასახელოთ: „დროთა თანმიმდევრობა ერთი ტიპის კონსტრუქციაში“- ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1972, №3, გვ.17-20; დროთა თანმიმდევრობის საკითხისათვის რთულ ქვეწყობულ წინადადებაში. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 1974; მწკრივთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანმიმ-

ჩვენი დაკვირვებით, როცა მეტატექსტის დამოუკიდებელი წინადადებით აღწერილია პეიზაჟი, მდგომარეობა ანდა დახასიათებულია მოქმედი პერსონაჟები, ზმნა-შემასმენლები ჩვეულებრივ გადმოცემულია დროის, კილოსა და ასპექტის ერთი და იმავე ფორმით. ძირითადად გამოყენებულია ახლანდელი და წარსული დროის ფორმები. ზმნა-შემასმენელთა ეს ფორმები ისეა გადაკდობილი ერთმანეთს, რომ რომელიმე მათგანის შეცვლა იწვევს სტრუქტურის შეცვლას, არღვევს სემანტიკურ მთლიანობას.¹

ენახოთ ერთი მაგალითი.

„დიდი ფიქრის შემდეგ ფორემ გადაწყვიტა ნიშარძეულის ფონდის დაარსება გაზეთში და ამ მხრივ შეწირულების მოგროვება. ამ მოგონებაზე ისევ გაუთბა გამყინვარებული გული. ისევ შემოიქროლა იმედმა, ისევ ეჩვენებოდა. რომ დაიმორჩილა ჩანჩქერის წყალი: ეჩვენებოდა, თითქოს ნიშარძეული მერანი იყო და ქეჩოზე ხელწავლებული მოჰყავდა და მერანიც მშვიდად მოსდევდა სოფელში! ხან თითქოს ფორეს კვერთხი ეკირა და მისს კვერთხს უკან მისდევდა, მოსთრევდა წყალი! რას არ ჰხედავდა, რას არ წარმოიდგენდა! საორაგულე ფაცხებს სდგამდა მდინარის ტოტში, შიგ მურა კალმახს იკერდა!

მაგრამ გრიგალ-ქარივით ატყდა მსოფლიო ომი და ყოველ კეთილ დაწყობილებას მიეცა თავისი აღსასრული! ბეკრი მწარე გაკვნიტა ხალხმა!“ /414, 227/.

პირველი წინადადების წარსული დროის ფორმამ გამოიწვია, რომ მომდევნო წინადადებაშიც წარსული დროის ფორმები ყოფილიყო. დროთა ფორმების ერთიანობამ განაპირობა კილოსა და ასპექტის ფორმების ერთიანობა. მაგრამ, თუ პიორველ წინადადებაში შევცვლით წარსული დროის ფორმას, უნდა შევცვალოთ ზმნათა დროის ფორმები სხვა, მიმდებარე წინადადებებშიც. და თუ ამ წესს არ შევასრულებთ, მეტატექსტის მთლიანობის სემანტიკური ერთიანობა დაირღვევა.

ენახოთ ერთი მაგალითიც.¹

დევრობის საკითხები ჰიპოტექსურ კონსტრუქციებში - ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეხუთე. თბილისი, 1983, გვ. 135-164.

¹ შდრ.: ა. ზბონდარკო /38/.

„პაწაწა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრძოვა. ცუდ დროს დაეობლდი. ტანზედ მაკვირ პატარა, მოკლებეწვიანი, თეთრის თვლებით მოწინწკლული თხელი ქათიბი. ჭერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამამარებია.

გზადაკარგული დავდივარ. აი დახედეთ ჩემს სისხლიანს ფეხსა, - ეს, წყლის დასალევად რომ ჩავედი ხევში, მაშინ ვიტყინე... გული მიწუხს... გული... საბრალო დედაჩემი! მანამ დედა მყვანდა ცოცხალი, სულ ალერსში ვყვანდი: ძუძუს მაწოვებდა, მიალერსებდა, მაფრთხილებდა. რაღა მეშველება მე საბრალოს ეხლა! ძუძუს აღარ ვწოვ, მხოლოდ ბალახის ნაშა ვსუტავ დილით და საღამოთი, როდესაც ნამია, და რძის ნდომას იმით ვიკლაჟ, უპატრონო რომ ვარ, სულ შეშინიან, კვანკალებ, მუდამ დღეს სიკვდალს ველი, გზაარეული დავეხეტები... ღმერთო, რამდენი მტერი გვყავს!“ /41 & 279/.

ამ მეტატექსტის პირველ წინადადებაში ახლანდელი დროის ფორმა ნახმაოი. მეორე წინადადების წარსული დროის ფორმა იმისთვის არის გამოყენებული, რომ ხაზი გაესვას მესამე წინადადების (და სხვა მიმდებარე წინადადებების) ახლანდელი დროის ფორმებს. ასეთი დაპირისპირება სხვაგანაც გვხვდება, მაგრამ თხრობის ძირითადი ხაზი ახლანდელ დროში მიმდინარეობს, რომლის შესატყვისია კილოსა და ასპექტის ფორმები.

2.6. სიტყვებისა და წინადადებების რიბი მეტატექსტში

სიტყვებისა და წინადადებების განლაგება მეტატექსტში (მით უმეტეს ტექსტში) ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ჭერ კიდევ არ ყოფილა სპეციალური კვლევის საგანი. ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში შესწავლილია სიტყვათა რიგის საკითხი მარტივი წინადადების დონეზე. ამ მხრივ იგი პირველად მონოგრაფიულად შეისწავლა ს. გორგაძემ,¹ მის შემდეგ სიტყვათა რიგის საკითხებს შეეხნენ ლ. კვაჭაძე /369, 215-22 /, ა. კიზირია,²

¹ ს. გორგაძე, ქართული სადასიტყვაობა. თფილისი 1915.

² ა. კიზირია, შემასმენლის ადგილი წინადადებაში. - კრებულში: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, III, 1950.

ბ. ფოჩხუა,¹ აალხაზიშვილი,² ი. ვეშაპიძე³ და სხვები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვათა რიგს მარტივ წინადადებაში სპეციალური მონოგრაფია უძღვნა შ. აფრიდონიძემ.⁴

სიტყვათა რიგის საკითხს წინადადების დონეზე რუსულ ენაში მრავალი ავტორი იხილავს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პ. ადამეცის ნაშრომი /2/, აგრეთვე აკადემიური გრამატიკები /103, 104; 277/ და სხვ.

სპეციალისტების მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ სიტყვათა რიგი ქართულში თავისუფალიც არის და მყარიც.

ქართული წინადადების მიმართ შეიძლება გავიმეოროთ შ. ბალის სიტყვები: „ფრანგული წინადადება, მიუხედავად სიტყვათა ტენდენციისა. პროგიესული თანმიმდევრობისაყენ, მოქნილი და კირვეული რჩება (რადგან მზად არის, შეიგუოს ნებისმიერი გამონაკლისი), მას უნაჩი შესწევს, გადმოსცეს ესა თუ ის მნიშვნელობა ნატიფი ელფერით“ /20, 228/.

ქართული წინადადების კომპონენტების, თავისებურება პროგრესული თანმიმდევრობისაყენ მიდრეკილებაში მდგომარეობს. იგი განპირობებულია სიტყვათა პირდაპირი თუ ინვერსიული წყობით, და იმის შესაძლებლობით, რომ წინადადების ნებისმიერი წევრი (მთავარი თუ მეორეხარისხოვანი) განივრცოს ერთი ან რამდენიმე სიტყვით. ყოველივე ამის წყალობით კი ქართული წინადადება სემანტიკურად დატ-

¹ ბ. ფოჩხუა, სიტყვათგანლაგებისათვის ქართულში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XIII, 1962.

² Ахизвишвили А.А. Порядок слов и интонация в простом повествовательном предложении грузинского языка: Фонетический сборник ТГУ, Посвященный акад. Г.С.Ахмедиаши. Тбилиси, 1959.

³ ი. ვეშაპიძე, წინადადებაში სიტყვათა გადაადგილებასთან დაკავშირებულ აზრობრივი ცვლილების საკითხი. თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის XII სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1968, გვ.36-37.

⁴ შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში. თბილისი, 1986.

ვირთულია და მდიდარი, სტრუქტურულად ერთიანი და მთლიანი, მნიშვნელობით მრავალფეროვანი, სიცოცხლისუნარიანობით კი სხარტი და მოქნილი.

როგორც აღვნიშნეთ, მეტატექსტის დონეზე სიტყვათა და წინადადებათა რიგის საკითხს შეეხნენ ნ.ა. კობრინა, ლ.მ. ლოსევა, ო.ი. მოსკალსკაია, ტ.ა. სნეგირევა, ნ.ა. ტურმაჩევა, ლ.გ. ფრიდმანი და სხვები. ყველა სპეციალური ერთსულოვანია იმაში, რომ სიტყვათა რიგი ტექსტის ლინგვისტიკაში ასრულებს სრულიად ახალ ფუნქციას და ეს არის დამოუკიდებელ წინადადებათა (მეტატექსტის კომპონენტთა) დაკავშირების ფუნქცია.

სიტყვათა რიგი ისეთ დამოუკიდებელ წინადადებაში, რომელიც მეტატექსტის კომპონენტია, თავისუფალი არ არის. მეტატექსტის კომპონენტ წინადადებებში სიტყვათა რიგი გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. ეს კანონზომიერება კი გამომდინარეობს მეტატექსტის მდგენელი წინადადებების ადგილით მთლიან სტრუქტურაში. ამ სიტუაციისათვის ი.ა. კრავჩუკმა შემოიტანა „სიტყვათა სინტაქსური თანაფარდობის პრინციპი“, რ. იმლის შესახებაც იგი წერს: „სიტყვათა სინტაქსური თანაფარდობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სიტყვებს, რომლებიც გამოდიან ზეფრაზული მთლიანობის ორი ან რამდენიმე მეზობელი წინადადების დამაკავშირებელ საშუალებად, შეუძლიათ იღვანენ წინადადების დასაწყისში ან შუაში, მაგრამ არა ბოლო ადგილზე: წინადადების ბოლო ადგილზე ასეთი სიტყვების გადაადგილებით სინტაქსური თანაფარდობის პრინციპი დაირღვევა, მნიშვნელობა დამახინჯდება ანდა ზეფრაზული მთლიანობის შინაარსი შეიცვლება“ /108, 12/.

ვნახოთ, რას ნიშნავს ეს პრაქტიკულად:

ადიკვანი ელეფთერი საღამო ხანს სოფლის მოედანზე იღგა და გლეხებში საუბარს გულს აყოლებდა.

ეს ის ელეფთერია, რომელსაც სწორედ გასულ თვეს სცემეს ეტებით დღეობაში მოსულმა ჰირვეულმა სტუმრებმა – ელეფთერი. რათა გქვიანო! ამ ელეფთერზე იტყოდა სოფლის მღვდელი: ორი ელეფთერი რომ მყავდეს, ერთს უსათუოდ ჩამოვადრჩობდიო!

დიაკვანი ელექტორი ღვინის კაცი უფრო იყო, ვიდრე სულისა, თავქეიფა, ლხინიყო, ღვინის ხაპია! წირვა-ლოცვაზე საღვთო წერილს სულ უღიმღამოდ ლულულულით ჩაიკითხავდა, მაგრამ ფსალმუნის იმ ადგილს, სადაც წერია: „ღვინო ახარებს გულსა კაცისაჲო“, დიდი სიყვარულით, რიხითა და ხმის ამაღლებით წარმოსთქვამდა.“ /414, 11-12/.

პირველ წინადადებაში დასახელებულია „დიაკვანი ელექტორი“, რომელიც „საღამო ხანს სოფლის მოედანზე იღვა და გლეხებში საუბარს გულს აყოლებდა“. მომდევნო წინადადებები გვაწვდის ახალ-ახალ ინფორმაციას, ცნობას ამ ელექტორის შესახებ. მეორე წინადადება პირველს უკავშირდება სიტყვებით – „ეს ის ელექტორია“, მესამე წინადადება კი მეორეს სიტყვებით – „ამ ელექტორზე“, ხოლო მეოთხე წინადადება წინამავალთან აზრობრივ კავშირს ამყარებს სიტყვებით – „დიაკვანი ელექტორი“.

როგორც ჩანს, სიტყვები – „ეს ის ელექტორია“, „ამ ელექტორზე“, „დიაკვანი ელექტორი“, – დგანან დამოუკიდებელ წინადადებათა თავში და ამ წინადადებებს მიაერთებენ წინამავალთან. იუ ამ სიტყვებს ადგილს შევუცვლით, ვთქვათ, წინადადებების ბოლოში გადავიტანთ, წინადადებათა აზრი დამახინჯდება, მეტატექსტის შინაარსი და სტრუქტურა შეიცვლება.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მეტატექსტის კომპონენტის დამოუკიდებელ წინადადებებში სიტყვათა რიგი მყარია.

ასევე მყარია მეტატექსტში წინადადებათა რიგიც. მეტატექსტში შემავალი დამოუკიდებელი წინადადების ადგილის შეცვლა ცვლის და ამახინჯებს მეტატექსტის სემანტიკურ მთლიანობას და სტრუქტურულ ერთიანობას.

ვნახოთ მაგალითი.

1. „იმერეთმა დედაშვილურად მიიღო ორივე ვაჟი“.
2. ბაში-აჩუკი დაუბრუნდა თავის სახლკარობას და აბღუშაპილიც

ჩაესიძა. 3. მართალია, დევი ყურით არ დაუქერიათ სიძე-
ცოლისძმას, მაგრამ ბევრჯერ კი კარგი სამსახური გაუწიეს იმერ-
ეთს თურქებთან ბრძოლის დროს და სამაგიეროდ ადგილ-
მამულიც ბევრი შეიძინეს საწერეთლოში. 4. ცხოვრობდნენ მყუ-
დროდ და მხოლოდ ერთხელ კი შეშფოთდნენ. 5. ეს მაშინ, როდეს-
საც გაიგეს, რომ მათი საყვარელი კახეთის გმირები სპარსეთში
უწყამებიათ“ /421, 703/.

წინადადებები იმიტომ დავნომრეთ, რომ მკითხველისათვის
ადვილი იყოს მათი გადაადგილება. ვთქვათ, პირველი წინადადება
გადავსვით მესამის ადგილზე, და, პირიქით მესამე – პირველის
ადგილზე, მეხუთე წინადადება გადავსვით მეორის ადგილზე,
მეოთხე – მეხუთის ადგილზე და მეტატექსტის კომპონენტთა
ასეთი გადაადგილება გამოიწვევს შინაარსის დამახინჯებას, ეს
უკანასკნელი კი დაარღვევს სტრუქტურას როგორც ერთიანსა
დამთლიანს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სიტყვათა რიგი წინადადებაში
და წინადადებათა რიგი მეტატექსტში მყარია. სიტყვები, რომლე-
ბიც აერთებენ დამოუკიდებელ წინადადებებს, ან იწყებენ
მისაერთებელ წინადადებას, ან მასში არიან მოქცეული.
წინადადებათა რიგის შეცვლა არღვევს თემა-რემის ურთიერთო-
ბას, წინადადებათა თანმიმდევრობის კანონზომიერებას, რაც
ამახინჯებს ან ეკლის ინფორმაციას და ამდენად ხელს უშლის ან
შეუძლებელს ხდის კომუნიკაციას. ყოველივე ეს გვაძლევს იმის
თქმის უფლებას, რომ სიტყვათა და წინადადებათა რიგი წარ-
მოადგენენ მეტატექსტის ორგანიზაციის ერთ-ერთ საშუალებას.

ყოველივე ამის შემდეგ, ვფიქრობთ, ლოგიკურიც იქნება და მი-
ზანშეწონილიც, ლინგვისტიკურად გავანალიზოთ ერთი-ორი
მეტატექსტი.

ავიღოთ შემდეგი მეტატექსტი:

„ონისემ იგრძნო, რომ მას ზღვასავით მოაწვა აღელვებული
სისხლი, რომელიც ჩუბჩუბით ხან გულისკენ გაქანდებოდა და აატო-

კებდა, როგორც ზღვის ზვირთები უილაქნო ნავს, ხან თავს ეძგერებოდა და ნისლსავით ებჯვოდა, უბნელებდა თვალებს და გონეას.

ყმაწვილი ბიჭი ჭავრობდა თავის თავზედ, ჭავრობდა, რომ აღძრული გრძნობა ველარ შეემაგრებინა, ავარდნილი გული ველარ შეეყენებინა, ცდილობდა ქალისათვის დასამშვიდებელი სიტყვა რამ ეთქვა, მაგრამ პირგამწრაღს, თითქოს ყელში რაღაც გახიჩვებიაო, ენას ველარ იბრუნებდა. იმან საუკეთესოდ დაინახა, მალე მოშორებოდა იმ საფრთხეს, სადაც მისი არსება ასე სწრაფად იქნა დამორჩილებული, გული ასე მოულოდნელად გაქელილი“ /419,498/.

მოცემული მეტატექსტი შედგება სამი წინადადებისაგან, რომელთაგან პირველი და მეორე წინადადებები ცალ-ცალკე აბზაცებადაა გამოყოფილი. დამოუკიდებელ წინადადებათა აბზაცებად გამოყოფა მეტატექსტის ძავისებურებით ან საჭიროებით არ არის გამოწვეული. იგი უნდა აიხსნას მხოლოდ მწერლის სტილის სპეციფიკურობით.

მეტატექსტის მიკროთემამ დასახელებულია პირველ წინადადებაში. ამ მიკროთემას შეიძლება ასეთი სათაური მივცეთ - „აღელვებული სისხლი“. მომდევნო ორი წინადადება სხვადასხვა კუთხით ავსებს ამ „აღელვებული სისხლის“ მოძრაობას.

პირველ წინადადებაში დასახელებულია საკუთარი სახელი - ონისე, რომელიც მეორე წინადადებაში „ყმაწვილი ბიჭი“-ა. ეს „ყმაწვილი ბიჭი“ ონისეს ლექსიკური განმეორებაა, ოღონდ სინონიმური ჩანაცვლებით. „ყმაწვილი ბიჭი“, როგორც სინონიმური ჩანაცვლება, მეორე წინადადებას აზრობრივად აკავშირებს პირველთან. მესამე წინადადება მეორეს უკავშირდება ანაფორული ნაცვალსახელით - „იმან“; რომელიც „ყმაწვილი ბიჭის“ ანაფორაა.

პირველი წინადადება თემა₁-ია, მეორე წინადადება კი - რემა₁ და თემა₂, ხოლო მესამე წინადადება - მხოლოდ რემა₂.

ამ მეტატექსტში გვაქვს წინადადებათა ჭაჭვური დაკავშირება. ვნახოთ სხვა მეტატექსტი:

„რა ტყბილი იყო შუქელვარა დილა პატარძელში! ოქროვანი ხმით მოწკრიალე გაზაფხულის დღეები, როცა ჩვენც ნუშებივით ვუვადით, როცა ფეხქვეშ მიწა გრიალებდა, გული გვედგა ოქროს ბურთისა და თავს ოქროს წვიმა გვაწვიმდა...“

ეს ჩემი სიტყვაც იმ გაზაფხულის დილიდან არის გამონაწერი, იმ წყაროებიდან კამონაეური, რომელთა თავზე მდგარ ნიგვზნართა ხეივანში გულჯითელა „ბიჭო-გოგის“ მომძახოდა, როგორც თანამოსახელესა და მეგობარს...

ეს სიტყვები იმ ლურჯთვალა იებში მიპოვნია, ჩვენს მიდამოებში რომ ვკრეფდი, იმ ყაყჩოგარეულ ჭეჭილებში, მზით ამოვსებულ თავთავებში, შეთქვირებულ ყანებში რომ ღვანან სხივმოსილი სიტყვობებითა და იღუმალებით.

ვერცხლულა იორი მიმღერდა ამ სიტყვას, ვენახებიანი, ხილნარიანი, ბარდნარ-ქალებიანი, ჯალჯიან-შამბნარიანი“ /414,5-6/.

ეს მეტატექსტი ხუთი დამოუკიდებელი წინადადებისაგან შედგება. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ხუთიდან ოთხი წინადადება აბზაციით იწყება. კითხვაზე: რატომ არის ასე? პასუხს ვერ ვიპოვით მეტატექსტის ვერც სტრუქტურაში და ვერც სემანტიკაში. დამოუკიდებელ წინადადებათა, მეტატექსტის მდგენელთა არსებობა აბზაციის ფორმით იმაზე მიგვითითებს, რომ აბზაცი არ არის სემანტიკური ოდენობა, რომ ის სტილისა და კომპოზიციის საშუალებებს განეკუთვნება და მას მწერლის სუბიექტური მე განაპირობებს.

მოცემული მეტატექსტის პირველ და მეორე წინადადებაში დასახელებულია მიკროთემა, რომელიც შეიძლება ასე გადმოვცეთ: დილა პატარძელში და გაზაფხულის დღეები. დანარჩენი სამი წინადადება გადმოგვცემს იმას, რაც დაკავშირებულია პატარძელის დილასა და გაზაფხულის დღეებთან.

პირველ წინადადებაში დასახელებულია საზოგადო სახელი - დილა. პირველი წინადადების დილასთან აზრობრივ კავშირშია მეორე წინადადების „გაზაფხულის დღეები“. მეორე წინადადება პირველს უკავშირდება ლექსიკური განმეორების იმ სახით, რომელიც ცნობილია სემანტიკური განმეორების სახელწოდებით. მეორე წინადადების სიტყვათშეხამება „გაზაფხულის დღეები“ პირველი წინადადების სიტყვა „დილის“ სემანტიკური ველის რომელიღაც წერტილში დევს და ის ჩაენაცვლება „დილას“, როგორც დაკავშირების საშუალება. მესამე წინადადება მეორეს უკავშირდება შესიტყვებით „იმ გაზაფხულის დილიდან“. როგორც ჩანს, ავტორისათვის „დილა“ - „გაზაფხულის დღეები“ - „გაზაფხულის დილა“ ერთი სემანტიკური ველის ერთეულე-

ბია, რომლებიც თავისუფლად ჩაენაცვლებიან ერთმანეთს. სწორედ ისინი ასრულებენ დამოუკიდებელ წინადადებათა აზრობრივი დაკავშირების ფუნქციას. მეოთხე წინადადება მესამეს უკავშირდება შესიტყვებით - „ეს სიტყვები“, რომელიც მესამეშიც გვკონდა - „ეს ჩემი სიტყვა“. და ბოლოს მეხუთე წინადადება მეოთხეს უკავშირდება ასეთი შესიტყვებით - „ამ სიტყვის“.

თუ განვაზოგადებთ მოცემული მეტატექსტის კონსტიტუენტთა დაკავშირების საშუალებებს, აღმოჩნდება, რომ კომპონენტები ერთმანეთს დაუკავშირდნენ სემანტიკური განმეორებით და შესიტყვებათა განმეორებით.

პირველი და მეორე წინადადება არის მოცემული მეტატექსტის თემა, ხოლო მესამე წინადადება რემა₁, მეოთხე წინადადება - რემა₂, მეხუთე წინადადება კი - რემა₃ ე.ი. გვაქვს თემა₁, რემა₁, რემა₂ და რემა₃ დამოუკიდებელი წინადადებები ერთმანეთს უკავშირდებიან პარალელური დაკავშირებით.

როგორც ვნახეთ, არ არსებობს მეტატექსტი, რომლის კონსტიტუენტების ინტეგრაცია ერთდროულად ყველა ან უმეტესი საშუალებებით ხორციელდებოდეს. კოპეზიის ზოგი საშუალება (თუნდაც ლექსიკური განმეორება და ანაფორა) უფრო აქტიურია და ხშირად გვხვდება, ზოგიც (ჩართული სიტყვა-გამოსქმები) კი - შედარებით ნაკლებად.

ერთი მეტატექსტიც გავაანალიზოთ.


„(1) ითახილამ გარეთ გამოვედი და შეეხედე სტუფანწმინდის პირდაპირ აუღებულს მყნვარსა, რომელსაც ყაზბეგის მთას უძახიან. (2) დიდებული რამ არის ეგ მყნვარი. (3) აბა მავას შეუძლიან სიტქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედამიწა ქალამნადაო. (4) ცისა ლაჟვარდზედ მოჩანდა იგი ოთხრად და აუზღვრევლად. (5) ერთის მუქის ოდენი ღრუბელიც არაა მთვარავდა მის მაღალს მუბლსა, მის ყნვიო შევერცხლილს თავსა. (6) ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დანაასოდა, ერთს ალაგს გაჩერებული, თითქო მყნვარის დიდებულს სახეს განუცვიფრებიაო“ /422,265/.

მონზობილი მეტატექსტი 6 წინადადებისაგან შედგება. ექვსივე წინადადება ერთი აბზაციითაა გადმოცემული (სხვათაშორის, ამ ერთი ტექსტის ერთ აბზაცში ილიას ითახი მეტატექსტი აქვს გადმოცემული).

მიკროთემა დასახელებულია პირველ წინადადებაში, მას შეიძლება დავარქვათ - მყინვარი.

პირველ წინადადებაში დასახელებულია სახელი - მყინვარი, რომელსაც მომდევნო წინადადებებში ჩაენაცვლება ანაფორული ნაცვალსახელები: ეგ, მაგას, იგი, მის და ბოლო წინადადებაში ისევ გამოჩნდება - მყინვარის. აი ეს ანაფორული ნაცვალსახელები და ლექსიკური განმეორება აკავშირებენ ერთმანეთს დამოუკიდებელ წინადადებებს.

ჩვენს მეტატექსტში თემა-რემობრივი ურთიერთობა შემდეგ სურათს გვაძლევს: პირველი წინადადება არის თემა 1. მეორე და მესამე წინადადებები მოდალური წინადადებებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ახალ ინფორმაციას კი არა, არამედ ავტორისეულ სუბიექტურ შეფასებას გადმოიცემენ. მხოლოდ მეოთხე წინადადებაა რემა 1, მეხუთე წინადადება - რემა 2 და შეექვსე წინადადება - რემა 3. სტემატურად ეს ასეთ სახეს მიიღობდა:



დამოუკიდებელი წინადადებები აქ ერთმანეთს უკავშირდებიან პარალელური დაკავშირებით.

დასკვნები

მეტატექსტი არის წინადადებაზე დიდი ენობრივი ერთეული, რომელსაც უკავია შუალედური პოზიცია წინადადებასა და ტექსტს შორის.

მეტატექსტს საკუთარი მიკროთემა აქვს. მისი არსებითი პარამეტრია აზრობრივი დამთავრებულობა. მეტატექსტის კონსტიტუენტებია დამოუკიდებელი წინადადებები. მეტატექსტის მინიმალური ზღვარი ორი წინადადებაა, მაქსიმალური ზღვრის ფორმალური ნიშანი კი არ არსებობს, ამ ზღვრის დადგენაში გვუხმარება სემანტიკური ასპექტი - აზრობრივი დამთავრებულობა.

მეტატექსტის სტრუქტურულ და აზრობრივ მთლიანობას ქმნის დამოუკიდებელ წინადადებათა კოპეზია. დამოუკიდებელ წინადადე-

ბათა ურთიერიდაკავშირება და მეტატექსტის ორგანიზაცია ხორციელდება შემდეგი საშუალებებით:

1. მართებული და მაქვემდებარებელი კავშირების მიერთებითი ფუნქციით;

2. ანაფორული ნაცვალსახელებითა და ზმნიზედებით;

3. ლექსიკური განმეორებით;

4. სინონიმური ჩანაცვლებით;

5. ჩართული სიტყვა-გამოთქმებითა და ნაწილაკებით;

6. ზმნა-შემასმენელთა ურთიერთდამოკიდებულებით დროის, კილოსა და ასპექტის მიხედვით;

7. სიტყვათა და წინადადებათა რიგით.

კოქეზიის ეს საშუალებანი სინტაქსისათვის უცნობია, ისინი ტექსტის ლინგვისტიკის კუთვნილებაა.

მეტატექსტი კომუნიკაციის საშუალებაა.

თავი მესამე

ტექსტის პარამეტრები

3.1. ტექსტის თემა. აზრობრივი დამთავრებულობა

თემა ტექსტის ძირითადი პარამეტრია. ენის სისტემის სხვა ერთეულებს (წინადადებას, მეტატექსტს) თემა არ გააჩნია. მაგრამ ტექსტი, რომელსაც თემა არ ექნება, არ არსებობს. ჩვენი აზრით, წინადადებას თემა არ გააჩნია; წინადადება აზრს გამოხატავს, რომელიც დასრულებულია. უნდა ითქვას, რომ გამოთქმა „დასრულებული აზრი“ ენათმეცნიერთა შორის კამათს იწვევს. გარკვეული ჩვეულებები სვამს კითხვას: რას ნიშნავს დამთავრებული აზრი? და პასუხობს, ჩვენ არ ვიცით, რა არის, რას ნიშნავს დასრულებული აზრი.

მეტატექსტს ქვეთემა მ.კროთემა აქვს. მეტატექსტის დონეზე მიკროთემის ინფორმაცია სრულია, დამთავრებული.

თემა ტექსტის, ანუ უმაღლესი დონის ენობრივი და სამეტყველო ერთეულის კუთვნილებაა. ტექსტს აქვს ერთი რეფერენტი, რომელიც ერთი თემის (ტექსტის თემის) საფუძველია. რეფერენტის შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია სხვადასხვა მეტატექსტის მიკროთემების საფუძველია. მიკროთემები თემის ნაწილია, ქვეთემებია, ტექსტის სემანტიკური მთლიანობისა და სტრუქტურული ერთიანობის საფუძველი არის თემა, რომელიც აერთიანებს ტექსტის კომპონენტებს (მეტატექსტებს).

თემას ტექსტის ძირითად პარამეტრად მიიჩნევენ გ.ვკოლშანსკი /162,62/, ნ.ენკვისტი /82,74/,¹ ო.ი.მოსკალსკაია /222/, ი.რ.გალპერინი /85/ და სხვები:

როგორც აღვნიშნეთ, ტექსტს თავისი ფორმალური ნიშანი არა აქვს. ტექსტის მარცხენა მხარის ზღვრის მაჩვენებელი ორი მეტატე-

¹ ნ.ენკვისტის შეხედულება მოგვაქვს ი.რ. გალპერინის ნაშრომიდან /82,74/.

ქსტია, ხოლო მარჯვენა ზღვრის დადგენა-განსაზღვრაში გვეხმარება თემა. თუ რეფერენტის შესახებ საუბარი დამთავრდა, თუ ინფორმაცია ამ რეფერენტის გარშემო ამოიწურა, ეს იმას ნიშნავს, რომ ტექსტი დამთავრდა. ეს დამთავრება აზრობრივ დამთავრებულობას გულისხმობს. ეს უკანასკნელი იმის მაჩვენებელია, რომ თხრობაში უნდა შემოვიდეს ახალი რეფერენტი, ე.ი. უნდა დაიწყოს ახალი ტექსტი. ყოველივე ეს, რაც ახლა აღვნიშნეთ, შეიძლება მივიჩნიოთ ტექსტის შინაგან მაჩვენებლად. გარეგან მაჩვენებლებს შეიძლება მივაკუთვნოთ რეფერენტის მონაცვლე ანაფორული თუ კატაფორული ნაცვალსახელები და ზმნიხედები, ლექსიკური განმეორება, სემანტიკური განმეორება, სინონიმური ჩანაცვლება; ჩამოთვლილი ფენომენები ერთი რეფერენტის ნაცვლად, მონაცვლედ იხმარებიან ერთი ტექსტის ფარგლებში. მათი მოქმედების არეალი ერთი ტექსტია; მათი გასვლა თხრობიდან და ახალი რეფერენტის შემოსვლა - ეს ახალი ტექსტის დასაწყისის მაჩვენებელია.

აზრობრივი დამთავრებულობა ტექსტის მარჯვენა ზღვრის სემანტიკური ნიშანია. როცა ვლასარაკობთ აზრობრივ დამთავრებულობაზე მეტატექსტისა და ტექსტის დონეზე, ვგულისხმობთ სისრულეს, დამთავრებულობას იმ ინფორმაციისა, რომელიც გადმოიცემა მეტატექსტითა და ტექსტით.

აზრის დამთავრებულობას ტექსტის პარამეტრად მიიჩნევენ ვაბუხბინდერი და ე.დ.როზანოვი /486/, ი.რ.ვალპერინი /83,98/, ხ.იზენბერგი /138,48/, ბ.სკანდინსკი /146,14/, ლ.გ.ფრიდმანი და ვ.გ.ბუტკო /330,4/, ო.ი.მოსკალსკაია /222,17/ და სხვები.

ტექსტის თემა და მისი აზრობრივი დამთავრებულობა მისი ძირითადი პარამეტრებია.

3.2. ტექსტის სტრუქტურული მთლიანობა

ტექსტის ლინგვისტიკაში აზრთა სხვადასხვაობაა ტექსტის სტრუქტურული მთლიანობის, ანუ მთლიანი ტექსტის, შესახებ.

ა.ა.ლეონტიევი ერთმანეთისაგან გაარჩევს ტექსტის გაბმულობას და მთლიანობას. მისი აზრით, გაბმულობა ჩვეულებრივ წარმოადგენს მთლიანობის პირობას, მაგრამ მთლიანობა არ შეიძლება მთლიანად

განისაზღვროს გაბმულობის მეშვეობით, თანაც გაბმულ ტექსტს ყუ-
ელთვის არ გააჩნია მთლიანობა /183, 168/.

ა.ა.ლეონტიევის ამ აზრს ჩვენც ვიზიარებთ. ვარდა იმისა, რომ ა.ა.
ლეონტიევი ცალკე მსჯელობს მთლიანობის შესახებ და არ აიგივებს მას
გაბმულობასთან, იგი ჩამოთვლის მთლიანობის ნიშნებსაც. ასეთებად კი
მას მიაჩნია: ა) გრამატიკული, ბ) საკომუნიკაციო, გ) ფონეტიკური, დ)
სტილისტიკური, ე) ტექსტის დაწყების, გაგრძელებისა და დამთავრების
სემანტიკური სივანალები /183, 170-171/.

ზ.ი.ხოვანსკაიას მიაჩნია, რომ ტექსტის მთლიანობა მის კოქერ-
ენტულობასაც გულისხმობს, მაგრამ ავტორი მთლიანობის სხვა
ნიშნებსაც ჩამოთვლის და ამით გაბაზავს მთლიანობის, როგორც ტე-
ქსტის პარამეტრის, დამოუცილებელ არსებობას. ეს ნიშნებია:

1. ტექსტის შეფარდება კომპლექსთან ურთიერთდაკავშირებულ
სიტუაციასთან, რომელიც განსაზღვრავს მისი აზრობრივი მთლიანო-
ბის ფორმირებას;

2. ტექსტის აზრობრივი სტრუქტურის დაქვემდებარება ერთიანი
საკომუნიკაციო ამოცანის მიმართ, რომელიც განსაზღვრავს ტექსტის
ნაწილების საკომუნიკაციო მიზანს და მათი აზრობრივი სტრუქტურის
თემა-რეჟიმობრივ დაყოფას;

3. ტექსტში არსებობა არა მხოლოდ მეზობელ გამონათქვამთა
შორის აზრობრივი კავშირისა, არამედ აგრეთვე გამკოლი კავშირისა,
რომელიც მთელ ტექსტს გასდევს და თავის მხრივ ქმნის თავისებურ ში-
ნაარსობრივი ლეიტმოტივის შემქმნელ იდენტურ აზრობრივ წარ-
მონაქმნებს;

4. ცალკეულ გამონათქვამთა თემა-რეჟიმობრივი სტრუქტურის
მუდმივი გადასვლა უფრო დიდი საკომუნიკაციო ერთეულების თემა-
რეჟიმობრივ სტრუქტურაზე /334, 102-103/.

ზ.ი.ხოვანსკაიას ეს დებულებებიც მართებულად მიგვაჩნია და
ვიზიარებთ.

ი.ი.კოვტუნოვას აზრით, ტექსტის სტრუქტურის ერთ-ერთ
კარდინალურ პრობლემას, რომლის გადაწყვეტას ცდილობს თანამე-
დროვე ენათმეცნიერება, წარმოადგენს ტექსტის გაბმულობისა და
მთლიანობის პრობლემა, რაზედაც პასუხს გვაძლევს ვ.კ.ვინოგრადოვის
იდეები ავტორის სახის შესახებ. ტექსტის შინაგანი მთლიანობა, - წერს

ი.ი.კოვტუნოვა - იქმნება ავტორის სახის ერთიანობით... ავტორის სახე წარმოდგენილია ტექსტის ყველა სახეში"/152,5/.

ი.ი.კოვტუნოვას ამ დებულებას - „ავტორის სახე წარმოდგენილია ტექსტის ყველა სახეში“, - არ იზიარებს მ.ბ.სრაპჩენკო, რომლის მიხედვითაც, ტექსტის სხვადასხვა სახეში ამ ფენომენის (ავტორის სახის - ვ.ს.) დადგენა შეუძლებელია. როგორ შეიძლება ავტორის სახის დახასიათება... საქმის ქალაქებში, საკანონმდებლო აქტებში, ამინდის ცნობაში და სხვა ჟანრის ტექსტებში, თუ მათში საერთოდ არ არის ავტორის სახე. ხრაპჩენკოს სამართლიანად მიაჩნია, რომ ავტორის სახე არ შეიძლება ჩავთვალოთ იმ საწყისად, რომელიც აფორმებს ტექსტის სტრუქტურას /335,5/.

ტექსტის სტრუქტურული მთლიანობის პრობლემას შეეხნენ: ვ.ა.ბუხბინდერი და ე.დ.როზანოვი /48/, ს.ი.გინდინი /100/, ლ.მ.ლოსიკვა /202/, ო.ი.მოსკალსკაია /222/ და სხვები.

დასახელებულ ავტორთა ნაშრომებში ტექსტის სემანტიკური და სტრუქტურული მთლიანობა განხილულია, როგორც სხვადასხვა, განსხვავებული პარამეტრები. ნ.ნ.ტროშინასათვის კი ტექსტის კოპერენტულობა იგივეა, რაც სტრუქტურული მთლიანობა /320,92/.

ჩვენი გაგებით, ტექსტის სტრუქტურული და სემანტიკური მთლიანობანი ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ. როგორც ზემოთ ითქვა, ვიზიარებთ ა.ა.ლეონტიევის აზრს, რომელიც გვაძლევს საშუალებას და უფლებას, რომ ტექსტის სტრუქტურული მთლიანობა და სემანტიკური მთლიანობა განსხვავებულ, სხვადასხვა პარამეტრად მივიჩნიოთ.

ტექსტის სტრუქტურის მთლიანობას განსაზღვრავს ტექსტის თემა, თემის ერთიანობა. ეს კი ნიშნავს, რომ ერთ ტექსტს ერთი რეფერენტი გააჩნია. მეტატექსტების მიკროთემები გვაწვდის სხვადასხვა ინფორმაციას ტექსტის რეფერენტის შესახებ. მიკროთემების ინფორმაციათა გაერთიანება ქმნის ტექსტის სტრუქტურის მთლიანობას. სტრუქტურის მთლიანობა ემორჩილება თემა-რემის მოძრაობის კანონს. ეს უკანასკნელი კი განპირობებულია კომუნიკაციის მიზანდასახულობით.

ტექსტის სტრუქტურის მთლიანობა მიიღწევა კომპონენტების კოპეზიის საშუალებით /იხ.გვ.262/. ჩვენი დებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთი ტექსტი:

I. ონისენ იგრძნო, რომ მას ზღვასავით მოაწვა აღელვებული სისხლი, რომელიც ჩუხჩუხით ხან გულისკენ გაქანდებოდა და აატრეებდა, როგორც ზღვის ზვირთები უაღქრო ნავს, ხან თავს ეძგერებოდა და ნისლსავით ეხვეოდა, უბნელებდა თვალებს და გონებას.

ყმაწვილი ბიჭი ჭავრობდა თავის თავზედ, ჭავრობდა, რომ აღძრული გრძნობა ვეღარ შეემარებინა, ავარდნილი გული ვეღარ შეეყენებინა. ცდილობდა ქალისათვის დასამშვიდებელი სიტყვა რამ ეთქვა, მაგრამ პირგამშრალს თათქოს ყელში რაღაცა გახირობიაო, ენას ვეღარ იბრუნებდა. იმან საუბრისად დაინახა, მალე მოშორებოდა იმ საფრთხეს, სადაც მისი არსება ასე სწრაფად იქმნა დამორჩილებული, გული ასე მოულოდნელად გაქვლილი. II. ონისე გამოეთხოვა ქალსა და გავიდა სამეფო სახლში, სადაც დანარჩენი სტუმრები მხიარულობდნენ: ყმაწვილი ბიჭები ერთმანეთს ებასებოდნენ და მოხუცი ხალხი კი საქარისველოს მომავალ მდგომარეობაზედ ლაპარაკობდა.

ჩქარა მოიტანეს სიფროები, გაავსეს „ფუნთუშებით“ და მოვლილის ჰელილები მსუქანის ხორციით.

III. რადგანაც ეს ამბავი ზამთარში ხდებოდა და იმ ღამეს კი თოვლი მოდიოდა, ამისათვის ყველანი ჩქარობდნენ, რომ პურის კამა მალე გაეთავებინათ და შინ დაბრუნებულიყვნენ, რათა ჩამოსულს ზევეებს სადმე გზა არ შეეკრა და ახალ ჭვარდაწერილები გარედ, ცის ქვეშ არ დარჩენილიყვნენ.

საყველანაშინდო თასმაც ჩამოიარა; გვარის ყუფროსმა, სუფრის თავს მარტოშეკმზედ მჭლომარემ, აანთო წმინდა სანთელი, ახსენა ხეური ჭვარანგელოზი და მექორწინენი ღმერთს შეავედრა. მერე მიუბრუნდა ონისენ და რამდენიმე სიტყვით მოაგონა ხელისმომკიდის მოვალეობა ქალისადმი და მოითხოვა მზითვის ყუთი, რომელიც ჩააბარა მაყრებს.

IV. არ გაიარა წუთმა და ხელისმომკიდე ხელახლა წაიყვანეს სენაში, სადაც კატარძალი უნდა ჩაებარებინათ.

ონისეს ჯერ კიდევ ანგარიში ვერ მიეცა თავის თავისათვის და გაბრუებული, რაღაცა უცნაურ მდგომარეობაში მყოფი, სრულიად დაფანტული ადასრულებდა, რასაც კი ეუბნებოდნენ.

ის შეიყვანეს, მისცეს ქალის ხელი სკოლაში და მოისმა ისევ ჯვარული. ხელისმომკიდემ და ქალმა გამოსწიეს სამყოფი სახლისაკენ, სადაც სიძე იყო, ამ სიმღერის ხმაზედ, რომელიც ონისეს დასაფლავების გალობის ხმად ეჩვენებოდა. იმათ გამოსვლაზედ გუგუა მთლად აინთო, ნალყრდლად გაუბრწყინდა თვალები, შეკავებულმა სიამოვნების ღიმილმა შეუთამაშა ტუჩები და მორცხვობამ თავი დაახრევინა.

V. ონისემ მიიყვანა ქალი და გადასცა სასიძოს, რომელმაც გაშმაგებით საჩქაროდ მიაშველა თავისი ხელი, მხოლოდ საკვირველი ეს იყო, რომ ქალი თითქოს რამდენჯერმე შეკრთა და ხელისმომკიდის ხელის გაშვება ეძნელებოდა, მაგრამ გუგუემ გააელო ხელი და ისეთს რივად მოუქირა, რომ ქალს ძვლებმა ქაბჭახი დაუწყეს და ტკივილისაგან კინალამ შექყვია. ონისე გაუძღვა წინა და მას მიჰყვა მეფე-დედოფალი, სადაც საქმროს მარხილამდე უნდა მიეცილებინა, და იქ პატარძალზედ ზრუნვა ისევ ხელისმომკიდესათვის უნდა მიენდო. პირველ მარხილში ჩასხდნენ, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ ხელისმომკიდე და პატარძალი. მეფე ცხენით უნდა წასულიყო, რადგანაც ქალს ჯვარისწერამდის ვერ მიეკარებოდა. მეორე მარხილზედ დაუწყვეს მზითუევი და ამ სახით, მაყრების სიმღერით, თოფის სროლით და ყუინით გამოსწიეს შინისაკენ“ /419, 498-499/.

მონომობილი ტექსტი შედგება ხუთი მეტატექსტისაგან, თითოეულ მეტატექსტს თავისი მიკროთემა აქვს.

პირველი მეტატექსტის მიკროთემაა - აღვლებული სისხლი

მეორე მეტატექსტისა - ონისეს გასვლა სამყოფო სახლში

მესამე მეტატექსტისა - თოვლის მოსვლა

მეოთხე მეტატექსტისა - ხელისმომკიდისათვის პატარძლის ჩაბარება

ჩუხუთე მეტატექსტისა - ონისეს მიერ ქალის გადაცემა სასიძოსთვის.

ტექსტის თემას შეიძლება დავარქვათ: ონისე - ხელისმომკიდე.

მეტატექსტებში საუბარია ონისე ხელისმომკიდეზე: ნაჩვენებია, თუ როგორ მოაწვა მას სისხლი ძიძიას დანახვის შემდეგ. თუ რო-

გორ ქაერობს იგი, რომ აღქრული გრძნობა ვერ შეაყენა, თუ როგორ ცდილობს, რომ არ იყოს ქალის სიახლოვეს, მაგრამ ბუნება და სიტუაცია გონზე მოსკლის საშუალებასა და დროს არ აძლევს მას, რადგანაც ლამეა, თოვლი მოდის და ყველა ჩქარობს, პურის ქამა მალე გაათავონ და შინ დაბრუნდნენ. ონისეს მოაგონებენ, თუ რა მოვალეობა აცისრია ხელისმომკიდეს ქალისადმი, შემდეგ მისცემენ ქალის ხელს ხელში. ონისე მცირე ხნით ქალს სასიძოს გადასცემს, მაგრამ მარხილში ქალთან ისევე მარტო რჩება ჩვეულებისამებრ.

მეთატექსტების მიკროთემები ემსახურებიან ტექსტის თემის გაშლას, სრულყოფას.

ჩვენი ტექსტი სტრუქტურულად მთლიანია. ამ მთლიანობას განპირობებს მეტატექსტების აზრობრივი კავშირი და ურთიერთობა. ყველა მეტატექსტში საუბარია ონისეზე, ყველა მეტატექსტს ერთმანეთთან აზრობრივად გადააბამს ონისეს თემა. ტექსტს ერთი რეფერენტი გააჩნია - ონისე. ხუთი მეტატექსტის ინფორმაცია - ეს არის სხვადასხვა ინფორმაცია ონისეს შესახებ.

ამ ინფორმაციების მიზანია, გვიჩვენოს ონისეს „უცნაურ მდგომარეობაში“ ყოფნა.

მომზობილი ტექსტის სტრუქტურული მთლიანობა განპირობებულია რეფერენტის ერთიანობით.

ჩვენი ტექსტის კომპონენტები ერთმანეთთან თემა-რემობრივ ურთიერთობაში იმყოფებიან. პირველი მეტატექსტი თემა1-ია, ხოლო მეორე მეტატექსტი რემა1 და თემა2. მესამე მეტატექსტი რემა2 და თემა3. მეოთხე მეტატექსტი არის რემა3 და თემა4. ხოლო მეხუთე მეტატექსტი - მხოლოდ რემა4.

მეტატექსტები ერთმანეთთან ქავეურად არიან დაკავშირებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოცემული ტექსტი თემა-რემობრივადც ერთიანია, რაც საკომუნიკაციო მიზანდასახულობის მიხედვითაც მთლიანს ნიშნავს.

3.3. ტექსტის სემანტიკური მთლიანობა

ტექსტური სემანტიკა წარმოადგენს ამოსავალ სიდიდეს ნებისმიერი სემანტიკური ანალიზისათვის, რომელიც საბოლოო ჯამში

ტექსტის სემანტიკა ენათმეცნიერების ახალი დარგია. ის აღმოცენდა წინადადების სემანტიკის ფონზე. მოცულობის მიხედვით წინადადების სემანტიკა ნაკლებია ტექსტის სემანტიკასთან შედარებით. ტექსტის სემანტიკის მოცულობას განსაზღვრავს აზრის დინამიკა ინფორმაციის სიდიდე.

წინადადების ფარგლებს გარეთ, როცა ისინი ერთიანდებიან და ქმნიან მეტატექსტს, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ენის სემანტიკურ მხარეს. ამას უ.ლ.ჩეიფიც მიუთითებს. იგი წერს: „თუ ენას სემანტიკური თვალსაზრისით შევხედავთ, შეიძლება დავინახოთ, რომ წინადადებათა ურთიერთგანპირობებულობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს... ვინაიდან მთელი რიგი ლიმიტაციები, რომლებიც წინადადების საზღვრებს გადაკვეთენ, აშკარა სემანტიკური ხასიათისანი არიან“ /343, 152/.

დიდია სემანტიკის მნიშვნელობა მეტატექსტის, როგორც წინადადებაზე დიდი ენობრივი ერთეულის, აღმოჩენის საქმეში. მხედველობაში გვაქვს სინტაქსისა და სემანტიკის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის ადეკვატური გადაუქრელობა წინადადების ფარგლებში.

სემანტიკა მეტატექსტისა და ტექსტის პარამეტრია. მეტატექსტის სემანტიკა შედარებით კარგად არის შესწავლილი. აჭ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ლ.პ.დობლაევის /111/, ე.ა.რეფეროვსკაიას /272/, ი.კორჟენსკის /165/, ნ.ი.უინკინის /121/, ე.ფ.სკოროხოვსკოს /291/ და სხვათა ნაშრომები.

ლ.პ.დობლაევის მიხედვით, ყველაზე მკიდრო კავშირი არსებობს უახლოეს (მეზობელ) წინადადებებს შორის. იგი ყველა წინადადებას ყოფს დამოუკიდებელ (აზრობრივად სხვაზე დამოუკიდებელ) და არადამოუკიდებელ (აზრობრივად სხვაზე დამოკიდებულ) წინადადებებად. გარკვეულ წინადადებებს დობლაევი თვლის სემანტიკურად აუცილებელ წინადადებებად, ხოლო დანარჩენებს - სემანტიკურად არააუცილებლად.

ლ.პ.დობლაევი გამოყოფს წინადადებათა დაკავშირების ორ ტიპს: დაკავშირებას, რომელიც განაპირობებს ა) ერთი წინადადების დამოკიდებულებას მეორეზე და ბ) ერთი წინადადების აუცილებლობას მეორისათვის /111, 102/.

ლ.პ.დობლაევის მტკიცებით, თუ წინადადების სემანტიკური დამოკიდებულება სხვა წინადადებებზე უმეტეს შემთხვევაში განპირობებულია მისი სინტაქსური თავისებურებებით, სემანტიკურ აუცილებლობას განაპირობებს ტექსტის აზრობრივი სტრუქტურა /111, 104/.

ი.პ.დობლაევის დებულებები სპეციალისტთა შორის თითქმის საყოველთაოდ გაზიარებულია. ამ ფონზე წინადადებათა აზრობრივ ურთიერთობას და ურთიერთმოქმედებას მიეძღვნა ა.ა.ბრუდნის /41/, ე.ა.ბრიზგუნოვას /42/, ლ.გ.ვედენინას /60/, ვ.ა.იცკოვიჩის /143/ და სხვათა ნაშრომები.

მეტატექსტის კომპონენტებია დამოუკიდებელი წინადადებები, რომელთაც ერიმანეთთან აკავშირებს და აერთიანებ, მიკროთემა. დამოუკიდებელ წინადადებათა აზრობრივი კავშირი ქმნის მეტატექსტის შინაარსს, რომელიც მიკროთემის გაშლას, დახასიათებას, მასზე ინფორმაციას წარმოადგენს. მეტატექსტის შინაარსი, ინფორმაცია ქმნის მის სემანტიკას.

სემანტიკა ტექსტის ძირითადი პარამეტრია ინფორმაციასთან ერთად. ტექსტის სემანტიკა ერთიანი მთლიანი, რომელსაც განაპირობებს ტექსტის თემა. ტექსტის მთლიანი სემანტიკა იქმნება მეტატექსტების სემანტიკის გაერთიანებით, შეერთებით. მეტატექსტების მიკროთემების შინაარსი, ინფორმაცია აზრობრივად ერთმანეთს გადაეხმის, მომღვეწო მეტატექსტი წინამდებარის მიმართ ახალ, სხვა ინფორმაციას შეიცავს და ასე გაგრძელდება მანამდე, ვიდრე მიკროთემების ინფორმაცია საბოლოოდ ტექსტის თემას არ გაშლის, არ დახასიათებს, ვიდრე ტექსტის შესახებ მოცემული ინფორმაცია არ იქნება სრული და ამოწურავი, ვიდრე პირველ მეტატექსტში დასახელებულ რეფერენტზე საუბარი არ დაშთავრდება. ახალი რეფერენტის გამოჩენა თხრობაში კი - უკვე ახალი ტექსტის დასაწყისის მაჩვენებელია მთლიანი ტექსტის სემანტიკა არ უდრის ტექსტში შემავალი მეტატექსტების სემანტიკის შექანისურ ჩამს. აქ არითმეტიკული შეჯამების წესი არ მოქმედებს. მეტატექსტების სემანტიკის მოცულობა ზოგჯერ

გაცილებით მეტია, ვიდრე ტექსტის სემანტიკა, მაგრამ მთლიანი ტექსტის სემანტიკისათვის ამას პრაგმატული მნიშვნელობა აქვს - ტექსტის თემის დიდი ინფორმაციულობა საკომუნიკაციო მიზანდასახულობითაა განპირობებული. გარდა ამისა, აქ თავს იჩენს მწერლის პიროვნება: ნიჭი, წერის მანერა, დრედიცია და სხვა.

ტექსტის სემანტიკა აწესრიგებს, არეგულირებს ნებისმიერი მეტატექსტის ყველა კონკრეტულ სემანტიკურ დატვირთვას, მეტატექსტთა სემანტიკურ კავშირს და განსაზღვრავს თითოეულის ადგილსა და თანმიმდევრულობას ტექსტში.

ტექსტის სემანტიკას და სემანტიკურ ორგანიზაციას მიეძღვნა ვ.ვ.გაყის /79, 81/; მ.ი.ბელზას /50/; უ.ვაინრიხის /59/; ლ.ნ.დალაქიშვილის /105/; ფ.ი.დანეშისა და კ.გაუზენბლასის /107/; ნ.ნ.ლეონტიევის /187, 188/; ლ.მ.ლოსევას /201/; გ.ვ.კოლშანსკის /163/; ო.ი.მოსკალსკაიას /218, 219, 222/; ტ.ი.ნაუმოვას /225/; ა.ი.ნოვიკოვის /235/; ვ.ვ.პადუჩევას /242/; გ.დ.ჩისტიაკოვას /344/ და ბევრი სხვა ლინგვისტის ნაშრომები. ამას გარდა, ტექსტის სემანტიკას მიეძღვნა აგრეთვე რამდენიმე კრებულიც /141; 260; 264; 312/.¹

იმისათვის, რომ მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეექმნას, თუ როგორ ესმით ენათმეცნიერებს ტექსტის სემანტიკა და სემანტიკური ორგანიზაცია, ჩვენ რამდენიმე ნაშრომს წარმოვადგენთ.

უნდა აღინიშნოს გ.დ.ჩისტიაკოვას ნაშრომი /344/. ავტორს მიაჩნია, რომ ტექსტის შინაარსის გაგებას განსაზღვრავს მკითხველის ენობრივი განვითარების დონე: გრამატიკის ცოდნა, ლექსიკური მარაგის სიდიდე, სიტყვათა მნიშვნელობის ცოდნა, სიტყვათა შორის კავშირის დამყარების სისწორე, აგრეთვე მკითხველის ფსიქიკური მდგომარეობა /344, 3/.

¹ ტექსტის სემანტიკისადმი მიძღვნილი ლიტერატურა ამით არ ამოიწურება. შეიძლება დავასახელოთ: Новиков Л.А. Семантика русского языка. М., 1982; Иванов В.В. Очерки по истории семиотики в СССР. М., 1976; Мулуд Н. Анализ и смысл. М., 1979; Мартинов В.В. Универсальный семантический код. Минск, 1977; Мастерман М. Тезаурус в синтаксисе и семантике. - В кн.: Математическая Лингвистика. М., 1964 и др.

ჩისტიაკოვას აზრით, ინფორმაციის გაგების პროცესში არსებითს წარმოადგენს „ტექსტში აზრობრივი საყრდენი ქუნქტების გამოყოფა“. მისივე აზრით, ტექსტი რთული გამონათქვამია, რომელიც შეიცავს დამოკიდებულების რამდენიმე ტიპს: ლექსიკურ-გრამატიკულს, ლოგიკურს, საგნობრივს, მეტაენობრივს /344,5/.

ჩისტიაკოვას მიაჩნია, რომ ინფორმაციის ანალიზის დროს მკითხველი ეყრდნობა არა მარტო ტექსტის დენოტატს, არამედ იმ დენოტატსაც, რომელიც მას (მკითხველს) თვითონ მოეპოვება, ტექსტში კი არ ჩანს, ტექსტის ანალიზი იწყება მისი თემის გამოყოფით. თემაში იმპლიციტურად მოცემულია ტექსტის ყველა დანარჩენი დენოტატი. ტექსტის განვითარება კი ამ დენოტატთა გახსნაში მდგომარეობს. თემა რიგ ქვეთემად იშლება, რომელთა ურთიერთკავშირით განისაზღვრება თემის მნიშვნელობა /344,7/.

ნ.ნ.ლეონტიევა თავის ნაშრომში /188/ საუბრობს იმაზე, რომ ნებისმიერ მთლიან ტექსტში მისი თითქმის ყოველი ელემენტის აზრი მთლიანად ანდა ნაწილობრივ ხელმეორედ გადმოიცემა ტექსტის რომელიმე სხვა ელემენტით. ამ მოვლენას ავტორი აზრობრივ განმეორებას უწოდებს. /188,3/.

ნ.ნ.ლეონტიევას აზრით, აზრობრივი განმეორება შეიძლება იყოს ცხადი და ფარული. ცხადი მდგომარეობს ერთი და იმავე სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებაში, ფარული კი - სინონიმების, აზრობრივად ნაწილობრივ გადამკვეთი სიტყვების ხმარებაში. აზრობრივ განმეორებათა გარკვეული რაოდენობა აუცილებელია მოცემული ენის თვალსაზრისით. აუცილებლად შეიძლება ჩაითვალოს წინადადებიდან წინადადებამდე ერთი და იმავე ობიექტების სახელწოდებების განმეორება, რომელიც აუცილებელია ტექსტის გაბმულობისათვის /188,3/.

ავტორი საუბრობს ტექსტის აზრობრივ შემცირებაზე, რასაც განმეორება იწვევს. შემცირება იწვევს აზრობრივ უსრულობას, რომელსაც ტექსტისათვის აქვს როგორც დადებითი და საჭირო, ასევე უარყოფითი მნიშვნელობა /188,4-7/.

საინტერესოა ტ.ნ.ნაუმოვას ნაშრომი /225/, რომელშიც ავტორი იკვლევს სიტყვისა და გამონათქვამის სემანტიკის შეფარდებას. ავტორის აზრით, სემანტიკური კვლევის თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელი გახდა, გადავიდეთ გამონათქვამის, როგორც ჰეტეოლოების გაქვავებული

პროდუქტის ანალიზიდან, ე.ი.საკუთრივ ენობრივი ტექსტის ანალიზიდან, მისი წარმოშობის სფეროში და... ვნახოთ, როგორი ფაქტორები მონაწილეობენ ამ პროცესში და რითი ხორციელდება შინაარსის ის შეკრულობამოლიანობა, რომელსაც არეგისტრირებენ ლინგვისტები მეტყველების მზა პროდუქტში /225, 9/.

ტ.ნაუმოვას გაგებით, ბოლო მოდელი წარმოადგენს ორი ისეთი პლანის ერთიანობას, როგორიცაა: 1) ორიენტირებისა და აზრობრივი დაქვემდებარების ეტაპი და 2) აზრობრივი პლანის გრამატიკულ-სემანტიკური და მორტორული რეალიზაციის ეტაპი /225, 10/.

ნაუმოვას მიხედვით, დაპროგრამების ეტაპი რამდენიმე ფუნქციას ასრულებს. ესაა: ა) შინაგან კოდში წინამდებელი ეტაპის „მორტივისა“ და „აზრის“ რეალიზაცია; ბ) „მომავალი გამონათქვამის სემანტიკური გაშლა“; გ) „მომავალი გამონათქვამის გაბმულობის პრედიკატული ორგანიზაცია“ /225, 12/.

გრამატიკული სტრუქტურირების ეტაპი, ავტორის აზრით, მდგომარეობს გამონათქვამის გრამატიკული წარმოშობის შეთანხმებული მექანიზმის ურთიერთქმედებაში და წარმოადგენს მთქმელის მიერ შესაძლო საშუალებათა აქტიური შერჩევის პროცესს, რის საშუალებასაც მას ენის სისტემა აძლევს /225, 13/.

დასახელებული ნაშრომები გარკვეული წვლილია ისეთ რთულ და საინტერესო დარგში, როგორიცაა სემანტიკა. გამონათქვამის, ტექსტის სემანტიკის კვლევა - ეს თვით კომუნიკაციის პარამეტრებისა და გზების ძიებაა.

ტექსტის სემანტიკურ ორგანიზაციას ეხება ვ.გ.გაკის გამოკვლევა /79/. ავტორის აზრით, დენოტატურ ასპექტში ტექსტის სემანტიკური ორგანიზაციის ერთეულს წარმოადგენს აღნიშვნა (ანუ ნომინაცია¹), როგორც ენობრივ ელემენტსა და აღსანიშნ არაენობრივ ობიექტს შორის კავშირი. დასახელების აქტში ადგილი აქვს სამი მხარის (სახელის, საგნისა და სუბიექტის) თანაფარდობას /79, 62/.

გაკის მიხედვით, დასახელებულის (ობიექტის) თვალსაზრისით უნდა განვასხვავოთ ერთობიექტიანი და სხვადასხვაობიექტიანი სახელ-

¹ ნომინაციისა და ტექსტის პრობლემას ეხება ნ.დ.არუთინოვას /15/ და ა.რ.ლურისას /208/ ნაშრომები.

წოდებანი, პირველ შემთხვევაში ერთგვარი ან სხვადასხვაგვარი სახელი აღნიშნავს ერთსა და იმავე ობიექტს, მეორე შემთხვევაში კი - სხვადასხვა ობიექტს (იქვე).

ვ.გ.გაკს მიაჩნია, რომ ერთობიექტიანი ნომინაციები განი-
საზღვრება ნომინაციათა შორის სინტაგმატური ურთიერთობით. აქ
ავტორს გარჩეული აქვს ნომინაციის სამი სახე:

1. პირველადი ნომინაცია, საგნის პირველადი აღნიშვნა.

2. განმეორებითი ნომინაცია, ე.ი. უკვე ნახსენები ობიექტის აღ-
ნიშვნა. განმეორებითი ნომინაციის აღმნიშვნელ გრამატიზირებულ
ფორმებს ავტორი მიაკუთვნებს ნაცვალსახელურ ელემენტებს, სი-
ნონიმებს, პიპერონიმებს, შეფასებით და მიმართებით აღნიშვნებს.

3. სინტაგმატურად განპირობებული ნომინაცია, სადაც დასახ-
ელების არჩევანი დამოკიდებულია იმავე ობიექტის არა წინამავალ აღ-
ნიშვნაზე, არამედ სხვა ობიექტების სახელწოდებაზე /79,64-65/.
დამასახელებელი სუბიექტის თვალსაზრისით ნომინაცია შეიძლება
იყოს ერთფოკუსიანი (როცა სხვადასხვა სახელწოდებას ერთი და იგივე
სუბიექტი იძლევა) და სხვადასხვა ფოკუსიანი (ერთ ობიექტს სახელ-
წოდებას აძლევს სხვადასხვა სუბიექტი) /79,65/.

თავის სხვა ნაშრომში /81/ ვ.გ.გაკს მიაჩნია, რომ წინადადებათა
შორის ლოგიკურ-სემანტიკური დამოკიდებულებები წარმოადგენს
ტექსტის სემანტიკურად მნიშვნელოვან ფაქტორს; ტექსტი არის
წინადადებათა ნაერთი, ერთობლიობა.

ვ.გ.გაკის სემანტიკური თვალსაზრისის მთავარი არსი გად-
მოიკემა რეფერენტისა და რეფერენტის კავშირით, სადაც პრი-
ორიტეტი დენოტატს ენიჭება, ხოლო რეფერენტია რიგი თავისებურე-
ბით ხასიათდება.

ო.ი.მოსკალსკიამ ტექსტის სემანტიკას რამდენიმე ნაშრომი მი-
უძღვნა /21& 219; 222; 52-57/.

მისი სემანტიკური თვალსაზრისი ძირითადად შეიძლება შემდეგ-
ნაირად გადმოიკვს: სემანტიკა სინტაქსურია, რადგან ადრე იგი
წინადადებას სწავლობდა. დღეისათვის სინტაქსური სემანტიკის
სფეროში მოქცეულია უმაღლესი დონის სინტაქსური ერთეული - ზე-
ფრაზული მთლიანობა. სინტაქსური სემანტიკა არ სწავლობს
წინადადებისა და ტექსტის კონკრეტულ აზრობრივ შინაარსს

(მოსკალსკაიას ტექსტი ესმის, როგორც მთლიანი სამეტყველო ნაწარმოები - ვს.). მის ამოცანას ავტორი ხედავს იმაში, რომ გამოავლინოს ყველაზე ზოგადი აზრობრივი სტრუქტურები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ წინადადების თუ ტექსტის აკებას და ასახავენ აზროვნების ფორმებს. ასეთი ანალიზი მიესადაგება ზეფრაზულ მთლიანობას, რადგან იგი არის დამთავრებული აზრის გამომხატველი გამონათქვამი; მისი გამოყენება შეიძლება მთლიანი სამეტყველო ტექსტის მიმართაც /222, 52/.

ო.ი.მოსკალსკაიას აზრით, ზეფრაზული მთლიანობის სემანტიკური ანალიზი გულისხმობს მასში შემავალ გამონათქვამთა დათვლას. ტექსტის სინტაქსური სემანტიკის წყაროს წარმოადგენს ტექსტის საკომუნიკაციო მიზანდასახულობა და რელატიური სტრუქტურა, ანუ მის კომპონენტებს შორის აზრობრივი ურთიერთობის სისტემა /222, 55-64/.

ტექსტის რელატიური სტრუქტურის კვლევა მოითხოვს კომპონენტების გაერკიანებას ერთ ფორმად. ამისათვის ტექსტის კომპონენტები - რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი წინადადებები (აგრეთვე წინადადებები გართულებული სინტაქსური სტრუქტურით) იშლება მარტივ წინადადებებად, სადაც ნათლად ჩანს მათი თანმიმდევრობა /222, 70/.

მოსკალსკაიას აზრით, რთულ სინტაქსურ მთლიანობაში (ტექსტში) შემავალი ელემენტარული ერთეულების - წინადადებების შემადგენლობიდან ტექსტის სემანტიკურ რეპრეზენტაციაში უნდა ჩაირთოს ის ელემენტები, რომლებიც რელევანტური არიან მთლიანის აზრობრივი სტრუქტურისათვის. ეს კი გულისხმობს ძირითადი რეფერენტის დადევნას (რომლის გარშემო იქმნება გამონათქვამი), წინადადების მღგენელთა საკომუნიკაციო ფუნქციის განსაზღვრას და სხვა. /219, 55/.

გაკვირვებას იწვევს, რა თავისუფლად ეკიდება მოსკალსკაია ტერმინებს. წინადადება, ზეფრაზული მთლიანობა, ტექსტი მისთვის თოჯინებია, რომელთაც იქ დაასკუპებს, სადაც მოესურვება. ან კიდევ ტექსტი ხან მთლიანი სამეტყველო ნაწარმოებია, ხან მისი ნაწილი, ხან კი ზეფრაზული მთლიანობა, ეს უკანასკნელი კი ზოგჯერ წინადადების როლშიც გამოდის.

იმის გამო, რომ წინადადების აზრი იყო სემანტიკის კვლევის საგანი, ტექსტის აზრის შესწავლელ სემანტიკას სინტაქსურს ვერ დავარკვევთ. მას ტექსტის სემანტიკა ან ტექსტური სემანტიკა უნდა ეწოდოს. თუმცა, როგორც ჩანს, მოსკალსკაია ვერ ელევება ტრადიციულ ტერმინოლოგიას. მეცნიერების ახალ დარგს „ტექსტის გრამატიკას“ არქმევს. თუმცა კარგად იცის, რომ ძველი, ტრადიციული გრამატიკიდან ტექსტის საანალიზოდ მას არაფერი აუღია. სინტაქსური სემანტიკის თქმის უფლებას მას ისიც აძლევს, რომ ზეფრაზული მთლიანობა და ტექსტი მისთვის სინტაქსური ერთეულებია. ამ რიგში სინტაქსური სემანტიკაც პარამონიულად ეღერს.

გაუგებარია მოსკალსკაიას განცხადება, რომ „სინტაქსური სემანტიკა არ სწავლობს წინადადებისა და ტექსტის კონკრეტულ აზრობრივ შინაარსს“. ჭერ ერთი, ამ კონტექსტში ავტორს არ უნდა ჩაერთო „წინადადება“, რომლის სემანტიკა დიდი ხანია იკვლევება წინადადების სემანტიკაში და რომელსაც ავტორი სინტაქსურ სემანტიკას უწოდებს. აქ საუბარი უნდა ყოფილიყო ტექსტის სემანტიკის ამოცანაზე, რომელიც მართლაც მდგომარეობს კონკრეტული ტექსტის - როგორც უმაღლესი დონის ენობრივი ერთეულის (და არა მთლიანი სამეტყველო ნაწარმოების) - კონკრეტული აზრობრივი შინაარსის შესწავლაში.

ასევე გაუგებარია მოსკალსკაიას განცხადება იმის შესახებ, რომ ზეფრაზული მთლიანობის სემანტიკის გასაგებად საჭიროა გამონათქვამთა დათვლა. გაუგებარია აგრეთვე ავტორის მტყიცება. თითქოს კომპონენტების ერთ ფორმად გაერთიანებისათვის საჭირო იყოს ტექსტის კომპონენტების (იგულისხმება ზეფრაზული მთლიანობის კომპონენტების - ვს.) - რთული წინადადებების - დაშლა მარტივ წინადადება-პროპოზიციებად. ამ პროცედურას ტექსტის სემანტიკასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

არასწორია გამოთქმა „წინადადების მდგენელთა (კომპონენტთა) საკომუნიკაციო ფუნქციის განსაზღვრა“. წინადადების კომპონენტები სიტყვებია, სიტყვებს კი საკომუნიკაციო ფუნქცია არ გააჩნიათ. უმცირესი საკომუნიკაციო ერთეული თვითონ წინადადებაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ო.ი.მოსკალსკაიას ზოგი დებულება უფრო ადრე სხვების მიერ იყო გამოთქმული. მხედველობაში გვაქვს ე.ვ.პადუჩევის მონოგრაფია /242/, სადაც ავტორი აღწერს

„სინტაქსური სემანტიკის“ საკითხებს. აღწერის ძირითად მეთოდად აღიარებულია სინტაქსური კონსტრუქციების სინონიმების აღწერა, სადაც სინტაქსური სინონიმის მნიშვნელოვან სახედ ჩათვლილია სინონიმია-განმარტება. ამისათვის კი წინააღმდეგა იშლება მარტივ მდგენელებად. ეს იგივეა, რაც მოსკალსკაიას მოსაზრება - ტექსტის ანალიზისათვის საპირა წინადადების დაშლა ელემენტებად!

ტექსტის დაყოფა წინადადებათა აზრობრივი ჯგუფების მიხედვით,¹ რომელიც წარმოადგენს ტექსტის აღქმის პროცესის განუყოფელ ნაწილს, ღრმად და ვრცლად არის გაანალიზებული ან.სოკოლოვისა /299/ და ა.ა.სპირნოვის /295/ გამოკვლევებში.

ამ ნაშრომებში დადგენილია, რომ წინადადებათა თითოეულ ჯგუფში გამოიყოფა აზრობრივი „საყრდენი პუნქტები“, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან თავისებური ტექსტის აზრობრივ სქემას. თავისთავად ეს „საყრდენი პუნქტები“ არ ამახსოვრდება ადამიანს და შემდეგში დამახსოვრებულის კვლავლდგენაში ჩვეულებრივ არ მონაწილეობენ. საყრდენი პუნქტების გამოყოფა აიძულებს მთქმელს, ჩაწედეს ტექსტის აზრს და ამით ხელს უწყობს გაგებას, ხოლო მისი მეშვეობით ტექსტის აზრის დამახსოვრებასაც და კვლავლდგენასაც. აზრობრივი საყრდენი პუნქტებისაგან უარის თქმას ან მათი გამოყოფის სირთულეს მიჯნევართ დამახსოვრების გაუარესებამდე ან კვლავლდგენის თითქმის სრულ შეუძლებლობამდე.

ა.ა.ბრუდნის ნაშრომში /41/ წამოყენებულია ჰიპოთეზა, რომ დაწერილი ტექსტის გაგების პროცესი სამ დონეზე ხორციელდება. პირველი - ეს არის მონტაჟის დონე: ტექსტი, რომელსაც ვკითხულობთ, თითქოსდა მონტაჟდება შეგნებაში თანმიმდევრულად ერთმანეთის შემცვლელი მონაკვეთებისაგან, რომლებიც აზრობრივად შედარებით დამთავრებული არიან. მეორე დონეზე ერთდროულად პირველთან მიმდინარეობს ტექსტის ელემენტების შეპირისპირება და ამის შედეგად მათი პირველადი თანაფარდობის გარდაქმნა... მესამე დონეზე პარალელურ. უ მიმდინარეობს ტექსტის რომელიღაც ზოგადი მნიშვნელობის გამოვლინება. ეს დონეები ყოველთვის არის წარმოდგენილი გაგების

¹ ამ შემთხვევაში ტექსტად გაგებულია წინადადებათა ჯგუფების ერთობლიობა - ვს.

პროცესში, მაგრამ თითოეული მათგანის როლი იცვლება ტექსტის აზრობრივი სპეკიფიკიდან გამომდინარე.

უნდა აღინიშნოს ო.ნ.სემიონოვას საინტერესო გამოკვლევა /282/, რომელშიც მოცემულია ერთი ნაწარმოების სემანტიკურ-სტილისტიკური ანალიზი.

სემანტიკური მთლიანობა ტექსტის ძირითადი და მთავარი პარამეტრია.

3.4. ტექსტის საკომუნიკაციო დანიშნულება

„წინადადებით ჩვენ ვტოვებთ ენის, როგორც ნიშანთა სისტემის, უბანს და შევლივართ სხვა სამყაროში, სამყაროში ენისა, როგორც სამეტყველო ურთიერთობის საშუალებისა, რომლის გამოხატულებას წარმოადგენს მეტყველება“

ე.ბენვენისტი
/30 247/

ტრადიციული გრამატიკა თავისი შესწავლისა და ანალიზის უმაღლეს ობიექტად და ადამიანთა სამეტყველო ურთიერთობის უდიდეს ერთეულად წინადადებას მიიჩნევდა. წინადადების საზღვრებიდან ენათმეცნიერებამ ჩვენი საუკუნის 40-იანი წლებიდან გადაიხედა. ახლის ძიების სურვილის საფუძველი გლობალურ ობიექტურ სინამდვილეში უნდა ვეძიოთ. ომის შემდგომ რამდენიმე ათეულ წელიწადში კარდინალურად შეიცვალა ჩვენი ცხოვრების წესი და რიტმი. ადამიანს გვერდით ამოუდგა „ჰეკიანი, მოაზროვნე“ მანქანა, ტელევიზორი, რობოტები თუ გამომთვლელი მანქანები, რომლებიც არა თუ ითვლიან (ასრულებენ წუთში მილიონობით ოპერაციას), არამედ თარგმნიან კიდევ; ხელოვნური თანამგზავრები თუ გადანერგილი გული (გული, ფილტვი და თირკმელიც ერთად), ლაზერი თუ გენი, ტელეხიდეები თუ უთვალავი ინფორმაცია და მრავალი აქამდე არნახული, როგორც ჩანს, ვერ ეტევა წინადადებებით განზორციელებულ ენობრივ ურთიერთობაში და ეძებს ისეთ ოდენობას, რომელიც დიდსა და რთულ ინფორმაციას ჩაიტევს. გარდა ამისა, ენათმეცნიერებას უკვე

ანტერესებს არა ფორმისა და ზედაპირული აზრის ანალიზი, არამედ ტექსტში ჩადებული სემანტიკა და ამ ინფორმაციის საკომუნიკაციო დანიშნულება.

ტექსტი ჩვენი დროის ენის უმაღლესი სამეტყველო ერთეულია, რომლის მთავარი ფუნქცია არის კომუნიკაცია.

ცნობილია, რომ ენათმეცნიერებაში ფართოდ იყო და არის გავრცელებული შეხედულება ენისა და მეტყველების არსებობისა და ურთიერთობის შესახებ. ამის შედეგი იყო, რომ შეიქმნა ენათმეცნიერების ორი დარგი, რომელთაგან ერთი სწავლობდა ენას, ხოლო მეორე - მეტყველებას. ესა განიხილებოდა, როგორც სისტემა წესებისა, ხოლო მეტყველება - როგორც ამ წესებისა და საშუალებების გამოყენება ენობრივ ურთიერთობაში, ეს საკითხები ღრმად და ფართოდ არის გაშუქებული ენათმეცნიერებაში, ამიტომ მის აქ გაშუქებას არ შევუდგებით.

ტექსტის ლინგვისტიკის დონეზეც მიაჩნიათ, რომ ტექსტი მეტყველების ერთეულია და არა ენისა. თუ როგორ დგას ენა-მეტყველების საკითხი ტექსტის ლინგვისტიკაში, შეგიძლიათ ამას გაეცნოთ ი.რ.გალპერინის /87/, ვ.ა.ზვეგინცევის /129/, ა.ტკრივონოსოვის /169/ და სხვათა ნაშრომებში.

ჩვენთვის ენა და მეტყველება, როგორც აღვნიშნეთ, ერთიანია, მთლიანია. მეტყველება ენის არსებობის ფორმაა. ენა არსებობს და ასრულებს თავის უპირველეს და ძირითად საზოგადოებრივ ფუნქციას, იგი არის ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, იარაღი; ასრულებს კომუნიკაციურ ფუნქციას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა ელერს, როცა მასზე მეტყველებენ.

მართებულად შენიშნავს გ.ვკოლშანსკი, როცა წერს: "Язык человека есть именно средство общения, и любая единица, фрагмент или акт общения есть его конкретное и дискретное существование, которое одновременно определяет любую единицу как элемент категориальной принадлежности к человеческому языку («речевой язык») - 160, 57.

იყო დრო, როცა ადამიანთა ენობრივი ურთიერთობის უმაღლეს ერთეულად ითვლებოდა წინადადება. მისი ეს ფუნქცია სრულად და ვრცლად არის გაშუქებული ენათმეცნიერებაში. ტექსტის ლინგვისტიკის ეპოქაში ტექსტი ითვლება კომუნიკაციის უმაღლეს ენობრივ

ერთეულად. ტექსტის საკომუნიკაციო დანიშნულებას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. მათ შორის აღსანიშნავია: ო.ლ.კამენსკაიას /144/, გ.ვ.კოლშანკის /159; 160; 161/, მ.ა.პრობსტის /266/ ნაშრომები და აგრეთვე ორიოდ სამეცნიერო კრებული /313; 314/.

ტექსტის საკომუნიკაციო ფუნქციას თავიანთ ნაშრომებში ეხებიან: ი.რ.გალპერინი /85/, ო.ი.მოსკალსკაია /222/, ტ.მ.ნიკოლაევა /230; 232/ და სხვები.

როცა ჩვენ ვამბობთ, ტექსტი არის საკომუნიკაციო ერთეული, მხედველობაში გვაქვს მხატვრული ნაწარმოების ტექსტი, ყერძოდ, ქართული მხატვრული ლიტერატურის მონოლოგური ტექსტი. მხატვრული ტექსტი განსხვავდება სხვა (მეცნიერული, პუბლიცისტური, იურიდიული...) ტექსტებისაგან. მხატვრულ ტექსტს, როგორც კომუნიკაციის ერთეულს და საშუალებას, მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა. მათ შორის აღსანიშნავია: ა.ი.დომაშვილის, ი.პ.შეშინას და ე.ა.გონჩაროვას ერთობლივი ნაშრომი /113/, კ.ვ.კოვენიკოვას /155/, ი.მ.ლოტმანის /204; 205/, გ.ვ.სტეფანოვის /303/, ა.ასტრეიენკოს /304/ გამოკვლევები. ამ პრობლემას მიეძღვნა აგრეთვე რამდენიმე კრებული /192; 262/.

როცა მხატვრული ტექსტის თავისებურებებზე საუბრობენ, სპეციალისტებს მხედველობაში აქვთ მხატვრული ნაწარმოების სამყაროს წარმოსახვითი სინამდვილე, ამ სინამდვილის ასახვა სახეებით. გარდა ამისა, ყურადსაღებია ისეთი საკითხების პრობლემა, როგორცაა ადრესანტი, ცნობა, ადრესატი, კოდირება, დეკოდირება... აგრეთვე ისეთი ცნებები, როგორიცაა ისტორიული ფონი, კულტურული და სოციალური ფონი /304, 83-84/.

ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტექსტის შინაარსს ან, როგორც ტექსტის ლინგვისტიკაშია მიღებული, ტექსტის ინფორმაციას. სპეციალისტებმა ამ საკითხსაც მიუძღვნეს რამდენიმე გამოკვლევა. მათ შორის უნდა აღინიშნოს ი.რ.გალპერინის /83; 85/, ნ.ი.ჟინკინის /121/, ი.ი.კოვტუნოვას /153/ ნაშრომები. არსებობს გამოკვლევა სამეცნიერო ტექსტის ინფორმაციული ღირებულების შესახებაც (ი.ვ.დმიტრიევსკაია, 180).

თავის წიგნში /83/ ი. რ. გალპერინი ცდილობს, გამოავლინოს ბგერების, მორფემების, სიტყვების, სიტყვათშეხამებების სინტაქსური

კონსტრუქციების და სტილისტიკური საშუალებების შესაძლებლობანი - ფორმებისა და მნიშვნელობის მოდიფიკაციის გზით მონაწილეობა მიიღონ კომუნიკაციაში. ავტორმა დაუშვა, რომ თვითონ ეს ერთეულები არ შეიცავენ რაიმე ინფორმაციას, მაგრამ მონაწილეობენ რა ენტროპიის მოხსნის პროცედურაში, შეუძლიათ აქტიურად დაეხმარონ გამონათქვამის ცალკეულ ერთეულებს აზრის ფორმირებაში.

ი.რ.გალპერინი ინფორმაციას ტექსტის ძირითად კატეგორიად მიიჩნევს /85,27/. ამ კატეგორიისათვის დამახასიათებლად იგი თვლის ორ პრობლემას, რომლებიც სცილდებიან ლინგვისტიკის სფეროს. პირველი პრობლემაა ახლის (უცნობის) პრობლემა, ხოლო მეორე - მიღებული ინფორმაციის ღირებულება.

ი.რ.გალპერინი ინფორმაციას სამ ჯგუფად ყოფს. ესენია: ა) შინაარსობრივ-ფაქტუალური ინფორმაცია, ბ) შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია და გ) შინაარსობრივ-ქვეტექსტობრივი ინფორმაცია.

შინაარსობრივ-ფაქტუალური ინფორმაცია, ავტორის აზრით, შეიცავს ცნობას ფაქტის, ამბის, ჩვენს გარემომცველ ნამდვილ თუ წარმოსახვით სამყაროში მიმდინარე პროცესების შესახებ. შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია მკითხველს აცნობს მოვლენათა შორის კავშირის ავტორისეულ გაგება-შეფასებას, მათ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს. ინფორმაციის პირველ ტიპს იგი უწოდებს ყოფით ინფორმაციას, ხოლო მეორეს - მხატვრულ-ესთეტიკურ ინფორმაციას. შინაარსობრივ-ქვეტექსტობრივი ინფორმაციას გალპერინი უწოდებს ფარულ ინფორმაციას, რომელიც გამომდინარეობს შინაარსობრივ-ფაქტუალური ინფორმაციიდან ენის ერთეულთა წყალობით, რომელთაც შეუძლიათ ასოციაციური და კონოტაციური მნიშვნელობის შექმნა /85, 27-28/.

ინფორმაციას გალპერინი თვლის გრამატიკულ კატეგორიად /85,29/.

გალპერინს მიაჩნია, რომ ინფორმაცია, როგორც ნებისმიერი სხვა კატეგორია, შედგენდება განსაზღვრულ ფორმაში, სახელდობრ, ისეთ ფორმებში, როგორიცაა: ცნობა (содержание) აღწერა,

მსკელობა, წიგრილი, რეზოლუცია, ხელშეკრულება, სტატია, შენიშვნა, ცნობა (справка) და სხვა (85, 31).

ი.რ.გალპერინის ამ დებულებებს ჩვენ შევხვდებით მხატვრული მონოლოგური ტექსტის პოზიციებიდან. ინფორმაციას ჩვენ არ ვთვლით ტექსტის კატეგორიად, მით უმეტეს ძირითად კატეგორიად. კატეგორიად ჩვენ ჩავთვალეთ პარამეტრი (ან პარამეტრები), რომელიც შეიძლება ჰქონდეს ერთეულს, ოდენობას ან არ გააჩნდეს მას. თუ ინფორმაციას ტექსტის კატეგორიად ჩავთვლით, გამოდის, რომ შეიძლება არსებობდეს ტექსტი ინფორმაციის გარეშე.¹

სინამდვილეში კი ტექსტი, რომელიც არ შეიცავს ინფორმაციას, არ არსებობს. ტექსტი თავისთავად გულისხმობს ინფორმაციას. ალოგიკურია მსკელობა, თითქოს არსებობდეს ტექსტი, რომელსაც არა აქვს შინაარსი. შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაცია ტექსტის არსებობის წესია. იმ ინფორმაცია ტექსტის კატეგორია არ არის, მით უფრო არ არის იგი გრამატიკული კატეგორია, რადგან ტრადიციული გრამატიკის არც ერთი კატეგორია მას (ინფორმაციას) არ სჭირდება, ამ კატეგორიებით არ იზომება, არ ფასდება. ინფორმაცია იზომება და განისაზღვრება ისეთი პარამეტრებითა და კატეგორიებით, როგორცაა აზრობრივი დამთავრებულობა, თემის ერთიანობა, სემანტიკური და სტრუქტურული მთლიანობა, გაბმულობა, მოდალობა და სხვა.

არ ვეთანხმებით გალპერინს ინფორმაციის სამ ჯგუფად დაყოფის შესახებ: შინაარსობრივ-ქვეტექსტობრივი ინფორმაცია ინფორმაციის ძირითად სახედ არ მიგვაჩნია. ქვეტექსტი იმპლიციტურია, გაუფორმებელი და განუსაზღვრელი. ქვეტექსტი არ შედის ინფორმაციის ძირითად სტრუქტურაში, ის საძებნია, საპოვნი. ნებისმიერი მკითხველი მას ჯერ „წაიკითხას“, ჯერ აღმოაჩენს, აღმოაჩენთა შორისაც იშვიათთა აზრთა ერთიანობა მის შესახებ. ქვეტექსტი ინფორმაციის მეორე

¹ ჩვენი აზრით, უნდა გაირკვეს რამდენიმე ტერმინის საკითხი. ინფორმაცია იგივეა, რაც შინაარსი და იგი ტექსტს განეკუთვნება. მნიშვნელობა აქვს მორფემას, სიტყვას, სიტყვათ შეხამებას. აზრი გააჩნია წინადადებას. მკატეგორიულად გადმოცემულ შინაარსს შეიძლება მოკლე ინფორმაცია ვუწოდოთ.

მხარეა. ჩვენ კი ქერაჯერობით ნაღდი, ენობრივი, ტექსტობრივი ინფორმაცია გვაინტერესებს.

ვერც იმაში დავეთანხმებით გალპერინს, რომ ინფორმაცია, როგორც კატეგორია, მელავნდება ისეთ ფორმებში, როგორცაა ცნობა, აღწერა, წერილი, სტატია... ეს ფორმები ინფორმაციის კატეგორიის არსებობას კი არ ამტკიცებენ, არამედ იმას, რომ არ არსებობს ცნობა, აღწერა, მსჯელობა, წერილი, სტატია, ხელშეკრულება... შინაარსის გარეშე. თუ ამ ფორმებს ინფორმაცია არ ექნებოდათ, ისინი ვერ იქნებოდნენ, ვერ განოღებოდნენ კომუნიკაციის საშუალებად.

ინფორმაციის ღირებულებას კი მწერლის ნიჭი განსაზღვრავს. ის ინფორმაცია, რომელიც ჩადებულია „ვეფხისტყაოსანში“, „მერანში“, „მთაწმინდის მთავარში“, „ეკვენი ონეგინში“, „აიალდ-ქაროლდში“, „ფაუსტში“... გვიჩვენებს, რომ მათში გენიოსების სუნთქვა ისმის და მათ ქეშმარიტებისა და მარადიულობის ბეჭედი ატყვია.

უნდა აღვნიშნოთ ტ.მ.ნიკოლაევას მიერ ტექსტის კატეგორიად გამოყოფილი „ამბავი“ (ფაქტი, მოვლენა), რომელიც ავტორის მიერ გააზრებულია, როგორც ზოგადი სახით ზოგიერთი მოვლენის (ფაქტის) სრული აღწერა /234, 199/.

ამ კატეგორიისათვის ტ.მ.ნიკოლაევა არსებითად თვლის „აზრის დაცვას, შენარჩუნებას“, რომელშიც გულისხმობს „ამბის არსის გადმოცემას; ერთი ამბის კომპონენტებს შორის შინაგანი ურთიერთობის ორგანიზაციას“ /234, 203/.

ტ.მ.ნიკოლაევას მიერ ტექსტის კატეგორიად გავებული „ამბავი“ ჩვენ არ მიგვაჩნია ტექსტის კატეგორიად. ეს „ამბავი“ სხვა არაფერია, თუ არა ტექსტის შინაარსი, ინფორმაცია.

შეიძლება ვთქვათ, რომ კომუნიკაცია - ეს თვით ტექსტია /160, 52/, ხოლო ტექსტის შინაარსი - მხატვრული მონოლოგური ტექსტის ინფორმაცია.


ტექსტის, როგორც უმაღლესი დონის ენობრივი ერთეულის, საკომუნიკაციო დანიშნულება ემყარება მეტატექსტებს შორის თემარემობრივ ურთიერთობას, აზრის მოძრაობას ერთი მიკროთემიდან მეორე მიკროთემამდე, ვიდრე მთლიანი თემის სრულ გახსნამდე. ინფორმაცია იმიტომ არის კომუნიკაციის საგანი და საშუალება, რომ ემორჩილება აქტუალური დანაწევრების ანუ ფუნქციონალური პერ-

სპექტივის თეორიას. ამ თეორიის როლის შესახებ ტექსტის დონეზე რამდენიმე ნაწილობრივ არსებობს, მათ შორის უნდა აღინიშნოს გ.ა.ზოლოტოვის /133/, ვ.ა.მატვეენკოს /214/, ო.ი.მოსკალსკაიას /222/, ე.ვ.პალუჩევას /243/ გამოკვლევები.

თემა-რემის არსი ტექსტის დონეზე იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მომდევნო მეტატექსტი საკომუნიკაციო პლანში ეყრდნობა წინა მეტატექსტს, რომლის მიმართ, როგორც ცნობილის, თემის მიმართ, ის წარმოადგენს ახალს, რემას. მეტატექსტების ასეთი თემა-რემობრივი ჯაჭვი მაშინ შეიკვრება, როცა ტექსტის თემაზე ინფორმაცია ამოიწურება.


ტექსტის საკომუნიკაციო დანიშნულება თემა-რემის ურთიერთობის მიხედვით რამდენიმე მოდელს ეყრდნობა.

1. როცა მომდევნო მეტატექსტი პირველის მიმართ რემაა, ხოლო რემა მეტატექსტი მომდევნოსათვის თემაა. და ა.შ. ამ შემთხვევაში გვაქვს მეტატექსტე...ს ჯაჭვური გადახლართვა. ეს ურთიერთობა ასეთი სქემით გადმოიცემა:




სრულ გახსნამდე, ამოწურვამდე მივიღოდეთ.

2. გვაქვს თემა-რემის ურთიერთობა გამჭოლი თემით, რომელიც ასეთი სქემით გამოიხატება:



3. როცა თემა-რემის ურთიერთობა ემყარება იმ მიკროთემების არსებობას, რომლებიც გამომდინარეობს საერთო თემიდან, აქ მეტატექსტები ერთმანეთს პარალელური დაკავშირებით უერთდებიან. გვაქვს ასეთი სქემა:



უნდა ითქვას, რომ ეს მოდელები ან ამ საბით, ან შორეული საბით არსებობენ.

ნათქვამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი ტექსტი:

ვაი, საშოაა ჩემსა, რამეთუ გზობე,

ვაი, ძუძუთა ჩემთა, რამეთუ გზარდე,

ვაი, ბაგეოთა ჩემთა, რამეთუ გიძახობდი და არ გამეც ხმაი,

ვაი, თვალთა ჩემთა, რამეთუ გიტირე.

1. ღამეს ნაბდის კარავი დაედგა ხილნარში, რატისეულ სასახლეში ავზავნიდა, თავის დესპანებს.

აღარ თენდებოდა, აგვისტოს ხვატი ვერ გაენელებინა ბნელსაც.

ერთადერთი ქალის გარშემო თვალისმომკრელი სისწრაფით ცეკვავდნენ ფრთაშობილები, თალხი პეპლები, ბორგავდა ავადმყოფი, იგი არც ამ პეპლებს ხედავდა, არც ღამურებს, კერს ქვეშ მორიალეთ, ჩრდილები ღასლასებდნენ ირგვლივ, ქალის ალზე იტრუსებოდნენ პეპლები, ძირს სცვივოდნენ ვანწირულები, მაგრამ მაინც ახალსა და ახალ ღამურებს უშენდა ქალის შუქს ღამე, პეპლები ცეკვავდნენ, დაღასლასებდნენ ჩრდილები დარბაზში.

ვაჟაკურად ებრძოდა წიწამურის ველზე მამალი ხოხობი ღამეს.

2. თავი აიღო არსაკიძემ, სიცხისაგან გაოგნებულმა. სარკმლიდან მოსჩანდა ღურჭი, ნავსებით ღურჭი ცარგვალა, სწორედ ისეთი, როგორც ნაავდრალი შავი ზღვა.

ვარსკვლავები მაინც ანათებდნენ ბნელს, აფახულებდნენ ოქროსფერ წამწამებს.

ნონაი ბალახებს ხარშავდა თავის სამყოფლოში და როცა ცრემლი მოზღვავედებოდა, კაბის კალთით იწმენდა თვალებს.

წუხდა ნონაი, არც ბოდოვია სჩანდა საღმე, აღარც დედა სულთმობრძავეისა.

3. ისევ აიღო ავადმყოფმა თავი, ასე ეჩვენა კონსტანტინეს:

ბუს მართივე უხმობსო ღამეს.

თვალი დახუჭა, ნელი, ნელი ხმით სთქვა: „წყალი“, სწყუროდა ავადმყოფს, იქვე იდვა წყალი, მარჯვენა მკლავი აღარ ქმონდა, მარცხენას ველარ ხმარობდა მხარში დაქრილი.

4. ხედავდა: წყალი იქცეოდა ნაპირებიდან. არა, ზღვა იყო ეგ ღურჭი ზღვა, ოქროს თევზები ხომ არ თამაშობდნენ შიგ?

ლაზური სოფელი და ველესია დაღანდა ზღვისპირად, აღვის ხეები, ლაზური ოდა აღვის ხეები, ცამდის მაღალნი.

მერმე მთები გამოჩნდნენ, ფხოვის მშვენიერი მთები აქაც უხვად იღვრებოდა ქარაფებიდან წყალი, მაინც არავის მოქაჩნდა იგი.

ფხოვერი, ქვიციკის პატარა ეზოში დაფათურობს შავით მოსილი დიაცო, ფხოვერი მანდილი ახურავს შავი.

ცალ ხელში შავტარინი დანა უქირავს სისხლიანი შავი ცხვრისთვის უძვერებია ველში და მოთქრიალებს წყალი კი არა სისხლი. მისწვდა არსაკიძე, მაგრამ გაბოროტდა დედა ახლოს არ გაიყარა თავისი საყვარელი უტა.

ქარაფებიდან იღვრებოდა წყალი, ქეხბდნენ მშვენიერი ჩქარალები ფხოვისა, მაგრამ გაუძღისი სიციხე იდგა მთებში.

მოწეურებელი ქორები აწყდებოდნენ უწყალო ცას.

• 5. წყალო, დაიძახა არსაკიძემ უძღური ბმით და ბაღლივით იტირა, დედამაც რომ არ მიუტანა წყალი.

შეეშინდა, არავინ ნახოსო ცრემლი გამოიღო საბნიდან მარცხენა ხელი, თვალზე წამოიფარა.

გამოეთხოვა მთებსა და ზღვას, გამოეთხოვა თავის ტყბილ სიყრმესა და სიკაბუჯეს გამწარებულს.

6. ასე მოესმა აეადმუფს: რაღაც ფაქუნოსო კუთხეებში. რაღაც დაეცა სველ ლაწვზე, უბწყინა, ხოკო ხომ არ იყო ეს?

ამასაც გრძნობდა: საბნის ქვეშაც ფაქუნობდა რაღაც, გააფრთხლა ანაზღად და აცახცახდა მერმე აღასლანდნენ ჩრდილები დარბაზში.

7. უზარმაზარი ლანდი ჩამოვიდა კედლიდან, მგლისფერმა თვალებმა გათელვეს ბნელში.

და ერკინ ებოდა მხატვარს გრძელწვერა მოხუცი, მერმე მისწვდა იგი კრილობიან ბარკალს და დაუბუშა ვრცელი ბარკლისათ.

მოეძალა ბობლია ლანდი, მგლისებრი თვალები შემოანათა და სთხოვა სული.

არ მისცა სული მგლისებრთვალემა მოხუცებულს მხატვარმა. დიდხანს ებრძოდა წინაურის ველზე მამალი ხობობი ღამეს.

მ. ბოლო მოაწია რიერაჟმა, ატყდა ნათლის ლიცილი გარეთ, ყაყაობები დაათოვა მწვერვალებს ცამ. იფრქვეოდა იისფერი შუქი, როგორც ჩქერალები ფხოვის მთებიდან.

შორენა ჩამოვიდა კედლიდან, ხატურნი ფარჩის კაბა ეცვა შავი, ოქროსფერი თნები გადმოღვრილიყვნენ მხრებზე, მოდიოდა ყაყაობების ველზე, თავთუხის თავლებს ესროდა უტას, ყაყაობებსა და თავთუხის თავლებს.

დაუჩოქა სამგზის სანატრელმა, სთხოვა დიდოსტატს სული.

ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთაგან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რადგან სვეტიცხოვლისთვის შეეწირა იგი.

9. უთენია ჩამოვიდა ფხოვიდან დედა და როცა მორიელებისაგან დაკბენილი შვილი დაინახა, გაქვავდა თურმე.

... და ეს ანბავიკ ავაზის დღეს მომხდარა.

/412 79C-792/.

მომხობილი ტექსტი შედგება ცხრა მეტატექსტისაგან, რომლებიც მისი კონსტიტუენტებია. ყველა მეტატექსტს თავისი მიკროთემა აქვს. ეს მიკროთემებია:

პირველი მეტატექსტისათვის - ღამე და ავადმყოფი

მეორე მეტატექსტისათვის - არსაკიძის მარტობა

მესამე მეტატექსტისათვის - ავადმყოფის წყურვილი

მეოთხე მეტატექსტისათვის - სიყრმისა და სიკვამლის გაელვება

მეხუთე მეტატექსტისათვის - არსაკიძის ტირილი

მეექვსე მეტატექსტისათვის - ფაქუნი

მეშვიდე მეტატექსტისათვის - მხატვრისა და მოხუცის შერკინება

მერვე მეტატექსტისათვის - შორენას თხოვნა

მეცხრე მეტატექსტისათვის - დედის გაქვავება

მთლიანი ტექსტის თემა - დიდოსტატის სიკვდილი (არსაკიძის სიკვდილი).

პირველი მეტატექსტი არის თემა1, ხოლო მეორე მეტატექსტი რემა1; ამის შემდეგ თემა1 უცვლელია, ხოლო მესამე მეტატექსტი არის რემა2, მეოთხე მეტატექსტი - რემა3, მეხუთე მეტატექსტი - რემა4, მეექვსე მეტატექსტი - რემა5, მეშვიდე მეტატექსტი - რემა6.

მერვე მეტატექსტი არის თემა2, ხოლო მეცხრე მეტატექსტი - რემა7.

როგორც ჩანს, ტექსტს წინ უძღვის პროლოგი მაგრამ მას, მსგავსად სხვა მეტატექსტებისა, ნომერაცია არ გავუყვით. ეს პროლოგი, როგორც ოდენობა მეტატექსტია, მაგრამ სხვა მეტატექსტებისაგან განსხვავებით, ის არ მონაწილეობს თხრობის, ინფორმაციის ხაზოვან თანმიმდევრობაში. დასახელებული პროლოგი ისეთი მეტატექსტია, რომელშიც გადმოცემულია ავტორის დასკვნა რეზიუმე. ის მოდალური მეტატექსტია.

მობზობილი ტექსტის მეტატექსტები ერთი მიკროთემიდან მეორეზე ისე გადადიან, რომ ექვს შემთხვევაში ერთ რეფერენტს (არსაკიმეს) ერთი ღამის განმავლობაში სხვადასხვა ეუთხით ახასიათებენ; რეფერენტი არც შემდგ იცვლება (რეფერენტის შეცვლა ერთი ტექსტის ზიგნით არ შეიძლება), მაგრამ იცვლება დრო, სიტუაცია და გვეძლევა ამ შეცვლილი დროისა და სიტუაციის შესატყვისი ან იქიდან გამომდინარე ახალი ინფორმაცია. ყველა მეტატექსტის მიკროთემა აზრობრივად ისე მიემართება, ისეა ვადაჭაჭუელი ერთმანეთს, რომ ნათლად წარმოჩნდეს დიდოსტატის ტრაგიკული სიკვდილი.

ჯერჯერ ეს გვძლევს იმის თქმის უფლებას, რომ მობზობილი ტექსტი სემანტიკურად მთლიანია და სტრუქტურულად ერთიანი.

შეიძლება: დავასკვნათ, რომ ენას თავისი ძირითადი სოციალური ფუნქციის - კოჰენიაციის შესასრულებლად გააჩნია სამი ერთეული: წინადადება, როგორც კოჰენიაციის დამოუკიდებელი და დამთავრებული უმცირესი ერთეული; მეტატექსტი, როგორც წინადადებაზე დიდი საკომუნიკაციო ერთეული, რომელსაც საკუთარი მიკროთემა აქვს, და ბოლოს, ტექსტი - უდიდესი საკომუნიკაციო ერთეული, რომელსაც აქვს თემა, დამთავრებულია აზრობრივად და ერთიანი და მთლიანია სემანტიკურად და სტრუქტურულად.

დასკვნა

ტექსტის ძირითად პარამეტრებად მიგვაჩნია: ტექსტის თემა, აზრობრივი დამთავრებულობა, სტრუქტურული და სემანტიკური მთლიანობა, საკომუნიკაციო მიზანდასახულობა.

ტექსტის სტრუქტურა

4.1. ტექსტის კომპონენტები

ტექსტის სტრუქტურა ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ტექსტის ლინგვისტიკაში ტექსტის კონსტრუქციების შესახებაც ენათმეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

თავის ერთ აღრინდელ ნაშრომში /124/ ნ.დ. ზარუბინა ზეფრაზულ მთლიანობას განსაზღვრავს, როგორც ტექსტის მონაკვეთს, როგორც ტექსტის ლინგვისტიკურ ერთეულს, რომელიც შედგება ისეთი ავტონომიური წინადადებისაგან, რომელსაც უერთდება სინსემანტიური წინადადება /124, 4/.

მოგვიანებით ნ.დ. ზარუბინა წერს სპეციალურ გამოკვლევას /123/, მიძღვნილს ტექსტის ლინგვისტიკური ერთეულებისადმი, სადაც იგი გამოყოფს ტექსტის ერთეულის ოთხ სახეს:

1. ზეფრაზული მთლიანობა;
2. ხაზობრივ - სინტაქსურ ჯაჭვს;
3. რბილი საწყისის ჯაჭვს და
4. ცალკეულ წინადადებებს

ნ.დ. ზარუბინას აზრით, ზეფრაზული მთლიანობა - ეს არის წინადადებათა ჯგუფი და მასში შემავალი ყველა წინადადება (სამიდან ხუთ-შვიდ წინადადებად) მიეკუთვნება მეტყველების ერთეურთ ტიპს: აღწერითს, თხრობითს ან მსჯელობითს /123, 107/.

სხვა ერთეულების გამოყოფის საფუძვლებს წარმოადგენს ე.წ. „მაგარი“ და „რბილი“ დასაწყისი წინადადებებისა. ზარუბინა მიიჩნევს, რომ ზეფრაზული მთლიანობის პირველი წინადადება ყოველთვის დამოუკიდებელია და ხასიათდება „მაგარი“ დასაწყისით. „მაგარი“ საწყისად კი ავტორს, მიაჩნია არსებითი სახელი - ქვემდებარე წინადადების დასაწყისში (როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ტერმინები „მაგარი“ და „რბილი“ სინონიმურია „დამოუკიდებელი“ - „დამოკიდებულ“ წინადადებების, ზეფრაზული მთლიანობის სხვა წინადადებები არადამოუკიდებელნი (ე.ი. დამოკიდებულნი) არიან და ხასიათდებიან

„რბილი“ დასაწყისით. „რბილ“ დასაწყისად ზარუბინა მიიჩნევა წინადადების დასაწყისში მათგან, რომელიც კავშირს, ზმნა-შემასმენელს, წინადადებაში წესამე პირის, ჩვენებითი ანდა კუთვნილებითი ნაცვალსახელების არსებობას, აგრეთვე ნაცვალსახელურ ზმნიზედებს /123, 108/.

მეორე ტექსტობრივ ერთეულს, ზარუბინას აზრით, წარმოადგენს ისეი წინადადებათა ჯაჭვი, რომლებიც მეტყველების სხვადასხვა ტიპს მიეკუთვნებიან და ერთმანეთთან დაკავშირებული არიან რბილი დასაწყისით. ამ ჯაჭვს ავტორი უწოდებს ხაზობრივ - სინტაქსურ ჯაჭვს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ხაზობრიობა და გაბმულობა. ეს ერთეული სულ ცოტა ორი წინადადებისაგან შედგება /123, 109/.

ისეთ წინადადებათა ჯგუფს, რომელთა შორის ყველას (პირველის ჩათვლით) რბილი დასაწყისი აქვს და მეტყველების ერთ ტიპს მიეკუთვნება, ავტორი უწოდებს რბილი დასაწყისის ჯაჭვს /123, 110/.

და ბოლოს, მეოთხე სახეს წარმოადგენს ცალკეული წინადადებები, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც დამოუკიდებელი, ისე არადამოუკიდებელი (იქვე).

თუ 1979 წელს ნ.დ. ზარუბინა ტექსტობრივი ერთეულის ოთხ ტიპს გამოყოფდა, 1981 წელს მათი რიცხვი უკვე ორით გაზარდა და მონოლოგური მეტყველების ექვსი ტიპი ჩამოაყალიბა:

1. კომუნიკაციურად ძლიერი ცალკეული წინადადება;
2. კომუნიკაციურად სუსტი ცალკეული წინადადება;
3. დაბურთული ზეფრაზული მთლიანობა;
4. დაბურთული ხაზობრივ - სინტაქსური ჯაჭვი;
5. ღია ზეფრაზული მთლიანობა;
6. ღია ხაზობრივ - სინტაქსური ჯაჭვი /46, 31/.

კომუნიკაციურად ძლიერ წინადადებად ზარუბინა (ბურვიკოვა) მიიჩნევს დამოუკიდებელ წინადადებას, ხოლო კომუნიკაციურად სუსტ წინადადებად - დამოკიდებულს.

თუ კომუნიკაციურად ძლიერი ანდა კომუნიკაციურად სუსტი წინადადება არაკერძო ჯგუფში არ შედის და მათგან დამოუკიდებლად დგას, მაშინ მას ბურვიკოვა (იგივე ზარუბინა) კომუნიკაციურად

ძლიერ ცალკეულ წინადადებად ანდა კომუნიკაციურად სუსტ ცალკეულ წინადადებად მიიჩნევს /46, 30/.

წინადადებათა ჯგუფს, რომელიც ორიდან შეიღამდე წინადადებას შეიცავს, ავტორი ზეფრაზულ მთლიან ბას უწოდებს. თუ ზეფრაზული მთლიანობის წინადადებები სამეტყველო ტიპის ერთგვარობით ხასიათდებიან, ასეთ ზეფრაზულ მთლიანობას იგი დახურულს უწოდებს, ხოლო თუ მასში შემავალი წინადადებები სამეტყველო ტიპის მიხედვით სხვადასხვაგვარია, ასეთ ერთეულს ავტორი დახურულ ხაზობრივ - სინტაქსურ ჯგუფს უწოდებს /46, 28/.

ბურვიკოვა (ზარუბინა) გამოყოფს აგრეთვე ორ ტიპს: 1) რომლის ყველა წინადადება წარმოადგენს კომუნიკაციურად სუსტს, ხოლო სამეტყველო ტიპის მიხედვით ერთგვაროვანს და 2) რომლის ყველა წინადადება წარმოადგენს კომუნიკაციურად სუსტს, ხოლო სამეტყველო ტიპის მიხედვით სხვადასხვაგვარს. ამთავან პირველს ავტორი თვლის ღია ზეფრაზულ მთლიანობად, ხოლო მეორეს - ღია ხაზობრივ - სინტაქსურ ჯგუფად /46, 29/.

სამი ერთეული - კომუნიკაციურად ძლიერი ცალკეული წინადადება, დახურული ზეფრაზული მთლიანობა და დახურული ხაზობრივ - სინტაქსური ჯგუფი ბურვიკოვას (ზარუბინას) შიგნით ერთეულებად იმდენად, რამდენადაც მასში კლინდება თანმიმდევრობის კატეგორიის გარკვეული მნიშვნელობანი. ხოლო დანარჩენი სამის (კომუნიკაციურად სუსტი ცალკეული წინადადების, ღია ზეფრაზული მთლიანობის და ღია ხაზობრივ - სინტაქსური ჯგუფის) გამოყოფისა და დამოუკიდებლად არსებობის პირობას წარმოადგენს მათი ჩაურთველობა რომელიმე იმ ჯგუფში, რომელიც კომუნიკაციურად ძლიერი წინადადებით იწყება /46, 33/.

ბურვიკოვა (ზარუბინა) დაასკვნის, რომ ტექსტი არ არის ენობრივი სისტემის უმაღლესი დონე, ტექსტი - მხოლოდ აღნიშნული ერთეულების არსებობის პირობაა. წინადადებათა ჯგუფები გაგებულა, როგორც უბრალოდ წინადადების დონის ფენომენები /46, 33-34/.

ტექსტის ლინგვისტიკაში არც თუ ცოტაა ისეთი ნაშრომი, რომელშიც თუმცა საუბარია ტექსტზე, მის პარამეტრებზე და კატეგორიებზე, მაგრამ სინამდვილეში საქმე გვაქვს მეტატექსტთან და მის

თავისებურებებთან; საანალიზოდ მოხმობილი მასალაც მეტატექსტია. ასეთ ვითარებას ვხვდებით ბურჟიკოვას ნაშრომშიც. მის მიერ ტექსტის ერთეულად გამოყოფილი ოთხი სახიდან /123/ არცერთი არაა ტექსტის კომპონენტი, გარდა ზეფრაზული მთლიანობისა. თუმცა ზეფრაზული მთლიანობის განმარტებაც ვერ უძლებს კრიტიკას. ზეფრაზულ მთლიანობას კი ზარუბინა განსაზღვრავს, როგორც ტექსტის მონაკვეთს, სადაც ავტოსემანტურ წინადადებას უერთდება სინსემანტური წინადადება. ვიმეორებთ, რომ ზეფრაზული მთლიანობის (და მით უფრო ტექსტის) დონეზე არა გვაქვს ავტოსემანტური და სინსემანტური წინადადებები. „მაგარი“ და „რბილი“ დასაწყისი წინადადებისა, რომლებიც განსაზღვრავენ მეორე, მესამე და მეოთხე ტიპის ტექსტის ერთეულებს, იგივეა, რაც მთავარი და დამოკიდებული წინადადებები. როგორც ირკვევა, ზარუბინასათვის ტექსტის ერთეულთა მთავარ საზომს წარმოადგენს მთავარი და დამოკიდებული წინადადებები, არსებობა. ეს ნიშანი კი რთული წინადადების ფარგლებს გარეთ უფუნქციოა.

ამგვარად, ნ.დ.ზარუბინას მიერ გამოყოფილი ტექსტის ოთხი ერთეულიდან ტექსტის ნამდვილ კომპონენტად გვჩვენებს ზეფრაზული მთლიანობა (არასწორი ინტერპრეტაციით), დანარჩენი სამი კი ზეფრაზული მთლიანობის ელემენტებად შეიძლება ჩავთვალოთ. ტექსტის ერთეულებად ვერ მივიჩნევთ ავტორის მიერ გამოყოფილ კომუნიკაციურად ძლიერ ცალკეულსა და კომუნიკაციურად სუსტ ცალკეულ წინადადებებს, აგოეთვე დახურულ ანდა ღია ხაზობრივ - სინტაქსურ ჯაჭვს, არაღან ამ ერთეულების არსებობის მთავარ პარამეტრად მიიჩნეულია ავტოსემანტია და სინსემანტია, აგრეთვე მეტყველების ან თუ იმ ტიპისათვის მიკუთვნება. არც იმას ვთვლით სწორად, თითქოს მეტყველების ტიპი განაპირობებდეს ტექსტის ელემენტების სხვადასხვა სახეს. უნდა აღინიშნოს, რომ მეტყველების ტიპი არ განსაზღვრავს ტექსტის კომპონენტების ტიპს. მეტყველების ტიპი განაპირობებს მხოლოდ და მხოლოდ ტექსტის თუ მეტატექსტის ინფორმაციულობის მრცუდობასა და ფორმას.

ამგვარად, ბურჟიკოვას (ზარუბინას) მიერ გამოყოფილი 1), 2), 5) და 6) მეტყველების ტიპებს ტექსტის ერთეულებად ვერ ჩავთვლით იმ უბრალო მიზეზით, რომ დამოუკიდებელი თუ დამოკიდებული

წინადადება, მიუხედავად იმისა, ცალკე დგას იგი თუ შედის ჩგუფში, ტექსტის კომპონენტის პარამეტრად ვერ გამოდგება, რადგან ის ნიშანი წინადადების დონეზეა არსებითი.

გაკვირვების და გაუგებრობას იწვევს ავტორის დასკვნა, რომ ტექსტი მხოლოდ აღნიშნული ერთეულების (ე.ი. მეტყველების ექვსი ტიპის - ვ.ს.) არსებობის პირობაა, რომ წინადადებათა ჩგუფები უბრალოდ წინადადების დონის ფენომენებია, და რომ „ტექსტი არ არის ენობრივი სისტემის უმაღლესი დონე“.

უნდა ითქვას, რომ ტექსტი არ წარმოადგენს აღნიშნული ერთეულების არსებობის პირობას. აღნიშნული ერთეულები არსებობენ მეტატექსტის დონეზე და, მაშასადამე, მეტატექსტია მათი არსებობის პირობა (მხოლოდ ავტორის მიერ მოცემული პარამეტრების გარეშე). რაც შეეხება ტექსტს, იგი არის მეტატექსტების არსებობის პირობა. თუ წინადადებათა ჩგუფები უბრალოდ წინადადების დონის ფენომენებია, მაშინ რატომ არის მთელ ნაშრომში საუბარი ტექსტზე (თანაც უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექსტი - ეს არის ენობრივი სისტემის უმაღლესი დონა ერთეული).

ნ.დ. ზარუბინასაგან განსხვავებული აზრი გამოთქვა ამ საკითხზე ი.ო. გალპერინმა, რომელიც 1974 წელს წერდა, რომ, ისევე როგორც წინადადებისათვის ძირითად ერთეულებს წარმოადგენს სიტყვი - მათი ფორმალურ-სტრუქტურული და სემანტიკური გაცებით, როგორც ზეფრაზული მთლიანობებისა და აბზაცებისათვის ერთეულებს წარმოადგენს წინადადებები, ისე ტექსტისათვის სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენს ზეფრაზული მთლიანობები და აბზაცები /82, 73/. გასაგებად და მოკლედ არის ნათქვამი, რომ ტექსტის სტრუქტურული ერთეულებია ზეფრაზული მთლიანობა და აბზაცი.

ხოლო 1981 წელს ი.ო. გალპერინი თავის ნაშრომში /85/ სვამს კითხვებს, რა ნაწილებად იყოფა ტექსტი და სხვადასხვა ტიპის სისტემებში მთელის დაჯგუფის როგორი ფორმებია მიღებულიო. შემდეგ კი იქვე აღნიშნავს, ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა წარმოვიდგინოთ მინიმალური და მაქსიმალური ტექსტებიო. მინიმალური ტექსტის ნიმუშად ავტორი ასახელებს: ცნობას, დიპლომას, მოკლე საგაზეთო ინფორმაციას, წერილს, ჩანაწერს. მაქსიმალური ტექსტის ნიმუშად დასახელებული აქვს რომანი. რომელიც შედგება რამდენიმე ტომისაგან

ანდა წიგნისაგან. რომელთაც წინ უძღვის წინათქმა (პროლოგი, ავტორისაგან) და დასკვნა (ეპილოგი, ბოლოსიტყვა).

ი.რ.გალაქერინის აზრით, რომანში ყველაზე დიდ ერთეულად გამოდის ტომი ანდა წიგნი (ტექსტის კომპონენტის მნიშვნელობით). შემდეგ დაყოფა მიდის დადამავალი ხაზით: ნაწილი, თავი, ქვეთავი, აბზაცი, ზეფრაზული მთლიანობა /85, 51-52/.

ტექსტის ასეთ დაყოფას გალპერინი მოცულობით - პრაგმატიკულ დაყოფას უწოდებს. მაგრამ ეს დაყოფა მისთვის ერთდერთი არ არის. გალპერინი გვთავაზობს ტექსტის სხვაგვარ დაყოფასაც, რომლის მიხედვით, სამეტყველო აქტებში გამოიყოფა: 1. ავტორის მეტყველება: ა) თხრობა, ბ) ბუნების, პერსონაჟის გარეგნობის, სიტუაციის, ვითარების, მოკმედების აღგილის აღწერა; გ) ავტორის მსჯელობა; 2. სხვათა სიტყვა: ა) დიალოგი, ბ) ციტატი, ვ) არასაკუთრივ - პირობაირი მეტყველება /85, 52/.

ი.რ.გალაქერინი ცალკე განიხილავს ტექსტის დაყოფის თავისებურებებს სამეცნიერო ლიტერატურაში. საგანზეთო სტრუქტურაში დიალოგ-მატიურ დოკუმენტებში /85, 54-55/. პოეტურ ნაწარმოებებში ტექსტის კომპონენტად ავტორი მიიჩნევს ცალკეულ სტროფებს.

ყოველივე ამის შემდეგ გალპერინი წერს, რომ ტექსტის თავებად, ქვეთავებად და ასე შემდეგ დაყოფიდან უნდა გადავიდეთ ტექსტის უმცირეს ერთეულებზე, რომლებიც გამოდიან მის კონსტიტუენტებად. ავტორის აზრით, წინადადება არ არის ტექსტის ერთეული. ტექსტის ერთეულია უფრო რთული ერთიანობა - ზეფრაზული მთლიანობა, რომელიც რამდენიმე წინადადებას აერთიანებს /85, 67/.

ი.რ.გალაქერინის მსგავსად ვ.ვ.ადმონიც ტექსტს (მხატვრულს თუ მეცნიერულს) ყოფს ტომებად, წიგნებად, ნაწილებად, თავებად, განყოფილებებად, ზეფრაზულ სინტაქსურ მთლიანობებად (აბზ. ცებად) და ბოლოს წინადადებებად¹ /4, 64/. ძირითადად ასეთივე აზრს გამოთქვამენ (მეტ-ნაკლები სხვაობით) გ.ო.ვინოკური /72, 253/; ნ.ნ.ლეონტიევა /186, 3/; ი.მ.ნოვიკოვა /237, 14/ და სხვები.

¹ წინადადებას ტექსტის კომპონენტად აღიარებენ ლ.ი.პატოვა /7, 22/, ი.ბ.სიროტინინა /290, 97/ და სხვები.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ი.რ.გალპერინმა თავისი შეხედულება ტექსტისა და მისი სტრუქტურის შესახებ შვიდი წლის განმავლობაში ორჯერ შეცვალა. ჯერ იყო და ტექსტის სტრუქტურულ ერთეულად გალპერინმა გამოყო ზეფრაზული მთლიანობა და აბზაცი (ჩათვალა რა აბზაცი, მსგავსად ზეფრაზული მთლიანობისა, სინტაქსურ-სემანტიკურ ერთეულად), ხოლო შემდეგ მან ერთმანეთისაგან განასხვაჲ. მონიშნალური და მაქსიმალური ტექსტები და გამოყო მათი სახეები.

ჩვენ ვოვლით, რომ ტექსტის დაყოფა მინიმალურად და მაქსიმალურად ალოგოკურია. ტექსტი, როგორც უმაღლესი იარუსის ენობრივი თუ სამეტყველო ერთეული, ერთია. ის ობიექტურად არსებული ენობრივი ოდენობაა. გალპერინი ტექსტად მიიჩნევს ყველაფერს, რაც კი ენაში თუ მეტყველებაში არსებობს: ნებისმიერ ცნობას, დეპეშას, წერილს, ჩანაწერს... რომანს, ტომს, წიგნს და ასე შემდეგ, ხოლო ამას სხვებიც იმეორებენ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამ ავტორებს სურთ, ყველაფერი ტექსტად მონათლონ. ზემოთჩამოთვლილთაგან თუ ყველაფერი ტექსტია. მაშინ რაღა რჩება წინადადების, შესიტყვებისა და მეტატექსტისათვის. თითოეულ მათგანს კი ნამდვილად თავისი ობიექტი აქვს და მისი მიკუთვნება ტექსტისათვის არც შეიძლება და არც საჭიროა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, როცა ტექსტად ასახელებენ მოთხრობას, რომანს, წიგნს, ტომს... ამაში გამოხატულებას პოულობს ტექსტის ტრადიციული, ლიტერატურული გაგება, ტექსტის ლინგვისტიკის გაგებით, ტექსტი არსებითად და პრინციპულად განსხვავდება ტექსტის ტრადიციული გაგებისაგან. ტექსტის კომპონენტებად არ შეიძლება ჩავთვალოთ წინადადება ანდა აბზაცი, ტომი ანდა წიგნი, თავი ანდა ქვეთავი (თუმცა გამოჩაყლის შემთხვევაში თავი თუ ქვეთავი, ისევე როგორც პარაგრაფი, ნაწილი, პროლოგი ან ეპილოგი შეიძლება დაემთხვეს მეტატექსტს ანდა ტექსტს).

ბოლოს გალპერინი (სხვებიც) აღიარებს, რომ ტექსტის უმცირესი კომპონენტია ზეფრაზული მთლიანობა. ამ დებულებაში ყველაფერი სწორი იქნებოდა, რომ „ზეფრაზულ მთლიანობას“ არ ახლდეს მსაზღვრელი - „უმცირესი“, რადგანაც, „უმცირესი ზეფრაზული მთლიანობა“ იმაზე მიგვითითებს, რომ არსებობს მაღალი თუ უმაღ-

ლესი ერთეულიც. ზეფრაზული მთლიანობა ანუ მეტატექსტი ტექსტის ჩვეულებრივი, ნორმალური (ყოველგვარი „უმეცირესისა“ და „უმალღესის“ გარეშე) ობიექტური კონსტიტუენტია. სხვა ოდენობა გარდა მეტატექსტისა, წინადადებასა და ტექსტს შორის არ არსებობს.

ტექსტის კომპონენტების შესახებ თავიანთი შეხედულება გამოთქვს ლ.გ.ფრიდმანმა და ვ.გ.ბუტკომ ერთობლივ გამოკვლევაში /330/, სადაც მათ ტექსტობრივ წარმონაქმნებს მიაკუთვნეს:

1. წინადადება;
2. ზეფრაზული მთლიანობა, აბზაციტ გამოხატული;
3. ტექსტის თემატიკური მონაკვეთი;
4. მთლიანი ტექსტი.

ავტორთა აზრით, წინადადება აბზაცის უშუალო მდგენელია; აბზაცი თემატიკური მონაკვეთის კონსტიტუენტია, ხოლო თემატიკური მონაკვეთი მთლიანი ტექსტის კომპონენტია /330 1/.

ავტორთა გაგებით, ტექსტის თემატიკური მონაკვეთი - ეს არის მთლიანი ტექსტის მონაკვეთი, რომელსაც აბსაბათებს თემის მთლიანობა, კონსტიტუენტთა ენობრივი საშუალებების ერთიანობა და დელიმიტაციური ნიშნების არსებობა. თემატიკური მონაკვეთი, როგორც წესი, შედგება ორი ან მეტი აბზაცისაგან (იქვე).

ავტორთა აზრით, თემატიკური მონაკვეთისათვის დამახასიათებელია ერთი დელიმიტაციური მარკირი-პუნქტი. ტექსტის თემატიკურ მონაკვეთს ავტორები მიიჩნევენ არა განსაკუთრებულ სინტაქსურ ერთეულად, არამედ აბზაცთა უბრალო თავმოყრად /330 8/.

მთლიან ტექსტს და ტექსტის თემატიკურ მონაკვეთს, ავტორთა აზრით, მოეპოვება მხოლოდ სტილისტიკური სტრუქტურა (თვისობრივად განსაკუთრებული სინტაქსური სტრუქტურა კი მათ არ აბასიათებს) და ისინი წარმოადგენენ მხოლოდ კომპოზიციურ - სტილისტიკურ ერთეულებს /330 9/.

ზეფრაზულ სინტაქსურ ერთეულებად ავტორებმა ჩააჯღღეს წინადადება და აბზაცი, რომლებიც ამ სტატუსის განმსაზღვრელი ნიშნებით ხასიათდებიან. წინადადება და აბზაცი, მათი აზრით, აგოეთვე კომპოზიციურ-სტილისტიკური ერთეულებია, რომლებიც მონაწილეობენ მთლიანი ტექსტის სტილისტიკური სტრუქტურის ფორმირებაში (იქვე).

ვაკვირების იწყებს ავტორთა წინააღმდეგობა. მხედველობაში ვაკვს შემდეგი: ავტორები ჯერ აცხადებენ, რომ თემატიკური მონაკვეთი მთლიანი ტექსტის კომპონენტია. შემდეგ კი წერენ, რომ თემატიკური მონაკვეთი არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სინტაქსურ ერთეულს, რომ ის არის აბზაცთა უბრალო თავმოყრა. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ზეფრაზულ სინტაქსურ ერთეულებს წარმოადგენს წინადადება და აბზაცი, რომელთაც „ამ სტატუსის განმსაზღვრელი ნიშნები მოეპოვებათ“. ამის შემდეგ კი აცხადებენ, რომ წინადადება და აბზაცი კომპოზიციურ - სტილისტიკური ერთეულებიც არიანო. უფრო მეტიც, ავტორთა აზრით, მთლიანი ტექსტი და ტექსტის თემატიკური მონაკვეთი მხოლოდ კომპოზიციურ-სტილისტიკურ ერთეულებს წარმოადგენენ. გამოდის, რომ მათ მიერ გამოყოფილი ითხი ტექსტობრივი წარმონაქმნიდან ოთხივე კომპოზიციურ-სტილისტიკური ერთეულია, საკითხავია, სად ვეძიოთ და რა დავარქვათ იმ ტექსტობრივ ოდენობას, რომელთანაც დაკავშირებულია აზრობრივი ასპექტი.

გარდა ამ წინააღმდეგობებისა, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგსაც: ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ წინადადება არ არის ტექსტობრივი ოდენობა, რომ ზეფრაზული მთლიანობისა და აბზაცის გაიგივება არ შეიძლება. მაგრამ, თუ ტექსტის თემატიკური მონაკვეთი აბზაცთა უბრალო თავმოყრაა, მხოლოდ კომპოზიციურ-სტილისტიკური ერთეულია და სემანტიკური დატვირთვა არ გააჩნია, მაშინ გამოდის, რომ არც ის წარმოადგენს ტექსტობრივ ერთეულს.

ტექსტის შესახებ ლ.გ.ფრიდმანისა და ვ.გ.ბუტკოს ზემოვანხილულ ერთიან ნებედულებას, ვფიქრობ, საფუძვლად უდევს ფრიდმანის მოსაზრება, რომელიც მან ადრე თავის სადოქტორო დისერტაციაში გამოთქვა. მაშინ ფრიდმანი ეწევს გამოთქვამდა, რომ ტექსტი ყოფილიყო სინტაქსური ერთეული და იმასაც აღნიშნავდა, თითქოს ტექსტს არ გააჩნდეს თავისი სტრუქტურა /329, 30/.

ტ.მ.ბატალოვა ტექსტის ერთეულად მიიჩნევს პრედიკატულ-რელატიურ კომპლექსს, რომელსაც შუალედური პოზიცია უკავია ზეფრაზულ მთლიანობასა და ტექსტს შორის /24, 2/. ავტორის აზრით, პრედიკატულ-რელატიური კომპლექსი წარმოადგენს კონტინიუმს, შემდგარს რამდენიმე ზეფრაზული მთლიანობისაგან, ხოლო ზეფრა-

ზულ მთლიანობათა მიმართ პრედიკატულ-რელატიური კომპლექსი გამოდის, როგორც მაკროსტრუქტურა /24, 7/.

უნდა შევნიშნოთ, რომ პრედიკატულ-რელატიური კომპლექსი, მიუხედავად ავტორის სურვილისა, არ არის ზეფრაზულ მთლიანობაზე უფრო დიდი ერთეული. ის პარამეტრები (ავტოსემანტიური, სინსემანტიური წინადადებები, პრედიკატული და რელატიური ელემენტების თანაფარდობა), რომელთა მიხედვით ავტორი წარმოგვიდგენს პრედიკატულ-რელატიურ კომპლექსს. ტექსტის კვლევის ადრეულ ეტაპზე გავრცელებული ზეფრაზული მთლიანობის პარამეტრებია. პრედიკატულ-რელატიური კომპლექსი შეიძლება ჩაითვალოს ზეფრაზული მთლიანობის ერთ-ერთ სახედ.

ი.ა.ჩერნუხინა ტექსტის კომპონენტებს ორ ჯგუფად ყოფს: სემანტიკურ დონეზე ტექსტის ერთეულად იგი მიიჩნევს აბზაცს, ხოლო სტრუქტურულ-აზრობრივ დონეზე - რთულ მთლიანობასა და ზეფრაზულ მთ. უნიანობას /339, 155/. მისი მტკიცებით, აბზაცის, რთული მთლიანობისა და ზეფრაზული მთლიანობის საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ამგვარად, ი.ა.ჩერნუხინამ ტექსტის კომპონენტად სამი ერთეული გამოყო: აბზაცი, რთული მთლიანობა და ზეფრაზული მთლიანობა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ერთეულებისათვის (სამივესათვის ერთად) ტექსტის შიგნი ადგილი და ფუნქცია არ რჩება.

გ.ა.სოლგანიკს ტექსტის ძირითად ერთეულად მიაჩნია „პროზაული სტროფი“, მაგრამ, მისი გაგებით, უშუალოდ პროზაული სტროფები კი არ გვაძლევენ ტექსტს, არამედ ისინი ერთიანდებიან ფრაგმენტებად, ფრაგმენტები - თავებად, თავები - ნაწილებად და ბოლოს ვღებულობთ დამთავრებულ ნაწარმოებს (ტექსტს). სქემის სახით ამ ღებულებას სოლგანიკი ასე წარმოგვიდგენს: წინადადება-პროზაული სტროფი-ფრაგმენტი-თავი-ნაწილი-დამთავრებული ნაწარმოები /300, 187-188/.

ს.ი.გინდინის აზრით, წინადადებასა და ტექსტს შორის დევს ოდენობა, რომელსაც ის სუბტექსტს უწოდებს /100, 9-10/.

გ.ვ.ბონდარენკო ტექსტს ყოფს სეგმენტებად, რომელთა საზღვარზე ხდება წამყვანი თემის ცვლა /37, 12/.

ტ.მ.ნიკოლაევა ტექსტის კომპონენტად მიიჩნევს გამონათქვამს /230, 23/. ასეთვე მოსაზრებას ავითარებენ ა.ა.ლეონტიევი /185, 29/, ნ.ნ.მეტსი /217, 12/ და სხვები.

ი. ვ. არნოლდი ტექსტის კომპონენტს *Выважение*-ს უწოდებს და გამოყოფს მის რამდენიმე სახეს /10, 31/.

მ. ი. ბლოსი ტექსტის ერთეულს კუმულიატივს უწოდებს /32, 209/.

კ. ა. ბუხბინდერი და ე. დ. როზანოვი ტექსტის კონსტიტუენტად მიიჩნევენ ზეფრაზულ მთლიანობას /48, 76/. ახალოგიურ აზრს გამოთქვამენ ბ. ა. მასლოვი /212/, ა. ი. როჩნიაკი /273, 6/, ე. ა. რეფეროვსკაია /271, 11/, ო. ი. მოსკალსკაია /222, 14/

ლ. მ. ლოსევა მიიჩნევს, რომ სინტაქსურად ტექსტი, როგორც უმაღლესი რიგის ერთიანი მთლიანი, წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ საკომუნიკაციო ერთეულების ნაკადს. ასეთ ერთეულს კი ავტორის აზრით, წარმოადგენს რთული სინტაქსური მთლიანობა /201, 178-179/.

ი. პ. სევერო ტექსტის ძირითად ერთეულად მიიჩნევს აბზაცს /28, 9/.

გ. ა. ზი. ლოტოვას მიხედვით, ტექსტის დამოუკიდებელ ერთეულებს წინადადება და „სამეტყველო ბლოკები“ წარმოადგენს /!34, 170/.

ს. ვ. კულიკოვი ტექსტის ერთეულად გამოყოფს „ტექსტის მინიმალურ ერთეულს“ /!75, 6/.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ტექსტის კონსტიტუენტების შესახებ უკვე გამოთქმულ მოსაზრებათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტექსტის კომპონენტებად სხვადასხვა ოდენობებშია მიჩნეული. როგორც ითქვა, ჩვენ არ ვიზიარებთ დებულებას, თითქოს წინადადება ანდა წინადადებათა ჯგუფი იყოს ტექსტის მდგენელი. ერთი და მეორეც ჩვენთვის მეტატექსტის კომპონენტებია.

ქვეშარიტებას მოკლებულია აზრი, თოქოს ერთმანეთისაგან უნდა გაირჩეს მინიმალური (უკომპონენტო) და მაქსიმალური (კომპონენტებიანი) ტექსტები. ეს იმიტომ, რომ ტექსტი, როგორც ენობრივი ერთეული, მხოლოდ და მხოლოდ ერთი მთლიანია! ტექსტები კი არ არსებობს მინიმალური და მაქსიმალური, არამედ გვაქვს ტექსტები მეტატექსტების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობით, მათ შო-

რის მოცულობითი სხვაობაა, რომელსაც ინფორმაციის სიდიდე განაპირობებს.

მაქსიმალური ტექსტის (რომანის) ერთ ელემენტად გაგებულა ტომი და წიგნი, შემდეგ კი ნაწილი, თავი, ქვეთავი, აბზაცი. ჯერ ერთი, რომანი არ არის ჩვენთვის ტექსტი, რომანი ტექსტების თავმოყრაა: ერთიანობაა, ჯამია. მეორეც, ტომი და წიგნი არ შეიძლება იყოს ტექსტის კომპონენტი, რადგან ისინი (ტომი, წიგნი) ზოგადი სახელებია და აღნიშნავენ არა ლინგვისტიკურ ერთეულს, არა ლინგვისტიკურ ტექსტს, არამედ ასეთი ტექსტების სიმრავლეს. ასევე, ტექსტის კომპონენტად ვერ მივიჩნევთ ნაწილს, თავს, ქვეთავს, აბზაცს, რადგანაც აქ ჩამოთვლილი ტერმინებით ნაგულისხმევი ცნებები სხვადასხვა დონისა და სიბრტყის ფენო-ენებია. ნაწილი, თავი, ქვეთავი, აბზაცი ეხება-სტრუქტურის, კომპოზიციის სფეროს, ტექსტის კომპონენტი კი ენის სემანტიკის კუთვნილებაა. იშვიათ შემთხვევაში ქვეთავი, აბზაცი, პარაგრაფი შეიძლება დაემთხვეს მეტატექსტს (იყოს ტექსტის კომპონენტი), მაგრამ ეს ხდება გამონაკლის შემთხვევაში და ამიტომ მას ნორმად ვერ მივიჩნევთ.

ზოგიერთი სპეციალისტს მიაჩნია, რომ წინადადებიდან ტექსტამდე რამდენიმე შუალედური ოდენობა გვაქვს. ასეთებად დასახელებულია: ზეფრაზული მთლიანობა, აბზაცი და თემატიკური მონაკვეთი; აბზაცი, რთული მთლიანობა და ზეფრაზული მთლიანობა; ზეფრაზული მთლიანობა და პრედიკატულ-რელატიური კომპლექსი და სხვა.

ჩვენ ვთვლით, რომ წინადადებასა და ტექსტს შორის არსებობს ერთდერთი შუალედური ოდენობა - მეტატექსტი. მეტატექსტზე მეტი ოდენობისათვის (სიდიდისათვის) მათ შორის ადგილი და ფუნქცია არ რჩება. მეტატექსტი ენობრივი ერთეულია. მას წინადადებაზე ზემდგომი იარუსი უკავია. მეტატექსტის კომპონენტებია - წინადადებებია, ხოლო ტექსტს ირრინ რამდენიმე მეტატექსტი გვაქვს.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ტექსტის სტრუქტურა (ქართულ მასალაზე დაყრდნობით) ჯერჯერობით კვლევის ობიექტი არ ყოფილა. თ.შ.მკუხუცემ ინგლისური ენის მასალის მიხედვით მოგვცა ტექსტის სტრუქტურის შემდეგი იერარქიული სქემა: წინადადება 5 ზე-

ფრაზული მთლიანობა < აბზაცი < ტექსტის მონაკვეთი < ნაწყვეტი < ქვეთავი < თავი < ნაწილი < წიგნი ან ტომი < ტექსტი / 216 9/.

ავტორის აზრით, იერარქიის თითოეულ დონეს თავისი თემა შეეფარდება და გვაქვს:

წინადადების დონეზე - მიკროთემა

ზეფრაზული მთლიანობის დონეზე - ქვეთემა

აბზაცის დონეზე - თემა

ტექსტის მონაკვეთის დონეზე - თემატური მთლიანობა

ნაწყვეტის დონეზე - თემატური კომპლექსი

ქვეთავის დონეზე - ქვეთავის თემა

თავის დონეზე - თავის თემა

ნაწილის დონეზე - ნაწილის თემა

წიგნის დონეზე - წიგნის თემა

ან

ტომის დონეზე - ტომის თემა

ტექსტის დონეზე - საერთო თემა (იქვე)

ჩვენ ვერ დავეთანხმებით თ.მებუყეს, რომელსაც მიაჩნია თითქოს ტექსტი შეიძლება შედგებოდეს როგორც ერთი წინადადებისაგან, ისე სტრუქტურის ყველა კომპონენტისაგან. ტექსტის სტრუქტურის მებუყისეული ინტერპრეტაცია არადამაჭერებელია. ვერ გამოხატავს ტექსტის სტრუქტურის არსს და ამიტომ მასზე საუბარს აქ ვწყვეტთ. ტექსტის სტრუქტურის საკითხებს სხვა ავტორებიც შეეხნენ /6; 23; 91; 163; 202; 204; 241; 342/, მაგრამ რაიმე განსხვავებულს, ახალს, რაც ჩვენს მიმოხილვაში არ გვქონია, მათ ნაშრომებში ვერ ვხვდებით. ამიტომაც მათ შესახებ ცალკე აღარ შევჩერდებით.

ენაში არსებული ერთეულები სქემატურად ასე გამოისახება: სიტყვა < შესიტყვება < წინადადება < მეტატექსტი < ტექსტი. ამ სქემის ყოველი წინა სადიდე მომდევნოს კომპონენტია. სიტყვა შესიტყვება წინადადება დიდი ხანია კვლევა - ძიების ობიექტია. მეტატექსტისა და ტექსტის შესწავლა - აწალიზი რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. მეტატექსტი ტექსტის კომპონენტია.

ჩვენი დებულების საილუსტრაციოდ მოვიხმოთ ტექსტი.

(1) შუაღლე იყო, რომ ლარსის სტანციაში მივედი. ლარსამდე ჩემმა გულმა ვერაფერი განსაკუთრებითი სიამოვნება ვერა მიიღო-რა

გარდა იმისა, რომ რამდენადაც ჩემს სამშობლო ქვეყანას ეუბლოვდებოდი, იმოდენად გარემო ბუნებას ჩემის ქვეყნის ფერი ემატებოდა და თერგს შფოთვა და ლელვა.

(2) შევედი სტანციის ცარიელს ოთახში, ჩაის დალევა მინდოდა და ამის გამო სამოვარის დადგმა შევუკვეთე ერთს ფეხმოტეხილს სალდათსა, რომელიც ბოლოს სტანციის გუშაგად გამოდგა. მინამ სამოვარს შემოიტანდნენ, მივწექ გაფიცულ ტაბტზე და თავი ფიქრებს მივეცი.

(3) ოთხი წელიწადი იყო რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!... იცო, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია ცხოვრების წყაროს სათავეა ბეწვის ხიდი, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა რათა ქვეყა აჯარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, - ფეხი აადგმევიროს. ეს ის ოთხი წელიწადია რომელიც ჰაუსის ტვინსა და გულში გამოქვეყნდავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალღურობინაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა-ქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგინად მოგიხმარა.

(4) რაკი ელადიკავკასილამ გამოვედი და ჩემის ქვეყნის სიომ დამკრა გულმა სულ სხვა-რიგად დამიწყა ფეთქა პოვოსკაში ქვებზედ ხათქახუთქი უკეთესთა ფიქრთა დამიბნევედა ხოლმე. ახლა კი, როცა სტანციის ოთახის ტაბტზედ მამა-პაპურად გავიშობე, ღვთის წყალობა შენა გკონდეს, რომ მე ფიქრს მივეცი სრული ჩემი გულსყური და ყურადღება. ჩვეუდ მომიგროვდა ყოველიფერი რაც კი დამეტოვა ჩემს მშვენიერს პატარხალსავით მორთულს ქვეყანაში, რაც კი მენახა მეცადნა და მეცნო უცხოეთშია მრავალნაირი ფიქრები ერთად, რეულად გონების თვალწინ წარმომიდგნენ, მაგრამ ელვის უმაღლეს ერთი ფიქრი მეორეზე მეტეკლებოდა ასე რომ ჩემი გონების თვალი ერთ-და-იგივე საგანზედ ერთს წუთსაც ვერ გავაჩერე - ერთის სიტყვით, ჩემს ტვინში

სრული რევოლუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მალა მოექცნენ, მალა დალაგებულნი ძირსა და მერე ირივნენ ერთმანეთში.

(5) სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იწისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადულდეს, აიროს-დაიროს და მერე დაწმდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ.

(6) ამ ყოფაში ვიყავ. ბოლოს ჩემთა ფიქრთა, ყველმა თითოეულად, თავისი შესაფერი ადგილი დაიკირა გონებაში. მათ შორის ერთი უფრო ბრწყინვალედ გამომეხატა, იმ ერთს მოაყვა მეორე, მეორეს მესამე, ასე რომ ბოლოს ერთ განუწყვეტელ გრეხილად შემექმნენ. როგორ შევეყრებო მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, ვიფიქრე. რას ვტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?

(7) ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდევც, რადგანაც ჩემში მანაც - და მანაც ჩემის ქვეყნის ღვრიტაა დადებული.

მაგრამ მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყლოს და მამბოს თავის გულის-ტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდევც და, როგორც თავისი შვილი, გულ-ედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულის ტკივილი მოვეურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არ ეოლაოდეს, ერთ ღიღ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაკვიებული გულის გასათბობად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმას?

(8) გადაწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდევც, იმიტომ, რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვას და ენასაც გავიგებ, იმიტომ, რომ მამულის სიტყვას მამულის შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისთვისაცა ღუმლიც

გასაგონია: ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის.

(9) მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ? - ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდევ. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ ფესწყვიტა ის ზემოხსენებულნი ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი /422, 256-258/.

მომხობილ ტექსტში ცხრა მეტატექსტია, ათთოეულს თავისი ქვეთემა აქვს. მეტატექსტების ქვეთემებია:

პირველის - ლარსის სტანციაში მოსვლა

მეორისა - სტანციის ოთახში შესვლა

მესამისა - ფიქრები რუსეთში გატარებულ ოთხ წელზე

მეოთხისა - ფიქრთა კორიანტელი (რევილუცია)

მეხუთისა - ფიქრი, რომელიც მოდალური მეტატექსტია

მეექვსისა - ფიქრი სამშობლოსთან შეყრაზე

მეშვიდისა - ფიქრი, ეჭვები

მერვისა - გადაწყვეტილება-ფიქრი

მეცხრისა - ფიქრი საქმის შესახებ

ტექსტის თემა: რუსეთიდან სამშობლოში მომავალი მგზავრის ფიქრები.

4.2. ტექსტის კონკონენტების კონკრეტია

ტექსტის კონსტიტუენტს წარმოადგენს მეტატექსტი. მეტატექსტთა ერთიანობა აქედნვეს ტექსტს. მეტატექსტთა მინიმალური რაოდენობა ტექსტში უდრის ორს, მაქსიმალურის დადგენა შეუძლებელია რადგანაც შეუძლებელია მისი მარჯვენა ზღვარის ნიშანდება რაიმე ფორმალური ნიშნით. საქმეს ართულებს თემის შინაარსი, მისი აქტუალობა, ინფორმაციულობა, თემის სიღრმე-სიგანით გახსნის ხარისხი და სხვა. ტექსტის დამთავრებულობას, მის მარჯვენა ზღვარს მიგვანიშნებს ტექსტის სემანტიკური ასპექტი. თუ დენოტატის ან რეფერენტის შესახებ საუბარი დამთავრდა, თუ ამოიწურა მათი დაბასითება; თუ შეწუდა ინფორმაცია მათ შესახებ - ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი ტექსტი დამთავრდა. თუ თხრობაში შემოდის ახალი დენოტატი ან რეფერენტი, ეს ნიშნავს, რომ დამთავრდა ერთი ტექსტი და იწყება მეორე.

ისმის კიოხვა, თუ როგორ, რა საშუალებებით ერთიანდებიან მეტატექსტები და როგორ ვლბებულბთ ერთიან, ათლიან, გამბულ ტექსტს. მეტატექსტთა ურთიერთდასაკავშირებლად გამოიყენება იგივე საშუალებები, რომლებსაც გამოყენება აქვთ მეტატექსტებში - დამოუკიდებელ წინადადებათა დასაკავშირებლად. ეს საშუალებებია: მიერთებითი ფუნქციით გამოყენებული მათემატიკური და მათემატიკურბული კავშირები, ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები, ლექსიკური განმეორება, სემანტიკური განმეორება, სინონიმური ჩანაცვლებბა, ზმნა-შემასმენელთა ურთიერთანაფარდობბა დროის, კილოსა და ასპექტის მიხედვით, სიტყვებისა და წინადადებების რიგი, ჩართული სიტყვა-გამოთქნები და ნაწილაკები. თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადებები.

ტექსტის დონეზე ჩამოთვლილი საშუალებების გამოყენების თავისებურება ის არის, რომ ისინი აქ ერთმანეთს უკავშირებენ აზრობრივად აბლო მდგომ მეტატექსტებს. რომლებიც სხვადასხვა ინფორმაციას შეიცავენ ერთი და იმავე რეფერენტის შესახებ. დასახელებული საშუალებების გამოყენების სიბშირე განსსვავებულია. ყველაზე ხშირად და აქტიურად იმარება ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები, ლექსიკური განმეორება და სინონიმური ჩანაცვლება. შედარებით ხშირად ფუნქციონირებენ მიერთებითი კავშირები და ნაწილაკები.

მეტატექსტთა ურთიერთდაკავშირების დასახელებულ საშუალებებზე მსჯელობენ: ლ.მ.ლოსევა /200,7-14/, ვ.პ.ნიკოლაევა /228 8-10/, ნ.ატურმაჩევა /322,9-10/, ლ.გ.ფრიდმანი /329,36/, ი.რ.გალპერინი /85,73-86/ და ს.ს.ები.

გარდა ამისა, ლ.მ.ლოსევამ სიტყვათა რიგს, როგორც მონოლოგური მეტყველების ტექსტის ორგანიზაციის საშუალებას, სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა /198/.

ტექსტის სტრუქტურული ორგანიზაციის საკითხებს იკვლევდა ს.ი.გინდინი, რომელმაც ჭერ კიდეც 1971 წელს გამოაქვეყნა სტატია /98/, რომელიც გაშლილად და ღრმად წარმოადგინა 1972 წელს თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში /100/. ნაშრომში ყურადღებას იპყრობს ტექსტის აგების ორი მეთოდი. პირველ მათგანს გინდინი „მკაცრს“ უწოდებს და მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: იგი მაქსიმალურად იყენებს მეტყველებაში ბუნებრივად არსებული ელემენტების ურთ-

იერთობას - ამ ელემენტების პოზიციის ხაზოვან მიმდევრობას, თითოეული პოზიცია გარკვეულ სუბტექსტს უკავია და მხოლოდ ამ სუბტექსტს შეუძლია მოცემული პოზიციის დაკერა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მკაცრი მეთოდი გთავაზობს სუბტექსტების მთელი პოტენციური მთლიანობის დაყოფას კლასთა ბოლო ჩაოდენობად და გვაძლევს სტემებს, რომლებიც განლაგდნენ ერთმენეთის მიმართ ტექსტში /100, 9-10/.

მეორე მეთოდს ს.ი.გინდისი „მოქნილს“ უწოდებს. ამ მეთოდის დროს სიმძიმის ცენტრი გადატანილია ტექსტის შიგნითა ნაწილების ურთიერთობაზე. სუბტექსტების ტიპი და რიგი არაა რეგლამენტირებული, მათი პოზიცია არაა დამაგრებული, მაგრამ ეს სუბტექსტები რაღაცნაირად ჯნდა იყვნენ ერთმენეთთან დაკავშირებული, უნდა შეიცავდნენ ისეთ ენობრივ ელემენტებს, რომლებიც გვიჩვენებენ მათ კავშირს, ანდა ერთიან ტექსტთან კავშირის რაღაც სიგნალებს /100, 10/.

ამ ორ მეთოდს შორის ს.ი.გინდისი უპირატესობას „მოქნილს“ აძლევს, რომელსაც მიიჩნევს მძლავრად, ტექსტების აგების ზოგად ენობრივ პრინციპად.

ს.ი.გინდისის მიერ ტექსტის აგების მეთოდების „მკაცრი“, „მოქნილი“ ხერხებად დაყოფა ხელოვნურად მიგვაჩნია, ეს ხელოვნურობა კიდევ უფრო იჩენს თავს სუბტექსტების კლასებად დაყოფაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვიზიარებთ ს.ი.გინდისის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც თითოეული პოზიცია ტექსტში გარკვეულ სუბტექსტს უკავია და მხოლოდ ამ სუბტექსტს შეუძლია მოცემული პოზიციის დაკავება.

ტექსტის კონსტიტუენტების ურთიერთდაკავშირების ერთ-ერთ სპეციფიკურ საშუალებად თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადებებიც შეიძლება იყოს გამოყენებული. ტექსტის ლინგვისტიკაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კითხვითი და ძახილის წინადადებები, როგორც ტექსტთა წარმოქმნის საშუალებები, ხასიათდება რიგი თავისებურებებით. ლ.მ.ლოსეფას მიხედვით, ასეთი წინადადებები:

1. აღნიშნავენ მიკროთემას; იწყებენ რთულ სინტაქსურ მთლიანობას და აბზაცს;

2. ამთავრებენ რთულ სინტაქსურ მთლიანობას, მიგვითითებენ მიზეზზე ან შედეგზე და ქმნიან ფონს ახალი მიკროთემის გადმოსცემად;

3. ტექსტის წინა ნაწილთან იმყოფებიან მიერთებით კავშირში, მაგრამ წყვეტენ თხრობის ძირითად ხაზს და ამდენად აცალკევებენ ურთიერთად კავშირებელ ფრაზებს;

4. გააჩნიათ როგორც მიერთებითი, ისე მაცალკევებელი ფუნქცია /200, 17/.

ლ.მ.ლოსკევას ამ მოსაზრებას ძირითადად ჩვენც ვიზიარებთ.

სარწმუნო აზრი გამოთქვა აგრეთვე ი.მ.ნოვიცკაიამ, რომლის მიხედვითაც, დამაკავშირებელი წინადადებები (კითხვითი და ძახილის) გამოიყენება მაშინ, როცა თხრობის შედარებით დამთავრებული ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლის აუცილებლობა დგება. ეს გადასვლა ხორციელდება კანცხადების ფორმით რაღაც მოქმედების შესახებ. კერძოდ: განხილულ იქნას კითხვები, გაირკვეს პრობლემა, გაკეთდეს დასკვნა, შეჯამდეს დაკვირვება /237, 6/.

თავის მხრით, ნ.ა.ტურმაჩევა მხოლოდ კითხვითი წინადადება მიაჩნია მეტატექსტთა ურთიერთდაკავშირების საშუალებად /3² 8/. რაშიც ჩვენ მას ვერ დავეთანხმებით: ვერ გავიზიარებთ აგრეთვე მ.მ.მკაეაროვასა /'209, 10/ და გ.ა.კულაკოვას /177,5/ მოსაზრებას, რომლებიც ტექსტის ორგანიზაციის საშუალებად მიიჩნევენ მთავარ/სა და დამოკიდებულ წინადადებებს. ვერ დავეთანხმებით იმიტომ, რომ მეტატექსტისა და ტექსტის დონეზე არ დგას საკითხი მთავარი და დამოკიდებული წინადადებების გამოყოფის შესახებ.

დაკვირვებამ და ანალიზმა გვიჩვენა, რომ მეტატექსტთა ურთიერთდაკავშირების საშუალებად გამოიყენება არა მარტო კითხვითი და ძახილის წინადადებები, არამედ თხრობითი წინადადებაც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელის ხმარების სიხშირე შედარებით მცირეა.

ამგვარად, ყველა სახის წინადადებამ (თხრობითი, კითხვითი, ძახილის), როგორც მეტატექსტთა დაკავშირების საშუალებამ, შეიძლება დაამთავროს ერთი მეტატექსტი და, ამდენად, გაწყვიტოს თხრობის ძირითადი ხაზი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი მიკროთემიდან მეორეზე გადასვლა ხდება დამაკავშირებელი წინადადების მეოხებით.

რომელიც თითქოსდა აზრობრივი ხილია ორ მეტატექსტს შორის. დამაკავშირებელი წინადადებით მომდევნო მეტატექსტი უკრთდება წინამავალს, მაგრამ იმავე წინადადებით იგი განცალკევდება წინამავალისაგან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დამაკავშირებელი წინადადებები იმავდროულად დაუკეთესო საშუალებაა ერთი მეტატექსტის შეიარისაგან გამოსაყოფად.

წინადადებები, როგორც მეტატექსტთა ურთიერთდაკავშირების საშუალებანი, ტექსტის ლინგვისტიკის საგანია, წინადადების სინტაქსი, როგორც ვიცით, მას არ იცნობს.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითები.

მოვიხმოი ისეთი მაგალითი, სადაც ორ მეტატექსტს ერთმანეთთან აკავშირებს კითხვითი წინადადება.

... მყნვარი! ...დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. რანახვა მისი მაკვირვებს და არ შალელვებს, შაციებს და არ მათბობს, - ერთის სიტყვით მყნვარია. მყნვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის აჯარგი მის მალალ შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძიროი თუმცა დედამიწაზედ უღვა თავი კი ცას მიუბჭენია, განზედ გამდგარა, მიუჯარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუყარებლობა" /422, 265/.

მომზობილ მაგალითში კითხვითი წინადადება „აბა რად მინდა მისი დიდება?“ ერთმანეთთან აკავშირებს ორ მეტატექსტს.

ვნახოთ სხვა მაგალითი.

...ოცდაროიხი ქრისტეშობისთჳა. წინაღამეს ზორბა თოვლი მოვიდა. ტყე ამ დილით ისე დაბარდნულიყო თოვლით, რომ ვერც კი შეატყობდი. ტყე იყო, თუ ტიტველი, თოვლით გაღესილი, მთა. მთაში როცა დიდი თოვლი მოვა, ნადირი ქალებს მოატანს. სოფელში ამ დილით ხალხის ჩოჩქორი ისმოდა; კაცები ერთმანეთთან მიდი-მოდდიოდნენ, გროვდებოდნენ, თოფებით შეიარაღებულნი. ერთი ამბობდა: მე ამა და ამ ადგილს ღორების კვალი ვნახეო, შეორე იძახოდა: მე შვლების ნავალი ვნახეო. დიდს ფაცურში იყო ხალხი შვლის მწვადების მიმლოდინე საწობაოდ. ვნახეთ, რომ სამსამი, ოთხ-ოთხი კაცი ერთად სხვადასხვა მხარეს გაემართა" /418, 378/.

ამ მაგალითში ჩვენ მიერ ხაზგასმული თხრობითი წინადადება აერთებს ორ მეტატექსტს.

ზოგჯერ მეტატექსტთა დამაკავშირებლად გამოდის არა ერთი თხრობითი წინადადება, არამედ ორი. ამ დებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი:

„მნათე ოქროპირ მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ „ქვეყანა გამოიკვალა“, როცა დიდმარხვის ორშაბათს, წმ.ზაქარიას ეკლესიის გუმბათზე ჭვარი ველარ ნახა. ჭვარი აღარ იყო სამრეკლოზედაც.

სოფელი ყოველ წელს უპირობდა შეკეთებას სამრეკლოს და საყდარს. ახლა ჭვარიც მოეხსნათ.

აწვიმდა სამრეკლოს, აწვიმდა საყდარს.

ადამიანი ნელ-ნელა ამჩნევს ცვლილებას.

ცვლილება რომ ერთბაშად შეგვენიშნა, ქვეყანა ჯოჯოხეთად იქცეოდა და აქედან დასჭირდებოდა მეორე ჯოჯოხეთის გამოგონება.

მნათე ოქროპირს ყურადღება არ მიუქცევია, რომ სოფლის მოზარდები „არულის“ ძახილით გამოუდგებოდნენ მოხუცებულ მღვდელს. არც ის გაკვირვებია, სოფელმა რომ უარი განაცხადა მღვდლისა და მნათეს შენახვაზე“ /412, 14/.

ჩვენ სიერ ხაზგასმული ორი წინადადება ერთმანეთთან აკავშირებს ორ მეტატექსტს. ის წვეტს პირველი მეტატექსტის, მიკროთემას, თავად შეიცავს მეორე მეტატექსტის მიკროთემას და წარმოადგენს სემანტიკურ ხილს ორ მეტატექსტს შორის.

და ბოლოს ენახოთ ისეთი მაგალითი, სადაც ძახილის წინადადება აერთებს ორ მეტატექსტს.

„ვათენდ რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიჟრაჟო! რა მშვენიერ რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ! მე მგონია, რომ ამ დილას ყოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაუფრებელიყოს, მაგრამ თერგი მაინც კბლავის და იბრძვის. სჩანს, ქვეყნის ტკივილი დაუფრე-ჩავია.

ვათენდა და გაიხპურა ქვეყანამ ადამიანის ხმითა. დღემ დაიწყო თავისი დაუდგარი ფაცა-ფუცი. კარგია გაღვიძებული ადამიანი! მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულ-ალტყინებულსა_ /422, 267-268/.

ამგვარად, თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადებები ტექსტის სტრუქტურული ორგანიზაციის, ერთიანი გაბმული ტექსტის წარმოქმნის ერთ-ერთი აქტიური და ნაყოფიერი საშუალებაა.

რადგან ესე არ არის, რომ ერთ ტექსტში მეტატექსტები ერთი საშუალებებით იყოს დაკავშირებული, მეორეში კი - სხვა, ამიტომ ავიღოთ ერთი-ორი ტექსტი და ვნახოთ, თუ როგორ და რა საშუალებებით უკავშირდებიან ერთმანეთს მეტატექსტები და მათი ერთიანობით თუ როგორ წარმოიქმნება ერთიანი გაბმული ტექსტები.

ტექსტი პარკული

(I) ოთარაანთ ქვრივს სოფლის ნაპირას ერთი კაი მოზრდილი ფიკრული ედგა. მისი ეზო, საკმაოდ ფართო გლეხკაცისათვის, გარს შემორტყმულია ტყრუშის ღობითა. ეზო წმინდაა, ფაქიზად შენახული და დერეფნიდან მოყოლებული ქიის კარამდე სიგრძე-სიგანეზედ მწვანით აბიბინებული. დერეფნის წინ, ერთ ოციოდ ნაბიჯზედ, უშველებელი კაკალი სდგას, შტოებ-ძირდაშვებულს, შემომრკვალეზულს თითქო განგებ შემოკვეცილიაო.

კაცის თვალს იამებოდა, რომ ეს ეზო ენახა. სახლი, როგორც ვთქვით, ფიკრულია. მარტო ჩრდილის მხრივ კედელი მთლიანია. სხვა მხრივ კი ყველგან თითო კარი აქვს დატანებული. კედლები ყველგან დაჩითულია სათოფეებითა, სჩანს შიშინანობის დროს ყოფილა აშენებული.

(II) ამ სახლს მარჯვნივ წალმით დახურული მარანი ედგა ოთხკუთხედიანი და ფრღალა. სახლის უკან კალო-საბძელია და საბძელქვეშ გომური. სახლის მარცხნივ პატარა ადგილია შემოღობილი და შიგ ბოსტანია.

აქ მოკაყვს ხოლმე ოთარაანთ ქვრივს ყველივე ბოსტნეულობა, რაც კი დასკირდება საზაფხულოდ, თუ საზამთროდ. თავისის ხელით კბარავს, სთოხნის, კმარვლის, სთესს და კერეფს ხოლმე. თუმცა სოფლელნი ბევრს იძახდნენ: ვის გაუგონია დედაკაცის ბარი და თოხიო, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი არას დავიდევდათ.

(III) - თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონონო. - ამბობდა ხოლმე. მითამ მე რითა ვარ ნაკლები ამ დაშალ გოგიაზედ! თუ იმასა ქშენის ბარი და თოხი, მე რაღა ღვთისაგან შერისხული ვარ. რა ვუყოთ, რომ ის შამაკაცია და მე დედაკაცი. მითამ ჩემზედ წინ რით არის? იმასაც ორი

ხელი და ფეხი აქვს და მეცაო. თუ ის ხელ-ფეხს ასაქმებს, მე რაღა დარ-
დუ ალა გადაძკოდებია!... რა საპყარი და დავარდნილი მე მნახესო!...

(IV) ბოსტანში მუშაობა ისე უყარდა, რომ სხვის ხელს არ
მიაყარებდა. ბოსტანში პატარა რუი იყო გაჭრილი და მუღმზე და განუ-
წყიტლად წყალი ჩამოიხუხჩუებდა, დიდის სასოფლო რუილამ წამოყ-
ვანილი. იმ სოფელში წყალი ბევრი იყო, სოფელს ზედ შუაზედ სამის
წისკვილის წყალი ჩამოუდიოდა. როცა ძალიან გოღვა იყო, მაშინ კი
წყალს სოფელენი ერთმანეთსა ჰპარავდნენ, სტაცებდნენ ბოსტნებისა
და ნამეტნაუად ვენახების სარწყავად. ოთარაანთ ქერივს კი ვერ უბე-
დავდნენ წყლის მოკლებასა. თუ ვინმე გაძებდავდა, ვაი იმას!... ოთარაანთ
ქერივი მეწისკვილესავით გაიდებდა ხოლმე მხარზე თოხსა და აყვებოდა
რუს თავამდინა. გლეხები რომ ამ ყოფით დაინახავდნენ ოთარაანთ
ქერივს, იტყოდნენ:

— წამოვ და მეხი, და ვაი იმას, ვისაც დაეცემაო.

(V) სახლში რომ შესულიყავით, ყველაზე უწინარეს თვალში გე-
ცემოდათ სიფაქიზე და დაგვილ - დაწმენდილობა იქაურობისა. თარო
ჩრდილოს მთლიან კედელზედ თავიდან ბოლომდე გახიდულია და ზედ
ჩამომწკრივებულია სუფთა კურკელი ქაშანაურისა. ორიოდე ქვაბი,
ტაფა, ჩაშა, ქაფქირი, ძალზედ დაწმენდილ დარეცხილი, მხიარულად
გადმოიციქრებიან მაღლიდამ, თითქო თავს იწონებენ, რომ კარგი
მომვლელი და პატრონი ასჩენიათ.

(VI) კერას აქეთ-იქით თითო ტახტია დაფენილი კრელის ფარდ-
აგებითა. კარგა ხნის ფარდაგებია, მაგრამ კარგად შენახული და ნაპა-
ტრონები. ტახტების თავზედ თითო ბაცანკალი, ანუ, როგორც ზოგან
ეძახიან, სასთუმალი დგას ხარატით ნაკეთები. კუთხეში ერთი დიდი კი-
დობანია. ეტყობა ძველი ნაკეთობაა, იმიტომ, რომ წინა პირზედ გამოხ-
არატებულია სხვადასხვა სახე და ძველებური გრეხილ-ბვეულები სილა-
მაზისათვის. ერთი დიდი სკივრიცა სდგას მეორე კუთხეში, ეტყობა
ერთს დროს ღურჯად ყოფილა შეღებილი და ესლა კი საღებავი
გადასვლია. ამ სკივრზედ აკოვლებულია ქვეშააგები, ღურჯის სუზა-
ნით თავიდან ბოლომდე ჩამოფარებული.

(VII) ამ სახლის, ანუ როგორც თითონ ოთარაანთ ქერივი ეძახდა,
დარბაზის მოწყობილობისათვის რომ თვალი კარგად დაგვეკვირვებინათ,
იტყოდით ამის პატრონი შეძლებული კაცი უნდა იყოსო. არც მოსტ-

ყუდებოდით. გლეხეაცობის კვალობაზედ ოთარაანთ ქერივს ბევრი შექნატრებდა. ამას ქმრისაგან დარჩა ნახევარ-გუთნეული საქონელი, ორი ფურ-კამეჩი, სამი ძროხა, ამას გარდა ორის დღის კარგად გაკეთებული და გაესებული ვენახი და ოციოდ დღის სახნავ-სათესი მიწა.

(VIII) ვენახს ქერივი ძალიან კარგად უვლიდა, ძალიან ამატიებდა და ვენახიც კარგს მოსაველს იძლეოდა. ამბობდნენ, რომ ოთარაანთ ქერივი, - რაც უნდა მდარე მოსაველი ყოფილიყო, - სამს საპალნეს ღვინოს მაიხც გაყიდდო ყოველ-წლივ. მისი ოვინო საპალნე შეიღოვა და ათ თუმნადაც ბევრჯელ გაყიდულა თურმე. შინაც სახარჯოდ ღვინოს სამყოფზიდ შეტს ინახავდა. ათის დღის მიწას ყოველ-წლივ ჰხნავდა, სუიღვით იქნებოდა, ალოთი, თუ თავისის გუთნით, ათის დღისას უსათუოდ მოჰხნავდა და მოსთესავდა.

(IX) გაყუდდა ღვინოსა და მომეტებულს პურს თუ არა, ფულს ხუთ ნაწილად ჰყოფდა და ხუთ რიგად ინახავდა. ამისათვის ნაპკრებისაგან კრელი ქისები ჰქონდა, ჩანთასავით შეკერილები. ერას ამისთანა ქისას „საჭირნას-ულოს“ ეძახდა და შიგ ინახავდა სახარჯოს პურისა და ქერების სამკალად, მოსაზიდად და საღეწად. მეორე ქისას „ბარაქალა ქისას“ ეძახდა. იქაში ინახავდა სახარჯოს ვენახის სამუშაოსათვის. მესამე ქისას „საჯანაბო“ ერქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგროსას, თუ ვინციობაა სოფელი ოდესმე შეაწერდა. მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის საჯამაგრო ფულსა. ამ ქისას ეძახდა: „მიეცი და მოგეცესო“. მე-უთე ქისაში ჰქონდა საშინაოდ სახარჯო და ღარიბთა ვასაკითხი ფული. ამ-უხუთე ქისას ოთარაანთ ქერივი ხან „ფარსილას ქარვასლას“ ეძახდა, ხან „შიოს მარანსა“.

თვლა თუ მცა მავრე-რიგად არ იცოდა და ხშირად ეენქებს მოიშვილებდა ხოლმე, როცა უამისოდ დათვლა უჭირდებოდა მავრამ ანგარიში ძნელად შეეშლებოდა. პირველს ოთხს ქისაში იმღენს ჩააწყობდა, რამდენც საჭირო იყო და ძალიან იშვიათად მომხდარა - ანგარიში არეულოდეს. რაც პირველს ოთხს ქისას გადარჩებოდა, ყველას მებუთე ქისაში დაუთვლელად ჩაყრიდა და მინამ გამოილეევოდა დაუთვლელადვე მხარჯავდა. /422, 473-476/.

მომხობილი ტექსტი ცხრა მეტატექსტისაგან შედგება. თითოეულ მეტატექსტს თავისი ქვეთემა აქვს. ეს ქვეთემებიც:

პირველი მეტატექსტისა - ოთარაანთ ქერივი, ს სახლი და ეზო

მეორე მეტატექსტია - სახლ-ნაგებობანი და ბოსტანი
მესამე მეტატექსტისა - ოთარაანთ ქვრივი თავის შესაძლებლო-

ბაზე

მეოთხე მეტატექსტისა - ბოსტანი

მეხუთე მეტატექსტისა - ჯამ-კურკელი

მეექვსე მეტატექსტისა - დარბაზის მოწყობილობა

მეშვიდე მეტატექსტისა - ოთარაანთ ქვრივის შეძლებულობა

მერვე მეტატექსტისა - ვენახისა და მიწის მოვლა

მეცხრე მეტატექსტისა - ფულადი შემოსავალი და ხუთი ქისა

თვით ილიამ ამ ტექსტს, რომელიც ნაწარმოების ერთ თავს უდრის, სახელად დაარქვა „ხუთი ქისა“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოცემული მთლიანი ტექსტის თემაა - ხუთი ქისა.

ვნახეთ, რომ თითოეულ მეტატექსტს თავისი მიკროთემა აქვს. რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ მეტატექსტს აქვს თავისი რეფერენტი. მეტატექსტის დამთავრება ნიშნავს, რომ დასახელებულ რეფერენტზე ინფორმაცია ამოიწურა, მასზე საუბარი დამთავრდა. მაგრამ მეტატექსტებს ერთმანეთისაგან ჩინური კედელი კი არ ყოფს. მომდევნო მეტატექსტი თავის აზრობრივ საწყისს წინამავალისაგან იღებს. მეზობელ მეტატექსტებს შორის აზრობრივი კავშირი რომ არ არსებობდეს, თხრობის ხაზი გაწყდებოდა, მეტატექსტთა თანმიმდევრობა დაირღვეოდა ან შეუძლებელი იქნებოდა და ტექსტს ვერ მივიღებდით.

ჩვენი ტექსტის პირველ მეტატექსტში საუბარია ოთარაანთ ქვრივის სახლზე და ეზოზე. მეორე მეტატექსტს პირველთან გადაბამს ანათორული ნაცვალსახელით განსაზღვრული არსებითი სახელი - „ამ სახლს“, რომელ სახლზეა საუბარი? იმაზე, რომელიც მრავალგზის ნახსენებია პირველ მეტატექსტში. ამიტომ სწორედ დასახელებული სიტყვებით („ამ სახლს“) მეორე მეტატექსტი გადაება პირველს და ამით მათ შორის აზრობრივი კავშირი გაიბა, თხრობის ხაზი გაგრძელდა. სხვა ფუნქციად გარდა ორი მეზობელი მეტატექსტის აზრობრივი დაკავშირებისა, ამ სახლს არა აქვს, რადგან უკვე აქედანვე იწყება ახალი მიკროთემა, სადაც საუბარი გრძელდება არა სახლზე, არამედ სხვა ნაგებობებზე და ბოსტანზე.

მესამე მეტატექსტი მოდალურია. აქ ოთარაანთ ქვრივი საუბრობს თავის ფიზიკურ შესაძლებლობებზე და აფასებს იმ უნარს, რომ-

ლის მიხედვითაც თავისი თავი მამაკაცის ტოლი ჰგონია. აზრობრივად ეს მეტატექსტი კავშირშია მეორესთან, სადაც ისმის კითხვა: ვის გაუგონია დედაკაცის შარი და თოხიო, ხოლო ამ კითხვის პასუხად ოთარაან: „ქრივი ამბობს: ..თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონონო“ და ამბობს იმას, რაც შეადგენს აკმოდალური მეტატექსტის შინაარსს.

მეოთხე მეტატექსტს მეორესთან (და არა მესამესთან, რომელიც, როგორც მოდალური, არ აგრძელებს ინფორმაციის ძირითად ხაზს) აკავშირებს ლექსიკური გამეორება - „ბოსტანში“. სიტყვა „ბოსტანი“ კი რამდენჯერმე იყო ნახსენები მეორე მეტატექსტში.

მეხუთე მეტატექსტს ისევ მეორესთან აკავშირებს ლექსიკური განმეორება - „სახლში“.

მეექვსე მეტატექსტი მეხუთეს უკავშირდება ე.წ. სემანტიკური განმეორებით - სახლი-ყერა. ყერა სახლის სემანტიკური ველის რომელიღაც წერტილზე დევს და ამიტომ ენაცვლება მას.

მეშვიდე მეტატექსტო მეექვსეს უკავშირდება „ამ სახლის“ შემვირბით.

მერვე მეტატექსტი მეშვიდეს უკავშირდება ისევ ლექსიკური განმეორების საშუალებით. ასეთივე საშუალებაა გამოყენებული მეცხრე და მერვე მეტატექსტების ურთიერთდასაკავშირებლადაც. პირველ შემთხვევაში ესაა „ვენახი“, ხოლო მეორე შემთხვევაში - „ღვინო“.

ველა მეტატექსტი (თუნდაც მოდალურიც!) თავთავისი ინფორმაციით ემსახურება ძირითადი და მთავარი თემის - „ახუთი ქისის“ ახსნა-დასაბუთებას. ველა მეტატექსტი „ახუთი ქისის“ წისკვილზე ასხამს წყალს, კერძოდ. ოგორი სახლ-ყარი, ნაგებობანი, ეზო, ბოსტანი, სახლის მოწყობილობა, ჯამ-ჭურჭელი, სახნავ-სათესი აქვს ოთარაანთ ქრივის, როგორ ყოდის ზედმეტ ღვინოსა და პურს და მიღებულ ფულს როგორ ანაწილებს ხუთ ქისაში, რომ შემდეგ ამ ქისების წყალობით გადაწყვიტოს ყველდღიური ცხოვრებისეული საკი რხები.

ჩვენ მიერ მოხმობილი ტექსტი ნათლად პასუხობს თემარემობრივ ურთიერთობას, რომელიც სქემატურად ასეთ სახეს მიიღებს:

თემა₁ → რემა₁

I მეტატ. II მეტატ.

↓
თემა₂ → რემა₂

(=რემა₁) (IV მეტატ.)

↓
თემა₂ → რემა₃

(=რემა₁) (V მეტატ.)

↓
თემა₃ → რემა₄

(=რემა₃) (VI მეტატ.)

↓
თემა₄ → რემა₅

(=რემა₄) (VII მეტატ.)

↓
- თემა₅ - → რემა₆

(=რემა₅) (VIII მეტატ.)

↓
თემა₆ → რემა₇

(=რემა₆) (IX მეტატ.)

როგორც ჩანს, მეტატექსტები ერთმანეთს ძირითადად ჯაჭვური დაკავშირებით უერთდებიან, ხოლო მეოთხე და მეხუთე მეტატექსტები მეორეს - პარალელური დაკავშირებით.

ჩვენი ტექსტი სემანტიკურად მთლიანია, სტრუქტურულად ერთიანი, ვაბმული, ყოველივე ეს მიღწეულია ზმნა-შემასმენელთა დრო - კილოთა ერთიანობით, ძირითადად წარსული დროის ფორმებია გამოყენებული.

მეტატექსტთა დასაკავშირებლად, როგორც ვნახეთ, გამოყენებულია ლექსიკური განმეორებანი. დამაკავშირებელ საშუალებებს ინტერგრაციის ფუნქცია აქისრიათ. ამ საშუალებათა ადგილის შეცვლა არ შეიძლება. ასევე არ შეიძლება მეტატექსტების ადგილის შეცვლა. თუ მათ გადავადგილებთ, დაირღვევა აზრის ლოგიკა, აზრობრივი თანმიმდევრობა და შესაძლოა შინაარსი დამახინჯდეს კიდევ.

ტექსტი მკორე

(I) „წინ, მეეტლევ“

ეგ ცხენები გააქანე, გააქანე!

მსურს, რომ ერთხელ კიდევ ვნახო გაზაფხულის მთები მწვანე,

მსურს, რომ დაფნის ვადავზღართო მძიმე ფიქრთა ოკეანე!...

წამიყვანე!

(II) მოდბე! როგორ შეენით მათზე გაზაფხულის ბუჩქ-ფოთოლი!

როგორ მშენის ველზე ნაში, გამქვირვალე, როგორც ბროლი!

ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუმკრთალი,

რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჟე კაცის თვალი,

კიპარისი ისე ლელავს, ისე ლელავს, ისე ლელავს,

ისე ტოკავს, ისე ტოკავს, როცა ქარი გადათელავს...

წყარო, კლდეში მოჩუბჩუხე, წვეთანკარა, ვით ცის ვნება,

დაფნის ბუჩქთა მწვანე ჩარჩოს ეომება, ეხეთქება.

და ჩანჩქერი მთით ნასხლექტი, დაფერილი დილის სხივით,

ძირს ეშვება და იფრქვევა და გადადის რძის ქაფივით.

(III) ვდგეკარ მთაზე... და სიჩუმის იდუმალი მესმის ენა,

და მიტაცებს სწრაფი ფრთებით პოეტური აღმაფრენა.

ვხედავ სურებს, ვხედავ დაფნარს, ვხედავ მღუმარ ნასაკირალს,

ვხედავ სოფლებს სიცოცხლისას, განახლების თვალით მზირალს.

(IV) ჩუმად!

ვილაღ მღერის მთაზე... რა ძალაა ამ ტყბილ ხეში...

არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში,

არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის ფინი, ბრძოლის ქარი

არსად ისე არ გადმოხიოქს უკმარობის ნიაღვარი,

და არსად მთელ ქვეყანაზე არ ჰკოცნიან ისე ვნებით,

ისე ცეცხლით, ისე ფინით და იმგვარი გატაცებით,

ჟრსად ისე ჟრვინ გაგხვევს გამოუცნობ ცეცხლის ტბაში.

როგორც ლერწამ ქალწულები - აქ, ამ წარმტაც ქვეყანაში!

(V) და, მეიტლეც

თუ მათ აღერსს

ვერ ველირსე, გეთაყვანე,

საალერსოდ ისევ მიწვევს გაზაფხულის მთები მწვანე...

მაშ, გარკვევ ცხენები,

სადმე შორს, შორს წაიყვანე,

გამაქანე,

გამაქანე!...

/417, 46-47/.

ეს პოეტური ტექსტი ხუთი მეტატექსტისაგან შედგება. თითოეულ სათვანს თავისი ქვეთემა აქვს. პირველი მეტატექსტის ქვეთემაა - სურვილი გაზაფხულის მთების ნახვისა

მეორე მეტატექსტისა - შთიდან დანახული ცა და გარემო

მესამე მეტატექსტისა - იღუმალი ენა

მეოთხე მეტატექსტისა - სიმღერის, ბრძოლისა და სიყვარულის თავისებურება

მეხუთე მეტატექსტისა - ისევ გაზაფხულის მთების ხილვისა და შორს წასვლა. სურვილი

ამ ტექსტს თვითონ ავტორმა მისცა სათაურად - „გურიის მთები“, რომელიც ჩვენთვის ამ პოეტური ტექსტის მთლიან თემას წარმოადგენს.

პირველი ოთხი მეტატექსტი ერთმანეთს უკავშირდება ერთი და იმავე ლექსიკური განმეორებით. პირველ მეტატექსტში დასახელებული „გაზაფხულის მთები“ მომდევნო ორი მეტატექსტის დასაწყისშივე გვხვდება. ოდნავ შეცვლილი სახით „მთები“ ან „მთაზე“ და ამ სიტყვის განმეორება აკავშირებს სწორედ მეორე მეტატექსტს პირველთან, ხოლო მესამეს - მეორესთან. მეხუთე მეტატექსტი მეოთხეს უკავშირდება მაერთებითი „და“ კავშირით და მასთან ერთად კვლავ განმეორებული „გაზაფხულის მთებით“.

ხუთივე მეტატექსტი სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა ინფორმაციით ხატავს და ავსებს გურიის მთების სურათს, პირველ მეტატექსტს დანარჩენი ოთხი უკავშირდება პარალელური დაკავშირებით.

საანალიზო ტექსტის კონსტიტუენტების თემა რემობრივი ურთიერთობა შეიძლება შემდეგი სქემით გამოვხატოთ:

თემა = პირველ მეტატექსტს

რემა ₁	რემა ₂	რემა ₃	რემა ₄
მეორე მეტატექსტს	მესამე მეტატექსტს	მეოთხე მეტატექსტს	მეხუთე მეტატექსტს

ეს სქემა გვიჩვენებს, რომ გვაქვს ე. თი რეფერენტი - გურიის მთები - რომელიც სხვადასხვა კუთხით ხასიათდება.

მოცემული ტექსტი სემანტიურად ერთიანია, სტრუქტურულად კი - მთლიანი, ერთიანი, გაბმული. ყოველივე ეს მიღწეულია ზჰნა-შემასმენელთა დრო-კილოთა ერთნაირი ფორმების, სახელდობრ, ეხლანდელი დროის ფორმების გამოყენებით.

ჩვენს ტექსტში არ შეიძლება არც დამაკავშირებელი საშუალებებისა და არც თვით მეტატექსტები, ადგილის შეცვლა. პირველის განხორციელება შეუძლებელს გახდოდა მეტატექსტთა დაკავშირებას და ამდენად ვერ მივიღებდით ერთიან გაბმულ ტექსტს, ხოლო მეორე შემთხვევაში ტექსტი დაკარგავდა ჭერ აზრობრივ სიმჭყობრეს და თანმიმდევრობას, შემდეგ კი გენიალური ქმნილების ნაცვლად ხელში შეგვრჩებოდა დამახინჩებული ფენომენი.

დასკვნები

ტექსტის კომპონენტებია მეტატექსტები.

ტექსტის სტრუქტურულ ერთიანობას, კონსტიტუენტების გაბმულობას, მთლიანობას ქჰნის მეტატექსტთა კოჰეზია რომელიც მიღწევა:

ა) მიერთებითი ფუნქციით გამოყენებული მაერთიებელი და მაქვემდებარებელი კავშირებით;

ბ) აფორული ნაცვალსახელებით და ° მნიშვნელებით;

გ) ლექსიკური გამწვანებით;

დ) სინონიმური ჩანაცვლებით;

ე) ზჰნა-შემასმენელთა დრო-კილოთა და აპექტის ფორმათა ურთიერთთანაფარდობით;

ვ) სიტყვათა და წინადადებათა რიგით;

ზ) საგანგებოდ შერჩეული თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადებების გამოყენებით.

თავი მესამე

ტექსტის კატეგორიები

5.1. საკითხის ისტორიისათვის

მეტატექსტისა და ტექსტის კვლევის ადრეულ პერიოდში ამ ახალ ენობრივ ერთეულებს სინტაქსის პოზიციებიდან უყურებდნენ და აფასებდნენ და იმ კატეგორიებით ზომავენ, რომლებიც ცნობილი იყო მორფოლოგიიდან და სინტაქსიდან (ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, რომ გადაწვეტად ითვლებოდა ავტოსემანტია და სინსემანტია, ამ უკანასკნელის ტიპი, წინადადების წევრის ადგილი და ფუნქცია და სხვა); მაგრამ კვლევის შემდგომ გაშლა-გალრმაკვებასთან ერთად აღმოჩნდა, რომ ახალ საკომუნიკაციო სიდიდეს წინადადებისაგან განსხვავებული, საკუთარი პარამეტრები და კატეგორიები აქვს, რომელთა შესახებ აზრთა სხვადასხვაობას დღესაც აქვს ადგილი.

როცა ტექსტის კატეგორიებს ადგენდნენ, უპირველეს ყოვლისა, ეს კატეგორიები მიაჩნდათ გრამატიკულად; კატეგორია კი გაიზარებოდა, როგორც განზოგადებული მნიშვნელობა, რომელიც მოცემულ ენაში თანმიმდევრულად ვადმოიცემა იმ ფორმების სისტემით, რომელთა სტრუქტურა ამ ენის ტიპზეა დამოკიდებული /266,3/.

კატეგორიის ასეთი განმარტება ტექსტის დონეზე უფუნქციოა, რადგან ამ ვაკეებით, ესა თუ ის კატეგორია ამა თუ იმ ფორმით ვადმოიცემა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამა თუ იმ კატეგორიას თავისი შესატყვისი ფორმა აქვს. ეს დებულება სწორია სიტყვისა და წინადადებისათვის, როცა ბრუნვას, პირს, რიცხვს, ქცევას, კონტაქტს და ა.შ. თავისი მორფოლოგიური ნიშანი აქვს, როცა საუბარია ენის სტრუქტურის პარამეტრებზე.

მაგრამ ტექსტი ისეთი ენობრივი სიდიდეა, რომლისთვისაც ძირითადი და არსებითი პარამეტრი კომუნიკაციაა. საკომუნიკაციო ურთიერთობის დროს კი გადაწვეტია შინაარსი, ინფორმაცია. ტექსტი სემანტიკური სიდიდეა და მას ფორმობრივი მაჩვენებელი არ გააჩნია. ტექსტის კატეგორია ვერ თავსდება ერთ სიტყვაში ან ერთ წინადადებაში, თუ გინდ ერთ მეტატექსტში. ის არ არის თავმოყრილი

ერთ ადგილას. ტექსტის კატეგორია შინაარსობრივი კატეგორიაა, რომელ აც გამომდინარეობს ტექსტის თემის შინაა. სიდან, იმ ინფორმაციიდან, რომელიც გულისხმობს თემის ამომწურავ გაშლა-დასასიათებას.

ტექსტის კატეგორიების დადგენას ი.რ.გალპერინმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა /88/, სადაც იგი ამ კატეგორიებს ორ ჯგუფად ყოფს: სემანტიკურად და სტრუქტურულად. სემანტიკურ კატეგორიებს იგი აკუთვნებს ინფორმაციულობას, სიღრმეს (ქვეტექსტს), პრესუპოზიციას, პრაგმატიკას, დამთავრებულობას; ტექსტის სტრუქტურულ კატეგორიებად გალპერინი მიიჩნევს ინტეგრაციას, რეტროსპექციას, პროსპექციას, კონტინიუმს, პარტიტურობას, გაბმულობას /88:524/.

ყველა ჩამოთვლილ კატეგორიას ი.რ.გალპერინი გრამატიკულს უწოდებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტრადიციული გრამატიკა მათ არ იცნობს. ცნობილია, რომ გრამატიკული კატეგორია დგინდება საპირისპირო ფორმათა არსებობით და ამ კატეგორიებს თავიანთი ნიშნები აქვთ. გალპერინის მიერ კი ტექსტის კატეგორიებად აღმოჩენილი და გრამატიკულად მონათლული კატეგორიები სემანტიკურია. გალპერინი ტერმინებისა და კატეგორიების კორიანტელს აყენებს, ტექსტის რაიმე ნიშანი ან პარამეტრი სურს უკლებლივ კატეგორიად გამოაცხადოს.

ი.რ.გალპერინმა მის მიერ გამოყოფილ ტექსტის ზოგიერთ კატეგორიას ცალ-ცალკე გამოკვლევები უძღვნა /86:89/. სხვა კატეგორიების შესახებ კი იგი ვრცლად საუბრობს მის ერთ-ერთ ცნობილ ნაშრომში /85/, სადაც ასეთ კატეგორიებადვე გამოყოფილი აქვს კოპეზია, კონტინიუმი, ინტეგრაცია, დამთავრებულობა, მოდალობა, რეტროსპექცია, პროსპექცია, ტექსტის მონაკვეთების ავტოსემანტურობა.

უნდა აღვნიშნოს, რომ ი.რ.გალპერინი ერთსა და იმავე კატეგორიას სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავს და ცდილობს, დამტკიცოს მათი სხვადასხვაობა. მხედველობაში გვაქვს გალპერინის მიერ ცალ-ცალკე კატეგორიებად გამოყოფილი კოპეზია, ინტეგრაცია, გაბმულობა ანდა რეტროსპექცია, პროსპექცია და კონტინიუმი. პირველი სამიდან (კოპეზია, ინტეგრაცია, გაბმულობა) ტექსტის კატეგორიად შეიძლება მივიჩნიოთ გაბმულობა, ხოლო კოპეზია და ინტეგრაცია გაბმულობის მიღწევის საშუალებებია. მეორე სამიდან (რეტროსპექცია, პროსპექცია,

კონტინუუმი) არც ერთი არ არის ცალ-ცალკე კატეგორია, ისინი თან-მიმდევრობის კატეგორიის პარამეტრებია.

გარდა ამის, ინფორმაციულობას კატეგორიად ვერ ჩავთვლით, რადგანაც იგი ნიშნავს იმ შინაარსს, რომელიც გადმოიცემა ტექსტში. არაინფორმაციული, უშინაარსო ტექსტი კი საერთოდ არ არსებობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტექსტი არის შინაარსის გადმოცემის ფორმა.

სხვადასხვა დროს ტ.მ.ნიკოლაევამ გამოყო ტექსტის სხვადასხვა კატეგორიები. 1977 წელს მან აქტუალური დანაწევრება მიიჩნია ტექსტის კატეგორიად /229/. 1978 წელს კი მანვე გამოყო თანმიმდევრობის კატეგორია: „მაშინ იგი წერდა: „ტექსტის გრამატიკის გასაღები - ეს არის თვით დედია ერთეულთა ხაზოვანი თანმიმდევრობის შესახებ“, „ახალი კატეგორიებისა და კლასების გამოვლინებას და ძველთა გადააზრიანებას. ალბათ, ბიძგი მისცა არა ტექსტის გაბმულობამ, არამედ მისმა თანმიმდევრობამ“ /230, 13-24/.

1979 წელს ტ.მ.ნიკოლაევამ გამოყო ხაზოვანი გრამატიკის (ასე უწოდებდა იგი მაშინ ტექსტის შემსწავლელ მეცნიერებას. დღეისათვის კი ტექსტის ლინგვისტიკას უწოდებს. - ვ.ს.). ფუნქციონალური კატეგორიები /233, 46/, რომელთა შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

და ბოლოს, 1980 წელს, მანვე გამოყო „ამბავი“ (амбави), როგორც ტექსტის კატეგორია /234, 198-203/.

ტექსტის კატეგორიად ლ.მ.შეტინინას მიერ გამოყოფილი იყო აგრეთვე განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობაც /354/, რაც ტ.მ.ნიკოლაევამაც აიზიარა /239, 8/.¹

როგორც აღინიშნა, პრესუპოზიციისა და პროპოზიციის ი.რ.გალპერინს ტექსტის კატეგორიებად მიაჩნდა. ამ პრობლემას შეეხნენ აგრეთვე ნ.დარუთინოვა /12; 14/; ნ.ფ.ირტენიევა /140/ და ფ.კიფერი /150/, მაგრამ მათ პრესუპოზიციისა და პროპოზიციის კატეგორიებად კი არა, ტექსტის სემანტიკის პარამეტრებად მიაჩნიათ.

¹ ამ კატეგორიის სპეციალური კრებულის მიხედვით: Категория определенности-неопределенности в славянских и балканских языках. М., 1979.

როგორც ვხედავთ, ტექსტის კატეგორიების შესახებ მნიშვნელოვან აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი. ერთმანეთშია არეული თავისებურება, ნიშანი და კატეგორია. ერთი და იგივე კატეგორიის აღსანიშნავად ხშირად სხვადასხვა ტერმინია ნახმარი. როგორც გალპერინის, ისე სხვათა მიერ. მაგალითად, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია, რა სახითაც მას გვაწვდის ლ.მ. შჩეტინინა. უახლოვდება აქტუალური დანაწევრების კატეგორიას. ამ უკანასკნელს ემათურება კ.ბოსტის ე.წ. "დაძაბულობის თეორია"¹ რომლის მიხედვით მსმენელი ელოდება გამონათქვამის გაგრძელებას მანამ, ვიდრე თემა არი დაძაბურდება. ეს დაძაბულობა, დაკიმულაცია იცვლება ქვეთემის ცვლასთან ერთად, ვიდრე ტექსტის აზრობრივ დაძაბურებასდე.

კ.ბოსტის ამ დებულების თავისებურ გამოძახილს წარმოადგენს ს.კულუკოვის სტატია /176/, რომლის თანახმადაც დაძაბულობით აასიათდება მეტყველების სტრუქტურა.

კამათი, ღაჯა და სხვადასხვა მოსაზრების წამოყენება ტექსტის კატეგორიების შესახებ, ალბათ, დღესანს ვაკრძელდება, დრომ უნდა გვიჩვენოს, თუ რომელი კატეგორიაა ტექსტისათვის არსებითი და მუდმივი. სირთულეს ის ქმნის, რომ ტექსტის კატეგორიები სემანტიკური კატეგორიებია, ხოლო სემანტიკა ენათმეცნიერების ფაზირია.

დღეისათვის ჩვენ ტექსტის კატეგორიებად მივიჩნევთ გაბმულობას, თანმიმდევრობას და მოდალობას.

5.2. გაბმულობა

გაბმულია ტექსტის ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი კატეგორია. გაბმული ტექსტის ცნება, როგორც აღვნიშნეთ, ტექსტის ლინგვისტიკაში პირველად შემოიტანა ა.ა.ლეონტიევა /186, 96-114/.

¹ K. Boost. Neue Untersuchungen zum Wessen und zur Struktur des deutschen Satzes. Brl., 1955 "დაძაბულობის თეორია"

ფსიქოლოგიურ ასპექტზე საუბარია ნ.ნ.ფრანგიშვილის ნაშრომში: Психологическая природа приема речаравии. АКД, Тбилиси, 1981; იხილეთ აგრეთვე ე.გ.აღმონი /3/.

სხვა ნაშრომში მას ჩამოთვლილი აქვს მსატერული ტექსტის გაბმულობის შემდეგი ნიშნები:

ა) წინადადება-რეპლიკის გრამატიკული დამოკიდებულება ამოსავალ წინადადებაზე, რაც გამოიხატება მათ სინტაქსურ უსრულობაში და ამოსავალ წინადადებასთან გრამატიკულ შეთანხმებაში;

ბ) წინადადება - რეპლიკის სინსემანტურობა, რაც გამოიხატება პირის ნაცვალსახელების სპეციპიკურ გამოყენებაში;

გ) კომპონენტების თანაფარდობა აქტუალური დანაწევრების თვალსაზრისით;

დ) გაბმულობის სემანტიკურ-გრამატიკული ნიშნები „რბილი“ და „უხეში“ დასაწყისის ტიპისა;

ე) გაბმული კომპონენტების ფონეტიკური თანაფარდობა; ვ) კომპონენტების საკომუნიკაციო თანაფარდობა;

ზ) კომპონენტების თანაფარდობა წინადადების ხანგრძლივობის მიხედვით და ა.შ. /183, 168-169/.

მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ ჩამოთვლილ ნიშნებს გააჩნიათ სინტაქსური ბუნება. ასეთი ნიშნებია, მაგალითად, პირველი წინადადების ავტოსემანტურობა, სინსემანტურობის მაჩვენებლად მიმართებითი ნაცვალსახელების გამოყენება და პირველი წინადადების „რბილი“ და „უხეში“ დასაწყისი, რომელთა კრიტიკა მოცემულია წინამდებარე ნაშრომის სხვადასხვა ნაწილში. არც სხვა ნიშნებია ხელშეუხებელი, მაგრამ აძვირად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ა.ა.ლეონტიევმა ტექსტის არსებით პარამეტრად თავიდანვე გაბმულობა ჩაითვა.

ს.ი.გინდიშაძე გაიმეორა ტექსტის გაბმულობის თეორია, მაგრამ მიუმატა მას ცნება - „ყველგან გაბმული“, „ყველგან-მოტივირებული“ ტექსტისა, აგრეთვე ტექსტისა ფრაზათა შორის დაკავშირების გაბმული გრაფიკით /99, 22/. ამ დებულებას ავტორი სხვა ნაშრომშიც იმეორებს /100/, სადაც მან გამოყო ტექსტის გაბმულობის შემდეგი შესაძლო ტიპები: ფონეტიკური, რიტმიული, ინტონაციური, სინტაქსური, ლოგიკური, ლექსიკური, სემანტიკური /100, 12-15/.

ტექსტის გაბმულობის საკითხს ეჭება აგრეთვე ი.რ.გალპერინი თავის წიგნში /85/, სადაც ძირითადად არკვევს ტექსტის მდგენელთა დაკავშირების საშუალებებს. ტექსტის კომპონენტების გაერთიანებას

გალპერინი კოპეზიას უწოდებს და მას ცალკე კატეგორიად გამოყოფს. ტექსტის კომპონენტების ერთ მთლიან გაბმულ ტექსტად გაერთიანების საშუალებებიდან იგი ანალიზებს ლექსიკურ განმეორებას, კავშირებს, ზმნიზებას, ჩართულ სიტყვებს და გამოთქმებს, ნაცვალსახელებს, ასოციაციურ კოპეზიას (სახეთა, პერსონაჟთა ასოციაციური კავშირი) და სხვა. /85, 73-86/.

ტექსტის კომპონენტების ერთ მთლიანობად გაერთიანების საშუალებად გალპერინს მიაჩნია აგრეთვე ინტეგრაცია, როგორც ტექსტის კატეგორია, რომელსაც უპირისპირებს კოპეზიას. ორივე (როგორც კოპეზიის, ისე ინტეგრაციის) შემთხვევაში საუბარია ტექსტის კომპონენტების გაერთიანებაზე.

ა. რას წერს გალპერინი: „კოპეზიასა და ინტეგრაციას შორის აუცილებელია ზღვარის გაღლება. ეს ცნებები ერთმანეთს ვანაპირობებენ, მაგრამ ისინი სხვადასხვაგვარნი არიან ფორმისა და გამოსახვის საშუალებათა ივალსაზრისით. კოპეზია - ეს არის ტექსტის ცალკეული ნაწილების - გრამატიკული, სემანტიკური, ლექსიკური დაკავშირების ფორმა... ინტეგრაცია კი-ეს არის ტექსტის ყველა ნაწილის გაერთიანება მისი (ტექსტის) მთლიანობის მისაღწევად. ინტეგრაცია შეიძლება განხორციელდეს კოპეზიის საშუალებებით, მაგრამ შეიძლება ჩამოყალიბდეს ასოციაციურ და პრესუპოზიციურ ურთიერობებზე დაყრდნობით. კოპეზია ლოგიკური პლანის კატეგორიაა, ინტეგრაცია კი - უფრო ფსიქოლოგიური“ /85, 125/.

გალპერინის მოსაზრების ეს ციტირება გვიჩვენებს, ერთი და იგივე კატეგორია ხელოვნურად როგორ არის ორად გახლეჩილი. ამ გახლეჩის მიზან- ჩვენთვის გაურკვეველია, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: აქ აღიარებული და შეძლებისგვარად დასაბუთებულია გაბმულობის კატეგორია.

ტექსტის გაბმულობის ასპექტებს მიუძღვნა თავისი გამოკვლევა კ. კოფენიკოვამ /156/, რომელიც გაბმულობას განიხილავს ორ ასპექტში: 1) გაბმულობა, როგორც მეტყველებით ასახული, გადაცემული და შექმნილი ზოგადის არსებობა ორ ან მეტ ფაქტსა და მოვლენაში და 2) გაბმულობა, როგორც მეტყველებით ასახული, გადაცემული ან შექმნილი ფაქტებისა და მოვლენების გაერთიანება. აზრობრივად დახურულ ერთ (შეკრულ) მთლიანობად /156, 51/.

კ.კოევინიკოვა წერილობით ტექსტებს სამ ჯგუფად ყოფს: 1) „ტექსტები, რომელთა შინაარსი აიგება მეტ-ნაკლებად უხეშო, მაგრამ ყოველთვის ოსლიგატორული ინფორმაციული მოდელებით“; 2) „ტექსტები, რომელთა შინაარსი აიგება უზუალური ინფორმაციული მოდელებით“; 3) „არარეგლამენტირებული ტექსტები, რომელთა შინაარსი არ ექვემდებარება არავითარ მკაცრ მოცემულობას იმ უარისა და საკომუნიკაციო სფეროს მხრივ, რომელსაც ისინი განეკუ ივნებიან“ /156, 53-54/.

კ.კოევინიკოვა გამოყოფს გაბმულობის ორ ძირითად ტიპს: 1) „რადიკალური ტიპის გაბმულობა, როცა ტექსტის ცალკეული ნაწილები დაკავშირებული არიან არა უშუალოდ ერთმანეთთან, არამედ მხოლოდ „კონსებურად“ მთელი ტექსტის თემასთან ან მთელი ტექსტის საკომუნიკაციო მიზანთან“; 2) „ხაზობრივი ტიპის გაბმულობა, როცა ტექსტის ცალკეული ნაწილები უშუალოდ ერთმანეთს უკავშირდებიან და ერთმანეთზე არიან დამოკიდებული“ /156, 57/.

ტექსტის გაბმულობას ავტორი განიხილავს აგრეთვე იმის მიხედვით, თუ როგორ გამოისახება იგი და ვაარჩევს: ა) ექსპლიციტურ და ბ) იმპლიციტურ დაკავშირებას /156, 60/.

თუ საკმაოდ მიგვაჩნია კ.კოევინიკოვას მიერ გამოყოფილი დაწერილი ტექსტის სამი ჯგუფის არსებობა და სპეციფიკა, გაბმულობის დასახელებული ორი ძირითადი ტიპის გამოყოფა ჩვენთვის მისაღებია.

ნ.ნ.ტროშინა „გ. ბმულობის“ ნაცვლად ხმარობს ტერმინ კოქერენტულობას. მისი გაკებით, ტექსტის კოქერენტულობა მიიღწევა წინადადებათა ლოგიკურ-სემანტიკური, სინტაქსური და სტილისტიკური კოქეზიით /320, 92/.

ნ.ნ.ტროშინას დებულების გაზიარება არ შეგვიძლია, რადგან წინადადებათა რა სახის კოქეზიაც არ უნდა ავიღოთ, იგი საბოლოოდ ყოველთვის გვაძლევს მეტატექსტს და არა ტექსტს.

გაბმულობას, როგორც ტექსტის კატეგორიას, განიხილავს ზ.ი.ხოვანსკაია /334/. მისი აზრით, გაბმულობის კატეგორია შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც აზრობრივი კავშირების არსებობა საკომუნიკაციო ერთეულების შივნიით ანდა მათ შორის. მაგრამ გაბმულობა, ზოვანსკაიას გაკებით, მკიდრო კავშირშია აზრობრივ დამთავრებულო-

ბასთან. იგი გამოთქევას მოსაზრებას, რომ გაბმულობა ახასიათებს ნუბის მიერ საკომუნიკაციო ერთეულს, მაშინ რ ადესაც მთლიანობა და დამთავრებულობა ახასიათებს მხოლოდ დასრულებულ ტექსტს /334, 100/.

უნდა აღინიშნოს, რომ ზ.ი.ხოვანსკაიას ავიწყდება გაბმულობის დიდი სემანტიკური ძალა, რომლის მიხედვით მთლიანი და დამთავრებული ტექსტის ძირითადი და მთავარი პარამეტრია მისი გაბმულობა.

ტექსტის გაბმულობას ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა ი.მ.ნოვიცკაიამ /237/. ავტორი გამოყოფს და ახასიათებს გაბმულობის მიღწევის საშუალებებს და აჩვენებს მათ ძირითად და დამხმარე საშუალებებად.

ბ.ამასლოვი მიიჩნევს, რომ ტექსტის გაბმულობა უნდა გაფორმდეს დროის, კილოს, ასპექტის, სქესის, პირისა და რიცხვის მიხედვით /212/.

მასლოვის დებულების გაზიარება არ შეგვიძლია. სქესი, პირი, რიცხვი გრამატიკული კატეგორიებია და ტექსტის კომპონენტების ურთიერთდასაკავშირებლად ვერ გამოდგება. ისეთი გრამატიკული კატეგორიები, როგორცაა დრო, კილო და ასპექტი, მართალია მონაწილეობენ ტექსტის სტრუქტურაში, მაგრამ მათი ფუნქცია და დანიშნულება შესიცვალა და გაღრმავდა ტექსტის პარამეტრებიდან გამომდინარე.

ა.ვ.ბონდარენკოს ტექსტის გაბმულობის ერთ-ერთ მაჩვენებლად მიაჩნია ზმნის ასპექტი /33/. ზმნის ასპექტი ტექსტის ლინგვისტიკაში ფუნქციონირებს სემანტიკური ფუნქციით დატვირთული. შეიძლება ითქვას, რომ მან ახალი შინაარსი მიიღო.

ე.ვ.პადუჩევა გაბმული ტექსტისათვის აყენებს მოთხოვნას - ყველა ფრაზაში, გარდა პირველისა, დასაწყისი სახელის დომინირების შესახებ, რაც, მისი აზრით, იმას მიწნავს, რომ: 1) სახელი აღნიშნავს საგანს, რომელიც უკვე იყო ნახსენები მოცემული ტექსტის სხვა ფრაზებში (უშუალო დომინირება); 2) თავის შემადგენლობაში სახელი შეიცავს სხვა სახელს, ხოლო ეს უკანასკნელი აღნიშნავს საგანს, რომელიც უკვე იყო ნახსენები (ირიბი დომინირება); 3) დასაშვებია დომინირება ნაგულისხმევი სახელებით (არაფორმალური დომინირება) /243, 76-87/.

ე.ვ.პაღუჩევას „დომინირებული სახელი“ იგივე განმეორებული სახელია, თანაც ისეთი, რომელიც ან ერთნაირია, ან სემანტიკურად ახლო მდგომი. ეს ნიშნავს, რომ პაღუჩევა ვეთავაზობს ლექსიკურ და სემანტიკურ განმეორებას, როგორც ტექსტის გაბმულობის საშუალებას.

ტექსტის გაბმულობას სხვა ავტორებიც შეეხნენ. რ.ძელთაგანაც აქ უნდა დავსახელოთ: ნ.დარუთინოვა /16/, მ.ბელერტი /27/, ლ.მ.ლოსევა /262/, ო.ლ.კამენსკაია /144, 7/, ო.ი.მოსკალსკაია /222, 17/ და სხვები.

ზოგი სპეციალისტი, გამოდის რა მეტატექსტებში დამოუკიდებელ წინადადებათა ლოგიკურ-სემანტიკური გაერთიანების სწორი იდეიდან, არაღიჯობასთან, არაადეკვატურად აიგივებს ტექსტის გაბმულობას მის ლოგიკურ მთლიანობასთან. ასეთივე დასაზრისი არის განვითარებული გ.ვ.დოროფევისა და ი.ს.მარტემიანოვის ერთობლივ ნაშრომში /114/, სადაც ავტორები განიხილავენ ტექსტის გაბმულობის ლოგიკურ ტიპს, ხოლო ნებისმიერი სხვა შ. ვატექსტობრივი გაბმულობა დაიყვანება ამ ლოგიკურ ტიპამდე. მათი აზრით, ტექსტის ლოგიკური გაბმულობა გამოდის ტექსტის გაბმულობის ერთადერთ მაჩვენებლად.

სპეციალისტების მიერ გაბმულობა მიჩნეულია ტექსტის ძირითად, მთავარ პარამეტრად. მას ჩვენ ტექსტის კატეგორიად ვთვლით. გაბმულობა მიიღწევა ტექსტის კომპონენტების კოპეზიით¹ /იხ. §4, 2/.

5.3. თანმიმდევრობა

თანმიმდევრობა ტექსტის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა. ტექსტის კომპონენტების თანმიმდევრობა პორიზონტალურ ხაზზე გარკვეულ სემანტიკურ-სტრუქტურულ და დროულ-სივრცობრივ კანონზომიერებას ექვემდებარება. ტექსტის ამ კატეგორიაში ვლინდება ცნობილიდან უცნობისაკენ, თემიდან რემისაკენ ინფორმაციის მოძრაობის, ცვლილების წესი.

¹ ამ კატეგორიის საილუსტრაციო მაგალითი ცალკე არ მოგვაქვს, რადგან გაბმულობაზე ვსაუბრობთ სხვა კატეგორიების საჩვენებლად მოხილავი ტექსტების ანალიზის დროს.

თანმიმდევრობა, როგორც კატეგორია, ემსახურება ტექსტის წარმოქმნას. გარჩევენ ტექსტის წარმოქმნის ორ გზას: პორიზონტალურს (ანუ ხაზობრივს) და ვერტიკალურს.

როგორც გამოიჩვენა, ტექსტის პორიზონტალური ანუ „მარცხნიდან მარჯვნივ“ წარმოქმნა უფრო ფუნდამენტალურად მიახლოებით, ვიდრე ვერტიკალური. აი, რას წერს ამის შესახებ რ.პარვეგი: „ამისგან, რომ მარცხნიდან მარჯვნივ ტექსტის წარმოქმნა წარმოადგენს უფრო ფუნდამენტალურს, გამომდინარეობს ის, რომ ამის მექანიზმი, მისი წესები მნიშვნელოვნად შორს არის დამალული მეთაღმწერი თვალთაგან, და ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მათი აღმოჩენას უღ ახლახან დაიწყო“¹ /400,67/.

ტექსტის წარმოქმნის ხაზობრივ პრინციპს რუსეთში პირველად ყურადღება მიაქცია ტ.მ.ნიკოლაევა /230, 24/, სადაც იგი ძირითადად წინადადებათა ხაზობრივ თანმიმდევრობაზე ლაპარაკობს, მაგრამ ავტორი უშვებს, ერთი წინადადების არსებობას ამ თანმიმდევრობაში და მაშინ მისთვის მთავარ ამოცანად დგება წინადადების შიგნით წვერთა ურთიერთობის ანალიზი /230,24/. თანმიმდევრობის ეს მოდელი თუ პრინციპი ტექსტის დონეზე გამოუსადეგარია. მისი მოქმედების არეალად რჩება მეტატექსტი, სადაც გვანტიერესებს წინადადებათა თანმიმდევრობა. რაც შეეხება ტ.მ.ნიკოლაევას სხვა ნაშრომს /233/, სადაც ძირითადად საუბარია ხაზობრივი გრამატიკის ფუნქციონალურ კატეგორიებზე, მასზე უკვე ზემოთ იყო გამოთქმული ჩვენი შეხედულება.

ტექსტის წარმოქმნის ხაზობრივი თანმიმდევრობის შესახებ ტ.მ.ნიკოლაევა განმეორებით ლაპარაკობს 1987 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ნაშრომში /234/, სადაც ტექსტი გაგებულია, როგორც „ორგანიზებული სემანტიკური სივრცე“ /234,34/. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნიკოლაევა ტექსტის წარმოქმნის ხაზობრივი თანმიმდევრობის პრინციპს გვთავაზობს სემიოტიკურად გაგებულ ტექსტისათვისაც.

¹ ვერტიკალური წარმოქმნის სახედ მიიჩნევენ სასკოლო თხზულებას, საქმიან წერილს და სხვა.

² ხაზობრივი იგივე პორიზონტალურს ნიწნავს - ვს.

როგორც ცნობილია, მხატვრული ტექსტის შინაარსი - მწერლის მიერ შექმნილი აინამდვილის, რეფერენტის აღწერა, ამბების, მოვლენების, პერსონაჟების შესახებ საუბარი, მოქმედ გმირთა საქმიანობა... გარკვეულ დროსა და სივრცეს მოიცავს. დროისა და სივრცის ანუ ქრონოტოპის პრობლემას მხატვრულ ტექსტში სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა რ.ი.ენუქიძემ /1:7/. ავტორის აზრით, „ქრონოტოპი წარმოადგენს მხატვრული ტექსტის ერთ-ერთ არსებით და ზოგად (უნივერსალურ) კატეგორიას... დრო და სივრცე ანუ ქრონოტოპი წარმოადგენს ერთიან სტრუქტურულ-შინაარსობრივ მთლიანობას, არის ის „მესამე“, როგორც არ უდრის არც დროს და არც სივრცეს“ /117,7/.

სწორია ებენვენისტი, როცა წერს, რომ „სივრცობრივი და დროული ურთიერთობანი ყალიბდება, ორგანიზდება სუბიექტის გარშემო, ხოლო სუბიექტი მიღებულია ორიენტირად“ /31, 296/.

ტრადიციულად გრამატიკებიდან ჩვენ ვიცით, თუ რა არის გრამატიკული დრო. მაგრამ, გარდა გრამატიკული დროისა, ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ტექსტი შეიცავს მითითებას (პირდაპირს ან ირიბს) იმ მოვლენების ობიექტურ დროზე და ადგილზე, რომელთა შესახებ არის საუბარი და მას მხატვრული დრო უწოდებს.

გრამატიკული და მხატვრული დროის შესახებ არსებობს სპეციალური გამოკვლევა ზ.ი.ტურაევასი /321/. ავტორს მხატვრული დრო ესმის, როგორც „იდეალური სამყაროს ესთეტიკური სინამდვილის არსებობის ფორმა, როგორც გამოხატული მოვლენების დროის კონტინუუმი, რომელიც განსხვავდება რეალური სივრცე-დროის კონტიპიუპისაგან“. ტურაევას აზრით, „ესთეტიკური სინამდვილის სამყარო წარმოიქმნება ხელოვანის შემოქმედებითი წარმოსახვით. ეს სამყაროც დროში არსებობს, მხოლოდ განსაკუთრებულ-მხატვრულ დროში. მხატვრული დრო ჩვენ გვესმის, როგორც დრო იმ ამბებისა (მოვლენებისა), რომელთაგან დგება სიუჟეტი, ე.ი. როგორც სიუჟეტური დრო“ /321, 14-15/.

მხატვრული დროის შესახებ თავიანთ შეხედულებას გამოთქვამენ რ.ი.მოსკალსკაია /222, 110-114/, ი.რ.გალპერინი /85, 105-112/, ნ.ს.პოსპელოვი /253/, ი.მ.ლოტმანი /204/ და სხვები.

თანმიმდევრობა ტექსტის დონეზე გულისხმობს მეტატექსტთა (ტექსტის კომპონენტთა) თანმიმდევრობას. მეტატექსტთა თანმიმდევ-

რობა პორიზონტალურად, მარცხნიდან მარჯვნივ გვაძლევს ტექსტს. მათი თანმიმდევრობის საფუძველია აზრობრივი ურთიერთკავშირი. ამ უკანასკნელში გადაწყვეტია ის ინფორმაცია, ის სემანტიკა, რომელიც გადმოცემულია პირველ მეტატექსტში. მეორე ან სხვა მეტატექსტები გვაწვდიან სხვადასხვა, ახალ-ახალ ინფორმაციას პირველი მეტატექსტის რეფერენტის შესახებ. ეს რეფერენტი კი ყველა მეტატექსტშია წარმოდგენილი ან პირდაპირ, ან ანაფორულად, ანდა განმეორებით. მეტატექსტთა თანმიმდევრობა ნიშნავს მათს ურთიერთკავშირს, რომელიც მიიღწევა კოპეზიის საშუალებებით. მეტატექსტთა თანმიმდევრობის საფუძველს წარმოადგენს აგრეთვე დროისა და ადგილის ერთობლიობა. ტექსტის დროის ფორმას განსაზღვრავს პირველი მეტატექსტის დროის ფორმა, რომელიც გრამატიკულად წარსული ან აწმუის დროის ფორმებია.

მეტატექსტთა თანმიმდევრობა აზრის ლოგიკის მკაცრ კანონზომიერებას ემორჩილება. ყველა მეტატექსტს მართლაც ის ადგილი უკავია, რომელიც აუცილებლად უნდა ეკავოს. თანმიმდევრობა მეტატექსტებისა მტკიცეა. ისე მტკიცე და შეკრული, რომ მისი შეცვლა შეუძლებელია. პონოლოგიური ტექსტის კომპონენტთა (მეტატექსტთა) თანმიმდევრობა გვაძლევს ტექსტს, როგორც ენა-მეტყველების უმაღლესი დონის ერთეულს, რომლის უპირველესი იანიშნულია კომუნიკაციაა. მაგრამ, თუ კომპონენტთა თანმიმდევრობას დავარღვევთ, თუ მეტატექსტებს ადგილებს შევუცვლით, არა თუ შეიცვლება და დაირღვევა ტექსტის შინაარსი, არამედ ვერ მივიღებთ ტექსტს.

ყოველივე ამის შემდეგ, ვფიქრობთ, შეიძლება ვთქვათ, რომ თანმიმდევრობა, როგორც კატეგორია, არის ტექსტის წარმოქმნის, ტექსტის მოღების ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი საშუალება.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიხმოთ ერთი ტექსტი:

(I) „ვითავდა ქორწილი. მხიარულების პირველმა დღეებმაც გაიარეს. პატარაძალიც სწორებმა წაიყვანეს, ჩვეულებისამებრ, წყლის მოსატანად, იქ გაუქრეს ხაბიზგინები და უმღერეს ამ შემთხვევისათვის შემოღებული ლექსი: ჩემო ხელისმომკიდეო, ტაგანაი მომკიდეო. . . და ცხოვრებამ მიიღო ჩვეულებრივი სახე.

(II) ძიძია გამოდგა ჩინებული, მორჩილი ქალი, რომელიც არასოდეს არა ზარობდა და საქმესა და სახლს მუყაითად ექცეოდა. მისგან

არც ჩხუბი, არც წინააღმდეგი სიტყვა არ მოისმოდა და უფროსი რძლები, ყოველთვის უმცროსების დამჩოლფოტებელნი, ძიძიას ნამდვილ დასავით უვლიდნენ.

(III) გუგუა, რომელიც შესტრფოდა თავის ცოლს, ისე შინ არ შემოვიდოდა, რომ ცოლისთვის ან ჩურჩხელის ნაჭერი, ან წითელი ვაშლი არ მოეტანა და გატაცებულის გრძნობით არ დაეკოცნა. მაგრამ საკვირველი ეს აყო, რომ საზოგადოდ გაჩუმებული ძიძია, ყოველთვის მარტობას ეძებდა. და მისი ფერაკაყარგული, გაცრეცილი ტუჩები თავის დღეში არ გაიღიმებდა.

(IV) ყველანი ცდილობდნენ მის გამხიარულებას, შედარებით ხევის სხვა რძლებთან თავისუფლებას აძლევდნენ, დაჰყვანდათ ხატობაში და სატირალზედ, იმ ერთს თავმოსაყრელს ადგილს, სადაც მთელის წლობით დაშორებული ნათესავეები და მეგობრები ერთმანეთს ხვდებიან და დიდხანს შიგუბებულს შთაბეჭდილებას სხვასთან გასანაწილებლად გზას აძლევენ. მაგრამ ძიძია მაინც ისევ ისე გულჩათხრობილი რჩებოდა, თუმცა მას ყველაფერი ჰქონდა: საკმელიც, სასმელიც, ჩასაცმელიც; არ აკლდა არც მზრუნველები, არც მოსიყვარულე გული. მაგრამ მის არსებას რაღაც ჩაგრავედა, რაღაცა აღონებდა და ჰღევდა...

პირველში ბევრსა ცდილობდნენ გაეგოთ, რა მოსდის საბრალო ქალსა, მაგრამ ჩქარა იძულებული იყვნენ თავი დაენებებინათ, რადგანაც მის გულის სიღრმეში ვერ ჩასწვდნენ და გადასწყვიტეს, რომ ასეთი ხასიათისა ყოფილაო.

(V) ამ ხანში ონისე კი ფშავს წასულიყო, სადაც დედის ძმები ჰყვანდა, და იქ ნადირობაში და მეცხვარეობაში აპირობდა დროს გატარებას და ნაღველის გაქარვებას. მაგრამ, როდესაც სადმე ქედზედ გასული თავის ბედს დააკვირდებოდა, მაშინვე ძიძიას სახე განმანათლებლად ჩაეშუქებოდა და საინეტარო ტყბილს მკენესავს ოხვრაში შეიყვანდა.

ცა ღრუბელი, ვარსკვლავი, მთვარე, ბენების მდიდარი სურათები ონისესთვის მდიდარნი და სიტყობებით სავსენი მხოლოდ იმიტომღა იყვნენ, რომ მათთან ერთად ეხატებოდა ძიძიას სურათი, მათ სატრფოსთან დადარებით თავდავიწყებამდის ეალერსებოდა“ /419, 514-515/.

ჩვენ მიერ მოხმობილი ტექსტი შედგება ხუთი მეტატექსტისაგან. თითოეულ მეტატექსტს გააჩნია თავისი მიკროთემა. ტექსტის რეფერ-

ენტი დასახელებულია პირველ მეტატექსტში და იგი არის „პატარძალი“. მეორე მეტატექსტში პატარძალი ძიძია, მესამეში - გუგუას ცოლი, მეოთხეში - „მის“, მეხუთეში - ისევ „ძიძია“.

პირველ მეტატექსტში საუბარია იმაზე, რომ გათავდა ქორწილი, მხიარულების დღეებმაც გაიარეს და ცხოვრებამ მიიღო ჩვეულებრივი სახე. მეორე მეტატექსტში ავტორი ახასიათებს ძიძიას, როგორც ჩინებულს, შორჩილს. . . მესამე მეტატექსტში გადმოცემულია, თუ როგორ შესტრფის გუგუა თავის ცოლს, ძიძიას, მაგრამ ის სულ მარტობას ეძებს, გაჩუნებულია, არასდროს არ იღიმება. სეოთხე მეტატექსტში ცდილობენ ძიძიას გამხიარულებას, რა ხერხს არ მიმართავენ. მაგრამ ამოდ. და, ბოლოს, მეხუთე მეტატექსტში გვიუბნებიან, რომ ონისე ფშავს წასულა, რათა დრო გაეტარებინა და ნაღველი გაექარებინა, მაგრამ ძიძიას საზღ მოსვენებას არ აძლევს თურმე.

ტექსტს ერთი რეფერენტი ჰყავს. ეს არის ძიძია. მთელ ტექსტში საუბარია ძიძიაზე. ხუთივე მეტატექსტის დამაკავშირებელი, ერთ ტექსტად შემკვრელი არის სემანტიკური ჩანაცვლება, ანაფორული ნაცვალსახელი და ლექსიკური განმეორება.

მეტატექსტების თანმიმდევრობას განაპირობებს რეფერენტის ერთიანობა, გრეთვე სხვადასხვა ინფორმაცია მის შესახებ. მეტატექსტებში გადმოცემული მოვლენების, ამბების დრო ძირითადად წარსული დროის გრამატიკული ფორმებითაა გამოხატული. კილო ოხრობითია. მოვლენებისა და მოქმედების ადგილი კი - ძირითადად ხევი და ფშავია.

მეტატექსტთა ამ თანმიმდევრობამ, რომელიც გვაქვს ჩვენს მაგალითში, მოგვცა ერთი ტექსტი ყველა თავისი პარამეტრით. მაგრამ თუ შევცვლით მეტატექსტთა თანმიმდევრობას (აქ მრავალი ვარიანტია შესაძლებელი, ჩვენ დავუშვათ ასეთი გადადაგილება: IV-II-III-I-V ან V-IV-I-III-II) არა თუ შეიცვლება ან დაირღვევა ტექსტის შინაარსი, არამედ საერთოდ ვერ მივიღებთ ტექსტს, რადგან დაირღვევა მეტატექსტთა შორის სემანტიკური კავშირი, დროული მიმართება და, რაც მთავარია, ინფორმაცია ალოგიკური გამოვა, რის გამოც მივიღებთ რაღაც კონგლომერატს, რომელიც ვერ შეასრულებს თავის ძირითად საკომუნიკაციო ფუნქციას.

5.4. მოდალობა

მოდლობა ტექსტის ერთ-ერთი ძირითადი ლინგვისტიკური კატეგორიაა მაკრამ ჯერჯერობით არ არსებობს სპეციალური გამოკვლევა ტექსტის ამ ენობრივი კატეგორიის შესახებ. დღემდე მოდალობის კატეგორია დამუშავებულია მხოლოდ წინადადების დონეზე. პირველი ცნობა მოდალობის მიხედვით წინადადების სხვადასხვა სახის (ბრძანებითი, რეალურ-მტკიცებითი, რეალურ-უარყოფითი, კითხვითი, კითხვით-დადასტურებითი, დადასტურებითი, სასურველი და სხვა) შესახებ გვხვდება ნ. ფ. იაკოვლევისა და დ. შამაფის წიგნში /357, 19-21/.

წინადადების მოდალობის კატეგორია პირველად მეცნიერულად დაამუშავა ვ. ვ. ვინოგრადოვმა /66/. მისი აზრით, მოდალობა წინადადების არსებით კონსტრუქციული ნიშანია და ამიტომ იგი ყოველ წინადადებას ახასიათებს. ვ. ვ. ვინოგრადოვი წერს: „წინადადება ასახავს რა იგი სინამდვილეს მის პრაქტიკულ საზოგადოებრივ შემეცნებაში, ბუნებრივია, გამოხატავს მეტყველების შინაარსის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი, ამიტომ წინადადებასთან, მის მრავალგვარ ტიპთან მკიდრიად არის დაკავშირებული მოდალობის კატეგორია. ყოველი წინადადება შეიცავს მოდალურ მნიშვნელობას, როგორც არსებით კონსტრუქციულ ნიშანს, ე. ი. თავის თავში შეიცავს მითითებას სინამდვილის მიმართ დამოკიდებულების შესახებ. აზრის, გრძნობის, სურვილის ნებისმიერი გამოხატვა გამონათქვამის ამა თუ იმ ფორმით, ასახავს რა იგი სინამდვილეს, აღიჭურვება მოცემული ენის სისტემაში არსებული წინადადების ერთ-ერთ ინტონაციურ სტემაში და გამოხატავს იმ სინტაქსურ მნიშვნელობათაგან ერთ-ერთს, რომელთა ერთობლიობა წარმოქმნის მოდალობის კატეგორიას“ /66 55-56/.

წინადადების მოდალობის დაახლოებით ასეთი განმარტება მოცემულია ვ. ვ. ვინოგრადოვისა და ე. ს. ისტრინას რედაქტორობით გამოცემულ „რუსული ენის გრამატიკაში“ /103/, სადაც ვკითხულობთ: „სინამდვილისადმი წინადადების ძირითადი შინაარსის მიმართების ზოგადი გრამატიკული შინაარსი გამოხატება მოდალობის, დროისა და პირის სინტაქსურ კატეგორიებში. . . “ „სინამდვილისადმი წინადადების შინაარსის დამოკიდებულება - ეს, ჭკირველეს ყოვლისა, არის მოდალური დამოკიდებულება. ის, რაც გადმოიცემა მთქმელის

მიერ, შეიძლება გააზრებულ იქნეს, როგორც რეალური წარსულში, ახლანდელში, ან კიდევ როგორც საურველი (რომელსაც ვილაცა ითხოვს), ან როგორც არასინამდვილე და ა. შ. სინამდვილისადმი მეტყველების შინაარსის სხვადასხვა სახის დამოკიდებულების გრამატიკულად გამოხატვის ფორმები შეადგენს მოდალობის კატეგორიის სინტაქსურ არსს" /103, 8Q, 81/.

მოდალობის არსებით ნიშნად გაგებულია სუბიექტურ-შეფასებითი ფაქტორი „თანამედროვე რუსული ლიტერატურული ენის გრამატიკაში“ /104/, სადაც მოდალობის კატეგორია წარმოდგენილია ორი სახით: ა) ობიექტურ-მოდალური და ბ) სუბიექტურ-მოდალური მნიშვნელობით. ნ. ი. შვედოვა, რომელიც დასახელებულ წიგნში ამ განყოფილების ავტორია, მიიჩნევს, რომ მოდალობას არ შეუძლია შეიზღუდოს მთქმელის გამონათქვამის საგანთან დამოკიდებულების მხოლოდ რეალურობა-ირეალურობის ჩვენებით, რადგან მოდალობაში მნიშვნელოვნად ვლინდება სუბიექტურ-შეფასებითი დამოკიდებულება ნ. ი. შვედოვა წერს: „წინადადების ფორმათა სისტემაში ჩადებული ობიექტურ-მოდალური მნიშვნელობის გარდა, ნებისმიერი გამონათქვამი, რომელიც აგებულია წინადადების ამა თუ იმ სქემის საფუძველზე, შეიცავს სუბიექტურ-მოდალურ მნიშვნელობას. თუ ობიექტურ-მოდალური მნიშვნელობა გამოხატავს სინამდვილისადმი სათქმელის დამოკიდებულების ხასიათს, მაშინ სუბიექტურ-მოდალური მნიშვნელობა გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას გადმოსაცემთან. ეს მნიშვნელობა გადმოიცემა არა საკუთრივ სტრუქტურული სქემისა და მისი ფორმების საშუალებებით (თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში თვით წინადადების სტრუქტურულ სქემაში ადგილი აქვს სუბიექტურ-მოდალური მნიშვნელობის ობიექტივიზაციას), არამედ აგრეთვე დამატებითი გრამატიკული, ლექსიკურ-გრამატიკული და ინტონაციური საშუალებებითაც, რომლებიც წინადადების ამა თუ იმ ფორმას ახლავს“ /104, 545/.

ქვე კიდევ ვ. ვ. ვინოგრადოვმა მოდალობის გამოხატვის საშუალებებს მიაკუთვნა ინტონაცია, ზმნის დროისა და კილოს ფორმები, ინფინიტივის ფორმები, ინფინიტივის ფორმები პლუს გარკვეული ზმნები, ინფინიტივის ფორმები პლუს ნასახელარი სიტყვები, ჩართული სიტყვები და გამოთქმები, ჩართული წინადადებები, მოდალური სიტყ-

ვები, ნაწილაკები და აგროფეხის სიტყვები, რომელთაც შუალედური პოზიცია უკავიათ კავშირებსა და მოდალურ სიტყვებს შორის /66, 61-624/.

ვ. ვ. ვინოგრადოვის მიერ აღრე გამოყოფილ ამ საშუალებებს ნ. ი. შვედოვამ დაუმატა აგრეთვე სიტყვათა წყობა და განმეორება /104, 61/.

ამ საკითხთან დაკავშირებით იგივე აზრი გაიმეორა ნ. ი. შვედოვამ 1980 წელს ოდნავი სხვაობით და მეტი საილუსტრაციო მაგალითების დართვით /277, 214-236/.

წინადადების მოდლობის შესახებ გამოთქმულია სხვა შეხედულებებიც. გ. ა. ზოლოტოვი მოდლობის ისეთ სამ მნიშვნელობას გახაზავს, როგორცაა: 1) ნათქვამის დამოკიდებულება მთქმელის თვალსაზრისით სინამდვილისადმი; 2) მთქმელის დამოკიდებულება გამონათქვამის შინაარსისადმი; 3) მოქმედების სუბიექტის დამოკიდებულება მოქმედებისადმი /134, 65/.

ლ. ს. ერმოლაევა განასხვავებს მოდლობის ორ ტიპს: „შინაგანს“ და „გარეგანს“. „შინაგანი“ მოდლობა გაგებულია, როგორც მოქმედების სუბიექტის დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი მოქმედებისადმი, ხოლო „გარეგანი“ მოდლობა ავტორს ესმის, როგორც წინადადების შინაარსის დამოკიდებულება სინამდვილისადმი რეალურობა-ირეალურობის თვალსაზრისით (I ტიპი) და მთქმელის დარწმუნებულობა მის მიერ გადმოცემული ფაქტების სინამდვილეში (II ტიპი) /119, 98/.

მკითხველი შენიშნავს, რომ დიდი ან პრინციპული სხვაობა გ. ა. ზოლოტოვასა და ლ. ს. ერმოლაევას ინტერპრეტაციებს შორის არ შეინიშნება. ისინი ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან და კი არ ამორიცხავენ, არამედ ავსებენ და ავითარებენ. გარდა ამისა, ორივე ავტორი თითქმის ერთნაირად გამოყოფს მოდლობის გამოხატვის საშუალებებს. სუბიექტის მოქმედებასთან დამოკიდებულების გამოსახვის ძირითად ხერხად ისინი მიიჩნევენ მოდალურ ზნებს; სინამდვილესთან გამონათქვამის დამოკიდებულების გამოხატვის საშუალებად - კლოს ფორმებს, ხოლო გამონათქვამის შინაარსთან დამოკიდებულების გადმოცემის ძირითად ერთეულად - მოდალურ სიტყვებს, როგორცაა „რათქმა უნდა“ და სხვა /134, *1*, 69, 72, 75; 119, 101-105/.

ლ. ლ. როფიკი გ. მოყოფს „პირველად“ და „მეორად“ მო-
დალობებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მოდალურ
მნიშვნელობათა გამოსახვის ფორმებით: მორფოლოგიურ-
სინტაქსურით (ცილოს ფორმები) და ლექსიკურ-სინტაქსურით
(ჩართული სიტყვები და გამოთქმები) /137, 634/.

ე. ბენვენისტის მიერ მოდალურად გამოიყოფა მნიშვნელობა,
რომლის საფუძველს წარმოადგენს მოზანდასახულობა, გამონათქვამის
ფუნქციურობა თხრობის, კითხვისა და მოწოდების მნიშვნელობანი
/31, 140/.

შ. ბალი მოდალურს აკუთვნებს ისეთ მნიშვნელობებს, სადაც
გამელაზნებულა მთქმელის ემოციურ-ექსპრესიული დამოკიდე-
ბულება გამონათქვამის შინაარსისადმი /20, 44/. მოდალობის ამ სახის
გამოხატვას შ. ბალი აკისრებს ზმნებს, რომლებითაც გადმოიცემა
მსჯელობის სხვადასხვა ელფერი, გრძნობა და ნება-სურვილი. ვ. გ. აღ-
მონი გამოყოფს მოდალობის მტკიცებითსა და უარყოფით მნიშვნე-
ლობებს /3, 130-134/.

ვ. ზ. პანფილოვი მოდალობის კატეგორიას განიხილავს მოდალო-
ბისა და მსჯელობის ლოგიკური კატეგორიის ანალიზთან მჭიდრო
კავშირში. იგი გამოყოფს მოდალური მნიშვნელობის ორ ტიპს: ობიექ-
ტურსა და სუბიექტურ მოდალობებს. როგორც ვ. ზ. პანფილოვი აღ-
ნიშნავს, ობიექტური მოდალობა გამოხატავს იმ ობიექტურ კავშირთა
ხასიათს, რომლებიც არსებობენ ამა თუ იმ სიტუაციაში და რომ-
ლებისკენაც აჩის მიმართული შემეცნებითი აქტი, სახელდობრ,
შესაძლო არსებული და აუცილებელი კავშირები. სუბიექტური მო-
დალობა გამოხატავს მთქმელის მიერ ამ კავშირთა შემეცნების ხარისხს,
ე. ი. ის აჩვენებს აზრის უქველობის ხარისხს, რომელიც მოცემულ
სიტუაციას ასახავს“ /246, 39/.

მოდალობის შესახებ წინადადების დონეზე სხვა შეხედულებებიც არსე-
ბობს.¹ მაგრამ ის, რაც განვიხილეთ, ნათლად გვიჩვენებს, რომ

¹ მოდალობის შესახებ იხ. Грешл М. О сущности модальности. - В
кн. : Языкознание в Чехословакии. М. , 1978; Долинская Л. Д. .
Лексико-синтаксический способ выражения модальности в связи
с функциональной перспективой и ритмической организацией

წინადადების მოდლობის არსისა და ფუნქციის შესახებ ლინგვისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

ჩვენ ვიზიარებთ მოდლობის ნ. ი. შვედოვასეულ გაგებას, რომლის მიხედვითაც გაირჩევა ობიექტური და სუბიექტური მოდლობები.

სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებაც, თუ მეცნიერების რა დარგს განეკუთვნება მოდლობის კატეგორია.

ლ. ს. ერმოლაევას აზრით, მოდლობა სინტაქსური კატეგორიაა /119, 1/.

მოდლობას სემანტიკურ კატეგორიად მიიჩნევენ ვ. ვ. ვინოგრადოვი /66, 57/, გ. ვ. კოლშანსკი /162, 97/; ე. ა. ზვერევა /130, 19/ და სხვა.

ჩვენთვის მოდლობა სემანტიკური კატეგორიაა, რადგან ის შეიძლება გადმოიციეს სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით.

ენათმეცნიერთა შორის სხვადასხვა შეხედულებაა გამოთქმული რეალურობა-ირეალურობის მოდალური მნიშვნელობის შესახებ. მაგალითად, ლ. ს. ერმოლაევას აზრით, „ვიღოთა სისტემაში რეალურად გვესახება მოქმედებანი, რომლებიც არა მარტო განხორციელდა ანდა დროის გარკვეულ მონაკვეთში ხორციელდება, არამედ ის მოქმედებებიც, რომელთა შესრულების რეალურობა შესაძლებელია, სასურველია, აუცილებელია ანდა ივარაუდება; არარეალურად კი წარმოგვიდგება მოქმედებანი, რომლებიც ან არ განხორციელებულან ანდა დროის მოცემულ მონაკვეთში ვერ განხორციელდნენ, მაგრამ პირობითად ჩაითვლება, როგორც განხორციელებული ანდა განსახორციელებელი“ /119, 99/.

რეალურობა-ირეალურობის სხვადასხვანაირი გაგება შეინიშნება მოდალური ზმნების მნიშვნელობათა განხილვისას. მაგალითად, ლ. ლ. იოფიკი თვლის, რომ ინგლისურ ენაში მოდალურ ზმნებს შეუძლიათ როგორც რეალური, ისე ირეალური მოდლობის გამოხატვა /137, 185/.

текста. АКД. М. , 1975; Распопов И. П. К вопросу о модальности предложения. - УЗ Благовещенского гос. пед. инст. им. М. И. Калинина, 1957; Шахова Н. И. , Рейнгольд В. Г. Еще один подход к модальным глаголам. - В кн. : Чтение. Перевод. Устная речь. Л. , 1977 и др.

ე. ა. ზვინაძე, ნაცვლად რეალურ-ორეალური მოდლობისა, გვთავაზობს და განარჩევს ინდიკატურ და არაინდიკატურ მოდლობებს. ინდიკატურ მოდლობას ავტორი უწოდებს ისეთს, სადაც გამოხატულია სინამდვილისადმი შესატყვისობა, ხოლო არაინდიკატური მოდლობა ჰქვია ისეთს, რომელიც ითავსებს ისეთ მოდალურ თვისებებს, რომელთაც აერთიანებს გამონათქვამის (ანუ მოქმედების) სინამდვილესთან პირდაპირი შესატყვისობის ზოგადი ნიშნის უქონლობა /130, 20/.

მოდლობის კატეგორია წინადადების და ანუ ჩვენი კვლევის სფეროში არ შემოდის. მასზე ასე ზოგადად იმიტომ ვისაუბრეთ, რომ გვეჩვენებინა, თუ რა სიტუაციაა დღეისათვის წინადადების მოდლობის შესწავლის ასპექტში. თანაც წინადადების მოდლობა არის ის საფუძველი, ის ბაზისი, რომელზედაც უნდა აღიმართოს ტექსტის მოდლობა. წინ დადების მოდლობასთან დაკავშირებით ჩვენ გვესახება, რომ ყოველ წინადადებას გააჩნია: ა) დენოტატიური პლანი, რომელიც გამოხატავს სიტუაციას, ობიექტურ სინამდვილეს და მის განზრახვებულ მოდელს წარმოადგენს წინადადების სტრუქტურული სქემა. სხვა სიტუაციით რომ ვთქვათ, საქმე გვაქვს ობიექტურ-მოდალურ პლანთან, რომელიც სინამდვილისადმი ნათქვამის დამოკიდებულების ქეზმარტივება-რეალობას არკვევს და ბ) სუბიექტურ-მოდალური პლანი, რომელიც გამოხატავს მოქმედების დამოკიდებულებას აღსანიშნი სიტუაციისადმი. წინადადების ნებისმიერი სინტაქსური კონსტრუქცია გამოხატავს მოქმედების პოზიციას ამ სიტუაციის მიმართ. წინადადებაში ყოველთვის იგულისხმება ან გამოიხატება მოქმედების (მდგომარეობის) სუბიექტი, რომელიც აუცილებლად შეეფარდება მოქმედებს.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ობიექტური მოდლობის მიხედვით წინადადებათა ტიპები პირველად ი. სიხარულიძემ¹ და ა. შანიძემ² გამოაქვეს. ეს მოხდა ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, მანამდე ქართველი გრამატიკოსები (ანტონ 1, გაიოზ რექტორი, ს. დოდაშვილი და სხვები) არ გამოყოფდნენ წინადადების მოდალურ ტიპს, მაგრამ იცოდნენ მათი არსებობა. ეს ცოდნა მელავნდება მაშინ, როცა ისინი

¹ ი. სიხარულიძე, ენის დაკვირვება. თბილისი, 1935.

² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1939.

ეხებიან სასვენ წინანთა ხმარების წესებს და დაახლოებით სწორადაც მიუთითებენ მათი გამოყენების კონკრეტულ შემთხვევებზე. თანამედროვე ქართული ენის მკვლევართა შორის წინადადების მოდალურ ტიპებზე მსჯელობენ ლ. კვაჭაძე, ა. დავითიანი, ა. კიზირია, ალ. ლლოტი, შ. ძიძიგური, ტ. თაბუკაშვილი, ვ. რამიშვილი, მ. თალაკვაძე და სხვები.

ტექსტის მოდალობა ჭერჭერობით მონოგრაფიული კვლევის საგანი არ გამხდარა, მაგრამ გვაქვს მითითებანი, მოსაზრებანი, გამოთქმული ი. რ. გალპერინის /85, 113-123/, ო. ი. მოსკალსკაიას /222, 117-121/, ვ. ი. სოლგანიკის /302, 173-185/ მიერ.

60-იან წლებში ნ. ი. შვედოვა აღნიშნავდა, რომ „მოდალური მნიშვნელობა“- ეს არის სინტაქსური კონსტრუქციის სპეციპიკური მნიშვნელობა და იგი შეიძლება იყოს მხოლოდ მთლიანი კონსტრუქციის კუთვნილება. მნიშვნელობა განუყოფელია ფორმისაგან, ისინი წარმოქმნიან დაუწყვერებად მთლიანობას“ /348, 19/. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოდალობა ტექსტის თავისებურებაა. წინადადების დონეზე მოდალობა სუსტია, ლარიბი. ნამდვილსა და სისხლსავე ფუნქციას მოდალობა ტექსტში გვიჩვენებს. ტექსტში ამჟღავნებს სუბიექტი (მთქმელი) თავის გრძნობებს, სურვილებს, შეფასებას, სიმპატიანტიპათიას. სინამდვილისადმი“ (თქმულისადმი). ტექსტის დონეზე გამოიყენება მოდალობის გამოხატვის იგივე საშუალებანი, რომლებიც წინადადების სფეროშიც ფუნქციონირებენ. ამასთან ერთად, ტექსტის დონეზე გამოჩნდება ახალი საშუალებებიც: ესენია: შედარება, ეპითეტი, პირის ნაცვალსახელები, გმირთა (პერსონაჟთა) დახასიათება, საგანთა და მოვლენათა აღწერა, სენტენციები, დასკვნები და სხვა.

შედარებას და ეპითეტს, როგორც მოდალობის გამოხატვის საშუალებებს ტექსტში, ყურადღება მიაქცია ი. რ. გალპერინმა /85, 116-118/.

„მე“ ნაცვალსახელს, როგორც ტექსტის მოდალობის გამოხატვის საშუალებას, მის სემანტიკურ და სტრუქტურულ ფუნქციას გამოკვლევა უძღვნა ვ. ი. სოლგანიკმა /302/. ავტორის აზრით, მეტყველება შეუძლებელია მეტყველის გარეშე, ხოლო მეტყველი აღნიშნავს თავის თავს „მე“ ნაცვალსახელით. ნებისმიერი მეტყველება გამომდინარეობს ამ „მე“-საგან და მიმართულია „შენ“-კენ და მოგვითხრობს მის შესახებ (პირზე, საგანზე, ცნებაზე და ა. შ.). „მე“-სთან ერთად გამოჩნდება

ხოლმე სუბიექტურ-შეფასებითი მნიშვნელობა. მოდალობის გამოხატვის სხვა საშუალება ემსახურება „მე“-ს გამოვლინებას, დაკავშირებულა „მე“-სთან და მას ექვემდებარება. „მე“ მიჩნეულია სუბიექტური მოდალობის ველის ცენტრად /302, 117/.

ტექსტის მოდალობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელი პირი (პირველი, მეორე თუ მესამე) გამოდის მთქმელის როლში. ლიტერატურის სამი ძირითადი სახეობიდან (ლირიკა, ეპოსი, დრამა) ეპიკური პოეზია, რომელიც ძირითადად მესამე პირით გადმოიცემა, უმეტესად ენის საკომუნიკაციო ფუნქციას ეყრდნობა. ლირიკა წარმოადგენს მწერლის შინაგანი სამყაროს, მისი პოეტური ქეს გამოხატვის საშუალებას, ხოლო მისი გამოვლინების ფორმად „მე“ გვევლინება.

ჩვენ აქ საანალიზოდ აღებული გვაქვს ქართული მხატვრული ლიტერატურის მონოლოგური ტექსტები. მხატვრული ნაწარმოების ტექსტის მოდალობის სპეციფიკას განსაზღვრავს მწეილის მიერ შექმნილი სამყაროს სინამდვილის თუ არასინამდვილის მოდალური მნიშვნელობა. მწერლის მიერ შექმნილ წარმოსახვითი სამყარო წარმოადგენს მხატვრული ტექსტის სინამდვილეს. მხატვრული ტექსტის მოდალობა - ეს არის მხატვრული სამყაროს შესახებ ინფორმაცია, მისი ახსნა და შეფასება.

უნდა აღინიშნოს, რომ ორი სახის მოდალობიდან - ობიექტურიდან და სუბიექტურიდან - პირველი საერთოდ არ ახასიათებს მხატვრულ ტექსტს. უფრო მეტიც, ობიექტურ-მოდალური მნიშვნელობა უმეტეს შემთხვევაში იფარგლება მხოლოდ წინადადებით. სწორედ ობიექტური მრ დალობის მიხედვით გამოიყოფა წინადადების ისეთი სახეები, როგორიცაა თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი და ძახილისა. ესენი ობიექტურ-მოდალური მნიშვნელობის მქონე ტიპებია. უნდა გავიმეოროთ, რომ ობიექტური მოდალობა არ ახასიათებს ტექსტს, ამიტომ არის, რომ არ ვარჩევთ კითხვით, ბრძანებით და ძახილის ტექსტებს. ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ მხატვრულ ნაწარმოებში საქმე გვაქვს ხელოვანის მიერ წარმოსახულ სინამდვილესთან. მხატვრული ტექსტის შინაარსის სინამდვილე მწერლის, პოეტის, დრამატურგის მიერ წარმოსახული სინამდვილეა. მხატვრული ნაწარმოების თავისებურება მისი ზემოქმედების სპეციპიკურობაშია. მკითხველზე (მსმენელზე, მაყურებ-

ბელზე) მხატვრული ნაწარმოების ზემოქმედების ძალა მატულობს იმდენად, რამდენადაც სუსტია სინამდვილის ასახვის პირობითობა. გვიჩვენებს რა წარმოსახვით სამყაროს, როგორც რეალურს, მწერალი, თავისი მხატვრული მეთოდიდან, მსოფლმხედველობიდან, ნაწარმოების ენრიდან გამომდინარე, ზოგჯერ უშუალოდ, აშკარად, ზოგჯერ კი გადაკვრით ამეღავენებს თავის გრძნობით დამოკიდებულებას ამ წარმოსახულისადმი.

ტექსტის მოდალობა გაფანტულია მთელი ტექსტის სივრცეზე. ტექსტის მოდალობას ქმნის მეტატექსტთა მოდალობის ერთიანობა. ტექსტის შემადგენლობაში ხშირად შეგვხვდება მოდალური მეტატექსტები, რომლებიც მწერლის (პერსონაჟის) სუბიექტურ-შეფასებით განწყობილებას, გრძნობას გამოხატავენ. ამ მოდალურ მეტატექსტებს დასკვნის, რეზიუმეს, შეფასების ელფერი დაკრავს და ტექსტში გვაქვს ადამიანური გრძნობითი ურთიერთობა.

სუბიექტური მოდალობა - ეს ტექსტის მთავარი და არსებითი თავისებურებაა. მისი ლინგვისტიკური სემანტიკაა. სუბიექტური მოდალობა, როგორც ტექსტის კატეგორია, მჭიდრო კავშირშია ტექსტის სხვა კატეგორიასთან, კერძოდ, გაბმულობასთან. მოდალობა გაბმულობასთან ერთად ტექსტის სტრუქტურული ორგანიზაციის, ტექსტის წარმოქმნის ძირითადი საშუალებებია.

ტექსტის მოდალობა გადმოიცემა ჩართული სიტყვებითა და გამოთქმებით, მიდალური სიტყვებით, ნაწილაკებით, შორისდებულებით, ზმნის დროისა და კილოს ფორმებით, განმეორებით, მოდალური წინადადებითა და მეტატექსტით.

ჩვენი დებულების საილუსტრაციოდ მოვიხმობთ რამდენიმე ტექსტი.

ტექსტი პარველი

იმ საღამოს სტეფანწმინდას ამოვედი. მშვენიერი საღამო იყო, ასე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძლო მშვენიერის სანახავეების ბილიეთა. ოხ, საქართველო!

„სხვა საქართველო სად არის,

რომელი კუთხე ქვეყნისა?“

თაბიდან გარეთ გამოვედი და შევხედე სტეფანწმინდის პირაპირ აყულებულს მყინვარს. „რომელსაც ყაზუგე“ მთას ეძახიან. დიდ-

ბული რამ არის, ეგ მყნვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდადა
მაქა და დედამ. წა ქალამნადაო. ცისა ლავეარ ზედ მოჩანდა იგი თეთ-
რად და აუშლერეველად. ერთის მუქის ოდენი ღრუბელიც არა ჰქარავდა
მის მალალ შუისსა, მის ყნვით შევერცხლილს თავსა. ერთადერთი
ვარსკვლავი, მერად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათიდა, ერთს ალაგს გაჩერე-
ბული, თითქო მყნვარის დიდებულს სახეს განუცვიფრებიაო. მყნ-
ვარი! . . დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და
თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მალეღვებს, მაციებს და არ მათ-
ბობს, - ერთის სიტყვით მყნვარია. მყნვარი მთელის თავის დიდებულე-
ბით საკვირველია და არა შესაყარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება?
ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა. ქვეყნის ავკარგი მის
მალალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამი-
წაზე უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია.
არ მიყვარს არც მაგისთანა სიმალლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა,
არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ
ხელაღებული, კიფი, გასარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე
თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და მობღავის და
აბღაველებს თავის გარ შემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გა-
მაღებული ბრძოლა, დრტეინვა და ვაი-უაგლახი. თერგი სახეა ადამიანის
გალვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლელებელი და ღირსსაცნობი სახეც
არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ-
ტუტა. მყნვარა კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა.
ცივია - როგორც უკვდავება და ჩუმი - როგორც განცხრომა. არა, მყ-
ნვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მალალია. ქვეყნის
ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირილამ დადებულა. ყოველი
შენობა ძირილამ ამაღლებულა, მაღლილდამ კი შენობა არსად არ დაწყ-
ბულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო
მომწონს და უფრო მიყვარს. არა, მყნვარი არ მიყვარს: მისი სიცივე
ჰსუსხავს და სიიეთრე აბერებს! მალალიაო! რად მინდა მისი სიმალლე,
თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყ-
ნვარი. მყნვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შე-
უპოვარ ბაიროსსა. ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენ-
ნარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყარა გუბედ არ გარდაიქცი და
ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს.

მოდრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიძვეში.

ჩამოღამდა, თერგისა და მყინვარის ყურებაში და ზოგიერთ ფიქრების გართვაში დრო ისე ვამეპარა, რომ თითქმის ვერ შევიტყუე - მზე როგორ გამოესალმა მისგან გამთბარ ქვეყნიერებასა და როგორ მიეფარა მთებსა. დაღამდა, თვალწინ აღარა სჩანს-რა, მისწყდა ხმაურობა ქვეყნსა, ქვეყანა დადუმდა.

დაღამდა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოთი, რომ იმედი არა მქონდეს ყლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედ-ღა ელორებოდა? . . მიუვარს, ბუნებ-კ შესნი დაწყობილობა, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე.

დაღამდა, მაგრამ მე მაინც სტანციის გარეთა ვარ და დაჟინებით ყურაცქვეტილი გონებას ვადევნებ თერგის თავზე ხელაღებული ღენის ხუილსა. ყელა დადუმდა და შენ არ სდუმობ, თერგო! მერწმუნეთ. მე მესმის ამ ხმაგაკმენდილს ქვეყანაში თერგის დაუჩუმარი ჩივილი. არიან ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თითქოს შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგაგებინებს. ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც არსად მარტო არა ხარ, პოი, ორფეხო ცხე ველო, რომელსაც ადამიანს გეძახიან. ამ ღამეს ვგრძნობ, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იღუმალი კავშირი, არის რაღაც თანხმობა. გული მიტოვს და მკლავი მითრთის, რისი ვის. დროს დავაცალოთ ამის პასუხის მიცემა.

დაღამდა, მისწყდა ადამიანის უების ხმა, მისწყდა ადამიანის მორკმული ხმაურობა, აღარ ისმის მისის დაღლილის ზრუნვისა და წადილის გუფუნი, ქვეყნის ტყვიილმა დაიძინა, ადამიანი აღარა ჩანს ჩემს გარშემო. ვაი, რა ცარიელია ეს სავესე ქვეყანა უადამიანოდ! . . არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეციეთ მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალეებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლაბითა! პოი, ბნელ ღამეც მე-ჯავრები შენ მე! შენ რომ არ დაარსებულყოფ ქვეყნისათვის, მე გვონოა, რომ ნახევარი კბედურებაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა. შენთა მიუკეცათა დასცეს პირველად თავზარი ადამიანის გონებასა და დააფრახეს იგი. მას აქეთ შეშინებულსა გზა თვისი ვერ უპოვია, - და აჰა, იბრძვის ადამიანი და დღევანდლამდე ათ წუთი ერთსა თავისი

ერთხელ დამფრთხალი გონება ფრთხოლას ვერ გადაუჩვევია. აი მიზეზი ქვეყნის უბედურებისა. პოი, ბნელო ღამევ! მეკავრები შენ მე. შენის კალთის ქვეშა, ვინ იცის, რამდენი გაბორბრტებული მტერი ადამიანისა ეხლა თავს იმაღავს? ვინ იცის, ამ ბნელს ფარდის ქვეშ, რომელიც ეხლა ჩემს თვალს ჩამოაფარე, რამდენი მკვიდელი და მტარვალი ქვეყნისა სკედავს ბორკილთა ადამიანის ბედის შესაქედად? შენ ხარ ხელის შემწყობი იმ ხელონისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დამფრთხალს გონებასა უბედურებას ბედნიერებად აჩვენებს სოლმე; შენ ხარ ჟამი და დრო კუდიანობის სერობისა, საცა ისმის საღვრძელო სიბნელისა და უმეცრობისა. პოი, ბორბო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!...

სტანციაში შევიტყვე, რომ მთებში დიდი დაბრკოლებაა ფოშით მიმაგალისათვის, რადგანაც სტანციებში ცხენები ხშირად აკლდებთ. მირჩიეს ფასანაურამდე ცხენი მექირავნა და ცხენ-და-ცხენ გადავსულიყავ. მე ეს რჩევა ჰკუაში დამიჯდა. იმ ფიქრით მივეცი თავი ძილს, რომ სხვალე საჯდომს ცხენს ვიქირავებ და ისე გადვივლი მთებსა /422, 19-22/.

მოხმობილ ტექსტში ჩვენ ხაზი გავუსვით მოდალობის გამომხატველ ყველა საშუალებას მოდალური მეტატექსტის ჩათვლით. უპირველესი, რაც თვალში ეცემა მკითხველს, ის არის, რომ მთელი ტექსტი მოდალობით სუნთქავს. ყველგან, მთელი ტექსტის სიგრძეზე, ისმის და იგრძნობა მთხრობელის (და ეს მთხრობელი პირველი პირია - „მე“) სუბიექტური დამოკიდებულება ნათქვამისადმი - ტექსტის მხატვრული სინამდვილისადმი. მოცემულ ტექსტში მოდალობის გამომხატვის სხვადასხვა საშუალება გვხვდება, რომლებიც სხვადასხვა მეტატექსტში ასრულებენ მოდალობის ფუნქციას. მოდალობის გამომხატველი იმ საშუალებებიდან, რომლებიც ამ ფუნქციით წინადადებაშიც გამოიყენება ჩვენს ტექსტში გამოჩნდა: ნაწილაკი - „არა“, შორისდებული - „ოხ“, „ვთა“, „პოი“, „აჰა“, „ამა“. ჩართული სიტყვა - „ერთი სიტყვით“, მაგრამ როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ამათი ფუნქცია აქ შესუსტებულია, როგორც ჩანს, ტექსტის დონეზე მოდალობის გამომხატვის ძლიერ საშუალებებად უნდა მივიჩნიოთ: შედარება, ეპითეტი, მოდალური წინადადებები, მოდალური მეტატექსტები, მოდალური დასკვნარეზიუმე. ეს საშუალებანი კი ტექსტში უხვად არის წარმოდგენილი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოხმობილ ტექსტში

რამდენიმე მოდალური მეტატექსტი გვაქვს: პირველი მოდალური მეტატექსტი მყინვარის დახასიათებაა, მეორე - თერგის დახასიათება, მესამე - მათი შეპირისპირებითი დახასიათება, მეოთხე ის მეტატექსტია, რომელიც იწყება აბზაციით: „დაღამდა, მაგრამ არ ვიცი. . .“ და ბოლოს - „ღამის სიძულვილი“ (ასე შეიძლება ეწოდოს ამ მეტატექსტს!).

ძალიან ბევრია მოდალური წინადადებები. აღენიშნავთ რამდენიმეს:

1. „დიდებული რამ არის ეგ მყინვარი“;
2. „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?“
3. „მშვენიერი საღამო იყო“;
4. „ვთი, რა ცარიელია ეს პავსე ქვეყანა უდამიანოდ!“
5. „შიფვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამაღებელი ბრძოლა და ვაი-ვაგლახი“.

ველაზე მთავარია მაინც მოდალური დასკვნა-რეზიუმე, მათ შეიძლება ეწოდოს მოდალობის ჩუქურთმა. ასეთი დასკვნა-რეზიუმეც რამდენიმეა:

1. „შოდრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმოცემი“...
2. „პოი, ბნელო ღამეჲ, შეჯავრები შენ მე“.
3. „პოი, ბორბოტო ღამეჲ, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!... და სხვა“.

ავილოთ პოეტური ტექსტი.

მთაწმინდის მთვარე

ჩერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი
ქროლვით იწყვეს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჩერ ცა მე არ მახსოვს!
მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით,
და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით
მოსჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე...
ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!
აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,
აქ მწუხარე სასაფლაოს, ვარდით და გვირილით,

ეფინება ვარსკვლავების კრთომა მზიარული...
 ბარათა შიკლს აქ უფარდა ობლად სიარული...
 და მეც მოაკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,
 ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,
 თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები,
 და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები;
 თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვავერებს
 მომაკვდავი გედის პანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,
 თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ სღვამ რომ აღზარდა,
 სიკვდილის გზა არაა არის, ვარდისფერ გზის გარდა;
 რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,
 რომ არა. დროს არ ყოფილა ასე ჩემი ღამე.
 რომ, არ დილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,
 რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,
 რომ წაყვება საუკუნეს თქვენგან ჩემი ქნარი...
 ჯერ არას. დროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

1417,62-63/.

ეს ლირიკული ლექსი მოდალურია თავიდან ბოლომდე. იგი გამობატავს გენ. იოსი მგოსნის პოეტურ სამყაროს, მისი სულის ფორიაქს, ამალღებულ გაეცდებს მთვარიან ღამეში, როცა იგი, თავის უკვდავებაში დარწმუნებული დაჟურებს მთაწმინდას, მტკვარს, მეტოხს და დიდებულ აირდილთ ახლოს სიმღერებით ეგებება სიკვდილს.

მოდალობის გამობატავს ამ ლექსში ემსახურება: შორისდებულები, შედარებები, ეპითეტები, ლექსიკური ერთეულები, განმეორებანი, სინტაქსური პარალელიზმები.

მოდალობის გამობატვის ყველა აქ გამოყენებული საშუალება ერთიანდება და ემსახურება იმ მიზანს, რომ უშუალოდ, პირდაპირ და ექსპლიციტურად გვიჩვენონ პოეტის სუბიექტურ-მოდალური დამოკიდებულება გარესამყაროსადმი!

ენახოთ კიდევ ეროი პოეტური ტექსტი.

აელაციის მცოდნე

ბენდიერია ჩანჩურა! შვილი ჰყავს მას საქები,

თქვენს მზეს ვფიცავ წყალივით იცის აელაცია!...

წვერ-ულვაშს აღარ ჰკადრობს, მოუშვია ბაყები:
ეს სწავლის ნიშანია, უპ, რა დიდი კაცია!
 ქართულ ტანისამოსსა, აბა, რაღად იკადრებს:
 სწავლული კაცი არის, ტანზე ფრაკი აცვია;
 ვინც რუსული არ იცის, მთის ნადირსა ადარებს, -
ვინ ამტყუნებს, მართალს ბრძანებს: ის სწავლული კაცია!
 არ მოსწონს სალამური, არც თარი, არც ჩონგური,
 ლეკური უზიზღება, მოსწონს ტანცი-მანცია;
 ვერც დავძრახავთ: ოპერისთვის მიუჩქვევია ყური!
უპ, რა შვილი დამდგარა! რა სწავლული კაცია!...
 მაზრაც კი ჩააბარეს, აწ კილა შეედრება!
 მოჩივარს რომ შეუტევს, სწორედ რომ მამაცია!
 უფულო კაცის წვევა ჟამივით ეჯავრება!
სხვა რამე არ იფიქროთ! ის სწავლული კაცია!
 ამბობენ, - ქრთამი სძულსო, არ იძღვის არც ქათამსა,
 მხოლოდ მაშინ არ იწყენს, თუ მსუქანი ვაცია.
 მაგრამ ეს ზვარაკია! ამას ვინ ეტყვის ქრთამსა?
სხვამ რომ ქნას, ის სხვა არის! ეს სწავლული კაცია!
 თუ რუსული არ იცი, ახლოს ნუ ეკარები,
 მუსაიფი არ უჯვარს, ქართულში ზარმაცია;
 უსწავლელებთან, თურმე, მოსდის ზაფრის ქარები;
რა ქნას არ გავამტყუნებ: ის სწავლული კაცია!
 გაბუტვიო დადის, სიბრძნე აღარ ეტევა ყელში,
 მთელს ნაციას ის მოსწონს, მას სძულს მთელი ნაცია!
 აი, სწავლული შვილი, სანატრი ამ სოფელში,
ქართველების შეხედვით ყოველად კარგი კაცია!

1422, 45/

აკაცის ამ სატირულ ლექსში გამოხატულია პოეტის უარყოფითი
 დამოკიდებულება ჩანჩურას შვილისადმი. ლექსი თავიდან ბოლომდე
 მოდალურია, მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი თავისებურება: ყოველი
 სტროფის მეოცხე სტრიქონი პირველი სამი მოდალური სტრიქონის
 შეჯამებას, დასკვნას, რეზიუმეს წარმოადგენს.

ამგვარად, შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ მოდალობა ტექსტის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა. ენას საკმაოდ მოეპოვება მოდალობის გამოსატვის საშუალებანი.

დასკვნა

ქართული მხატვრული სალიტერატურო ენის მონაცემებმა საშუალება მოგვცა, გამოგვეყო და დაგვესაბუთებინა ტექსტის შემდეგი სამი კატეგორია: გაბმულობა, თანმიმდევრობა და მოდალობა.

ტექსტის ძირითადი ფუნქციონალური ტიპები

6.1. საკითხის ინტერპრეტაცია

ტექსტის ლიგვისტიკაში აზრთა სხვადასხვაობაა მეტყველების სახეების შესახებაც.

მეტყველების სახეებით დაინტერესებული იყო სტილისტიკა ტექსტოლოგია, რიტორიკა, ლიტერატურის თეორია, თითოეული მათგანი თავისი თვალთახედვით უყურებდა მეტყველების ტიპებს. დღეისათვის მეტყველების ტიპების გარკვევით დაინტერესებულია ისეთი დისციპლინები, როგორცაა თანამედროვე კომუნიკაციის თეორია, პრაგმატიკა, ლინგვოლიდაქტიკა, მეტყველების თეორია. მაგრამ დღემდე ვერცერთმა ვერ მოგვცა კლასიფიკაციის ერთიანი სისტემა.

სპეციალისტთა შორის საყოველთაოდ არის გავრცელებული ლ. ს. ვიგოტსკის აზრი, რომ „მეტყველება არის აზრის სიტყვად გარდაქმნის პროცესი, აზრის მატერიალიზაცია და ობიექტივიზაცია სიტყვაში“ /75/.

შარტალია, მეტყველების ძირითად ფორმებად მიიჩნეულია თხრობა, აღწერა და მსჯელობა. გამოყოფენ მათ დამატებით ფორმებსაც. ისეთებია როგორცაა დინამიკური აღწერა, ცნობა, დახასიათება, ინტერპრეტირება, შტკიცება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თხრობა, აღწერა, მსჯელობა მეტყველების ფორმათა ინვარიანტებს წარმოადგენს, ხოლო მათი ემოციონალურად გადამუშავებული ვარიანტებია მოთხრობა, ცოცხალი აღწერა და შთაბეჭდილებების გადაცემა.

არსებობს მეტყველების სახეების სემიოტიკური გაგებაც, რომლის მიხედვითაც დაწერილი ტექსტის ტიპი მიიჩნევა მეტყველების სახედ. ცნობილი სემიოტიკი შორისი გამოყოფს ტექსტის 16 სახეს (რომელიც გაგებულია მეტყველების 16 სახედ), მათ შორის მეცნიერულს, მხატვრულს, პოლიტიკურს, იურიდიულს და სხვ. პეტეფი და

რიზერი გამოყოფენ მეტყველების (ტექსტის) შემდეგ სახეებს: თხრობას, ცნობას, მტკიცებას, მსჯელობას, არგუმენტაცი ს, დასაბუთებას.

რ. ლონგჯარი გაარჩევს მეტყველების 16 სახეს, რომელთა შორის დასახელებულია მოთხრობა წარსულზე, წინასწარმეტყველება, ქება, მობოდიშება და სხვ.

ფართოდ არის გავრცელებული ვ. შმიდტისა და ე. შტოკის შეხედულება, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა მეტყველების ორი სახე - ინფორმირება და აქტივიზირება, საპასუხო რეაქციის გამოწვევა. ავტორებს დაკონკრეტებული აქვთ მათი რეალიზაციის საკომუნიკაციო საშუალებები.¹

სემიოტიკებს მეტყველება და ტექსტი ესმით, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა /285/.

ნ. ი. სერკოვა ზეფრაზულ მთლიანობას მიიჩნევს ფუნქციონალურ-სამეტყველო ერთეულად /284/.

ო. ი. მოსკალსკაია მეტყველების სახეებად თვლის: ცნობას, მსჯელობას, განზრახვას. ცნობისათვის დამახასიათებლად მოსკალსკაია ასახელებს ამბების გაერთიანებულ ჩამოთვლას მათ დროულ თანმიმდევრობაში; მსჯელობისათვის დამახასიათებლად - რიტორიულ კითხვებს, დეფინიციებს, წინადადებათა შორის იმპლიკატურ და ანტიიმპლიკატურ კავშირს, ხოლო განზრახვისათვის ნიშანდობლივია ინფინიტივის ფორმები ბრძანებასა და ინსტრუქციაში, ადრესატის განსაზღვრულობა და განუსაზღვრელობა /222, 60/.

ტექსტის ფუნქციონალური ტიპების შესახებ საუბარია ლ. მ. ლოსევას /203/, ს. ი. გინდინის /101/, კ. ა. დოლინინის /112/ და სხვათა ნაშრომებში, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ო. ა. ნეჩაევას მონოგრაფია, სადაც ავტორი გამოყოფს მეტყველების სამ ფუნქციონალურ-აზრობრივ ტიპს: აღწერითს, თხრობითსა და მსჯელობითს. ამ ძირითადი სამი ტიპის გარდა, ნეჩაევა აგრეთვე გამოყოფს მათ კონტამინირებულ ფორმებს /227, 16/. მეტყველების ტიპები ნეჩაევას მიაჩნია ზეფრაზულ სტრუქტურულ-ენობრივ ერთეულებად.

¹ მეტყველების სახეების შესახებ ეს ინფორმაცია დამოწმებული გვაქვს ო. ი. მოსკალსკაიას წიგნიდან /222, 57-59/.

ჩვენ გამოვყოფთ ტექსტის სამ ძირითად ფუნქციონალურ ტიპს: აღწერითს, თხრობითს, მსჯელობითსა და მათ კონტამინირებულ ფორმებს.

6.2. აღწერითი ტექსტი

აღწერითია ტექსტი, სადაც ჩამოთვლილია ნიშან-თვისებები, თავისებურებანი და ამ გზით დახასიათებულია რაიმე მოვლენა, საგანი, პერსონაჟი. აღწერითი ტექსტი შეიძლება იყოს პეიზაჟური (მოქმედების ადგილის აღწერა) ან პორტრეტული (მოქმედი გმირის გარეგნული აღწერა) და სხვ.

მოვიყვანოთ აღწერითი პეიზაჟური ტექსტის ნიმუში:

„გულამაჯრის ხეობას, თითქოს განგებ, გაუპია კავკასიის მთების უმთავრესი ძარღვი და ვიწროს ხეობად მიგ შექედლიდა; ეს ხეობა ავდარსა და ნიაღვარს დაუხრამავს, მალლობებიდან ჩამონადენს ქვასა და ღორღსა უშველებლის ლოდებით გაუქსია და მეტისმეტად ძნელს გასასვლელად შეუქნია. ხშირი და დაბურული ტყე, რომელიც ხეობას აქეთ-იქით ფერდობებზედ მისდევს, გახლართულა სხვადასხვა მხვევის მცენარეებით და ყოველი მოძრაობა უფრო მეტად გაუძნელებია ხეობა თავდება თვალშეუწვედენლის ფრიალოთი, რომელიც, თითქოს განგებ, გზის მოსასპობლად სიგანეზე გაახირებია და იქაურობას მუქარით და ამაყად გადმოაქუჩრებს. პირველსავე შეხედვით ეს ადგილი იქამდის მკაცრად, გულსდამხურავად და სევდისმომცველად გეჩვენებათ, რომ ნებაუნებლივ გაღონეს და ამგვარის მდგომარეობის მიზეზი კი ვერ აგიხსნიათ, მულამ დაბურული, დაღვრემილი და შეკუმშული ბურსაკირის ფრიალო ნისლს არასოდეს არ იშორებს და იმ ერთადერთ ბილიკსაცაა ქვარავს, რომელიც ქარსა და ავდარს გაუქვალვია; მკაცრი, მდიდური შავად და ბნელად გადმოიყურება უზარმაზარი ფრიალო და თითქოს განრისხებული, ყველას უქადის, ვინც კი მიკარებას გაუბედავს. ხშირი ბურუსი, მეტისმეტად ვიწრო ბილიკი და ნესტი ფრიალოს წვეროებს ანოტიოებს, შლის და ურიცხვს ხალხს და საქონელს იმსხვერპლებს ხოლმე. მაგრამ, თუ ასეთის უსიამოვნო შთაბეჭდილების მომხდენია, ეს ფრიალო ამის სამაგიეროდ, რა წამს გადასაჯალს გადასცდებით, ივალწინ მთელი ედემი გადაგე შლებათ. თქვენ დაინახავთ აკმაო მანძილზედ გადაკიშულ ღელეს, ჩაზისა და სურნელოვანის

ბალახითა და ყვავილით შემკულს. ვაკე ტაფობა, იმ საშინელის, გულის დაძრავლებელის გზის შემდეგ, კეკლუც პატარძალივით მორთული მიგიწვევს და მაგიზიდავს, თავბრუსდამხვევის აღერსით შემოგზარით ნაზითა და დამცვებლის პაერით; კერცხლის გველსავით მინდორზედ დაკლავნილის ჰდინარის ჩუხჩუხს ტკბილს დაშამშვიდებელს ნანად მოგასმენთ“ /419, 571-572/.

აქ ტექსტის ნაწილი მოვიხმეთ (მთელი ტექსტა აღწერითია, პეიზაჟური). ჩვენი აზრით, ეს მოხმობილი ნაწილიც, რომელშიც აღწერილია გულდამაყრის ხეობა, ნათლად გვიჩვენებს ასეთი ტექსტის თავისებურებას. თუმცა ემოციურობის ელემენტებიც საკმაოდ გვაქვს. ალბათ, შეუძლებელია, კვრეტდვ ბუნების დიდებულ სურათს და საკუთარი გრძნობა არ გააქელავენო.

ახლა ვნახოთ აღწერითი პორტრეტული ტექსტი:

„იმ დროს, როცა ჩვენს მოთხრობას ვიწყებთ, ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი ოც-და-ერთის წლის ბიჭი იყო, ერთი გმუხი და ძარღვიანი ყმაწვილი კაცი დადგა კუპრსავით შავი და კარგად დაკოყრებული წვერ-ულვაში ლამაზად უხდებოდა მის შავგვრემანსა და მოხდენილად მოყვანილს სახესა თვალადობით მეტად სანდომიანი და მარილიანიყო, და უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ მისი დიდრონი ქორული თვალები ცოტა მრისხანედ არ გამომეტყველებდნენ. თვალთა მეტყველების ქექას აძლიერებდა გადაბმული წარბები. ეს მარილიანობას სახისას ბევრს უშლიდა ამის გამო კაცი უნებურად თვალს მოარიდებდა პირველ თვალის შესწრებაზეც. ხოლო რამდენსაც უფრო დააკვირდებოდა მის პირისახეს და თვალებსა, უფრო და უფრო მოგეწონებოდათ გიორგი. იშვიათად იცოდა ღიმილი, მაგრამ როცა კი გაიღიმებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ, ისე უხდებოდა ღიმილი. ტანდაც ერთი ბრვე კაცი იყო, მარჯვედ მოყვანილი და კარგად ჩასხმული.

კოსტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა. იმისი ყათნებით მორთული საცუვთები, ქრელი წინდები და ლამაზად გაწყობილი ფეხზედ ქალაშანი რომ გენახათ, მაშინ დაიჭერებდით, რომ ჩვენებური გლეხის ფეჟსაკმელსაც თავისი სიტურფე და სილამაზე აქვს.

ბაზარში რომ გაივლიდა იტყოდნენ ხოლმე: ერთი დოინჯის შემოყრა-ლა აკლია, თორემ თავადი შვილია და თავადი შვილიო.

ბევრს სიფლის საპატარძლო ქალებს თვალი დარჩენია გიორგიზედ. ბევრს შევარდნია გული, ბევრს ჩასახვია გულში იმის სურვილი. გიორგის ი აინუშიაც არაეინ მოსდიოდა. ტოლამხანაგობას აგრერიგად არ ეწყობოდა. და თუ როგორმე ჩაერევოდა, პირველობას ყველგან ამას უთმობდნენ.

მუშაობაში ხომ მოელს სოფელში ამას სწორი არა ჰყავდა თითქმის“ /422, 478-479/.

ჩვენს მაგალითში აღწერილია გიორგის პორტრეტი, რომლის გადმოცემისას აეტორი ვერ მალავს თავის ემოციებს.

6.3. თხრობითი ტექსტი

თხრობას განეკუთვნება ტექსტი, სადაც საუბარია ამბის, მოვლენის განვითარების, მათი თანმიმდევრობის შესახებ. ადგილი აქვს დროის ცვლას.

აი, თხრობითი ტექსტის ნიმუში:

„ქალაქში მრავლად ცხოვრობდნენ ევროპელები, რუსები და კათოლიცი მისიონერები. მათ თავთავიანთ ქვეყნიბიდან წერილებიც მოსდიოდათ, წიგნებიც, ჟურნალ-გაზეთებიც. ამ მუნჯ შიკრიკებს უხვად შემოჰქომდათ იქაური ამბები, რომელიც ისე ჟონავდა საზოგადოებაში, ვით წყალი ნიადაგში. აქაური თავად-აზნაურები, და ვაჟრებიც ათასობით მიდიოდნენ რუსეთში და იმათაც მოჰქონდათ საქვეწო ამბები. ზაალი ზამთრობით ქალაქში ცხოვრობდა. მისი სახლი მუდამ სტუმრებით იყო სავსე. მათი საუბრები ნიადაგ ამ ამბების ირგვლივ ტრიალებდა. საფრანგეთის რევ. აღუცია, ნაპოლეონის გაბატონება, მისი ლაშქრობა რუსეთში, რუსის შემოსევა კავკასიაში – ეს იყო ღერძი მათი აზროვნებისა და საზრუნავისა. ერთ ხანს არსენა ზაალის შინაწმა იყო, მის კარზე ტრიალებდა და აქ გაგონილ-ნაუბარს ხარბად ისრუტავდა. აქ გაიგო მან და თავისებურად მოხარა საფრანგეთის „ფოთიც“, „ნაპოლეონის“ განდიდებაც და მარცხიც, რუსეთის შემოსევაცა და საქართველოს სამეფოს დანგრევაც. „იქ სადღაც“ ბატონყმობის მოსპობაც და აქაურთა ჩამორჩენაც. გარდა ამისა, დაოუნა განათლებული ვაჟი იყო და მათი მეგობრობაც უმთავრესად ამ ნიადაგზე აშენდა.

გრიგოლ ორბელიანი გულდასმით ათვალერებდა არსენას. ადრევეც კარგად იცნობდა, რადგან მისი მეზობელი იყო და მუდამ გატა-

ცებით უყვარდა ჩიშინი ძალი, გაწვრთნილი შიშინო, ბედაური ცხენი და რჩეული მოკიდავე, რომელსაც თავისი კარის ფალავნად იჩემებდა ხოლმე. დღეს კი საბოლოოდ დაადგა თვალი ოძელაშვილს და გადასჭრა თავისი ამაღა ამ ბიჭითაც დაემშვენებინა“/424, 93/.

ქობმოხილ ტექსტში გადმოცემული ამბავი (თანაც რამდენიმე) ერთმანეთს ცულის დროში. ჩვენი ტექსტი ოთხი მეტატექსტისაგან შედგება, თითოეულს თავ-თავისი მიკროთემა აქვს. ყოველი მეტატექსტი თანმიმდევრულად მისდევს ერთმანეთს.

ეს ტექსტი ძირითადად თხრობითია, მაგრამ იგი აღწერით ელემენტებსაც შეიცავს. ასევე იყო აღწერით ტექსტებში, სადაც თხრობის ელემენტებიც იყო გარეული. ტექსტის დონეზე მხოლოდ თხრობითი ან მხოლოდ აღწერითი ტექსტები ურთიერთნარევი ელემენტების გარეშე შეუძლებელია. ანალიზი გვიჩვენებს, რომ თხრობითი ტექსტი აღწერით ტექსტთან შედარებით ნაკლები სიხშირით გვხვდება. უფრო ხშირია მათი კონტამინირებული ფორმა. ვნახოთ ერთი ასეთი მაგალითიც პოეზიიდან.

სადაც დიდებულს მთასა მყინდარსა
ორბნი, არწივი ვერ შექმებიან,
სად წე ჯა-თოვლი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უბედურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრამული ვერ შესწლენია,
სად მეუფება ქვეა-ქუხილსა,
ყინულს და ქარსა მხოლოდ შიენია, —
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვამავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტამარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.
ფრიალოსებრ ჩამოთლილი აქვს
იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე
და ზედ კარია გამოკვეთილი —
ვით კლდის ნაპრალზედ არწივის ბუდე.
ზღუდის ჰირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა კვიდი თურმე იმ კარსა —

და თუ არ ჯაქვით, სხვაფრივ ვერა გზით
 ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა.
 აქა ჯოფიღა უწინ კრებულნი
 ღვთისთვის ქვეყნიდან განდგეილ ძმათა
 და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე
 ისმოდა ქება წმიდა-წყვიდათა.
 აქა გამდგარან, განშორებიან
 ამ წუთისოფლის სამაყდურნი ა.
 აქ ქლირსებთან მართალთა თანა
 სავანესა მას საუკუნოსა.
 გასულან ამა ქვეყნით მამანი
 და ტაძარი ღვთის გაუქმებულა ...
 იმათი! ღკაწლით ამ ტაძრის მადლი
 მთიულთა ში ირის ყველგან განთქმულა.
 და ის ადგილი, ის არე-შარე
 ესოდენ წმინდად სწამს ღღესაც ერსა,
 რომ ნასროლს ნადირს, მუნ შეფარებულს,
 მონადირეც კი ვერ ახლებს ხელსა.
 თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერვინ თურმე
 ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება,
 და თუ შექბედავს, მსწრაფლ რისხვა ღვთისა
 ქვეა-ქუხილით მოველინება.

/422, 205-206/.

ამ ტექსტში ერთმანეთს ცვლის აღწერა და თხრობა. ჯერ აღწერა-
 ილია მყინვარის მთა და იქ, ყინულში, შეთხრილი ბეთლემის ტაძარი,
 შემდეგ კი მოთხრობილია იმ ტაძარში მყოფ ქვეყნიდან განდგეილ ძმათა
 კრებულის საქმიანობა.

6.4. მსჯელობითი ტექსტი

მსჯელობათ ტექსტში გვაქვს მიზეზ-შედეგობრივი კონსტრუ-
 კციები, კითხვები, მოდალურ სიტყვები, ავტორისეული შეფასება.
 ასეთ ტექსტში ნათლად გამოიკვეთება სამი ნაწილი: ა) თეზისი, ბ)
 მტყიცება და გ) დასკვნა.

ვნახოთ ერთი მსჯელობითი ტექსტი:

..მე გაეთათვე და შენ, რაც გინდა, კქმენ, მკითხველო! გინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ. ორივეს საბუთი, ისევე ამავე მოთხრობაში გაქვს, თუ ოდესმე თვალი აგვიხილებია და შენს გარშემო რაც გინახავს, რმაზედ გონება გივარჯიშებია, — ნახავდი, რომ ხშირად ერთი და იგივე საგანი ზოგს აცინებს, ზოგს ატირებს. მე მინახავს ერთი მოხუცებული. ლარიბი, შიშველ-ტიტველი, ფეხებდახეთქილი დედაკაცი. ვინ იცის, რაგვარ უბედურებისაგან ლოთად ჩავარდნილიყო და ლოთობაში სამუდამოდ დაეკარგა თავისი დედაკაცობა და ადამიანობა. მე მინახავს, ის საცოდავი დედაკაცი ქალაქის ბიჭებს დაექირათ და ხუთ გროშაი მთელი საათი ახტუნავენდნენ პამპულასავით. მე მინახავს, რომ იმათში ბევრი იცინოდა და ზოგიერთს კი აქ საცოდავის დედაკაცის მაგ ყოფაზედ გული უტიროდათ. ვინ იყო ამათში მართალი? მოცინარენი თუ მოტირალენი? ორივენი, იმიტომ რომ ერთნი თვალითა ჰხედდნენ მარტო და თვალისათვის მართლა სასაცილო იყო, მეორენი კი თვალითაცა და გონებითაცა. გონებას კი — ძნელად თუ გაეცინება. სჩანს, შეიძლება, რომ ერთი და იგივე ამბავი სატირალიც იყოს და საცინარიცა, — ეგ იმაზე აქის დამოკიდებული როგორი აგებულებისა ხარო; თუ იმისთანა გონების ძალა გაქვს, რომ, რაც უნდა მწუხარე ქვენარტება იყოს, გულდაგულ შეხედები, და თუ იმისთანა გულიცა გაქვს, რომ უბედურს და გზაკვალარეულს შეიბრალე, ამისთანა სასაცილო ამბავი უფრო ხშირად უნდა გატირებდეს შენა, ოუ არა და იცინე რამდენიც უნებოს. იცინე და თანაც გაჯავრდი ამ მოთხრობის დამწერზეც და მაღიგონე კორი — შენ ხომ კორების მოგონება გიყვარს — რომ მე ვითომც ქართველობას ვლალატობ, რადგანაც იმის სასაცილო ამბავს გიამბობ და არა ვმაღლავ ზოგიერთ გულ-მოკლეს პატრიოტიკით. ვიცი, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, თქვენში, მკითხველო, ძნელად იბოვება იმისთანა კაცი, რომ მართლს სიტყვას გონება გაუსწოროს. ვიცი ეს და მაინც პირში — როგორც მოყვარე — გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი გაზრდილან. გინდა მიწყინე, გინდა არა, თუ იმათ დასცინებ, მითამ შენის თავისთვის დაგიცინია. თუ დასტირებ — ეგ კაი ნიშანია: სჩანს, სწუხარ, რომ ამასთანანი ვართ: სჩანს, შენის თავის გასწორების განზრახვამ ფრთა აიბა. ღმერთმა ქნას, რომ ეგ აგრე იყოს.

მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა, დღესა თუ ხვალე, შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევ, ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს — რამდენადაც შეძლება აქვს — შენი ცული, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვი? ეს მოთხრობა სარკე იყო ის და მე — თუ გინდა — მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე. ესეც იცოდე. მარტო შენი მტერი დაგიმალავს შენს სახეზედ რომ ურიგობა უნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შეტყობ. მეც მოყვარესავით გექცევი, — სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რა ეუფოთ, თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგა-და-შიგ ლაქებიანიცა? რაცა უქონდა, ის მოგართვი, როგორც შემეძლო, ისე დაგეხმარე. თუ მაინცდა-მაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა. მე შენის წყრომისა არ მეშინიან. მანან მხოლოდ დავლონდები, რომ შენშიაც მოვტყუედი; რომ შენ ის არა უყოფილხარ, რაც მეგონე. მაშინ გულ-ხელ-დაკრეფილს ესლა დამრჩება სათქმელად: მე მიყოვლია და გათენდება თუ არა, — ეგ ღმერთმა იცის. წყრომა კი რომ არა უყოფილიყო, ეგ გათენება ჩვენც კარგად გვეცოდინებოდა, როდესაც იქნებოდა!...

სხვაფრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ და შენდობით იხსენიებდეთ მონასა თქვენსა“.

/422, 443-444/

საანალიზოდ მოყვანილ ტექსტში საკმაოდ არის მიზეზ-შედეგობრივი მეტატექსტები, წინადადებები, კითხვები, მოდალური სიტყვები.

ამ ტექსტს თეზისი დასაწყისშია ჩამოყალიბებული: „მე გავათავე და შენ. რაც განდა, აქმენ, მკითხველო! გინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიციოთხავ“.

ამას მოსდევს მსგელობა, მტყიცება, თუ რატომ არის, რომ ხშირად ერთი და იგივე საგანი ზოგს აცინებს, ზოგს კი ატირებს. ავტორის აზრით, ლუარსაბისა და დარეჯანის ცხოვრებისა და „მოღვაწეობის“ მაგალითი სატირალია.

და ბოლოს დასკვნა: ავტორმა ამ მოთხრობით სარკე მიუტანა მკიცხველს, რათა ამ უკანასკნელმა თავისი ცული და ავი დაინახოს და გამოასწოროს. ილიას ღრმად სწამს, რომ მკითხველში გაიღვიძებს გამოსწორების განზრახვა.

6.5 კონტამინირებული ტექსტი

ვნახეთ, რომ აღწერა და თხრობა ხშირად ენაცვლება ერთმანეთს. გვაქვს ისეთი ტექსტებიც, სადაც მსჯელობა და აღწერაერწყმის ერთმანეთს. ვნახოთ ასეთი ტექსტის ერთი ნიმუში:

„ყოველი არსი, სულიერი თუ უსულო, ხილული თუ უხილავი, ერთსა და იმავე მსოფლიო კანონს ექვემდებარება: დაიბადება, იზრდება, დაბერდება, კვდება!... წყალი რა არის ... წყალი! ... უბრალო მდინარეც კი ვერ ასცდენია ამ საყოველთაო წესსა და რიგს: დაიბადება თუ არა, ე.ი. თავს იჩენს თუ არა სადმე მივარდნილ მთის კალთაზე, მაშინვე იწყებს ჟონჯან ნელ-ნელა ახალფეხადგმულ ბავშვივით დაუწყება დაღმართს, თანდათან იზრდება, ფეხს იკიდებს, სანამ წყრიალით არ ჩაცუნ-ცულდება რომელსაღმე ხევში, სადაც, როგორც აღვირუსხმელი, სისხლქარბი, თავმომწონე და შეუბოვარი, სანაყაროდ გამოსული კბუკი, აღარავან ეკრძალვის, აღარაფერს ერიდება: მირბის და მიხტის ღრიალ-გრილით!... უძრავ ქვებს თავზე ევლება და კლდოვან კიდევებს თავგამეტებით აქეთ-იქით ეხლება, რომ გაგლიჯოს და გაიტანოს მისი მოწინააღმდეგე! ... მაგრამ, ვერ შემძლები ამისი, ზარითა და ზეიმით ქალებისაყენ მიქქანება. აქ კი გაგულდიდებული, ღრმა კალაპოტში ჩამ-ჯდარი და გულსაავსე, ვაყვაცური მედიდურობით, მშვიდობიანად ტალ-ლებს ტალღებით მიაგორებს! ... მიდის, მიშხუის, ზღვისაყენ თავმიცე-მული, შორის გზით მიმავალი, და რაც უფრო და უფრო უახლოვდება აუცილებელ სავანეს, თანდათან იჩენს აუჩქარებლობას, როგორც მოხუცი, და ბოლოს კიდევ შეჩერდება ერთი შეჩერება ... ტბორავს, თითქოს უნდა, რომ უკანასკნელად ერთი კიდევ მოიხედოს უკანვე. თვალნი გადაავლოს თავის წარსულს, ფერადად გავლილ შორეულ გზას, და მერე კი საუკუნოთ ჩაინთქას, ჩაიღუპოს ზღვის უფსკრულში! ...

მიჯარს საზოგადოდ ბავშვი, უგულითადენსად პატივისაცვემ მოხუცებულობას, ღირსეულად ვაფასებ ვაყვაცობას, მაგრამ გული კი

კაბუჯობისკენ მიმიწევს და ყელაზე უფრო იმას შეფრქვევით ჰეტრფიალები.

ალბათ, ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ წყლებშიაც ყოველგვარ მდინარეს გიჟმაეი ხევის წყალი მირჩენია და მათში კი უპირატესობას ერთს მათგანს, ჩიხურას ვაძლევ: ეს იყო ჩემი საკუთარი ემბაზი და ჩემი საკუთარი სარკე).

სწორედ ამ ჩიხურის პირად, შალღობზე, დგას ორსართულიანი ქეთიკირის სახლი. ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სივრცე დარბაზისა და სისქე — ციხის, მაგრამ არცერთ მათგანს კი არა ქგავს! ... , ამ სახლში დავბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობაში კი 1841 მიწერია”.

1421, 705-706/.

მოხმობილ ტექსტში აკაკის მსჯელობას, რომ „ყოველი არსი, სულიერი თუ უსულო, ხილული თუ უხილავი, ერთსა და იმავე მსოფლიო კანონს ექვემდებარება: და ბადება, იზრდება, დააერდება და კვდება”. თან ახლავს თვალსაჩინო მაგალითი. მსჯელობას მოსდევს ჩიხურის ნაპირზე მდგომი სახლის აღწერა, რომ ამ სახლში დაბადებულა პოეტი.

არც თუ იშვიათია შემთხვევა, როცა ერთსა და იმავე ტექსტში კონტრამინირებულია აღწერა, თბრობა და მსჯელობა. ამას მაშინ აქვს ადგილი, როცა აღწერა-თბრობის დროს, მწერალი თავს ვერ იკავებს, არ გამოთქვას თავისი სუბიექტური დამოკიდებულება მოვლენისადმი, პერსონაჟისადმი, საგნისადმი. და მაშინ მკლავნდება ავტორისეული სიმპატიანტიპატიად, მოდალური განწყობილება.

აქ არ შეგვიძლია ისევ დიდი ილიას ერთი ჩინებული მაგალითი არ მოვიყვანოთ:

„თვადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი — უკაცრავოდ არ ვიყო ამ სიტყვაზედ — როგორც კარგი ნასუქი კურატი. დარბაისელის კაცის შეხედულება პქონდა მის ბრწყინვალეებას: თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს შორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო; წითელი, თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაში ლოყბი; სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკა ღაბაბი; დიდრონი თვალები, ყოველთვის დასისხლიანებული, თითქო ველში თოკი წაუქცერიაო! გაბერ-

ილი, მეტად გონიერად აღმოგდებული, დიად პატივისცემი და პატივცემული ღაბი, კოტიტა და ქონით გატენალი ბალნიანი ხელები, დამორილი სხვილი ფეხები — ესე ყოველი ერთად და თითოეული ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის „ცით მონაბერის სულის“ ღირსეული სამკაული. ის „მონაბერი სული“ არსად არა სჩანდა, თითქო ჩამკვდარაო, ისე გაშლილიყო მის ბრწყინვალეების ქონშია. ქართველს კაცს არც ქარის შემოტანილი უნდა და არც გატანილი, ის „მონაბერი სული“ ქარად ხომ არ მიიღო ჩვენმა თავადმა?

სწავლა, ღვთის მადლით, არაფრისა არა ჰქონდა. რომ ჰქონოდა, ეგრე მსუქანიც აღარ იქნებოდა. ხშირია ხოლმე, რომ, როცა სული ქლექდება — ხორცის დღეობა მაშინ არის, როცა სული ჰყავის — ხორცი დნება. ამიტომაც ქლექები ჰკვიანები არიანო, ამბობენ ხოლმე, ჩვენი ლუარსაბი, მგონი, თითონაც ბევრს არ იცემდა თავში, — რატომ სწავლა არა მაქვსო, — სწორედ ამის გამო.

— ეგ ეხლანდელი ჰირიარო, — იტყოდა ხოლმე გულმტკივნეულად, თითქო ჰქვეყნა ამ ჰირისაგან ებრალებო.

მართალიც ბრძანდებოდა მისი ბრწყინვალეობა: მისი აზრით, კაცი ძირგაუარდნილი ჰქვეყრი იყო, რომელსაც დღეყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსო. მისი ბრწყინვალეობა თავის თავზედ ჰხედავდა თავის ბრწყინვალე გონიერებით, რომ ამ მნ. შვენელობას კაცი უსწავლელადაც კარგად ასრულებს, ნამეტნავად ჯოგის და ყმის პატრონი, ყმისა — რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა აქვს.

— დრო გამოიცვალა, — იტყოდა ხოლმე აღმოცხვრით ლუარსაბი, — დრო გამოიცვალა. რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველ კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და! ... ჰამით ისინი ველარ სჰამენ, სმით ისინი ველარ სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარა ვარ, ჰუდი არა მხურავს განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაყვაცის ხელობაა, — ეგ ხომ ქალის საქმეა, ვენაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი მაშინ თავის დონეზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ჰერჰში იყო. ვენაცვალე! ... კაი. ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატროსანი.

ეჰ, ჩემო ლუარსაბ! ვიცი, გულწრფელი კი ხარ, როგორც ყველა ძველი ქართველი, მაგრამ ძველს დროს ტყუილად შეჰნატრი, რომ არც კი იცი, რა იყო სანატრელი ძველს დროში? ცხენი განა ეხლა კი არ არის? თოფი განა ეხლა ნიშანში ვერ მივა? მარჯვე მკლავი ცოტაა? ეხლა არის ეს ყველაფერი, მაგრამ ის გული აღარ არის, ის გულის სიმბურვალე, ის თავგამოდება მამულისათვის, რომელიც კაი ცხენს და კაი თოფს კაი საქმეში ახმარებდა. უწინ კაცი ამშვენებდა ცხენსაც და თოფსაც, ეხლა კი ცხენი და თოფი ამშვენებს. კარ. კი იყო ძველი დრო, მაგრამ არც ეს ბესარიონ ვაბაშვილის სიტყვებია ურიგო: "ერთი მაქვს სჯობს ათასს მქონდას", - ეს ვიქვით და ენა მოვიკვნიტოთ, თორემ.

თუმცა ლუარსაბი ეგრე სწუხდა ეხლანდელი დროების ქირისა გამო, მაგრამ სახე მუდამ ერთ განსაკუთრებულ სულელობით უცინოდა ხოლმი. „ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის ან ზნესაო“, ნათქვამია. ეს ანდაზა არსად ისე გამართლებული არ მინახავს, როგორც თავად ლუარსაბის სახლში. ამისი ძვირფასი მეუღლე კნენია დარეჯანი სწორედ თავის ქმრის მეორე გვერდი გახლდათ და იყვნენ ერთ სულ და ერთ ხორც, როგორც ბრძანებს საღმრთო წერილი. მერე რა-რიგად იგივე სიმრგვალე, იგივე სიმსუქნე, იგივე მოცინარე პირი და თითქმის იგივე სისულელე. ეს ორი ტურფა გვრიტი, ერთსულიანი და ერთხორციანი, საკვირველად ტკბილად სცხოვრობდნენ, ქვეყნის უგემური ყაყანს მოშორებულნი. მამალი იყოვლებდა თუ არა, ბედნიერ ცოლ-ქმარს თვალები დაქუჩილი ჰქონდათ, დარეჯანი მაშინვე წამოფრინდებოდა. ლუარსაბმა კი, ნებიერმა ლუარსაბმა ხანდისხან განაზება იცოდა ქვეშაგებიდგანჯი. გულგადაღელილი ტახტი ედ გადაგორდებოდა ერთის ქშენით, ვაი-ვაგლახით და კიდევ რაღაცეებით. მომხდარა ისე, რომ სადილობამდინაც ამ ნებიერობაში უგემური დრო გაუტარებია.

ქართველები იტყვიან: ვისაც ბალანი ბლომად აქვს ტანზედ მოდებულობა, ის ბედნიერიაო. მართალიც არის, პირ. უტყუები სულ იმისგან არიან ბედნიერნი! თუ ეს ტყუილია, ბევრი ჩვენგანი პირუტყვობას რაღა ჰკდილობს? იცნისათვის, რომ პირუტყვები ბედნიერნი არიან, ბედნიერები კიდევ იმისთვისა, რომ ტანზედ ბალანი აქვთ.

ლუარსაბის ტანისა კი რა მოგახსენოთ და გული კი, რო გენახათ დორის ჯაგარსავით მოდებული ჰქონდა. ასე რომ მრავალ საუკუო სულიერებს შეეძლოთ შიშინაობის დროს აქ თავი შეეფარათ, მაგრამ მა-

გრამ რა? განა ლუარსაბი ბედნიერი არ იყო? იმდენი დღეგრძელობა ამის დამწერს კჳონდეს, რამდენი იმის ტოლი თავადი შვილი იმის ყაფაცხოვრებას შექნატროდა. მართო იმის ტანის ბალანი სამყოფი იყო, რომ უბედურ კაცში შური აენტო, რომ სხვა არა იყოს-რა. თორემ რა უპირდა ლუარსაბსა? ფერი აკლდა თუ ხორცი? რა, სხვა უბერიო კაცსავით, ფიქრი და ზრუნვა ძილს დაუფრთხოვდა, მადას წაართმევდა? ფერი კარგი კჳონდა, ხორცი უყეთესი, სმა-ჟამა და ძილი ხომ რალა. მეტი რა უნდა ქართველ კაცს, რომელიც ბედს და უბედობას ბალნით არჩევს, და რომლისთვისაც ბედს თუ ხვედრს დაუნიშნავს, რომ თავისი დღენი ქუდით უნდა ბუზს ერეკებოდეს" /422,360-363/.

ილიას უარყოფითი დამოკიდებულება თავის გმირისადმი, ლუარსაბის ილიასეული შეფასება გადმოცემულია ნაწილაკებით, შორისდებულებით, ეპითეტებით, შედარებებით, სიტყვის გადატანით მნიშვნელობით, მოდალური სიტყვებით, მოდალური მეტატექსტით. ყველა ეს საშუალება ემსახურება ერთ მიზანს, გვიჩვენოს თავისი, როგორც მთხრობელის, შინაგანი-„მე“ სუბიექტურ-მოდალური დამოკიდებულება ლუარსაბისადმი. აქ ისთვის ავტორი, უპირველეს ყოვლისა, აღწერს ლუარსაბის პორტრეტს, გვიყვება მის სულიერ სიმდიდრეზე, მიწრაფებებზე, არც მის მეუღლეს ტოვებს განზე და იძლევა ამ ორი ადამიანის-ლუარსაბისა და დარეჯანის-ჯოლისმომცველ დახასიათებას. ამ დახასიათებაში ავტორი არ იშურებს მაღალფარდოვან და მშვენიერ სიტყვებს თავისი გმირების ნეგატიური თვისებების, მათი ცხოველური სულიერი დონისა და მისწრაფებების გადმოსაცემად. აღსანიშნავია, რომ ეს მაღალი სიტყვები გაელენთილია ცინიზმით, დაცინვით, სატირით. ამ ტექსტში ლუარსაბი კაცია (საამისო ყველა ატრიბუტი გააწია), მაგრამ ადამიანი არ არის, რადგან ადამიანის მაღალი და უპირველესი დანიშნულება-მამული შვილობა, ქვეყნისა და ერის სამსახური, უყეთესი მერმისისათვის ბრძოლა - მისთვის უცხოა.

მოვიყვანო კონტიმინირებული პოეტური ტექსტის ერთ ნიმუშსაც:

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჳადარი...
ქეწნამ აღერსით ამავესო
ექვებით წაავადარი...

საქართველოო ლამაზო,
 „სხვა საქართველო სად არი?“
 ცა ვარსკვლავებით ინთება,
 ცა-არცა რისი სადარი...
 მთვარე რომ ამობრწყინდება,
 გული გაქრენად მზად არი...
 დიდება, შენი დიდება,
 „სხვა საქართველო სად არი?“
 მინდვრები, ქართლის მინდვრები,
 ქედები მხარგაშლილები...
 მთაში-ტყე დანაბინდები,
 ტყეში-ქორბულა ირმები...
 ბარად შრიალებს ჭადარი,
 მზეს უმღერიან ჩიტები...
 მხარეე მოსილო დიდებით,
 „სხვა საქართველო სად არი?“
 ლურჯი ბალახი მხარამდი,
 მწყერი გოგმანობს ბალახში...
 თეთნულდზე-თოვლი მარადი,
 ვენახზე-მზე და ბაღახში...
 სხვა საქართველო ვინ ნახა?
 „სხვა საქართველო სად არი?“
 როს ვარსკვლავები ხმაურით
 აინთებიან ცათან
 კლდეს მოაწყდება ზღვაური
 მეშვიდე ცაზე ატანილს...
 კლდეებში ჩიხვი დაფრთხება,
 გორში იტირებს ატამი,
 ყაყაოს გჟერდს ვერ აუვლი,
 „სხვა საქართველო სად არი?“
 აქ დაიბადა „სულიკო“,
 მზისკენ გაფრინდა „მერანი“...
 და თუნდაც გადმოსულიყო
 მტერი შმაგი და ვერანი,

მარჯვენს მოსჭრიდა ალუდა,
სით გაუწვებდა ლელაი?
აქ დაიბადა „სულიყო“,
მზისკენ გაფრინდა „მერანი“...
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასოლა ძერაი...
დაბლა შრიალებს შოლისებრ
ყანაი გაუწყლავი...
ფიქრს დაუღლია ონისე,
ბახტრიონს მიდის ლელაი...
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცა აი ასულა ძერაი...
ქარი გიმღერის ნანასა,
ზლაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავესო
ეკვებით წაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
სხვა საქართველოო სად არი?!”

/413, 11-12/

ამ ტექსტში თითქმის პოეტურად არის გადმოცემული ბუნებისა და ქვეყნის ისტორია აღწერის, თხრობისა და მსჯელობის ფორმების გამოყენებით.

დასკვნა

ტექსტის ძირითად ფუნქციონალურ ტიპებად გამოვყოფთ აღწერით, თხრობითსა და მსჯელობით ტიპებს, აგრეთვე მათ კონტინირებულ ფორმებს.

ტექსტის ლინგვისტიკის მცირე ლექსიკონი

ამ მცირე ლექსიკონში შევიტანეთ ის ტერმინები, რომლებიც ჩვენს ნაშრომში გვხვდება და რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ტექსტის ლინგვისტიკასთან. მაგრამ ზოგი ტერმინის მნიშვნელობა სცილდება აღნიშნულ სფეროს და როგორც ქერკერობით არაფიქსირებული სკიროვას ახსნას. ტერმინის ავტორის ვინაობას არ ვუთითებთ. ვისარგებლეთ და წყაროდ გამოვიყენეთ ზ. მნიკოლაევის მოკლე ლექსიკონი /231/.

ავტოსემანტური	დამოუკიდებელი
ანაფორა	ინფორმაციის ელემენტების ადრე თქმულისადმი მიკუთვნების ტექსტური საშუალებანი: ნაცვალსახელები, ზმნიზედება განმეორებები—
ანაფორული კავშირი	ისეთი დაკავშირება, როდესაც ტექსტის რომელიმე ელემენტი იცვლება სხვა თითქოსდა თავისი „მოადგილით“ (სუბსტიტუტით), შემცვლელით.
დენოტატი	აღსანიშნი
დისკრეტული	განმასხვავებელი
დისკურსი	ტერმინი ტექსტის ლინგვისტიკაში, რომელსაც მრავალი მნიშვნელობით ხმარობენ, სახელდობრ: 1. გაბმული ტექსტის, 2. დიალოგის, 3. გამონათქვამოა ჩგუფის, 4. ტექსტის ზეპირი ფორმის, 5. სამეტყველო ნაწარმოების წერითი ან ზეპირი სჯანის მნიშვნელობით
ეპისტენციური	ყოფითი
ემიურ-ტექსტი	პოტენციური ტექსტი

ექსპლიკაცია	სემანტიკური კომპონენტების აშკარა სიტყვიერი გამოხატვა
ექსპლიციტური	ხილული, თვალით რომ ჩანს
ექსტენსიონალური	დახურული
ერთური ტექსტი	კონკრეტულად წარმოსათქმელი ტექსტი
ილოკუცია	მეტყველება, რომელიც მიმართულია, მოწოდებულია, წარმატებით განხორციელდეს ენობრივი ურთიერთობის მონაწილეთა კომუნიკაცია.
იმპლიკაცია	იგავა, რაც ქვეტექსტი, სხვა განმარტებით, იმპლიკაცია-ეს არის ტენდენცია, რომ ვიგულისხმობთ სემანტიკური კომპონენტები
იმპლიციტური	უხილავი, თვალთ დაუნახავი
ისტორია	გარემომცველ სამყაროში ელემენტებისა და საგნების კავშირი, რომელიც არსებობს მათი სიტყვიერი (სამეტყველო) გამოსახვისაგან დამოუკიდებლად. სამყარო - ეს არის ფაქტების ანუ „ისტორიის“ სივრცე
კატაფორა	ტექსტის ელემენტების დაკავშირების საშუალებანი მომდევნო ელემენტებთან
კვაზიელემენტები	სპეციალური სიტყვები - ლოგიკური სამაგრები
კონექტორები	დაკავშირების საშუალებანი, რომლებიც აერთიანებენ ტექსტის ერთეულებს
კონსტიტუენტი	ერთეული, კომპონენტი

კორეფერენცია	ტექსტის ელემენტების მიკუთვნება სინამდვილის ერთი და იმავე ფაქტისადმი. დენოტატისადმი
კოქეზია	ტექსტის ელემენტების გაბმულობა აზრისა და ფორმის მიხედვით
კოქერენტულობა	გაბმულობა (ხშირად კოქეზიი! სინონიმადაც იხმარება)
კროსრეფერენცია	იგივეა რაც ანაფორა
მაკროსტრუქტურა	სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს გაბმული ტექსტის გლობალურ სემანტიკურ მთლ იანობას
მეტატექსტი	არის წინადადებაზე მაღალი დონის ენობრივ-სამეტყველო ოდენობა, რომელსაც აქვს საკუთარი მიკროთემა, ლინგვისტიკურად ორგანიზებული გაფორმება აზრობრივი დამთავრებულობა და საკომუნიკაციო ფუნქცია
ნანიზივანიე	სრულმნიშვნელოვანი სიტყვის განმეორება
ნარატიული	თხრობითი
ნარატიული სტრუქტურა	ტექსტის თხრობითი ერთეული
პარამეტრი	თავისებურება; მახასიათებელი, განმსაზღვრელი
პარცელაცია	წინადადებიდან (გამონათქვამიდან) ერთ-ერთი წევრის ან დამოკიდებული წინადადების გამოცალკევება დამოუკიდებელ წევრად ან წინადადებად

პრესუპოზიცია	პირობები, როცა შესაძლებელია აზრის ადევნატური გაგეია ან ქვეტექსტის ექსპლიკაცია
პრო-ფორმა	ადრე ნახსენები სიტყვის ნაცვალსახელით შეცვლა
რეკურენტულობა	რეგულარული გამეორება
რელევანტური	ენობრივი ერთეულების მადიფერენცირებელი
რეფერენტი	გარემომცველი სამყაროს ის ელემენტი, რომლის შესახებ არის საუბარი
რეფერენცია	გამონათქვამის რეფერენტისადმი მიმართება
სინგნიფიკატი	აღმნიშვნელი
სინსემატური	დამოკიდებული
ტექსტი	ტექსტის ლინგვისტიკის ერთერთი ძირითადი ტერმინი. მას მრავალი მნიშვნელობით ხმარობენ. ჩვენი გაგებით, ტექსტი არის უმაღლესი დონის ენობრივ-სამეტყველო ერთეული რომელსაც აქვს საკუთარი თემა გრაფიკული სახე, სემანტიკური ერთიანობა, სტრუქტურული მთლიანობა და საკომუნიკაციო დანიშნულება
ტექსტის ლინგვისტიკა	ენათმეცნიერული დისციპლინა, რომელიც სწავლობს ტექსტის პარამეტრებს, კატეგორიებს, კომპონენტებს, საზღვრებს, კომუნიკაციის პირობებს და სხვ.
ტექსტის პროგრესია	გაბმული ტექსტის უწყვეტი განმეორება-განვითარება

ბამოყენებული ლიტერატურა

ა) რუსულ ენაზე

1. Лбрамов Б. А. Текст как закрытая система - языковых средств. В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч. 1, 1974.
2. Адамец П. Порядок слов в современном русском языке. Ргава, 1966.
3. Адмони В. Г. Синтаксис современного немецкого языка. Л., 1973.
4. Адмони В. Г. Грамматика и текст. - ВЯ, № 1, 1985.
5. Адмони В. Г. Основы теории грамматики. М.-Л., 1964.
6. Лкишина А. А. К вопросу о суперсинтаксическом членении текста. В кн.: Вопросы грамматики и словообразования. Труды Университета дружбы народов, т. 16, вып. 4, М., 1968.
7. Алатова Л. И. Текст как система ориентиров в процессе понимания иноязычной речи на слух. - В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч. I, М., 1974.
8. Арнольд И. В. Стилистика современного английского языка. Л., 1981.
9. Арнольд И. В. О сцеплении самостоятельных предложений в японском языке. Труды ВШЯ, т. 7, М., 1955.
10. Арнольд И. В. Интерпретация текста как установление иерархии его частей. - В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч. I, М., 1974.

11. Артоболевский Г.В. Основы художественного чтения. В кн.: Артоболевский Г.В. Очерки по художественному чтению. Под редакцией и с дополнением С. И. Бернштейна. М., 1959.
12. Арутюнова Н.Д. Понятия пресуппозиции в лингвистике. - Известия АН СССР. Серия литературы и языка. Том XXXII, вып. I, 1973.
13. Арутюнова Н.Д. Предложение и его смысл. М., 1976.
14. Арутюнова Н.Д. Понятие пропозиции в логике и лингвистике. Известия АН СССР, 1976, т.35, № I(a).
15. Арутюнова Н.Д. Номинация и текст. - В кн.: Языковая номинация, М., 1977.
16. Арутюнова Н.Д. К проблеме связности прозаического текста. В кн.: Памяти академика. В.В. Виноградова. М., 1971.
17. Аспекты общей и частной теории текста. М., 1982.
18. Ахматова О.С. Словарь лингвистических терминов. М., 1966.
19. Бабайцева В. В., Максимов ЛЮ. Современный русский язык, ч. III. Синтаксис, Пунктуация. М., 1981.
20. Балли Ш. Обычная лингвистика и вопросы французского языка. М., 1955.
21. Барт Р. Лингвистика текста. - Новое в зарубежной лингвистике, вып. 8. Лингвистика текста. М., 1978.
22. Бархударов Л.С. Текст как единица языка и единица перевода. В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции. МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч. I, М., 1974.
23. Бархударов Л.С. Структура предложения и структура текста. В кн.: Лингвистика текста. Материалы научн. й

конференции МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч. 1, М., 1974.

24. Баталова Т.М. Соотношение предикативных и релятивных отрезков текста. АКД. М., 1977.
25. Бахтин М.М. Проблема текста в лингвистике, филологии и других гуманитарных науках. - В кн.: Бахтин М.М. Эстетика словесного творчества. М., 1979.
26. Белич А.И. К вопросу о распределении грамматического материала по главным грамматическим дисциплинам. Вестник МГУ, № 7, М., 1947.
27. Беллер М. Об одном условии связности текста. - Новое в зарубежной лингвистике, вып. 8. Лингвистика текста. М., 1978.
28. Белошапкова В.А. Синтаксис современного русского языка. М., 1978.
29. Белошапкова В.А. Сложное предложение в современном русском языке. М., 1967.
30. Бенвенист Э. Уровни лингвистического анализа. - Новое в лингвистике, вы: 14, М., 1965.
31. Бенвенист Э. Общая лингвистика. М., 1974.
32. Блох М.Я. Надфразовый синтаксис и синтаксическая парадигматика. - В сб.: Проблемы грамматики и стилистики английского языка. М., 1973.
33. Блумфильд Л. Язык. М., 1968.
34. Боевец И.А., Винтман Ж.Д. Присоединительные конструкции в современном французском языке. Л., 1971.
35. Большая Советская энциклопедия, т.25, М., 1976.

36. Бондаренко Г.В. Методы лингвистического анализа структуры текста на сверхфразовом уровне. АКД М., 1976.
37. Бондаренко Г.В. Распределение повторов в связном тексте как основа для обнаружения суперсинтаксических единиц - НТИ, сер.2, № 12, 1975.
38. Бондарко А.В. Грамматические категории слова в тексте и в системе языка (на материале глагольного вида) - В сб.: Русский язык. Текст как целое и компоненты текста. М., 1982.
39. Бородаченко О.А. Межфразовые связи в различных стилях письменного языка. - Математическая лингвистика. Киев, 1973, 1.
40. Брандес М.П. Повествовательный стиль А. Зегерс. АКД М., 1962.
41. Брудный А.А. К анализу процесса понимания текстов. - В кн.: Знак и общение. Фрунзе, 1974.
42. Брызгунова Е.А. Смысловое взаимодействие предложений - В кн.: Синтаксис текста. М., 1978.
43. Будагов Р.А. Человек и его язык. М., 1974.
44. Булаховский Л.А. Курс русского литературного языка, Т. I. Киев, 1962.
45. Булыгина Т.В. О границах между сложной единицей и сочетанием единиц. - В кн.: Единицы разных уровней грамматического строя языка и их взаимодействие. М., 1969.
46. Бурвилова (Зарубина) Н.Д. Закономерности линейной структуры монологического текста. АДЦ, М., 1981.

47. Буслэв Ф.И. Историческая грамматика русского языка. М., 1959.
48. Бухбиндер В.А., Розанов Е.Д. О целостности и структуре текста. - ВЯ, 1975, 6.
49. Бухтиярова Н.С. Абзац в научном и художественном тексте. Стилистико-грамматические черты научной литературы. М., 1970.
50. Бэлза М.И. К вопросу о некоторых особенностях семантической структуры связных текстов. - В кн.: Семантические проблемы автоматизации информационного поиска. Киев, 1971.
51. Валгина Н.С. Синтаксис современного русского языка. М., 1978.
52. Ванефрис Ж. Язык. М., 1937.
53. Вашиков Ю.В. Высказывание как синтаксическая единица. - В кн.: Вопросы грамматики и словообразования. М., 1969.
54. Вашиков Ю.В. Синтаксис речи и синтаксические особенности русской речи. М., 1979.
55. Вардуть И.Ф. О двух синтаксических уровнях языка. - В кн.: Исследование по японскому языку. М., 1967.
56. Вардуть И.Ф. Основы описательной лингвистики. М., 1977.
57. Вахек И. К проблеме письменного языка. - В кн.: Пражский лингвистический кружок. М., 1967.
58. Вайнрих У. Текстовая функция французского артикля. - Новое в зарубежной лингвистике, вып. 8. Лингвистика текста. М., 1978.
59. Вайнрих У. О семантической структуре языка. - Новое в лингвистике, вып. 5. М., 1970.

60. Веделина Л.Г. Опыт качественного и количественного анализа связи предложений в сложном синтаксическом целом. - Ученые записки I-го МГПИИЯ им. Мориса Тореза, т.39, М., 1968.
61. Вежбицка А. Метатекст в тексте. - Новое в зарубежной лингвистике, вып.8. Лингвистика текста. М., 1978.
62. Величко Л.И. Сложное синтаксическое целое и некоторые вопросы изучения его в школе. - В кн.: Ученые записки Пермского государственного университета, т.43, вып. 3, Пермь, 1967.
63. Веймах Г.Д. К вопросу о синтаксических единствах (на материале современного английского языка). - ВЯ, 1961, № 2.
64. Виноградов В.В. Стиль Пушкина. М., 1941.
65. Виноградов В.В. Избранные труды. О языке художественной прозы. М., 1980.
66. Виноградов В.В. Избранные труды. Исследования по русской грамматике. М., 1975.
67. Виноградов В.В. Стилистика. Теория поэтической речи. Поэтика. М., 1963.
68. Виноградов В.В. Русский язык. Грамматическое учение и слово. М., 1972.
69. Виноградов В.В. Современный русский язык. П. М., 1938.
70. Виногрцов В.В. Проблемы русской стилистики. М., 1981.
71. Винокур Г.О. Слово и стих в «Евгении Онегине». - В кн.: Пушкин. Сборник статей. М., 1941.

72. Винокур Г.О. «Горе от ума» как памятник русской художественной речи. - В кн.: Винокур Г.О. Избранные работы по русскому языку. М., 1959.
73. Волошинов В.Н. Марксизм и философия языка, изд. 2. Л., 1930.
74. Востоков А.Х. Русская грамматика по начертанию его же сокращенной грамматики полнее изложенная. СПб., 1831.
75. Львовский Л.С. Мышление и речь. М., 1956.
76. Гавренек Б. О функциональном расслоении литературного языка. - В кн.: Пражский лингвистический кружок. М., 1967.
77. Гак В.Г. Высказывание и ситуация. - В кн.: Проблемы структурной лингвистики. 1972. М., 1973.
78. Гак В.Г. О двух типах знаков в языке (высказывание и слово). - Материалы к конференции. Язык как знаковая система особого рода. М., 1967.
79. Гак В.Г. О семантической организации текста. - В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч. I, М., 1974.
80. Гак В.Г. Проблемы лексико-грамматической организации предложения. АДД М., 1968.
81. Гак В.Г. Повторная номинация на уровне предложения. - В кн.: Синтаксис текста. М., 1979.
82. Гальперин И.Р. О понятии «текст». - ВЯ, 1974, № 6.
83. Гальперин И.Р. Информативность единиц языка. М., 1974.
84. Гальперин И.Р. К проблеме зависимости предложения от контекста. - ВЯ, 1977, № 1.

85. Гальперин И.Р. Текст как объект лингвистического исследования. М., 1981.
86. Гальперин И.Р. Интеграция и завершенность текста. - Изд. АН СССР. Серия литературы и языка. 1980, № 6.
87. Гальперин И.Р. Текст и его исполнение в связи с дихотомией «язык» и «речь». - В кн.: Язык и речь. Тбилиси, 1977.
88. Гальперин И.Р. Грамматические категории текста. - Известия АН СССР. Серия литературы и языка, т.36, 1977, № 6.
89. Гальперин И.Р. Модельность текста. - Сборник научных трудов МГПИИЯ им. Мориса Тореза. Выпуск 158, М., 1980.
90. Гальперин И.Р. Сменность контекстно-вариантных форм членения текста. - В сб.: Русский язык. Текст как целое и компоненты текста. М., 1982.
91. Гаспаров Б.М. О некоторых лингвистических аспектах изучения структуры текста. - В кн.: 3-летняя школа. Тарту, 1968.
92. Гаспаров Б.М. Структура формальной связи предложений в современном русском языке. - УЗ Тартуского университета, 1975, вып.347.
93. Гаспаров Б.М. Современные проблемы лингвистики текста. - *Linguistica*, VII. Tartu, 1976.
94. Гаузенблэз Карел. О характеристике и классификации речевых произведений. - Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII, Лингвистика текста. М., 1978.
95. Гвенцадзе М.А. Прагматические аспекты классификации и структурирования текстов. АДД, Тбилиси, 1986.

96. Гвоздев А.М. Очерки по стилистике русского языка. М., 1955.
97. Гиндзи С.И. Онтологическое единство текста и виды внутритекстовой организации. - В кн.: Машинный перевод и прикладная лингвистика. М., 1971, вып. 14.
98. Гиндин С.И. Два принципа внутренней организации текста и сущность понятия «связный текст». - В кн.: Научный симпозиум. Семиотические проблемы языков науки. М., 1971, ч. 1.
99. Гиндин С.И. Связный текст: формальное определение и элементы типологии. М., 1971.
100. Гиндзи С.И. Внутренняя организация текста. АКД М., 1972.
101. Гиндин С.И. Советская лингвистика текста. Некоторые проблемы и результаты, Известия АН СССР. Серия литературы и языка, т.36, 1977, № 4.
102. Головенко И.А. Основы построения текстометрии (к вопросу о взаимодействии синтаксических и парасинтаксических структур в тексте). - В сб.: Взаимодействие языковых структур в системе, вып. 4. Л., 1980.
102. Гоциридзе Д.З. Принципы типологической интерпретации фразовых текстов. АДД, Тбилиси, 1887.
103. Грамматика русского языка, т. II, ч. 1, М., 1954.
104. Грамматика современного русского литературного языка. Отв. ред. Н.И.Шведова. М., 1970.
105. Далакишвили Л.Н. Семантический анализ нарративных текстов. АКД, Тбилиси, 1981.

106. Дейк Т. Вопросы прагматики текста. - Новое в зарубежной лингвистике, вып. 8. Лингвистика текста. М., 1978.
107. Данеш Ф.И., Гаузенбласс К. К семантике основных синтаксических формаций. - В кн.: Грамматическое описание славянских языков. Концепция и методы. М., 1974.
108. Дмитриевская И.В. Информационная ценность научного текста. УЗ Ивановского педагогического института, т. 102, 1972.
109. Дмитриевская И.В. Обучение сочинениям в средней школе и структурная сложность текстов. - УЗ - Ивановского педагогического института. 1967, т.49.
110. Добиаш А.В. Опыт семасиологии частей речи и их форм на почве греческого языка. Прага, 1897.
111. Доблаев Л.П. К вопросу о семантических связях ближайших предложений текста. - Вопросы психологии АПН СССР, № 3, 1983.
112. Долинин К.А. Интерпретация текста. М., 1985.
113. Домашнев А.И., Шичкина И.П., Гончарова В.А. Интерпретация художественного текста. М., 1983.
114. Дорофеев В.Г., Мартемьянов Ю.С. Логический вывод и выявление связей между предложениями в тексте. - В кн.: Машинный перевод и прикладная лингвистика, вып. 12, М., 1969.
115. Дресслер В. Синтаксис текста. - Новое в зарубежной лингвистике, вып. 8. Лингвистика текста. М., 1978.
116. Фейгер Г.В., Юхт В.А. К построению типологии текстов. - В кн.: Лингвистика текста. Материалы

- научной конференции МНППИ им. Мориса Тореза, ч. 1, М., - 1974.
117. Енукидзе Р.И. Художественный хронотоп и его лингвистическая организация. АКД, Тбилиси, 1984.
 118. Ермакова И.В. Автосемантия на сверхфразовом уровне. - Сборник научных трудов МГПИИЯ им. Мориса Тореза. Выпуск. 141. Лингвистика текста, М., 1979.
 119. Ермоляева Л.С. Система средств выражения модальности в современных германских языках. АКД, М., 1964.
 120. Жинкин Н.И. Развитие письменной речи учащихся III-IV классов. - Известия АПН РСФСР, вып. 78, М., 1956.
 121. Жинкин Н.И. Речь как проводник информации. М., 1982.
 122. Жирмунский В.М. О ритмической прозе. - Русская литература. 1966, № 4.
 123. Зарубини Н.Д. К вопросу о лингвистических единицах текста. - В кн.: Синтаксис текста. М., 1979.
 124. Зарубини Н.Д. Сверхфразовое единство как лингвистическая единица. АКД, №., 1973.
 125. Зарубини Н.Д. Текст: лингвистический и методический аспекты. Русский язык. М., 1981.
 126. Зарубини Н.Д. О некоторых психологических особенностях внутренней структуры письменного текста. - В кн.: Материалы III Всесоюзного симпозиума по психолингвистике. М., 1970.
 127. Звегинцев В.А. Теоретическая и прикладная лингвистика. М., 1968.

128. Звегинцев В.А. История языкознания XIX-XX веков в очерках и извлечениях, ч. II, М., 1965.
129. Звегинцев В.А. Предложение и его отношение к языку и речи. М., 1976.
- 129₁. Зверева Е.Д. Научная речь и модальность. Л., 1983.
130. Земский А.М., Крючков С.Е., Светлаев М.В. Русский язык. Часть вторая. Синтаксис. Под ред. акад. В.В.Виноградова. М., 1980.
131. Змиевская Н.А. Лингвистические особенности дистантного повтора и его роль в организации текста. АКД М., 1978.
132. Золотова Г.А. Структура сложного синтаксического целого в Карамзинской повести. - Труды Института языкознания АН СССР, т. 3, М., 1954.
133. Золотова Г.А. Роль рем.л в организации и типологии текста. - В кн.: Синтаксис текста. М., 1979.
134. Золотова Г.А. К вопросу о конструктивных единицах текста. - В кн.: Русский язык. Текст и контекст. М., 1984.
- 134₁. Золотова Г.А. О модальности предложения в русском языке. - ФН, 1962, № 4.
135. Иванов М.Н. Строевые абзаца и его пунктуация. - ГЯШ, 1950, № 3.
136. Иванов В.В. О взаимоотношении динамического исследования эволюции языка, текста и культуры. - В кн.: Исследования по структуре текста. М., 1987.
- 136₁. Илья Л.И. Методы членения синтаксического целого. Ученые записки МГПИИЯ, т. XIX. М., 1959.

137. Иофик Л.Л. Проблема структуры сложного предложения в ново-английском языке. АДД Л., 1965.
138. Изенберг Хорст. О предмете лингвистической теории текста. - Новое в зарубежной лингвистике, вып. 8. Лингвистика текста. М., 1978.
139. Ингве В. Гипотеза глубины. - Новое в лингвистике, вып. 4, М., 1965.
140. Иртельева Н.Ф. О лингвистической пресуппозиции. - Проблемы семантического синтаксиса. Пятигорск, 1975.
141. Исследования в области семантического синтаксиса. Пятигорск, 1974.
142. Исследования по теории текста. М., 1979.
143. Ицкович В.А. К вопросу об отношениях между самостоятельными предложениями в тексте (независимые предложения, выступающие в функции вводных). - В кн.: Вопросы языкознания, кн. 1. Львов, 1955.
144. Каменская О.Л. Текст как средство коммуникации. - Сборник научных трудов МПШИЯ им Мориса Тореза, вып. 158, М., 1980.
145. Кандицкий Б.С. Текст как интонационная структура, АКД М., 1968.
146. Карабан В.И. Перцептивные импликации грамматики текста. - В кн.: Психолингвистическая и лингвистическая природа текста и особенности его восприятия. Киев, 1979.
147. Кашельсон С.Д. Типология языка и речевое мышление. Л., 1972.

148. Кварацхелия Г.Ш. Функциональные системы научного и газетно- публицистического стилей. АДД Тбилиси, 1985.
149. Кирпичникова Н.Б. О способах объединения предложений в связной речи. - РЯШ, 1860, № 5.
150. Кифер Ф. О пресуппозициях. - Новое в зарубежной лингвистике, Вып.8. Лингвистика текста. М., 1978.
151. Кобринна Н.'А. Синтаксические средства связи между самостоятельными предложениями в современном английском языке. АКД. Л., 1953.
152. Ковтунова И.И. Вопросы структуры текста в трудах акад. В.В. Виноградова. - В сб.: Русский язык. Текст как целое и компоненты текста. М., 1982.
- ° 153. Ковтунова И.И. Структура художественного текста и новая информация. - В кн.: Синтаксис текста. М., 1979.
154. Ковтунова И.И. Современный русский язык. Порядок слов и актуальное членение предложений. М., 1976.
155. Кожевникова Кв. Формулирование содержания и синтаксис художественного текста. - В кн.: Синтаксис и стилистика. М., 1976.
156. Кожевникова Кв. Об аспектах связности в тексте как целом. - В кн.: Синтаксис текста. М., 1979.
157. Кожевникова Н.А. О типах повествования в советской прозе. - В кн.: Вопросы языка современной русской литературы. М., 1971.
158. Кожина М.Н. К основаниям функциональной стилистики. Пермь, 1968.
159. Колшанский Г.В. Коммуникативная функция и структура языка. М., 1984.

160. Колшанский Г.В. Проблемы коммуникативной лингвистики. - ВЯ, 1979., № 6.
161. Колшанский Г.В. Текст как единица коммуникации. - В кн.: Проблемы общего и германского языкознания. М., 1978.
162. Колшанский Г.В. О содержании языковой категории модальности. - ВЯ, 1961, № 1.
163. Колшанский Г.В. О смысловой структуре текста. - В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МПШИЯ им. Мориса Тореза, ч 1, М., 1974.
164. Коляденко Г.С. Из наблюдений над детерминирующими обстоятельствами в структуре сложного синтаксического целого. - РЯШ, 1972, № 1.
165. Корженский Ян. Прагматический компонент и теория текста. - В кн.: Синтаксис текста. М., 1979.
166. Косериу Е. Современное положение в лингвистике. - Известия АН СССР. Серия литературы и языка, т.36, 1977, № 6..
167. Кошанский Н. Общая риторика. Изд. 3, СПб, 1848.
168. Кравчук И.А. О некоторых особенностях словорасположения в современном русском языке на сверхфразовом уровне. АКД, М., 1970.
169. Кризососов А.Т. «Лингвистика текста» и исследование взаимоотношения языка и мышления. - ВЯ, 1986, № 6.
170. Крушельницкая К.Г. К вопросу о смысловом членении предложений. - ВЯ, 1956, № 5.
171. Крушина И.Н. Textoобразующие функции сочинительной связи. - В кн.: Русский язык. Тексты и контекст. М., 1984.

172. Крылова Л.В. Монолог как один из видов текста. - Сборник научных трудов, выпуск 141. Лингвистика текста МГПИИЯ им. Мориса Тореза. М., 1980.
173. Крючков С.Е., Максимов Л.Ю. Современный русский язык. Синтаксис сложного предложения. М., 1977.
174. Крючков С.Е. О присоединительных связях в современном русском языке. - Вопросы синтаксиса современного русского языка. М., 1950.
175. Куликов С.В. Что такое минимальная единица текста? - В кн. Текст как инструмент общения. М., 1983.
176. Куликов С.В. Напряженность как характеристика структуры речевого знака. - В кн.: Текст. Высказывание. Слово. М., 1983.
177. Кулакова Г.А. Роль главного предложения в структурировании гипотаксиса и включении его в текст. АКД, М., 1972.
178. Кухаренко В.А. Типы и средства выражения имплицитности в английской художественной прозе. - Физиологические науки, 1974, № 1.
179. Кухаренко В.А. Интерпретация текста. Л., 1979.
180. Лаптева О.А. Дискретность в устном монологическом тексте. - В со.: Русский язык. Текст как целое и компоненты текста. М., 1982.
181. Лебедеви Л.Б. К проблеме общереферентных высказываний. - ВЯ, 1986, № 2.
182. Левковская Н.А. В чем различие между сверхфразовым единством и абзацем. - Филологические науки, 1980, № 1.

183. Леонтьев А.А. Признаки связности и цельности текста. - В кн.: Лингвистика текста. Сборник научных трудов МГПИИЯ им. Мориса Тореза, т. 1, М., 1974.
184. Леонтьев А.А. Понятие текста в современной лингвистике и психолингвистике. - В кн.: Психолингвистическая и лингвистическая природа текста и особенности его восприятия. Киев, 1979.
185. Леонтьев А.А. Высказывание как предмет лингвистики, психолингвистики и теории коммуникации. - В кн.: Синтаксис текста. М., 1979.
186. Леонтьев А.А. Психолингвистические единицы и порождение речевого высказывания. М., 1969.
187. Леонтьева Н.Н. О смысловой неполноте текста (в связи с семантическим анализом). - МП и ПЛ, 1979, вып. 12.
188. Леонтьева Н.Н. Семантический анализ и смысловая неполнота текста. - АКД, М., 1968.
189. Лешка О. Иерархия ярусов строя языка и их перекрывание. - В сб.: Единицы разного уровня грамматического строя языка и их взаимодействие. М., 1969.
190. Лимаренко О.Н. Синтаксические средства связи предложений внутри абзаца у Д.И. Писарева. - Наук. зап. Дрогобицьк. державн. пед. институт, 1959, вып. 4.
191. Лингвистические проблемы текста. - Сборник научных трудов МГПИИЯ им. Мориса Тореза, М., 1980.
192. Лингвистические аспекты исследования литературно-художественных текстов. Межвузовский тематический сборник. Калинин, 1979.

193. Лингвистика текста. Материалы научной конференции. МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч. I, М., 1974.
194. Лингвистика текста. Материалы научной конференции. МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч. II, М., 1974.
195. Ломоносов М.В. Полное собрание сочинений, т.7, М., 1952.
196. Ломтев Т.П. Основы синтаксиса современного русского языка. М., 1968.
197. Лосева Л.М. К изучению межфразовой связи (абзац и сложное синтаксическое целое). РЯШ, 1967, № 1.
198. Лосева Л.М. Порядок слов как средство организации текстов монологической речи. Одесса, 1969.
199. Лосева Л.М. Текст как единое целое высшего порядка и его составляющие (сложные синтаксические целые). - РЯШ, 1973, № 1.
200. Лосева Л.М. Межфразовая связь в текстах монологической речи. АЛД, Одесса, 1969.
201. Лосева Л.М. О синтаксическом и семантическом аспектах исследования целых текстов. - В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч. I, М., 1974.
202. Лосева Л.М. Структурно-семантическая организация целых текстов. Одесса, 1973.
203. Лосева Л.М. Как строится текст. JL, 1980.
204. Лотман Ю.М. Структура художественного текста. М., 1971.
205. Лотман Ю.М. Анализ поэтического текста. JL, 1972.
206. Лунова Е.П. О степени самостоятельности предложения в сложном синтаксическом целом. - РЯШ, 1972, № 1.

207. Лунева В.П. Синтаксис связной речи (сложное синтаксическое целое). Пермь, 1982.
208. Лурля А.Р. Словесная система выражения отношений. М., 1964.
209. Макарова М.М. Средство связи самостоятельных предложений в научно-технической речи современного немецкого языка. АКД, М., 1960.
210. Малов В.В. Связочные средства сцепления самостоятельных предложений. АКД, Ростов-на-Дону, 1970.
211. Маров В.Н. Структурно-стилистические модели абзаца (к постановке проблемы). - В кн.: Вопросы лингвистики и методики преподавания иностранных языков. Свердловск, 1970.
212. Маслов Б.А. Проблемы лингвистического анализа связного текста. Таллин, 1975.
213. Маслов Б.А. Некоторые проблемы анализа текста на уровне суперстатических связей. АКД, Тарту, 1973.
214. Матвеев В.А. Рема предложения - производное от его семантики. - В кн.: Проблемы синтаксической семантики. МПШИЯ им. Мориса Тореза, 1976.
215. Матезиус В. Язык и стиль. - В кн.: Пражский лингвистический кружок. М., 1967.
216. Мебуке Т.Ш. Структура абзаца в жанрах эпической прозы. АКД, Тбилиси, 1986.
217. Метс Н.Н., Митрофанова О.Д., Одинцова Т.Б. Структура научного текста и обучение монологической речи. М., 1981.
218. Москальская О.И. Семантика текста, - ВЯ, 1980, . № 6.

219. Москальская О.И. Вопросы синтаксической семантики. - ВЯ, 1977, № 2.
220. Москальская О.И. Проблемы системного описания синтаксиса. М., 1974.
221. Москальская О.И. Текст как лингвистическое понятие. - ИЯЛД, 1978, № 3.
222. Москальская О.И. Грамматика текста, М., 1981.
223. Москальская О.И. Текст - два понимания и два подхода. - В кн.: Русский язык. Текст и контекст. М., 1984.
224. Мухин А.М. О синтаксических и смысловых связях. - В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч. 1, М., 1974.
225. Наумова Т.Н. Соотношение семантики слова и целого высказывания. АКД М., 1972.
226. Найда Ю.А. Наука перевода, - ВЯ, 1970, № 4..
227. Нечаева О.А. Функционально-смысловые типы речи. АДД. М., 1975.
228. Николаева В.П. Абзац, его строение, содержание и композиционно-стилистическая роль в рассказах А.П.Чехова. АКД М., 1965.
229. Николаева Т.М. Актуальное членение - категория грамматики текста. - ВЯ, 1977, № 2.
230. Николаева Т.М. Лингвистика текста: современное состояние и перспективы. - Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII. Лингвистика текста. М., 1978.
231. Николаева Т.М. Краткий словарь терминов лингвистики текста. Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII. Лингвистика текста. М., 1978.

232. Николаева Т.М. Лингвистика текста и проблемы общей лингвистики. - Известия АН СССР. Серия литературы и языка, т.36, 1977, № 4.
233. Николаева Т.М. О функциональных категориях линейной грамматики. - В кн.: Синтаксис текста. М., 1979.
234. Николаева Т.М. «Событие» как категория текста и его грамматические характеристики. - В кн.: Структура текста. М., 1980.
234. Николаева Т.М. Единицы языка и теория текста. - В кн.: Исследования по структуре текста. М., 1987.
235. Новиков А.И. Семантика текста и ее формализация. М., 1983.
236. Новицкая И.М. Целые предложения в функции межфразовой связи. В кн.: Лингвистические проблемы функционального моделирования речевой деятельности. М., вып. 1, 1973.
237. Новицкая И.М. К синтаксису связного текста. АКД Л., 1973.
238. Новое в зарубежной лингвистике. Вып. VIII. Лингвистика текста. М., 1978.
239. Одищов В.В. Стилистика текста. АДД. М., 1981.
240. Ожегов С.И. Словарь русского языка. М., 1970.
241. Ольшанский И.Г. Текст как единство элементов и отношений. - В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ чл. Мориса Тореза, ч. 1, М., 1974.
242. Падучева Б.В. О семантике синтаксиса (Материалы к трансформационной грамматике русского языка). М., 1974.

243. Пшучева Е.В. Структура абзаца. - Труды по знаковым системам, вып.2, Тарту, 1965.
244. Падучева Б.В. Референтные аспекты высказывания (семантика и синтаксис местоименных слов). АДД М., 1982.
245. Палек Б. Кросс-референция: К вопросу о гипертониксисе. - Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII. Лингвистика текста. М., 1978.
246. Панфилов В.З. Роль модальности в конструировании предложения и суждения. - ВЯ, 1977, № 4.
247. Пешковский А.М. Русский синтаксис в научном освещении. М., 1938.
248. Пешковский А.М. Вопросы методики родного языка, лингвистики и стилистики. М.-Л., 1930.
249. Попов Р.Н., Валькова Д.П. и др. Современный русский язык. М., 1978.
250. Попова И.А. Неполные предложения в современном русском языке. - Труды Института языкознания АН СССР, т.2, 1953.
251. Пospelов Н.С. Сложное синтаксическое целое и основные особенности его структуры. - В кн.: Доклады и сообщения Института русского языка АН СССР, вып.2, М., 1948.
252. Пospelов Н.С. Проблемы сложного синтаксического целого в современном русском языке. - УЗ МГУ, вып.137. Труды кафедры русского языка, кн.2. М., 1948.
253. Пospelов Н.С. Категория времени в грамматическом строе современного русского языка. - Диссертация на

соискание ученой степени доктора филологических наук М., т.2, 1953.

254. Поспелов Н.С. Синтаксический строй стихотворных произведений ПУШКИНА. М., 1960.
255. Поспелов Н.С. Синтаксический строй поэмы Пушкина «Медный всадник». - Доклады и сообщения филологического факультета МГУ, вып. 1, М., 1945.
256. Потехня Н.С. Из записок по русской грамматике, т. 1-2, М., 1958.
257. Почепцов Г.Г. Конструктивный анализ структуры предложения. Киев, 1971.
258. Правдин М.Н. Анализ содержательной структуры текста. - В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МГЛШЛЯ им. Мориса Тореза, ч. II, М., 1974.
259. Пражский лингвистический кружок. М., 1967.
260. Предложение и текст в семантическом аспекте. Калинин, 1978.
261. Предложение и текст (сборник научных трудов). Рязань, 1982.
262. Проблемы лингвистической интерпретаций художественного текста. Свердловск, 1982.
263. Проблемы лингвистического анализа текста. Иркутск, 1980.
264. Проблемы лингвистической семантики. М., 1981.
265. Проблемы теории текста. М., 1978.
266. Пробст М.А. Текст в системах коммуникации. - В сб.: Проблемы структурной лингвистики 1979. М., 1981.

267. Пфиотце Макс. Грамматика и лингвистика текста. - Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII. Лингвистика текста. М., 1978.
268. Распопов И.П. Актуальное членение предложения. Уфа, 1951.
269. Распопов И.П. Строение простого предложения в современном русском языке. М., 1970.
270. Рахманкулова И.С. Проблемы лингвистики текста. - Лингвистика текста. Куйбышевский государственный университет, 1976.
271. Реферовская Е.А. Лингвистические исследования структуры текста. Л., 1983.
272. Реферовская Е.А. Семантико-синтаксические принципы членения речевого потока. - В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч. II, М., 1974.
273. Рогожникова Р.П. Сложное синтаксическое целое, его структура и типы. РЯИЩ, 1973, №1.
274. Рождественский Ю.В. Лингвистическое изучение текста. - В кн.: Синтаксис текста. М., 1979.
275. Рохлин А.С. Сложные синтаксические единства с местоименными наречными словами после разделительной паузы. Единицы различных уровней в языке и речи, Краснодар, 1872.
276. Рочьяк А.М. Способы соединения микросинтагматических конструкций в тексте (на материале современного французского языка). АКД, Львов, 1972.
277. Русская грамматика. Под редакцией Н.Ю. Шведовой, Ч. 1-2. М., 1880.

278. Ряднова Т.С. Анализ абзаца как композиционно-синтаксического элемента языка художественной литературы. - УЗ Московского пединститута, № 165, М., 1961.
279. Свотина М.Г. Связи между абзацами в языковой практике Н.А. Добролюбова. - В сб.: Вопросы русского языкознания Саратов, 1961.
280. Сгалл П. К программе лингвистики текста. - Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII. Лингвистика текста. М., 1978.
281. Севбо И.П. Структура связного текста и автоматизация реферирования. М., 1969.
282. Семенова Ю.Н. «Ильинский омут» К. Паустовского (опыт семантико-стилистической характеристики). - В кн.: Вопросы теории и истории языка. Л., 1969.
283. Сердобинцев Н.Я. Синтаксис языка и композиция произведения. - В кн.: Исследования и статьи по русскому языку. Волгоград, 1967.
284. Серкова Н.И. Сверхфразовое единство как функционально-речевая единица. АКД М., 1968.
285. Сидоров Е.В. Речь и текст как единство противоположностей. - В сб.: Текст. Высказывание. Слово. М., 1983.
286. Сильман Т.И. Дифференциация структуры абзаца в различных функциональных стилях. - В сб.: Проблемы нормы и социальной дифференциации языка. М., 1970.
287. Сильман Т.И. Проблемы синтаксической стилистики (на материале немецкого языка). Л., 1968.

288. Сильман Т.И. Структура абзаца в художественной прозе (немецкие романтики и Гейне). - ИЯШ, 1968, № 4.
289. Синтаксис текста. Отв. ред. Золотова Г.А. М., 1879.
290. Сиротинина О.Б. Лекции по синтаксису русского языка. М., 1980.
291. Скороходько Э.Ф. Семантические связи в лексике и тексте. - Вопросы информации теории и практики, № 7, М., 1974.
292. Скребнев Ю.М. Общелингвистические проблемы описания синтаксиса разговорной речи. АДД М., 1971.
293. Скребнев Ю.М. Функциональный аспект лингвистики текста, - В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч.2, М., 1974.
294. Смирняцкий А.М. Синтаксис английского языка. М., 1957.
295. Смирнов А.А. Проблемы психологии памяти. М., 1966.
296. Снегирева Т.А. Порядок слов как средство связи между предложениями в древнеанглийский период. АКД Л., 1962.
297. Современный русский язык. Часть 2. Синтаксис. Под редакцией Д.Э. Розенталя. М., 1976.
298. Современный русский литературный язык. Под редакцией П.Л. Леканта. М., 1982.
299. Соколов А.Н. Внутренняя речь и понимание. - УЗ научно-исследовательского института психологии, т.2, 1941.

300. Солганик Г.Я. Синтаксическая стилистика (сложное синтаксическое целое). М., 1973.
301. Солганик Г.Я. Сложное синтаксическое целое (прозаическая строфа) и его виды в современном русском языке. - РЯШ, 1969, № 2.
302. Солганик Г.Я. К проблеме модальности текста. - В кн.: Русский язык. Текст и контекст. М., 1984.
303. Степанов Г.В. Несколько замечаний о специфике художественного текста. - В кн.: Сборник научных трудов МГПИИЯ, вып. 103. Лингвистика текста. М., 1976.
304. Стриженко А.А. Художественный текст как особая форма коммуникации. - Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч.2, М., 1974.
305. Структура текста. М., 1980.
306. Суворова Л.Н. Текст как уровень языковой системы. - В сб.: Взаимодействие языковых структур в системе, вып.4, JL, 1980.
307. Суфрун А.Е. Язык, речь, текст. Алма-Ата, 1966.
308. Суренский В.В. Логико-синтаксические отношения между смежными предложениями связного текста и их выражение в устной речи. - РЯШ, 1949, № 2.
309. Текст и аспекты его изучения. Минск, 1979.
310. Текст и аспекты его рассмотрения. Тезисы докладов и сообщений Межвузовской научно-методической конференции (25-27 января 1977 г.). М., 1977.
311. Текст. Высказывание. Слово. М., 1983.
312. Текст; семантика и структура. М., 1983.

313. Текст как важнейшая единица коммуникации. М., 1984.
314. Текст как инструмент общения. М., 1983.
315. Текст как психолингвистическая реальность. М., 1982.
316. Текст как объект лингвистического анализа и перевода. М., 1984.
317. Текст как объект комплексного анализа в ВУЗе. М., 1984.
318. Тодоров Ц. Грамматика повествовательного текста. - Новое в зарубежной лингвистике, вып. VI. Лингвистика текста. М., 1978.
319. Толковый словарь русского языка, под ред. Д.Н. Шварца. М., 1934.
320. Трошина Н.Н. Лингвистический аспект когерентности художественного текста. - Сборник научных трудов МГПИИЯ им. Мориса Тореза. Выпуск 158, М., 1980.
321. Тураева З.Я. Категория времени. Время грамматическое и время художественное. М., 1979.
322. Турмачева Н.А. О типах формальных и логических связей в сверхфразовом единстве. АСД. М., 1973.
323. Турмачева Н.А. К вопросу о природе сложного синтаксического целого и абзаца. - В кн.: Синтагматика, парадигматика и их взаимоотношение. Рига, 1970.
324. Уханов Г.П. Типы предложений разговорной речи, соотносимые со сложными синтаксическими единицами. - В кн.: Развитие синтаксиса современного русского языка. М., 1966.

325. Фигуровский И.А. От синтаксиса отдельного предложения к синтаксису целого текста. - РЯШ, 1948, №3.
326. Фигуровский И.А. Синтаксис целого текста ч. 1. Ученнические письменные работы, М., 1961.
327. Фигуровский И.А. Пунктуация целого текста. - РЯШ, 1936, № 5.
328. Фигуровский И.А. Основные направления в исследованиях синтаксиса целого текста. - В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ им. М.Тореза, ч.2; М., 1974.
329. Фридман Л.Г. Грамматические проблемы лингвистики текста. АДД Л., 1979.
330. Фридман Л.Г., Бутко В.Г. Текст как иерархическая система. - В кн.: Структура и семантика сверхфразовых единиц в германских языках. Пятигорск. 1983.
331. Харвег В. Редуцированная речь. Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII. Лингвистика текста. М., 1978.
332. Харитоновна И.Я. Роль категории «скрытой» грамматики в организации текста. - В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ им. Мориса Тореза, Ч.II, М., 1974.
333. Хатнашвили Л.Г. Присоединительные связи в русском языке. Тбилиси, 1963.
334. Хованская З.И. Категория связности и смысловое развертывание коммуникаций. - Сборник научных трудов МГПИИЯ им. Мориса Тореза. Вып. 158, М., 1980.
335. Храпченко М.Б. Текст и его свойства. - ВЯ, 1985, № 2.

336. Хэллдей М.А. Место «функциональной перспективы предложения» в системе лингвистического описания. Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII. Лингвистика текста. М., 1978.
337. Черемисина Н.В. О сверхфразовом единстве и некоторых его разновидностях в современном русском языке. - В кн.: Харьковский педагогический институт физического воспитания. 14-ая отчетно-научная сессия. Секция русской литературы и русского языка. Тезисы докладов. Харьков, 1958.
338. Черемисина М.И. Анафорические связи в тексте. - В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч. II, 1974.
339. Чернухина И.Л. К вопросу о единицах связного текста. - В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч.2, М., 1974.
340. Чернухина И.Л. Синтаксическое единство в современном русском языке (на материале беллетристики). АКД. Воронеж, 1967.
341. Черняховская Л.А. Перевод и смысловая структура. М., 1976.
342. Черняховская Л.А. Смысловая структура текста и ее единицы. - ВЯ, 1983, № 6.
343. Чейф У. Значение и структура языка. М., 1975.
344. Чистякова Г.Д. Исследование понимания текста как функции его смысловой структуры. АКД М., 1975.
345. Шабурипвили К. Теория текста и синтаксический механизм словообразования. Тбилиси, 1983.

346. Шахматов А.А. Синтаксис русского языка. Изд. 2, Л., 1941.
347. Шведова Н.Ю. О взаимодействии структурной схемы и ее реализации. - В сб.: Единицы разных уровней грамматического строя языка и их взаимодействие, М., 1969.
348. Шведова Н.Ю. Очерки по синтаксису русской разговорной речи. М., 1960.
349. Шейцер. А.Д. Перевод и лингвистика. М., 1973.
350. Шмелев Д.Н. Русский язык и его функциональные разновидности. М., 1977.
351. Шмидт З.И. «Текст» и «история» как базовые категории. - Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII. Лингвистика текста. М., 1978.
352. Щерба Л.В. Современный русский литературный язык. - В кн.: Щерба Л.В. Избранные работы по русскому языку. М., 1957.
353. Щерба Л.В. Языковая система и речевая деятельность. Л., 1974.
354. Щетикина Л.М. Категория определенности и неопределенности и ее структурообразующая функция в связном тексте (на материале английского языка). - В кн.: Лингвистика текста. Материалы научной конференции МГПИИЯ им. Мориса Тореза, ч. II, М., 1974.
355. Энквист Н. Современные направления развития лингвистики. Доклад на У1 научной сессии по вопросам германского языкознания (Москва, 25-26 марта 1974 г.). - ВЯ, 1975, № 1,

356. Якобсон Р. Итоги IX конгресса лингвистов. - В сб.: Новое в лингвистике, вып. IV, М., 1965;
357. Яковлев Н.Ф. и Шхамат Д.А. Грамматика адьгейского литературного языка. М.-Л., 1941.
358. Языковые единицы и контекст. Под ред. В.И.Кодухова. М., 1973.
359. Ярцева П.Н. Иерархия грамматических категорий и типология грамматических категорий. Месяцанищновские чтения, 1873. Тезисы докладов. М., 1973.

ბ) ქართულ ენაზე

360. ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1885.
361. გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1970.
362. დ. გოცირიძე, ფრაზული ტექსტი, როგორც ტექსტის ტიპოლოგიის ერთეული, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 267, ენათმეცნიერება, 10, თბილისი, 1986.
363. ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი 1973.
364. კ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1979.
365. ს. ლოდაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1961.
366. ლ. ენუქიძე, წინადადების აქტუალური დანაწევრება და მისი მიმართება სინტაქსური და სემანტიკური ანალიზის თანამედროვე მეთოდებთან, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, VI, თბილისი, 1981.
367. ი. იმედაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1904.
368. მ. კელენჯერიძე, თეორია სიტყვიერებისა, ქუთაისი, 1899.

369. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966.
370. პ. კვიციანიძე, ქართული სწორმეტყველება, თბილისი, 1988.
371. ა. კიზირია, ქართული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბილისი, 1969.
372. ი. ნადარეი შვილი, „და“ კავშირის ხმარების სიხშირე ქართული სალიტერატურო ენის ევოლუციის პროცესში, სმამ, 57, №2, 1970.
373. გ. ნარსიძე, უძველესი ქართული თხზულება, მნათობი, №9, 1983.
374. ლ. ნახ-ხეტოვა, ტექსტის ვალენტური კავშირების შესახებ ჩართული კონსტრუქციებით, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, თბილისი, 1986.
375. რ. პატარიძე, ქება ქართული ენისა, მნათობი, №1, 1987.
376. თ. ჟორდანიას, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1929.
377. ი. სიხარულიძე, ენის დაკვირვება, თბილისი, 1929.
378. ა. ფოცხი შვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბილისი, 1979.
379. ი. ქართველი შვილი, ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1814.
380. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 6, თბილისი, 1960.
380. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ანი, ტ. 1, თბილისი, 1950.
381. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8, თბილისი, 1984.
381. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1, თბილისი, 1975.
382. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, თბილისი, 1985.

383. რ. შამელაშვილი, ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბილისი, 1975.
384. ნ. შენგელაია, ლინგვისტიკა და ტექსტის ლინგვისტიკა, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 267, ენათმეცნიერება, 10, თბილისი, 1986.
385. ნ. შენგელაია, ძველი და ახალი ინფორმაცია ტექსტში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, თბილისი, 1985.
385. ნ. შენგელაია, ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემები, თბილისი, 1987.
386. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952.
387. შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბილისი, 1973.
388. ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1907.
389. მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906.
- გ) უცხოურ ენებზე
390. Agricola E. Vom Text zum Thema. «Studia grammatica». Bd. 1. Berlin, 1976
391. Boost K. Der Deutsche Satz. Die Satzverflechtung. «Deutschunterricht». H 3, 1949.
392. Brinkmann H. Die deutsche Sprache. Gestalt und Gestaltung. 2. Aufl. Dusaeldorf, 1971.
393. Brinkmann H. Der Satz und die Rede. «Wirkendes Wort», 1966, H 6.
394. Dresler W. Einführung in die Textlinguistik. Tübingen, 1973.
395. Dressler W. Modelle und Methoden der Textsyntax. «Folia linguistica», 4, 1970.
396. Dresler W., Schmidt S.J. Textlinguistik. Kritische Bibliographie. München, 1973.

397. Hartmann P. Text, texte, Klassen von texten. 1964.
398. Hartmann P. Texte als linguistisches Objekt. «Beiträge zur Linguistik». München, 1971.
399. Harweg R. Pronomina und textkonstitution. München, 1968.
400. Harweg R. Text grammar and literary texts. - «Poetics», 1973, N 9.
401. Harweg R. Die textologische Rolle der Betonung. - «Beiträge zur Textlinguistik», B. 1 München, 1971.
402. Harweg R. Textlinguistik. - In: Perspektiven der Linguistik, Bd. 2, Stuttgart, 1974.
403. Isenberg H. Der Begriff «Text» in der Sprachtheorie ASG-Bericht, N 8, 1970.
404. Isenberg H. Texttheorie und Gegenstand der Grammatik. «Linguistische Studien», Bd. 11. Berlin, 1974.
405. Koch W.A. Einige Probleme der Textanalyse. «Lingua» 16, 1966. 351-405. KOHC. W.A. Einige Probleme der Textanalyse. «Lingua», 16, 1966.
406. PFUTZE M. Grundgedanken zu einer funktionalen Textlinguistik. «Textlinguistik», 1. Dresden, 1970.
407. SCHMIDT W. und KOLL. Sprache-Bildung und Erziehung. Leipzig, 1977.
408. WEINRICH H. Gekturekolog zur Textlinguistik. Bd. 1. Einführung. F.a.M., 1974.

დ) გაანალიზებული ტექსტები

409. გრ. აბაშიძე, რჩეული ლექსები და პოემები, თბილისი, 1980.
410. ირ. აბაშიძე, ერთტომეული, თბილისი, 1981.
411. ვ. ბარნოვი, თხზულებანი, ტომი 8, თბილისი, 1863.

412. კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 11, თბილისი 1959.
413. ა. კალანდაძე, ლექსები, თბილისი, 1985.
414. გ. ლეონიძე, ნატვრის ხე, თბილისი, 1965.
415. ი. ნონეშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1982.
416. შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1966.
417. გ. ტაბიძე, რჩეული, თბილისი, 1982.
418. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბილისი, 1985.
419. ალ. ყაზბეგი, ქართული პროზა, წიგნი XI, თბილისი, 1986.
420. ლ. ქიაჩელი, გვადი ბიგვა, თბილისი, 1959.
421. ა. წერეთელი, თხზულებანი, თბილისი, 1980.
422. ი. კაკვაძე, ქართული პროზა, წიგნი VIII, თბილისი, 1984.
423. ი. ხუცესი, შუშანიკის წამიბა, ქართული პროზა, წიგნი I, თბილისი, 1982.
424. მ. ჯაფარიშვილი, რჩეული თხზულებანი, ტომი IV, თბილისი, 1961.

შპროკლმბათა ზანსა

АКД - Автореферат кандидатской диссертации

АДД - Автореферат докторской диссертации

ВИИЯ - Военный институт иностранных языков

ВЯ - Вопросы языкознания

вып. - выпуск

изд. - издание

Изв. - Известия

ИЯШ - Иностранные языки в школе

кн. - книга

МГПИИЯ - Московский Государственный педагогический институт

иностранных языков

МП и ПЛ - Машинный перевод и прикладная лингвистика

МГУ - Московский Государственный университет

НТИ - Научно-техническая информация

РЯШ - Русский язык в школе

РЯНИШ - Русский язык в национальных школах

сб. - сборник

т. - том

ч. - часть

УЗ - Ученые записки

ФН - Филологические науки

М. - Москва

Л. - Ленинград

ტ. - ტომი

იბ. - იბილეთ

შპრ. - შედარება

შინაარსი

წინასიტყვა	3
შესავალი	5
თავი პირველი	
ტექსტის ლინგვისტიკის ზოგადი საკითხები	
1.1 ტექსტის ლინგვისტიკა - როგორც მეცნიერება.....	23
1.2 ტექსტის ლინგვისტიკის საგანი.....	33
1.3 ტექსტის ლინგვისტიკის ჩასახვა საბჭოთა პერიოდის ენათმეცნიერებაში.....	56
1.4 ტექსტის გაგებისათვის რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში.....	64
1.5 წინადადებიდან ტექსტამდე.....	75
1.5.1 გამონათქვამი.....	77
1.5.2 აბზაცი.....	92
1.5.3 რთული სინტაქსური მთლიანობა.....	101
1.5.4 პერიოდი.....	107
1.6 ტექსტის საკითხი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში.....	111
დასკვნები.....	124
თავი მეორე	
მეტატექსტი	
2.1 მეტატექსტის ცნება.....	128
2.2 მეტატექსტის აზრობრივი და საკომუნიკაციო მთლიანობა, მიკროთემა.....	129
2.3 მეტატექსტის აქტუალური დანაწევრება.....	135
2.4 მეტატექსტი და აბზაცი.....	138
2.4.1 მეტატექსტი და მისი სტრუქტურა.....	138
2.4.2 აბზაცი.....	139
2.5 მეტატექსტის კონსტიტუენტთა ურთიერთკავშირების საშუალებანი.....	142
2.5.1 კავშირები.....	150
2.5.2 ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები.....	168
2.5.3 ლექსიკური განმეორება.....	172

2.5.4 სინონიმური ჩანაცვლება.....	175
2.5.5 ზმნა-შემასმენელთა ურთიერთმიმართება ღროის, კილოსა და ასპექტის მიხედვით.....	177
2.6 სიტყვებისა და წინადადებების რიგი მეტატექსტში.....	179
დასკვნები.....	167
თავი მესამე	
ტექსტის პარამეტრები	
3.1 ტექსტის თემა. აზრობრივი დამთარგებულობა.....	189
3.2 ტექსტის სტრუქტურული მთლიანობა.....	190
3.3 ტექსტის სემანტიკური მთლიანობა.....	195
3.4 ტექსტის საკომუნიკაციო დანიშნულება.....	205
დასკვნა.....	215
თავი მეოთხე	
ტექსტის სტრუქტურა	
4.1 ტექსტის კომპონენტები.....	216
4.2 ტექსტის კომპონენტების კოპეზია.....	231
დასკვნები.....	245
თავი მეხუთე	
ტექსტის კატეგორიები	
5.1 საკითხის ისტორიისათვის.....	247
5.2 გაბმულობა.....	250
5.3 თანამიმდევრობა.....	255
5.4 მოდალობა.....	261
დასკვნა.....	276
თავი ექვშე	
ტექსტის ძირითადი ფუნქციონალური ტიპები	
6.1 საკითხის ინტერპრეტაცია.....	277
6.2 აღწერილი ტექსტი.....	279
6.3 თხრობითი ტექსტი.....	281
6.4 მსჯელობითი ტექსტი.....	283
6.5 კონტამინირებული ტექსტი.....	286
დასკვნა.....	292

ტექსტის ლინგვისტიკის მკირე ლექსიკონი.....

გამოყენებული ლიტერატურა.....

შემოკლებათა გახსნა.....

შინაარსი.....